ენათმეცნიერების საკითხები

ISSN 1512-0473

2017

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Faculty of Humanities

ენათმეცნიერების საკითხები

ISSUES OF LINGUISTICS

2017

უნივერსიტეტის
გამომცემლობა

სარედაქციო საბჭო:
ვ. ბოედერი, ი. გიპერტი, დ. თვალთვაძე, ბ. უტიე,
ჰ. ფენრიხი, მ. შანიძე, ზ. ჭუმბურიძე, ა. ჰარისი

EDITORIAL COUNCIL:
W. Boeder, Z. Chumburidze, H. Fähnrich, J. Gippert,
A. Harris, B. Outtier, M. Shanidze, D. Tvaltvadze

სარედაქციო კოლეგია:
თ. გამყრელიძე (მთავარი რედაქტორი),
ი. ლეჟავა (მთავარი რედაქტორის მოადგილე),
რ. ასათიანი, თ. ბოლქვაძე, ნ. გაფრინდაშვილი, მ. ივანიშვილი,
დ. მელიქიშვილი, ე. სოსელია, ლ. ქეცბა-ხუნდაძე, პ. ცხადაია, მ. ჯიქია

EDITORIAL BOARD:
Th. V. Gamkrelidze (Editor-in-Chief),
I. Lezhava (Deputy Editor-in-Chief),
R. Asatiani, T. Bolkvadze, N. Gaprindashvili, M. Jikia, M. Ivanishvili,
L. Ketsba-Khundadze, D. Melikishvili, E. Soselia, P. Tskhadaia

ჟურნალი დაარსებულია 1999 წელს ***თამაზ გამყრელიძისა*** *და*
ზურაბ სარჯველაძის *მიერ*

The journal was founded in1999 by ***Thomas V. Gamkrelidze***
and ***Zurab Sarjveladze***

გამოცემულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობა, 2018
© Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press, 2018

ISSN 1512-0473



ეძღვნება გივი მაჭავარიანის დაბადებიდან 90 წლისთავს

Dedicated to the 90th birth anniversary of Givi Machavariani

გივი მაჭავარიანი – 90

გივი მაჭავარიანი დაიბადა 1927 წლის 5 დეკემბერს თბილისში. 1950 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა განყოფილება, შემდეგ ასპირანტურა. 1954 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები ქართველურ ენებში"; 1966 წელს მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. იგი იყო ფართო დიაპაზონის მეცნიერი. მის სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში ცენტრალური ადგილი ეკავა კავკასიური და ქართველური ენების სტრუქტურისა და ისტორიის საკითხებს, აგრეთვე ზოგადენათმეცნიერულ პრობლემატიკას. მის მიერ შექმნილმა ფუნდამენტურმა მონოგრაფიებმა: „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში" (თამაზ გამყრელიძესთან ერთად) და „საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა" ავტორს საბოლოოდ მოუხვეჭა ქართველური ენების გამოჩენილი მკვლევრის სახელი. იგი სისტემატურად მონაწილეობდა საკავშირო კონფერენციებსა და საერთაშორისო კონგრესებში. 1954 წლიდან გარდაცვალებადე, უკანასკნელი 14 წელი, ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში – იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიური ენების კათედრისა და ძველი ქართული ენის კათედრის დოცენტი, შემდეგ ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის პროფესორი და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი.

გივი მაჭავარიანი გარდაიცვალა 1968 წლის 27 აგვისტოს, უნგრეთში, სადაც მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციაში. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

*

ძვირფასო კოლეგებო,[1]

ძალიან გახარებული ვარ, რომ მომეცით შესაძლებლობა, რამდენიმე სიტყვით მონაწილეობა მიმეღო კონფერენციაში, რომელსაც თქვენ უძღვნით უმნიშვნელოვანესი ქართველი ენათმეცნიერის, გივი მაჭავარიანის, ხსოვნას.

[1] ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორების, ვინფრიდ ბოედერისა და ჰაინც ფენრიხის, წერილები წაკითხულ იქნა 2017 წლის 6 დეკემბერს გამართულ გივი მაჭავარიანის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სხდომაზე.

ბატონ გივის პირადად მხოლოდ ერთხელ შევხვდი 50 წლის წინ, ლინგვისტთა მეათე საერთაშორისო კონგრესზე, ბუქარესტში. პირველ ყოვლისა, მახსენდება ადამიანური სითბო, რომელსაც ის ასხივებდა, და მისი წიგნი, მეგობრული წარწერით, ჩემი ბიბლიოთეკის უძვირფასესი შემადგენელი ნაწილია.

გივი მაჭავარიანი ჩემს წარმოდგენაში იყო სანიმუშო მეცნიერი. მასში შერწყმული იყო როგორც მაშინდელი ქართული და საერთაშორისო ენათმეცნიერების საოცრად კომპეტენტური ცოდნა, ისე ქართველური ენობრივი მასალისა და კავკასიური მეზობელი ენების ტიპოლოგიური და არეალური ფენომენების არაჩვეულებრივი ფლობა. თეორიული საფუძვლების მისეული ფართო ცოდნა ემყარებოდა საფუძვლიან შესწავლას და არ მდგომარეობდა მოდური ტერმინებისა და ავტორების დასახელებაში. მისი ენობრივი მასალა პირველწყაროებს ეყრდნობოდა. დაბოლოს, აზროვნების სისტემურობის გამო მისი ნაშრომები მინასავით გამჭვირვალე წარმოსახვით გამოირჩევა. ვინც კითხულობს, მაგალითად, მისი ლექციების ჩანაწერებს, რომელიც 15 წლის წინ დაიბეჭდა, მარტო მისი პედაგოგიური ტალანტის ცოცხალ შთაბეჭდილებას კი არ შეიქმნის, არამედ შეიცნობს მის სამეცნიერო სტილსაც. მე ძალიან ცოტა ავტორს ვიცნობ, რომლებიც ასე აშკარად მიჰყვებიან სოკრატისეული დიალექტიკის ძველ იდეალს, რომლის მიხედვით მეცნიერება შეხედულებების ავტორიტეტული გადმოცემა კი არაა, არამედ ამ შეხედულებების საფუძვლებისა და საპირისპირო შეხედულებების საფუძვლების კრიტიკული განხილვა. გივი მაჭავარიანი სვამს კითხვებს და იძლევა პასუხებს, რომლებიც მიჰყვება გარკვეულ ექსპლიციტურად დასახელებულ პრინციპებსა და მეთოდებს. თავის პასუხებს იგი განიხილავს არა როგორც საბოლოოს, არამედ საუბრობს „შესაძლო ინტერპრეტაციაზე“, რომელიც გარკვეული თვალსაზრისით „უკეთესია“, ვიდრე დანარჩენები, რომელთაც გარკვეული წინააღმდეგობები ეღობება, ან უფრო ნაკლებად ხსნიან ვითარებას. ეს აგრეთვე ეხება მის თეორიას ქართველური სიბილანტების შესახებ: გადამწყვეტია არა იმდენად ერთი ან მეორე თეორიის სისწორე, რომელიც მანამდე ან მას შემდეგ იქნა წარმოდგენილი, არამედ არგუმენტები, რომლებიც მან წარმოადგინა.

გივი მაჭავარიანს მონოგრაფია „საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა“ და თამაზ გამყრელიძესთან ერთად შექმნილი ნაშრომი „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში“ ესმოდა, როგორც დიდი პროექტის შემადგენელი ნაწილი, კერძოდ, „ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის სრული კურსის ჩამოყალიბება“ („საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა“, გვ. 5). მისი ნაადრევი სიკვდილის გამო ეს პროექტი ვეღარ დასრულდა და მრავალრიცხოვანი ხელნაწერებიდან, რომელიც მან დატოვა, მხოლოდ მცირე ნაწილია გამოქვეყნებული. ამასთან დაკავშირებით გიორგი ახვლედიანი ნეკროლოგში წერს: „ყველაფერი ეს იყო იმ გრანდიოზული მუშაობის მხოლოდ პირველი საფეხური, რომელიც მან შექმნა, როგორც თაობათა სამუშაო გეგმა და მანვე მიუთითა მისი შესრულების რეალურ გზებზე“ (იხ. საენათმეცნიერო კრებული 1979, გვ. 5). დღე-

ვანდელი დღე კარგი მომენტია იმაზე დასაფიქრებლად, რამდენად გამართლდა ეს ოპტიმიზმი. ყოველ შემთხვევაში, ქართველოლოგიის ძალიან მნიშვნელოვან დავალებად რჩება გივი მაჭავარიანის ბრწყინვალე ღვაწლის გაგრძელება.

ვინფრიდ ბოედერი
ოლდენბურგის უნივერსიტეტი

* *

გივი მაჭავარიანის მოღვაწეობა ქართველოლოგიისათვის უდიდეს წინსვლას წარმოადგენს. შეუფასებელია მისი ნაშრომების მნიშვნელობა მეცნიერების განვითარებაში. მე მხოლოდ სამ შრომას ვასახელებ, რომელმაც მყარი საფუძველი დაუდო ქართველური ენების ისტორიულ-შედარებით გამოკვლევას: ეს არის მისი დებულება ქართველურ ფუძე-ენაში სიბილანტურ ფონემათა სამი ლოკალური რიგის არსებობის შესახებ, მისი მონოგრაფია საერთო-ქართველურ თანხმოვანთა სისტემის შესახებ და თამაზ გამყრელიძესთან ერთად გამოცემული „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში“. რაც სამაგალითოდ ქმნის გივი მაჭავარიანის კვლევა-ძიებას, ეს არის ის მდგომარეობა, რომ ის მტკიცედ იცავდა იმ პრინციპებსა და პოზიციებს, რომლებიც დაამუშავეს ნეოგრამატიკოსებმა და რომლებიც გახდა ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების საერთო საფუძველი. არაუგვიანეს ბლუმფილდის გამოსვლისა ცხადია, რომ ნეოგრამატიკოსების მეცნიერული მიღწევები ძალაშია აბსოლუტურად ყველა ენისთვის და რომ არ არსებობს ე.წ. „ეგზოტიკური ენები“, რომლებიც თითქოს არ ექვემდებარება ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების დებულებებს. გივი მაჭავარიანმა აჩვენა, რომ ქართველურ ენათა ოჯახი, ისევე როგორც კავკასიის ენების დანარჩენი ოჯახები, უნდა გამოიკვლიოს იმავე მეთოდებით, რომლებითაც ისარგებლეს ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების მამებმა. ამით გივი მაჭავარიანი გახდა ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი კვლევა-ძიების თანამედროვე ფუძემდებელი.

ვეთაყვანები მის დაუვიწყებელ დამსახურებას.

ჰაინც ფენრიხი

გივი მაჭავარიანის გახსენება

გასული საუკუნის 60-იან წლებში ქართულ ენათმეცნიერებაში მოვიდა ქარიშხალივით ძლიერი ტალღა უნიჭიერესი ახალგაზრდებისა, რომელნიც გატაცებულნი იყვნენ იმ დროის ენათმეცნიერებაში დასავლეთიდან შემოსული დესკრიფციული მიმდინარეობით, ე.წ. სტრუქტურული ენათმეცნიერებით. მათ ახალი სუნთქვა შემოიტანეს და გამოაცოცხლეს ქართულ ლინგვისტური აზროვნება. მათ შორის გამოირჩეოდა გივი მაჭავარიანი, სრულიად ახალგაზრდა დოქტორი, პროფესორი, რომ-

ლის კვლევები ქართველური ენების ფონემატური სტრუქტურის სფეროში საფუძ-ვლად დაედო თამაზ გამყრელიძესთან თანაავტორობით გამოცემულ ფუნდამენტურ ნაშრომს „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში“ (1965), რომელ-მაც ქართველური ენათმეცნიერება ახალი მიმართულებით წარმართა.

ამ დროისათვის მას უკვე გავლილი ჰქონდა ისტორიულ-შედარებითი ენათ-მეცნიერების ქართული სკოლა და თავისი დიდი მასწავლებლებისაგან მიღებული ღრმა ცოდნითა და გამოცდილებით აღჭურვილი, ქართველური და კავკასიური ენების ზღვა მასალაში თავს ისე გრძნობდა, როგორც თევზი წყალში.

გივი მაჭავარიანი V კურსზე შემოვიდა ჩვენთან, ქართველური ენების ჯგუფ-ში. მანამდეც ბევრი გვსმენოდა მასზე და სამეცნიერო სესიებსა და კონფერენციებ-ზეც მომსწრენი ვიყავით მისი ცხარე დისკუსიებისა ამა თუ იმ საკამათო საკითხ-თან დაკავშირებით. ამიტომაც დიდი ინტერესით მოველოდით მის ლექციებს. აკი იმედიც არ გაგვცრუებია: ერთი შეხედვით მშვიდი და აუღელვებელი, მაგრამ შინა-განად დამუხტული და ემოციური, ისეთი გატაცებით გვიკითხავდა ქართველური ენების შედარებით გრამატიკას, ისე შეჰყავდი ამ საიდუმლოებით მოცულ ენობრივ სამყაროში, რომ შენც გითრევდა და გიღვიძებდა ძიებისა და კვლევის ინტერესს.

კომპარატივისტიკის მიღწევების კრიტიკული ათვისება და ამ მეთოდის ფაქი-ზი შერწყმა სტრუქტურული აღწერის პრინციპებთან, არაჩვეულებრივად მწყობრ და თანმიმდევრულ ლოგიკურ მსჯელობასთან ერთად ნებისმიერი საკითხის ენობ-რივი სისტემის ფონზე გამოწვლილვითი განხილვა (როგორც დიაქრონიული, ისე სინქრონიული თვალსაზრისით) შესაძლებლობას აძლევდა მას, დამაჯერებელ და ნათელ დასკვნამდე მიეყვანა მსმენელი. ორსაათიანი ლექციის „დასვენების“ პერი-ოდისა და ლექციის დასრულების შემდეგაც ძალიან გვიყვარდა დერეფანში მას-თან მსჯელობისა და კამათის გაგრძელება და ვატყობდი, მასაც არანაკლებ სია-მოვნებდა ახალგაზრდა „კოლეგებთან“ თავისი აზრების გაზიარება. ჩვენ აღტაცე-ბულები ვიყავით მისი ერუდიციით, იმით, თუ როგორ თავისუფლად ფლობდა ემ-პირიულ მასალას: საჭირო საილუსტრაციო მაგალითები ქართველური ენებიდან ჩანჩქერივით მოდიოდა...

ასპირანტურაში სწავლის წლებში მე კიდევ მომეცა საშუალება, დავსწრებო-დი გივი მაჭავარიანის ლექციებს – ახლა უკვე გიორგი ახვლედიანის თაოსნო-ბით ახლად გახსნილი სტუქტურული და გამოყენებითი ლინგვისტიკის განყოფი-ლებაზე (1964 წლიდან სტრუქტურული და გამოყენებითი ლინგვისტიკის კათედ-რის ხელმძღვანელი იყო თამაზ გამყრელიძე). აქ იგი ქართული ენის სტრუქტუ-რული ანალიზის კურსს კითხულობდა. აქედან განსაკუთრებით დამამახსოვრდა და მინდა გავიხსენო მისი ერთი ლექცია, რომელიც თითქოს ისეთ მარტივ და უკვე შესწავლილ საკითხს ეხებოდა, როგორიცაა არსებითი სახელის ბრუნების სისტემა თანამედროვე ქართულში: როგორ აჩვენა, რომ ერთი და იმავე მოვლე-ნის სხვადასხვა პრინციპით აღწერა შესაძლებელია, მაგრამ მთავარია ბოლომდე

დაიცვა ერთი პრინციპი (ამ შემთხვევაში – ფორმალური, სტრუქტურული აღწერის პრინციპი): ფაქიზი, ფილიგრანული ანალიზით, სტრუქტურული აღწერის პრინციპის მკაცრი დაცვით მივიდა იგი ბრუნვის ნიშანთა ვარიანტების გამოყოფამდე: აჩვენა ადგილობით ბრუნვათა გამოყოფის უსაფუძვლობა და ბრუნვის ნიშანთა ვარიანტებად სახელის ფუძის აგებულებისა და თანდებულიან ფორმათა მიხედვით გამოყო სახელობითში: *-ი, -Ø;* მოთხრობითში: *-მა, -მ;* მიცემითში: *-ს(ა); -ში* და *-ზე* თანდებულიან მიცემითში: *-Ø;* ვითარებითში: *-ად(ა), -დ(ა); -მდე* თანდებულიან ვითარებითში: *-ა* (თანხმოვანფუძიანებთან) და *-Ø* (ხმოვანფუძიანებთან); მოქმედებითში *-ით (ა); -დან* თანდებულიან მოქმედებითში *-ი.*

სამწუხაროდ, მას არ დასცალდა ამ კურსის ბოლომდე გაგრძელება, მხოლოდ I ნაწილის ჩატარება მოასწრო: სახელის სტრუქტურული ანალიზისა... მოულოდნელი ელდა იყო ასეთი ახალგაზრდა, სიცოცხლით, ენთუზიაზმითა და ენერგიით აღსავსე, დიდი მომავლის მქონე მეცნიერის წასვლა ამ ქვეყნიდან...

დარწმუნებული ვარ, მისი მომავალი კვლევა მიმართული იქნებოდა ქართველური ზმნის სტრუქტურული ანალიზისაკენ, რის საფუძველსაც მაძლევს ორი საერთო რვეული, რომელიც ჩემი საკმაოდ სრული ჩანაწერებია გივი მაჭავარიანის 1960 წლის შემოდგომაზე ჩატარებული ლექციების კურსისა – ქართველურ ენათა შედარებით გრამატიკაში (გამოიცა 2002 წელს). ამ კურსში დიდი ადგილი აქვს დათმობილი სწორედ ქართველური ზმნის „გრამატიკული კატეგორიების“ განხილვას და, მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო ჩატარებული სრულყოფილი კვლევა ქართული (ქართველური) ზმნური ფორმების სტატისტიკურად საკმარისი და აუცილებელი რაოდენობის მასალაზე (რაც ერთ-ერთი მთავარი პირობათაა გრამატიკის სფეროში სრუქტურული ანალიზისას ზმნურ ფორმათა სწორი კრიტერიუმის შერჩევისა და გრამატიკული ფუნქციების მართებული განსაზღვრისათვის, ანუ გრამატიკული პრინციპითა და გრამატიკული ნიშნით კვალიფიკაციისათვის), გივი მაჭავარიანის ლექციების კურსიდან ჩანს, რომ ქართული ენის ტრადიციული გრამატიკის ფარგლებშიც კი (რომლის წინააღმდეგობრივი ხასიათი დღესაც არ არის დაძლეული) იგი მისთვის დამახასიათებელი აზროვნების ლოგიკური წესით, ლინგვისტური ალღოთი – დაბოლოს, ინტუიციით, ქართული ზმნის ხმოვანპრეფიქსების (ე.წ. „მაქცევრების“) გრამატიკულ კვალიფიკაციას უახლოვდება, როდესაც ლექციის ბოლოს ასკვნის: ***„მაქცევრები და მრავალპირიანობა ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული: მრავალპირიანობა რომ არ იყოს, მაქცევრები არც იქნებოდა საჭიროო“*** (და მართლაც, ენებში, სადაც მრავალპირიანი ზმნა არ არის, მათი თანმდევი ხმოვანპრეფიქსებია მოსალოდნელი). ამასვე ადასტურებს მის მიერ ***ა-*** პრეფიქსის მრავალპირიანობასთან დაკავშირება; ასევე, ის, რომ ერთი და იგივე ხმოვანპრეფიქსი ხან ე.წ. „ქცევის გრამატიკული კატეგორიის“ ნიშნად არის მიჩნეული, ხან კი „გვარის კატეგორიის“ მარკერად, ანუ ის, რომ „მაქცევრების *ფუნქციები ერთმანეთისაგან მკვე-*

თრად გამიჯნული არ უდა ყოფილიყო“, გივი მაჭავარიანს აძლევს უფლებას, დასვას კითხვა: *„რაკი უმეტესწილად მაქცევრების არსებობა მაინც პოლიპერსონალიზმთანაა დაკავშირებული, ისმის კითხვა: საერთოდ, მთლიანად ხომ არ უკავშირდებოდა მაქცევრები პოლიპერსონალიზმს?“* (უნდა აღინიშნოს, რომ გივი მაჭავარიანის ეს ეჭვი ბესიკ ჯორბენაძესთან უკვე დაძლეულია: ხმოვანპრეფიქსები ზმნის ფორმაში პირის „პოვნიერებაზე“ მიუთითებს).

და მართლაც, ქართული ზმნის აუცილებელი და საკმარისი რაოდენობის ზმნურ ფორმათა მორფოსინტაქსურმა ანალიზმა აჩვენა, რომ მრავალპირიანი ზმნის ხმოვანპრეფიქსები *ა-, ი-, უ-* ზმნის პირის ნიშანთა თანმდევი ელემენტებია, რომელთა გრამატიკული ფუნქცია ზმნის ფორმაში მონაწილე პირების კორელაციის ჩვენებაა, რაც კონტექსტის მიხედვით შეიძლება იყოს კუთვნილება-დანიშნულების სემანტიკის ჩვენებაც, ლოკალიზაციისაც, სივრცეში ორიენტაციისაც და სხვა სემანტიკური ნიუანსებიც. ეს კი ამ ხმოვანთა სემანტიკური და არა გრამატიკული ფუნქციაა. იგივე ითქმის *-ები* სტრუქტურის ორპირიან ზმნებში *უ- (უ-შრება)* და *ე- (ე-ლაპარაკება)* ხმოვანპრეფიქსების შესახებ, რომელთა გრამატიკული ფუნქცია პირთა კორელაციის ჩვენებაა, ხოლო *ი-* პრეფიქსის გრამატიკული ფუნქცია ამ სტრუქტურაში უკუქცევითობის (რეფლექსივის), სუბიექტის შინაგან ობიექტთან მიმართების, უკუმოქცევის, მაჩვენებელია.

ამ ლექციაზე გივი მაჭავარიანმა ქართველურ ენათა უტყუარი ნათესაობის თაობაზე „მაქცევრების“ მოწმობის უნიკალურ მნიშვნელობასთან დაკავშირებით მეტად გონებამახვილური და მნიშვნელოვანი თვალსაზრისი წამოაყენა: *„მაქცევრები და ზმნის მრავალპირიანობა ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. მრავალპირიანობა რომ არ იყოს, მაქცევრები არც იქნებოდა საჭირო. მაქცევრების ერთნაირობა სამივე ქართველურ ენაში იმას მიუთითებს, რომ ეს მაწარმოებლები საერთო ქართველურიდან მომდინარეობენ. მაქცევართა არსებობა უტყუარად მიგვითითებს იმას, რომ ნებისმიერი ახლადარმოჩენილი ენა (თუკი ასეთ ფანტასტიკურ შესაძლებლობას დავუშვებთ), რომელიც მაქცევრებს შეიცავს, შეგვიძლია უყოყმანოდ მივაკუთვნოთ ქართველური ენების ჯგუფს“.*

გივი მაჭავარიანის ლექციები ჩვენთვის, მისი მსმენელი-სტუდენტებისთვის იყო არა მარტო საგნის შესწავლის, არამედ ლოგიკური აზროვნებისა და დასაბუთების ხელოვნების სწავლების საუკეთესო მაგალითი, რომელსაც, ამავე დროს, ახლდა ფაქიზი ენობრივი ალღოსა და ინტუიციის დემონსტრირების უმშვენიერესი პროცესი. ლექციის მსვლელობისას ინტერესით მიჰყვებოდი მის განსჯა-მსჯელობას, მასთან ერთად აზროვნებდი, ხედავდი, როგორ იკვეთებოდა საბოლოო დასკვნა, რომელიც განსჯის გზაზე, გზადაგზა, შეიძლება შეცვლილიყო კიდევაც: ეს გიღვიძებდა კვლევის ძლიერ სურვილს და გაძლევდა გაბედულებასა და იმპულსს რაღაც ახლის ძიებისა და აღმოჩენისა.

მადლობა მას სტუდენტობის იმ ბედნიერი დღეებისათვის!

დამანა მელიქიშვილი

უდიდესი ენათმეცნიერი და ჩინებული პედაგოგი

90 წელი შეუსრულდებოდა პროფესორ გივი მაჭავარიანს 2016 წლის 5 დეკემბერს, არადა ძალიან ახალგაზრდა – 40 წლისა გამოგვეცალა ხელიდან. ეს იყო სრულიად მოულოდნელი უბედურება, რომელიც მაშინ თავს დაატყდა არამხოლოდ ქართულ ლინგვისტურ სკოლას – ბრწყინვალე ენათმეცნიერი ბუდაპეშტში გამართულ საერთაშორისო კონგრესზე გავისტუმრეთ 1968 წლის აგვისტოში, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი იქიდან აღარ დაბრუნებულა – დიდი ივანე ჯავახიშვილის მსგავსად გამოეთხოვა წუთისოფელს, კათედრაზე მდგარი, თუმცა მოასწრო კი გამოთხოვება?! – ინფარქტის ძლიერი დარტყმით წამიერად გარდაიცვალა. „დავკარგეთ **ჩინებული მკვლევარი, ჩვენი უნივერსიტეტის ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის ძნელად შესანაცვლებელი წევრი“,** – წერდა მაშინ ამ კათედრის მხცოვანი გამგე, აკადემიკოსი გიორგი ახვლედიანი.

დიახ, აქამდე გივი მაჭავარიანის შეცვლა ვერავინ მოახერხა ვერც ერთ ლინგვისტურ კათედრაზე! ბატონი გივი ნამდვილი **შუქურა** იყო თავისი სტუდენტ-ასპირანტებისთვის, რომელთაც იგი დღემდე უნათებს გზას.

გივი მაჭავარიანი რომ აღარ არის ჩვენ შორის, ამიტომაც არა გვაქვს „ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა“. მართალია, ჩვენ გამოვეცით ამავე სახელწოდების სახელმძღვანელო ბატონი გივის ყოფილი სტუდენტების (რუსუდან ჯანაშია, დამანა მელიქიშვილი, იზა ჩანტლაძე) სალექციო ჩანაწერების მიხედვით 2002 წელს, მაგრამ მასში ლექტორის შედარებით ძველი (1955-1960) წლების შეხედულებანია წარმოდგენილი.

კავკასიურ ენათა განყოფილების III კურსის სტუდენტებს ბატონი გივი ორ ურთულეს საგანს გვასწავლიდა: „ქართველურ ენათა შედარებით გრამატიკას“ და „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალს“. არცერთ მათგანში არანაირი სახელმძღვანელო არ არსებობდა არცერთ ენაზე (არნოლდ ჩიქობავას შესაბამისი მონოგრაფია გამოვიდა გივი მაჭავარიანის გარდაცვალებიდან 11 წლის შემდეგ – 1979 წელს). 19 წლის ახალგაზრდებისთვის არც ისე ადვილი იყო იმის მოსმენა, რატომ შეესატყვისება ქართულ **ძაღლ-** ფუძეს სვანურში მაინცადამაინც **-ე** (**ჟელ**) და არა **-ა-**, ან პიროვანი უღვლილებაა ისტორიულად ამოსავალი თუ კლასოვანი იბერიულ-კავკასიურ ენებში, მაგრამ ანალოგიურ გრამატიკულ, თითქოს ე. წ. მშრალ საკითხებზე ისეთი ინტერესით მსჯელობდა უსაყვარლესი ლექტორი, რომ ყველანი მონუსხულნი ვუსმენდით მას – გოგონები კიდევ როგორღაც ვახერხებდით ლექციების ძალზე ფრაგმენტული კონსპექტის შედგენას, ზურაბ სარჯველაძე (შემდგომში აკადემიკოსი) კი საერთოდ ვერ ჰკიდებდა კალამს ხელს, ისე იყო მოჯადოებული ბატონი გივის ლექციებით. ყოველთვის გვეცინებოდა, როცა შეგვეკითხებოდნენ – გივი მაჭავარიანი რომელ საგნებს გიკითხავთო. მას ჩვენთვის არასდროს არაფერი წაუკითხავს, არანაირი წიგნიდან არაფერი

უკარნახებია. ყოველთვის ერთად ვმსჯელობდით და ზოგჯერ ვკამათობდით კიდეც, რადგანაც თითქმის ყოველ ლექციაზე ის ცდილობდა, ესა თუ ის კონკრეტული ლინგვისტური საკითხი დაეკავშირებინა კავკასიელ ხალხთა ეთნოგენეზისის პრობლემასთან, ანუ ბატონი გივი ერთგვარად ლინგვოკულტუროლოგიური კვლევებით იყო გატაცებული ლექციების დროსაც კი და სულ უნდოდა, თავისი სტუდენტებიც ჩაერთო ამ ძალზე სერიოზულ საქმიანობაში.

პროფესორი გივი მაჭავარიანი არაჩვეულებრივად ტაქტიანი პედაგოგი იყო, თუმცა ისიც არაერთხელ გვინახავს, როგორი თავგანწირვით უსაბუთებდა ხოლმე მასთან მოკამათე კოლეგას არასწორი აზრის უსაფუძვლობას.

მესამე კურსის სტუდენტები ზაფხულში მიგვავლინეს სვანური ენის შესასწავლად მესტიის რაიონის სხვადასხვა სოფელში **ერთი თვით** (ამ უკანასკნელს იმიტომ გავხაზავ, რომ ახლა, სამწუხაროდ, ჩვენი სტუდენტობა მხოლოდ ტურისტული თვალსაზრისით მიემგზავრება ხოლმე იმავე ტერიტორიაზე და ისიც მხოლოდ **ერთი კვირით);** იქიდან ჩამოსულებს მოგვთხოვეს სამეცნიერო მივლინების ანგარიშების გაკეთება. სხდომას კავკასიურ ენათა მთელი კათედრა დაესწრო, მათ შორის მისი გამგეც – აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა. არ ვიცი, შემეშინდა, თუ რა მოხდა (შიში არასდროს მახასიათებს მოხსენების კითხვის დროს!), დაფაზე დავწერე სვანური **ᾏᲩᲐᲓ** („წავიდა“), ჩემი აზრით, ფონოლოგიის ერთ-ერთი რთული უბნის სპეციფიკის საილუსტრაციოდ (ახლაც კი ვერ წარმომიდგენია, ასე რატომ მოვიქეცი – ანლაუტურ **-Ა-** ფორმას არც მოსდევს რომელიმე პალატალური ხმოვანი და ვერც აღვადგენთ მათ, ამიტომ უნდა დამეწერა **ᲐᲩᾏᲓ**, რომელიც მომდინარეობს წინარე *აჩად-ი საფეხურიდან, ძველ სვანურ ხალხურ სიმღერებში რომაა დაცული წყვეტილის მწკრივში). ბატონი გივი შემეკითხა:

– თქვენ პირველი **Ა** გგონიათ უმლაუტიანი?

– დიახ! – იყო პასუხი.

მივხვდი, რომ რაღაც სისულელე ვთქვი, მაგრამ მაშინ ბატონ გივის საჯაროდ არაფერი უთქვამს. გავიდა რამდენიმე დღე, ლექციის შემდეგ დამტოვა და დიდებულად ამიხსნა, თუ რატომ არ უნდა აღმენიშნა უმლაუტი საანალიზო ზმნის დასაწყისში. მთელი ჩემი სიცოცხლე სვანურ ტექსტებსა თუ ლექსიკონებზე ვმუშაობ და სადაც კი **ᲐᲩᾏᲓ** ფორმას დავინახავ, ყოველთვის ცივი ოფლი მასხამს ხოლმე, თითქოს გუშინ მოხდა ეს ამბავი. დიახ, ჩემმა დიდებულმა მასწავლებელმა საჯაროდ არ შემარცხვინა და არც გამიჯავრდა უნებლიეთ თუ გამოუცდელობით დაშვებული საკმაოდ უხეში შეცდომის გამო.

გივი მაჭავარიანი საოცრად პატიოსანი კაცი გახლდათ, ჭეშმარიტი პიროვნება, და სრულიად ბუნებრივია, რომ თავისი მსგავსი ადამიანები უყვარდა. ენათმეცნიერების ინსტიტუტში ჩვენ ერთ განყოფილებაში ვმუშაობდით, სადაც ბატონი მაქსიმე ქალდანიც იყო. ცნობილია, რომ მან ერთგვარად ძირეული გარდატეხა მოახდინა სვანური უმლაუტის კვლევის საქმეში და თავის სადოქტორო დისერ-

ტაციაში გამოყო ორი საფეხური ცალ-ცალკე – ე.წ. წინა მიმართულებისა და უკანა მიმართულებისა. ბატონი გივიც მანამდე ორგვარ უმლაუტს (პალატალურსა და ლაბიალურს) განიხილავდა, მერე კი თავის ცნობილ ნაშრომში „უმლაუტის ისტორიიდან სვანურში“ (იკე, 1970: 94-106) ხაზგასმით აღნიშნა: „ე.წ. უკანა მიმართულების (ველარული) უმლაუტი (ზსვ. **დᲐშდუ̄** <* **დეშდუ̄** დათვი, ბზ. **მეკᲐრ** < ლშხ. **მეკერა** მხარი და მისთ., მ. ქალდანის მიხედვით) წარმოადგენს სვანური უმლაუტის ისტორიის ბოლო საფეხურს, რომელიც რელევანტური აღმოჩნდა მხოლოდ ზემოსვანური დიალექტებისა და ლენტეხურისათვის“ (გვ. 105). სულ მიკვირდა, როგორ მოახდინა ბატონმა მაქსიმემ თავისი პალატალური (წინა მიმართულებისა) და ველარული (უკანა მიმართულების) უმლაუტის ანალიზი გერმანულის მიხედვით, რადგანაც მან ეს ენა არ იცოდა. ბატონი გივის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ იბეჭდებოდა „სვანური ენის ფონეტიკა, I, უმლაუტის სისტემა სვანურში“. მე მაშინ ახალი დაცული მქონდა საკანდიდატო დისერტაცია და ამიტომ ბატონმა მაქსიმემ მანდო, წავშველებოდი თავისი სადოქტორო ნაშრომის პუბლიკაციის კორექტურაში. გვიანობამდე ვრჩებოდით ხოლმე ინსტიტუტში, ძალიან დავუახლოვდით ერთმანეთს და ამიტომ, როგორც იქნა, ერთხელ გავუბედე, მეკითხა: „როგორ შეუდარეთ გერმანული უმლაუტის სისტემას სვანური უმლაუტი და როგორ აღმოაჩინეთ ანალოგიური ვითარება-მეთქი“. ბატონი მაქსიმე არც დაფიქრებულა, ისე მიპასუხა: „ეს იდეა გივიმ მომაწოდა და ამიტომ მთელი ჩემი სიცოცხლე მასთან ვალში ვიქნებიო“. კინაღამ გავშეშდი!.. ბატონი გივიც არაერთხელ დარჩენილა ჩვენთან ერთად ინსტიტუტში სამსახურის საათების შემდეგ და არაერთხელ გვიკამათია ქართველოლოგიის საკვანძო საკითხებზე, მაგრამ არასდროს არაფერი წამოსცდენია ამ იდეის შესახებ. სხვა რომ ყოფილიყო, ალბათ, ყველაფერი გვეცოდინებოდა ჩვენს ინსტიტუტშიც და ნაირნაირ უნივერსიტეტებში ბატონი მაქსიმეს სადოქტორო დისერტაციის თემისთვის მთავარი იდეის მიმწოდებელზე.

რა ბედნიერებაა, როცა ასეთ უმწიკვლო ადამიანებს შორის გიწევს ცხოვრება და რა დასანანია, რომ თანამედროვე სტუდენტებს აღარ ჰყავთ პროფესორ გივი მაჭავარიანის მსგავსი პედაგოგები!

ბატონ გივის საოცრად უყვარდა სვანეთი. ის და მისი უახლოესი მეგობარი – საქართველოს სახალხო არტისტი ნოდარ ანდღულაძე მე ხშირად მინახავს იქ მოხუც მთქმელებთან სვანურად მოსაუბრენი.

მაჭავარიანები წარმოშობით სვანები არიან მესტიის რაიონის სოფელ ჟაბეშიდან (მულახის თემი), სადაც დღეს ქალდანები ცხოვრობენ. XIV საუკუნის I ნახევრის ერთ ისტორიულ საბუთში ისინი მოხსენიებულნი არიან **მაჭავარიან** ფორმით (ვ. სილოგავა), სვანურად, ალბათ, **მაჭᲐურᲐ̄ნ** იქნებოდა. მათ მეტად საპატიო ადგილი ეკავათ ადგილობრივ საზოგადოებაში – **მᲨრᲐ̄შ̄**’ები (ცალკეული კონფლიქტების დროს ამა თუ იმ ოჯახებისა ან პიროვნებათა მომრიგებელნი)

ყოფილან, ხოლო ვინმე გედეონ მაჭავარიანი სოფელ მულახის ეკლესიის მაცხოვრის ხატის კტიტორი გახლდათ (ე. თაყაიშვილი).

სვანური ენის სინტაქსური ანალიზისადმი მიძღვნილი გამოკვლევებით დღესაც კი არა ვართ განებივრებულნი და ხომ წარმოგიდგენიათ, 1962 წელს რა სიტუაციაც იქნებოდა? ბატონი არნოლდი აპირებდა ჩემთვის რეკომენდაციის მოცემას ასპირანტურაში შესასვლელი გამოცდების ჩასაბარებლად და ამის თაობაზე დაეთათბირა აკადემიკოს ვარლამ თოფურიას, რომელიც კვირაში ერთხელ ასპირანტივით მამეცადინებდა სვანურში მეხუთეკურსელ სტუდენტს. გადაწყდა, რომ მე სადიპლომო თემის სახით დავამუშავებდი სხვათა სიტყვის ნაწილაკებს სვანურში დანარჩენ ქართველურ ენებთან მიმართებით. მართლაც სერიოზულად მოვკიდე საქმეს ხელი და აღმოჩნდა, რომ ირიბი ნათქვამის გამოხატვის თვალსაზრისით სვანური გარკვეულ სპეციფიკას ავლენს ქართულ-ზანურთან შედარებით. სპეციალურ ლიტერატურაში მხოლოდ ფრაგმენტულად იყო შენიშნული, რომ **ესერ** ან **როქ⌐უ¬/ ლოქ⌐უ¬** („ო“) ნაწილაკთა შემცველი გამონათქვამი, სულერთია, რომელი პირის მიერ იქნება ის წარმოთქმული, იგუებს მხოლოდ მესამეპირისეულ კონსტრუქციას ზმნათა და ნაცვალსახელთა ფორმების გამოხატვის თვალსაზრისით, მაგრამ სვანური ენის ოთხივე დიალექტის, ანდაზების, ძველი ხალხური სიმღერების ტექსტებისა და იდიომატურ გამონათქვამთა მასალების საგანგებო შესწავლამ აჩვენა, რომ მთლად ასე არ იყო საქმე – მართალია, ძირითადია მესამეპირისეული კონსტრუქციები, მაგრამ გვხვდება ქართულ-ზანურისებური ვითარებაც, ანუ პირველი და მეორე პირის გრამატიკულ ფორმათა ამსახველი დიალოგებიც, რაც მე მაშინ სვანური ენის განვითარების შედარებით გვიანდელი საფეხურის ასახვად მივიჩნიე, მასშემდეგდროინდელის, როდესაც კიდევ უფრო გაძლიერდა ქართველურ ენათა კონტაქტები და, აქედან გამომდინარე, ინტერფერენციული მოვლენებიც. მოგვიანებით (2008 წ.), კოდორული მეტყველების საგანგებო კვლევისას, ჩემმა მოწაფემ, ქეთევან მარგიანმა-სუბარმა, თავის სადოქტორო დისერტაციაში „ზემოსვანურ დიალექტთა მორფოსინტაქსური ანალიზის ზოგი ასპექტი“ გაიმეორა ჩემს სადიპლომო ნაშრომში წარმოდგენილი ახალი მოსაზრებანი და ზოგი რამ კიდევ უფრო დააზუსტა, ხოლო მანამდე პროფესორები კევინ ტუიტი (1997 წ.) და ვინფრიდ ბოედერი (2002 წ.) მსჯელობდნენ ამ საკითხზე, უდარებდნენ სვანური ნაწილაკოვანი სხვისი ნათქვამის კონსტრუქციებს ინგლისური ენის შესაბამის გამონათქვამებს და, ძირითადად, იზიარებდნენ ჩემს თვალთახედვას. მიუხედავად იმისა, რომ შემდგომში ასეთი კარგი ბედი ეწია ახალგაზრდული კვლევის შედეგებს, 22 წლის ასაკში ძალზე მეუხერხულებოდა ჩემს უსაყვარლეს მასწავლებლებთან (ვ. თოფურია, თ. შარაძენიძე) კამათი და ამიტომ სადიპლომო ნაშრომში საოცრად მოკრძალებულად ვმსჯელობდი სრულიად ახალი გააზრების შესახებ. თავისთავად ცხადია, ბატონი გივი მაშინვე მიხვდა ყველაფერს, მაგრამ გამაფრთხილა: ამიერიდან თქვენ ხშირად მოგიწევთ ანალოგიურ

ვითარებაში ჩავარდნა და თავხედობისგან ღმერთმა დაგიფაროთ, თუმცა არც ნამეტანი მოკრძალება ვარგაო.

ბატონ გივის სვანეთის სხვადასხვა სოფელში თავისი ბიჭებიც დაჰყავდა ხოლმე. ერთხელ, მახსოვს, ინსტიტუტშიც მოიყვანა 3 წლის გოგი და აღტაცებული გვიყვებოდა: ვიდრე აქ შემოვიდოდით, გოგლიკას ვიღაც კაცმა შემთხვევით ფეხი წაჰკრა, რასაც ამან „მრისხანედ“ უპასუხა: ფინთხილდ, სი მარე!.. („ფრთხილად, შე კაცო!“). ახალი ჩამოსულები იყვნენ ცხუმარიდან და საოცრად უხაროდა, რომ ამ ერთი ციცქნა ბავშვმა იქაური მეტყველებიდან ძალზე ბუნებრივად დაიმახსოვრა თუნდაც ერთი გამონათქვამი.

ბატონი გივი ჩემი სადიპლომო ნაშრომის მეცნიერ-ხელმძღვანელი გახლდათ. ვინ მოთვლის, რამდენი რამ (არამხოლოდ სამეცნიერო) ვისწავლე საკონსულტაციო შეხვედრებზე! ისეთი განცდა მქონდა, თითქოს ბრძენი აკადემიკოსი მინათებდა გზა-კვალს სვანური ენის სტრუქტურის ურთულეს ლაბირინთებში, არადა, ახალგაზრდული ასაკის გამო, თავის დროზე, უბრწყინვალესი ენათმეცნიერი არავის გახსენებია მეცნიერებათა აკადემიის წევრების ასარჩევ კონკურსზე. ეჰ, ძალიან დასანანია, ჩვენ კი მის სტუდენტ-ასპირანტებს პროფესორი გივი მაჭავარიანი ყველა აკადემიკოსზე უკეთეს მეცნიერად მიგვაჩნდა.

იზა ჩანტლაძე

გივი მაჭავარიანის შრომების ანოტირებული ბიბლიოგრაფია[1]

1. მასალები პურეულის ლექსიკისათვის შიგნი კახეთში, 1948 წ., თსუ სტუდენტთა X სამეცნიერო კონფერენცია, III კურსი, თეზისები (იხ. ანოტაცია 3).

2. მეშველი ზმნის აგებულებისათვის სვანურში, 1949 წ., თსუ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია, IV კურსი, თეზისები, გამოუქვეყნებელი ხელნაწერი, 16 გვერდი.

მეშველი ზმნის **-ი** ელემენტი ავტორის აზრით, შეიძლება დავუკავშიროთ აწმყოს (resp. პერმანსივის) **-ი** სუფიქსს, ხოლო სეგმენტები **-Ა/ᲐᲜᲗ**, **-ᲐᲡ** უწყვეტლის მხ. რიცხვის I და II პირში დადასტურებულ სუფიქსებს, უწყვეტლის დამოუკიდებელ მაწარმოებლებს. **-ᲐᲜᲗ** ფორმანტში **-Თ** ან ფონეტიკური დანართია, ან უწყვეტლის დამოუკიდებელი მაწარმოებელი. **-ᲐᲡ** უნდა მომდინარეობდეს **-ᲔᲡ**-ისგან და უნდა უკავშირდებოდეს ლაშხურის **-ᲘᲡ** სუფიქსს (უწყვ. მხ. რ. I და II პ.) და ბალსზემოურის **-ᲘᲡ** ბოლოსართს (იხმარება პირობითის ყველა პირში).

3. მასალები პურეულის ლექსიკისათვის შიგნი კახეთში, 1950 წ., სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, თსუ, წიგნი V, გვ. 286-295.

თავმოყრილია შიგნი კახეთში ხმარებული პურეულის ტერმინები. დახასიათებულია პურის მოყვანისა და შემდგომი გადამუშავების პროცესი მოხვნიდან პურის გამოცხობამდე. არის ცდა ზოგი სიტყვის ეტიმოლოგიისა. მასალა ჩაწერილია 1947 წლის აგვისტოში ყვარლის რაიონის სოფ. შილდაში და სოფ. გრემში.

4. სტატიკურობა-დინამიკურობის საკითხისათვის აფხაზურში, 1950 წ., თსუ სტუდენტთა XII სამეცნიერო კონფერენცია, V კურსი, თეზისები, გამოუქვეყნებელი ხელნაწერი, 18 გვერდი.

თანამედროვე აფხაზურში სტატიკური და დინამიკური ზმნები უპირისპირდებიან ერთმანეთს როგორც შინაარსით, ისე ფორმით. ისტორიულად აფხაზური ზმნა დინამიკურობა-სტატიკურობის თვალსაზრისით ნეიტრალური უნდა ყოფილიყო, ასპექტი კი განგრძობითი (დიურატიული) უნდა ჰქონოდა. ამასთან დაკავშირებით ისმის ფინიტურობა-ინფინიტურობის საკითხი. საფიქრებელია, ეს კატეგორიაც მეორეული იყოს.

---

[1] „შესრულებულია მაია მაჭავარიანისა და თინათინ ჩიგოგიძის მიერ შედგენილი ბიბლიოგრაფიის საფუძველზე, დამატებებით და მცირე შესწორებებით (მიმომხილველი 6-9, თსუ გამომცემლობა, თბილისი 1972).

5. აფხაზური და ქართული ზმნის ძირითადი კატეგორიები, 1950 წ., სადიპლომო შრომა, გამოუქვეყნებელი ხელნაწერი, 57 გვერდი.

ნაშრომი წარმოადგენს ქართულისა და აფხაზურის ზმნურ კატეგორიათა მიმოხილვასა და მათი შეპირისპირების ცდას. პირველ რიგში ავტორის ყურადღება გამახვილებულია იმ კატეგორიებზე, რომლებიც საერთოა ორივე ენის ზმნისათვის: პირი, რიცხვი, გარდამავლობა, დრო და კილო, აბსოლუტივი, ქცევა, პოტენციალისი, კაუზატივი, მასდარი. ავტორის აზრით, ზოგჯერ შეინიშნება პარალელიზმი ქართული და აფხაზური ზმნის კატეგორიებსა და მათ მორფოლოგიურ წარმოებას შორის. განსაკუთრებით ეს ეხება ზმნის დრო-კილოთა სისტემას. სხვაობები, ავტორის ვარაუდით, რიგ შემთხვევაში, დიაქრონიული ცვლილებების შედეგია. მაგალითად, ავტორი ფიქრობს, რომ ისტორიულად მსგავსი ვითარება უნდა ყოფილიყო აფხაზურსა და ქართულში გვარისა და ქცევის, დინამიკურობა-სტატიკურობის, კაუზატივის წარმოებას შორის.

6. ხოლმეობითის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, 1951 წ., გამოუქვეყნებელი ხელნაწერი, 12 გვერდი.

ავტორი ადგენს ფონეტიკურ და ფუნქციურ ეკვივალენტებს ქართული, სვანური და მეგრულ-ლაზური ზოგიერთი ზმნური ფორმის წარმოებას შორის და ასკვნის, რომ ქართველურ ენებში ისტორიულად განგრძობითი ასპექტის (resp. ხოლმეობითის) მაწარმოებლად **-ი** სუფიქსის გვერდით გვქონდა **-ა** სუფიქსიც (ზან. *ო→უ). ეს სუფიქსი უკვე ძველ სალიტერატურო ქართულში თითქმის სრულიად განიდევნა **-ი**-ს მიერ, მაშინ როდესაც ზანურსა და სვანურში იგი დღესაც ცოცხალია. **ა-** (ზან. *ო→უ) სუფიქსის ფუნქციათა სიმრავლე დღევანდელ ზანურსა და სვანურში სწორედ იმით აიხსნება, რომ იგი არსებითად მხოლოდ ერთ ფუნქციას ასრულებს: მიუთითებს განგრძობით ასპექტზე.

7. გრამატიკის საკითხები ი. სტალინის საენათმეცნიერო მოძღვრების მიხედვით, 1951 წ., თსუ ასპირანტთა სამეცნიერო კონფერენცია, თეზისები.

8. განგრძობითი ასპექტის წარმოებისათვის ქართველურ ენებში, 1952 წ., თსუ ასპირანტთა სამეცნიერო კონფერენცია. თეზისები. გამოუქვეყნებელი ხელნაწერი, 23 გვერდი.

სვანურში ხოლმეობითი **-ი** სუფიქსის პარალელურად გვაქვს **-ა** სუფიქსიც. სვან. -ა-ს ფონეტიკური და მორფოლოგიური შესატყვისია ზან. **-უ** (***ო→უ**). ქართულში ეს სუფიქსი დასტურდება მხოლოდ რამდენიმე ზმნაში (მაგ., ***დგ-ა-ს***).

9. Основные морфологические категории глагола в картвелъских языках, Часть I, Автореферат кандидатской диссертации, Тбилиси, 1953 г., 16 გვერდი (სადისერტაციო შრომა, წარდგენილი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად „ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატე-

გორიები ქართველურ ენებში“, ნაკვეთი I), გამოუქვეყნებელი ხელნაწერი ქართულ ენაზე, 285 გვერდი.

ნაშრომში განხილულია ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები: პირი, რიცხვი, ქცევა, გვარი (პოტენციალისის კატეგორიასთან ერთად) ქართველურ ენებში. ზმნები დახასიათებულია აგრეთვე გარდამავლობისა და სტატიკურობა-დინამიკურობის კატეგორიათა მიხედვით. ზმნის კატეგორიები გაანალიზებულია როგორც სინქრონიული, ისე დიაქრონიული თვალსაზრისით. დასმულია რიგი საკითხი ამ კატეგორიათა გენეზისის შესახებ.

10. „ლიჩედ“ **ზმნის ეტიმოლოგიისათვის,** 1953 წ., გამოუქვეყნებელი ხელნაწერი, 6 გვერდი.

სვანურში დადასტურებული ***ჩედ*** ← ****ქედ*** ამოსავალია ქართულისა და ზანურისათვისაც. ამ ფუძის თავდაპირველი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო „ტრიალი, ბრუნვა, ქცევა“ (ძველი ქართულის გაგებით). სვან. ბზ. ***ა-ჩ̈ᲐᲓ***, ლშხ. ლნტ. ***ა-ჩად*** ნიშნავდა „მოიქცა“. ქვ. სვან. ***ან-ჩად*** „მოიქცა“, ***ხ-ო-ჩიდ*** „უქცია“. უნდა ვივარაუდოთ, რომ სვან. გარდამავალი ფორმისათვის (***ჩიდ/ჩგდ***) **ე** ხმოვნიანი ვარიანტი იყო ამოსავალი (**ჩიდ←*ჩედ**). ეს შეეხება საერთოდ ფუძედრეკად ზმნებს. ავტორის აზრით, საკითხი სპეციალურ შესწავლას მოითხოვს.

11. შედარებითი ხარისხის წარმოებისათვის ქართველურ ენებში, 1954 წ., თსუ სამეცნიერო სესია, თეზისები (იხ. ანოტაცია 22).

12. ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები ქართველურ ენებში (II კაუზატივი), 1954 წ., თსუ კავკასიურ ენათა კათედრა, გამოუქვეყნებელი ხელნაწერი, 106 გვერდი.

კაუზატივის მაწარმოებლების ფუნქცია ქართველურ ენებში ისტორიულად პრეფიქსებს ეკისრებოდა. კერძოდ, ქართველურ ენათა განვითარების გარკვეულ საფეხურზე კაუზატივის ძირითად მაწარმოებლად **ა-** პრეფიქსი უნდა ყოფილიყო გამოყენებული. სასუბიექტო ქცევის ფორმებში ანალოგიური როლი შეეძლო შეესრულებინა **-ი** პრეფიქსს. ავტორის აზრით, **ა-** პრეფიქსი იმთავითვე კაუზატივთან (გარდამავლობასთან) არ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. კაუზატივის **-ა** წარმოშობით იგივე ელემენტი ჩანს, რაც საზედაოს **-ა**. ეს უკანასკნელი გარდაუვალ ზმნებთანაც გვაქვს. **ა-** პრეფიქსის გენეზისის ძიება სხვა „მაქცევრების“ გენეზისის ძიებას უნდა დაუკავშირდეს. სუფიქსები, ავტორის ვარაუდით, კაუზატივის წარმოებაში თავდაპირველად მონაწილეობას არ იღებდნენ, ისინი აწმყოს ფუძის საწარმოებელი ფორმანტები უნდა ყოფილიყვნენ. მოქმედებითი გვარის (აწმყოს ფუძის) ჩამოყალიბება კაუზატივს ვერ დაუკავშირდება. კაუზატივის კატეგორია წინ უსწრებს გვარს. ქართველურ ენათა განვითარების პროცესში კაუზატივის მაწარმოებლების ფუნქცია თანდათანობით სუფიქსებმა დაიკისრეს. ეს სუფიქსებია:

ქართ. **-ევ** (→**ავ**): ზან. ***-ოვ** (=ქართ. **-ევ** ‖**-ავ**) სვან. –

-ენ-	**-აფ** (=ქართ. **-ებ**)	**-უნ**
-უნ	**-ინ** (= ქართ. **-ენ**)	**-ენ**

ერთიანობას პრეფიქსების თვალსაზრისით (ქართ. **ა-** : სვან. **ა-** : ზან. **ო-**) უპირისპირდება სიჭრელე სუფიქსების თვალსაზრისით ამ უკანასკნელთა მეორეულობის გამო. ქართულისა და ზანურისათვის დამახასიათებელია როგორც „დენტალური", ისე „ლაბიალური" სუფიქსები. სვანურში „ლაბიალური" სუფიქსები არა გვაქვს. მეორე მხრივ **-უნ** სუფიქსი საზიაროა ქართულისა და სვანურისათვის და არ ჩანს ზანურში. ამგვარად, ქართულს საშუალო ადგილი უჭირავს ზანურსა და სვანურს შორის, მაგრამ მაინც ზანურთან უფრო ახლოა, ვიდრე სვანურთან.

13. ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები ქართველურ ენებში (II ასპექტი), 1955 წ., თსუ კავკასიურ ენათა კათედრა, გამოუქვეყნებელი ხელნაწერი, 62 გვერდი.

ასპექტის გამოხატვის სისტემა თანამედროვე ქართველურ ენებში ძირითადად ერთგვარია. გადამწყვეტ როლს ასრულებს დაპირისპირება სრულსა და უსრულ ასპექტს შორის. სრული ასპექტი პრევერბის საშუალებით გამოიხატება. უპრევერბო ზმნა, როგორც წესი, უსრული ასპექტისაა. თანამედროვე ქართველური ენებისათვის ისტორიულად ამოსავალია ასპექტის გამოხატვის ის სისტემა, რომელიც ძვ. ქართულში დასტურდება. ეს სისტემა ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: 1) ასპექტის გამოხატვის თვალსაზრისით პრევერბები თითქმის არავითარ როლს არ ასრულებენ; 2) ძირითადია დაპირისპირება არა სრულსა და უსრულ ასპექტს შორის, არამედ მომენტობრივსა და დიურატიულ ასპექტს შორის. მომენტობრივი ასპექტისაა ორი ნაკვთი: აორისტი და II კავშირებითი. განგრძობით ასპექტს ხოლმეობითი და აწმყოს წყების ნაკვთები გამოხატავენ; 3) ასპექტის ძველი სისტემა ყველა ქართველურ ენაში შეიცვალა. მასთან ცვალებადობის ტენდენციები ყველგან ერთნაირი აღმოჩნდა. ის განსხვავება, რომელიც დღეს გვაქვს ლაზურსა და ქართულ-მეგრულ-სვანურს შორის, იმდენად განვითარების სხვადასხვა ტენდენციებზე არ მიუთითებს, რამდენადაც განვითარების სხვადასხვა ტემპზე. ლაზურში ძველი სისტემის შეცვლა ბოლომდე არ არის მიყვანილი. ქართულსა და მეგრულში ეს პროცესი ძირითადად უკვე დამთავრდა. სვანურის ევოლუცია კიდევ უფრო შორს არის წასული: გარკვეულ შემთხვევებში პრევერბიანი ნ. უსრული სრულასპექტიანი აორისტის გაგებას იძლევა. ავტორის აზრით, ასპექტის გენეზისის რკვევას ზმნის წარმოშობის პრობლემამდე მივყავართ. საინტერესოა ის ტიპოლოგიური პარალელები, რომელიც არსებობს ქართველურსა და აფხაზურ-ადიღურ ენებს შორის.

14. ა. შარდანოვი, **პოტენციალისის და ქცევის კატეგორიები** (ადიღურ ენათა უღვლილების სისტემაში), საკანდიდატო დისერტაცია, რეცენზია ქართულ (8 გვ.) და რუსულ (9 გვ.) ენებზე, გამოუქვეყნებელი ხელნაწერები.

15. ხმოვანთა შესატყვისობის ისტორიიდან ქართველურ ენებში, 1955 წ., თსუ სამეცნიერო სესია, თეზისები (იხ. ანოტაცია 21).

16. „ა“ ხმოვნის ლაბიალიზაციის შემთხვევები სვანურში, 1956 წ., საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XVI, 4 გვერდი.

სვანური ხმოვანთა სისტემით ისტორიულად ქართულს უჭერს მხარს და უპირისპირდება ზანურს. ქართ. **ა**: სვან. **ა**. იქ, სადაც ვადასტურებთ ქართ. **ა**: სვან. **უ** (→ **ი‖ę**) ‖ **ო,** ეს **უ‖ო** შედეგია **ა**-ს კომბინატორული ცვლილებებისა ბაგისმიერი თანხმოვნების მეზობლობაში.

17. მახვილის საკითხისათვის ქართველურ ენებში, 1955-1956 წწ., (წაკითხულია მოხსენებად თსუ „ლინგვისტური საუბრების“ სხდომაზე 1957 წლის 11 მარტს), გამოუქვეყნებელი ხელნაწერი, 188 გვერდი.

მონოგრაფიაში დასმული და თავისებურად გადაჭრილია შემდეგი საკითხები: 1) სიტყვაში მახვილის ადგილი ქართულში, სვანურსა და ზანურში. 2) მახვილის ტიპის დადგენა; 3) მახვილის მოქმედების მექანიზმი, რედუქციის ტიპები და სიტყვის სტრუქტურა; 4) მონათესავე ენების მონაცემების შედარების საფუძველზე საერთო-ქართველური ფუძე-ენის დახასიათება ყველა ზემოთ ჩამოთვლილი თვალსაზრისით. ავტორი ეყრდნობა ქართველურ ენებში თავდაპირველი სრულხმოვნობის თეორიას (არნ. ჩიქობავა), სამსავე ქართველურ ენაში ავტორი აღადგენს მახვილის ერთნაირ მოძრავ დინამიკურ ტიპს და რედუქციის მსგავს მექანიზმს. შედარების საფუძველზე დგინდება სიტყვის მოდელი საერთო ფუძე-ენისათვის. ავტორი გამოყოფს ორი ტიპის მოდელს:

I. **ძაღ-ალ*	II. **ძამ-ან*
**ę-დერეკ*	**დერეკ*

შრომაში წარმოდგენილია სიტყვები, რომელთაც აქვთ კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისები ქართველურ ენებში. მახვილის მექანიზმი შემდეგია: თუ მახვილი მოდის თავკიდურ მარცვალზე (ეს უმეტესად ძირისეული მასალაა), მაშინ სუფიქსი რედუქციის სრულ საფეხურზეა (ავტორის ტერმინია, გვ. 157), მაგრამ თუ მახვილი სუფიქსზე მოდის, მაშინ რედუქციას განიცდის ძირისეული ხმოვანი, ან თავკიდური მარცვალი. ეს წესი მეტ-ნაკლებად მოქმედებს ყველა ქართველურ ენაში, ოღონდ მახვილის ადგილის განაწილების მიხედვით ზანური და ქართული ჩვეულებრივ ანალოგიურ სურათს გვიჩვენებს, სვანური კი განსხვავებულ მოდელს იძლევა, რის შედეგად, სვანურში, ხშირ შემთხვევაში, დაკარგულია საერთო-ქართველური სუფიქსები (მაგალითად, დეტერმინანტები). ავტორის აზრით, მახვილის მოძრავი, დინამიკური ხასიათის გამო, დგება საკითხი ქართველურ ენებში მახვილის მორფოლოგიური როლის შესახებ (გვ. 135, 166, 169). ავტორს საილუსტრაციოდ მოჰყავს ციტატა ჰერმან პაულის ნაშრომიდან, სადაც

გახაზულია მახვილის როლი გერმანული აბლაუტის ჩამოყალიბების პროცესში (გვ. 135). ავტორის აზრით, ეს საკითხი სპეციალურ კვლევას საჭიროებს. ამ მხრივ საერთო სურათს გვიჩვენებენ ქართველური ენების სახელისა და ზმნის ზოგიერთი ფორმები. ზმნაში ეს განსაკუთრებით თავს იჩენს ე.წ. ფუძედრეკად ზმნებში (ვ. თოფურია). ავტორის აზრით, მახვილის მოძრაობის მიმართულება ერთგვარი უნდა ყოფილიყო სვანურისა და ქართულის ზმნების გარკვეულ ტიპში. განსხვავებას ქმნის მხოლოდ ის, რომ ქართულში მახვილი S3-ის **-ა** სუფიქსზე გადადის, სვანურს კი ასეთი სუფიქსი არა აქვს. სვანურისეული მდგომარეობა შეიძლებოდა ყოფილიყო წინაისტორიულ ქართულშიც:

ქართ.	**დერეკ*	სვან.	**უ-დაგარ*
	**ჰ-დერეკ*		**ჰ-დაგარ*
	**დერეკ*		** დაგარ*

ავტორის აზრით, „ძნელია თავი დავაღწიოთ შთაბეჭდილებას, რომ ამ ორ მოვლენას შორის რაღაც შინაგანი კავშირი არსებობს და რომ მათი გამოსავალი წერტილი ქართველურ ენათა ერთიანობის ეპოქაშია საძიებელი“ (გვ. 135). რაც შეეხება სახელებს, ავტორის ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, „რომ კვეცას უმთავრესად სონანტები (**ვ, ნ, ლ**) განიცდიან, ქართველურ ენებში კი (მათ შორის სვანურში) სწორედ სონანტები შეადგენენ დეტერმინანტი სუფიქსების თანხმოვნით ელემენტს“ (გვ. 99). ყურადღებას იქცევს შრომის რამდენიმე ადგილი, სადაც ავტორი აყენებს რამდენიმე საყურადღებო ჰიპოთეზას ქართველურ ენებში მარცვლოვანი **რ̣**, **ლ̣**, აგრეთვე **უ**-ს სავარაუდო არსებობის შესახებ. იგი წერს: „შევადაროთ ქართ. წყრთ-ა, ზან. *ჭყით-ა* ‖ *ჭყირთა* (ი. ყიფშიძე), სვან. *ჭითხ* (ს. ჟღენტი)“.

სვან. *ჭითხ-ის* სათანადო ქართულ და ზანურ (უფრო ზუსტად მეგრულ) ფუძეებთან შედარების საფუძველზე ს. ჟღენტი ასკვნის, რომ **ხ** სვანურში და **ყ** ქართულსა და ზანურში განვითარებულია. ს. ჟრენტს **რ**-ც (ქართ. *წყრთაში)* ჩართულად მიაჩნია, მაგრამ **რ**-ს საკითხი ასე მარტივად ვერ გადაწყდება. შესაძლებელია, ამ სიტყვაში **რ** იმთავითვე ყოფილიყო. არნ. ჩიქობავას დადასტურებული აქვს რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ქართ. **რ**-ს თანხმოვნებს შორის ზანურში უდრის **უ** ან **ი:** ქართ. *გრძ-ელ-ი* : ლაზ. *გ**უ**ნძ-ე* ‖→ *გ**ი**ნძ-ე* : მეგრ. *გ**ი**ნძ-ე* ‖ *გ**ი**რძ-ე,* ქართ. *წ**რ**ფ-ელ-ი* : ლაზ. *მ-ჭ**ი**ფ-ე* : მეგრ. *ჭ**ი**ფ-ე* („წვრილი”) (იხ. მეგრულ-ჭანური შედარებითი ლექსიკონი, გვ. 229, 231).

ჩვენს შემთხვევაშიც იგივე შეფარდება ჩანს: თანხმოვნებს შუა მოქცეულ **რ**-ს უდრის ზან. **ი** (‖ **ირ**?) *(წ**ურ**თ-ა* : *ჭ**ი**თ-ა).* საინტერესოა, რომ სვანურიც ზანურს უჭერს მხარს: ქართ. *წ**ურ**თ-ა* : სვან. *ჭ**ი**თხ.*

თუ ასეა, მაშინ შეიძლებოდა გვევარაუდა, რომ ქართ. **რ** თანხმოვნებს შორის ძველისძველად მარცვალს ქმნიდა, ე.ი. გვქონდა მარცვლოვანი **რ** – ***რ̣** *(წ**ურ̣**თ-*

ა), რომელმაც უფრო გვიან რედუქცია განიცადა და მარცვლის შექმნის უნარი დაკარგა... (შდრ. A. Мейе, Введение в сравнительное изучение индоевропейских языков, М-Л. 1938, стр. 129-149; О. Гуйер, Введение в историю чешского языка, М. 1953, стр. 19-20). რაც შეეხება ზანურსა და სვანურს, აქ ამავე ხმოვან **ṛ**-ს სრული ვოკალიზაცია უნდა განეცადა და მოეცა „ნამდვილი“ ხმოვანი **ი**. თუ მეგრულ *ჭყი**რთ**ა*-ში **რ** ძველია, მაშინ საფიქრებელია, **ṛ*-ს სრულ ვოკალიზაციას წინ უძღოდა **ი**-ს განვითარება, შეადარე ქართ. სალიტ. *კ**ლ**დე,* ხევს. *კი**ლ**დე,* ინდოევრ. *k̑ʰm̥tʰom , ლათ. Centum, ბერძნ. ἑκατόν, ლიტ. šimtas „ასი“.

რამ დაუკარგა ხმოვნობა **ṛ*-ს ქართულში? სხვანაირად რომ ვთქვათ, რატომ განიცადა რედუქცია ქართულში პირველმა (თავიდან) მარცვალმა? იმიტომ, რომ ბოლოკიდური **-ა** (resp. დეტერმინანტი სუფიქსი) ძლიერი მახვილის მატარებელი იყო: **წṛთ-ა́ → *წყṛთ-ა́ → წყართ-ა́.*

სვანურში მახვილი თავიდან პირველ მარცვალზე უნდა ყოფილიყო. ამიტომ პირველმა მარცვალმა არამცთუ რედუქცია არ განიცადა, არამედ **ṛ*-ს ვოკალიზაციის გზით „ნამდვილი“ ხმოვანიც კი (**ი**) განივითარა. სამაგიეროდ მოეკვეცა დეტერმინანტი სუფიქსი (ალბათ იგივე **-ა**): **ჭṛთ-ა → *ჭრ́თ-ა → *ჭრ́თ → *ჭრ́თ ḫ.*

წარმოდგენილი ახსნა, რა თქმა უნდა, სავარაუდოა. მარცვლოვანი **რ**-ს (**ṛ*-ს) არსებობის საკითხი ქართველურ ენებში დამატებით კვლევა-ძიებას მოითხოვს... მთავარი და არსებითია აქ შემდეგი:

„ქართ. ***წყართა*** **:** ზან. ***ჭყითა*** **:** სვან. ***ჭითḫ*** შესატყვისობით წარმოდგენილი საერთო-ქართველური სიტყვა ისტორიულად ორმარცვლიანი იყო... ამ მხრივ საყურადღებოა სხვა შემთხვევებიც:

ქართ. *კ**ლ**დე*
სვან. *კ**ოჯ*** (მ. ქალდანი)
ზან. (მეგრ.) *კ**ი**რდა // კ**ი**რდე*
ქართ. *კ**ლ**დ-ე* ←**კ**ლ**დ-ე* (**ლ**- მარცვლოვანი **ლ**)

სვან. *კ**ოჯ*** ←**კ**ო**ჯ-ე* (თუ **კ**ო**ჯ-ა?* შდრ. სვან. პოეზია) ←*კ**ო**დ-ე* (**დ**→**ჯ**-ს შესახებ იხ. მ. ქალდანი) ←**კ**უ**დ-ე* (**ო** ← **უ** შდრ. *ხ-**ო**-შ-ა : ხ-**უ**-ც-ე-ს-ი*) ←**კ**ლ**დ-ე.* თუ **ლ**→**უ**, მაშინ **ლ* (მარცვლოვანი **ლ**!) →**უ**. ქართ. ბოლომახვილიან ტიპს სვანურში აქაც თავმახვილიანი უდრის...!“ (გვ. 35-38). ანალოგიურ აზრს ავტორი გამოთქვამს უ-ს შესახებ: „ხომ არ არის *ჴ**ურ**-ე* ←**ჴ**ურ**-ვ*-ში **-უ** ვოკალიზებული **-ვ** (**-ṷ**)? შდრ. Э. Бенвенист, Индоевропейское именное словообразование, М. 1955, стр. 79-80“ (გვ. 39). 158-ე გვერდზე ავტორი მსჯელობს შემდეგნაირად: „მართალია... ძველი ქართული კარგად ასხვავებს **ვ**-სა და **ṷ**-ს,

მაგრამ არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ კბილბაგისმიერი **ვ**-სა და წყვილბაგისმიერი **ᲣᲬ**-ს გარჩევა ძველი ქართულის სპეციფიკური სიახლეა: ფუძე-ენაში მხოლოდ წყვილბაგისმიერი **ᲣᲬ** უნდა გვქონოდა, როგორც ეს დღემდე შემოგვინახა სვანურმა (კერძოდ, ზემოსვანურმა). ძველ ქართულში ეს ***ᲣᲬ** გარკვეულ პირობებში **ვ**-შია გადასული. ეს **ᲣᲬ** საერთო-ქართველურ ფუძე-ენაში **უ** ხმოვნის პოზიციური ვარიანტი უნდა ყოფილიყო და არა დამოუკიდებელი ფონემა“.

18. თ. ზურაბიშვილი, **ხარისხი ქართველურ ენებში,** 1956 წ., საკანდიდატო დისერტაცია, რეცენზია ქართულ ენაზე, 10 გვერდი.

19. ევგ. ჯეირანაშვილი, **უდური ენა I.** ფონეტიკა, მორფოლოგია, 1956 წ., რეცენზია ქართულ ენაზე, ხელნაწერი.

20. ნამყო-უსრული სვანურში და მისი ადგილი ქართველურ ენათა უღვლილების სისტემაში, 1957 წ., თსუ სამეცნიერო სესია, თეზისები, გამოუქვეყნებული ხელნაწერი, 1956 წ., 70 გვერდი.

შრომაში განხილულია ნამყო უსრულის წარმოების ტიპები ქართულ (ძველსა და ახალ), ზანურ და სვანურ ენებში. სპეციალური განხილვის საგანია ნამყო უსრულის საწარმოებლად აღებული ამოსავალი ფუძის საკითხი მის მიმართებაში II სერიის ფუძეებთან. დასმულია საკითხი ნამყო უსრულის გენეზისის შესახებ ქართველურ ენებში, რაც მჭიდროდ არის დაკავშირებული აწმყოს ფუძის ჩამოყალიბებასთან. გაანალიზებულია აწმყოს ფუძისა და მასდარის აგებულება. გარკვეულია, რომ ნამყო უსრულისა და აწმყოს ფუძის საწარმოებლად ერთი და იგივე ფორმანტებია გამოყენებული. გამოთქმულია ვარაუდი, რომ აწმყო და ნამყო უსრული ისტორიულად ერთი და იმავე მორფოლოგიური ოდენობის დიფერენციაციის შედეგია. ნამყო უსრულის ძირითად ფუნქციად ქართველურ ენათა განვითარების ადრინდელ საფეხურზე ივარაუდება განგრძობითი (resp. უწყვეტელი) ასპექტის გამოხატვა. ნამყო დროის აღნიშვნა თანმხლებ მომენტს წარმოადგენდა.

21. ხმოვანთა შესატყვისობის ისტორიიდან ქართველურ ენებში, თსუ შრომები, ტ. 69, 1958, გვ. 265-276.

ხმოვანთა შესატყვისობის ძირითად ფორმულებთან ერთად დასტურდება შესატყვისობა ქართ. **ე** : ზან. **ო** (ვ. თოფურია). ავტორის აზრით, ისტორიულად აქაც პირველადი უნდა იყოს ქართ. **ა** : ზან. **ო**. ამ ვარაუდს მხარს უჭერს ქართული დიალექტებისა და სვანურის მონაცემები. ამრიგად, ქართულში გვაქვს ორი **ე**: ერთი პირველადი, მეორე ***ა→ე**. ამ პროცესის დასაწყისი ქართველური დიალექტების ერთიანობის ხანას მიეკუთვნება, ზანური ხმოვნების გადაწევა კი ***ა>ო, *ე>ა** უფრო გვიან განხორციელდა.

22. შედარებითი ხარისხის ფორმათა გენეზისისთვის ქართველურ ენებში, თსუ შრომები, ტ. 71, 1958, გვ. 119-131.

შედარებითი ხარისხის ფორმები ქართველურ ენებში ზმნური წარმოშობისაა. პრეფიქსების ზმნური წარმომავლობა ეჭვს არ იწვევდა (ა. შანიძე). ავტორის ვარაუდით, სუფიქსებიდან: სვან. **ა (← *აუ̂)** და მისი შესატყვისი ზან. **-უ ← *-ო (←*ოუ̂)** აწმყოს ფუძის საწარმოებელი ფორმანტია (თემატური ნიშანი), ქართ. **-ე** (ზან. **-ა)** ან აორისტის **-ე**-ს უკავშირდება, ან აწმყოს ერთ-ერთ სუფიქსს **(უ←ეუ̂)**. თუ უკანასკნელ ვარაუდს მივიღებთ, გვექნება საფუძველი **-ე (←*ეუ̂)** სუფიქსი **-ა**-ს **(←*აუ̂)** ფონეტიკურ ვარიანტად მივიჩნიოთ. **-ო** სუფიქსი დამოუკიდებელ მორფოლოგიურ ოდენობას არ წარმოადგენს: **-ო←*ეუ̂ ე**-ს მეზობლობაში.

23. „უნიშნო“ ვნებითი ქართველურ ენებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I, 1958, გვ. 101-130.

ნაშრომში განხილულია „უნიშნო“ ვნებითის ფორმები ქართულსა, ზანურსა და სვანურში. ამ ტიპის დინამიკურმა ზმნებმა ძველიდანვე გარდაუვალი შინაარსი შეიძინეს, ამიტომ გვარის კატეგორიის ჩამოყალიბების შემდეგ ისინი ბუნებრივად მიეკედლნენ ვნებითი გვარის ზმნებს, თუმცა თავისი შინაარსით „უნიშნო ვნებითი“ ხშირ შემთხვევაში დღესაც განსხვავდება ორდინალური ვნებითისგან: *„კვდება“* ზმნის სუბიექტი იმავე დროს რეალურ სუბიექტადაც გაიაზრება მაშინ, როდესაც *„იკვლება“* ზმნის სუბიექტი არსებითად რეალურ ობიექტს წარმოადგენს. „უნიშნო ვნებითის“ შესაბამისი მოქმედებითი ქართულსა და ზანურში ჩვეულებრივ კაუზატიური წარმოშობისაა (**ვ-ა-თბ-ობ, ბ-ო-ტუბ-ინ-ამ**). სვანური ამ შემთხვევაში კაუზატიურ წარმოებას არ იყენებს, სამაგიეროდ ფართო გასაქანს აძლევს ხმოვანთა მორფოლოგიურ მონაცვლეობას: **ა-ტ̈ახ – ა-ტიხ, ტეხ-ნ-ი – ტიხ-ე**. „რთული“ ტიპის (იშვიათად „მარტივი“ ტიპის) ზმნებში კაუზატიურ წარმოებას არც ქართული იყენებს. აქაც მორფოლოგიური მონაცვლეობა გვაქვს: *ვ-დრეკ – ვ-დრიკ-ე, ვ-დრკ-ებ-ი.* „რთული“ ტიპის „უნიშნო ვნებითის“ უქონლობა სვანურში არქაიზმი ჩანს. ამავე „რთული“ ტიპის არსებობა ქართულსა და ზანურში სხვა ფაქტებთან ერთად ამ ენათა უფრო ინტენსიურ ურთიერთობაზე მიუთითებს.

24. ზმნის ათემატურ ფუძეთა მნიშვნელობისათვის ქართველურ ენებში, 1958 წ., თსუ კავკასიურ ენათა კათედრა, გამოუქვეყნებელი ხელნაწერი, 21 გვერდი, თეზისები 2 გვერდი.

ზმნის ათემატური ფუძე ქართველურ ენებში გამოიყენება: 1) აორისტის (resp. წყვეტილი, მომენტობრივი ასპექტის) მნიშვნელობით, 2) აწმყოს (resp. განგრძობითი, დიურატიული ასპექტის) მნიშვნელობით. ზოგ შემთხვევაში ერთი და იგივე ფუძე შეიძლება მოგვევლინოს როგორც აორისტის, ისე აწმყოს ფუნქციით. გარდამავალ ფუძედრეკად ზმნათა აწმყოს ფუძე ისტორიულად ემთხვევა სათანადო დინამიკურ გარდაუვალ ზმნათა აორისტის ფუძეს. ავტორი ასკვნის: ქართველურ

ენათა ზმნის ათემატური ფუძე, თუ მას ცალკე ავიღებთ, არც მომენტობრივი ასპექტისაა, არც – დიურატიულისა (resp. არც აორისტია, არც აწმყო). კონკრეტულ ასპექტურ (resp. დროულ) მნიშვნელობას ათემატური ფუძე **იძენს მხოლოდ თემატურ ფუძეებთან მიმართებაში.**

25. ქართველურ ენათა შედარებითი მორფოლოგია, ნაწილი I, II, ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები ქართველურ ენებში (მონოგრაფია), 1958 წ., თსუ კავკასიურ ენათა კათედრა, გამოუქვეყნებელი ხელნაწერი, 300 გვ.

მონოგრაფია შედგება შესავლისა და რამდენიმე თავისგან. თავი პირველი: პრევერბები. თავი მეორე: პირი და რიცხვი. თავი მესამე: მაქცევრები. თავი მეოთხე: ვნებითი გვარი. თავი მეხუთე: კაუზატივი. თავი მეექვსე: დრო-კილოთა სისტემა. მეთოდური თვალსაზრისით საყურადღებოა შესავალი. ავტორის შეხედულებები ქართველურ ენათა ურთიერთდამოკიდებულებებისა და მათი ისტორიული დამოკიდებულების შესახებ მთის იბერიულ-კავკასიურ ენებთან არსებითად განსხვავდება ტრადიციულისგან. ამდენად ავტორს თავისებურად ესმის აგრეთვე ქართველურ ენათა შესწავლის მეთოდიკა. ის იყენებს კლასიკური შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერების ძირითად ცნებებსა და მეთოდებს: ფუძე-ენისა და რეკონსტრუქციის ცნებებს, რეკონსტრუქციის საფეხურების მტკიცე თანმიმდევრობის დაცვის მოთხოვნას, რელატიური ქრონოლოგიის ცნებას, შინაგანი რეკონსტრუქციის მეთოდს და სხვა. ავტორის აზრით, იბერიულ-კავკასიურ ოჯახში შემავალი ენების ქვეჯგუფების მიმართ არ არის განხორციელებული კლასიკური შედარებით-ისტორიული კვლევა-ძიება. კერძოდ, არ არის რეკონსტრუირებული ცალკეული ქვეჯგუფის ფუძე-ენები, არ არის დადგენილი მათ შორის ფონეტიკური შესატყვისობები. ასეთ პირობებში, ავტორის აზრით, იბერიულ-კავკასიურ ენათა ერთიანობა შეიძლება მივაკუთვნოთ მხოლოდ „პრეისტორიის“ ხანას. ავტორის ძირითად ამოცანას შეადგენს „ისტორიული“ ეპოქის შესწავლა. მისი აზრით, საერთო-ქართველური ენა დიფერენციაციის წინა პერიოდისა (resp. დიფერენციაციის საწყისი პერიოდისა) არის ის ფოკუსი, რომელშიც უნდა იყრიდეს თავს ქართველური ენათმეცნიერების ყველა ძირითადი პრობლემა. ამგვარად, ავტორის მიზანია დიფერენციაციის საწყისი პერიოდის საერთო-ქართველური ტიპის შეძლებისდაგვარად ზუსტი რეკონსტრუქცია. ავტორი არ ეთანხმება თვალსაზრისს, რომლის თანახმად ქართველური ფუძე-ენა არსებითად გაიგივებულია არქაულ, წინალიტერატურულ ქართულთან, ზანური ენა მის ერთ-ერთ დიალექტზე დაიყვანება, ხოლო სვანური მიჩნეულია ნარევ ენად. ეს თეორია, ავტორის აზრით, ემყარება ვარაუდს, რომ ქართულ-ზანურ კანონზომიერ ფონეტიკურ თანაფარდობაში, როგორც წესი, ამოსავალია ქართულის ვითარება. ავტორი თვლის, რომ ძველ (თუნდაც უძველეს) ქართულსა და საერთო-ქართველურს შორის ტოლობის ნიშნის დასმა არ შეიძლება. ხშირ შემთხვევაში ამოსავალი ვითარება არც

ქართულში ჩანს დაცული და არც ზანურში. ამიტომ საჭიროა ისტორიულ-შედარებითი პროცედურების მკაცრი გამოყენებით საერთო არქეტიპის რეკონსტრუქცია და არა ქართულ-ზანურ-სვანური მოვლენების ერთიმეორეზე დაყვანა. ავტორს მიაჩნია, რომ ამ ეტაპზე მთის კავკასიური ენების მონაცემების გამოყენება აუცილებელი არ არის და ზოგჯერ საზიანოც კი შეიძლება იყოს (ავტორი არ გამორიცხავს ტიპოლოგიურ შედარებას და სუბსტრატის ძიებას) (გვ. 8). მონოგრაფია მიზნად ისახავს წარმოადგინოს ქართველურ ენათა ზმნის სისტემა ისტორიულ-შედარებით ასპექტში. შრომაში მოცემულია ცდა ქართველურ ენათა ზმნის საერთო ამოსავალი სისტემის რეკონსტრუქციისა იმ სახით, როგორც ის უნდა არსებულიყო ქართველური ენობრივი ერთიანობის ბოლო პერიოდში. ავტორი განიხილავს ქართველური ზმნის ყველა კატეგორიას და ბოლო თავში წარმოგვიდგენს დრო-კილოთა სისტემისა და უღვლილების ტიპებს. ავტორს ბევრი ახალი, ორიგინალური აზრი აქვს გამოთქმული რიგი ზმნური აფიქსის გენეზისის შესახებ. დასმულია საკითხი მაქცევრებისა და ირიბი ობიექტის ზმნაში გამოხატვის ურთიერთმიმართების შესახებ. ცალკე თავშია განხილული ე.წ. ფუძედრეკადი ზმნები ქართველურ ენებში.

26. სვანური მეშხე („შავი“) სიტყვის ეტიმოლოგიისთვის, 1959 წ., თსუ სამეცნიერო სესია, თეზისები (იხ. ანოტაცია 39).

27. სიბილანტურ სპირანტთა და აფრიკატთა სამი რიგის შესახებ ქართველურ ენებში, 1959 წ., მოხსენება წაკითხულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის საუბრებზე, გამოუქვეყნებელი ხელნაწერი (იხ. ანოტაცია 30).

28. ბრუნების ერთი ტიპის გენეზისისთვის სვანურში, 1960 წ., თსუ შრომები, ტ. 93, გვ. 93-104.

განხილულია სვანური ბრუნების ორიგინალური ტიპი, რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში ბრუნების ადიღური ტიპის, ანუ **მან**-იანი ბრუნების სახელწოდებით არის ცნობილი. ავტორის ვარაუდით, სვანურის **-მ** ფორმანტი უკავშირდება ქართულ მოთხრობითის **-მან** (→ ახ. ქართ. **-მა||-მ**) სუფიქსს, როგორც ამას ფიქრობდა ჯერ კიდევ ჰ. შუხარდტი. მაგრამ სვანურის **-მ** და ქართული **-მან** ფორმანტები ერთმანეთს უკავშირდება არა როგორც ბრუნვის ნიშნები, არამედ როგორც ერთი და იმავე ნაცვალსახელოვანი ფუძიდან მომდინარე ელემენტები, სვანურის **მან**-იანი ბრუნება ძვ. ქართულის ტიპის განსაზღვრული ბრუნებიდან უნდა მომდინარეობდეს. განსაზღვრული პოსტპოზიციური ნაწევარი შეერწყა სახელის ფუძეს, ხოლო სახელმა დაკარგა საკუთარი ბრუნვის ნიშნები.

29. ქართულ-აფხაზური ლექსიკური ურთიერთობანი, 1960 წ., საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ხელნაწერი, 31 გვერდი.

მეცნიერები მიუთითებდნენ აფხაზურ-ადიღური სუბსტრატის არსებობაზე დასავლურ-ქართველურ ენებში – ზანურსა და სვანურში (არნ. ჩიქობავა). წამოყენებულია აგრეთვე ჰიპოთეზა, რომლის თანახმადაც სიბილანტურ სპირანტთა და აფრიკატთა ამოსავალი სისტემა დაცულია ქართულში. ზანური (და ამდენად აგრეთვე სვანური) შიშინა ვარიანტები ისტორიულად მეორეულია, ქართულში უცვლელად შემონახული სისინა ვარიანტების ტრანსფორმაციის, კერძოდ, არტიკულაციის უკან გადაწევის შედეგია. გამოთქმულია აგრეთვე ვარაუდი ამ პროცესში გარეშე ენობრივი გავლენის შესაძლო მონაწილეობის შესახებ (არნ. ჩიქობავა). ავტორის აზრით, საკონტროლო მასალად ამ ჰიპოთეზის შესამოწმებლად გამოდგება აფხაზურში შესული სისინა თანხმოვნების შემცველი ქართული სიტყვები. ქართულიდან (და არამარტო ქართულიდან) ნასესხებ, მაგრამ უკვე ტრადიციულ (ასიმილირებულ) სიტყვებში აფხაზური სისინა სპირანტებს ცვლის შესაბამისი შიშინა სპირანტებით მხოლოდ განსაზღვრულ, კომბინატორულ პირობებში: სისინა სპირანტები მომდევნო **უ** ელემენტთან შერწყმის შედეგად ქმნიან სისინა ლაბიალიზებულ ფონემებს, რომლებიც რეგულარულად იცვლებიან შიშინა ლაბიალიზებული ფონემებით. ყველა სხვა შემთხვევაში სისინა სპირანტები ამავე რიგის მასალაში წარმოდგენილია აფხაზური სისინა სპირანტებით. სისინა აფრიკატების გაშიშინება აფხაზურში ქართული (და ზანური) წარმოშობის ლექსიკურ ერთეულებში საერთოდ არ დასტურდება. ავტორი ასკვნის, რომ არ მოიპოვება პოზიტიური მონაცემები, რომელთა საფუძველზედაც შეგვეძლო გვემტკიცებინა აფხაზური სუბსტრატის მონაწილეობა ზანურ-სვანური „გაშიშინების“ პროცესში. ავტორი სხვაგვარად წყვეტს საერთო-ქართველურის ამოსავალ სიბილანტთა საკითხსაც (იხ. ანოტაცია 30).

30. О трех рядах сибилянтых спирантов и аффрикат в картвельских языках, 1960, XXV Международный конгресс востоковедов, М., 11 გვ. (ინგლისურად: Three series of sibilant spirants and affricates in Kartvelian languages, 1960, 12 გვერდი).

სპეციალურ ლიტერატურაში მოცემულ სიბილანტურ სპირანტთა და აფრიკატთა შესატყვისობის კლასიკური სქემა აძლევდა ზოგიერთ მკვლევარს საბაბს, განეხილა ქართული ენის ვითარება, როგორც ამოსავალი სხვა ქართველური ენებისათვის. ზანურსა და სვანურში შიშინა რიგის გაჩენა ქართულ სისინა რიგთან განიხილებოდა, როგორც არტიკულაციური გადაწევის შედეგი ზანურ-სვანურ არეალში. მაგრამ კლასიკური სქემა არ მოიცავს ყველა არსებულ ფაქტს. ბევრ შემთხვევაში ქართულ სისინა კონსონანტს ზანურსა და სვანურში შეესატყვისება არა შიშინა, არამედ სისინა სპირანტი და აფრიკატი.

ქართ. სისინა : ზან. სვან. სისინა, ავტორის აზრით, წარმოადგენს კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისობის დამოუკიდებელ სისიტემას, განსხვავებულს წინათ დადგენილი სხვა ორი სისტემისაგან. შესატყვისობის სამი სხვადასხვა ფორ-

მულა ავარაუდებინებს ავტორს სიბილანტური სპირანტებისა და აფრიკატების სამი ფონოლოგიური რიგის არსებობას ქართველურ დიალექტთა ამოსავალ სისტემაში. აღდგენილია სიბილანტურ სპირანტთა და აფრიკატთა შემდეგი ჰიპოთეტური სისტემა:

I. წინა რიგი (სისინა): ***ზ, *ს, *ძ, *ც, *წ** (ფორმულა: ქართ. სისინა, ზან.-სვან. სისინა). II. შუა რიგი (სისინ-შიშინა): ***ზ₁, *ს₁, *ძ₁, *ც₁, *წ₁** (ფორმულა: ქართ. სისინა, ზან.-სვან. შიშინა).

III. უკანა რიგი (შიშინა): (***ჟ**), ***შ, *ჯ, *ჩ, *ჭ,** (ფორმულა: ქართ. შიშინა, ზან. სვან. შქ-ტიპის კომპლექსები).

ქართულში შუა რიგი დაემთხვა წინა რიგს. ზანურ-სვანურში იგივე შუა რიგი დაემთხვა უკანა რიგს. მაგრამ აქ პირველადი ფონოლოგიური სხვაობა უკვალოდ არ დაკარგულა: პირველადი შიშინები განვითარდნენ კომპლექსებად, ხოლო მეორეული შიშინები (საშუალო რიგის გადაწევით მიღებული) არ შეცვლილან.

31. სვანური „მუჟღუერ“ („შემოდგომა“) სიტყვის ეტიმოლოგიისათვის, 1960 წ., გამოუქვეყნებელი ხელნაწერი, 7 გვ. წაკითხულია მოხსენებად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის საუბრებზე.

მიუხედავად უშუალო შესატყვისობის არარსებობისა, სვანური **მუჟღუერ||მუჟღორ**, ავტორის აზრით, ქართველური წარმოშობის სიტყვა ჩანს. ამოსავლად მიჩნეულია ლაშხ. **მუჟღორ** ← ***მუჟღუარ**. რეკონსტრუირებული ფორმა ***მუჟღუარ** უნდა იყოს მიმღეობა **მ- — -არ** ტიპისა, რომელიც დღეს აღარ გვხვდება სვანურში, მაგრამ პროდუქტიულია ქართულში: **მ-კუდ-არ-ი**... **მ**-ს მომდევნო **უ** სვანურში მიღებულია საერთო წესისამებრ **გ**-საგან. ***მუ-ჟღუ-არ** ← ***მგ -ჟღუ-არ-**. ეს **გ-** განვითარებული უნდა იყოს სიტყვის თავში ორი თანხმოვნის თავმოყრის გამო. ე.ი. ***მგ-ჟღუ-არ** ← ***მ-ჟღუ-არ**. **ჟღუ-** ფუძე არის **ჟეღუ-||ჟოღუ-** ფუძის უხმოვნო ვარიანტი. სვან. **ჟეღუ (←*ჯეღუ**) ქართ. **ძეღუ-** (შდრ. ძვ. ქართ. **წარ-უ-ძეღუ**, ხევს. **გა-უ-ძვეღ**). სვან ***მ-ჟღუ-არ-** ← **მ-ჯღუ-არ**. ქართ. ***მ-ძღუ-არ.** (შდრ. **წინა-მ-ძღუ-არ**) ამავე წყაროდან (წ. ქართ. ***მ-ძღუ-არ-**) უნდა მომდინარეობდეს მეგრ. **ნ-ჯღვერ-ი**. ამგვარად სვან. **მუჟღორ** ← ***მ-ჟღუ-არ** ეტიმოლოგიურად = წინამძღვარს, წინამძღოლს, ე.ი. დროს, რომელიც ზამთარს უძღვის. სემანტიკურად ქართ. „შემოდგომა“ არსებითად იგივეა. ავტორს მოჰყავს სემანტიკური პარალელები სხვა ენიდანაც.

32. Г. А. Климов, **Система склонения в картвельских языках в сравнительно-историческом аспекте, 1960 წ.,** რეცენზია რუსულ ენაზე, გამოუქვეყნებელი ხელნაწერი, 12 გვერდი.

33. ხმოვანთა სისტემის დახასიათებისათვის სვანურში (ბალსზემოური დიალექტის მიხედვით), 1961 წ., თსუ სამეცნიერო სესია, თეზისები (იხ. ანოტაცია 43).

34. ვნებითის სუფიქსური ტიპის გენეზისისათვის ქართველურ ენებში, 1962 წ., საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, გამოუქვეყნებელი ხელნაწერი, 45 გვ. თეზისები 3 გვ. რუსული რეზიუმე 2 გვ.

ვნებითის სუფიქსური წარმოება ქართველურ ენათაგან პირველ რიგში ქართულისათვის არის ნიშანდობლივი. ზანურში ვნებითის ამ ტიპის წილი შედარებით უმნიშვნელოა. სვანური სუფიქსიან ვნებითს საერთოდ არ იცნობს. ავტორის აზრით, ვნებითის სუფიქსური ტიპის ჩამოყალიბება დაიწყო იმ ეპოქაში, როდესაც ქართულ-ზანური ერთიანობა ჯერ კიდევ განაგრძობდა არსებობას, ხოლო სვანური უკვე დამოუკიდებელ ენად ვითარდებოდა. ქართულ-ზანური ენობრივი ერთიანობის დარღვევის შემდეგ ვნებითის სუფიქსურმა წარმოებამ ფართოდ გაიკაფა გზა ქართულში და რეგულარული, მასთან უაღრესად პროდუქტიული სისტემის სახით ჩამოყალიბდა. ზანური შერჩა განვითარების უფრო ადრინდელ საფეხურს. ამ თვალსაზრისით ზანური შეიძლება განვიხილოთ როგორც გარდამავალი ზონა ქართულსა და სვანურს შორის. ვნებითის მაწარმოებელი სუფიქსები **-ენ-**, ***-ედ-** წარმოშობით საერთო-ქართველური მორფოლოგიური სტრუქტურის ელემენტებია. ამ დონეზე მათ „მადინამიკურებელი“ აფიქსების როლი ეკისრებათ. ისინი სტატიკური შინაარსის ზმნათაგან მათი „გადინამიკურების“ გზით აორისტს აწარმოებენ. უფრო გვიან ამ წესით ნაწარმოები აორისტის ბაზაზე ქართულსა და ზანურში ჩამოყალიბდა დინამიკურ-გარდაუვალი შინაარსის აწმყო და დრო-კილოთა პირველი სერიის სხვა ნაკვთები. ეს ახალი პარადიგმა დაუპირისპირდა კაუზატიური წარმოშობის პარადიგმას როგორც ვნებითი — მოქმედებითს.

35. აორისტის -იი და -ეე სუფიქსიანი ტიპის გენეზისისთვის მეგრულში, 1961 წ., თეზისები ქართულად და რუსულად.

ლაზურში დღეს აორისტის ერთადერთი ტიპი დასტურდება — **-ი** სუფიქსიანი წარმოება, რომელიც გენეტურად უკავშირდება საერთო-ქართველურ ნულოვან აორისტს: ლაზური ***მო-ხთ-***ი სვან. ***ან-ჴედ*** „მოხვედი“, ძვ. ქართ. ***გარდა-ჰ-ჴედ*** (შდრ. ახ. ქართ. ***გა-ხდ-***ი, დიალექტ. ***გა-ხთ-***ი). მეგრულში ლაზურთან საერთო **-ი** სუფიქსიანი ტიპის გვერდით წარმოდგენილია **-იი** და **-ეე** სუფიქსიანი წარმოებაც: ***ფ-თხიი*** „ვთხოვე“, ***დო-პ-ჭყეე*** „დავწყევლე“. საერთო ქართველური **-*ე** სუფიქსიანი აორისტის შესატყვისი მოდელი მეგრულ-ლაზურში არ დასტურდება. აორისტის **-იი** დაბოლოება მეგრულში მიღებულია **-*ოვი** ჯგუფისაგან: ***ფ-თხიი < *ფ-თხეი < *ფ-თხოვი***. **-ოვ** ელემენტი ფუძის კუთვნილებაა, **-ი** წარმოადგენს აორისტის საერთო-ზანურ სუფიქსს. **-ეე** დაბოლოება მიღებულია **-*ავი** ჯგუფისაგან: ***დო-ჭყეე < *დო-ჭყაი < *დო-ჭყავი*** „დასწყევლე“. **-ავ** ელემენტი ფუძის კუთვნილებაა, **-ი** აორისტის საერთო-ზანური სუფიქსი. ამგვარად, აორისტის წარმოების ყველა ტიპი მეგრულში ისტორიულად საერთო-ზანურ **-ი** სუფიქსიან მოდელზე დაიყვანება.

36. სინქრონიული და დიაქრონიული ენათმეცნიერების ურთიერთობის საკითხი, 1961 წ., გამოუქვეყნებელი ხელნაწერი, 18 გვერდი, დებულებები უფრო გაშლილად წარმოდგენილია ანოტაცია (62)-ში.

37. V. Polàk, **Contributions à la grammaire historique des langues Kartvéliennes**, 1961 წ., რეცენზია ქართულ ენაზე, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II ტ. გვ. 253-261.

რეცენზენტი დადებითად აფასებს პოლაკის ნაშრომს მეთოდის სიმკაცრის, დასკვნების ლოგიკურობის და დასკვნების სიახლის გამო, მაგრამ არ ეთანხმება ავტორის მიერ სიბილანტურ სპირანტთა და აფრიკატთა მეოთხე რიგის აღდგენას ქართველურ დიალექტთა ამოსავალ ფონოლოგიურ სისტემაში. ის მასალა, რომელსაც პოლაკი მეოთხე რიგის აღდგენისას ეყრდნობა, რეცენზენტის აზრით, ნაწილობრივ ნასესხებია, ზოგ შემთხვევაში კი ეჭვს აღძრავს ავტორისეული ეტიმოლოგიური დაკავშირებანი. რეცენზენტის აზრით, საკმაო საფუძველი არა აქვს არც ორი /**რ**/-სა და ორი /**ლ**/-ს აღდგენას. შესაბამისი შესატყვისობების არსებობა ქართულსა და ზანურს შორის დღეს უკვე ახსნილია, როგორც კომბინატორული ცვლილებების შედეგი (გ. როგავა, გ. კლიმოვი).

38. უმლაუტის პრობლემა ზანურში, 1962 წ., თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის VI სამეცნიერო სესია, თეზისები.

უმლაუტი ცოცხალი ფონეტიკური მოვლენა იყო ზანურ დიალექტთა ერთიანობის ეპოქაში. უმლაუტს იწვევდა **ი** (შესაძლოა, აგრეთვე **ე**) ხმოვანი. უმლაუტს განიცდიდნენ **ა** და **ო** ხმოვნები. **უ** ხმოვნის უმლაუტის უდავო მაგალითები არ იძებნება. ეს გარემოება შემთხვევითი არ უნდა იყოს: როგორც ცნობილია, სვანურში **უ** ხმოვანი ყველაზე ნაკლებად ექვემდებარება პალატალიზაციის ტენდენციას. ავტორის აზრით, შესატყვისობათა ძირითადი ფორმულების გვერდით სხვაგვარი შეფარდებების (ქართ. **ა** : ზან. **ე**; ქართ. **ე** : ზან. **ე**; ქართ. **ო** : ზან. **ე**) არსებობა დიაქრონიულად უმლაუტის გავლენით აიხსნება.

39. სვანური მ ე შ ხ ე („შავი“) სიტყვის ეტიმოლოგიისათვის, იკე, ტ. XIII, 1962ბ გვ. 229-235.

სვანური ***მ ე შ ხ ე*** განხილულია, როგორც წარსული დროის „მედიოპასიური“ მიმღეობა ზმნისა ****შ ე ხ-ე ნ-ი*** („იწვის“) (შდრ. ***ტ ე ხ-ნ-ი*** ‖ ***ტ ე ხ-ე ნ-ი*** „ბრუნდება“, ***მ ე-ტ ხ-ე*** ‖***მ ე-ტ ე ხ-ე*** „დაბრუნებული“ და სხვ.). სემანტიკურად მ ე შ ხ ე – „დამწვარი“, „შავი“. ამ ვარაუდს მხარს უჭერს სხვა ქართველური ენების მონაცემებიც. სვანურ მოაბლაუტო ზმნებს ქართულსა და ზანურში შეესატყვისება ე.წ. ნულოვანი (resp. ძირეული) ვნებითები. ამ ტიპს განეკუთვნება ქართ. ***დ ა-ც ხ-ა*** (შდრ. ძვ. ქართ. ***გ ა ნ-ტ ფ-ა***, ***გ ა ნ-ე-ტ ე ფ)***. ქართ. ****ც ე ხ*** (ზან. ***ჩ ხ***)-ს ზუსტად შეესატყვისება სვანურში ****შ ე ხ*** (← ****ჩ ე ხ***). ამ საერთო-ქართველური ზმნის პირველადი მნიშვნელობა შენახულია სვანურში (შდრ. ***ა̈-შ ხ-ი*** „წვავს“, ***ი-შ ხ-ი*** „იწ-

ვის“). ქართველურ ენებში, როგორც ჩანს, დაკარგულია ცეცხლის პირველადი სახელი. ავტორი ვარაუდობს, რომ ზმნაში *წუ-ავ-ს* (ზან. *ჭ-უნ-ს*, სვან. *Ა-ჭ-ეᲐ)* შენახულია სახელური ძირი, რომელიც თავდაპირველად „ცეცხლს“ აღნიშნავდა. ამგვარი დაშვება შესაძლებლობას მოგვცემდა, ეს ძირი დაგვეკავშირებინა შესაბამის კავკასიურ ძირთან.

40. ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა, 1962 წ., თსუ, პროგრამა, 6 გვერდი.

41. თანხმოვანთა შესატყვისობის ზოგი საკითხი ქართველურ ენებში, 1962 წ., თსუ კავკასიურ ენათა კათედრა, გამოუქვეყნებელი ხელნაწერი, 24 გვერდი.

ნაშრომში განხილულია ქართულ-ზანურ-სვანური შესატყვისობები თანხმოვანთა წინაველარულ რიგში. ქართულისა და ზანურის ერთი რიგის შესატყვისად სვანურში რეფლექსების ორი რიგის (წინაველარულისა და შიშინასი) არსებობა ავტორის მიერ ინტერპრეტირებულია როგორც კომბინატორული ცვლილებების შედეგი (პალატალური ხმოვნების წინ წინაველარული თანხმოვნების პალატალიზაცია და ასიმილაცია). ამ შესატყვისობათა ჩამოყალიბებაში გარკვეული როლი შეასრულა ანალოგიით ფორმათა გასწორებამ, რაც განხორციელდა სვანური ენის ისტორიის გარკვეულ პერიოდში. ნაშრომში მოცემულია რამდენიმე სვანური სიტყვის ისტორიაც. დადგენილია შესატყვისობათა სამი ძირითადი ფორმულა:

1. ქართ. **გ** : ზან. **გ** : სვან. **გ//ჯ**
2. ქართ. **ქ** : ზან. **ქ** : სვან. **ქ//ჩ**
3. ქართ. **კ** : ზან. **კ** : სვან. **კ//ჭ**

შესატყვისობათა სამი სისტემა ავარაუდებინებს ავტორს წინადორსალური რიგის სამ ფონემას საერთო ქართველურში: მჟღერი **/*გ/,** ყრუ **/*ქ/** და მკვეთრი **/*კ/**. ერთადერთი მაგალითია: ქართ. **0 :** ზან. **0 :** სვან. **გ**. ეს შესატყვისობა შეიძლება ასახავდეს წინადორსალურ სპირანტს, მაშინ დაპირისპირება ღიაობის მიხედვით (ხშული-ნაპრალოვანი) რელევანტური უნდა ყოფილიყო ამ რიგში.

42. ზოგი აქცესიური კომპლექსის ევოლუცია ქართულში, 1962 წ., საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, გამოუქვეყნებელი ხელნაწერი, 16 გვერდი.

ავტორი განიხილავს ჰარმონიულ კომპლექსთა დისტრიბუციის მოდელებს ახალ ქართულში. მაგრამ ნაშრომის ძირითადი ამოცანაა გაირკვეს, თუ რა დიაქრონიული ხასიათის დასკვნები შეიძლება გაკეთდეს თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში დადასტურებულ დისტრიბუციულ წესებზე დაყრდნობით. თანამედროვე ქართულის თვალსაზრისით ანომალიური აქცესიური ჯგუფი /**ცთ**/ ძვ. ქართ. დასტურდება ერთადერთ მორფემაში */შე/-ს-ცთ-ა.* მისი არსებობა ძველ ქართულში შეპირობებულია მორფოფონემატური მონაცვლეობით: */შე/-ვ-ს-ცეთ,*

/შე/-ს-ცეთ, /შე/-ს-ცთ-ა/. ამ მონაცვლეობის მოშლის შემდეგ /**ცთ**/ ჯგუფი აღმ. ქართ. დიალექტებსა და სალიტ. ენაში იცვლება ნორმალური /**ცდ**/ ჯგუფით. ავტორის აზრით, ამასთან დაკავშირებით გადასინჯვას მოითხოვს სპეციალურ ლიტერატურაში (ვ. თოფურია, ფრ. ნაისერი) გამოთქმული მოსაზრება ძვ. ქართ. (**ცეთ-**) **ცთ-** ფუძისა და **ცად-**//**ცდ-** ფუძის გენეტური კავშირის შესახებ.

ანომალიური აქცესიური ჯგუფი /**ტფ**/ ძველ ქართულში დასტურდება ერთ მორფემაში: ***გან-ტფ-ა, ტფ-ილ-ი...*** მისი არსებობა აგრეთვე შეპირობებულია მორფოფონემატური მონაცვლეობით: ***გან-ვ-ტეფ... გან-ტფ-ა, ტფ-ილ-ი.*** მისი მოშლის შემდეგ /**ტფ**/ ჯგუფი იცვლება ჰომოგენური /**თფ**/ ჯგუფით. მაგრამ აღმოსავლურ-ქართული დიალექტებისა და სალიტ. ენის თვალსაზრისით ეს ჯგუფიც ანომალიურია და თავის მხრივ ადგილს უთმობს ნორმალურ /**თბ**/ ჯგუფს. ამასთან დაკავშირებით ავტორს სხვაგვარად ესახება ზანური ***ტუბ-//ტიბ-*** და სვან. ***ტეპ-*** ფუძის ისტორია. ავტორი ვარაუდობს, რომ ზანურსა და სვანურში ამ ფორმებში დღეს წარმოდგენილი სრულხმოვნობა ისტორიულად მეორეულია და შესაბამისი არასრულხმოვანი ფორმებიდან მომდინარეობს: ზან. ***ტუბ-//ტიბ- < *ტბ- < *ტფ;*** სვან. ***ტეპ-ედ < *ტბ-ედ- < ტფ-ედ-.*** აქცესიური /**ტფ**/ ჯგუფი ისევე ანომალიური იყო აღნიშნული ქართველური დიალექტებისათვის, როგორც ქართულისათვის. /**ტფ**/ ჯგუფი ამ დიალექტებში ბუნებრივი /**ტბ**/ ჯგუფით შეიცვალა. უფრო გვიან ამ ენებში თავი იჩინა აქცესიურ კომპლექსთა სუპერაციის ძლიერმა ტენდენციამ, რასაც შედეგად მოჰყვა აქცესიურ ჯგუფთა გათიშვა ხმოვნით. ზანურში ეს იყო **უ** ან **ი** (დიალექტების მიხედვით), სვანურში **ე** (სუფიქსისეული ხმოვნის გავლენით). წარმოდგენილი მოსაზრება, ავტორის აზრით, დღის წესრიგში აყენებს ე.წ. „სრულხმოვნობის“ თეორიის სისტემურ კრიტიკულ განხილვას.

43. ხმოვანთა სისტემის დახასიათებისათვის სვანურში (ბალსზემოური დიალექტის მიხედვით), თსუ შრომები, ტ. 96, 1963, გვ. 139-150.

სვანურის მოკლე ხმოვნებისათვის დამახასიათებელია სამი რელევანტური ნიშანი: 1) პალატალურობა – არაპალატალურობა (**ä, ö, ü, ი** – **ა, ო, უ, ე**); 2) ღიაობის ხარისხი: ღია – **ა, ä, ო, ö** – დახურული – **ე, ი, უ, ü;** 3) ლაბიალურობა – არალაბიალურობა: ლაბიალური – **ო, ö, უ, ü** – არალაბიალური – **ა, ä, ე, ი**. ხმოვანი **ე** დგას აღნიშნული დაპირისპირებების გარეთ. იგი ხასიათდება ლაბიალობის არქონით და ღიაობის საშუალო (**ä** და **ი**-ს შორის) ხარისხით, ხოლო პალატალობის ნიშანი მისთვის არარელევანტურია. მორფოლოგიის თვალსაზრისით ყველაზე ღირებულია პალატალურობა, რაც აბლაუტში ვლინდება. პალატალური ხმოვნები ისტორიულად უმლაუტის შედეგს წარმოადგენენ (ა. შანიძე). ავტორი ვარაუდობს, რომ **ე** ხმოვნის პალატალური უმლაუტი იძლევა **ი**-ს.

44. ზმნური ფუძეების სუფიქსაციის საკითხები ქართველურ ენებში, 1963 წ., თსუ კავკასიურ ენათა კათედრა, გამოუქვეყნებელი ხელნაწერი, 26 გვერდი.

შრომაში განხილულია ვნებითი გვარის სუფიქსური ***-ედ//-ენ** მორფემის ისტორიული ურთიერთობის საკითხი ე.წ. ფუძედრეკად ზმნათა და „უნიშნო ვნებითის“ ფუძის საწარმოებელ **-ედ** სუფიქსთან. გამოთქმულია მოსაზრება ამ სუფიქსთა გენეტური იგივეობის შესახებ. აღნიშნული სუფიქსის უძველეს ფუნქციად ნავარაუდევია მისი უნარი სტატიკური შინაარსის ზმნის დინამიკური შინაარსის ზმნად გადაქცევისა.

45. ბრუნების ზოგიერთი საკითხი სვანურში, 1963 წ., საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, გამოუქვეყნებელი ხელნაწერი, 33 გვერდი.

სვანური ენის ბრუნების ტიპებს შორის გამოყოფენ ე.წ. „ნარიან“ ბრუნებას, რომელსაც რელიქტური ხასიათის წარმოებად მიიჩნევენ (თ. შარაძენიძე). **-ნ** ფლექსია თანამედროვე სვანურში, ავტორის აზრით, არ ასრულებს მიცემითი ბრუნვის დაბოლოების ფუნქციას, როგორც ეს მიღებულია სპეციალურ ლიტერატურაში. თავისი ფუნქციით **-ნ** ფლექსია ვითარებითი ბრუნვის **-დ** ფლექსიას უახლოვდება, თუმცა სინქრონიული თვალსაზრისით არ ხერხდება ამ ორი მორფის ერთ მორფემაში გაერთიანება. **-ნ** მორფემის წარმოდგენილ ბრუნვას, განსხვავებით **-დ** ბრუნვისაგან, პირობითად II ვითარებითი შეიძლება ვუწოდოთ. „ნარიანი“ ბრუნება, ავტორის აზრით, არ გამოიყოფა როგორც ბრუნების დამოუკიდებელი ტიპი. **-ნ** მორფემით წარმოდგენილი ბრუნვა შედის ე.წ. „სანიანი“ და „მანიანი“ ბრუნების პარადიგმებში როგორც მათი ერთ-ერთი წევრი. დიაქრონიული თვალსაზრისით **-ნ** და **-დ** ფორმანტები უნდა განვიხილოთ როგორც მორფოლოგიურად შეპირობებული ალომორფები ერთი და იმავე მორფემისა, რომელიც გამოხატავდა ადვერბიალურ (ფართო გაგებით) და ერგატიულ შინაარსს.

46. საერთო-ქართველური ფუძე ენის ტიპოლოგიური დახასიათებისთვის, 1964 წ., თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის VIII სესია, თეზისები (იხ. ანოტაცია 47).

47. К вопросу об индоевропейско-картвельских (южнокавказских) типологических параллелях, VII Международный конгресс антропологических и этнографических наук, Август 1964 г., Наука, *Москва*, 6 გვერდი. (ინგლისურად: On the problem of Indo-Evropean-Kartvelian (South-Caucasian) typological parallels, 6 გვერდი).

შედარებითი ქართველოლოგიის თანამედროვე დონე შესაძლებელს ხდის, ჰიპოთეტურად აღვადგინოთ საერთო-ქართველური ფუძე-ენის სტრუქტურული მოდელი და ლექსიკის ბევრი ელემენტი ქართველურ ენებად საერთო-ქართველურის დაშლის უშუალოდ წინა საფეხურზე. ავტორი ეყრდნობა თამაზ გამყრელიძესთან

და მისგან დამოუკიდებლად ჩატარებულ კვლევას, აგრეთვე კლიმოვისა და შმიდტის ანალოგიური პრობლემატიკის შემცველ ნაშრომებს. რეკონსტრუირებულია:

1. საერთო-ქართველურის ფონოლოგიური სისტემა: ხმოვნები, სონანტები, თანხმოვნები. დადგენილია ფონემათა დისტრიბუციული მოდელები;

2. საერთო-ქართველური მორფემების მორფოფონოლოგიური სტრუქტურა. აფიქსების კანონიკური ფორმები და მორფოფონოლოგიური მონაცვლეობანი;

3. ძირითადი სინტაქსური კოსტრუქციები.

საერთო-ქართველური ფუძე-ენის ანალიზი ავლენს ტიპოლოგიურად განსხვავებულ ორ სტრუქტურულ პარალელს: ა) საერთო-ქართველურის მოდელის ზოგი თვისება ემთხვევა ინდოევროპული ფუძე-ენის რეკონსტრუირებული მოდელის თავისებურებებს (ვოკალიზმი, სონანტთა სისტემა, აბლაუტის ტიპები, მორფემათა კანონიკური ფორმები და სხვა), ბ) მეორე მხრივ, თავს იჩენს მრავალმხრივი და ღრმა სტრუქტურულ-ტიპოლოგიური პარალელები საერთო-ქართველურ რეკონსტრუირებულ მოდელსა და მთის კავკასიური ენების სტრუქტურულ თავისებურებებს შორის. განსაკუთრებით ეს ეხება ნახურსა და აფხაზურ-ადიღურ ენებს (კონსონანტიზმი, პრეფიქსაცია, ზმნის პოლიპერსონალიზმი, ბრუნების თავისებურებები, ერგატიული კონსტრუქცია). ავტორის აზრით, ამ რთული მოვლენის საბოლოო ახსნა კვლევის თანამედროვე ეტაპზე ნაადრევი იქნებოდა. ამჟამად შეიძლება მხოლოდ სამუშაო ჰიპოთეზის წამოყენება. ამ ჰიპოთეზის დასაბუთება მოითხოვს, გარდა ლინგვისტურისა, ისტორიულ, არქეოლოგიურ, ეთნოგრაფიულსა და ეთნოლინგვისტურ კომპლექსურ კვლევა-ძიებას. ავტორის აზრით, სტრუქტურულ-ტიპოლოგიური მახასიათებლები, რომლებიც საერთოა ქართველური და მთის კავკასიური ენებისათვის, ქრონოლოგიურად უსწრებენ ინდოევროპულთან საერთო ტიპოლოგიურ თავისებურებებს (ავტორს მოჰყავს რიგი რელატიურ-დიაქრონიული საბუთები). ეს თუ ასეა, შეიძლება დავუშვათ, რომ არქაული კავკასიურ-ტიპოლოგიური ფენა საერთო-ქართველურის დონეზე შეიძლება მივიჩნიოთ იბერიულ-კავკასიური ენების სავარაუდო ნათესაობის გამოვლინებად. რაც შეეხება უფრო გვიანდელ „ინდოევროპული“ ტიპის სტრუქტურულ მოდელებს, შეიძლება გარკვეული ალბათობით დავუშვათ, რომ ისინი საერთო-ქართველურში გაჩნდნენ იმ ხანგრძლივი და მჭიდრო კონტაქტების შედეგად, რომლებიც უნდა ყოფილიყო ქართველურ ტომებსა და უძველეს ინდოევრ. დიალექტებზე მოლაპარაკე ტომებს შორის ჰიპოთეტურად სავარაუდო „ენათა კავშირის“ ფარგლებში. ავტორის აზრით, ასეთ დაშვებას მხარს უჭერს არაერთი ენათმეცნიერისა და ისტორიკოსის თეორია, რომლის მიხედვით ინდოევროპული ტომების შემოჭრა წინა აზიაში ხორციელდებოდა კავკასიის გავლით (შდრ. ვ. ზომერი, ვ. ივანოვი, თ. გამყრელიძე და სხვ.).

48. ლატერალურ თანხმოვანთა სისტემის ევოლუციის ზოგიერთი საკითხი ნახური ჯგუფის ენებში, იკე, XIV, 1964, გვ. 261-270.

ნახური ჯგუფის ენებიდან მხოლოდ ბაცბურშია შემონახული ყრუ ჩქამიერი ლატერალი, რომელიც ფონეტიკურად ემსგავსება ხუნძურ სუსტ (არაგემინირებულ) ლატერალურ სპირანტ **ლ‘**-ს, რომელიც სინქრონიულად დახასიათებულია როგორც მჟღერი ლატერალური ნარნარა **ლ**-ს ყრუ კორელატი (ნ. ტრუბეცკოი). ეს ფონემა ბაცბურში გვხვდება მხოლოდ სიტყვის შუაში და აუსლაუტში. მიღებულია, რომ ბაცბური /**ლ‘**/ ასახავს საერთო-ნახურ /*ლ‘/-ს, რომელიც ანლაუტში დაემთხვა /**ლ‘**/-ს. ჩაჩნურ-ინგუშურში საერთო-ნახური /*ლ‘/ წარმოდგენილია **ჰ//0 რ**-ს შემდეგ, და /**ლ**/-ს სახით სხვა პოზიციებში. ერთი მხრივ, ტიპოლოგიური მოსაზრებები (სონორებს **ნ, მ, რ** ბაცბურში არ ახასიათებთ კორელაცია მჟღერი--ყრუ), ხოლო, მეორე მხრივ, **ლ‘**-ს ფონეტიკური ბუნება ავარაუდებინებს ავტორს, რომ ბაცბური /**ლ‘**/ არის ნაშთი დაღესტნური ტიპის ჩქამიერ ლატერალურ თანხმოვანთა სისტემისა, რომელიც ახასიათებდა საერთო-ნახურს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შესატყვისობა ბაცბ. **თხ**.. : ჩაჩნ.-ინგუშ. **ლ̣ხ** (აუსლაუტში და ინტერვოკალურ პოზიციაში) ასახავს საერთო-ნახურ ჩქამიერ ლატერალურ ფონემას, განსხვავებულს საერთო-ნახური /*ლ‘/-სგან. რეკონსტრუირებული საერთო-ნახური ფონემა შეიძლება დახასიათდეს, როგორც ხუნძური **ლ‘**-ს ტიპის ლატერალური აფრიკატი /*ლ‘/.

საერთო-ნახური /*ლ‘/ შეესატყვისება ხუნძურ-ანდიური ჯგუფის რამდენიმე ლატერალურ თანხმოვანს. ეს გარემოება უჭერს მხარს საერთო-ნახურის დონეზე ჩქამიერ-ლატერალური თანხმოვნების უფრო სრული სისტემის აღდგენას. ბაცბურში /*ლ‘/ შეიცვალა /**თხ**/ კომპლექსით. ჩაჩნურ-ინგუშურში /*ლ‘/>/**თხ**/ აუსლაუტში და /**ლ̣ხ**/ სხვა პოზიციებში. ანალოგიური რეფლექსები (**ლ̣ჰ**, **ტ** და სხვა) წარმოდგენილია აგრეთვე ზოგიერთ ხუნძურ-ანდიური ჯგუფის ენებსა და დიალექტებში.

49. **თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის კონსანანტური სისტემა,** 1964 წ., თსუ ზოგადი ენათმეცნიერების კათედრა, გამოუქვეყნებელი ხელნაწერი, 87 გვერდი (ავტორის საბოლოო თვალსაზრისი ამ საკითხზე იხ. ანოტაცია 60).

50. K. H. Schmidt**, Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der südkaukasischen Grundsprache**, Wiesbaden 1962; რეცენზია ქართულ ენაზე, თსუ სამეცნიერო-ბიბლიოგრაფიული კრებული 2-3, 1964, გვ. 76-82.

51. **Основные направления структурализма,** Наука*, Москва 1964;* რეცენზია რუსულ ენაზე, ჟურნალში: Вопросы языкознания, N 6, 1965, გვ. 133-137.

შესავალში რეცენზენტი ზოგადად ახასიათებს თანამედროვე ენათმეცნიერების მდგომარეობას. მისი აზრით, ე.წ. „კრიზისზე“ თანამედროვე ლინგვისტიკაში შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ იმ მხრივ, რომ ჩვენი მეცნიერება ამჟამად განიცდის სწრაფ ზრდას, „ღირებულებათა გადაფასებას“, „პარადოქსულ სიტუაციებს“,

რომლის მთავარი მოქმედი გმირია სტრუქტურული ლინგვისტიკა. პირველ ყოვლისა, სწორედ აქ ყველაზე მძაფრად იჩინეს თავი ენათმეცნიერებისთვის ძველთაგანვე დამახასიათებელმა ტენდენციებმა: „თვითშემეცნებისადმი“ მისწრაფებამ, ენათმეცნიერების ამოსავალი პოსტულატებისა და პრინციპების გარკვევამ, ლინგვისტიკის თვითმყოფობის დაფუძნებამ, ლინგვისტიკის ზუსტ მეცნიერებად გადაქცევის სურვილმა და ამ პროცესთან დაკავშირებულმა მათემატიზაციამ და ფორმალიზაციამ. ამიტომ სტუქტურული ლინგვისტიკა დგას თანამედროვე თეორიული ენათმეცნიერების ცენტრში. ავტორი იცავს ენათმეცნიერების ავტონომიურობისა და ერთიანობის იდეას. მისი აზრით, სტრუქტურული ლინგვისტიკა წარმოადგენს ენათმეცნიერების განვითარების ახალ, ერთიან და პროგრესულ ეტაპს. სტუქტურალიზმის სხვადასხვა მიმართულების განხილვისას საჭიროა პირველ რიგში საერთო მეთოდოლოგიური საფუძვლის გახაზვა, რომელსაც ეფუძნება მთლიანად თანამედროვე სინქრონიული და დიაქრონიული ენათმეცნიერება, ხოლო განსხვავებები გამოჩნდება ამ საერთო ინვენტარის ფონზე, რაც უფრო ადეკვატურად გამოავლენს მათ რელატიურ ღირებულებას.

52. **[ᾶ] და [ῖ] სეგმენტების ფონოლოგიური ინტერპრეტაციისათვის სვანურში ბალსზემოური დიალექტის მასალაზე**, თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის IX სამეცნიერო სესია მიძღვნილი, აკ. წერეთლის დაბადების 125 წლისთავისადმი, თეზისები, 1965 წ., გამოუქვეყნებელი ხელნაწერი, 15 გვერდი.

[ᾶ] და **[ῖ]** სეგმენტები სვანურში რთულ დისტრიბუციულ მიმართებებს ავლენს შესაბამისად [ṙ] და [ẗ] სეგმენტებთან. ავტორი გამოყოფს ამ მიმართებათა თვალსაზრისით სამ პოზიციას. ხმოვანთა პარადიგმატული სისტემის სიმეტრიულობის პრინციპიდან ამოსვლით ავტორი უპირატესობას აძლევს **[ᾶ]** და **[ῖ]** (resp.) [ṙ] და [ẗ] სეგმენტების მონოფონემატურ ინტერპრეტაციას. პრობლემის ამგვარი გადაწყვეტა შესაძლებლობას აძლევს ავტორს, წარმოადგინოს მორფოფონემატურ მონაცვლეობათა უნიფიცირებული აღწერა სახელურსა და ზმნურ პარადიგმებში. **[ᾶ]** და **[ῖ]** (resp.) [ṙ] და [ẗ] სეგმენტთა ბიფონემატური ინტერპრეტაცია მიზანშეწონილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული ბგერითი მონაკვეთების ქვესეგმენტები სხვადასხვა მორფებში ნაწილდება.

53. **სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში** (თ. გამყრელიძესთან ერთად), გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1965, 511 გვერდი (ანოტაცია იხ. მიმომხილველი 4-5, 1968).

54. **საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა**, თსუ გამომცემლობა, 1965, თბილისი, 134 გვერდი (ანოტაცია რუსულ და ინგლისურ ენებზე იხ. მიმომხილველი 4-5, 1968).

55. **Общекартвельская консонантная система,** Краткое содержание монографии, представленной на соискание ученой степени доктора филологических наук, 1965 წ., გამოუქვეყნებელი ხელნაწერი, 31 გვერდი.

56. კიდევ ერთხელ სვანური უმლაუტის შესახებ (ბალსზემოური დიალექტის მასალაზე), 1965 წ., საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის საუბრებზე წაკითხული მოხსენება, გამოუქვეყნებელი ხელნაწერი, 17 გვერდი, რუსული რეზიუმე 8 გვერდი.

სვანური უმლაუტის წესებიდან, რომელიც ჩამოაყალიბა ა. შანიძემ ჯერ კიდევ 1925 წელს, ავტორის ყურადღებას იქცევს შემდეგი ორი: ა) ხმოვანი **ი** ვერ იწვევს წინამავალი მარცვლის **ო** და **უ** ხმოვნების უმლაუტს, თუ თვითონ **ი** მოკვეცილი ან ამოღებული არ არის ხმოვანთა სინკოპირების, ან აბლაუტურ მონაცვლეობათა შემდეგ; ბ) **ე** ხმოვანი ვერ იწვევს წინამავალი მარცვლის **ა** ხმოვნის უმლაუტს, თუ თვითონ **ე** მოკვეცილი ან ამოღებული არ არის ხმოვანთა სინაკოპირების, ან აბლაუტური მონაცვლეობის შედეგად. აქ, ავტორის აზრით, საქმე გვაქვს პარადოქსთან (როგორ შეიძლება მოხდეს ასიმილაცია, როდესაც მაასიმილირებელი ბგერა (resp. ფონემა) ნულს უდრის), რომელიც არ აიხსნება არც კლასიკური ფონეტიკის, არც კლასიკური ფონოლოგიის საფუძველზე. ამ მოვლენას ავტორი ხსნის რ. იაკობსონის, მ. ჰალესა და გ. ფანტის დიფერენციალურ ნიშანთა თეორიის თვალსაზრისით. ფონემა შეიძლება გაქრეს სინტაგმატურ რიგში, შეწყვიტოს არსებობა როგორც დისტინქციურ ელემენტთა კონამ ისე, რომ ნულს გაუტოლდეს მისი ყველა კომპონენტი, გარდა ერთისა. ამგვარი შესაძლებლობის განხორციელების შემთხვევაში დარჩენილი კომპონენტი დამოუკიდებელ სეგმენტს ვერ შექმნის. ის უნდა შევიდეს რომელსამე მეზობელ ფონემურ კონაში, გახდეს სხვა სეგმენტის კომპონენტი და შეცვალოს მისი ფონემური ღირებულება. ავტორის აზრით, სწორედ ასეთ ვითარებასთან გვაქვს საქმე სვანური უმლაუტის შემთხვევაში. მაუმლაუტებელი ხმოვნები **ი** და **ე** უკვალოდ კი არ ქრებიან, არამედ გადასცემენ პალატალურ დიფერენციალურ ელემენტს წინამავალ ხმოვანს, რაც იწვევს მის გაპალატალებას. ამიტომაა, რომ უმლაუტის აუცილებელი პირობაა მაპალატიზებელი ფონემის გაქრობა სინტაგმატური რიგიდან.

57. К типологической характеристике общекартвелского языка-основы, ჟურნალი Вопросы языкознания, N 1, 1966, გვ. 3-9 (იხ. ანოტაცია 47).

58. Рефлексы общекартвельского "а" в занском (мегрело-чанском) языке (გ. კლიმოვთან თანაავტორობით), Studia Caucasica, N 2, The Hague 1966, გვ. 19-25.

ისტორიულ-შედარებით ქართველოლოგიაში დადგენილია შესატყვისობა ქართ. **ა** : ზან. **ო**. მაგრამ ბევრ შემთხვევაში დასტურდება იდენტური შესატყვისობა ქართ. **ა** : ზან. **ა**. დისტრიბუციულ ანალიზს ავტორები მიჰყავს დასკვნამდე, რომ ზანური რეფლექსები **ო** და **ა** არის საერთო-ქართველური ***ა**-ს კომბინატორული ვარიანტები. პირველი გვხვდება ნებისმიერი ფუძის ანლაუტსა და ინლაუტში და ატრიბუტული მნიშვნელობის მქონე სახელების აბსოლუტურ აუსლაუტში, ხოლო

რეფლექსი ა გვხვდება სახელური ფუძეების აუსლაუტში. თუ **ა>ო** ყველა შემთხვევას ზანურში გავაერთიანებთ, როგორც ამოსავალში ინტონაციურად ძლიერი პოზიციის მქონეს, მაშინ ქართ. ზან. ა – იდენტურობის შემთხვევები გაერთიანდება *ა-ს ამოსავალი სუსტი რიტმულ-ინტონაციური პოზიციით. ამრიგად, ავტორებისათვის აღნიშნული ფაქტი სინტაქსური ფონოლოგიის სფეროს განეკუთვნება. ამგვარი ინტერპრეტაცია გასაგებს ხდის ბევრ მანამდე აუხსნელ შემთხვევას ქართულ-ზანური შესატყვისობებიდან.

59. **სუბსტრატის საკითხისათვის დასავლურ-ქართველურ (ზანურ-სვანურ) ენობრივ არეალში,** იკე, XV, 1966, გვ. 162-171 (იხ. ანოტაცია 29).

60. **ქართული ენის კონსონანტური სისტემის ფონოლოგიური ინტერპრეტაცია პარადიგმატულ ასპექტში** (სალიტერატურო ენის მასალაზე), 1966 წ., გამოუქვეყნებელი ხელნაწერი, 15 გვერდი.

ქართული ენის ჩქამიერ თანხმოვანთა სისტემის აღსაწერად ავტორი იყენებს ორ კოორდინატს: ლოკალურ რიგს და სერიას. გამოყოფს შვიდ ლოკალურ რიგს: 1) ლაბიალური, 2) დენტალური, 3) წინასიბილანტური, 4) უკანასიბილანტური, 5) ველარული, 6) პოსტველარული, 7) ლარინგალური.

სამ სერიას: 1) მჟღერები, 2) ყრუნი, 3) მკვეთრები. საკუთრივ ხშულების და აფრიკატების დაპირისპირება ქართულის ფონოლოგიური სისტემის თვალსაზრისით, ავტორის აზრით, არარელევანტურია.

მკვეთრებისათვის არარელევანტურია მჟღერობა-სიყრუე, ის ავტომატურად თან სდევს სიმკვეთრეს. მჟღერობა-სიყრუე რელევანტურია არამკვეთრების დაპირისპირებაში, ერთი მათგანი მჟღერია, მეორე – ყრუ.

ხშულობისა და ნაპრალოვნობის დაპირისპირება დამახასიათებელია მხოლოდ ზოგიერთი ლოკალური რიგისათვის; ეს რიგებია: ლაბიალური, წინაალვეოლარული, უკანაალვეოლარული. დენტალური და ველარული ფონემები რეალიზდებიან ხშული ბგერების სახით, მაგრამ ხშულობა მათთვის ჭარბ ნიშანს წარმოადგენს. ხშულობა ირელევანტურია მკვეთრებისათვის. **/დ/, /ხ/, /ყ/** – ფონემები ავტორს გაერთიანებული აქვს ერთ პოსტველარულ რიგში: მჟღერი – ყრუ – მკვეთრის სერიით. ამ გადაწყვეტის სასარგებლოდ მეტყველებდა აგრეთვე დისტრიბუციული მოდელები, რომელთა მიხედვითაც /**დ**/, /**ხ**/, /**ყ**/ ავლენენ პარალელიზმს /**გ**/, /**ქ**/, /**კ**/-სთან. ქართულ ჩქამიერ თანხმოვანთა მთელ სიმრავლეს ავტორი ყოფს კორელაციურ კონებად ლოკალური რიგების მიხედვით. ფონოლოგიური კორელაციების თვალსაზრისით ტრადიციული ქართული ხშულთა სამეულები და სპირანტთა წყვილეულები ერთიანდება ხუთეულებად, ხოლო ოთხეულები, სამეულები, წყვილეულები და ცალეულები განიხილება როგორც ნაკლული (დეფექტური) ხუთეულები.

61. **ჰარმონიულ კომპლექსთა განაწილების ზოგიერთი საკითხი,** 1966 წ., საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის საუბრებზე წაკითხული მოხსენება, გამოუქვეყნებელი ხელნაწერი, 11 გვერდი.

ჰარმონიულ კომპლექსს ავტორი განსაზღვრავს როგორც ორი წევრისაგან შემდგარ თანხმოვანთა ჯგუფს, რომელიც შეიძლება დავადასტუროთ ცალი ჩქამიერი თანხმოვნისათვის დასაშვებ ყველა გარემოცვაში. ავტორს ამ თვალსაზრისით გაანალიზებული აქვს ყველა შესაძლო პოზიცია სათანადო მაგალითების დამოწმებით. სპეციალურად განხილულია CVC ტიპის ძირეულ მორფემათა მორფონოლოგიური სტრუქტურა ქართულში (დახურულ მარცვლიანი ტიპი): ჩამოთვლილია ძირითადი კანონიკური ფორმები. ავტორის ვარაუდით, არსებობს გარკვეული ეკვივალენტობა CVC ტიპსა და ჰარმონიულ კომპლექსთა შემცველ მოდელებს შორის. ავტორი აყალიბებს ამ ეკვივალენტობის წესებს: ა) CVC მოდელში ჰარმონიული კომპლექსი შეიძლება ერთდროულად ჩაენაცვლოს მხოლოდ ერთ-ერთ C-ს, ან ხმოვნის წინას, ან უკანას (მსგავსი წესი ჩამოყალიბებული ჰქონდა ს. ჟღენტს); ბ) ორსავე C-ს პოზიციაში შეიძლება გამეორდეს ჰარმონიული კომპლექსის მხოლოდ პირველი წევრი, ასეთ შემთხვევაში თვით ჰარმონიული კომპლექსი ხმოვნის შემდეგ პოზიციაშია.

62. სინქრონია და დინამიკა, 1967 წ., გამოუქვეყნებელი ხელნაწერი, 15 გვერდი.

პრაღის სკოლამ ვერ შეძლო გადაელახა ტრადიციული წარმოდგენა დინამიკისა და დიაქრონიის იგივეობის შესახებ. ამიტომ დებულებიდან, რომ სინქრონია გარდა სტატიკისა შეიცავს დინამიკის ელემენტებსაც, დედუცირებულ იქნა მეორე დებულება, რომ სინქრონია შეიცავს დიაქრონიის ელემენტებსაც: სინქრონია არ არსებობს წმინდა სახით. ავტორის აზრით, „დიაქრონიული სინქრონია“ შეიცავს contradictio in adjecto, სინქრონიული განხილვა დამოუკიდებელია დიაქრონიულისაგან და ლოგიკურად წინ უსწრებს მას. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ სინქრონიისა და დიაქრონიის დაპირისპირებას აბსოლუტური მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ. ავტორი მიდის იმ დასკვნამდე, რომ სინქრონია და დიაქრონია ერთი და იმავე მოვლენის ორ მხარეს წარმოადგენენ, მაგრამ მეთოდურად სინქრონიული განხილვა არ უნდა შეიცავდეს დიაქრონიის ელემენტებს. სინქრონიაში ავტორი მიჯნავს არა სინქრონიულსა და დიაქრონიულს, არამედ სტატიკურსა და დინამიკურს. ამისათვის იგი ცდილობს, დაადგინოს განსხვავება დიაქრონიისა და დინამიკის ცნებებს შორის. დიაქრონიის ძირითადი ცნებაა ცვლილება. ენობრივ ცვლილებასთან საქმე გვაქვს ყოველთვის, როდესაც: ა) პროცესი მიმდინარეობს „ემურ“ და არა მხოლოდ „ეტურ“ დონეზე; ბ) პროცესი არაუკუშექცევადია. მაგრამ თუ პროცესი მიმდინარეობს მხოლოდ „ეტურ“ დონეზე, ან „ემურ“ დონეზე, მაგრამ ის უკუშექცევადია, მაშინ საქმე გვაქვს არა ცვლილებასთან, არამედ დინამიკურ გადასვლებთან სინქრონიის ფარგლებში. ამგვარია, მაგალითად, ტრანსფორმაციული გრამატიკის ელემენტები. ემურ დონეზე მიმდინარე უკუშექცევად პროცესს ეწოდება არა ცვლილება, არამედ მონაცვლეობა. მონაცვლეობა, განსხვავებით ცვლილებისაგან, სინქრონიის კუთვნილებაა. სწორედ მონაცვლეობაა დინამიკა სინქრონიაში. მონაცვლეობა უკუშექცევადი პროცესია, მაშინ როდესაც ცვლი-

ლება არაუკუშექცევადია. დინამიკის ელემენტები გვაქვს აგრეთვე ე.წ. „ტაქსონომიურ“ მოდელშიც მორფოფონემატურ მონაცვლეობათა სახით. უნდა აღინიშნოს, რომ მორფოფონემატური (მორფონოლოგიური) მონაცვლეობები წარმოადგენენ დიაქრონიული პროცესების (ცვლილებათა) შედეგს და თავის მხრივ ამ პროცესების (ცვლილებათა) ერთ-ერთ პოტენციურ წყაროს.

63. ბრუნების საერთო-ქართველური სისტემის რეკონსტრუქციისათვის, 1967 წ., საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXIII სამეცნიერო სესია, თეზისები.

ბრუნების საერთო-ქართველური პარადიგმა მხოლოობით რიცხვში შეიცავს ოთხ გრამემას: სახელობითი („განსაზღვრული“ და „განუსაზღვრელი“), მოთხრობით-ვითარებითი, მიცემითი, ნათესაობითი. მრავლობით რიცხვში საქმე გვაქვს ბრუნების უმარტივეს – ბინარულ მოდელთან, სადაც „პირდაპირ“ („სახელობითს“) ბრუნვას უპირისპირდება „ირიბი“ ბრუნვა, რომელიც ფუნქციონალურად შეესატყვისება მხოლობითი რიცხვის მოთხრობით-ვითარებითს, მიცემითსა და ნათესაობით ბრუნვებს. პერსონალური სახელებისათვის ივარაუდება სამბრუნვიანი მოდელი: სახელობითი, რომელიც ითავსებს აგრეთვე მოთხრობითის ფუნქციას, მიცემითი და ნათესაობითი.

ბრუნების საერთო-ქართველური სისტემა ტიპოლოგიურ პარალელებს ამჟღავნებს მთის კავკასიურ (ნაწილობრივ აგრეთვე ინდოევროპულ) სისტემებთან: კერძოდ, ოთხბრუნვიანი ქართველური მოდელი ტიპოლოგიურად იზომორფულია ნახურ-დაღესტნურ ენებში ფართოდ გავრცელებული მოდელისა (შდრ. მაგალითად, ხუნძურის ოთხი ძირითადი ბრუნვა), ხოლო ბინარული მოდელი ტიპოლოგიურად შეესაბამება ადიღურ ენათა სათანადო მოდელს.

ყურადღებას იქცევს ზოგიერთი ბრუნვის მორფემათა მსგავსება გამოხატულების პლანში დაღესტნურ და ინდოევროპულ ენათა შესაბამის მორფემებთან.

64. Сравнительно-исторический метод и картвельские языки, Проблемы языкознания, М., 1967, გვ. 260-263. ლინგვისტთა X საერთაშორისო კონგრესზე წაკითხული მოხსენება. მოხსენების თეზისები დაბეჭდილია: Abstracts of papers, X International Congress of Linguists, Bucharest, August-September, 1967, გვ. 220.

კლასიკური შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერების აპარატი უნივერსალურია და მისი გამოყენება შეიძლება გენეტურად დაკავშირებული ნებისმიერი ოჯახის მიმართ. ნათესაობა დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს სწორედ იქ, სადაც ხერხდება უნივერსალური შედარებით-გენეტური პროცედურების გამოყენება საანალიზო მასალის მიმართ. ქართველური ენების ნათესაობის ძიებამ მკვლევრები დადებით შედეგებამდე მიიყვანა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში. მაგრამ შემდეგ, გარკვეული ხნის განმავლობაში, კერძოდ, ნ. მარის პირველი იაფეტოლოგიური

ძიების შემდეგ, ქართველოლოგიის ზოგიერთმა წარმომადგენელმა გადაუხვია კლასიკური შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერების მეთოდოლოგიას. ეს გამოიხატა კერძოდ იმაში, რომ: ა) საერთო-ქართველურის რეკონსტრუქცია ხორციელდებოდა არა შედარებით-ისტორიული პროცედურების თანმიმდევრული გამოყენებით ქართველური ენების მასალის მიმართ, არამედ წინასწარ დაშვებულ მტკიცებაზე დაყრდნობით, რომ ქართველური ენები ენათესავება ჩრდილოკავკასიურ ენათა ოჯახს. ამიტომ საერთო-ქართველურში, რეკონსტრუქციათა რელატიურ-ქრონოლოგიური საფეხურების დაუდგენლად, აღადგენდნენ ჩრდილოკავკასიური ენებისათვის დამახასიათებელ მოდელებს (მაგალითად, კლასის ნიშნებს), რომლებიც არა ტიპოლოგიური პარალელების, არამედ სწორედ გენეტური იდენტობის ამსახველებად ივარაუდებოდნენ. თავის მხრივ, ამგვარად აღდგენილი გრამატიკული კლასების არსებობა ცხადდებოდა იბერიულ და კავკასიურ ენათა ოჯახების ნათესაობის დამამტკიცებელ ძირითად არგუმენტად, რაც ფაქტობრივად ლოგიკურ წრეს ქმნიდა; ბ) რეგულარულ ფონეტიკურ შესატყვისობად მიაჩნდათ მხოლოდ დიფერენცირებული მასალა, სხვა შემთხვევებში, სადაც საქმე ეხებოდა ე.წ. „იდენტურ“ შესატყვისობებს (მაგალითად, ქართ. სისინა: ზან. სისინა), ლაპარაკობდნენ ან შესატყვისობათა დარღვევაზე, ან სესხებაზე, რასაც ხშირად მოჰყვებოდა მეთოდურად მცდარი დიაქრონიული ინტერპრეტაციები; გ) ნ. მარს სვანური ნარევ ენად მიაჩნდა. ეს თვალსაზრისი გაიზიარა არნ. ჩიქობავამაც. სვანური მას მიაჩნდა „აგრეგატად – უნიკალური ტიპის ნარევ ენად“, რომელიც თავისებურ, ახლებურ მეთოდოლოგიურ მიდგომას საჭიროებდა. ავტორის აზრით, ამის გამო სვანური ენის მეტად საყურადღებო მასალა არ იყო სათანადოდ გამოყენებული ქართველური ენების გენეზისის კვლევისას. უკანასკნელ წლებში შედარებით-ისტორიული ქართველოლოგიის ზოგიერთმა წარმომადგენელმა კვლავ მიმართა შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერების კლასიკურ მეთოდებს. ამასთანავე ისინი, ეყრდნობიან რა ენათმეცნიერების მთლიანობის პოსტულატს, დიაქრონიული კვლევისას იყენებენ აგრეთვე თანამედროვე სტრუქტურული ლინგვისტიკის მონაპოვრებსაც. ამ მიმართულებით წარმოებულმა გამოკვლევებმა უჩვენეს, რომ შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერების კლასიკური მეთოდების გამოყენება (სტრუქტურული ლინგვისტიკის მეთოდებთან ერთად) სავსებით გამართლებულია და პოზიტიურ შედეგებს იძლევა ისეთ „ეგზოტიკურ“ სფეროში, როგორადაც აქამდე მიაჩნდათ იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება. ამ დასკვნამდე მივყავართ ჩრდილოკავკასიური ენების ქვეჯგუფების კვლევისადმი მიძღვნილი ზოგიერთი უახლესი ნაშრომის შედეგებსაც.

65. Г. Климов, **Этимологический словарь картвельских языков,** რეცენზია რუსულ ენაზე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, №1, ენისა და ლიტერატურის სერია, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1967, გვ. 317-321.

რეცენზენტი მიიჩნევს გ. კლიმოვის ნაშრომს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპად ქართველოლოგიის, როგორც შედარებით-ისტორიული დისციპლინის, განვითარებაში. იგი აკუთვნებს ავტორს იმ ახალ მიმართულებას, რომელიც კლასიკური შედარებით-ისტორიული მეთოდოლოგიისა და თანამედროვე სტრუქტურული მიდგომის სინთეზის საშუალებით ცდილობს, გადააქციოს ქართველოლოგია ზუსტ დიაქრონიულ დისციპლინად. ავტორის შენიშვნები ეხება რამდენიმე შესატყვისობას.

66. აკაკი შანიძის გრამატიკული კონცეფციის ზოგიერთი საკითხი სტრუქტურული ლინგვისტიკის თვალსაზრისით, „ორიონი", თსუ გამომცემლობა, 1967 გვ. 56-64.

ა. შანიძის გრამატიკული მოძღვრება შეიძლება განისაზღვროს როგორც სტრუქტურალიზმის ერთ-ერთი ადრინდელი ნაირსახეობა მორფოლოგიის სფეროში. ფუნქციის წინ წამოწევა და მისთვის სათანადო ადგილის მიჩნევა, პარადიგმატული ასპექტის უპირატესობა სინტაგმატურთან შედარებით, ერთგვარი მიდრეკილება ბინარიზმისაკენ ის ნიშან-თვისებებია, რომლებიც აძლევენ ავტორს უფლებას ა. შანიძის გრამატიკული მოძღვრება, პირველ რიგში, ფუნქციონალური ლინგვისტიკის თავისებურ ორიგინალურ ვარიანტად მიიჩნიოს. ა. შანიძის მიერ მოპოვებული პოზიტიური შედეგები, ავტორის აზრით, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ ქართული ენის სინქრონიული კვლევის მიმართულებას. წერილის შესავალში ავტორი სხარტად აყალიბებს თანამედროვე სტრუქტურული მეთოდიკის ამოსავალ პოსტულატებს და ძირითად ოპერაციებს.

67. სამი რიგის თეორიის დაზუსტებისათვის, 1967 წ., გამოუქვეყნებელი ხელნაწერი, 5 გვერდი.

ავტორი ახასიათებს შუა რიგის გადაწევის ეტაპებს პროტოზანურსა და პროტოსვანურში სონანტთა თეორიის მონაცემების გათვალისწინებით.

68. უმლაუტის ისტორიიდან სვანურში (რელატიური ქრონოლოგიის დადგენის ცდა), 1967 წ., გამოუქვეყნებელი ხელნაწერი, 30 გვერდი, რუსული რეზიუმე, 1 გვერდი.

პალატალური უმლაუტის ისტორიაში ავტორი განარჩევს ორ პერიოდს:

ა) სვანური ფონემა /ა/ <საერთო-ქართვ. /*ა/, მომდევნო მარცვლის [ი] ბგერის გავლენით ემთხვევა /ე/ (<ს. ქართვ) /*ე/ ფონემას: ***სემ-ი*** <****სამ-ი;***

ბ) პალატალურ უმლაუტს განიცდის არა მარტო ფონემა /უ/, არამედ აგრეთვე /ო/, /უ/და /გ/ ფონემები, ისევ მომდევნო [ი]-ს გავლენით (ნაწილობრივ უმლაუტში მონაწილეობს [ე] -ც), იმ პირობით, რომ თვითონ მაუმლაუტებელი ბგერა ქრება. უმლაუტის მეორე ეტაპის შედეგად სვანურში ჩნდება პალატალურ ხმოვან ფონემათა რიგი /ä/, /ö̈/, / ü̈ /, ხოლო /გ/ შეუხორცდება /ი/-ს. სხვადასხვა პერიოდის უმლაუტის კანონზომიერებათა თანდათანობითი განხორციელების შედეგად იქმნება რთული სურათი სვანური და სხვა ქართველური ენების ხმოვანფონემათა

სინქრონიული შესატყვისობებისა. ავტორი ცდილობს, განხილული ჰიპოთეზის მოშველიებით დიფერენცირებულად წარმოადგინოს უმლაუტის შემცველი მასალა.

69. К вопросу о древнейших картвельско (южнокавказско)-индоевропейских контактах, 1967 წ., თეზისები, გამოუქვეყნებელი ხელნაწერი, 4 გვერდი რუსულ ენაზე.

საერთო-ქართველური ფუძე-ენა ავლენს ტიპოლოგიურ მსგავსებას არა არქაულ ინდოევროპულ ტიპთან (მონოვოკალიზმი, ლარინგალები, მკაცრი მორფონოლოგიური სქემა ძირეული მორფემისა), არამედ გვიანდელ, „კლასიკურ“ (და, როგორც ჩანს, დიალექტურ) ინდოევროპულთან, ლარინგალთშემდგომი ხანისა. შედარებით მდიდარია ვოკალიზმი, იდენტური ფონემური ინვენტარით: /*ə/, /*ē/, /*ō/, /*ā/, /*ī̄/, /*ū̄/; მრავალფეროვანია მორფემათა მორფონოლოგიური სტრუქტურა, თუმცა მაინც უპირატესია ძირეული მორფემისათვის მოდელი CVC, ხოლო სუფიქსურისათვის – -VC. აბლაუტის შედარებით განვითარებული და მრავალმხრივი სისტემა. ეს თვისებები ააxლოებენ საერთო-ქართველურს არა „ანატოლიურ“ (ხეთურ-ლუვიურ), არამედ სწორედ „კლასიკურ“ ინდოევროპულ ტიპთან: პროტობერძნულთან, პროტოირანულთან და სxვ. ამასვე ადასტურებს ლექსიკური შეxვედრები, რომლებიც უპირატესად kentum ტიპის მასალას ავლენენ. ავტორი ასკვნის, რომ იმ ტომობრივ კავშირში (resp. Sprachbund), რომელიც აერთიანებდა ინდოევროპულსა და ქართველურ ტომებს, შედიოდნენ არა ანატოლიური (ხეთურ-ლუვიური) ტომები, არამედ ტომები, რომელნიც მეტყველებდნენ პროტობერძნულ-ირანულთან ახლოს მდგომ დიალექტებზე და რომელნიც დაექვემდებარნენ ასიმილაციას ქართველური (და შესაძლებელია სxვა: ურარტული, ჩრდილოკავკასიური?) ტომების მიერ ჩვენს წელთაღრიცxვამდე III ათასწლეულის განმავლობაში, ან II ათასწლეულის I ნახევარში.

70. К вопросу о моновокализме в адыгских языках, 1967 წ., თეზისები, გამოუქვეყნებელი ხელნაწერი, 3 გვერდი.

ავტორი საერთო-ადიღურისათვის აღადგენს არა მონოვოკალურ, არამედ ბივოკალურ სისტემას და ლარინგალებს. საერთო-ადიღურისათვის, ავტორის აზრით, დამახასიათებელია xმოვანთა აბლაუტური (თვისებრივი) მონაცვლეობა.

71. ჰანს ფოგტის შრომები ქართული ენის შესახებ, 1967 წ., საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, გამოუქვეყნებელი ხელნაწერი, 21 გვერდი.

ქართული და ქართველური ენებისადმი მიძღვნილ მრავალრიცxოვან გამოკვლევებში, მიმოxილვითი xასიათის სტატიებსა და რეცენზიებში ჰანს ფოგტმა წამოაყენა და თავისი თეორიული და მეთოდოლოგიური პოზიციებიდან გადაჭრა ქართული და ქართველური ენების სინქრონიისა და დიაქრონიის არაერთი ფუნდამენტური პრობლემა. მიმოxილვაში გაანალიზებულია ფოგტის მონოგრაფიები:

„თანამედროვე ქართული ენის გრამატიკის ესკიზი“ (ფრანგულად, ოსლო, 1938), „ქართულის ფონოლოგიური სტრუქტურა“ (ფრანგულად, ოსლო, 1958). ავტორი აღნიშნავს, რომ ფოგტს ქართული მორფოლოგიისა და ფონოლოგიის ბევრი საკითხი ორიგინალურად აქვს დასმული და გადაწყვეტილი. განსაკუთრებით ეს ეხება მორფოლოგიაში ქართული ზმნის დრო-კილოთა სისტემასა და ფონოლოგიაში მრავალკონსონანტიანი ჯგუფების დისტრიბუციულ მოდელებს. ფოგტის სტატიებიდან ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს შემდეგს: „ხმოვანთმონაცვლეობა ქართულში“ (ფრანგულად, NTS, XI, 1938), „ზმნური სუფიქსები ძველ ქართულში“ (ფრანგულად, NTS, XIV, 1947) და „ძველი ქართული ენის ბრუნვათა სისტემა“ (ფრანგულად, NTS, XIV, 1947).

72. გ. ახვლედიანისადმი მიძღვნილი საიუბილეო წერილი (დაბადებიდან 80 წლისთავთან დაკავშირებით), გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“, 1967 წ.

73. И. Гецадзе, В. Недялков, А. Холодович, **Каузативные глаголы и структуры в грузинском языке,** 1967 წ., რეცენზია რუსულ ენაზე, გამოუქვეყნებელი ხელნაწერი, 3 გვერდი.

74. ქართველურ ენათა დიაქრონიული ფონოლოგიის ზოგიერთი საკითხი, გ. ახვლედიანის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, თსუ გამომცემლობა, 1967, გვ. 156-165.

I. *ბოლოკიდური ო მეგრულ-ლაზურში.* ქართველურ ენათმეცნიერებაში მიღებულად ითვლება დებულება, რომლის თანახმადაც ზანურში /**ო**/ ხმოვანი (თავდაპირველი ან ს. ქართველ. /*ა/-ს რეფლექსი) პაუზის წინ რეგულარულად შეერწყა /**უ**/ ხმოვანს. მაგ. ქართ. ***წებო*** : მეგრ. ლაზ. ***ჭაბუ.*** ავტორი აღნიშნულ პროცესს განსხვავებულად აღწერს. ს. ქართველ. /*ო/ ადრინდელი პერიოდის ზანურში რეგულარულად (გარდა, როგორც ჩანს, თავკიდური პოზიციისა) შეიცვალა ვიწრო /*ო/ ხმოვნით, რომელიც დაუპირისპირდა ს. ქართველ. /*ა/ ხმოვნისაგან მიღებულ ფართო /*ო/-ს. ოპოზიცია ვიწრო /*ო/ : ფართო /*ო/ ზოგ პოზიციაში განიცდიდა ნეიტრალიზაციას და არქიფონემა რეალიზდებოდა ვიწრო /*ო/-ს სახით. ერთ-ერთი ასეთი პოზიცია იყო მდგომარეობა პაუზის წინ, უფრო გვიან ზან. /*ო/>/*უ/ (ზოგჯერ აგრეთვე /*ი/). ზემოთქმულით ავტორი ხსნის /*ა/ და /*ო/ პროტოფონემათა რეფლექსების იდენტობას თანამედროვე დიალექტებში. მიუხედავად ამისა, ზანურ დიალექტებში დასტურდება ს. ქართველ. და ქართ.-ზან. წარმომავლობის ფუძეები და აფიქსები, რომლებიც დღემდე ინარჩუნებენ ბოლოკიდურ /**ო**/-ს (მაგ., ***დო, კოჩო, ჩხორო***). ვით. ბრუნვის -**ო**<-*__ოთ__<ს. ქართველ. -*__ად__. „**დო**“ კავშირის /**ო**/ ფონემა იქცევა როგორც ინლაუტის /**ო**/. რაც შეეხება /**ო**/ ფონემის შემცველ სახელურ ფუძეებს, მათ მიმართ ავტორი აყალიბებს წესს: /**ო**#/>/**უ**#/ პროცესი ზანურში არ მიმდინარეობდა ორმარცვლიან სიტყვებში, რომლებიც პირ-

ველ მარცვალში /ო/ ხმოვანს შეიცავენ. ამის გამო /*ო/ : /*ო/ დაპირისპირების ნეიტრალიზაციისას ასეთ შემთხვევებში არქიფონემა რეალიზდება /*ო/-ს სახით. ნაშრომში განხილულია და ახსნილი აგრეთვე გამონაკლისები ამ წესიდან.

II. *(ᲮᲮ) და (ᲪᲮ) ჯგუფების ისტორიული განაწილებისათვის სვანურში.* ამ ნაშრომში ავტორი ავითარებს თავის იდეას იმის შესახებ, რომ სვანურში დეზაფრიკატიზაციის პროცესს არ ჰქონდა ადგილი სონანტების შემდგომ პოზიციაში. განხილულია /***ᲮᲮ**/ და /***ᲪᲮ**/ ჯგუფების შესატყვისობები ქართველურ ენებში. ავტორის აზრით, ს. ქართველურ მდგომარეობას ქართულ-ზანური ასახავს, ხოლო სვანურის ვითარება მეორეული უნდა იყოს: სვანურის ისტორიის გარკვეულ პერიოდში ნეიტრალიზაცია განიცადა ოპოზიციამ საერთო-ქართველურიდან ნაანდერძევ /***ᲮᲮ**/ და /***ᲪᲮ**/ ჯგუფებს შორის, ისე რომ არქიფონემური ჯგუფი რეალიზდებოდა ხმოვნების (მათ შორის აგრეთვე **ი**-ს) შემდეგ /**ᲮᲮ**/ ჯგუფით, ხოლო /**მ, რ, ნ**/ სონანტების შემდეგ /**ᲪᲮ**/ ჯგუფის სახით:

ს. ქართველ. არქ. სვან.

*VᲮᲮ
*VᲪᲮ } ⇨ *VᲮᲮ

*SᲮᲮ
*SᲪᲮ } ⇨ *SᲪᲮ

განვითარების მეორე საფეხურზე ცვლილება შეეხო აღნიშნული ჯგუფების გარემოცვას; /**მ, რ, ნ**/ სონანტები გაქრა /**ᲪᲮ**/ ჯგუფის წინ:

არქ. სვან.

*VᲮᲮ ⇨ VᲮᲮ

*SᲪᲮ ⇨ ØᲪᲮ

იმ შემთხვევაში, როდესაც სონანტს უსწრებდა ხმოვანი, პირველის გაქრობის შედეგად, უკანასკნელი უშუალოდ /**ᲪᲮ**/ ჯგუფის წინ უნდა აღმოჩენილიყო, რასაც, ცხადია, მოჰყვებოდა /**ᲮᲮ**/ –/**ᲪᲮ**/ ოპოზიციის აღდგენა:

არქ. სვან. სვან.

*VᲮᲮ ⇨ VᲮᲮ

*VSᲪᲮ ⇨ VᲪᲮ

ავტორი სვამს კიდევ ერთ კითხვას: როგორც გამოირკვა, სონანტის დაკარგვა არ იწვევს წინამავალ ხმოვანთა „საკომპენსაციო დაგრძელებას“. ხომ არ შეიძლება იგივე დასკვნა გავავრცელოთ ჩქამიერ თანხმოვანთა ზოგ კატეგორიაზედაც, მაგალითად, სიბილანტური ჯგუფის სპირანტებზე.

75. უძველესი ქართული სოციალური ტერმინები: ოჩე (საუხუცესო// საუფროსო), თსუ შრომები, ტ. 127, 1968, გვ. 381-402 (ზაზა ალექსიძესთან ერთად).

ნაშრომში მოცემულია ქართველური სოციალური ტერმინების: ***ოჩე, სეფე, მეფე*** და სხვა, კომპლექსური კვლევის ცდა. ავტორები ერთდროულად იყენებენ

ლინგვისტურსა და ისტორიოგრაფიულ-სოციოლოგიურ მეთოდიკას და ახორციელებენ ენობრივი, ისტორიულ-სოციალური და არქეოლოგიური მონაცემების სინთეზს. ავტორებს ჩამოთვლილი ტერმინების ბედი შემდეგნაირად წარმოუდგებათ. ს. ქართველ. რეკონსტრუირებული არქეტიპის შესაბამის სიტყვას *ᲡᲐᲪᲘᲔ-ს (ქრონოლოგიურად XIX ს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) საერთო-ქართველური ერთიანობის ეპოქაში ჯერ არ უნდა ჰქონოდა სოციალური ტერმინის სტატუსი, თუმცა გარკვეულ კონტექსტებში მას უკვე შეეძლო მიეღო სოციალური მნიშვნელობა, როგორც *ᲰᲣᲪᲘ-Ე- სიტყვის ანტონიმს: *ᲰᲣᲪᲘ-Ე („უხუცესი“, „უფროსი“ – (სუბიექტი) – *ᲡᲘ-Ა-ᲪᲘ-Ე – „საუფროსო: ის, რაც უფროსისათვის არის განკუთვნილი“ – (ობიექტი), ჩვენს წელთაღრიცხვამდე II ათასწლეულში საერთო-ქართველურიდან გამოყოფილი სვანური ენისათვის უცხო არ უნდა ყოფილიყო *ᲡᲘᲪᲘᲔ, მაგრამ მას ვერ ექნებოდა სოციალურად ფიქსირებული შინაარსი სვანეთის ეკონომიურ-სოციალური პირობების თავისებურების გამო. *ᲡᲘᲪᲘᲔ სიტყვის რეფლექსის დაკარგვა მომდევნო პერიოდის სვანურში სწორედ ამით უნდა აიხსნებოდეს. I ათასწლეულში ძვ. წ. აღ. ქართულ-ზანურ ენობრივი ერთიანობის დაშლას წინ უსწრებს და თან სდევს მიწათმოქმედების სწრაფი განვითარება და კლასობრივი საზოგადოების წარმოქმნის პროცესი. ამ პერიოდში ისტორიის სარბიელზე გამოდის *ᲛᲔ-ᲤᲔ, როგორც „მფლობელი, მქონებელი“ (სუბიექტი) და მას გვერდში უდგას მისი ანტონიმი *Ს-Ე-Ფ-Ე, როგორც „ფლობის საგანი“ (ობიექტი), რომელიც ამ დროისათვის უკვე მიწასაც გულისხმობს. ქართულ-ზანური ერთიანობის დაშლის შემდეგ ქართულში მკვიდრდება **სეფე** როგორც ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის ამსახველი სოციალური ტერმინი, რომელმაც ხმარებიდან განდევნა უფრო არქაული *ᲡᲐᲪᲔ. ზანურში, პირიქით, არქაული ᲝᲩᲔ (*ᲡᲘᲐ-ᲪᲘ-Ე-ს ზანური რეფლექსი) თანდათან ახალი სოციალური შინაარსით ივსება და ქართული ᲡᲔᲤᲔ-ს მიახლოებითი სემანტიკური ეკვივალენტი ხდება, რასაც შედეგად მოსდევს ქართ. ზან. *Ს-Ე-Ფ-Ე ფუძის სავარაუდო ზანური რეფლექსის (*Ა-Ფ-Ა) დაკარგვა. შედეგად მივიღეთ ისეთი ვითარება, როდესაც სუბიექტ-ობიექტის დამოკიდებულების ამსახველი ორი კორელაციური წყვილიდან – ᲰᲣᲪᲘᲔ : *ᲡᲘᲪᲘᲔ და *ᲛᲔᲤᲔ : *ᲡᲔᲤᲔ ქართულმა და ზანურმა მხოლოდ სუბიექტის აღმნიშვნელი წევრები – ქართ. ᲮᲣᲪᲔᲡᲘ : მეგრ. ლაზ. ᲣᲩᲐᲨᲘ, ქართ. ᲛᲔᲤᲔ : მეგრ. ლაზ. ᲛᲐᲤᲐ (ამათგან პირველი სვანურშიც დასტურდება: ᲮᲝᲨᲐ „დიდი, უფროსი, წინაპარი“) – შემოგვინახეს, ხოლო ობიექტის აღმნიშვნელი წევრებიდან თითოეულმა მათგანმა მხოლოდ თითო ერთეული დაიცვა: ქართ. ᲡᲔᲤᲔ, ზან. ᲝᲩᲔ. კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების დასაწყისში *ᲛᲔᲤᲔ არ უნდა ყოფილიყო „მონარქის“ აღმნიშვნელი და არც *ᲡᲔᲤᲔ – „მონარქის კუთვნილი ქვეყნისა“, სწორედ ისე, როგორც *ᲰᲣᲪᲘᲔ და *ᲡᲘᲪᲘᲔ არ იქნებოდნენ ასეთნი. ხუცესები და მეფეები მრავლად მოიპოვებოდნენ. მონარქიაზე გადასვლის ტრამპლინი მამასახლისის ინსტიტუტი ხდება. მეფე მონარქად იქცევა და სეფე სამონარქო სამფლობელოდ მხოლოდ მას

შემდეგ, რაც ერთ-ერთი მეფე ისაკუთრებს მამასახლისის უფლებებს. იგივე პროცესი მიმდინარეობს დასავლეთ საქართველოშიც. ***ოჩე*** ქვეყანა ერთი ***უჩა შ***-ის კუთვნილი მიწა ხდება და ამ მკვეთრი სოციალური შინაარსით ითვისებს მას ქართული ენის გურული დიალექტი მას შემდეგ, რაც უფრო ადრინდელ ზანურ მეტყველებას დღევანდელი გურია-აჭარის ტერიტორიაზე ქართული ენა ცვლის. ზანური დიალექტებიდან ***ოჩე*** სიტყვამ ქართული ენის ზემოიმერულ კილოკავშიც შეაღწია საკმაოდ შეცვლილი, სოციალური შინაარსისაგან დაცლილი მნიშვნელობით: „ტყეში გამოკაფული დასამუშავებელი მიწა, ახო“.

76. სალიტერატურო ენის ნორმირების ზოგიერთი საკითხი, 1966 წ., ხელნაწერი, გამოქვეყნდა ავტორის სიკვდილის შემდეგ არქივში დაცული ხელნაწერის მიხედვით, ცისკარი № 12, 1968, გვ. 126-130.

თანამედროვე ენათმეცნიერებაში ენობრივი ფორმები, რომლებიც ეკვივალენტურნი არიან, განიხილებიან როგორც ერთი და იმავე ოდენობის, ერთი და იმავე ენობრივი ერთეულის ვარიანტები. ავტორის აზრით, ამ, ერთი შეხედვით, ტრივიალურ დებულებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სალიტერატურო ენის ნორმირების საკითხისათვის. მართლაც, თუ, მაგალითად, სიტყვები „პაპა“ და „ბაბუა“ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის თვალსაზრისით აბსოლუტურად ეკვივალენტურნი არიან, მაშინ ერთ-ერთი მათგანი ზედმეტია და უნდა განიდევნოს. ავტორის აზრით, სანამ ენობრივ ფორმას ასეთ განაჩენს გამოვუტანდეთ, უნდა შემოწმდეს მისი ფუნქციონალური დატვირთვა ენის ყველა დონეზე: დაწყებული პარადიგმატული ოპოზიციებით და სინტაგმატური კომბინატორიკით, გათავებული ფაქიზი სტილისტური ნიუანსებით. სხვანაირად, თუ ანალიზი ცალმხრივ ხასიათს ატარებს, ამას შეიძლება მოჰყვეს სალიტერატურო ენის არა დახვეწა, არამედ გაღარიბება, გაუფერულება, სტანდარტიზაცია, ამ სიტყვის ცუდი მნიშვნელობით. ერთია პოზიცია „გრამატიკოსისა“, რომელიც ენობრივ ფაქტებს ვიწრო, ცალმხრივი (უპირატესად გრამატიკულ-სემანტიკური) თვალსაზრისით განიხილავს და ცდილობს, თავისი ნორმები თავს მოახვიოს მწერალს, და სულ სხვაა პოზიცია თანამედროვე ლინგვისტური თეორიითა და კვლევის ზუსტი მეთოდებით აღჭურვილი ენათმეცნიერისა, რომელიც, როგორც ობიექტური მეცნიერების წარმომადგენელი, მიზნად ისახავს დეტალურად გამოიკვლიოს ენის ყველა ასპექტი და ამ გზით თავისი წვლილი შეიტანოს სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის რთულსა და პასუხსაგებ საქმეში.

77. გრძლიობის, ასპექტისა და დროის კატეგორიების მიმართება თანამედროვე ქართულში, წაკითხულია მოხსენებად თსუ ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის გაფართოებულ ღია სხდომაზე 1968 წელს, მოხსენების თეზისები და ტექსტი ჯერჯერობით დაკარგულია. ძირითადი დებულებები აღდგენილია მაია მაჭავარიანის მიერ, ავტორთან საუბრის საფუძველზე.

ავტორი გამოყოფს ახალ ზმნურ კატეგორიას – გრძლიობას. გამოხატულების პლანში მას შეესაბამება ე.წ. „თემის ნიშნები“. გრძლიობის კატეგორიის მორფემა შეიცავს ალომორფებს: **[-ებ, -ობ, -ამ, -ავ, -ი, -0...].** ამ ალომორფთა შემცველი (მარკირებული) ფორმები უპირისპირდება არამარკირებულ, არაგრძლივ, წყვეტილ ფორმებს: ***ვხატ-ავ*** **:** ***ვხატე, ვაკეთ-ებ*** **:** ***ვაკეთე, ვწერ-0*** **:** ***ვწერე, ვაწუხ-ებ-დი*** **:** ***ვაწუხე*** და სხვა. მეორე დიფერენციალური ნიშანი, რომლითაც უპირისპირდებიან ზმნური ფორმები ერთმანეთს, არის დრო. მარკირებულია ნამყო დრო, ალომორფები: [(**ოდ~ოდი)~(დ~დი**)] (მორფოლოგიურად შეპირობებული გრძლივი ფორმებით: ***ვაკეთ-ებ-დი*** **:** ***ვაკეთ-ებ, ვხატ-ავ-დი*** **:** ***ვხატ-ავ, ვწერ-0-დ-ი*** **:** ***ვწერØ, ვტირ-0-ოდი*** **:** ***ვტირი*** და სხვა), [**ე~ი**||Ø] (მორფოლოგიურად შეპირობებული არაგრძლივი, წყვეტილი ფორმებით: ***ვაკეთ-ე*** **:** ***ვაკეთ-ებ, ვკალ-ი*** **:** ***ვკლ-ავ*** და სხვა), მარკირებულ ნამყოს უპირისპირდება არამარკირებული აწმყო-ზოგადი. მესამე დიფერენციალური ნიშანი, რომლითაც ვიღებთ პარადიგმატულ ოპოზიციას, არის კილო. მარკირებულია კავშირებითი კილო, ალომორფები **[-ე]** (მორფოლოგიურად შეპირობებულია ნამყო დროის [**ოდ~დ**] ალომორფით: ***ვაკეთ-ებ-დ-ე*** **:** ***ვაკეთ-ებ-დი, ვტირ-0-ოდ-ე*** **:** ***ვტირ-0-ოდი***], **[-ო]** (მორფოლოგიურად შეპირობებულია: ენაცვლება ნამყო დროის [-**ე**] ალომორფს: ***ვაკეთ-ე*** **:** ***ვაკეთ-ო***), **[-ა]** (ენაცვლება ნამყო დროის **ი**||Ø-ს: ***ვკალ-ი/Ø*** **:** ***ვკლ-ა***). მეოთხე პარადიგმატული დიფერენციალური ნიშანია ასპექტი, მარკირებულია სრული ასპექტი, არამარკირებულია – უსრული. ***ვაკეთ-ებ*** **:** ***გა-ვაკეთ-ებ, ვაკეთ-ე*** **:** ***გა-ვაკეთ-ე, ვაკეთ-ებ-დი*** **:** ***გა-ვაკეთ-ებ-დი, ვაკეთ-ებ-დ-ე*** **:*****გა-ვაკეთ-ებ-დ-ე,* ***ვაკეთო*** **:** ***გა-ვაკეთ-ო*** და სხვა. ეს დიფერენციალური ნიშნები ქმნიან ზმნის ძირითად პარადიგმას დრო-კილოთა მიხედვით. მაგრამ ამ დიფერენციალურ ნიშანთა კონებს შეიძლება ჰქონდეთ დამატებითი გრამატიკული მნიშვნელობაც. მაგალითად: მომავალი დრო დამატებითი გრამატიკული მნიშვნელობაა დიფერენციალურ ნიშანთა კონისათვის: აწმყო ზოგადი + გრძლივი + სრული ასპექტი (ამგვარი აღწერა სიმეტრიულ სურათს გვაძლევს, რამდენადაც ასპექტობრივი დაპირისპირება გვაქვს ყველა ფორმასთან); ხოლმეობითობა (პირობითობა) დამატებითი გრამატიკული მნიშვნელობაა დიფერენციალურ ნიშანთა კონისათვის: ნამყო + გრძლივი + სრული ასპექტი; ერთგზისობა-მრავალგზისობა დამატებითი გრამატიკული მნიშვნელობაა დიფერენციალურ ნიშანთა კონისათვის: ნამყო + წყვეტილი + სრული = ერთგზისი, ნამყო + წყვეტილი + უსრული = მრავალგზისი და სხვა. ცალკეა განსახილველი სტატიკურობა-დინამიკურობისა, ე.წ. III სერიის ფორმები და საშუალი გვარის ზმნები. მოცემული თვალსაზრისით, ზმნურ ფორმათა პარადიგმა განსხვავებულ სახეს მიიღებს ტრადიციულთან შედარებით.

78. ფუძე-ენის პრობლემა თანამედროვე ენათმეცნიერებაში, 1968 წ., თსუ ზოგადი ენათმეცნიერების კათედრა, გამოუქვეყნებელი ხელნაწერი, 25 გვერდი.

ტერმინი ფუძე-ენა, ავტორის აზრით, შეიძლება ორგვარად განიმარტოს:

ა) „ონტოლოგიურად“ – ამ აზრით, ფუძე-ენა იქნება ის რეალურად არსებული, დიალექტებად დაშლილი ენა, რომლის დიფერენციაციის შედეგად იქმნება მონათესავე ენები. ამგვარი გაგებით, ყოველი რეალურად არსებული ენა პოტენციური ფუძე-ენაა. და, ამგვარად, ფუძე-ენის ონტოლოგიური განსაზღვრა ბევრად იქნება დამოკიდებული იმ თეორიაზე, რომლის ტერმინებშიც განისაზღვრება ზოგადად ენა; ბ) „ოპერაციულად“ – ფუძე-ენა ოპერაციული გაგებით არის არა რეალური (თუნდაც დღეს უკვე გამქრალი) ენა, არამედ თეორიული კონსტრუქტი, აგებული გარკვეული წესების დაცვით მონათესავე ენათა სათანადო მონაცემების საფუძველზე. ავტორის შემდგომი მსჯელობის საგანია სამი საკითხი: 1) რა პრინციპებს ემყარება მონათესავე ენათა საერთო მოდელის აგება (resp. ფუძე-ენის რეკონსტრუქცია); 2) რა მეთოდოლოგიური ღირებულება აქვს მონათესავე ენათა საერთო მოდელს; 3) რა მიმართებაშია მონათესავე ენათა საერთო რეკონსტრუირებული მოდელი მათს „ნამდვილ“ წინაპარ ენასთან.

79. მორფოლოგია, 1968 წ., თეორიული ნარკვევი, ხელნაწერი, 46 გვ. ნაშრომი დაიბეჭდა “ენათმეცნიერების შესავლის საკითხებში“ (გ. ახვლედიანის რედაქციით), თსუ გამომცემლობა, 1972, გვ. 176-216.

თანამედროვე სტრუქტურული ენათმეცნიერების თვალსაზრისით ავტორი განიხილავს გრამატიკის ძირითად თეორიულ საკითხებს: ლექსიკური და გრამატიკული მნიშვნელობის განსხვავების დადგენის პრინციპებს, მორფემის არსს, გრამატიკული კატეგორიის დეფინიციის საკითხებს, გრამემების გრამატიკულ კატეგორიებში გაერთიანების პრინციპებს და სხვა.

80. О взаимоотншении между фонологическим и морфологическим уровнями лингвистической модели, Фонологический сборник, Материалы межвузовской конференции, Выпуск II, Донецк 1968, გვ. 201-202.

ითვლება, რომ ენის ფონოლოგიური მოდელის აგება შეიძლება ენობრივი იერარქიის უფრო მაღალი დონეების მონაცემების გაუთვალისწინებლად. სხვა თვალსაზრისით, პირიქით, ყოველი ფონოლოგიური ანალიზი (პარადიგმატული პლანისაც) აუცილებლობით ხორციელდება გარკვეული ინფორმაციის (ყოველ შემთხვევაში, ენის მორფოლოგიური დონის შესახებ) გათვალისწინებით. ავტორის აზრით, ეს უკანასკნელი თვალსაზრისი უკეთესად ასახავს ლინგვისტურ პრაქტიკას. განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობა არსებობს ენის ფონოლოგიურ მოდელსა და მორფონოლოგიური სისტემის იმ წესებს შორის, რომელთა წყალობით მორფემათა თანმიმდევრობა გადაიყვანება ფონემათა თანმიმდევრობაში. ორი ან მეტი პარადიგმატული ფონოლოგიური მოდელიდან ოპტიმალურად უნდა მივიჩნიოთ ის, რომელიც მოგვცემს მორფოლოგიური მონაცვლეობების არაწინააღმდეგობრივად და ეკონომიურად აღწერის საშუალებას. ფონემების სინტაგმატური

გამიჯვნის დროს საჭიროა გავითვალისწინოთ აგრეთვე მეტყველების დანაწევრება მორფოლოგიურ დონეზედაც, კერძოდ, ერთი და იგივე ბგერითი მონაკვეთი შეიძლება სხვადასხვაგვარად დახასიათდეს იმისდა მიხედვით, თუ სად გადის მორფემული ზღვარი.

81. Общекартвельская система склонения в сопоставлении с системами горских кавказских и индоевропейских языков, მოხსენება, წარდგენილი ლინგვისტთა საერთაშორისო სიმპოზიუმზე „ტიპოლოგია", რომელიც შედგა ქ. სეგედში (უნგრეთი) 1968 წელს, აგვისტო-სექტემბერში. მოხსენების ტექსტი აუდიტორიას გააცნო ირინე მელიქიშვილმა (იხ. ანოტაცია 63), დაიბეჭდა კრებულში: Theoretical Problems of Typology and the Northern Eurasian Languages, Akad'émiai Kiad'ó, Budapest, 1970; ინგლისურად: The System of the Ancient Kartvelian Nominal Flection as Compared to Those of the Mountain Caucasian and Indo-European Languages, გვ. 165-171, კრებული მიეძღვნა გივი მაჭავარიანს.

82. უმლაუტის ისტორიიდან სვანურში (რელატიური ქრონოლოგიის დადგენის ცდა), ტ. XVII, 1970, გვ. 94-105 (იხ. ანოტაცია 68).

83. ვნებითის სუფიქსური ტიპის გენეზისის საკითხი ქართველურ ენებში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე", ენისა და ლიტერატურის სერია, №1, 1973, გვ. 107-121 (იხ. ანოტაცია 34).

85. ასპექტის კატეგორია ქართველურ ენებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები IV, 1974, გვ. 118-142 (იხ. ანოტაცია 13).

86. Typologische Parallelen und die dialektmäßigen Modifikationen des Spätgemeinkartwelischen Konsonantsystems, Wissenschaftliche Zeitschrift, Gesellschaft- und Sprachwissenschaftliche Reihe, 24 Jahrgang, Heft 5/6, Jena - Tbilisi, Friedrich-Schiller-Universität, Jena 1975 (ჰაინც ფენრიხის თარგმანი).

87. ნამყო უსრული სვანურში და მისი ადგილი ქართველურ ენათა უღვლილების სისტემაში, იკე, ტ. XXII, 1980, გვ. 207-217 (იხ. ანოტაცია 20).

88. სვანური „მუჟღუერ" („შემოდგომა") სიტყვის ეტიმოლოგიისათვის, იკე, ტ. XXIV, 1985, გვ. 128-130 (იხ. ანოტაცია 31).

89. ბრუნების ზოგიერთი საკითხი სვანურში, იკე, ტ. XXIII, 1985, გვ. 131-241 (იხ. ანოტაცია 44).

90. ზმნის ათემატურ ფუძეთა მნიშვნელობისათვის ქართველურ ენებში, იკე, ტ. XXV, 1986, გვ. 39-50 (იხ. ანოტაცია 24).

91. კაუზატივის კატეგორია ქართველურ ენებში, იკე, ტ. XXVII, 1988, გვ. 62-106 (იხ. ანოტაცია 12).

92. ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა (ლექციების კურსი), თსუ გამომცემლობა, 2002, 152 გვერდი.

წიგნი შედგენილია 1958-1961 წლებში ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა და ქართველურ ენათა განყოფილებებზე წაკითხული ლექციების ჩანაწერების საფუძველზე. ნაშრომში განხილული ქართველურ ენათა ურთიერთმიმართების, შედარებითი ფონოლოგიისა და გრამატიკის საკითხები გივი მაჭავარიანის მიერ მომდევნო წლებში რამდენადმე განსხვავებული ინტერპრეტაციით იქნა წარმოდგენილი.

ნათია ბოტკოველი, ნათია კენჭიაშვილი, ელენე კიკნაძე, ანა კოლხიდაშვილი, მარიამ მათიაშვილი, მარიამ ნავაძე, ნინო ნოზაძე, მარიამ რუხაძე, ელენე ქადაგიშვილი, სალომე ქობალია, ქეთევან ჭილაია

ქართული გრამატიკული აზრის განვითარება: გივი მაჭავარიანი[1]

გამოჩენილი ქართველი ენათმეცნიერი, პროფესორი გივი მაჭავარიანი დაიბადა 1927 წლის 5 დეკემბერს. ის სამეცნიერო ასპარეზზე გამოვიდა მე-20 საუკუნის 50-იან წლებში. ამ პერიოდს თამამად შეიძლება ვუწოდოთ ქართული ენათმეცნიერების „ოქროს ხანა“, რადგანაც ამ დროს მოღვაწეობდნენ ის ქართველი ენათმეცნიერები, რომელთა სახელსაც უკავშირდება ქართველური ენათმეცნიერების, როგორც დარგის, მეთოდოლოგიურად და პროფესიონალურად აღორძინება.

1954 წელს გივი მაჭავარიანმა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად წარმატებით დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები ქართველურ ენებში“.

მე-20 საუკუნის 50-იანი წლების ბოლოდან გივი მაჭავარიანი მჭიდროდ თანამშრომლობდა ქართველ ენათმეცნიერ თამაზ გამყრელიძესთან. სწორედ მათი საერთო მუშაობის შედეგად შეიქმნა ქართველური ენათმეცნიერებისათვის ეპოქალური მნიშვნელობის მქონე მონოგრაფია: „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში“ (1965). ზემოთ ხსენებული ნაშრომის მთავარ მიმართულებას წარმოადგენს ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა. თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის მონოგრაფიაში გამოთქმულია თვალსაზრისი ფუძე-ენაში სონანტთა კლასის არსებობის შესახებ, რის შედეგადაც აიხსნა ქართველურ ენათა შედარებითი ფონოლოგიისა და მორფონოლოგიის მრავალი საკვანძო საკითხი. ნაშრომში, ასევე, წამოყენებულია მოსაზრება, რომელიც სონანტთა კლასის რეკონსტრუირებასთან მჭიდროდაა დაკავშირებული – აბლაუტის (ხმოვანთა ფუნქციონალური მონაცვლეობის) არსებობის დაშვება საერთო-ქართველური ფუძე-ენის დონეზე.

გივი მაჭავარიანის ავტორობით 1965 წელს დაიბეჭდა მონოგრაფია „საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა“.

ამ ნაშრომში აღდგენილია ფუძე-ენის თანხმოვანთა სისტემის ის მდგომარეობა, რომელიც უშუალოდ უძღოდა ცალკეული ქართველური ენების ჩამოყალიბე-

[1] შესრულებულია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების ინსტიტუტის 2016 წლის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ფარგლებში.

ბას. წიგნის პირველ ნაწილში დაწვრილებით არის აღწერილი ქართველურ ენათა შედარების შედეგად აღდგენილი ფუძე-ენის თანხმოვან ფონემათა პარადიგმატული სისტემა. აქ წარმოდგენილია სიბილანტ-სპირანტთა და აფრიკატთა რეკონსტრუქციის ავტორისეული ხედვა.

ნაშრომის მეორე ნაწილში განხილულია კონსონანტური ჯგუფები, რომლებიც აღდგება საერთო-ქართველური ფუძე-ენის დონეზე. გ. მაჭავარიანმა დაადგინა თანხმოვანთა ჯგუფების ძირითადი კანონიკური მოდელები და ის წესები, რომელთა გარდაქმნის შედეგად ჩამოყალიბდა ცალკეულ ქართველურ ენათა თანხმოვანთკომპლექსების სინტაგმატური მოდელები.

ეს გამოკვლევა არის გივი მაჭავარიანი სადოქტორო დისერტაციის თემა. ამ ეტაპზე კი ვისაუბრებთ გივი მაჭავარიანის საკანდიდატო დისერტაციის შესახებ – „ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები ქართველურ ენებში“.

გივი მაჭავარიანის საკანდიდატო დისერტაცია ეხება ქართველურ ენათა ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიების ისტორიულ-შედარებით ანალიზს. ეს კატეგორიებია: პირი, რიცხვი, ქცევა, გვარი (და პოტენციალისი).

ამ ნაშრომის წინასიტყვაობაში ავტორი უპირველესად გვესაუბრება ენის მნიშვნელობაზე საზოგადოებისათვის. ვინაიდან საზოგადოებისათვის უმთავრესია კომუნიკაცია, ხოლო ენა არის კომუნიკაციის საშუალება, საზოგადოება ისევე ვერ იარსებებს ენის გარეშე, როგორც ენა საზოგადოების გარეშე. შესაბამისად, ამ ურთიერთდამოკიდებულების საფუძველზე ცხადი ხდება, რომ ენის ცვლილებები აისახება საზოგადოებაზე და პირუკუ – საზოგადოების ცვლილებები აისახება ენობრივ სისტემებზე. მიუხედავად ზემოთ აღნიშნული მჭიდრო კავშირისა, გივი მაჭავარიანი გვიხსნის, რომ ენის ისტორიის ცვალებადობა მხოლოდ მასზე მეტყველი სოციუმის გავლენით არ არის გამოწვეული, არამედ ენას, როგორც ცოცხალ ორგანიზმს, აქვს საკუთარი შინაგანი კანონები, რომელსაც ის ემორჩილება; ენათმეცნიერების უპირველესი ამოცანა კი სწორედ ამ შინაგანი კანონების შესწავლაა.

ენის შინაგანი კანონების განსამარტად აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ ენის განვითარების პროცესზე, რომელიც მდგომარეობს ენობრივი სისტემების ცვლილებებში, ერთგვარად, ძველი სისტემების ახლით ჩანაცვლების პრინციპში, რომლის დროსაც ახალი ყოველთვის გამომდინარეობს და კავშირშია წინა საფეხურთან.

წინასიტყვაობაში ენისა და საზოგადოების შესახებ მსჯელობისას ავტორი რამდენიმეჯერ იყენებს იოსებ სტალინის ციტატებს, რომლებიც არ ეხება იდეოლოგიურ თემატიკას – ისინი მოტივირებულია სამეცნიერო თემატიკით.

დავუბრუნდეთ ენის შინაგან კანონებს. რა არის საჭირო იმისთვის, რომ დავადგინოთ ენის შინაგანი კანონები? ამისათვის საჭიროა, ვიცოდეთ ენის განვითარების ისტორია. ეს მეტია, ვიდრე უბრალოდ სალიტერატურო ენის ისტორია,

ანუ ისტორია წერილობით, დოკუმენტურად დადასტურებული ენისა. ამ დროს კვლევა-ძიება ეფუძნება სპეციალურ, ისტორიულ შედარებით მეთოდს, რომლის საფუძველზეც ხდება ლექსიკურ ერთეულთა შემადგენელი ფონემების შესატყვისობათა დადგენა სავარაუდოდ მონათესავე ენათა შორის. გივი მაჭავარიანის თქმით, სწორედ ისტორიულ-შედარებითი მეთოდი გვაპოვნინებს ენის შინაგან კანონებს.

გივი მაჭავარიანს კარგად აქვს შენიშნული ის ფაქტი, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ენის ისტორიის შესწავლა პროცესების დინამიკაში დასანახად. მაგალითად, ქართული ენის ისტორიის სრულფასოვანი შესწავლისათვის აუცილებელია გავითვალისწინოთ მონათესავე ენების – ზანურისა (მეგრულ-ლაზურის) და სვანურის – მონაცემები, მათი ისტორია და თითოეულის განვითარების გზა. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი ქართული ენის დღევანდელი სტრუქტურის გააზრება.

მკვლევარი ნათლად გვიჩვენებს, რომ ქართულის სრულფასოვნად შესწავლა, ადრინდელი ვითარების აღდგენა და, მით უმეტეს, საერთო-ქართველური ფუძე წარმომავლობის გარკვევა შეუძლებელია იბერიულ-კავასიურ ენათა მონაცემების გათვალისწინების გარეშე. ავტორი აღნიშნავს, რომ სწორედ ამგვარი მიდგომის – ქართულის იბერიულ-კავკასიურ ენებთან შედარების – საფუძველზე გადაიჭრა რამდენიმე არსებული პრობლემა.

გივი მაჭავარიანი ამავე ნაშრომის წინასიტყვაობაში საუბრობს გრამატიკულ წყობასა და ლექსიკურ ფონდზე, რომელიც ენის საფუძვლად შეიძლება მივიჩნიოთ. გრამატიკა კი, როგორც ენის გრამატიკული სტრუქტურების შემსწავლელი დისციპლინა, ავტორს ენათმეცნიერების ყველაზე მნიშვნელოვან დარგად წარმოუდგენია და იმდროინდელი ქართველური ენათმეცნიერების მთავარ მიზნად სწორედ ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი გრამატიკის შექმნას მიიჩნევს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დისერტაციის მიზანია ქართველურ ენათა ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიების ისტორიულ-შედარებით ანალიზი. ეს კატეგორიებია: პირი, რიცხვი, ქცევა, გვარი (და პოტენციალისი), კაუზატივი, დრო და კილო.

ნაშრომის პირველ ნაკვეთში (როგორც მას ავტორი უწოდებს) განხილულია: პირი, რიცხვი, ქცევა და გვარი (პოტენციალისთან ერთად). მათი ერთად განხილვა წარმოდგენილია ამ კატეგორიათა შინაგანი ურთიერთკავშირის საფუძველზე; ხოლო მეორე ნაკვეთი ეთმობა დანარჩენ კატეგორიებს.

გივი მაჭავარიანი აღნიშნავს, რომ მოცემულ ნაშრომს არ აქვს პრეტენზია, ამომწურავად გასცეს პასუხი ყველა კითხვას ქართული ზმნის მორფოლოგიურ კატეგორიებთან დაკავშირებით, მაგრამ ეს შრომა შეიძლება გახდეს მასტიმულირებელი ამ საკითხზე შემდგომი სისტემური მუშაობისა.

გივი მაჭავარიანის დისერტაციის წინასიტყვაობა შედგება 10 გვერდისაგან. ავტორი შესავალ ნაწილში მოიხმობს ციტატას ი. სტალინის წიგნიდან, ,,მარქ-

სიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“ და იზიარებს მოსაზრებას ენის საზოგადოებრივი ფუნქციის შესახებ, რითაც იგი უპირისპირდება კლასობრივს: „ენა არ შეიძლება იყოს კლასობრივი: ენა საერთო-სახალხო კუთვნილებას წარმოადგენს“. შესავალში ყველა დებულება: ენისა და საზოგადოების, ენისა და მასზე მეტყველი კოლექტივის მჭიდრო კავშირი, ენისა და აზროვნების ურთიერთობა – დამოწმებულია ციტატებით იოსებ სტალინის წიგნიდან, რომელიც ავტორს სქოლიოშიც აქვს მითითებული. ავტორი მიიჩნევს, რომ „ენათმეცნიერების ძირითადი ამოცანაა ენის განვითარების შინაგანი კანონების შესწავლა“, აქ იგი კიდევ ერთხელ იმოწმებს სტალინს და განმარტავს ენის შინაგანი კანონების რაობას: „ენის განვითარების შინაგანი კანონები არის შინაგანი აუცილებელი კავშირები (resp. მიმართებანი) ენის განვითარების მომდევნო საფეხურებს შორის“. იგი პარალელს ავლებს ენის კანონებსა და ეკონომიკურ კანონებს შორის, რასაც იმოწმებს სტალინის წიგნიდან: „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“.

ავტორი ენის კანონების, წესების მნიშვნელობის საილუსტრაციოდ მოიხმობს ა. შანიძის მიერ დადგენილსა და შემდგომ ვ. თოფურიას მიერ დაზუსტებულ სვანური უმლაუტის წესებს და შენიშნავს, რომ, მიუხედავად ამ წესების მუშაობისა, ობიექტური რეალობა ბოლომდე ვერ აღიწერება, რადგან, ავტორის თქმით, „სვანურში გვაქვს უმლაუტის ცალკეული შემთხვევები, რომლებიც აღნიშნული კანონის საფუძველზე არ იხსნება, რიგ შემთხვევაში თეორიულად მოსალოდნელი უმლაუტი რეალურად არ დასტურდება, ზოგჯერ ერთგვარ მერყეობასაც აქვს ადგილი. ჩვენი ცოდნა შედარებითია, ე.ი. სავსებით ზუსტად არ ასახავს ჩვენგან დამოუკიდებლად მიმდინარე ობიექტურ პროცესებს“.

შემდეგ გივი მაჭავარიანი ეხება ისტორიულ-შედარებით მეთოდს და მის ეფექტურობას კონკრეტული მაგალითებით ადგენს: ქართ. *კაც-ი,* მეგრ. *კოჩ-ი* („კაცი“), სვან. (ლაშხ.) *ჭაშ* („ქმარი“). ავტორმა ამ თემებზე საუბრისას გამოავლინა უარყოფითი დამოკიდებულება ნ. მარის პალეონტოლოგიური მეთოდისადმი, რაც, მისი აზრით, ეწინააღმდეგება ენის შინაგან კანონებს: „ამიტომაცაა ისტორიულ-შედარებითი მეთოდი ნამდვილად მეცნიერული მეთოდი განსხვავებით, ვთქვათ, ნ. მარის პალეონტოლოგიური მეთოდისგან, რომელიც საშუალებას აძლევდა ნ. მარს და მის „მოწაფეებს“ „აღმოეჩინათ“ ენაში ყველაფერი გარდა ენის განვითარების შინაგანი კანონებისა“.

მეცნიერი სვამს კითხვას ქართველურ ენათა მნიშვნელობის და მათი ისტორიულ-შედარებითი მეთოდის საშუალებით კვლევის ეფექტურობის შესახებ. აქვე დასძენს, რომ „ქართველურ ენათა განვითარების ადრინდელი საფეხურების აღდგენა და, მით უმეტეს, ამ ენათა წინაპრის – ე.წ. საერთო-ქართველური (resp. საერთო-იბერიული) ფუძე-ენის გენეზისის გარკვევა ვერ მოხერხდება მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა მონაცემების გაუთვალისწინებლად“. იგი მიიჩნევს, რომ

გრამატიკა ენათმეცნიერების ყველაზე მნიშვნელოვან დარგია და სპეციალისტებმა უპირატესად მას უნდა მიაქციონ ყურადღება.

შესავლის ბოლო ნაწილში ავტორი ნაშრომის მიზნებს აცნობს მკითხველს, პირველ რიგში, ესაა ქართველურ ენათა ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიების ისტორიულ-შედარებით განხილვა.

*

ობიექტური პირის ნიშნები

ობიექტური პირის ნიშნებს გივი მაჭავარიანი მიმოიხილავს ორ ნაშრომში (იმ ნაშრომებიდან, რომელზეც ხელი მიგვიწვდებოდა, თორემ ისე სხვა გამოუქვეყნებელ ხელნაწერებშიც მიმოიხილავს ზმნის პირისა და რიცხვის საკითხს) – ქართველურ ენათა შედარებით გრამატიკასა და თავის დისერტაციაში.

ამ ნაშრომებში გამოთქმული თვალსაზრისი ობიექტური პირის ნიშნების შესახებ უფრო მეტად ერთმანეთის შემავსებლად შეიძლება მივიჩნიოთ.

მისი თქმით, ობიექტური პირის ნიშნებში არსებითად იდენტური სურათი გვაქვს ყველა ქართველურ ენაში.

იგი ამგვარად აღადგენს ობიექტურ პირის ნიშანთა ცხრილს ქართველურ ენებში:

	ქართ.	**ზან.**	**სვან.**
I	მ-	მ-	მ-
II	გ-	გ-	ჯ (<*გ)
III	ხ-/ჰ-	–	ხ-

მეგრულში **მ-** იცვლება, მან შეიძლება პოზიციურად მოგვცეს **ბ-, ფ-, პ-** ვარიანტები. ლაზურში პირველი ობიექტური პირის ნიშანი არ იცვლება.

მეგრულში **გ-** თანხმოვანთა წინ **რ**-დ გადაიქცევა (*რ-ცუნს „გყავს“, რ-ჯოხო „გქვია“*). ლაზურში **გ-** არ იცვლება (*გ-ჯოხონს*).

სვანური **ჯ-** მიღებულია **გ**-საგან (*ეგე – ეჯა*) ჯერ იქ, სადაც **ი, ე** და **ᲂ̈** მოსდევდა (პალატალიზაცია): **გ-ი-ხალ > ჯ-ი-ხალ; *გ-ე-სმი > ჯ-ე-სმი...*, შემდეგ კი გავრცელდა.

თუ სვანურში ფუძე თანხმოვნით იწყება, პირის ნიშანსა და ფუძეს შორის ჩნდება გამყარი ხმოვანი, რომელიც ფუძის რედუქციას იწვევს: *ტიხე* („აბრუნებს ის მას“), მოსალოდნელი იყო **მ-ტიხე,* მაგრამ გვაქვს *მგ-ტხე.*

სვანურში მხოლოდ მესამე ირიბ-ობიექტური პირის ნიშანი გვაქვს. მესამე პირდაპირ ობიექტური პირი ზმნაში არ აღინიშნება.

საერთო-ქართველურ ფუძე-ენაში პირველი ობიექტური პირის ნიშანი ***მ-** იყო, მეორე ობიექტური პირისა – ***გ-**.

მესამე ობიექტური პირი გამოიხატება ისევე, როგორც მეორე სუბიექტური პირი. შინაარსობრივი მხარე, რა თქმა უნდა, სხვადასხვაა. ამის შესახებ გ. მაჭავარიანი კიდევ უფრო ვრცლად საუბრობს დისერტაციაში.

მისი თქმით, O_3-ის ნიშნის ბედი ბევრ რამეში მოგვაგონებს S_2-ის ნიშნის ბედს. ძველ ქართულში O_3-ის პრეფიქსი (ისევე, როგორც S_2-ისა) იყო **ხ-** უძველეს ძეგლებში, **ჰ-** მომდევნო პერიოდის ძეგლებში, ხოლო IX საუკუნიდან მოყოლებული დაიკარგა ხმოვნების წინ, ცხრა თანხმოვნის (**დ, ტ, თ, ძ, წ, ც, ჯ, ჭ, ჩ**) წინ კი მოგვცა **ს-,** გარდამავალი საფეხურია **ჰს** (**ჯ, ჭ, ჩ**-ს წინ ჩვეულებრივ **ს→შ**), ხოლო დანარჩენი თანხმოვნების წინ შემოგვენახა **ჰ**-ს სახით[2]. ძვ. ქართულში O_3-ის ნიშანი მიცემითში დასმულ ობიექტზე მიუთითებდა: ***ხ**-ევედრებინ* (მას), *გან-**ხ**-ეხუნეს* (მას ზეცანი), ***ხ**ეზიარა* (იგი მას), *შე-**ხ**-უძნდა* (იგი მას), *აღ-**ხ**-ასრულებდა* (იგი მას), ***ჰ**-ედგა* (მას), ***ჰ**-ეპყრა* (მას), *მი-**ჰ**-უგო* (მას იგი), ***ჰ**თნდა* (მას), ***ჰ**-უპყრა* (ჴელი მისი მას), ***ჰ**-კითხა* (მას იგი), ***ჰ**-რქუა* (მას იგი), *და-**ს**-წერა* (მას ჯუარი), ***ჰ**-ყოფს* (იგი მას), *მო-**ჰ**-კლავს* (მას), ***ჰ**-პოვებს* (მას), *და-**ჰ**-ფარავს* (მას), *და-**ს**-თრგუნავს* (მას) და ა.შ. ზოგ ზმნას მიცემითში დასმული ობიექტი გააჩნია, მაგრამ შესაბამისი პირის ნიშანი არ მოეპოვება. მაგ.: *ქადაგებს* (მას), *წამებს* (მას), *შობს* (მას), *ბრძანებს* (მას), *თიბს* (თივასა) და სხვ. ზოგი მიცემითობიექტიანი ზმნა უპრეფიქსოდაც შეიძლება შეგვხვდეს და პრეფიქსითაც: *კაფს//**ჰ**-კაფს, გმობს//**ჰ**-გმობს, ზრახავს/ /**ჰ**-ზრახავს, მკის//**ჰ**-მკის...*[3] ყველა ამ ზმნას დრო-კილოთა მეორე წყებაში სახელობითში დასმული ობიექტი შეეფერება (ორპირიანი გარდამავალი ზმნებია): *ქადაგა (იგი), წამა (იგი), შვა (იგი), გმო (იგი)...* ეს კი იმას ნიშნავს, რომ O_3-ის ნიშანი აუცილებლად მოეპოვება მხოლოდ ისეთ ზმნას, რომელსაც ბრუნვაუცვლელი (ოდენმიცემითიანი) ობიექტი აქვს (ასეთებია ორპირიანი გარდაუვალი და სამპირიანი გარდამავალი ზმნები). ზმნები, რომელთაც სახელობითიანი ობიექტი გააჩნია (ასეთნი არიან ორპირიანი გარდამავალი ზმნები), დრო-კილოთა აწმყოს წყებაში (სადაც მისი ობიექტი მიცემით ბრუნვაში ზის) პრეფიქსს დაირთავს, ან არ დაირთავს.

ამგვარად, უნდა ითქვას, რომ მეორე სუბიექტური პირის ნიშნის ფუნქციის საკითხი ნათელია, რასაც ვერ ვიტყვით მესამე პირდაპირობიექტური პირის ნიშნის შესახებ. მის მიმართ ვერც კი ხერხდება ერთიანი წესის დადგენა. ირიბი ობიექტი ძველ ქართულში ყოველთვის გამოიხატება. ზმნებში არ გვექნება სახელობითში დასმული ობიექტის ნიშანი – ესაა ნეგატიური ზუსტი წესი. ა. შანიძემ დაყო ზმნები ჯგუფებად იმის მიხედვით, გამოხატავენ ისინი მიცემითში დასმულ პირდაპირ ობიექტს ნიშნით, თუ არა. ერთი მხრივ, გვაქვს *ჰყოფს*, ხოლო,

---

[2] ა. შანიძე, ძველი ქართული ენა, გვ. 263, მისივე: სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, ტფილისი 1920, გვ. 43-53.

[3] ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა..., გვ. 86-102.

მეორე მხრივ, ‘ქადაგებს’ ტიპის ზმნები. ეს მოვლენა პოზიციურად შეპირობებული არ არის. გ. მაჭავარიანის თქმით, აქ აშკარად ორი მორფოლოგიური ტიპი გვაქვს. საყურადღებოა, რომ სვანური მთლიანად ‘ქადაგებს’ ტიპს უჭერს მხარს.[4] რაც უფრო არქაულია ძეგლები, მით უფრო ჭარბობს ‘ჰყოფს’ ტიპის ზმნები. ეს სურათი უფრო ახლოს უნდა იყოს საერთო-ქართველურ სისტემასთან, ვიდრე სვანურისა, რადგან ძველი ქართული ტექსტების მონაცემები, განსაკუთრებით, ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტებისა, ავტორის თქმით, ძალზე სანდოა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძველ ქართულში გვაქვს რამდენიმე ზმნა, რომელთაც ბრუნვაუცვლელი ობიექტი არ გააჩნიათ, მაგრამ O_3-ის ნიშანს დაირთავენ (როგორც აწმყოში, ისე ნ. ძირითადშიც). მაგ.: *და-**ჰ**-ბადა* (იგი), *აღ-**ჰ**-მართა* (იგი), *და-**ჰ**-ფლა* (იგი), *და-**ს**-თესა* (იგი) და სხვ. (გარდამავალი ზმნები); *გან-**ჰ**-კრთა* (იგი ძილისაგან), *აღმო-**ს**-ცენდა* (იგი ქუეყნისაგან)[5], *და-**ს**-ცხრა* (იგი), ***ს**-ცთა* (იგი).[6]

ა. შანიძის აზრით, ამ ზმნებს ძველად მიცემითიანი ობიექტიც უნდა ჰქონოდათ, მაგრამ შემდეგში ეს ობიექტი დაიჩრდილა, უღვლილების ტიპი კი ძველებური დარჩა. მას, სხვათა შორის, ამტკიცებს ‘და-**ჰ**-ბადა’ ტიპის ზმნებისგან ვნებითი გვარის ფორმათა წარმოება. მაგ.: *და-ე-ბადა* (მოსალოდნელი *და-ი-ბადა-ს* მაგივრად, რაც ახ. ქართულში გვხვდება), *აღ-ე-მართა* (იგი), *და-ე-ფლა (იგი), და-ე-თესა (იგი)* და სხვ. შდრ. *მო-ე-კუეთა მას იგი* და მისთ.[7]

ახალ ქართულში O_3-ის ნიშანი გაქრობის გზაზეა დამდგარი. თანამედროვე სალიტერატურო ენაში O_3-ის ნიშანი უფრო ხშირად დაერთვის ბრუნვაუცვლელი ობიექტის მქონე ზმნებს, ისიც მხოლოდ გარკვეული თანხმოვნებით დაწყებული: **ჰ- – პ, კ, ყ, გ, ქ-**ს წინ და **-ს** ცხრა თანხმოვნის (იხ. ზემოთ) წინ (დანარჩენი თანხმოვნების წინ მოსალოდნელი **ჰ-,** როგორც წესი, გამქრალია): ***ჰ**-პარავს, **ჰ**-კითხა, მო-**ჰ**-კვდომია, **ჰ**-ყავს, მი-**ჰ**-ყიდა, წამო-**ჰ**-ყვა, **ჰ**-გავს, **ჰ**-ქონდა... მი-**ს**-დევს, მო-**ს**-დის, მო-**ს**-ტაცა, **ს**-თხოვს, **ს**-ძინავს, **ს**-ძულს, და-**ს**-ძინებია, მო-**ს**-წონს, მო-**ს**-წონებია, მო-**ს**-წყდა, მი-**ს**-წერა, მი-**ს**-ცა, და-**ს**-ცემია, და-**ს**-ჯახებია, მო-**ს**-ჭრა (ხეს ტოტი), მი-**ს**-ჩერებია...*[8]

---

[4] ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში: „არილი“, ტფილისი 1925, გვ. 183; ვ. თოფურია, სვანური ენა, გვ. 15.

[5] მაგრამ „ესე ნეტარი და ყოვლად ქებული სერაპიონ **აღმოსცენდა ქუეყანასა კლარჯეთისასა** მშობელთაგან ღირსთა და...“ ა.შ.: „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ ბასილი ზარზმელისა: ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I (V–X საუკუნეების ძეგლები), გამოსცა და ტაბულები და ლექსიკონი დაურთო ი. იმნაიშვილმა, ა. შანიძის რედაქციით, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, თბილისი 1949, გვ. 220-221.

[6] ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა..., გვ. 74-79.

[7] იქვე, გვ. 74-83.

[8] იხ. არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, გვ. 055.

ბრუნვაცვალებადი ობიექტი ჩვეულებრივ ზმნაში O_3-ის ნიშანს ვერ აჩენს (გაბატონებულია ‘ქადაგებს’ ტიპი).

მაგრამ ეს წესიც ხშირად ირღვევა. არაიშვიათად პირის ნიშანს ვხედავთ იქ, სადაც მას არავითარი გამართლება არა აქვს. მაგ.:

ს-ჩანს, ს-დგას, შე-ს-დგა, მო-ჰ-კლა, ს-თქვა და სხვ. გვხვდება ისეთი ფორმებიც, როგორიცაა *გავს, ყავს, ქონდა* და სხვ., სადაც O_3-ის ნიშანს მოველოდით, მაგრამ არა გვაქვს. ზოგჯერ ‘ჰყოფს’ ტიპიც იჩენს თავს: ***ჰ-ქმნის, და-ს-წერს*** და ა.შ. ყველაფერი ეს, ავტორის თქმით, იმის მაუწყებელია, რომ O_3-ის ნიშანი დღევანდელ სალიტერატურო ქართულში გაქრობის გზაზეა დამდგარი.[9]

დიალექტებიდან O_3-ის ნიშანი ძირითადად აღმოსავლურებს დაუცავთ ასე თუ ისე. ამ მხრივ ყველაზე მეტ მერყეობას, როგორც ჩანს, ქართლური იჩენს, სადაც O_3-ის ნიშნის ხმარების წესი ამჟამად უკვე ძნელი დასადგენია.[10] გაცილებით უფრო მტკიცეა O_3-ის პრეფიქსის პოზიციები მთის კილოებში (უმთავრესად თუშ-ფშავ-ხევსურულში) და კახურ-ქიზიყურში. აქ ძირითადად ‘ჰყოფს’ ტიპი ბატონობს, ე.ი., თუ ზმნას მიცემითში დასმული ობიექტი აქვს (ბრუნვაცვალებადი თუ ბრუნვაუცვლელი!), მას (ე.ი. ზმნას) O_3-ის ნიშანიც ექნება. თავისებურებას იჩენს მხოლოდ ხევსურული, სადაც აწმყოში ‘ქადაგებს’ ტიპის უღვლილება გვაქვს, ხოლო მყოფადში (ე.ი. პრევერბიან აწმყოში) ‘ჰყოფს’ ტიპისა. მაგ.: *მალავს,* მაგრამ *და-ღ-მალავს* (თავისთავად იგულისხმება, რომ ბრუნვაუცვლელი ობიექტის მქონე ზმნას O_3-ის ნიშანი აწმყოშიც ექნება და მყოფადშიც ისევე, როგორც ყველა სხვა დრო-კილოში).[11]

რაც შეეხება დასავლურ კილოებს, აქ O_3-ის პრეფიქსის ნაშთებზეღა შეიძლება ვილაპარაკოთ და ისიც მხოლოდ ზოგ დიალექტში (მაგ., რაჭულში, გურულში, აჭარულში). თუმცა ავტორი აქვე იმასაც დასძენს (დისერტაციაში), რომ დასავლურ დიალექტებში O_3-ის ნიშანი ჯერ კიდევ ცოცხალი უნდა ყოფილიყო. მაგრამ, ამასთანავე, გამორიცხული არ უნდა იყოს სალიტერატურო ენის გავლენაც. ავტორი ამბობს, რომ ეს საკითხი საკვლევია, მაგრამ დისერტაციაში მას მეტად აღარ ეხება.

---

[9] O_3-ის (ისევე, როგორც S_2-ის)ნიშნის მოკვეცის ცალკეული ფაქტები უკვე ძვ. ქართულშია დადასტურებული (ჩვეულებრივ ფონეტიკურ ნიადაგზე – **ხ, ღ, შ, ს, ზ** სპირანტების წინ): ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა..., გვ. 112-121.

[10] შდრ. ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა..., გვ. 148-150 და ვ. თოფურია, ქართლური, „არილი“, გვ. 144.

[11] არ ვეხებით O_3-ის ნიშნის ფონეტიკურ ვარიანტებს. დაწვრილებით იხ. ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა..., გვ. 145-172; ვ. თოფურია, ქართლური: „არილი“, გვ. 144-145; არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, „არილი“, გვ. 75-76; მისივე, მთიულურის თავისებურებანი: ენიმკის მოამბე, ტ. II, გვ. 52-53.

* *

ზმნაში ობიექტის მრავლობითი რიცხვის გამოხატვა

ობიექტის მრავლობითი რიცხვის გამოხატვას გივი მაჭავარიანი სადისერტაციო ნაშრომში სრულებით არ ეხება. ამაზე იგი ლაპარაკობს "ქართველურ ენათა შედარებით გრამატიკაში".

ზმნაში ობიექტური პირის მრავლობითობა ძირითადად სუფიქსებით აღინიშნებოდა. ერთადერთი გამონაკლისია **გუ̂-** პრეფიქსი ქართულსა და სვანურში.

ზანურში ობიექტის მრავლობითობის აღნიშვნა საერთოდ არ გვაქვს, მაგრამ საფიქრებელია, რომ იყო და გაქრა.

ქართველური ენები ობიექტის გამოხატვის თვალსაზრისით სხვადასხვაობას გვიჩვენებენ. თანამედროვე სისტემაში უპირატესობა ენიჭება ირიბ ობიექტს პირდაპირთან შედარებით, მაგრამ ეს ვითარება, ავტორის თქმით, მეორეული უნდა იყოს. **-თ**-ს თავდაპირველი ფუნქცია პირველი და მეორე სუბიექტური პირების მრავლობითობის გამოხატვა იყო.

მიცემითში დასმული ობიექტის მრავლობითობა ზმნაში არ გამოიხატებოდა. ამასთან, ნარიანი მრავლობითით გადმოცემული პირდაპირი ობიექტი (ანუ სახელობითში დასმული ობიექტი) ზმნაში ნიშანს აჩენდა: *იხილა კაცი, იხილნა კაცნი...* სვანურში არის შემორჩენილი ამგვარი ვითარების ნაშთი: *ჩუ̂ა̈დგრმე მარე* („შეიპყრა კაცი") *ჩუ̂ა̈დგრმ-ა̈ლ-ე მარა̈ლ* („შეიპყრნა კაცნი"). **-ა̈ლ** პირდაპირი ობიექტის მრავლობით რიცხვს გამოხატავს. სვანურში ამ ფუნქციით **-გრ** სუფიქსიც იხმარება. ავტორის თქმით, აქ ისეთივე მოვლენა გვაქვს, როგორიც ძველ ქართულში, მაგრამ სუფიქსებია განსხვავებული.

ავტორი მიიჩნევს, რომ ქართული **-ენ** სუფიქსის დაკავშირება **-ალ** სუფიქსთან ძალიან ხელოვნურია. სვანური **-ალ** საერთო-ქართველური წარმოშობისაა, იმავე ფუნქციას ასრულებს, მაგრამ მაინც არ დაიყვანება ქართულ **-ენ** სუფიქსზე. ობიექტის მრავლობითობის გამოხატვის რეკონსტრუქცია საერთო-ქართველურისთვის არ ხერხდება. გივი მაჭავარიანი უშვებს, რომ ქართულ ზმნაში გამოვლენილი **-ნ** და სვანური **-ალ** მრავლობითი რიცხვის ნიშნები შესაძლებელია ზმნაში სახელებიდან არის გადასული.

მისი თქმით, უნდა ვიფიქროთ, რომ ობიექტის მრავლობითი რიცხვის გამოხატვა ენათა დიფერენციაციის შემდეგ ჩამოყალიბდა ცალკე ქართულსა და ცალკე სვანურში.

* * *

ინკლუზივ-ექსკლუზივის საკითხი

„ქართველურ ენათა შედარებით გრამატიკაში" გივი მაჭავარიანი ეხება ინკლუზივ-ექსკლუზივის საკითხსაც. ინკლუზივ-ექსკლუზივის დაპირისპირება ეხება

პირველ პირს. თუ პირველ პირთან ერთად მოიაზრება მეორე პირიც, მაშინ ინკლუზივი გვაქვს, ხოლო თუ პირველ პირთან მოვიაზრებთ მესამე პირს, მაშინ ექსკლუზივი გვექნება.

ეს გარჩევა ახასიათებს სვანურს: *გ̂Ე-ალაᲫ* („გვიყვარს ჩვენ“ – მე + შენ, მე + თქვენ – ინკლუზივი); *ნ-ალაᲫ* („გვიყვარს ჩვენ“ – მე + მას, მე + მათ – ექსკლუზივი). ეს დაპირისპირება გვაქვს მხოლოდ ზემოსვანურში; ქვემოსვანურში არ გვაქვს.

ა. შანიძისა და ვ. თოფურიას მოსაზრებით, ინკლუზივ-ექსკლუზივი გარჩეული იყო საერთო-ქართველურში და შემოგვინახა სვანურმა. არნ. ჩიქობავას მოსაზრებით კი საერთო-ქართველურს არ ჰქონდა და სვანურში გვიან გაჩნდა. თ. გამყრელიძის მიხედვით, ინკლუზივ-ექსკლუზივი უნდა ყოფილიყო გარჩეული საერთო-ქართველურში, მაგრამ ზმნებში კი არა, მარტო ნაცვალსახელებში:

ქართ.		**ზან.**		**სვან.**
ჩუენ	:	*ჩქუნ*	:	*შგ̂ᲔᲔ*

გვაქვს აგრეთვე *ᲜᲐᲝ*. იგი ნასესხები არაა, საერთო-ქართველურია. თუ ეს ასეა, გამოდის, რომ საერთო-ქართველურს ჰქონდა ორი ფუძე – აქედან *ᲜᲐᲝ* შემოგვინახა მხოლოდ სვანურმა. რატომ უნდა ჰქონოდა სვანურს ორი ნაცვალსახელი? ალბათ იმიტომ, რომ ინკლუზივ-ექსკლუზივს განარჩევდა, უფრო გვიან კი იგი ზმნაშიც აღინიშნა.

თავად გივი მაჭავარიანის დასკვნაც არსებითად თამაზ გამყრელიძის მოსაზრებას ეყრდნობა. მაჭავარიანის თქმით, ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია სვანურში გვიან არის ჩამოყალიბებული. ფუძე-ენის ზმნაში იგი არ უნდა ყოფილიყო გარჩეული. თუ რატომ გაჩნდა იგი, ახსნილი არ არის. ამიტომ უნდა დავუშვათ, რომ ეს კატეგორია თავიდანვე იყო, მაგრამ იგი ახასიათებდა არა ზმნას, არამედ ნაცვალსახელებს. ეს ჩანს სვანურის სხვა ქართველურ ენებთან შეპირისპირებით.

ქართ.	**ზან.**	**სვან.**
მე – ჩუენ	*მა – ჩქუნ*	*მი – ᲜᲐᲝ*
შენ – თქუენ	*სი – თქვა(ნ)*	*სი – სგᲐᲝ*

სვანურში გვაქვს *ᲜᲐᲝ* ნაცვალსახელი, რომლის შესატყვისი არ არის ქართული *ჩუენ* და ზანური *ჩქუნ*. სვანურში პირველი პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელებია: *გ̂Ე-შგ̂ᲔᲔ-Ო // ნ-ი-შგ̂ᲔᲔ-Ო*. *შგ̂ᲔᲔ* ძირი *ჩᲔᲔ*-ს შეესატყვისება. *შგ̂ᲔᲔ* უნდა ყოფილიყო პირის ნაცვალსახელი. გამოდის, რომ სვანურს ჰქონია პირველი პირის ორი ნაცვალსახელი: *ᲜᲐᲝ* და *შგ̂ᲔᲔ*. მათ სხვადასხვა ფუნქცია უნდა ჰქონოდათ. *ᲜᲐᲝ* არ უნდა იყოს ნასესხები. იმ ენებში, რომლებთანაც სვანურს აქვს კონტაქტები, ასეთი ნაცვალსახელი არ არსებობს. გ. მაჭავარიანის აზრით, *ᲜᲐᲝ* ნაცვალსახელი დაუკარგავთ ქართულსა და ზანურს.

თუ დავუშვებთ ორ ნაცვალსახელს, უნდა ვივარაუდოთ მათთვის ორი განსხვავებული ფუნქციაც, სავარაუდოდ, ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის გარჩევა. ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია ჯერ ნაცვალსახელებში უნდა გაჩენილიყო, შემდეგ კი ზმნაში გადავიდა. პირის ნაცვალსახელებში ეს კატეგორია მოიშალა, შემორჩა კუთვნილებით ნაცვალსახელებს. ქართულსა და ზანურში ეს კატეგორია მოშლილია.

ნ-ალაკტ ზმნის **ნ-** პრეფიქსი *ნაკი* ნაცვალსახელისაგან უნდა მომდინარეობდეს. *ნაკი* ექსკლუზიური ნაცვალსახელი უნდა ყოფილიყო, რადგან *ნალაკტ* ექსკლუზიური ფორმაა, *შგუე* კი ინკლუზიური ნაცვალსახელი იქნებოდა. გასარკვევია, საიდან მომდინარეობს **გუ-** პრეფიქსი.

სუბიექტურ უღვლილებაში ინკლუზივ-ექსკლუზივის გასარჩევად გვაქვს **ხუ-** და **ლ-**:

ნაკი ხუ-არიდ (ვართ ჩვენ – მე + ის (ისინი) – ექსკლუზივი)

ნაკი ლ-არიდ (ვართ ჩვენ – მე + შენ (თქვენ) – ინკლუზივი).

* * * *

რიცხვის კატეგორია

კვლევის საგანია ქართველი ენათმეცნიერის, პროფესორ გივი მაჭავარიანის შრომების შესწავლა რიცხვის კატეგორიის თვალსაზრისით. კვლევა ეფუძნება მეცნიერის შემდეგ ნაშრომებს: 1. საკანდიდატო დისერტაციას – „ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები ქართველურ ენებში“ და 2. მონოგრაფიას – „ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა“.

ჩვენი კვლევის მიზანია, წარმოვაჩინოთ, თუ როგორ ფორმულირებასა და განმარტებებს აძლევს გ. მაჭავარიანი რიცხვის კატეგორიას ქართველურ ენებში. ენათმეცნიერს გამოკვლეული აქვს ოთხივე ქართველური ენა (ქართული, სვანური, მეგრული და ლაზური) და მეტად საინტერესო თვალსაზრისებს გამოთქვამს არსებითი სახელისა და ზმნის რიცხვის გრამატიკულ კატეგორიაზე.

გივი მაჭავარიანის ნაშრომების (დისერტაციისა და ანოტირებული ბიბლიოგრაფიის) შედარებითი ანალიზის მიხედვით გამოვლინდა გარკვეული მსგავსება-განსხვავებები ქართველურ ენებში რიცხვის კატეგორიის მიხედვით როგორც, სახელში ასევე ზმნაში.

1. ანოტირებული ბიბლიოგრაფია

ანოტირებული ბიბლიოგრაფია იძლევა განმარტებებს ბრუნების საერთო-ქართველურ პარადიგმაში რიცხვის კატეგორიის შესახებ. 1967 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, ენათმეცნიერების ინსტიტუტში XXIII სესიაზე წარდგენილი თეზისების მიხედვით, გ. მაჭავარიანი ბრუნების საერთო-ქართველურ პარადიგმაში გამოყოფს მხ. რიცხვის 4 გრამემას: სახელობითს (გან-

საზღვრული და განუსაზღვრელი), მოთხრობით-ვითარებითს, მიცემითსა და ნათესაობითს. რაც შეეხება მრავლობით რიცხვს, გ. მაჭავარიანი წარმოგვიდგენს ბრუნების უმარტივეს მოდელს, რომელსაც ბინარულ მოდელს უწოდებს. აღნიშნული მოდელი ითვალისწინებს პირდაპირი და ანუ სახელობითი ბრუნვის დაპირისპირებას ირიბ ბრუნვასთან. ირიბი ბრუნვა ფუნქციურად შეესატყვისება მხოლობითი რიცხვის მოთხრობით, ვითარებით, მიცემით და ნათესაობით ბრუნვებს. მკვლევარი პერსონალური სახელებისთვის ვარაუდობს სამბრუნვიან მოდელს, რომელშიც შედის: სახელობითი, მოთხრობითი ბრუნვის ფუნქციის შეთავსებით, მიცემითი და ნათესაობითი.

2. სადისერტაციო ნაშრომი

გივი მაჭავარიანის საკანდიდატო დისერტაცია, როგორც თავად ავტორი აღნიშნავს, შეეხება ქართველურ ენათა ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიების ისტორიულ-შედარებით განხილვას. რა თქმა უნდა, ამ კატეგორიებიდან ერთ-ერთი გახლავთ ზმნის რიცხვის კატეგორია. მეცნიერი ხაზს უსვამს, რომ ქართულსა და დანარჩენ ქართველურ ენებში რიცხვის აღნიშვნა (იგულისხმება მრ. რიცხვი, რადგან მხ. რიცხვის აღნიშვნა სპეციალური აფიქსის დართვას არ მოითხოვს) აგლუტინაციის პრინციპს ემყარება, რაც გულისხმობს მხ. რიცხვის ფორმისათვის სპეციალური აფიქსის დართვას, რომლიდანაც შემდგომში ვიღებთ მრ. რიცხვს. მრ. რიცხვის მაწარმოებლები სუფიქსებია, ხოლო თუ ეს პრინციპი დარღვეულია, მაშინ საქმე გვაქვს მეორეულ ვითარებასთან.

როგორც თანამედროვე ქართულში, ასევე ძველ ქართულში პირველი და მეორე პირის სუბიექტებისათვის მრ. რიცხვის ნიშანია **-თ**, რაც შეეხება მესამე პირის სუბიექტს, ძველ ქართულში დასტურდება რამდენიმე სუფიქსი: **-ენ, -ან, -ელ, -ეს** და **-ნ** (ამ უკანასკნელს, სავარაუდოდ, უნდა ჰქონოდა ხმოვანი **-ე** ან **-ა**). ავტორის ვარაუდით, **-ნ** სუფიქსი **-ენ** ან **-ან** სუფიქსების ვარიანტს წარმოადგენს.

-ენ და **-ან** სუფიქსები გამოყენებულია იმ შემთხვევაში, როდესაც მხოლობით რიცხვში დასტურდება **-ს** სუფიქსი. **-ან** სუფიქსი ასევე გვხვდება I თურმეობითში. ინვერსიული სტატიკური ზმნის აწმყოში და ისეთ შემთხვევებში, სადაც **-ი** სუფიქსი დასტურდება. ავტორი ამახვილებს ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ **-ავ** და **-ამ** თემის ნიშნები მრ. რიცხვში კარგავენ ხმოვანს, მაგალითად, *უხილავ-ს – უხილვ-ან.* მკვლევარი აღნიშნავს იმასაც, რომ ზოგიერთი სტატიკური ზმნა მესამე სუბიექტური პირის **-ან** სუფიქსის წინ ამატებს გარკვეულ ელემენტებს: **-ნ, -ან** და **-ენ**. იგივე ელემენტები ვლინდება **-ედ** სუფიქსის წინ.

ასევე, ავტორი აღნიშნავს, რომ **-ედ** სუფიქსი გვხვდება მაშინ, როდესაც მხოლობით რიცხვში გვაქვს **-ნ**; ხოლო **-ეს** სუფიქსი დასტურდება ნამყო უსრულსა და ნამყო ძირითადში. მკვლევარი ხაზს უსვამს ასევე იმ ფაქტს, რომ ძველ ქართულში ობიექტური მრავლობითის ნიშანს ყველა პირისათვის წარმოადგენს **-ენ** სუფიქსი, რომელიც, თავის მხრივ, მიუთითებს სახელობითში დას-

მული ობიექტის მრავლობით რიცხვზე, როდესაც ობიექტის მრავლობითობა ნაწარმოებია **ნ**არით. გივი მაჭავარიანი შენიშვნის სახით მიგვითითებს იმ ფაქტზე, რომ **-ებ**-იანი მრავლობითი მაშინაც კი ვერ ითანხმებს ზმნას რიცხვში, როდესაც იგი სუბიექტის როლში გამოდის, მაგ: *მო-ვიდ-ეს კაც-ნ-ი*, მაგრამ *მო-ვიდ-ა კაც-ებ-ი* (ა. შანიძე, ძველი ქართული ენა, გვ. 274-275; არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა, გვ. 251-256) და გამოყოფს სამ გარემოებას:

1) ობიექტის მრავლობითობის **-ენ** სუფიქსის შემდეგ მესამე სუბიექტის ნიშნად ძირითადად დასტურდება **-ა** სუფიქსი;

2) ობიექტის მრავლობითობის **-ენ** სუფიქსის შემდეგ კავშირებითის მაწარმოებლებიდან დასტურდება მხოლოდ **-ე**;

3) მრავლობითი რიცხვის ყველა პირში პრეფიქსით ნაწარმოები ვნებითი გვარის ზმნები დრო-კილოთა მეორე ჯგუფში ობიექტის სიმრავლის **-ენ** სუფიქსს ავლენენ.

ავტორი საგანგებოდ უსვამს ხაზს ასევე იმ ფაქტს, რომ ძველ ქართულში მიცემითში დასმული ობიექტი ზმნას არ ითანხმებს რიცხვში და ამის საილუსტრაციოდ მოჰყავს შემდეგი მაგალითები: *მ-კლავ-ს მე, მ-კლავ-ს//გუ-კლავ-ს ჩუენ, მ-ეძინ-ა მე, მ-ეძინ-ა//გუ-ეძინ-ა ჩუენ* (და შენიშვნის სახით აღნიშნულია, რომ **გუ-** პრეფიქსი ძველ ქართულში მრავლობით რიცხვზე არ მიუთითებდა) და სხვ.

ამის შემდეგ მკვლევარი გადადის ახალი ქართულის მიმოხილვაზე და აღნიშნავს, რომ **-ედ** სუფიქსი და მისი შესაბამისი **-ნ** სუფიქსი ხმარებიდან გადავიდა და დამკვიდრდა **-ნენ** სუფიქსი, რომელიც ქართლ-კახურ კილოს მიეკუთვნება. ავტორი აღწერს სუფიქსის ისტორიას და გვეუბნება, რომ მეორე კავშირებითის ფორმების ზეგავლენით **-ნენ** გადავიდა ნ. ძირითადში და ამრიგად დაემთხვა მესამე სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის ფორმას.

ანალოგიური ცვლილებები შეეხო დანარჩენ გარდაუვალ ზმნებსაც. ნ. უსრულში კი **-ეს** სუფიქსს **-ენ** სუფიქსი ჩაენაცვლა როგორც გარდამავალ, ასევე გარდაუვალ ზმნებში. ავტორის აზრით, ამ პროცესებს ხელი შეუწყო იმ ფაქტორმა, რომ ერთმანეთისგან მკვეთრად არ იყო გამიჯნული კავშირებითი და თხრობითი კილოები, შემდეგ პრეფიქსიანი ვნებითის გავლენით **-ენ** სუფიქსი ჩაანაცვლა **-ნენ** სუფიქსმა, მაგალითად: *ადგ-ნენ, წავიდ-ნენ* და სხვა (არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, გვ.75; არნ. ჩიქობავა, მთიულურის თავისებურებანი, გვ. 54, G. Deeters, Das kharthwelischeVerb, გვ. 50-51).

თანმიმდევრული მსჯელობის შედეგად ავტორი აღნიშნავს, რომ **-ეს** სუფიქსი ახალ ქართულს შემორჩა მხოლოდ ნ. ძირითადში გარდამავალ ზმნებთან და გადაიქცა მოთხრობითში დასმული მესამე პირის სუბიექტის მრავლობითი რიცხვის ნიშნად. ამრიგად, მკვლევრის მოსაზრებით, გარდამავლობამ თავისი მორფოლოგიური გამოხატულება პოვა ნ. ძირითადში.

გ. მაჭავარიანი აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ობიექტის რიცხვის გამოხატვის თვალსაზრისით ახალი ქართული მნიშვნელოვნად განსხვავდება ძველი ქართულისაგან და მიგვითითებს შემდეგ ნიშანდობლივ გარემოებებზე:

- სახელობითში დასმული მესამე პირის სუბიექტი ზმნას რიცხვში აღარ ითანხმებს;
- **-თ** სუფიქსი მიუთითებს, როგორც მიცემითში დასმული ობიექტის, ასევე სახელობითში დასმული ობიექტის მრავლობით რიცხვზე, მაშინ როცა ობიექტი არის მეორე პირი;
- ახალ ქართულში ინვერსიული ზმნები მესამე სუბიექტურ პირს უფრო ხშირად ითანხმებენ რიცხვში: *ჰყავს მას ის//ისინი.*

ამის შემდეგ, მსჯელობისას, გივი მაჭავარიანი ახსენებს მრავლობითის კიდევ ერთ მაწარმოებელს, რომელიც გვხდება დიალექტთა ერთ ჯგუფში (ინგილოურში, კახურ-ქიზიყურში, ფერეიდნულში, მთიულურში, რაჭულში): **-ყე** (//**-კე**). იგი გამოიყენება მიცემითში დასმული ობიექტის და, იშვიათად, სუბიექტის სიმრავლის აღსანიშნავად, ასევე, ხანდახან გადმოსცემს მოქმედების სიხშირესაც. აღნიშნული ნაწილაკი არ გავრცელდა სალიტერატურო ქართულში.

გ. მაჭავარიანი დისერტაციის პირველი თავის §5-ში ეხება მრავლობითი რიცხვის თემატიკას ზანური ზმნის მაგალითზე. მეგრულ-ლაზურში პირველი და მეორე სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის ნიშანია **-თ** სუფიქსი. მესამე სუბიექტური პირის ნიშნად კი გვაქვს **-ან, -ეს** სუფიქსები. პირველი მათგანი დასტურდება იქ, სადაც მრავლობით რიცხვში იხმარება **-ს** და **-ნ.** ქართულისგან განასხვავებს ის ფაქტი, რომ **-ნ** მრავლობითშიც გადადის. მეორე სუფიქსს რაც შეეხება, ის დასტურდება მაშინ, როცა მხოლობითში გვაქვს **-უ** (ანუ ნამყო დროში). ასევე, **-ეს** სუფიქსი მეგრულ-ლაზურში გვხვდება ნ. ძირითადის ფორმებში გარდაუვალ ზმნებთან, რაც მას განასხვავებს ახალი და ძველი ქართულისაგან.

ავტორი აღნიშნავს, რომ ობიექტის მრავალობითობის გამოხატვისას მეგრულ-ლაზური ახალ ქართულს მიჰყვება: სახელობითში და მიცემითში (არაინვერსიულ ზმნებთან) დასმული მესამე პირის ობიექტი ზმნას რიცხვში არ ითანხმებს. იგივე პროცესი ხდება ინვერსიულ ზმნებთან, სადაც სუბიექტის რიცხვი არ აღინიშნება. პირველი და მეორე ობიექტური პირების მრავლობითობა ზმნაში ყოველთვის არის აღნიშნული. ინვერსიულ ზმნებში მესამე ობიექტური პირის მრავლობითობა გამოხატულია, როცა ეს ობიექტი მიცემით ბრუნვაში დგას და მიუთითებს რეალურ სუბიექტზე. აქედან მკვლევარი ასკვნის, რომ პირველი და მეორე ობიექტური მრავლობითი რიცხვის აღსანიშნავად, როცა მესამე პირია სუბიექტი, გამოყენებულია მესამე სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის მაწარმოებლები: **-ან** და **-ეს**.

იგივე მაწარმოებლები გამოიყენება ინვერსიულ ზმნებთან მიცემით ბრუნვაში დასმული მესამე პირის ობიექტის, ანუ რეალური სუბიექტის მრავლობითი რი-

ცხვის აღსანიშნავად, სწორედ ამით განსხვავდება მეგრულ-ლაზური ახალი ქართულისაგან.

გ. მაჭავარიანი გამოყოფს ერთ ძირითად პრინციპს: პირველი და მეორე პირის (ინვერსიულ ზმნებში, აგრეთვე მესამე პირის) ობიექტი (სახ. და მიც.) ინვერსიულ ზმნათა მესამე პირში მარტო მიცემითის მრავლობითი რიცხვის ნიშნად სუბიექტის მრავლობითი რიცხვის მაწარმოებლებს იყენებს და აღნიშნავს, რომ ეს პრინციპი ქართულთან შედარებით მეგრულ-ლაზურში უფრო თანმიმდევრულად არის გატარებული. ქართულში პირველი ობიექტური პირის მრავლობითი რიცხვის ნიშნად გამოყენებულია პრეფიქსი, ხოლო მეგრულ-ლაზური აგლუტინაციურ პრინციპს იცავს. მეორე ობიექტური პირის მრავლობითი რიცხვის ფორმა, როდესაც სუბიექტად პირველი პირი გამოდის, ემთხვევა ახალ ქართულს. ქართულში პირველ ობიექტურ პირში აგლუტინაციის პრინციპი დარღვეულია და გვაქვს **გვ-** პრეფიქსი. მეგრულ-ლაზურში ხსენებული პრინციპი დაცულია, რაც მკვლევარს აძლევს იმის საშუალებას, გამოიტანოს დასკვნა, რომ მეგრულ-ლაზურ ზმნაში რიცხვი მხოლოდ სუფიქსებით აღინიშნება. ახალ ქართულში კი გამონაკლისს ქმნის მხოლოდ **გვ-** პრეფიქსი. ძველ ქართულში დადასტურებული **გუ-** პრეფიქსი არ მიუთითებდა რიცხვზე, რაც მეგრულ-ლაზურს სწორედ ძველ ქართულთან აახლოებს.

ამის შემდეგ გივი მაჭავარიანი კიდევ ერთ თეორიას ავითარებს და მეგრულ-ლაზურისთვის რიცხვის საკითხში ამოსავლად ძველი ქართულის ვითარებას იღებს, კერძოდ, სუბიექტის მრავლობითი რიცხვის ნიშნების **-ან, -ეს, -თ** გამოყენება ობიექტის მრავლობითის აღსანიშნავად მეორეულ მოვლენას წარმოადგენს. ამ შემთხვევაში ავტორი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ძველად მეგრულ-ლაზურში აღინიშნებოდა მხოლოდ სახელობითში დასმული ობიექტის რიცხვი, მიცემითში დასმული ობიექტის რიცხვი კი არა. თუმცა აქვე მეცნიერი გვეუბნება, რომ ამ მოსაზრების დადასტურება მხოლოდ მეგრულ-ლაზურის მასალით ვერ ხერხდება, რადგან ობიექტის მრავლობითობის ნიშანი უკვალოდაა დაკარგული როგორც მეგრულ-ლაზურში, ისე დღევანდელ ქართულში, გარდა მთის კილოებისა. თუმცა ვარაუდის დონეზე, ეს მოსაზრება გამართლებულად მიაჩნია, თუ სვანურის მონაცემსაც გავითვალისწინებთ.

აქ სათანადოდ უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ პარაგრაფის ბოლოს გივი მაჭავარიანი ხაზს უსვამს, რომ ამავე დასკვნის გამოტანას ავალებს მას ის, რაც მისთვის ცნობილია ერგატიული კონსტრუქციის ისტორიის შესახებ იბერიულ-კავკასიურ ენებში.

3. ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა

ქართველი ენათმეცნიერის, გივი მაჭავარიანის „ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა“ შედგენილია 1958-1961 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა და ქართველურ ენათა განყოფილებებზე წაკითხული ლექციების კურსის ჩანაწერების საფუძველზე.

ნაშრომში განხილულია არსებითი სახელისა და ზმნის რიცხვის კატეგორიები. ამ საკითხებს ეხება შემდეგი თავები:

ა) სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოება

გივი მაჭავარიანის „ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის“ ერთ-ერთი თავი ეხება სახელთა მრავლობითი რიცხვის გამოხატვას (მაჭავარიანი 2002: 82-84). ამ ნაშრომის მიხედვით ქართველურ ენებში მრავლობითი რიცხვის მაწარმოებლად სუფიქსები გამოიყენება. ქართულში გვაქვს **-ენ,** მეგრულ-ლაზურში **-ეფ**, ხოლო ძველ ქართულში **-ნ** სუფიქსი იყო გაბატონებული, **-ებ** სუფიქსს კი იმდენად დიდი სინტაქსური ფუნქცია არ ჰქონდა, როგორც **-ნ** სუფიქსით ნაწარმოებ სახელებს. გ. მაჭავარიანს მიაჩნია, რომ თავდაპირველად **-ებ** მრავლობითი რიცხვის ნიშანი საერთოდაც კრებითობის მაწარმოებელი უნდა ყოფილიყო და ამით იზიარებს კ. დონდუას აზრს, რომლის მიხედვითაც, **-ებ** სუფიქსიანი სახელი გრამატიკულად მხოლობითი რიცხვი იყო, ხოლო შინაარსით – მრავლობითი (მაჭავარიანი 2002:82).

-ნ სუფიქსი ზანურშიც იძებნება, ხოლო **-ეფ** სუფიქსი ქართულიდან შესული არ ჩანს. რაც შეეხება სვანურს, აქ მრავლობითი რიცხვი მრავალი ნიშნითაა გამოხატული. მათგან ყველაზე გავრცელებულია **-არ** სუფიქსი, რომელიც დისიმილაციით **-ალ**-ად შეიძლება გადაიქცეს. სვანური **-არ** სუფიქსის შესატყვისი სხვა ქართველურ ენებში არ გვაქვს, თუმცა ქართულში არის რთული სუფიქსი **-ნარ**, რომელიც სიმრავლეს და კრებითობას გამოხატავს. მეცნიერის აზრით, აქ წარმოდგენილი **-ნ** შეიძლება უკავშირდებოდეს მრავლობითი რიცხვის **-ნ** სუფიქსს, ხოლო **-არ** დავაკავშიროთ არა თანამედროვე სვანურის **-არ** სუფიქსთან, არამედ საერთო-ქართველურ ***-არ** სუფიქსთან (მაჭავარიანი 2002:83).

შემდეგ გ. მაჭავარიანი განიხილავს ბრუნების საკითხს მრავლობით რიცხვში – ახალ ქართულში ბრუნება აგლუტინაციურია, ნარ-თანიან მრავლობითში ბრუნება თითქმის არა გვაქვს. მრავლობითში ბრუნების არსებობის ვარაუდი დასაშვებია, თუმცა როგორი იყო ბრუნების მკაფიო სურათი და ბრუნვათა ნიშანთა მოკვეცის მიზეზი არ ჩანს. „საფიქრებელია, რომ უძველეს დროს მრავლობით რიცხვში სახელთა ბრუნება არ არსებობდა. სახელი მხოლოდ მხოლობითში იბრუნებოდა.“ (მაჭავარიანი 2002:83-84).

ბ) ზმნაში სუბიექტის მრავლობითი რიცხვის გამოხატვა

გივი მაჭავარიანის „ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის“ ერთ-ერთი თავი ეხება ზმნაში სუბიექტის მრავლობითი რიცხვის გამოხატვას (მაჭავარიანი 2002:89-91). ის წერს, რომ ზმნაში მრავლობითი რიცხვის აღნიშვნა აგლუტინაციურ ხასიათს ატარებს (ცალკე გვაქვს პირის და ცალკე რიცხვის ნიშნები). პირველი და მეორე სუბიექტური პირების მრავლობითობის სუფიქსები საერთო ჩანს.

ავტორი გამოთქვამს ჰიპოთეზას მრავლობითი რიცხვის გამომხატველი სუფიქსის წარმოშობის საკითხთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ საკითხი ადვი-

ლად გადაწყდებოდა, თუ **-თ**-ს ჩავთვლიდით **-დ**-სგან ფუძის ბოლოს დაყრუებით მიღებულად. თუმცა ამ ჰიპოთეზას მეცნიერი თვითონვე აბათილებს და ამის საფუძვლად ასახელებს იმას, რომ ძველი ქართული დაწერილობა ძირითადად ფონეტიკური იყო და მჟღერის ნაცვლად ყრუს დაწერის შემთხვევები არ გვხვდება. აქედან მას გამოჰყავს 3 სახის სავარაუდო დასკვნა: 1. ქართული და ზანური **-თ** და სვანური **-დ** სხვადასხვა აფიქსებია; 2. სვანური **-დ** არის **-თ**-სგან მიღებული გამჟღერებით; 3) **-დ** არის გაცვეთილი ნაშთი **შდ** კომპლექსისა, რომელიც ***თ1**-ს კანონზომიერი შესატყვისია. პირველ სავარაუდო დასკვნას ავტორი თვითონვე გამორიცხავს, რადგან ერთმანეთის მონათესავე ქართველურ ენებში, ქართულსა და სვანურში, არ უნდა ყოფილიყო მრ. რიცხვის სხვადასხვა წარმოშობის მაწარმოებელი აფიქსები. ასევე გამორიცხა ავტორმა მეორე დასკვნაც, რადგან სვანურში არ არსებობს წესი სიტყვის ბოლოს ყრუ თანხმოვნის გამჟღერებისა. მესამე დასკვნას რაც შეეხება, ავტორისთვის ყველაზე დამაჯერებლად სწორედ ის ჩანს, რადგან სუფიქსთა გაცვეთა, ამ შემთხვევაში, მოსალოდნელია.

მესამე სუბიექტური პირის ნიშნებად მრავლობით რიცხვში გვაქვს: ქართულში – **-ენ, -ან, -ეს, -ედ**; ზანურში – **-ან, -ეს**; სვანურში – **-ხ. -ეს** ქართულსა და ზანურში გვხვდება მხოლოდ ნამყო დროის ფორმებში. **-ედ** ძველ ქართულში დასტურდებოდა აწმყოს ხოლმეობითში (*არ-ნ, არი-ედ...),* ბრძანებითებში (წერდინ, *წერდ-ედ; იყავ-ნ, იყვნ-ედ...).* სვანურს აქვს მრავლობითის **-ხ** ნიშანი.

ავტორის ვარაუდით, მესამე სუბიექტური პირის მრავლობითის სხვა ნიშნებიც საკმაო სიძველისა უნდა იყოს, რადგან საერთოა ქართულისა და ზანურისთვის. ეს ნიშნები სვანურში არ გვაქვს. შესაძლოა, იყო და დაიკარგა.

გ) ზმნაში ობიექტის მრავლობითი რიცხვის გამოხატვა

გივი მაჭავარიანის „ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის“ ერთ-ერთი თავი ეხება ზმნაში ობიექტის მრავლობითი რიცხვის გამოხატვას (მაჭავარიანი 2002:92-93). ის წერს, რომ ზმნაში ობიექტური პირის მრავლობითობა ძირითადად სუფიქსებით აღინიშნებოდა, ერთი გამონაკლისის გარდა, რომელიც პრეფიქსის სახით იყო წარმოდგენილი ქართულსა და სვანურში. ზანურში ობიექტის მრავლობითი რიცხვის აღნიშვნა საერთოდ არ გვაქვს, თუმცა, გ. მაჭავარიანის ვარაუდით, უნდა ყოფილიყო და მოგვიანებით გაქრა (მაჭავარიანი 2002:92).

ქართველური ენები ობიექტის გამოხატვის თვალსაზრისით სხვადასხვაობას გვიჩვენებენ. თანამედროვე ვითარება ისეთია, რომ უპირატესობა ირიბ ობიექტს ეძლევა, პირდაპირთან შედარებით (*მე შენ გწერ* – მე თქვენ გწერთ), მაგრამ ეს ვითარება ავტორს მეორეულად მიაჩნია. **-თ**-ს თავდაპირველი ფუნქცია პირველი და მეორე სუბიექტური პირების მრავლობითობის გამოხატვა იყო. მიცემითში დასმული ობიექტის მრავლობითობა ზმნაში არ გამოიხატებოდა. ამასთან, ნარიანი მრავლობითით გადმოცემული პირდაპირი ობიექტი (ანუ სახელობითში დასმული ობიექტი) ზმნაში ნიშანს აჩენდა: *იხილა კაცი – იხილნა კაცნი;* ასევეა სვანურშიც.

ქართული **-ენ** სუფიქსის დაკავშირება **-ად** სუფიქსთან მეტად ხელოვნური ჩანს, თუმცა ამ ვარაუდს ავტორი უგულებელყოფს, რადგან ამის დასამტკიცებლად ვერც ერთ საბუთს ვერ პოულობს (მაჭავარიანი 2002:93). სვანური **-ალ** საერთო-ქართველური წარმოშობისა ჩანს, თუმცა არ დაიყვანება ქართულ **-ენ** სუფიქსზე. ობიექტის მრავლობითობის გამოხატვის რეკონსტრუქცია საერთო-ქართველურისათვის არ ხერხდება. ავტორი ვარაუდობს, რომ საერთო-ქართველურში პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა სპეციალური ნიშნით გამოიხატებოდა, თუმცა დღეს მისი აღდგენა ვერ ხერხდება. ძველ ქართულში გვაქვს *შეიპყრნა კაცნი*, სადაც სახელისა და ზმნის **-ნ** ერთი და იგივეა. ასევეა სვანურშიც. თუმცა, როგორც სვანური **-ალ** სუფიქსი არ დაიყვანება ქართული სახელის **-ნ** სუფიქსზე, ისე ზმნური **-ალ** სუფიქსი არ დაიყვანება ქართულ **-ნ** ზმნურ სუფიქსზე. ავტორის აზრით, ეს მიუთითებს რაღაც საერთო სისტემის არსებობაზე, რომლის აღდგენაც დღეს არ შეგვიძლია (მაჭავარიანი 2002:93).

გარდა ამისა, ძველ ქართულში აღინიშნებოდა სახელობითში დასმული პირდაპირი ობიექტის მრავლობითი რიცხვი, ხოლო სვანურში მიცემითში მდგარი ობიექტიც აჩენს ნიშანს. ქართულსა და სვანურში არის კიდევ ერთი განსხვავება, კერძოდ, სვანურში აორისტის მაწარმოებელი **-ე** ნიშანი მოსდევს ობიექტის მრავლობითის ნიშანს. ასეთი ვითარება კი ქართულში არ გვაქვს (მაჭავარიანი 2002:93).

მეცნიერი სვამს კითხვას: ხომ არ არის ზმნაში მრავლობითის ნიშანი სახელიდან გადასული? ამაზე ის გამოთქვამს ვარაუდს, რომ ობიექტის მრავლობითი რიცხვის ნიშანი ენათა დიფერენციაციის შემდეგ ჩამოყალიბდა ცალკე ქართულში და ცალკე სვანურში. თუმცა იმავეს არ უშვებს სუბიექტური მრავლობითი რიცხვის შემთხვევაში, რადგან მას მიაჩნია, რომ ეს უკანასკნელი საერთო-ქართველურში ჩამოყალიბდა (მაჭავარიანი 2002:93).

გივი მაჭავარიანი ერთსა და იმავე აზრს იმეორებს საკანდიდატო დისერტაციასა და „ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკაში“, როდესაც წერს, რომ ქართულსა და დანარჩენ ქართველურ ენებში, რიცხვის აღნიშვნა (იგულისხმება მრ. რიცხვი, რადგან მხ. რიცხვის აღნიშვნა სპეციალური აფიქსის დართვას არ მოითხოვს) აგლუტინაციის პრინციპს ემყარება, რაც გულისხმობს მხ. რიცხვის ფორმისათვის სპეციალური აფიქსის დართვას, რომლიდანაც შემდგომში ვიღებთ მრ. რიცხვის ფორმას; ხოლო თუ ეს პრინციპი დარღვეულია, მაშინ საქმე გვაქვს მეორეულ ვითარებასთან.

* * * * *

ქცევის კატეგორია

გივი მაჭავარიანის ნაშრომში „ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები ქართველურ ენებში“ (კავკასიურ ენათა კათედრა, ნაკვეთი პირველი, სადისერტაციო შრომა, წარდგენილი ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარის-

ხის მოსაპოვებლად, თბილისი 1953, 285 გვ.) განხილულია ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები: პირი, რიცხვი, ქცევა, გვარი (პოტენციალისის კატეგორიასთან ერთად) ქართველურ ენებში. ზმნები დახასიათებულია აგრეთვე გარდამავლობისა და სტატიკურობა-დინამიკურობის კატეგორიათა მიხედვით. ზმნის კატეგორიები გაანალიზებულია როგორც სინქრონიული, ისე დიაქრონიული თვალსაზრისით. დასმულია რამდენიმე საკითხი ამ კატეგორიათა გენეზისის შესახებ.

ყურადღებას გავამახვილებთ ზმნის ერთ-ერთი ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიის – ქცევის შესახებ. ვფიქრობთ, ზოგადად, მნიშვნელოვანია ამა თუ იმ მეცნიერის მიერ გამოყენებულ კვლევის მეთოდებზე დაკვირვება კონკრეტული საკითხის შესწავლისას. ამდენად, ზემოხსენებულ ნაშრომში ჩვენთვის საყურადღებოა გივი მაჭავარიანის ხედვა ქცევის კატეგორიასთან დაკავშირებით. ასევე საინტერესოა, თუ რამდენად შეიცვალა მეცნიერის ნააზრევი აღნიშნულ კატეგორიასთან დაკავშირებით სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ ნაშრომებში. ჩვენ მიერ დასახელებული დისერტაციის გარდა ქცევის კატეგორიას ეხება შემდეგი ნაშრომები:

1. აფხაზური და ქართული ზმნების ძირითადი კატეგორიები

1950 წ. სადიპლომო შრომა. გამოუქვეყნებელი ხელნაწერი. 57 გვ.

ნაშრომი წარმოადგენს ქართულისა და აფხაზურის ზმნურ კატეგორიათა მიმოხილვასა და მათი შეპირისპირების ცდას. პირველ რიგში, ავტორის ყურადღება გამახვილებულია იმ კატეგორიებზე, რომლებიც საერთოა ორივე ენის ზმნისათვის: პირი, რიცხვი, გარდამავლობა, დრო და კილო, აბსოლუტივი, ქცევა, პოტენციალისი, კაუზატივი, მასდარი. ავტორის აზრით, მთელ რიგ შემთხვევაში შეინიშნება პარალელიზმი ქართული და აფხაზური ზმნის კატეგორიებსა და მათ მორფოლოგიურ წარმოებას შორის. განსაკუთრებით ეს ეხება ზმნის დრო-კილოთა სისტემას. სხვაობები, ავტორის ვარაუდით, ხშირად დიაქრონიული ცვლილებების შედეგია. მაგალითად, ავტორი ფიქრობს, რომ ისტორიულად მსგავსი ვითარება უნდა ყოფილიყო აფხაზურსა და ქართულში გვარისა და ქცევის, დინამიკურობა-სტატიკურობის, კაუზატივის წარმოებას შორის.

2. *ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები ქართველურ ენებში,* II კაუზატივი. 1954 წ. თსუ კავკასიურ ენათა კათედრა. გამოუქვეყნებელი ნაშრომი. 106 გვ.

კაუზატივის მაწარმოებლების ფუნქცია ქართველურ ენებში ისტორიულად პრეფიქსებს ეკისრებოდა. კერძოდ, ქართველურ ენათა განვითარების გარკვეულ საფეხურზე კაუზატივის ძირითად მაწარმოებლად **ა-** პრეფიქსი უნდა ყოფილიყო გამოყენებული. სასუბიექტო ქცევის ფორმებში ანალოგიური როლი შეეძლო შეესრულებინა **ი-** პრეფიქსს. ავტორის აზრით, **ა-** პრეფიქსი იმთავითვე კაუზატივთან (გარდამავლობასთან) არ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. კაუზატივის **ა-** წარმოშობით იგივე ელემენტი ჩანს, რაც საზედაოს **ა-**. პრეფიქსის გენეზისის ძიება სხვა „მაქცევრების“ გენეზისის ძიებას უნდა დაუკავშირდეს.

სუფიქსები, ავტორის ვარაუდით, კაუზატივის წარმოებაში თავდაპირველად არ მონაწილეობდნენ, ისინი აწმყოს ფუძის საწარმოებელი ფორმანტები უნდა ყოფილიყვნენ. მოქმედებითი გვარის (აწმყოს ფუძის) ჩამოყალიბება კაუზატივს ვერ დაუკავშირდება. კაუზატივის კატეგორია წინ უსწრებს გვარს. ქართველურ ენათა განვითარების პროცესში კაუზატივის მაწარმოებლების ფუნქცია თანდათანობით სუფიქსებმა დაიკისრეს. ეს სუფიქსებია:

ქართ. **-ევ** (**-ავ**):	ზან. ***-ოვ** (=ქართ. **-ევ** ‖**-ავ**)	სვან. –
ენ-	**-აფ** (=ქართ. **-ებ**)	**-უნ**
-უნ	**-ინ** (= ქართ. **-ენ**)	**-ენ**

ერთიანობას პრეფიქსების თვალსაზრისით (ქართ. **ა-** : სვან **ა-** : ზან. **ო-**) უპირისპირდება სიჭრელე სუფიქსების თვალსაზრისით ამ უკანასკნელთა მეორეულობის გამო. ქართულისა და ზანურისათვის დამახასიათებელია როგორც „დენტალური“, ისე „ლაბიალური“ სუფიქსები. სვანურში „ლაბიალური“ სუფიქსები არა გვაქვს. მეორე მხრივ **-უნ** სუფიქსი საზიაროა ქართულისა და სვანურისათვის და არ ჩანს ზანურში. ამგვარად, ქართულს საშუალო ადგილი უჭირავს ზანურსა და სვანურს შორის, მაგრამ მაინც ზანურთან უფრო ახლოა, ვიდრე სვანურთან.

3. ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა

ამ ნაშრომში ცალკეა გამოყოფილი მაქცევრების საკითხი. „მაქცევრები არის ხმოვნური, მარცვლოვანი ელემენტები, რომლებიც ზმნის ძირსა და პირის ნიშანს შორის არიან მოთავსებული და აზუსტებენ ზმნის მნიშვნელობას“ (გვ. 96). აქვე განხილულია ამა თუ იმ მეცნიერის მოსაზრება აღნიშნულ პრეფიქსთა შესახებ. დასკვნის სახით ნათქვამია, რომ „მაქცევართა არსებობა უტყუვრად მიგვითითებს იმას, რომ ნებისმიერი ახლადაღმოჩენილი ენა (თუკი ასეთ ფანტასტიკურ შესაძლებლობას დავუშვებთ), რომელიც მაქცევრებს შეიცავს, შეგვიძლია უყოყმანოდ მივაკუთვნოთ ქართველური ენების ჯგუფს“ (გვ. 96).

ნაშრომის ამ ნაწილში დაწვრილებით არის განხილული ე.წ. „მაქცევართა“ წარმოშობის საკითხი. ასევე, ამა თუ იმ პრეფიქსის ფუნქციები გაანალიზებულია ქართველური ენების მაგალითზე. ისინი ქცევის გარდა შესაძლებელია გამოხატავდნენ კაუზატივს, მაგალითად: **ა-** (ა-წერ-ინ-ებ-ს : ზან. *ო-ჭარ-უ-ან-ს,* გვ. 96); ვნებით გვარს, მაგალითად, **ი-** პრეფიქსი. გამოთქმულია მოსაზრება, რომ „როცა **ი-** პრეფიქსი სასუბიექტო და საობიექტო ქცევას გამოხატავს, პოლიპერსონალურ ზმნას უკავშირდება, ხოლო მაშინ, როცა ვნებით გვარს აწარმოებს – მონოპერსონალურს“ (გვ. 97). აქვე შევნიშნავთ, რომ პრეფიქსთა ფუნქციის გარკვევა ხდება შესაბამისი ზმნის პირიანობის გათვალისწინებით (**ი-** პრეფიქსის შემთხვევაში). ამგვარად, ნაშრომში პრეფიქსთა ფუნქციები ასე ნაწილდება:

ა- პრეფიქსი:

- უნდა ჰქონდეს მინიმუმ ორპირიან ზმნას. გამონაკლისის სახით შესაძლოა, ჰქონდეს ერთპირიან ზმნასაც, მაგ.: *ა-რ-ი-ს;* სვანური *ა-ყურ-ე* („წევს“);
- მონაწილეობს კაუზაციის წარმოებაში: *ა-წერ-ინ-ებ-ს;* სვანური *ბ-ა̈-ჯდ-უნ-ე* („ახდევინებს“);
- დაკავშირებულია პოლიპერსონალიზმთან. ზოგჯერ ა-პრეფიქსიანი ფორმები საზედაოზე დაიყვანება.

ი- პრეფიქსი:

- აწარმოებს სასუბიექტო ქცევას;
- გამოყენებულია სამპირიან ზმნებში საობიექტო ქცევის გამოსახატავად;
- აწარმოებს ერთპირიან ვნებით გვარსაც *(**ი**-წუ-ი-ს, **ი**-ზრდ-ებ-ი-ს);*
- ზანურში იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც ქართულში – *ვ-**ი**-ვან* : *ვ-**ი**-შენ-ებ;*
- ვნებითი გვარის **ი-** დაკავშირებულია პოტენციალისის გაგებასთან;
- *ი-ცის* ზმნაში **ი-**ს ფუნქცია გაურკვეველია.

უ- პრეფიქსი:

- საობიექტო მაქცევრის ფუნქცია (სამპირიან გარდამავალ და ორპირიან გარდაუვალ ზმნებთან);
- *უ-წყის* ზმნაში **უ-** უფუნქციოა.

ე- პრეფიქსი:

- გვხვდება ორპირიან რელატიურ ზმნებში;
- ზოგჯერ სამპირიან გარდამავალ ზმნებთან.

ო ხმოვანი მაქცევრად არ გამოიყენება.

ა- პრეფიქსის ფუნქციაა ზოგიერთ საზედაო ფორმათა წარმოებაც. ამ ფუნქციით სვანურში გვხვდება **ე-**: *დეგ-ნ-ი* („ქრება“) – *ბ-ე-დგ-ენ-ი* („უქრება“). თუმცა **ე**-ს ძირითადი ფუნქციაა ორპირიანი ვნებითის წარმოება.

ამდენად, რადგან მაქცევრები ძირითადად პოლიპერსონალიზმს უკავშირდება, მათი ფუნქციები თავდაპირველად არ უნდა ყოფილიყო მკვეთრად გამიჯნული. აქვე გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ მაქცევრების არსებობა დაკავშირებულია ირიბი ობიექტის არსებობასთან.

ამავე საკითხს ეხება გივი მაჭავარიანი თავისი დისერტაციის ერთ-ერთ თავში. ავტორი განიხილავს ქართველური ზმნის ყველა კატეგორიას და ბოლო თავში წარმოგვიდგენს დრო-კილოთა სისტემისა და უღვლილების ტიპებს.

ავტორს ბევრი ახალი, ორიგინალური აზრი აქვს გამოთქმული რამდენიმე ზმნური აფიქსის გენეზისის შესახებ. დასმულია საკითხი მაქცევრებისა და ირიბი

ობიექტის ზმნაში გამოხატვის ურთიერთმიმართების შესახებ. ცალკე თავშია განხილული ე.წ. ფუძედრეკადი ზმნები ქართველურ ენებში.

დასახელებულ შრომაში მეცნიერი, შეიძლება ითქვას, უფრო ვრცლად განიხილავს ქცევის კატეგორიას. „ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკისგან" განსხვავებით, აქ იგი გამოყოფს ერთ-ერთ პარაგრაფს: *„საზედაოსა" და „სათანაოს" საკითხისათვის,* რომელშიც ამ ორ გრამატიკულ ცნებას ხსნის. „ქართველურ ენათა ზმნას მოეპოვება ფორმა, რომელიც ქცევას ენათესავება, მაგრამ ქცევა არ არის, რადგანაც კუთვნილებითს ურთიერთობას არ გადმოგვცემს. ესაა ე.წ. საზედაო. საზედაოს მაწარმოებელია **ა-** პრეფიქსი. ზანურში კანონზომიერად **ა : ო**, მაგ.: ***ა-ზის, ა-დვას,*** სვან.: *ხა-ა-სგურ* „ა-ზის".[12] აქვე (გვ. 98) მეცნიერს გამოაქვს დასკვნა, რომ „ქართველურ ენებში რელატიური ვნებითის, საობიექტო ქცევისა და საზედაო ფორმის მაწარმოებლები ხშირად ერთმანეთს ენაცვლებიან, რაც მათ ფუნქციურ სიახლოვეზე მიუთითებს". რაც შეეხება „სათანაოს" – მას არავითარი სპეციალური მაწარმოებელი არ გააჩნია. ნეიტრალური ქცევის ყოველი სამპირიანი გარდამავალი და ორპირიანი (რელატიური) გარდაუვალი ზმნა (გარდა **ენიანი** ვნებითისა) სათანაო იქნება. მაგალითად: *მი-ს-წერ-ა* (მეგობარს წერილი)". არსებობს მოსაზრება, რომ „სათანაო" მომდინარეობს საზედაოსგან, თუმცა გივი მაჭავარიანი მაგალითების განხილვის საფუძველზე ასკვნის, რომ „სათანაოს" ადრიდანვე უნდა ჰქონოდა უნარი, დაეკავშირებინა ფუძესთან პირის ნიშანი შემაერთებელი ხმოვნის დაუხმარებლად.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი მცირე სხვაობებისა, დასახელებულ ორ ნაშრომს შორის არის მცირე ტერმინოლოგიური ცვლილებანიც. მაგალითად, „ქართველურ ენათა შედარებით გრამატიკაში" ქცევის კატეგორიის განხილვისას გამოყენებულია ტერმინები: *პოლიპერსონალიზმი, სასუბიექტო ქცევა, საობიექტო ქცევა* და სხვა, ხოლო დისერტაციაში „ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები ქართველურ ენებში" *პოლიპერსონალიზმს* ენაცვლება *მრავალპირიანობა. სასუბიექტო* და *საობიექტო ქცევის* პარალელურად გვაქვს ტერმინები *სათავისო* და *სასხვისო ქცევა.* აქვე უნდა შეინიშნოს ისიც, რომ დისერტაციაში „ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკისგან" განსხვავებით, მკვლევარი მიმოიხილავს ე.წ. ნეიტრალურ (საარვისო) ქცევასაც და მის, როგორც ქცევის ერთ-ერთი სახეობის, გამოყოფას ოპოზიციის არსებობისთვის აუცილებლობით ხსნის.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ქცევის გრამატიკულ კატეგორიასთან დაკავშირებით მეცნიერის თვალსაზრისი განხილულ ორ ნაშრომში არ განსხვავდება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ გარემოებას, რომ დისერტაციაში დასახელებულ კატეგორიას უფრო ვრცლად მიმოიხილავს მკვლევარი. თუმცა მცირე თავისებურებებზე საუბარი მაინც შესაძლებელია, რაც ზემოთ წარმოვადგინეთ.

---

[12] იხ. დისერტაციის ციფრული ვერსია, გვ. 96.

* * * * * *

გივი მაჭავარიანი თავის დისერტაციაში „ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები ქართველურ ენებში“ განიხილავს გვარის კატეგორიასაც. მისი მოსაზრებით, ქართველურ ენებში გვარი კარგად ჩამოყალიბებული კატეგორიაა. ავტორი აღნიშნავს, რომ დისერტაციაში მხოლოდ გაკვრით იქნება საუბარი მოქმედებითი გვარის წარმოების შესახებ, რომელიც კაუზატივისა და აწმყოს ფუძის ჩამოყალიბების საკითხებს უკავშირდება. დისერტაციის ამ ნაწილში კი ავტორი უმეტესად ორიენტირებულია ვნებითი გვარისა და მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ პოტენციალისის წარმოებისა და ისტორიის საკითხების განხილვაზე.

თავდაპირველად იგი ტრადიციული კლასიფიკაციის შესახებ საუბრობს და აღნიშნავს, რომ ქართულში უნიშნო ვნებითის სამ ტიპს გამოყოფენ: 1. **ი-/ე-** პრეფიქსიანი. 2. **-დ/-ენ** სუფიქსიანი. 3. „უნიშნო“ და ეს სამივე ტიპი ზანურშიც დასტურდება. მეცნიერი ამ სამივე ჯგუფს განიხილავს ქართველურ ენათა მასალების შეპირისპირების საფუძველზე. მისი აზრით, პრეფიქსიანი ვნებითი ძირითადად ე.წ. პირველადი ზმნებისთვის არის დამახასიათებელი, თუმცა ზოგი ნასახელარი ზმნა ვნებითს პრეფიქსების საშუალებით აწარმოებს. ამ მხრივ განსხვავებაა ძველსა და ახალ ქართულს შორის. ძველი ქართულის ძეგლებში გარკვეული რყევა შეინიშნება (**-ენ/-დ** სუფიქსიანი ვნებითი ეცილება პრეფიქსიანს).

რაც შეეხება დრო-კილოთა მეორე წყებას, ამ შემთხვევაში დაპირისპირება ვნებითსა და მოქმედებითს შორის უფრო სუსტია, ვიდრე პირველში. ავტორი წერს, რომ თუ შესადარებლად ავიღებთ მოქ. გვარის სასუბიექტო ქცევას და **ი-** პრეფიქსიან ვნებითს, მაშინ შეიძლება თითქმის სრულ დამთხვევას ჰქონდეს ადგილი: ***მოიკლა*** *მან თავი* და *ის ომში* ***მოიკლა.*** განსხვავება **მხოლოდ** მრავლობით რიცხვში გამოჩნდება და ისიც უმთავრესად მესამე პირში: შდრ. *მათ დაიხოცეს თავები* და *ისინი დაიხოც**ნენ**.*

მეცნიერის შეფასებით, ეს მოვლენა გვართა მიხედვით ქართული ზმნის ოდინდელი გაუდიფერენცირებლობისა (resp. ნეიტრალობის) და სინტაქსური კონსტრუქციის ლაბილურობის გადმონაშთია. იგი უფრო მკაფიოდ მიიჩნევს ვნებითისა და მოქმედებითის დაპირისპირებას დრო-კილოთა აწმყოს წყებაში. აწმყოში ვნებითი გვარის ზმნათა დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს **ი-** სუფიქსის დართვა. ახალ ქართულში **ი-** სუფიქსი მოკვეცილია მხოლობითი რიცხვის მესამე პირში **-ა** სუფიქსის (S_3-ის ნიშნის) დართვის გამო (მაგ.: ძვ. *იმალებ-**ი**-ს* ახალი *იმალებ-**ა**.*) გარდა ამისა, ვნებითი გვარის ზმნას აწმყოში გადმოჰყვება მოქმედებითი გვარის აწმყოს ფუძის საწარმოებელი სუფიქსები ***-ავ, -ამ, -ევ, -ემ,*** რომლებიც უფრო ხშირად გართულებულია **-ებ** სუფიქსით: *კლ-**ავ**-ს – ი-კლ-ვ-ი-ს →ი-კვლ-ი-ს – ი-კვლ-**ებ**-ა, იდგ-ამ-ი-ს – იდგ-ამ-**ებ**-ა.* მეცნიერი აქვე აღნიშნავს, რომ **-ებ** სუფიქსის დართვისას **-ავ** სუფიქსის კვალი ხშირად აღარა ჩანს, მაგ.: *ი-კარგ-ვ-ი-ს – იკარგ-ებ-ა.* ეს იგივე **-ებ** სუფიქსია, რომელიც გარდამავალ ზმნათა აწმყოს

ფუძესაც აწარმოებს (*ა-შენ-**ებ**-ს, ა-კეთ-**ებ**-ს...*). ამდენად, ის ვნებითის მაწარმოებლად ვერ ჩაითვლება. **-ი** სუფიქსი წარმოშობით ხოლმეობითის მაწარმოებელია და გარდამავალ ზმნათა აწმყოშიც

გვხვდება (*მკ-**ი**-ს, შლ-**ი**-ს,ზრდ-**ი**-ს...*). მაშასადამე, არც **-ი** სუფიქსია ვნებითის მაწარმოებელი. მაგრამ რამდენადაც კომბინირებული **-ებ-ი** დაბოლოება არაა დამახასიათებელი არც მოქმედებითი გვარის ზმნათათვის და არც სტატიკური ზმნებისთვის, ამდენად, **-ებ-ი** სუფიქსს გივი მაჭავარიანი ვნებითის მეორეულ ნიშნად მიიჩნევს ქართულში.

ნაშრომში ცალკეა გამოყოფილი ისეთი ზმნები, როგორებიცაა *-ი-სმ-ი-ს, ი-ტყვ-ი-ს* (ძვ. *ი-ტყჳს – ი-ტყუ-ი-ს*), ძვ. ქართ. *ე-შინ-ი-ს, ე-წყალ-ი-ს.* მისი თქმით, ეს ზმნები მრავალმხრივ საინტერესოა. მათ ერთ-ერთ თავისებურებას ქმნის ის, რომ აწმყოში **-ებ** სუფიქსით არ არიან გართულებული. მათი აწმყო **ხოლმეობითს** უდრის, ხოლო ამგვარი აწმყოს ფუძისგან ნაწარმოები ნამყო უსრული ე.წ. **არქაული** ნამყო უსრულის ნიმუშს გვაწვდის როგორც ძველ, ისე ახალ ქართულშიც (*ი-სმ-ო-დ-ა, ი-ტყ-ო-დ-ა, ე-შინ-ო-დ-ა...* შდრ. ძვ. *ვიდ-ო-დ-ა, აღ-ი-რაცხ-ო-დ-ი-ს, წარავლინ-ნ-ო-დ-ი-ან...*).

მეცნიერის აზრით, აღნიშნული წარმოება მეგრულ-ლაზურისა და სვანურისთვისაც არის დამახასიეთებელი. თუმცა აღნიშნული ტიპი უფრო ძველია, ვიდრე **-ებ** სუფიქსით გართულებული ფორმები. იგი მსჯელობს პოტენციალისის შესახებ და ამბობს, რომ **ი-/ე-** პრეფიქსიან ვნებითს ქართულში ხშირად პოტენციალისის გაგება ახლავს, თუმცა ეს ნიუანსი ჩვეულებრივ მკრთალადაა გამოხატული. ზანურში ქართ. **ი-/ე-** პრეფიქსიან ვნებითს **ი-/ა-** პრეფიქსიანი ვნებითი შეესაბამება. **ი**-პრეფიქსიანი ერთპირიანი, ხოლო **ა-** პრეფიქსიანი – ორპირიანი (მაგ., ლაზ.: ***ი**-ჭარ-ე-ნ* „იწერება, შეიძლება დაიწეროს“). ამგვარ ფორმებს ლაზურში უმეტესად პოტენციალისის გაგება აქვს.

ამ ნაწილში ავტორი აღწერს ზანურში პოტენციალისის წარმოების შესაძლებლობებს. იგი წერს, რომ ზანური პოტენციალისის აწმყოს ფუძეს **-ე** სუფიქსი აწარმოებს; მისი თქმით, **-ე** სუფიქსი არც პოტენციალისის ნიშანია და არც ვნებითისა, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დრო-კილოთა მეორე ჯგუფშიც იქნებოდა. აღნიშნული ფორმანტი (**-ე**) ქართ. **-ი** სუფიქსის ფონეტიკურ და მორფოლოგიურ ეკვივალენტს წარმოადგენს. **-ი** სუფიქსი ქართულში ხოლმეობითს (resp. განგრძობითს ასპექტს) აწარმოებს. მაშასადამე, მაჭავარიანის აზრით, ზან. **-ე**-ც ხოლმეობითის ოდინდელი მაწარმოებელი უნდა იყოს. გამომდინარე აქედან, ქართ. **-ებ** სუფიქსის (ან აწმყოს ფუძის მაწარმოებელი სხვა რომელიმე ფორმანტის) ეკვივალენტი მეგრულ-ლაზურ პოტენციალისს არ გააჩნია. ზანური პოტენციალისის აწმყო ქართულ ხოლმეობითს უდრის (***ი**-ჭარ-**ე**-ნ* = **ი-წერ-ი-ნ*, ***ა**-ჭარ-ე-ნ* = ***ე**-წერ-ი-ნ*). ‘ე-შინ-ი-ნ’ ტიპი, რომელიც გადმონაშთია უკვე ძველ ქართულში, დღესაც ცოცხალია ზანურში.

ავტორი აქვე შენიშნავს, რომ ლაზურისგან განსხვავებით მეგრულში პოტენციალისა და ვნებითის წარმოება ერთმანეთისგან გამიჯნულია და მოჰყავს შესაბამისი მაგალითები:

პოტენციალისი	**ვნებითი**
ი-ჭარ-ე-(ნ) „შეიძლება დაიწეროს“	*ი-ჭარ-უ-(ნ)* „იწერება“

ავტორი მეგრულის **-უ** სუფიქსს ვნებითის სპეციალურ მაწარმოებლად ისევე ვერ მიიჩნევს, როგორც ქართ. **-ებ** დაბოლოებას და სვამს საკითხს **-უ** სუფიქსის თავდაპირველი ფუნქციის შესახებ. იგი ვარაუდობს, რომ რომ **-უ-** ქართ. **-ი-** სუფიქსის მორფოლოგიური ეკვივალენტია, ე.ი. წარმოშობით განგრძობითი ასპექტის მაწარმოებელს წარმოადგენს. ამის დამადასტურებლად კი ის ფაქტი მიაჩნია, რომ **-უ-** სუფიქსი ჩვეულებრივ იქ გვაქვს, სადაც ქართული **-ი-** სუფიქსის მორფოლოგიურ შესატყვისს მოველით და ჩამოთვლის ამის ამსახველ რამდენიმე შემთხვევას, მაგალითად, **ი-/ა-** პრეფიქსიანი ვნებითის აწმყოში: მეგრ. *ი-ჭარ-უ-(ნ);* „უნიშნო“ ვნებითის აწმყოში : ლაზ. *ტუბ-უ-ნ*, მეგრ. *ტიბ-უ-(ნ)* და ა.შ.

გ. მაჭავარიანი განიხილავს სვანურის ვითარებასაც – ზანურ **-უ** სუფიქსს სვანურში **-ა** სუფიქსი უდრის. შდრ. ბზ. *ᾱ-რ-ი // ᾱ-Გ-რ-ა* „იქნება“, ლშხ. *ᲩᲔ-ᲩᲨ-ი* // ბზ. *ᲩᲔ-ᲩᲨ-ა* „ხვდება“; მაჭავარიანი ასკვნის, რომ სვან. **-ა** სუფიქსი თავისი ფუნქციით თითქმის მთლიანად შეესაბამება ზან. **-უ** სუფიქსს. ფონეტიკურადაც ეს ერთსა და იმავე მასალად მიაჩნია : სვანურ(და ქართულ) **ა**-ს ზანურში შეესატყვისება **ო**, რომელიც სიტყვის ბოლოს ჩვეულებრივ **-უ**-ს იძლევა. მაშასადამე, ზან. **-უ** ←***-ო** =სვან. **-ა**.

ამდენად, მეცნიერის მოსაზრებით, სვან. -**ა**(ზან. -**უ**) სუფიქსი ქართ. და სვან. **-ი** (ზან. -**ე**) სუფიქსის **მორფოლოგიური** ეკვივალენტია და წარმოშობით განგრძობითი ასპექტის მაწარმოებელი უნდა იყოს.

ამასთან, მაჭავარიანი სვამს საკითხს, რომ შესაძლოა ვნებითი მეორეულია პოტენციალისთან შედარებით და რომ ვნებითი ქართველურ ენებში პოტენციალისის გზით შემოვიდა. ამის საფუძველია ის, რომ ლაზური ვნებით-პოტენციალისი და მეგრული პოტენციალისი ქართულ ხოლმეობითს უდრის: *ი-ჭარ-ე-ნ* = **ი-წერ-ი-ნ*. შესაბამისად მეგრული ვნებითი ქართული აწმყოს ტოლი გამოდის: *ი-ჭარ-უ-(ნ)* = **ი-ჭარ-ევ-ო-ნ*, შდრ. ქართ. *ი-წერ-ებ-ი-ს*. აწმყო მეორეულია ხოლმეობითთან შედარებით.

ამ ფაქტს თავადვე ამგვარად ხსნის, რომ ‘ი-ჭარ-ე-ნ’ ტიპი ლაზურში პოტენციალისსაც გამოხატავს და ვნებითსაც, მეცნიერი ასკვნის, რომ ვნებითი და პოტენციალისი ქართველურ ენებში თავდაპირველად გამიჯნული არ იყო. ვნებითი კი არ შემოსულა ქართველურ ენებში პოტენციალისის გზით, არამედ ვნებითი და პოტენციალისი ერთ საფუძველზე აღმოცენდა. ეს საფუძველი იყო რეფლექსურობა (უკუქცევითობა), რომლის გამომხატველი უნდა ყოფილიყო **ი-** პრეფიქსი. ამავე

საფუძველზე უნდა იყოს ჩამოყალიბებული გარდამავალ (მოქმედებითი გვარის) ზმნათა სასუბიექტო ქცევა. ავტორი ვნებით-პოტენციალისის ჩამოყალიბებას ქართველურ ენებში კლასიანი უღვლილებიდან პირიან უღვლილებაზე გადასვლის (განსაკუთრებით, პოლიპერსონალიზმის განვითარების) პროცესთან აკავშირებს.

რაც შეეხება სვანურს, მაჭავარიანი წერს, რომ სვანურში პრეფიქსიანი ვნებითის წარმოების პრინციპი ძირითადად იგივეა, რაც ქართულში. სვანური ვნებითის წარმოება (ისევე, როგორც ზანური პოტენციალისის წარმოება) ერთხელ კიდევ ადასტურებს სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ხოლმეობითი ისტორიულად წინ უსწრებს აწმყოს, რომ ხოლმეობითი, როგორც უსრული, განგრძობითი ასპექტის გამომხატველი ნაკვთი ძველისძველად აწმყოს მაგივრობას ასრულებდა.გ

ამის შემდგომ განხილულია სვანური **-ულ** სუფიქსი, რომელსაც ზოგი მეცნიერი აიგივებდა ვნებითი გვარის ფუძედრეკად ზმნათა **-ენ** სუფიქსთან. ამ მოსაზრებას არ იზიარებს გივი მაჭავარიანი და მოჰყავს შესაბამისი ფაქტები, არგუმენტები. იგი წერს, რომ **-ენ-** სუფიქსი ზოგჯერ მოქმედებითი გვარის ზმნებსაც დაერთვის (ლშხ. *ირ-**ენ**-ი* „იწერს“, *ა-კრ-**ენ**-ი* „აღებს“ და ა.შ.), **-ულ** სუფიქსი კი მარტო ვნებითი გვარის ზმნებში გვაქვს, შდრ.: *ულმარ**ულ*** „მომზადდა“ და *ანმარე* „მოამზადა“. გარდა ამისა **-ენ-** სუფიქსი მხოლოდ აწმყოში გვხვდება. შდრ. *ტეხ-**ნ**-ი* (ლნტ. *ტეხ-**ენ**-ი*) „ბრუნდება“, მაგრამ *ა-ტულ* „დაბრუნდა“.

მაშასადამე, მიიჩნევს ავტორი, რომ ფუძედრეკად გარდაუვალ ზმნათა აწმყოს **-ენ-** სუფიქსი ისევე ვერ ჩაითვლება ვნებითი გვარის მაწარმოებლად, როგორც ქართ. **-ებ-** სუფიქსი (*ტფ-**ებ**-ის, ი-ზარდ-**ებ**-ის* და სხვ.). გარდა ამისა, სვან. **-ულ** სუფიქსი ისეთ ზმნებს დაერთვის, რომელნიც ვნებითს **ი-/ე-** პრეფიქსებით იწარმოებენ: *ულშიხულ* ← **ად-ი-შიხ-ულ* და ა.შ. სწორედ ეს პრეფიქსებია (**ი-/ე-**) დამახასიათებელი მათთვის.

ქართული **-ენ** სუფიქსიანი ზმნები კი ვნებითის მაწარმოებელ პრეფიქსებს არ დაირთავენ: *გან-ვ-კაც-**ენ**, და-ვ-გლახაკ-**ენ**, შე-ვ-წუხ-**ენ**...* **-ენ** სუფიქსის დართვა საკმარისია ვნებითის საწარმოებლად.

ამავე დროს, ქართული **-ენ** სუფიქსი გვაქვს არა მარტო დრო-კილოთა მეორე ჯგუფში, არამედ პირველ ჯგუფშიც: *გან-კაც-**ნ**-ა – გან-კაც-**ნ**-ებ-ი-ს, და-გლახაკ-**ნ**-ა – და-გლახაკ-**ნ**-ებ-ი-ს,* გ. მაჭავარიანის აზრით, ეს ასეც უნდა იყოს, რადგან **-ენ** სუფიქსი ხომ ვნებითის მაწარმოებელია. სვანური **-ულ** სუფიქსი კი ვნებითი გვარის ზმნებს **მხოლოდ** დრო-კილოთა **მეორე ჯგუფში** დაერთვის. შდრ. *ულშიხულ* „დაიწვა“ – *ი-შხ-ი* „იწვის“, *ულმეჩულ* „დაბერდა“ – *ი-მჩ-ი* „ბერდება“, *ულმარულ* „მოუმზადდა“ – *ხ-ე-მარი* „უმზადდება“.

მისი დაკვირვებით, ვნებითის მაწარმოებელი რომ იყოს სვანური **-ულ** სუფიქსი, მაშინ ის აწმყოშიც გადაჰყვებოდა. აქედან გამომდინარე, მეცნიერი ასკვნის, რომ სვან. **-ულ** სუფიქსი არ არის ვნებითის მაწარმოებელი. როგორც ავტორი წერს,

სვანურში გვაქვს უსუფიქსო წარმოების შემთხვევებიც, უმეტესად ბალსზემოურში, ბალსქვემოურსა და ლენტეხურში. გ. მაჭავარიანი ვარაუდობს, რომ შესაძლოა უსუფიქსო წარმოება უფრო ძველიც კი იყოს, ვიდრე სუფიქსიანი. ამის დამადასტურებლად კი იგი ქართულთან შედარებას მიიჩნევს.

მკვლევარი ემპირიული მასალის ანალიზის საფუძველზე ასკვნის, რომ ვნებითის სუფიქსური წარმოება დამახასიათებელი არ არის სვანურისთვის. ამ ნიშნით სვანური განსხვავდება ქართულისაგან და უახლოვდება ზანურს.

აქედან გამომდინარე, საჭირო ხდება სვანური **-ᲐᲜ/-ᲔᲜ** სუფიქსის კვალიფიკაცია. ავტორი მას ნამყო დროის მაწარმოებლად მიიჩნევს და ამის დამადასტურებლად მეგრულის ჩვენება მიაჩნია. მეგრულში ისევე, როგორც სვანურში, მეორე თურმეობითი პირველ თურმეობითს ეყრდნობა: მეორე თურმეობითი იწარმოება პირველი თურმეობითის ფუძეზე **-დ-** სუფიქსის დართვით: *მ-ი-ზიმ-უ-ნ* „მიზომავს“ – *მ-ი-ზუმ-უ-დ-უ* „მეზომა“. ავტორი შენიშნავს, რომ ეს იგივე **-დ-** სუფიქსია, რომელიც ნამყო უსრულის მაწარმოებლად არის გამოყენებული ყველა ქართველურ ენაში.

მეცნიერი წერს, რომ მეორე თურმეობითის ამგვარი წარმოება არც ქართულისთვის არის უცხო და გარდაუვალი რელატიური ზმნებისთვის სწორედ ესაა დამახასიათებელი: *მო-ჰ-კვდომ-ი-ა – მო-ჰ-კვდომ-ო-დ-ა, და-(ჰ)-რჩენ-ი-ა – და-(ჰ)-რჩენ-ო-დ-ა* და სხვ.

რაც შეეხება **-ᲐᲜ** სუფიქსს, ავტორის შეხედულებით, იგი ნამყო უსრულის მაწარმოებელი კი არ არის, არამედ, საერთოდ, **ნამყოობის** ფორმანტია და ზოგადად ასეთივე ვითარება გვაქვს ქართულსა და ზანურშიც. **-დ-** სუფიქსი ამ ენებში ნამყო უსრულს კი არ აწარმოებს, არამედ საერთოდ ნამყო დროზე მიუთითებს. უსრული ასპექტისაა აწმყოს ფუძე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გივი მაჭავარიანი აკეთებს დასკვნას. იგი წერს, რომ სვან. **ი-/ე-** პრეფიქსით ნაწარმოები ვნებითი გვარის ზმნები დრო-კილოთა მეორე წყებაში დაირთავენ ნამყოობის **ᲐᲜ** (←**-ᲔᲜ**) სუფიქსს. **ᲐᲜ** სუფიქსი განასხვავებს **ი-** პრეფიქსიან ვნებითს სასუბიექტო ქცევის მოქმედებითისგან. იგი შენიშნავს, რომ **ᲐᲜ** სუფიქსის დართვა ნაწილობრივ შეიძლება იმითაც იყოს გამოწვეული, რომ უფრო მკვეთრად გაიხაზოს ვნებითისა და მოქმედებითის დაპირისპირება დრო-კილოთა მეორე ჯგუფში, სადაც უამისოდ ეს დაპირისპირება ისევე მკრთალი იქნებოდა, როგორც გვაქვს ქართულში (განსაკუთრებით, ძველ ქართულში). ავტორს მიაჩნია, რომ ნამყოობის ფორმანტის გამოყენება ამ ფუნქციით წარმოადგენს „სპეციფიკურ-სვანურ მოვლენას“. ამავე დროს, ეს არის თავისებური გამომჟღავნება იმ ტენდენციისა, რომელიც დამახასიათებელია ყველა ქართველური ენისათვის: ლაბილური კონსტრუქცია იცვლება სტაბილურით, გვართა მიხედვით გაუდიფერენცირებლობა იცვლება მკაფიოდ ჩამოყალიბებული გვარის სისტემით.

გ. მაჭავარიანი აღნიშნავს, რომ სვანური ვნებითი თავისი მნიშვნელობით ქართულს ემთხვევა. ვნებითი და პოტენციალისი სვანურში გამიჯნული არ არის და პოტენციალისის გაგება აქ ისევე სუსტადაა გამოხატული, როგორც ქართულში.

ავტორი უარყოფით პოტენციალისსაც ეხება და წერს, რომ უარყოფითი პოტენციალისი სვანურში სპეციალური უარყოფითი ნაწილაკების საშუალებით გადმოიცემა (სწორედ ისე, როგორც ქართულში): *მარე როქვ თხუმ* ***დეშ*** *ხემშადალ ი ჯა მერმა ხემშადალ* (ანდაზაა) – „კაცი თავს ვერ შველისო და სხვას შველისო“; მეცნიერი წერს, რომ აუცილებელია საუბარი კიდევ ერთი მოვლენის შესახებ, რომელიც დამახასიათებელია ძველი ქართულისთვის (ნაწილობრივ, ახალი ქართულისა და სვანურისთვისაც), მაგრამ ისტორიულად დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ყველა ქართველური ენისათვის. ავტორის შეფასებით ამ მოვლენას დიდი მნიშვნელობა აქვს ვნებითი გვარის ისტორიისათვის ქართველურ ენებში. გ. მაჭავარიანს მხედველობაში აქვს **-ენ-** სუფიქსის გამოვლენა ვნებითი გვარის ზმნათა ნამყო ძირითადის მრ. რიცხვში. მაგ., ძვ. ქართ.:

მხ.	**მრ.**
ვ-ი-ყავ	*ვ-ი-ყვ-**ენ**-ი-თ*
ი-ყავ	*ი-ყვ-**ენ**-ი-თ*
ი-ყო	*ი-ყვ-**ნ**-ეს*

იგი წერს, რომ **-ენ-** მრავლობითი რიცხვის ნიშანია. იგივე **-ენ-,** როგორც ცნობილია, **-ნ**-თი ნაწარმოები ობიექტის სიმრავლეს გადმოსცემს გარდამავალ ზმნებში – *ვ-ყავ იგი, ვ-ყვ-**ენ** იგი-**ნ**-ი.* ავტორი არჩევს ზმნაში *ვ-ი-ყვ-**ენ**-ი-თ* არსებულ სუფიქსთა რაობას. *ვ-ი-ყვ-**ენ**-ი-თ* ვნებითი გვარის ზმნაა, ერთპირიანი. სუბიექტის მრ. რიცხვს აღნიშნავენ **-თ** (პირველ და მეორე პირში) და **-ეს** სუფიქსები. **-ენ-** სუფიქსიც მრ. რიცხვის ნიშანია, მაგრამ ავტორი სვამს კითხვას, თუ რის მრავლობითობას გამოხატავს ეს უკანასკნელი და თავადვე ჩამოთვლის შესაძლო ვარიანტებს. თავდაპირველად იგი წერს, რომ გარდამავალ ზმნათა ანალოგიით შესაძლოა ეს ყოფილიყო ობიექტი, მაგრამ ამ მოსაზრებას თავადვე უარყოფს შემდეგი არგუმენტით, რომ გარდაუვალ ზმნას ობიექტი (იგულისხმება სახ. ბრუნვაში დასმული ობიექტი) არ შეიძლება ჰქონდეს. აქედან გამომდინარე კი ასკვნის, რომ **-ენ** სუფიქსი ვნებითში სუბიექტის მრავლობითს რიცხვზე მიუთითებს. მაშასადამე, ვნებითი გვარის ზმნის სუბიექტის მრავლობითობა ორჯერ აღინიშნება: ერთხელ **-ენ-** სუფიქსით და მეორედ **-თ, -ეს** სუფიქსებით.

ამდენად, გ. მაჭავარიანს სწორედ ასე ესახება ამოსავალი ვითარება ქართველური ენებისთვის: გარდამავალ ზმნაში აღინიშნებოდა **ობიექტის** პირი (resp. კლასი) და რიცხვი, გარდაუვალში – **სუბიექტის** პირი (resp. კლასი) და რიცხვი, გარდამავალი ზმნის **სუბიექტის** პირი (resp. კლასი) და რიცხვი გამოხატული არ იყო. გვარების მიხედვით ზმნა დიფერენცირებული არ იყო. ერთი და იგივე ზმნა

გარდამავალიც შეიძლებოდა ყოფილიყო, გარდაუვალიც: გარდამავალი, თუ ობიექტი **უშუალოდ** მასთან იყო მოცემული, გარდაუვალი – თუ ობიექტი თან არ ახლდა. კონსტრუქცია ლაბილური იყო. კერძოდ, **ი-** პრეფიქსიან (რეფლექსურ) **გარდამავალ** ზმნაში აღნიშნული იქნებოდა ისეთი ობიექტის კლასი და რიცხვი, რომელიც სუბიექტის ორგანულ კუთვნილებას წარმოადგენდა, ან რეალურად სუბიექტს უდრიდა: **ი-კალ მან **თავი**, *ი-კლ-**ენ** მათ **თავნი**.* ბუნებრივია, თუ **ი-** პრეფიქსის მქონე გარდაუვალ ზმნასაც უკუქცევითი (რეფლექსური) შინაარსი ექნებოდა: **ი-კალ **იგი**, ი-კლ-**ენ იგინი**.* **ი-** პრეფიქსიანმა გარდამავალმა ზმნამ დასაბამი მისცა მოქმედებითი გვარის სასუბიექტო ქცევას, **ი-** პრეფიქსიანმა გარდაუვალმა (დინამიკურმა) ზმნამ – ერთპირიან ვნებითს. მოქმედებითი და ვნებითი გვარი ჩამოყალიბდა კლასიანი უღვლილებიდან პირიან უღვლილებაზე გადასვლის პროცესში. ავტორის მოსაზრებით, ამ პროცესის ერთ-ერთი მთავარი შედეგი იყო გარდამავალ ზმნაში **სუბიექტის** პირის აღნიშვნა, რასაც შედეგად მოჰყვა **გარდამავალი** ზმნის **სუბიექტისა** და **გარდაუვალი** ზმნის **სუბიექტის** გათანაბრება (ზმნაში პირის ნიშნის თვალსაზრისით). ამან კი, თავის მხრივ, კი გამოიწვია მათი გათანაბრება ზმნაში რიცხვის აღნიშვნის თვალსაზრისითაც.

გივი მაჭავარიანი ნაშრომის ამ ნაწილში კიდევ ერთი თავისებურების შესახებ მსჯელობს, რომელიც დამახასიათებელია ქართული ენის უძველესი – ხანმეტი და ჰაემეტი – ძეგლებისთვის. ავტორს მხედველობაში აქვს მესამე ობიექტური პირის ნიშნის **ხ**-ს (ჰაემეტ **ჰ**-ს) სისტემატური ხმარება **ი-** პრეფიქსიან ვნებითში, ისე თითქოს **ი-** პრეფიქსიანი ვნებითი ორპირიანი იყოს. მაგ.: ***ხ**-იყო, **ხ**-იქმნა, გან-**ხ**-ითქუა, მი-**ხ**-ი-ქც-ეს, **ხ**-ივლტო-დეს... **ჰ**-იყო, **ჰ**-იქცეოდა, **ჰ**-იდვა...* **ი-** პრეფიქსიანი ვნებითი ერთპირიანია. ავტორი მსჯელობს ობიექტის პირის ნიშნის რაობის შესახებ. მას მოჰყავს ა. შანიძის შეხედულება, რომლის მიხედვით პირის ნიშანი აქ **ე-** პრეფიქსიანი (რელატიური) ვნებითისა და **ი-** პრეფიქსიანი მოქმედებითის (რომელსაც დრო-კილოთა პირველ ჯგუფში მიცემითში დასმული ობიექტი აქვს) ანალოგიით გაჩნდა.

მეცნიერს შესაძლებლად მიაჩნია, რომ, მესამე პირის ობიექტური **ხ-** პრეფიქსის ხმარება **ინიან** ვნებითში, ისევე როგორც აღნიშნული ფორმანტის სპორადული გამოვლენა **ი-** პრეფიქსიან გარდამავალ ზმნებში (რომელთა ობიექტიც სახელობით ბრუნვაში დგას), **ძველი ვითარების გადმონაშთი** იყოს და არა ანალოგიით განვითარებული ახალი მოვლენა. იგი თვლის, რომ ეს მოვლენა პირიანი უღვლილების საფუძველზე ვერ აიხსნება და მის ასახსნელად ქართველურ ენათა „პრეისტორიის“ გათვალისწინებაა საჭირო, სახელდობრ, ის, რომ პირიან უღვლილებას კლასიანი უღვლილება უსწრებდა წინ.

ავტორი წერს, რომ **ჰ-**//**ხ-** პრეფიქსი **ინიან** ვნებითში შინაგანად ყოფილა დაკავშირებული მრ. რიცხვის **-ენ-** სუფიქსთან იმავე **ინიან** ვნებითში. ორივენი ერთი და იმავე მორფოლოგიური სისტემის ელემენტებს შეადგენდნენ. **ჰ-** პრეფიქსი

სწორედ იმ სახელის კლასზე მიუთითებდა, რომლის სიმრავლეც **-ენ-** სუფიქსით აღინიშნებოდა. ეს სახელი გარდამავალ ზმნაში ობიექტი იყო, გარდაუვალში — სუბიექტი. მის დასადასტურებლად კი მოჰყავს მაგალითები:

	მხ. რ.	**მრ. რ.**
გრდმ.	***ჰ**-ი-ყავ მან//მათ* ***იგი***	**ჰ-იყვ-**ენ** მან//მათ* ***იგინი***
გრდუვ.	**ჰ-ი-ყავ* ***იგი***	**ჰ-ი-ყვ-**ენ*** ***იგინი***
აქედან ძვ. ქართ.	***ჰ**-ი-ყავ-**ნ*** ***იგი***	***ჰ**-ი-ყვ-**ნ-ედ*** ***იგინი***

მასალაზე დაკვირვების შედეგად გ. მაჭავარიანი წერს, რომ **იგი** ნაცვალსახელი ზმნაში არსებითად ორჯერაა აღნიშნული: ერთხელ **ჰ-** პრეფიქსით (ნივთის კატეგორიის ყოფილი ნიშანი), მეორედ **-ნ** სუფიქსით. **ჰ-** პრეფიქსი აქ მკვდარია: ის უკვე აღარ მიუთითებს ნივთის კლასზე.

რაც შეეხება ***ჰ**-ი-ყავ-ნ, **ხ**-ი-ქმნ-ა* და ამგვარ ფორმებს, ავტორი მიიჩნევს, რომ ისინი კარგად ასახავენ ქართველურ ენათა განვითარების ტენდენციას: პრეფიქსაციიდან სუფიქსაციისაკენ, კლასიანი უღვლილებიდან პირიანი უღვლილებისაკენ.

გ. მაჭავარიანი წერს, რომ ჯერჯერობით არ არის ცნობილი, თუ როგორ განვითარდა ეს პროცესი ზანურში, თუმცა, მისივე შენიშვნით, ამოსავალი ვითარება იქაც ისეთივე უნდა ყოფილიყო, როგორც ქართულში გვქონდა. ამ საკითხზე საუბრის ბოლოს კი ავტორი ორიოდე სიტყვით ეხება **ე**-პრეფიქსიანი ვნებითის წარმოშობას. იგი წერს, რომ **ი-** პრეფიქსიანი ვნებითი გენეტურად უკავშირდება **ი-** პრეფიქსიან მოქმედებითს. ბუნებრივი იქნება, თუ ვიფიქრებთ, რომ უნდა არსებულიყო **ე**-პრეფიქსიანი გარდამავალი ზმნაც (სამპირიანი). მაჭავარიანს მოჰყავს ა. შანიძის ვარაუდი, რომლის მიხედვითაც, **ე-** პრეფიქსიანი ვნებითი **ე-** პრეფიქსიან მოქმედებითს უნდა უკავშირდებოდეს. ავტორის აზრით, ასეთი მოქმედებითი ნაშთის სახით დღევანდელ ენაშიც გვაქვს შემონახული: *მი-ვ-ე-ც.* გივი მაჭავარიანს ეს ვარაუდი სავსებით სარწმუნოდ მიაჩნია.

ამის შემდეგ გივი მაჭავარიანი **-დ** და **-ენ** სუფიქსიანი ვნებითის განხილვაზე გადადის. იგი საუბარს იწყებს ქართულის ვითარების აღწერით და წერს, რომ **-დ** სუფიქსი ქართულში აწარმოებს ვნებითი გვარის ზმნებს სახელებისგან მაგ.: *მდიდარ-ი — მდიდრ-**დ**-ებ-ა* და ა.შ. გ. მაჭავარიანის აზრით, **-დ** სუფიქსიანი ვნებითი (ისევე, როგორც მისი საპირისპირო მოქმედებითი '**ა- — -ებ**' ტიპისა) განსაკუთრებით პროდუქტიულია ახ. ქართულში: ახლად შემოსული სახელებისგან დინამიკური გარდაუვალი ზმნები ჩვეულებრივ **-დ** სუფიქსით იწარმოება. მაგ.: *სტუდენტ-ი — გა-სტუდენტ-**დ**-ა, ფორმა — გა-ფორმ-**დ**-ა* და სხვ.

ავტორისთვის ამ ფაქტის გამო ინტერესის საგანი ხდება **-დ** სუფიქსიანი წარმოების მნიშვნელობის დადგენა, იგი წერს, რომ **-დ** სუფიქსი აწარმოებს გარდაუვალ დინამიკურ ზმნებს, რომლებიც **გარდაქცევითობას** გამოხატავენ. აქვე აღნიშნულია, რომ **-დ** სუფიქსით ნაწარმოები ვნებითი ზოგჯერ პრეფიქსიან ვნებითს

(უმთავრესად **ე-** პრეფიქსიანს) ენაცვლება: *შე-ე-თვისა – შე-უთვის-**დ**-ა, და-ე-მორჩილ-ა – და-ჰ-მორჩილ-**დ**-ა, მო-ე-წყინება – მო-ს-წყინ-**დ**-ება* სხვადასხვა პრე-ვერბით: *შე-ე-ხარბ-ა – და-ჰ-ხარბ-**დ**-ა, მი-ე-შველ-ა – გა-ჰ-შველ-**დ**-ა.*

იგი ძველი ქართულის ვითარებასაც გვაცნობს და წერს, რომ ძველ ქართუ-ლში **-დ** სუფიქსის პარალელურად **-ენ** სუფიქსიც იხმარებოდა. **-ენ** სუფიქსი სრული სახით აორისტის (მხ. და მრ. რიცხვის) პირველ ორ პირში წარმოგვი-დგება, ხოლო მესამე პირში **-ა**, **-ეს** სუფიქსების დართვის გამო ხმოვანს კარ-გავს: *აღ-ვ-ყუავ-**ენ**, აღ-ჰ-ყუავ-**ენ**, აღ-ყუავ-**ნ**-ა...*

მეცნიერი გვაცნობს, თუ როგორ ნაწილდება როლები **-დ** და **-ენ** სუფიქსებს შორის: **-დ** გვხვდება ნარნარა თანხმოვნებით (**ნ, რ, ლ**) დაბოლოებულ ფუძეებ-თან, სხვა შემთხვევებში კი **-ენ** იხმარება: *მწუან-ე – გან-მწუა**ნ-დ**-ა, ძლიერ-ი – გან-ძლიე**რ-დ**-ა.* ავტორის შეხედულებით, **-ენ** სუფიქსის ანალოგიით უნდა ვივარა-უდოთ, რომ **-დ** ←***-ედ**. განსხვავებით **-ენ** სუფიქსისაგან, ***-ედ** სუფიქსი უკვე ძველ ქართულში შეკუმშული სახით გვხვდება ნამყო ძირითადის პირველ და მე-ორე პირში (მაგ.: *გან-ვ-ძლიერ-დ-ი).* ავტორი აღნიშნავს, რომ შესაძლოა ეს მოვ-ლენა მესამე პირის ანალოგიით იყოს გამოწვეული. **-ი** სუფიქსი მორფოლოგიურ ფუნქციას მოკლებულია. ამდენად, იგი საეჭვოდ მიიჩნევს, რომ რედუქცია მისი გავლენის შედეგი იყოს. ერთ შემთხვევაში **-ენ** სუფიქსიც შეკუმშულია (მეორე პირის ფორმაში): *გან-წმიდ-ნ-ი* (ბრძანებითია).

გ. მაჭავარიანს მოჰყავს ა. შანიძის შეხედულება, რომლის მიხედვითაც, **-დ** სუფიქსი მიღებულია **-ნ**-საგან დისიმილაციის გზით: *გან-მწუა**ნ-დ**-ა ←*გან-მწუა**ნ-ნ**-ა, გან-მდი**დრ-დ**-ა ←*გან-მდიდ**რ-ნ**-ა, გან-მრავ**ლ-დ**-ა ←*გან-მრავ**ლ-ნ**-ა.* ნარნარა ბგერების მეზობლობაში **-ნ→დ.** მაგრამ ობიექტის სიმრავლის **ნ← -ენ**

სუფიქსი იმავე პირობებში დისიმილაციას არ განიცდის: *გან-კურ**ნ-ნ**-ა, ქმ**ნ-ნ**-ა, აღ-ი-ყვა**ნ-ნ**-ა, შე-ი-პყ**რ-ნ**-ა, ი-ხი**ლ-ნ**-ა იგინი.*

ავტორის თქმით, **-ედ** სუფიქსი ძველიდანვე უნდა გვქონოდა **-ენ**-ის პარალე-ლურად. ასევე, **-ედ** სუფიქსი სვანურ გარდამავალ ზმნაშიც უნდა გვქონოდა.

დასასრულს კი მეცნიერი საუბრობს ერთი საკითხის შესახებაც, კერძოდ: ზო-გიერთ ზმნათა ფუძის ანალიზით ვ. თოფურია გამოყოფს ზმნურ სუფიქსთა წყე-ბას: **-ან, -ალ, -არ, -ად, -ენ, -ელ-, -ერ, -ედ** და სხვ. სუფიქსების ამ ჯგუფს, როგორც მაჭავარიანი მიუთითებს, თოფურია „მდინართა“ (ნარნართა) წყებას უწოდებს განსხვავებით **-ავ, -ამ, -ევ, -ებ** და ანალოგიური სუფიქსებისგან, რომ-ლებიც წყვილბაგისმიერთა წყებას ქმნიან. ვ. თოფურიას აზრით, „მდინართა“ წყე-ბის აფიქსები იმავე დანიშნულების ბოლოსართებია, როგორისაც **-ავ, -ამ** და ა.შ. ჩვენთვის საინტერესო **-ედ** სუფიქსიც მდინართა წყებაში შედის.

მაშასადამე, თავისი ფუნქციით ისიც **-ავ, -ამ** და მსგავს ბოლოსართთა (ე.ი. თემის ნიშანთა) ტოლი უნდა იყოს. თუ ასეა, მაშინ **-ედ** სუფიქსი ვნებითი გვარის მაწარმოებელი ვეღარ იქნება.

ამდენად, ავტორი წერს, რომ, **-ედ** სუფიქსის ვნებითი გვარის მაწარმოებლად მიჩნევა ('-ჯედ-, -ჭედ-' ტიპის ფუძეებში) უმართებულოა თვით ვ. თოფურიას კონცეფციის თვალსაზრისითაც.

გ. მაჭავარიანი გამოთქვამს წუხილს იმის გამო, რომ **-ედ** სუფიქსის თავდა-პირველ ფუნქციათა მიკვლევა ჭირს. თუმცა არ გამორიცხავს **-ედ** სუფიქსი ის-ტორიულად სახელის ფუძის დეტერმინანტებს უკავშირდებოდეს და არსებითად იგივე ითქმის **-ენ** სუფიქსის შესახებაც.

ავტორისთვის საინტერესოა **-დ/-ენ** სუფიქსიანი ვნებითის ურთიერთობა **ი-/ე-** პრეფიქსიან ვნებითთან ძვ. ქართულში. ერთი და იმავე ფუძისგან ვნებითი ხში-რად პრეფიქსითაც იწარმოება და სუფიქსითაც: *კან-**ი**-წმიდ-ა // კან-წმიდ-**ნ**-ა* (გვხვდება *კან-წმდ-ა-ც* — „უნიშნო ვნებითი"), *აღ-**ი**-მაღლ-ა // აღ-მაღლ-**დ**-ა, კამო-**ე**-ცხად-ა // კან-ცხად-**ნ**-ა, და-**ე**-მტკიც-ა // კან-მტკიც-**ნ**-ა* და ა.შ. მისი დაკ-ვირვებით, დღევანდელ ქართულში *ა-**ი**-მაღლ-ა, და-**ე**-მტკიც-ნ-ა* აღარ ითქმის, ვამ-ბობთ *ა-მაღლ-**დ**-ა, და-მტკიც-**დ**-ა.* ორი პარალელური წარმოებიდან დაგვრჩა მე-ორე — სუფიქსიანი. ზოგი პრეფიქსიანი ვნებითი (ნასახელარები!) ახ. ქართულში სუფიქსიანი გახდა: *აღ-**ე**-შფნ-ა — ა-შენ-**დ**-ა, და-**ი**-მარილ-ა — და-მარილ-**დ**-ა, კამო-**ი**-საჭურის-ა — კამო-საჭურის-**დ**-ა, და-**ე**-მკჯდრ-ა — და-მკვიდრ-**დ**-ა, მი-**ე**-ახლ-ა — მი-უ-ახლოვ-**დ**-ა* და სხვ. ცალკეულ შემთხვევებში საპირისპირო პრო-ცესიც მიმდინარეობდა: *და-ჰ-ჭსნ-**დ**-ა — და-**ე**-ხსნ-ა.*

გ. მაჭავარიანი კიდევ ერთხელ მიუთითებს ზანურის შესახებ და წერს, რომ, **-დ** სუფიქსიანი ვნებითის მაგალითები იშვიათია და საერთოდ ეს ტიპი ქართული-დან შესულად არის მიჩნეული. ამას ის გარემოებაც უჭერს მხარს, რომ **-დ** სუ-ფიქსი ზანურში ჩვეულებრივ ქართულიდან შესულ ფუძეებს ერთვის. თუმცა არის შემთხვევები, როდესაც **-დ** სუფიქსი გვხვდება ზანურში: *მო-ჭყორ-**დ**-უ* „მა-ვიწყდება", *გო-ჭითონ-**დ**-უ* „გაწითლდა", *გო-ჩიჩონ-**დ**-უ* „გაშეშდა", *გო-სისონ-**დ**-უ* „გაიტრუნა" (შდრ. ქართ. *გა-ი-სუს-ა* „გაიტრუნა") და სხვ.

ავტორი განიხილავს „უნიშნო ვნებითის" საკითხს ქართველურ ენებში. მისი თქმით, ამ ტიპის ვნებითისათვის, როგორც სახელწოდება გვიჩვენებს, ენის განვი-თარების დღევანდელ საფეხურზე (და ძველ ქართულშიც) უნიშნობაა დამახასი-ათებელი. 'თბება' (ძვ. ტფების), 'დგება' (ძვ. დგების), 'დრკება' (ძვ. შედრკების), 'კვდება' (ძვ. კუდების) ტიპის ზმნებში არ გამოიყოფა ისეთი ნიშანი, რომელიც ამ ზმნებს ყველა დროში გასდევს და შეგვიძლია ვნებითის მაწარმოებლად მივიჩ-ნიოთ. თუმცა, ამის მიუხედავად, დამთხვევა სათანადო მოქმედებითთან არსად არის. გამონაკლისია ზმნა *დგება* (ძვ. ქართ. *დგების*), რომელიც ნ. ძირითადში მხ. რიცხვის (ძვ. ქართულში აგრეთვე მრ. რიცხვის) მესამე პირში არ განსხვავ-დება იმავე მნიშვნელობის მოქმედებითისაგან: *და-დგ-ა მან ის* (მოქმ.) — *და-დგ-ა ის* (ვნებ.) შდრ. *და-დგ-**ეს** მათ ის — და-დგ-ნენ ისინი* (ძვ. ქართ. *და-დგ-**ეს** ივინი*). პირველ ორ პირში განსხვავება ადრევე გვქონდა:

მოქ.	**ვნებ.**
და-ვდგ-ი	*და-ვ-დეგ*
და-ს-დგ-ი	*და-ს-დეგ*

„უნიშნო ვნებითს“ გივი მაჭავარიანი ორ ჯგუფად ყოფს:

- მარტივი — ‘ჯდ-ებ-ი-ს’ ტიპი.
- რთული — ‘დრკ-ებ-ი-ს’ ტიპი.

მისი აზრით, „რთული ვნებითი“ გართულებულია ფუძის საწარმოებელი სუფიქსებით, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ „მარტივი“ ტიპის ფუძეებში სუფიქსები არ გამოიყოფა. ბევრი მათგანი შეიცავს ფუძის საწარმოებელ სუფიქსებს (კერძოდ, **-ჯედ-** ფუძეში გამოიყოფა **-ედ** სუფიქსი), მაგრამ ‘დრკ-ებ-ი-ს’ ტიპის ზმნები მაინც რთულია ‘ჯდების’ ტიპის ზმნებთან შედარებით. ამ ტიპის ზმნათა დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ მათი შესაბამისი მოქმედებითი ფუძედრეკად ზმნებს ეკუთვნის: *დრეკ-ს — დრიკ-ა* (ვნებ. *შე-დრკ-ა),შრეტ-ს — შრიტ-ა* (ვნებ. *და-შრტ-ა), წყმედ-ს — წყმიდ-ა* (ვნებ. *წარ-წყმდ-ა)* და ა.შ.

‘დრკ-ებ-ი-ს’ ტიპის ზმნათა **ნ. ძირითადის** ფუძე არსებითად სათანადო მოქმედებითის **აწმყოს** ფუძეს უდრის. შდრ.:

ვნებ. ნ. ძირ.	**მოქ. აწმყო**
ვ-დერკ	*ვ-დრეკ*
ს-დერკ	*ს-დრეკ*
დრკ-ა	*დრეკ-ს*

ვნებითის ნ. ძირითადის ფუძეა **-დერკ-**, მოქმედებითის აწმყოს ფუძეა **-დრეკ-**. ორივესთვის ამოსავალი უნდა იყოს ***-დერეკ-**. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ პირველ შემთხვევაში (ვნებითის ნ. ძირითადი) ამოღებულია მეორე (**-ეკ** სუფიქსისეული) **-ე-**. მეორე შემთხვევაში (მოქმედებითის აწმყო) — პირველი (ფუძისეული) **-ე-**. ეს განსხვავება მახვილით უნდა იყოს განპირობებული.

ვ-დერკ	**ვ-დერეკ*	*ვ-დრეკ*	**ვ-დერეკ*	ასევე
ვ-კერბ-თ	**ვ-კერებ-თ*	*ვ-კრებ*	**ვ-კერებ*	

‘დრკების’ ტიპის ვნებითის ნ. ძირითადი სათანადო მოქმედებითის აწმყოსგან ისტორიულად **მახვილის ადგილით** უნდა ყოფილიყო გარჩეული. შესაბამისად, ავტორის მოსაზრებით, დასაშვებია ვარაუდი, რომ მახვილს ქართულში ძველისძველად შეიძლებოდა მორფოლოგიური ფუნქცია ჰქონოდა.

ნამყო ძირითადში ვნებითი და მოქმედებითი შემდეგნაირად განსხვავდება ერთმანეთისაგან — ვნებითისთვის დამახასიათებელია უსუფიქსო წარმოება, მოქმედებითისთვის კი — **-ე** სუფიქსიანი:

ნ. ძირითადი

ვნებ.	**მოქ.**
ვ-დერკ	*ვ-დრიკ-ე*
ს-დერკ	*ს-დრიკ-ე*
დრკ-ა დრიკ-ა	*(დრიკ-ე-ნ)*

ე – ი მონაცვლეობას მოქმედებითის ფუძეში **-ე** სუფიქსის დართვა უნდა განაპირობებდეს.

ანალოგიური მოვლენების კვალი დასტურდება პირველი ტიპის *(ჯდ-ებ-ი-ს)* ზოგ ზმნაშიც: *ცუედ-ს, წყუედ-ს...*

ავტორი აქვე მსჯელობს აწმყოს ფუძისა და აორისტის ფუძის ურთიერთმიმართების შესახებ, მისი თქმით, 'ჯდების' ტიპის სხვა ზმნებს (გარდა რამდენიმე გამონაკლისისა) ჩვეულებრივ **ა- – -ობ**, **ა- – -ენ**/**-ინ** აფიქსებით ნაწარმოები მოქმედებითი შეესაბამება: *თბება – **ა-თბ-ობ-ს**, ქრება – **ა-ქრ-ობ-ს**, ხმება – **ა-ხმ-ობ-ს**, შრება – **ა-შრ-ობ-ს**,* 'ა-თბ-ობ-ს' ტიპის მოქ. გვარის ზმნებს ნ. ძირითადში, როგორც წესი, **-ე** სუფიქსი მოუდის: *გა-ვ-**ა-თბ-ე*** (ძვ. *გან-ვ-**ა-ტფ-ე***), *გა-ვ-ა-ხმ-ე, გა-ვ-ა-შრ-ე, მო-ვ-ა-რჩ-ინ-ე,* ძვ. ქართ. *მო-ვ-ა-კუდ-ინ-ე* და სხვ.

ამრიგად, ასკვნის ავტორი, 'ა-თბ-ობ-ს' ტიპის მოქმედებითი გვარის ზმნები ნაწარმოებია შესაბამისი „უნიშნო ვნებითის" ფუძეებისგან. ეს იმავე ტიპის წარმოებაა, როგორისაც '**ა- – -ებ**' ტიპი (**ა**-შენ-**ებ**-ს, **ა**-წუხ-**ებ**-ს...). თუ მეორე ('**ა- – -ებ**') ტიპი დამახასიათებელია სახელისგან ან სტატიკური ზმნისგან ნაწარმოები მოქმედებითი გვარის ზმნებისთვის, პირველი (**ა- – -ობ** და სხვ.) **დინამიკური** გარდაუვალი ზმნებისგან ნაწარმოები მოქ. გვარის ზმნებისთვისაა დამახასიათებელი.

ორივე შემთხვევაში მოქმედებითი გვარი უდრის გარდაუვალი ზმნისგან ნაწარმოებ კაუზატივს.

ავტორი განიხილავს „უნიშნო ვნებითის" საკითხს ზანურში და აღნიშნავს, რომ ზანურში „უნიშნო ვნებითი" იმავე ტიპისაა, როგორისაც ქართულში. იგი ჩამოთვლის ზმნებს, რომელთაც ისევე არ გააჩნიათ ვნებითის მაწარმოებელი სპეციალური ნიშანი (ენის განვითარების დღევანდელ საფეხურზე), როგორც ქართულ „უნიშნო ვნებითებს", ესენია: *ტუბ-უ-ნ,* მეგრ. *ტიბ-უ-(ნ)* „თბება", ლაზ. *ღურ-უ-ნ,* მეგრ. *ღურ-უ-(ნ)* „კვდება", ლაზ. *სქუდ-უ-ნ* (*სქიდ-უ-ნ),* მეგრ. *სქიდ-უ-(ნ)* „რჩება", ლაზ. *დო-ქორ-ა-ს* „გაცივდეს" (ეტიმოლოგიურად „გაქრეს"), მეგრ. *დო-ქირ-უ* „გაცივდა", *გო-ქირ-უ* „გაშრა უსიამოვნებისაგან" (ეტიმოლოგიურად „გაქრა")... მეგრ. *გო-ჭყორ-ი* „გაწყერი", *გო-ხომ-ი* „გახმი" (ძვ. ქართ. *გან- ემ), გოჭყორდით* „გაწყდით" (შდრ. ლაზ. *მე-ჭკოდ-უ*) და სხვ.

აწმყოში ამ ზმნებს **-უ-** სუფიქსი დაერთვის. ნ. ძირითადში ზანური „უნიშნო ვნებითისათვის" (ქართულის მსგავსად) დამახასიათებელია **-ი** სუფიქსიანი (უსუფიქსო) წარმოება. მაგ., ლაზ.: *გო-პ-ტუბ-ი, გო-ტუბ-ი, გო-ტუბ-უ* „გავთბი, გათბი,

გათბა“, *დო-ბ-ღურ-ი, დო-ღურ-ი, დო-ღურ-უ* „მოვკვდი, მოკვდი, მოკვდა“; მეგრ. *გო-ხომ-ი* „გახმი“, *გო-ჭყორ-ი* „გაწყერი“ და ა.შ.

დღესდღეობით ლაზურს მხოლოდ **-ი** სუფიქსიანი აორისტი მოეპოვება (მეგრულში **-ე** სუფიქსიანიც არის). ისტორიულად მეგრულშიცა და ლაზურშიც ისეთივე ვითარება უნდა გვქონოდა, როგორიც ძვ. ქართულში. ამას სვანურის მონაცემებიც უჭერს მხარს (იხ. ქვემოთ). რაც შეეხება ‘გო-პ-ტუბ-ი’ ტიპის ზმნებს ზანურში, მათთვის **-ი** სუფიქსიანი (უფრო ზუსტად, უსუფიქსო) ნ. ძირითადი უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი (შდრ. ლაზ. *გო-პ-ტუბ-ი* – ძვ. ქართ. *გან-ვ-ტეფ).* „უნიშნო ვნებითის“ მარტივი (ჯდების, ტფების) და რთული (შე-დრკ-ა, შე-კრბ-ა) ტიპები, რომლებიც ქართულშია დადასტურებული, ზანურშიც უნდა გვქონოდა.

„უნიშნო ვნებითის“ ქართულში (განსაკუთრებით რთული ტიპისას) აქვს ტენდენცია, გადავიდეს **ი-** პრეფიქსიან ვნებითში მაგ.: ძვ. *დადრკა* – ახ. *და-ი-დრიკა*, ძვ. *შე-კრბ-ა* – ახ. *შე-ი-კრიბ-ა,* ძვ. *და-წმდ-ა* – ახ. *და-ი-წმინდ-ა...* და ა.შ. ასეთივე ტენდენცია ზანურშიც უნდა გვქონოდა. ამიტომ, ავტორის მოსაზრებით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ *დ̄დირიკი, დ̄წირიდი* თავდაპირველად „უნიშნო“ იყო (რთული ტიპისა) და შემდეგ გადავიდა **ი**ნიან ვნებითში. მაგრამ აღნიშნული ზმნები ქართულიდან უნდა იყოს შესული მეგრულში, როგორც ამას ვარაუდობს ვ. თოფურია. შესაბამისად, ეს ზმნები არ გამოგვადგება იმის საბუთად, რომ ზანურში (კერძოდ, მეგრულში) „უნიშნო ვნებითის“ რთული ტიპი არსებობდა. მიუხედავად ამისა, რთული ტიპის არსებობა ზანურში (თუნდაც განუვითარებელი სახით) მაინც ფაქტია (მეგრ. *დო-შქირტ-უ*). შდრ. აგრეთვე მეგრ. (ქართულიდან ნასესხები არ არის) *დიკორობით (*დო-**ი-კოროობ**-ი-თ)* „შევიკრიბეთ“, რომელიც ამჟამად **ი-** პრეფიქსიანი ვნებითია, მაგრამ, როგორც ძველ ქართულთან შედარება აჩვენებს *(შე-კერბ-ი-თ),* ძველად „უნიშნო ვნებითი“ (რთული ტიპისა) უნდა ყოფილიყო. ამ ზმნის საპირისპირო გარდამავალი ზმნა ჩვეულებრივია ლაზურშიც: *ჩხომეფე **დოკორობუ*** – „თევზები შეაგროვა“ („აკრიფა“), *კოობუფს* „კრეფს“ და სხვა. ეს კი, თუმცა არაპირდაპირ, მაგრამ მაინც მიუთითებს იმაზე, რომ რთული ტიპის „უნიშნო ვნებითი“ ლაზურშიც უნდა გვქონოდა.

გ. მაჭავარიანის მოსაზრებით, ზანურში, ისევე, როგორც ქართულში, „უნიშნო ვნებითი“ წარმოადგენს ბაზას მოქმედებითი გვარის ზმნების საწარმოებლად და გარდაუვალი დინამიკური ზმნებისაგან ნაწარმოები მოქმედებითი ზანურშიც კაუზატივს უდრის. უნიშნო ვნებითი“ ზანურში ისევე არაპროდუქტიულია, როგორც ქართულში. უმეტეს შემთხვევებში ამ ტიპის ფუძეები საერთოა ქართულსა და ზანურისათვის. ეს კი, გ. მაჭავარიანის აზრით, ერთხელ კიდევ ადასტურებს სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას „უნიშნო ვნებითის“ სიძველის შესახებ.

ავტორი მსჯელობს უნიშნო ვნებითის შესახებ სვანურ ენაშიც და აღნიშნავს, რომ ქართულისა და ზანურის მესამე ტიპის („უნიშნო“) ვნებითს სვანურში შეესაბამება მეორე ტიპის (ფუძედრეკადი) ვნებითი, შდრ.:

ძვ. ქართ. *დების* ← **ედ-ებ-ი-ს;* სვან. *ედნ-ი* – *ედ-ენ-ი* „მოდის“

ამ ტიპის ყველა ზმნა ფუძეში **ე** ხმოვანს შეიცავს, რომელსაც ნ. ძირითადის მესამე პირში (და, მაშასადამე, მრ. რიცხვის ყველა პირში) **Ა̈** (ბალსზემოურსა და ეცერულში) ან **ა** (ბეჩოურში, ლენტეხურსა და ლაშხურში) ენაცვლება:

ბზ.	**ეცრ.**	**ბეჩ.**	**ლნტ.**	**ლშხ.**	
ატᲐ̈ხ	*ატᲐ̈ხ*	*ატᲐხ*	*ატᲐხ*	*ატᲐხ*	„დაბრუნდა“

აწმყოში სვან. მეორე პირის ვნებითისათვის დამახასიათებელია რთული დაბოლოება **-ენ-ი** (შდრ. ქართ. **-ებ-ი**). **-ი-** იგივეა, რაც ქართ. **-ი-** (წარმოშობით ხოლმეობითის სუფიქსი), **-ენ-** ქართ.**-ებ-** სუფიქსის მორფოლოგიური ეკვივალენტია, **-ენ**-ისა და **-ებ**-ის ფუნქციური შესატყვისობა სხვა შემთხვევებშიც შეინიშნება.

ამრიგად, ასკვნის ავტორი, სვან. მეორე ტიპის ვნებითი ყოველ მხრივ შეესაბამება ქართულ უნიშნო ვნებითს. განსხვავებას ის ქმნის, რომ სვანურში მხოლოდ მარტივი ტიპი გვაქვს (‘სედ-ნ-ი, ტეხ-ნ-ი’...), ქართულში კი მარტივის გვერდით (‘ჯდების, კუდების’...) რთული ტიპიც არის წარმოდგენილი (‘დრკების’ და მისთ.). რთული ტიპის არსებობის კვალი ზანურშიც ხელშესახებია. ქართული და ზანური აქ უფრო მჭიდრო ნათესაობას ამჟღავნებენ. სვანური აქაც განვითარების დამოუკიდებელ გზას გვიჩვენებს. რთული ტიპის უქონლობა სვანურში, ავტორის მითითებით, არქაიზმად უნდა ჩაითვალოს. თუმცა, მეორე ტიპის ვნებითს სვანურში „უნიშნო“ ვერ დაერქმევა. ვნებითი და მოქმედებითი უპირისპირდება ერთმანეთს ფუძის (ერთი და იმავე ფუძის) სხვადასხვაგვარი გახმოვანებით:

ზსვ. ლშხ. *ტეხ-ნ-ი* „ბრუნდება“ – **ზსვ. ლნტ.** *ტიხ-ე*, **ლშხ.** *ტეხ-ე* „აბრუნებს“
ბზ. ეცერ. *ა-ტᲐ̈ხ* „დაბრუნდა“ – *ა-ტიხ* (ყველა დიალექტში) „დააბრუნა“

სვანური ენის განვითარების **დღევანდელ** საფეხურზე ფუძისეულ ხმოვანთა ფუნქციონალური მონაცვლეობა, ე.ი. **ფუძის ფლექსია, ფაქტია**. საკითხი ასე დგას: პირველადია ეს მოვლენა სვანურში თუ მეორეული? ძველისძველი, საერთო-ქართველური მოვლენაა ფუძის ფლექსია ამ ტიპის ზმნებში, თუ სვანურ ნიადაგზე აღმოცენდა გარკვეულ ფონეტიკურ პირობებში და მხოლოდ შემდეგ მიიღო მორფოლოგიური მნიშვნელობა?

გ. მაჭავარიანის მოსაზრებით, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მოვლენა მეორეულია. ვნებითისა და მოქმედებითის დაპირისპირების ის პრინციპი, რომელიც გატარებულია სვანურ ფუძედრეკად ზმნებში, დამახასიათებელი არ უნდა ყოფილიყო ქართველური ენებისათვის. ეს მოვლენა სვანურ ნიადაგზე უნდა იყოს განვითა-

რებული. საერთოდ, ფუძისეულ ხმოვანთა ფუნქციური მონაცვლეობა ისევე, როგორც ინფიქსაცია, უცხო უნდა ყოფილიყო ქართველური ენებისათვის. დღეს ჩამოყალიბებული სახით **მხოლოდ** სვანურში გვხვდება და აქაც ეს პროცესი მეორეული ჩანს.

ქართული ფუძედრეკადობა, რომელიც ფუძის ფლექსიის შთაბეჭდილებას ტოვებს, წარმოშობით ფონეტიკური პროცესია. გ. მაჭავარიანი მიიჩნევს, რომ ეს პროცესი ქართულმა ენამ გამოიყენა, როგორც დამატებითი საშუალება აწმყოსა და ნ. ძირითადის დასაპირისპირებლად. იგივე პროცესი ენას შეეძლო გამოეყენებინა, როგორც დამატებითი, ხოლო უფრო გვიან, ძირითადი საშუალება ვნებითისა და მოქმედებითის დასაპირისპირებლად. შდრ. ქართ.:

ნ. ძირითადი

ვნებ.		**მოქმ.**	
**ვ-ცუედ*	*(გა-ვ-ცვდ-ი)*	**ვ-ცუიდ-ე*	*(ვ-ცვით-ე)*
**ვ-წყედ*	*(გა-ვ-წყდ-ი)*	*ვ-წყუიდ-ე*[13]	*(ვ-წყვიტ-ე)*

ქართულ ფუძედრეკად ზმნათა ჩვენება ცხადყოფს, რომ **ე** ხმოვანი მარტო ვნებითისათვის არ არის დამახასიათებელი. ყველა სუფიქსი, რომელიც **ე** ხმოვანს შეიცავს და ვ. თოფურიას მიერ ვნებითის მაწარმოებლადაა მიჩნეული, მოქმედებითი გვარის ზმნებთანაც (უმთავრესად ფუძედრეკადებთან) გვხვდება: **-ედ** და **-ენ** სუფიქსები, **-ერ** სუფიქსი, რომელიც შემდეგ ზმნებში გვაქვს: *უ-ძზ-**ერ**-ს — უ-ძზ-**ირ**-ა, უ-ცქ-**ერ**-ს — უ-ცქ-**ირ**-ა* და სხვ. **-ევ** კაუზატივის ერთ-ერთი მაწარმოებელია ქართულში. ასევე გვხვდება ზოგ გარდამავალ ფუძედრეკად ზმნაში, **-ემ** გვაქვს *თვლ-**ემ**-ს — თვლ-**იმ**-ა* ზმნაში, რომელიც წარმოშობით გარდამავალია, **-ებ** სუფიქსი მოქმედებითი გვარის აწმყოს ფუძის ერთ-ერთი მაწარმოებელია და სხვ. *და-წევ* ზმნის ფუძე ემთხვევა სტატიკური *წევ-ს* ზმნის ფუძეს. ორივე **ე** ხმოვანს შეიცავს.

აღნიშნული სუფიქსები (და, მაშასადამე, ამ სუფიქსებში გამოყოფილი **ე** ხმოანიც) ვნებითის მაწარმოებლები ვერ იქნება. თუ ასეა, მაშინ **ე** ვერ გაუტოლდება იმ **ე-** პრეფიქსს, რომელიც ვნებითის ერთ-ერთ მაწარმოებელს წარმოადგენს ქართველურ ენებში. ვნებითის **ე-** პრეფიქსს ზანურ დიალექტებში კანონზომიერად შეესატყვისება **ა-** (ქართ. *ე-წერება* — ზან. *ა-ჭარენ)* მაშინ, როდესაც „უნიშნო ვნებითის“ ფუძისეული **ე**-ს შესატყვისი ზანურში ჩვეულებრივ **ო** ხმოვანია.

აქედან, ასკვნის ავტორი, ქართული „უნიშნო ვნებითის“ ფუძეში გამოყოფილი **ე** ხმოვანი ვნებითის ნიშანი არ არის. მეტწილ შემთხვევებში ის სუფიქსების შემადგენლობაში შედის. ერთ შემთხვევაში კი კლასის ნიშნის თანმხლები ჩანს (*დ-ე-ვ*).

---

[13] ძვ. ქართულში იწერებოდა *ვ-წყჳდ-ე.*

ქართული „უნიშნო ვნებითი“ ისტორიულად მართლა უნიშნო უნდა ყოფილიყო. ანუ ის არც იყო ვნებითი. გ. მაჭავარიანი იზიარებს ქ. ლომთათიძის მოსაზრებას, რომ „უნიშნო ვნებითის“ სახით ჩვენ საქმე უნდა გვქონდეს უძველესი ფორმაციის დინამიკურ გარდაუვალ ზმნებთან, რომელთაც, რასაკვირველია, ვნებითის არავითარი ნიშანი არ ექნებოდათ.

ავტორი აქვე სვამს კითხვას, როგორ შეიძლება აიხსნას შეფარდებები: ვნებ. *ცედ* – მოქ. *ცად*, ვნებ. *ყევ* – მოქ. *ყავ...* და მიუთითებს, რომ **ე** და **ა** ხმოვნების მონაცვლეობას ქართულში მორფოლოგიური ფუნქცია არა აქვს. **ა** ხმოვანი ისევე არ არის მოქმედებითი გვარის მაწარმოებელი, როგორც **ე** – ვნებითისა. სვანური ტიპის **ფუნქციონალური** ხმოვანთმონაცვლეობა *(ტ**ე**ხ-ნ-ი – ტ**ი**ხ-ე, ა-ტ**ა**ხ – ა-ტ**ი**ხ)* ქართულში არ დასტურდება.

ერთი და იმავე ფუძის ორი ვარიანტიდან (**ცედ/ცად**) ქართულმა ერთი ვნებითს მიაკუთვნა, მეორე მოქმედებითს. აღსანიშნავია ისიც, რომ „უნიშნო ვნებითისთვის“ დამახასიათებელია უსუფიქსო აორისტი მაშინ, როდესაც მისი საპირისპირო მოქმედებითის ნ. ძირითადი უმრავლეს შემთხვევაში **-ე** სუფიქსიანია. შდრ., მაგ.: *წარ-ვ-ჰედ – აღ-ვ-ჰად-ე, შე-ს-ცეთ *შე-ს-ცედ – გამო-ს-ცად-ე...*

აქვე განიხილება ძველი ქართული ენის დიალექტური შედგენილობის საკითხი. ავტორის აზრით, ქართველურ ენათა ერთიანობის ეპოქაში (ან ყოველ შემთხვევაში ზანურ-ქართული ერთიანობის პერიოდში მაინც) უნდა მომხდარიყო **ე** და **ა** ხმოვნების დიალექტური მონაცვლეობა: ზოგ დიალექტში **ე** ხმოვნიანი ვარიანტები ჭარბობდა, ზოგში – **ა** ხმოვნიანი. ზანური ენის წინაპარი დიალექტებისათვის ძირითადად **ა** ხმოვნიანი ფუძეები უნდა ყოფილიყო ნიშანდობლივი, თუმცა მათ გვერდით **ე** ხმოვნიანი ვარიანტებიც უნდა გვქონოდა.

‘ტ**ე**ხ-ნ-ი – ტ**ი**ხ-ე’ ტიპის მონაცვლეობა არც მეგრულ-ლაზურისათვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი. ვ. თოფურიას ზანურში დადასტურებული აქვს ფუძისეული ხმოვნების ფუნქციური მონაცვლეობის უდავო მაგალითი: მეგრ. *შქირ**ი**ტ-უა* „შრეტა“, *შქირ**ა**ტ-უა* „*შრტომა“, *შქირ**ა**ტ-ილ-ი* „*მ-შრტ-არ-ი“.

ძველად შეფარდება აწმყოსა და ნ. ძირითადს შორის ისეთივე უნდა ყოფილიყო, როგორიც გვაქვს ქართულ ფუძედრეკად ზმნებში:

მეგრ. **შქირ**ა**ტ-ს – (დო)-შქირ**ი**ტ-უ;*
ქართ. *შრ**ე**ტ-ს – (და)-შრ**ი**ტ-ა.*

ორი პარალელური ფორმიდან *(შქირატუა // შქირიტუა)* პირველმა ვნებითის გაგება მიიღო, მეორემ – მოქმედებითისა. ნამყო ძირითადის ფუძეში დადასტურებული **ი** უშუალოდ **ა**-სგან ვერ იქნება მიღებული. **ი** უნდა იყოს მიღებული **ე**-ს რედუქციით ისევე, როგორც ქართულში. თუ ასეა, რედუქცია (**ე→ი**) მანამდე უნდა მომხდარიყო, სანამ ზანურისათვის დამახასიათებელი ხმოვანთა გადაწევა (**ა→ო**, **ე→ა**) მოხდებოდა.

მსჯელობის შედეგად ავტორი ასკვნის, რომ ხმოვანთა ფუნქციური მონაცვლეობა ზანურისათვის დამახასიათებელი არ არის. *შქირატუა // შქირიტუა* ტიპის მონაცვლეობა, რომელიც სვანური ტიპის მონაცვლეობას უახლოვდება, არსებითად ქართული ტიპის ფუძედრეკადობაზე დაიყვანება. ქართული ფუძედრეკადობა კი წარმოშობით ფონეტიკური პროცესია, რომელსაც შეეძლო მორფოლოგიური ფუნქცია შეეძინა.

რაც შეეხება სვანურს, ბუნებრივია, ვიფიქროთ, რომ სვანური ფუძედრეკადობაც (ფუძის ფლექსია) წარმოშობით ფონეტიკური პროცესია, რომლის სათავეებიც ქართული ტიპის ხმოვანთა მონაცვლეობაშია საძიებელი. სვანურში ფუძისეული ხმოვნის მონაცვლეობა ფუძედრეკად ზმნებში გამოყენებულია ვნებითისა და მოქმედებითის დასაპირისპირებლად ვნებითის ფუძეს **ე** (**ᲐᲐ/ა** ხმოვნები, მოქმედებითისას – **ი/გ**). შეგვიძლია თუ არა, ამის მიხედვით დავასკვნათ, რომ **ე** ხმოვანი ვნებითის მაწარმოებელია (ინფიქსია), ხოლო **ი** – მოქმედებითისა? კითხულობს ავტორი და აღნიშნავს, რომ ქართულისა და ზანურის მონაცემების მიხედვით **ე** ხმოვანი ქართველურ ენებში ვნებითობასთან (საერთოდ, გვარის კატეგორიასთან) არ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. არის რამდენიმე **გარდამავალი** ზმნა, რომელთა აწმყოს ფუძეში **ე** ხმოვანი დასტურდება. მაგ.: *ი-კედ* „იღებს“, იმავე ფუძის *კედ* (ბზ. ლნტ.) „წყვეტს, ჟლეტს, *თერ* „ცნობს“, *ი-ყერ* „მოირტყამს, იცემს“. *კედ* ზმნის საპირისპირო ვნებითია *კედ-ნ-ი* „წყდება“. შეფარდება – მოქმედებითში **ი**, ვნებითში **ე** – დარღვეულია. **ე** ხმოვანი ვნებითშიცა გვაქვს და მოქმედებითშიც, შესაბამისად **ე** ხმოვანი მარტო ვნებითისთვის (მეორე ტიპის ფუძედრეკადი ვნებითი) არ ყოფილა დამახასიათებელი. **ე** ხმოვანი ფუძედრეკად **გარდამავალ** (მოქმ. გვარის) ზმნათა აწმყოს ფუძეშიც დადასტურდა.

საბოლოოდ, სვანური ტიპის ფუძედრეკადობა, გ. მაჭავარიანის მსჯელობით, ქართული ტიპის ფუძედრეკადობაზე დაიყვანება.

მოვლენის განვითარებას ავტორი შემდეგნაირად წარმოადგენს: ფუძედრეკადი გარდამავალი ზმნებისთვის სვანურში ნიშანდობლივი იყო ათემატური აწმყო და **-ე** სუფიქსიანი ნ. ძირითადი:

აწმყო		**ნ. ძირითადი**
კედ(ან)-*		*კედ-ე*
შდრ. ქართ.	*წყუედ-ს*	**წყუედ-ე-(ნ)*

ნ. ძირითადის **-ე** სუფიქსის გავლენით ფუძისეული **ე**→ **ი:** **ან-კედ-ე* → **ან-კიდ-ე* შდრ. ქართ. **წყუედ-ე-(ნ)* → *წყუიდ-ე-ნ*-**ე** სუფიქსის მოკვეცის შემდეგ მივიღეთ *ან-კიდ*. სუფიქსის მოკვეცა ნ. ძირითადში შესაძლოა მახვილის წინ გადაწევით აიხსნებოდეს. ამავე დროს **-ე** სუფიქსის მოკვეცასთან უნდა იყოს დაკავშირებული **-ე** სუფიქსის დართვა (თემატური ტიპის ჩამოყალიბება) აწმყოში. ათემატური ტიპის თითო-ოროლა გადმონაშთი კი *(კედ, იყერ, თერ)* იმის წყალობით

შემორჩა, რომ აწმყოსა და ნ. ძირითადის დაპირისპირება **-ე** სუფიქსის მოკვეცის შემდეგაც (ნ. ძირითადში) ხერხდებოდა ფუძის ხმოვანთა მონაცვლეობით *(იყერ – იყირ).* რაც შეეხება **ე→ი** პროცესს აწმყოში, ეს დაკავშირებული უნდა იყოს თემატური ტიპის ჩამოყალიბებასთან:

*კედ *კედ-ე კიდ-ე*
**ტეხ * ტეხ-ე ტიხ-ე*

ამავდროულად, გამორიცხული არ უნდა იყოს შესაძლებლობა, რომ **ი** ხმოვანი აწმყოში ნ. ძირითადიდან გადმოჰყვა. თემატური აწმყო **ჩვეულებრივ** ნ. ძირითადის ფუძიდან იწარმოება: *ა-ტიხ – ტი-ხ-ე* (შდრ. ქართ. დიალექტ. *გა-წყვიტ-ა – წყვიტ-ავ-ს*).

ავტორი მიიჩნევს, რომ მოქმედებითი გვარის ფუძედრეკად ზმნათა ფუძეში განზოგადდა **ი**, რომელიც დაუპირისპირდა ვნებითი გვარის შესაბამის ზმნათა ფუძისეულ **ე** ხმოვანს:

მოქმ. *ა-ტიხ – ტიხ-ე*
ვნებ. **ა-ტეხ – ტეხ-ნ-ი (*ა-ტეხ → ა-ტäx //ა-ტახ.)*

შეიძლება ესეც იყოს იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ გარდამავალ ფუძედრეკად ზმნათა აორისტი უსუფიქსო გახდა: ვნებითისა და მოქმედებითის გარჩევა ფუძისეულ ხმოვანს დაეკისრა. მოქმედებითსა და ვნებითს შორის დამყარდა ერთგვარი შესაბამისობა: ვნებითის უსუფიქსო ნ. ძირითადის გვერდით შეიქმნა მოქმედებითის ნ. ძირითადი.

ამგვარად, ფუძედრეკად ზმნათა სახით ჩამოყალიბდა განკერძოებული, ნორმალურისგან განსხვავებული სისტემა. **ე** ხმოვნიანი ვარიანტები *(კედ-, ტეხ-)* ამოსავალია როგორც ვნებითისთვის, ისე მოქმედებითისთვის. ფუძისეული **ე** ისევე არ არის ვნებითის ნიშანი, როგორც **ი-** მოქმედებითისა. სვანური მეორე ტიპის ვნებითი ისტორიულად უნიშნო იყო, როგორც ქართული და ზანური მესამე ტიპის ვნებითი, აღნიშნავს ავტორი..

ავტორი ასევე მსჯელობს: **ი→გ** პროცესის შესახებ სვანურში და მიუთითებს, რომ ეს პროცესი ძველი მოვლენა უნდა იყოს. ფუძედრეკად (გრდმ.) ზმნათა ნ. ძირითადის ფუძეში იგი მაშინ უნდა განხორციელებულიყო, როცა უმლაუტის კანონი ჯერ კიდევ არ მოქმედებდა (ან სხვაგვარად მოქმედებდა). **ი→გ** პროცესი აწმყოში (მხოლოდ ლაშხურში!) *ტიხ-ე* ლშხ. *ტგხ-ე* – უფრო გვიანდელი ჩანს. როგორც ცნობილია, უმლაუტის კანონი განსხვავებულ სახეს იღებს სვანურის სხვადასხვა დიალექტში. მით უფრო საფიქრებელია, რომ უმლაუტის კანონი სხვადასხვა სახეს მიიღებდა სვანური ენის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე. უმლაუტი ისტორიულად დამახასიათებელი არ იყო ქართველური ენებისთვის. ის არც სვანურისთვის უნდა ყოფილიყო ნიშანდობლივი ამ ენის განვითარების ადრინდელ საფეხურზე.

შეგვიძლია დავასკვნათ, ამბობს ავტორი, მიუხედავად იმისა, რომ ფუძედრეკად გარდამავალ ზმნათა აორისტის მესამე პირში (და მრ. რიცხვის ყველა პირში) დადასტურებული ფუძისეული **ი** მეორეული აღმოჩნდა (**ი←ᲒᲒ**), ნ. ძირითადის ფუძეში მაინც **ი** უნდა ვივარაუდოთ ამოსავლად (**ი←ე** ჯერ კიდევ ქართველურ ენათა ერთიანობის ეპოქაში). საფიქრებელია, სვანური ენის განვითარების უკვე ადრინდელ საფეხურზე **ი**-მ მოგვცა **ᲒᲒ**. შემდეგ მესამე პირისა და მრ. რიცხვის ყველა პირის ფორმებში **ᲒᲒ→ი,** იმ **ი** (ან **ე**) ხმოვნის მოკვეცის შედეგად, რომელიც უსუფიქსო ნ. ძირითადს მესამე პირისა და მრ. რიცხვის ყველა პირის ფორმებში ერთვოდა.

აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ უსუფიქსო ტიპი (უფრო ძველი, სუფიქსიანი ტიპის ნაცვლად) ფუძედრეკად გარდამავალ ზმნათა ნ. ძირითადში საკმაოდ ადრე უნდა გაბატონებულიყო. ამით უნდა აიხსნებოდეს ის გარემოება, რომ ფუძედრეკად გარდამავალ ზმნათა ნ. ძირითადმა შეიძინა ყველა ის თვისება, რაც დამახასიათებელია სვანური უსუფიქსო აორისტისთვის (**ი/ე** დაბოლოება ამჟამად უკვე მოკვეცილი მესამე პირისა და მრ. რიცხვის ყველა პირის ფორმებში).

საბოლოოდ, გ. მაჭავარიანის აზრით, ფუძედრეკად ზმნათა და „უნიშნო ვნებითის“ საკითხი პრინციპში გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს. შეჯამების სახით ავტორი შემდეგ დებულებებს გვთავაზობს:

- ფუძისეულ ხმოვანთა ფუნქციური მონაცვლეობა (ფუძის ფლექსია) ისტორიულად დამახასიათებელი არ იყო ქართველური ენებისთვის. ფუძედრეკადობა თავდაპირველად წმინდა ფონეტიკური პროცესი იყო როგორც ქართულსა და ზანურში, ისე სვანურშიც. შემდეგ ამ პროცესმა მორფოლოგიური დანიშნულება მიიღო: ქართულსა და ზანურში (ამ ენის განვითარების შედარებით ადრინდელ საფეხურზე) გამოყენებულ იქნა როგორც დამატებითი საშუალება აწმყოსა და ნ. ძირითადის დასაპირისპირებლად (ქართ. *წყუედ-ს – წყუიდ-ა,* ზან. **ჭყვად-ს – ჭყვიდ-უ*), ხოლო სვანურში – ვნებითისა და მოქმედებითის სადიფერენციაციო ერთ-ერთ **ძირითად** საშუალებად იქცა *(ტეხ-ნ-ი – ტიხ-ე, ა-ტᲔᲮ – ა-ტიხ).* ქართულისებური ფუძედრეკადობის კვალი ‘ი-ყერ- – ი-ყირ’ ტიპის ზმნებში შემოგვრჩა. ქართველურ ენათაგან ფლექსიურ ტიპს დღეს ყველაზე მეტად სვანური უახლოვდება: ხმოვანთა ფუნქციური მონაცვლეობა დასტურდება არამხოლოდ ფუძედრეკად ზმნებში, არამედ სხვა შემთხვევებშიც, კერძოდ, ნ. უსრულის წარმოებისას (*ხეჭᲔდიᲔᲚ* „ეკითხება“ – *ხეჭᲔდიალ* „ეკითხებოდა“), აგრეთვე სახელთა ბრუნებაში *(სემ-ი* „სამი“ – მიც. *სამ, ᲟᲔᲚ* „ძაღლი“ – მიც. *ᲟᲐᲚ-Ე*). აქაც ისევე, როგორც ფუძედრეკად ზმნებში, ხმოვანთა ფუნქციური მონაცვლეობა ფონეტიკურ საფუძველზეა აღმოცენებული (თ. შარაძენიძე).
- „უნიშნო ვნებითი“ ქართულსა და ზანურში, ფუძედრეკადი ზმნები სვანურში ისტორიულად ნამდვილად უნიშნო იყო. *ტᲔᲤ-, *ᲓᲔრᲔკ-, *ტᲝᲑ-, ტᲔᲮ-,* ფუ-

ძეებში არაფერი არა გვქონდა ისეთი, რაც მათ ვნებითობაზე მიუთითებდა. ამ ტიპის ზმნები.

- წინ უსწრებენ გვარის კატეგორიის ჩამოყალიბებას ქართველურ ენებში. „ისტორიულად ისინი უნდა ყოფილიყვნენ... დინამიკური უგვარო ზმნები, განსხვავებულნი უგვარო სტატიკური ზმნებისაგან“.[14] რადგან აღნიშნული ტიპის ზმნებმა ძველიდანვე **გარდაუვალი** შინაარსი შეიძინეს, ამიტომ გვარის კატეგორიის ჩამოყალიბების შემდეგ ისინი ბუნებრივად ჩადგნენ **ვნებითი** გვარის ზმნათა რიგში.
- „რთული“ ტიპის „უნიშნო ვნებითის“ უქონლობა სვანურში არქაიზმი ჩანს. ამავე „რთული“ ტიპის ზმნათა არსებობა ქართულსა და ზანურში სხვა ფაქტებთან ერთად ამ ენების უფრო მჭიდრო ნათესაობაზე, ან, ყოველ შემთხვევაში, მათ უფრო ინტენსიურ და ხანგრძლივ ისტორიულ ურთიერთობაზე მიუთითებს.

* * * * * * *

სამეცნიერო შრომის გაცნობამდე **ბიბლიოგრაფიაზე** თვალის შევლებაც კი ყოველთვის ძალიან საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის. სწორედ მისი საშუალებით გვექმნება ზოგადი წარმოდგენა ამა თუ იმ ნაშრომზე. იყო პერიოდი, როდესაც მკაცრი ცენზურისა და საბჭოთა კავშირის მძიმე რეჟიმის დროს, სამეცნიერო ნაშრომის სწორედ ბიბლიოგრაფიული ნაწილი იყო ყველაზე სახიფათო და ფრთხილად შესარჩევი, რაც ხშირად ერთგვარ „ბილეთსაც“ კი წარმოადგენდა ნაშრომის სამომავლო ბედისა და მისი ავტორისათვის.

გივი მაჭავარიანის დისერტაცია „ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები ქართველურ ენებში“ სწორედ იმ პერიოდშია შექმნილი, როდესაც მკაცრი საბჭოთა რეჟიმი აკონტროლებდა ყველაფერს, მათ შორის მეცნიერებასაც. სწორედ ამაზე უნდა მეტყველებდეს ამხანაგ სტალინის დამოწმება.

ავტორი ძალიან მოხერხებულად ურთავს თავის სადისერტაციო ნაშრომში ი. სტალინის მოსაზრებას ენათმეცნიერების დანიშნულების შესახებ, რომელსაც ერთგვარი ტავტოლოგიური შინაარსი აქვს. ის წერს: „ენათმეცნიერების ძირითადი ამოცანა ენის განვითარების შინაგანი კანონების შესწავლაა, როგორც ამას გვასწავლის ი. სტალინი“. სტალინის ამგვარი დამოწმებით ის ერთგვარ ხარკსაც იხდის იმდროინდელი რეჟიმის წინაშე.

ქრონოლოგიური თვალსაზრისით თუ დავალაგებთ გამოყენებულ ლიტერატურას, დავინახავთ, რომ ნაშრომების უმრავლესობა მეოცე საუკუნის 20-50-იან წლების პერიოდს მოიცავს, თუმცა არის რამდენიმე ნაშრომი დათარიღებული მე-19 საუკუნის 70-80-იანი წლებით (კონკრეტულად, უსლარისა და ცაგარელის შრო-

[14] ქ. ლომთათიძე, **თბება** ტიპის ზმნათა ისტორიისათვის ქართულში, გვ. 77.

მები); ასევე, იოსებ ყიფშიძისა და ნიკო მარის რამდენიმე ნაშრომი, რომლებიც მე-20 საუკუნის ადრეულ პერიოდს მიეკუთვნება. ქრონოლოგიური თვალსაზრისით მასალის გაანალიზება გვაჩვენებს, რომ ავტორი ზედმიწევნით კარგად იცნობს იმდროინდელ თანამედროვე სამეცნიერო ნაშრომებს და აქვს ძალიან ღრმა საბაზისო ცოდნა. დღევანდელი გადმოსახედიდან, ერთი შეხედვით, ეს წარმოუდგენელიც კი არის – 25 წლის ასაკში იყო ასეთი ცოდნის მატარებელი.

სადისერტაციო ნაშრომის ბიბლიოგრაფიულ ნაწილში არ ფიქსირდება გამოუქვეყნებელი მასალები, სტატიები ან მოხსენებები, რომლებსაც შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინა საკვლევი თემისა და საკითხების შესახებ ავტორის ცოდნის ფორმირებაზე. თუმცა, ვერც იმას გამოვრიცხავთ, რომ ამგვარ მასალებსაც კარგად იცნობდა ბატონი გივი.

სადისერტაციო ნაშრომში ავტორი მიმოიხილავს საკვლევი თემატიკის შესახებ გამოქვეყნებულ სტატიებს, სხვადასხვა სახის ჟურნალებსა თუ კრებულებს და მონოგრაფიებს. დისერტაციაზე მუშაობის პროცესში ავტორის მიერ გამოყენებული ლიტერატურა, ენათმეცნიერული თვალსაზრისით, ძალიან ფართოა, ის არ შემოიფარგლება მხოლოდ ენათმეცნიერების რომელიმე ერთი დარგით და საკვლევი თემატიკის ფარგლებში დამოწმებულია როგორც ფონეტიკური, ასევე ფონოლოგიური ხასიათის გამოკვლევები; ამასთანავე, სრულიად ლოგიკურად, გაანალიზებულია შრომები ქართული ენის მორფოლოგიისა და მორფოსინტაქსის სფეროდან; ვხვდებით, აგრეთვე, დიალექტოლოგიური ხასიათის ლიტერატურის მიმოხილვას, ლექსიკოლოგიურ შრომებს და, ასევე, დიდი ადგილი უკავია ისტორიულ-შედარებითი ხასიათის ნაშრომებსა და გამოკვლევებს.

სრულიად ახალგაზრდა მკვლევარი, სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვის ფარგლებში, ახერხებს თავისი საკვლევი თემატიკის მკაფიოდ წარმოჩენასა და სხვა ნაშრომებთან მისი მიმართების დასაბუთებას.

დისერტაციაში არ არის მოცემული რაიმე დაუსაბუთებელი დებულება ან არგუმენტი, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ავტორი სიღრმისეულად იცნობს ყველა იმ ნაშრომს, სტატიასა თუ წიგნს, რომელიც სადისერტაციო შრომის ლიტერატურაში აქვს მითითებული. მას ღრმად აქვს გაანალიზებული ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმული თითქმის ყველა მოსაზრება, რომელიც კი დაფიქსირებული იყო იმდროისათვის სპეციალურ ლიტერატურაში. სწორედ ეს სიღრმისეული ცოდნა ეხმარება მას, იყოს კრიტიკული და თანაც ობიექტური. ყოველ მის წინადადებას ეტყობა, რომ ის ფორმირებულია ღრმა, კრიტიკული ანალიზის შედეგად. გივი მაჭავარიანი აღწერს სხვა მკვლევრების მიერ წამოყენებულ ყველა იმ დებულებას, რომელიც ლოგიკურად შეკრული და კარგად არგუმენტირებულია.

ავტორი ეყრდნობა როგორც პირველად, ასევე მეორეულ წყაროებს; ანუ, ისეთ წყაროებს, რომლებშიც განხილული და შესწავლილია პირველად წყაროებში და-

ფიქსირებულ მეცნიერთა მოსაზრებები. გამოყენებული ლიტერატურის სიაში ასევე წარმოდგენილია ლექსიკონები.

სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებული ლიტერატურა ასახულია როგორც რეზიუმეს, ასევე, პარაფრაზისა და ციტატის სახით. ავტორი ასევე ხშირად იყენებს შენიშვნებში გამოყენებული ლიტერატურის მითითების ფორმატს, რაც გულისხმობს ინდექსების საშუალებით ტექსტში მოხმობილი ლიტერატურის მითითებას და ამ ნაშრომის ბიბლიოგრაფიული მონაცემების სქოლიოში განთავსებას.

ნაშრომის ბოლოს, ავტორების მიხედვით ანბანურ რიგზეა დალაგებული დისერტაციაში გამოყენებული ყველა ნაშრომი და, ასევე, მასალის ტიპის მიხედვით გამოყოფილია სხვადასხვა სექცია, ანუ, მთლიანობაში ბიბლიოგრაფია სტრუქტურირებულია და დალაგებულია გარკვეული პრინციპების მიხედვით:

პირველი – პოლიტიკური: ბიბლიოგრაფიის თავში წარმოდგენილია ი. სტალინის ორი ნაშრომი, მეორე – ლიტერატურის ხასიათი და დანიშნულება:

ა) ყველა სახის გამოკვლევა ერთად არის განთავსებული ავტორთა გვარების ანბანთრიგის მიხედვით, რასაც მოჰყვება ბ) ასევე ამავე პრინციპით (ავტორთა გვარები ანბანბანთრიგზე) დალაგებული ლიტერატურული წყაროები. მესამე – ენა: ჯერ განთავსებულია ქართულენოვანი ლიტერატურა, შემდეგ კი უცხოენოვანი (კერძოდ, რუსულენოვანი ნაშრომები და შემდეგ გერმანულენოვანი გამოკვლევა).

ფატი ანთაძე-ალაშხია

ნაცნობ ენათა მიმართებისათვის ახალ/დამატებით უცხო ენასთან

(სპარსულის, როგორც ახალი/დამატებითი უცხო ენის შესახებ)

ახალი/დამატებითი უცხო ენის ათვისების საკითხი 1990-იანი წლებიდან გამოყენებით ენათმეცნიერებაში გაიმიჯნა მეორე ენის (The Second Language – L2) კვლევის სფეროსგან. სადღეისოდ ახალი/დამატებითი უცხო ენის ათვისება განიხილება ცალკეული შესწავლის საკითხად და არა დანამატ საკვლევ ობიექტად, რომელიც ზოგადად უცხო ენის დაუფლებასთანაა ასოცირებული (Gabrielli Amaro, Flynn, Rothman 2011:1). ამგვარი მიდგომა განაპირობა იმ გარემოებაზე ყურადღების გამახვილებამ, რომ ახალი/დამატებითი უცხო ენის ათვისების პროცესზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ მშობლიური/პირველი ენა (Native Language/the First Language NL/L1), არამედ შემსწავლელისთვის ნაცნობი სხვა ენა თუ ენები (Gabrielli Amaro, Flynn, Rothman 2011:12).

კვლევის ახალი ობიექტის სახელწოდების მიმართ გარკვეული ორჭოფობა შეინიშნება. სამეცნიერო ლიტერატურაში მეტწილად გავრცელდა ტერმინი მესამე ენა (The Third Language – L3), რომლის შეუსაბამობაზე სამართლიანად მიუთითებენ მკვლევრები; ამგვარი სახელწოდების თანახმად, კვლევის მიღმა რჩება დანარჩენი ნაცნობი ენები, მაშინ როცა ადამიანი ახალი/დამატებითი უცხო ენის შეთვისებამდე შეიძლება ფლობდეს სამ ან მეტ ენას. ჯ. დე ანჯელისი მიზანშეწონილად მიიჩნევს მეორე ენის გარდა ყველა სხვა ენის მომცველ სახელწოდებას – მესამე ან დამატებითი ენა (The Third or Additional Language), თუმცა თვითონვე მიუთითებს, რომ მის მიერ შემოთავაზებული ტერმინი გრძელი და მოუხერხებელია (De Angelis 2007:11-12). ბუნდოვანების თავიდან ასაცილებლად წარმოდგენილ სტატიაში გამოყენებული იქნება ტერმინი ახალი/ დამატებითი ენა, სიმბოლოდ კი – Ln, რაც ცხადად წარმოაჩენს, რომ ამ ენის შემსწავლელი მეტნაკლებად უკვე დაუფლებულია სხვა უცხო ენასაც/ენებსაც.

ჩვენ შევეხებით Ln-ის, კერძოდ, სპარსულის მიმართებებს ინგლისურთან. ეს მიმართებები შერჩეულია მათი ლინგვოდიდაქტიკური ღირებულების მიხედვით და გამოყენებულია სპარსულის ნულოვანი დონისთვის გამიზნული და უნივერსიტეტის ქართულენოვან სტუდენტთათვის შემუშავებული სამგზის აპრობირებული სალექციო კურსის სწავლებისას. სპარსულ-ინგლისურ მიმართებათა ანალიზისას ასევე გათვალისწინებულია L1 ქართულის ფონი.

კონკრეტულ მიმართებათა წარმოჩენამდე განვიხილავთ Ln-ის შეთვისების საკვლევი სფეროსთვის საკვანძო საკითხებსა და ფაქტორებს.

ერთი ან მეტი ენის ახალ/დამატებით ენაზე (Ln) გავლენა გულისხმობს უკვე ნაცნობი ენის/ენების ნიშან-თვისებათა გარკვეულწილად გადმოტანას, ანუ მათ ტრანსფერს Ln-ში. ტ. ოდლინისეული განმარტებით: „ტრანსფერი არის გავლენა მომდინარე მსგავსებათა და სხვაობათაგან შესასწავლ/სამიზნე ენასა (Target Language – TL) და ნებისმიერ სხვა ენას შორის, რომელიც ადრე შესაძლოა არასრულყოფილადაც კი იყო შეთვისებული“ (Odlin 1989:27).

ტრანსფერის ცნებაში ტ. ოდლინი აერთიანებს როგორც პოზიტიურ, ასევე ნეგატიურ ტრანსფერს. ამ ორი ცნების საკმაოდ მკაფიო განმარტების თანახმად, „როცა მშობლიური ენის გავლენა განაპირობებს სამიზნე ენის უშუალო და სწრაფ შეთვისებასა და გამოყენებას, საუბარია პოზიტიურ ტრანსფერზე, ხოლო როცა მშობლიური ენის გავლენა სამიზნე ენის შეთვისებისა თუ გამოყენებისას შეცდომებს განაპირობებს, შეიძლება ითქვას, რომ საქმე გვაქვს ნეგატიურ ტრანსფერთან“ (Bardovi-Harlig, Sprouse 2017:1). ამ განმარტებაში მშობლიური/პირველი ენის (NL/L1) გავლენა თავისუფლად შეიძლება ჩანაცვლდეს ადრე შეთვისებული უკვე ნაცნობი ენისა ან ენების (L2, L3...) გავლენით.

შესასწავლ/სამიზნე ენაზე (TL) L1-ისა თუ სხვა ნაცნობი ენის გავლენა მნიშვნელოვანწილად უკავშირდება ასაკობრივ ფაქტორს, რადგან ახალი ენის ათვისებისას ბავშვები, მოზრდილთა თუ ზრდასრულთაგან განსხვავებით, „ნაკლებად ეფუძნებიან L1-ს, შესაბამისად, მათ მიერ მეორე ენის ათვისებას პირველი ენის ათვისების მსგავსად უნივერსალური გრამატიკა და TL-ის შენატანი (input) განსაზღვრავს“ (Murphy 2015:11). შ. მერფი აღნიშნავს, რომ L3-ის კვლევისას ასაკობრივი ფაქტორი მეტწილად უგულებელყოფილია (Murphy 2015:11). ის მიუთითებს გამონაკლისის სახით არსებულ ჯ. ცენოზის ნაშრომზე, სადაც ავტორის დაკვირვების ობიექტი სკოლის მოწაფეები არიან, რომელთათვის L3 ინგლისური იყო, L2 – ესპანური, L1 კი – ბასკური. ამ კვლევის მიხედვით ჩანს, რომ რაც უფრო მოზრდილია მოწაფე, მით უფრო დიდია მეტ-ნაკლებად ათვისებული L2-ის გავლენა L3-ზე (Cenoz 2001:17). ცხადია, ლინგვოდიდაქტიკური ამოცანა ამ გავლენის პოზიტიურ კალაპოტში ჩაყენებაა. ასაკობრივი ფაქტორის გარდა, გასათვალისწინებელია ასევე ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, კერძოდ, ტრანსფერის მეტი ალბათობა Ln-ის ათვისების საწყის ეტაპზე (Del Pilar Garcia-Mayo 2011:136). აქედან გამომდინარე, შემსწავლელთათვის ნაცნობ ენათა Ln-თან მიმართების წარმოჩენა Ln-ის ათვისების სწორედ საწყის ეტაპზეა განსაკუთრებით აქტუალური. ჩვენი სტატიაც სპარსულის სწავლების ამ ეტაპს ეხება.

პოზიტიური ტრანსფერის ერთ-ერთ წინაპირობად ასევე მიჩნეულია ენის შემსწავლელის განათლებისა და წიგნიერების ფონი/დონე, მაგრამ „განათლების ფონი იშვიათად განიხილება ფაქტორად L3-ის შესახებ არსებულ ლიტერატურაში,

თუმცა კი უმეტეს კვლევებში შესწავლის ობიექტები სკოლის მოწაფეები და უნივერსიტეტის სტუდენტები არიან“ (Murphy2015:12).

წიგნიერების ფონი/დონე მჭიდროდ უკავშირდება ენობრივ გათვითცნობიერებულობას (linguistic awareness), რაც გულისხმობს შემსწავლელის უნარს, აღიქვას შესწავლილ და შეუსწავლელ ენათა ნიშან-თვისებები სხვადასხვა სფეროების მიხედვით, ეს იქნება სემანტიკა, გრამატიკა, ფონოლოგია თუ პრაგმატული და სოციოლინგვისტური ასპექტები (Murphy 2015:11). ამგვარი გაცნობიერებული აღქმა ამცირებს ნეგატიური ტრანსფერის ალბათობას და ტრანსფერს ძირითადად პოზიტიური ნიშნით წარმართავს.

L3/Ln-ის შემსწავლელთა ენობრივი გათვიცნობიერებულობა არსებითად განსხვავდება L2-ის შემსწავლელის გათვითცნობიერებულობისაგან უფრო ფართო კომპეტენციით, რამდენადაც L3/Ln-ის შემსწავლელი უკვე გაცნობილია მინიმუმ ერთ ახალ ენას (იხ. ამის შესახებ Cook 1995:95; De Angelis, Selinker 2001:50). ეს გარემოება განაპირობებს ცნობიერების მეტ მოქნილობას, რაც, ბუნებრივია, ამარტივებს შესწავლის პროცესს.

ზემოთქმულის ფონზე ცხადად იკვეთება განათლების/წიგნიერების დონის, კერძოდ, ენობრივი გათვითცნობიერებულობისა და ასაკობრივი ფაქტორის ურთიერთკავშირი, რაც გვკარნახობს წიგნიერ მოზრდილთა თუ ზრდასრულთათვის Ln-ის სწავლებისას უკვე ნაცნობ ენათა სასწავლო რესურსად გამოყენების აუცილებლობას.

Ln-ის შეთვისებისას ძალზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ენობრივი მანძილი Ln-სა და შემსწავლელისთვის ნაცნობ სხვა რომელიმე ენას შორის. ეს ცნება გულისხმობს ენათა ტიპოლოგიურ მსგავსება-სხვაობებს და განიმარტება როგორც „ენებსა და ენათა ოჯახებს შორის არსებული მანძილი, რომელიც ენათმეცნიერს შეუძლია ფორმალურად და ობიექტურად განსაზღვროს და დაადგინოს“ (De Angelis 2007:22). ენობრივ მანძილს აქვს ასევე ფსიქოტიპოლოგიური მხარე, რაც გულისხმობს შემსწავლელის მიერ ამ მანძილის აღქმას (Jessner 2008:31) და განაპირობებს შესასწავლი/სამიზნე ენის (TL) წინმსწრებ ენათა გააქტიურებას.

თანამედროვე საენათმეცნიერო თვალთახედვით, შესასწავლ და ნაცნობ ენათა ტიპოლოგიური მსგავსება ზრდის ტრანსფერის ალბათობას (Murphy 2015:4). შესაბამისად, Ln/TL-ის ნაცნობ ენებთან მსგავსებაზე ყურადღების გამახვილება აადვილებს Ln/TL-ის შესწავლას, „ენის შესწავლისას ენათა შორის არსებულ მსგავსებათათვის მნიშვნელოვანი როლის მინიჭებას ბუნებრივად მოსდევს შეკითხვა იმის შესახებ, უნდა იყოს თუ არა და რა ზომით უნდა იყოს მსგავსებები ეფექტურად წარმოჩენილი სწავლების პროცესში. მთლიანობაში კარგი სტრატეგია იქნებოდა არსებულ მსგავსებათა გამოყენება და ჭარბი გამოყენებაც კი სწავლების ადრეულ ეტაპებზე“ (Ringbom, Jarvis 2009:114).

ლინგვოდიდაქტიკური სტრატეგია Ln/TL-სა და ნაცნობ ენათა შორის არსებულ განხვავებებზე მითითებასაც უნდა გულისხმობდეს (Jessner 2008:40), თუმცა სწავლების საწყის ეტაპზე გეზი ძირითადად მსგავსებათა წარმოჩენაზე უნდა იყოს აღებული. ეს აადვილებს ახალ ენასთან შეგუებას, რამდენადაც ენათა შორის მსგავსებათა გაცნობიერება გარკვეულწილად „ვაქცინაციის" როლს ასრულებს.[1]

ენათა შეპირისპირებაზე დაფუძნებული ლინგვოდიდაქტიკური მიდგომის ფონზე დგება მრავალენოვანი მასწავლებლის, როგორც იდეალური ინსტრუქტორის, საჭიროების საკითხი. რამდენადაც Ln-ის შეპირისპირება ნაცნობ ენებთან განსაკუთრებით აქტუალურია Ln-ის სწავლების საწყის ეტაპზე, დამწყები სტუდენტი მეტ სარგებელს ნახულობს იმ მასწავლებლისაგან, რომელიც არაა Ln-ის ბუნებრივი მატარებელი, რადგან ასეთი მასწავლებლის „უნარ-ჩვევები ეფუძნება მის ენობრივ ფონსა და ენის შესწავლის მისეულ გამოცდილებას" (Jessner 2008:41), რაც შეეხება Ln-ის ბუნებრივად მატარებელ მასწავლებელს, მას უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია სწავლების დაწინაურებულ და ერთენოვნებაზე ორიენტირებულ საფეხურზე.

მასწავლებელმა/ლექტორმა უნდა გააცნობიერებინოს სტუდენტს, რომ მისთვის და სტუდენტისთვის ნაცნობ სხვადასხვა ენებს მსგავსებები შეიძლება Ln-ის სხვადასხვა სფეროსთან აკავშირებდეს. ასე მაგალითად, სპარსულიდან ქართულში შემოსულ ნასესხობათა სიჭარბე განაპირობებს სპარსულისა და ქართულის მსგავსებას ლექსიკის სფეროში.[2] სპარსულსა და ქართულს შორის მსგავსება ჩანს ფონეტიკის სფეროშიც (გიუნაშვილი 1987:7-10). მითითებული მსგავსებები და ასევე სპარსულსა და ინგლისურს შორის არსებული ძალზე მკაფიო მორფოსინტაქსური ანალოგიები ქართულენოვან სტუდენტებს უმცირებს სპარსულის მიმართ უცხოობის გრძნობას (ანთაძე-მალაშხია 2016:183, 187-188, 193). რამდენადაც ქართულ უნივერსიტეტთა სტუდენტების უმრავლესობა დაუფლებულია ინგლისური ენის საფუძვლებს, ისინი ადვილად აღიქვამენ სპარსულ-ინგლისურ გრამატიკულ ანალოგიებს.

ჩვენ მიერ შემუშავებული და დამწყებ ქართულენოვან სტუდენტთათვის განკუთვნილი ერთსემესტრიანი კურსის სწავლებისას გამოიკვეთა, რომ Ln/TL-ზე (აქ: სპარსულზე) ნაცნობ ენათა (აქ: L1 – ქართულის, L2 – ინგლისურის) გავლენა განპირობებულია არა ენათა რიგითობით,[3] არამედ ფსიქოტიპოლოგიური ფაქტორით. ზემოთქმულის თანახმად, სპარსულის შესწავლისას მეტი გავლენა

---

[1] მსგავსებათა წარმოჩენისა და გაცნობიერების სტრატეგიას ეფუძნება Eurocom-ის (European Comprehension) პროექტი, რომლის პედაგოგიური პრინციპები გულისხმობს ყურადღების მიმართვას ენათა შორის არსებული ყველა ტიპის მსგავსებებზე, იქნება ეს ფონეტიკური, ლექსიკური თუ მორფოსინტაქსური ანალოგიები (Eurocom 2004).

[2] ქართულში შემოსულ სპარსულ და, ზოგადად, ირანულ ნასესხობათა შესახებ იხ. ანდრონიკაშვილი 1966; ანდრონიკაშვილი 1996.

[3] ენათა რიგითობის ფაქტორის შესახებ იხ. Hammarberg 2001, სადაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მეორე და არა პირველი ენის გავლენას ახალი/დამატებითი უცხო ენის დაუფლებისას.

აქვს არა ქართულს, როგორც L1-ს ან ინგლისურს, როგორც L2-ს, არამედ ამ ორი ენის გავლენა განპირობებულია სპარსულის სხვადასხვა სფეროებთან მსგავსებით. ჩვენ უკვე მივუთითეთ, რომ სპარსულისა და ქართულის შემთხვევაში მსგავსება ფონეტიკისა და ლექსიკის სფეროებში ვლინდება, სპარსულ-ინგლისურ მსგავსებათა ყველაზე თვალსაჩინო სფერო კი მორფოსინტაქსია.

Ln-ის დაუფლებისას ფსიქოტიპოლოგიური ფაქტორის, ანუ შემსწავლელის მიერ სხვა ენებთან Ln-ის მსგავსებათა აღქმის მნიშვნელობა კარგად ჩანს ო'ლეარისა და სინგლტონის კვლევაში (Ó Laoire, Singleton 2009). ეს ნაშრომი ეხება ფრანგულის, როგორც L3-ის მიმართებას L1 ინგლისურთან და L2 ირლანდიურთან სტუდენტთა ერთ ჯგუფში და გერმანული L3- ის მიმართებას L1 ინგლისურთან და L2 ირლანდიურთან სტუდენტების მეორე ჯგუფში. ამ კვლევის მიხედვით, ზრდასრულებთან Ln-ის დაუფლებას აადვილებს მხოლოდ მკაფიო და არაბუნდოვანი მსგავსება ამა თუ იმ ნაცნობ ენასთან.

თუ შევადარებთ ო'ლეარ-სინგლტონისა და ჩვენი კვლევის შედეგებს, ჩანს, რომ სტუდენტებმა ყველაზე უფრო მარტივად ლექსიკური მსგავსებები აღიქვეს როგორც ფრანგულ-ინგლისურ, ასევე სპარსულ-ქართულ მიმართებათა შემთხვევაში, მსგავსებათა აღქმა გააადვილა ეტიმონისა და ნასესხობის ფონეტიკურმა მსგავსებამ და ხშირ შემთხვევაში სემანტიკურმა იგივეობამ.

სპარსულ ეტიმონთა და მათ შესაბამის ქართულში დამკვიდრებულ ნასესხობათა მსგავსება განსაკუთრებით თვალსაჩინოა, რადგან ფრანგულიდან ინგლისურში შესულ ნასესხობებთან შედარებით, სპარსულიდან ქართულში შემოსულ ნასესხობათა ფონეტიკური სახე უფრო ნაკლებად იცვლება სპარსულ და ქართულ ბგერათა მსგავსების მიზეზით. ლექსიკურ მსგავსებათა აღქმას ასევე ხელი შეუწყო გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით სიტყვათა შერჩევამ. სწავლების საწყისი ეტაპისთვის ჩვენ შევარჩიეთ მხოლოდ ის სპარსულ-ქართული პარალელები, სადაც ფონეტიკური მსგავსების გარდა, ჩანს ეტიმონისა და ნასესხობის სრული სემანტიკური და სტილისტური ტოლობა, რაც ასევე გულისხმობდა შერჩეულ პარალელთა სტილისტურ ნეიტრალობას ორივე ენაში. სემანტიკურად და სტილისტურად შეცვლილ ან სპარსულსა თუ ქართულში სტილისტურად მარკირებულ ერთეულთა განხილვა მიზანშეუწონლად მივიჩნიეთ, რადგან ეს ახალბედა სტუდენტების მიერ მსგავსებათა აღქმას შეაფერხებდა. გავითვალისწინეთ ასევე შერჩეულ პარალელურ ლექსიკურ ერთეულთა მაღალი სიხშირე როგორც გამსესხებელ სპარსულ, ასევე მსესხებელ ქართულ ენებში. ამგვარ მარტივ მიმართებებზე გეზის აღებამ სტუდენტებს შეუმსუბუქა სპარსულთან ადაპტაციის პროცესი.

რაც შეეხება გრამატიკულ სფეროს, ირლანდიურ-გერმანულ გრამატიკულ მიმართებათა ფონზე ცხადად გამოჩნდა შესწავლილი და შესასწავლი ენების ცალკეულ მსგავსებათა მკაფიოდ და ბუნდოვნად აღქმის სხვადასხვაგვარი გავლენა Ln-ის დაუფლების პროცესზე. შედარებულ იქნა ორი მოდელი – ა) უპირო მიზნობრივი წინადადებები; ბ)წინდებულის მომდევნო სახელადი ფრაზები.

ირლანდიურ უპირო მიზნობრივ წინადადებათა მოდელის ცოდნამ ხელი შეუწყო ამ ტიპის გერმანულ სტრუქტურათა დაუფლებას. ეს განაპირობა სიტყვათა თანამიმდევრობის მსგავსებამ როგორც ირლანდიურ, ასევე გერმანულ წინადადებებში (Ó Laoire, Singleton 2009:99). რაც შეეხება წინდებულის მომდევნო სახელად ფრაზებს, გერმანულის შემსწავლელებს გაუჭირდათ მათი მსგავსების აღქმა ირლანდიურ ანალოგებთან. ეს განაპირობა მორფოლოგიურ მოდიფიკაციათა განსხვავებულმა ტიპმა, ირლანდიურში წინდებულის შემდგომ იცვლება არსებითი სახელის საწყისი ბგერა, ხოლო გერმანულში წინდებულის მომდევნო ფრაზაში ცვლილების ობიექტი არტიკლი და მომდევნო ზედსართავია, ცვლილების ადგილი კი სიტყვის ბოლოა და არა საწყისი (Ó Laoire, Singleton 2009:98).

ირლანდიურ-გერმანული კონტექსტისაგან განსხვავებით, სპარსულ-ინგლისურ გრამატიკულ მიმართებათა შემთხვევაში მსგავსებები ძალზე მცირე დაბრკოლებებით აღიქმებოდა.

სპარსულ და ინგლისურ ენათა გრამატიკული სისტემების ძირეული მსგავსება ამ ენათა მკვეთრად გამოხატული ანალიზურობაა, სპარსულის დამწყებ სტუდენტებთან ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ ზოგიერთ სპარსულ-ინგლისურ გრამატიკულ ანალოგიაზე. ანალოგიათა შერჩევის პრინციპს განსაზღვრავდა ამა თუ იმ კატეგორიის საკვანძო ხასიათი სპარსული საბაზისო ნორმატიული გრამატიკისთვის, არჩევანი სამი ძირითადი საკითხით შემოიფარგლა:

ა) სპარსულ განუსაზღვრელ არტიკლ **i**-ს მიმართება ინგლისურ განუსაზღვრელ არტიკლ **a/an**-თან;

ბ) სპარსულ თანდებულ-არტიკლ **râ**-ს[4] მიმართება ინგლისურ განსაზღვრულ არტიკლ **the**-სთან;

გ) სპარსული პერფექტისა და პლუსკვამპერფექტის მიმართება ინგლისურ პერფექტთან და პლუსკვამპერფექტთან.

ინგლისური განუსაზღვრელი არტიკლის შესახებ მიღებული ცოდნა კარგი წინაპირობა აღმოჩნდა პოზიტიური ტრანსფერისათვის სპარსულში. ჩვენ მიერ მოტანილ და განმარტებულ სპარსულ-ინგლისურ პარალელთა ფონზე სტუდენტებმა ადვილად გააცნობიერეს განუსაზღვრელი არტიკლის ფუნქციური იგივეობა ორივე ენაში. სპარსულშიც და ინგლისურშიც ამ არტიკლის მნიშვნელობა ეფუძნება საგნის, მოვლენისა თუ პირის დაუკონკრეტებელ შინაარსს, ორივე ენაში განსაზღვრული არტიკლი გამოიყენება პირველად ნახსენებ საგანთან, მოვლენასთან თუ პირთან.

სტუდენტებს ასევე მიეთითათ, რომ ქართულში განუსაზღვრელი არტიკლის არსებობის მიუხედავად, მისი მსგავსი ფუნქცია აქვს განუსაზღვრელ ნაცვალსა-

[4] წინამდებარე სტატიაში სპარსული სიტყვები წარმოდგენილია საერთაშორისო ირანული ტრანსკრიფციით.

ხელებს **ერთი, ვიღაც(ა), რაღაც(ა)**, შდრ. სპარს. **märd-i bud**, ინგლ. **there was a man** და ქართ. **იყო ერთი/ვიღაც(ა) კაცი**. არტიკლის მსგავსი ქართული ანალოგიების მოტანამ სტუდენტებს კიდევ უფრო ცხადად წარმოუჩინა განუსაზღვრელი არტიკლის ძირითადი შინაარსი და ფუნქცია.

სპარსულ და ინგლისურ განუსაზღვრელ არტიკლებს შორის არსებული ძირეული სხვაობა ემყარება მათ მიმართებას რიცხვის კატეგორიასთან. ინგლისურისგან განსხვავებით, განუსაზღვრელი არტიკლი სპარსულში გამოიყენება არსებითი სახელის როგორც მხოლობით, ასევე მრავლობით ფორმებთან. ინგლისურში განუსაზღვრელ **a/an** არტიკლს მრავლობითთან ანაცვლებს განუსაზღვრელი ნაცვალსახელი **some** (კითხვით ფორმებში **any**, უარყოფით ფორმებში **any** და **no**). ლოგიკურია, რომ რაოდენობით რიცხვით სახელ **one** „ერთი"-დან მომდინარე ინგლისური განუსაზღვრელი არტიკლი **a/an** მრავლობითის ფორმებთან არ გვხვდება. ანალოგიურად ქართულში მრავლობითთან არ გამოიყენება განუსაზღვრელი ნაცვალსახელის კატეგორიაში გადასული რაოდენობითი ნაცვალსახელი **ერთი** და მას ინგლისური **some**-ის ანალოგიურად ანაცვლებს **ვიღაც(ა)** ან **რაღაც(ა)** შდრ. სპარს. **märd-hå-i bud-änd**, ინგლ. T**here were some men** და ქართ. **ვიღაც(ა)** კაცები იყვნენ.

სპარსულ და ინგლისურ განუსაზღვრელ არტიკლთა განსხვავებულმა მიმართებამ რიცხვის კატეგორიასთან სტუდენტებს არ გაუბუნდოვნა ამ არტიკლთა ძირეული მსგავსების აღქმა. რიცხვთან მიმართებაში სპარსული განუსაზღვრელი არტიკლი მათ აღიქვეს ინგლისური არტიკლის გაფართოებულ ვერსიად. პოზიტიური ტრანსფერის საფუძველი სტუდენტების მიერ განუსაზღვრელი არტიკლისა და განუსაზღვრელ ნაცვალსახელთა ფუნქციური თანხვდენის გაცნობიერება იყო.

პოზიტიური ტრანსფერი მცირედ დაბრკოლდა სპარსული განუსაზღვრელი არტიკლის პრედიკატივთან მიმართების სწავლებისას. სპარსული განუსაზღვრელი არტიკლი ზმნის ფორმა **äst**-ის („არის") წინ ერთვის პრედიკატივის განმსაზღვრელ თვისებრივ (resp. ვითარებით) ზედსართავს, იხ. **u märd-e xub-i äst/xub-i-st** „ის კარგი კაცია". მსგავს ინგლისურ სტრუქტურაში **a/an** განუსაზღვრელი არტიკლის ვალენტობა და, შესაბამისად, ფუნქციონირების არე უფრო ფართოა. ის გვხვდება როგორც თვისებრივი, ასევე მიმართებითი ზედსართავით განსაზღვრულ და განსაზღვრების გარეშე წარმოდგენილ პრედიკატივთან:

ა) **He is a good man (good** „კარგი" – თვისებრივი ზედსართავი) „ის კარგი კაცია", შდრ. ზემოთ მოტანილი ანალოგიური სპარსული მოდელი **u märd-e xub-i-st; He is an English man** – „ის ინგლისელი კაცია" (**English** – მიმართებითი ზედსართავი),

შდრ. სპარსული **u märd-e eng(e)lis-i äst/eng(e)lis – i – st;**[5]

[5] **eng(e)lis-i** ფორმაში **i** სადაურობის მაჩვენებელი სუფიქსია და არა არტიკლი.

ბ) **He is a man** „ის კაცია“ (**man** „კაცი“ – განსაზღვრების არმქონე არსებითი სახელით წარმოდგენილი პრედიკატივი),

შდრ. სპარს. **u märd äst.**

პრედიკატივთან მიმართებაში პოზიტიური ტრანსფერი გარკვეულწილად ასიმეტრიის ფაქტორმა შეაფერხა. ინგლისური განუსაზღვრელი არტიკლის პრედიკატივთან მიმართების სამი ვარიანტისგან მხოლოდ ერთს აქვს სპარსული ანალოგი. ვგულისხმობთ თვისებრივი ზედსართავით განსაზღვრული პრედიკატივის შემთხვევას (იხ. ზემოთ). დანარჩენ ორ შემთხვევაში არ დასტურდება მეტ-ნაკლებად მსგავსი სტრუქტურა, სადაც განუსაზღვრელი არტიკლის ფუნქციით თუნდაც სხვა მორფოლოგიური კატეგორიის ერთეული, მაგალითად, განუსაზღვრელი ნაცვალსახელი მოგვევლინებოდა, როგორც ეს ხდება განუსაზღვრელი არტიკლის მიმართებისას მრავლობითის ფორმებთან (მაგალითები იხილეთ ზემოთ).

არასრული მსგავსების ფონზე სტუდენტებს მხოლოდ მოკლედ მივუთითეთ განუსაზღვრელარტიკლიანი პრედიკატივის ინგლისურ და სპარსულ მოდელთა შორის არსებულ სხვაობებზე. ძირითადი ყურადღება გადავიტანეთ სპარსულისთვის დამახასიათებელ თავისებურებებზე. სხვაობათა დეტალურ განხილვაზე უარის თქმამ სტუდენტებს გაუადვილა შესასწავლი სტრუქტურის დაუფლება. ამგვარი მიდგომა განაპირობა თავდაპირველმა გამოცდილებამ, როცა სხვაობებზე ყურადღების გამახვილებამ დაბლოკა ფსიქოტიპოლოგიური მექანიზმი, რამაც სტუდენტებს გაუძნელა განუსაზღვრელარტიკლიანი პრედიკატივის ინგლისურ და სპარსულ ვერსიათა მსგავსების გაცნობიერება.

განსაზღვრებითი არტიკლის შემთხვევაშიც ინგლისურიდან სპარსულში განხორციელებულ ტრანსფერს ძალზე მცირე დაბრკოლებები შეექმნა. ინგლისურ და სპარსულ შესატყვისთა შორის არსებულმა რამდენიმე სხვაობამ საბოლოო ჯამში ხელი არ შეუშალა განსაზღვრებითი არტიკლის ძირითად მსგავსებათა მკაფიო აღქმას ორივე ენაში. გასათვალისწინებელია ასევე, რომ დამაბრკოლებელ გარემოებად შეიძლება ქცეულიყო განსაზღვრებითი არტიკლის მსგავს ფორმათა არარსებობაც ქართულში.

დიაქრონიაში მრავალფუნქციური **rå** თანდებულისთვის თანამედროვე სპარსულში ძირითად ფუნქციად განსაზღვრული პირდაპირი დამატების გაფორმება იქცა (Рубинчик 2001:323). სწორედ ამ ფუნქციამ განაპირობა **rå** თანდებულის განსაზღვრებითი არტიკლის კატეგორიაში გადასვლა (Пейсиков 1959:37). თანდებული **rå** არ ერთვის ყველა ტიპის პირდაპირ დამატებას, მას მხოლოდ დაკონკრეტებული შინაარსის, დიალოგისა თუ დისკურსის მონაწილეთათვის ნაცნობი საგნის, პირის ან მოვლენის აღმნიშვნელი პირდაპირი დამატება დაირთავს. შდრ. **män ketåb värid-äm** „მე წიგნი ვიყიდე“, **män ketåb-i värid-äm** „მე ერთი/რაღაც(ა) წიგნი ვიყიდე“ **män ketåb-rå värid-äm** „მე (შენთვის, ჩემთვის თუ სხვისთვის ნაცნობი ან ხსენებული) წიგნი ვიყიდე“. მოტანილ მაგალითთაგან

rå თანდებულით გაფორმებული ობიექტის შემცველი წინადადების ინგლისური ეკვივალენტი იქნება **I bought the book,** ხოლო ორი დანარჩენი წინადადება ითარგმნება როგორც **I bought a book.**

That („ის“) ჩვენებით ნაცვალსახელიდან მომდინარე და, შესაბამისად, უფრო თვალსაჩინო ლოგიკით განსაზღვრულ არტიკლად გადაქცეული **the**-ს სინტაქსური არეალი უფრო ფართოა. რაც შეეხება სპარსულ **rå**-ს, მისი გამოყენებისას მორფოლოგიური არეალია გაფართოებული. ინგლისური **the**-სგან განსხვავებით, **rå** აფორმებს არა მხოლოდ საზოგადო არსებით სახელებს, არამედ საკუთარ სახელებსა[6] და პირისა და ჩვენებით ნაცვალსახელებსაც, რითაც, ფაქტობრივად, ორმაგდება განსაზღვრულობის ეფექტი. ამგვარი გაორმაგების საფუძველი საკუთარი სახელებისა და პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელის თავისთავად დაკონკრეტებული, განსაზღვრული ტიპის შინაარსია.

სტუდენტები ინტერვიუირებისას მიუთითებენ, რომ აღნიშნულმა გაორმაგებულმა ეფექტმა მათ უფრო ცხადად გააცნობიერებინა **rå**-ს განსაზღვრებითი ფუნქცია და, შესაბამისად, მისი უმთავრესი გრამატიკული შინაარსის თანხვდენა ინგლისურ **the** არტიკლთან. ამგვარი თანხვდენის ფონზე ინგლისურ და სპარსულ განსაზღვრებით არტიკლთა განსხვავებულმა მიმართებამ სინტაქსური და მორფოლოგიური არეალის მოცულობასთან ძალზე მცირედ შეაფერხა პოზიტიური ტრანსფერი ინგლისურიდან სპარსულში. ისევე როგორც განუსაზღვრელი არტიკლის ფუნქციათა სწავლებისას, პოზიტიურ ტრანსფერს ხელი შეუწყო შესასწავლი გრამატიკული კატეგორიის, აქ განსაზღვრებითი არტიკლის საკუთრივ სპარსულში ფუნქციონირების თავისებურებებზე ყურადღების მიმართვამ, ინგლისურ ანალოგებთან მსგავსების და არა სხვაობის წარმოჩენამ.

განუსაზღვრელ და განსაზღვრებით არტიკლთა ფუნქციების სწავლებისას გამოვლინდა, რომ პოზიტიურ ტრანსფერს ინგლისურიდან სპარსულში განაპირობებდა ძირითადი მსგავსების გაცნობიერება. ამგვარი გაცნობიერების მექანიზმი ვეღარ შეაჩერა როგორც ფუნქციურმა (იხ. ზემოთ), ასევე ფორმალურმა სხვაობებმა. მაგალითად, ინგლისური **a/an** განუსაზღვრელი არტიკლისა და **the** განსაზღვრებითი არტიკლის პრეპოზიციურობამ და მათ საპირისპიროდ სპარსული განუსაზღვრელი **i** არტიკლისა და განსაზღვრებით არტიკლ-თანდებულ **rå**-ს პოსტპოზიციურობამ. ეს მიუთითებს, რომ პოზიტიური ტრანსფერისას უპირატესია ენათა შორის არსებული ძირითადი ფუნქციური და არა ფორმალური მსგავსება. ამ თვალსაზრისით ჩვენი შედეგები განსხვავდება ო’ლეარისა და სინგლტონის ნაშრომში წარმოდგენილ შედეგთაგან.

---

[6] საკუთარ სახელებთან ორივე ტიპის არტიკლი ზოგჯერ ინგლისურშიც გვხვდება, იხ. **a Smith** „ვინმე სმიტი“ და **the Shakespeare** „ის სახელგანთქმული და არა ვინმე შექსპირი“.

ვფიქრობთ, ეს განსხვავება მიგვანიშნებს, რომ ორზე მეტი ენის მიმართებათა შესწავლის თვალსაზრისით, ჯერჯერობით არ დაგროვილა საკმარისი მასალა[7] განზოგადებულ ლინგვოდიდაქტიკურ დასკვნათა გამოსატანად.

ინგლისურის წინარე ცოდნა ძალზე დადებითად აისახა სპარსული პერფექტისა და პლუსკვამპერფექტის შეთვისებაზე. ამის მიზეზი შესასწავლ კატეგორიათა თითქმის სრული ფუნქციურ-ფორმალური მსგავსებაა ინგლისურსა და სპარსულში. შეთვისებას ასევე ხელი შეუწყო ანალოგიური ტიპის პერფექტულ და პლუსკვამპერფექტულ ქართულ ფორმათა არსებობამ;

შდრ. სპარს. **(nä) nevešte-äm**, ინგლ. **I have (not) written**, ქართ. **დაწერილი (არ) მაქვს** და სპარს. **(nä) nevešte bud-äm**, ინგლ. **I had (not) written** და ქართ. **დაწერილი (არ) მქონდა.**

მეშველი ზმნისა და უარყოფითი ნაწილაკის გამოყენების თვალსაზრისით, ინგლისურ და ქართულ ფორმებს შორის მეტი მსგავსებაა. ორივე შემთხვევაში მეშველ ზმნად ერთი და იმავე მნიშვნელობის **have** და **ქონა/ყოლა** გამოიყენება, ხოლო უარყოფითი ნაწილაკი ერთვის მეშველ ზმნას და არა ნამყოს მიმღეობას. სპარსულის შემთხვევაში მეშველ ზმნად **hästän/budän** „ყოფნა“ ზმნა გვევლინება და უარყოფითი ნაწილაკით კი ნამყოს მიმღეობაა გაფორმებული.

მითითებული სხვაობები ძალზე მცირეა სამივე ენაში წარმოდგენილ მსგავსებათა აღქმის დასაბრკოლებლად. ამ გარემოებამ განაპირობა სტუდენტების მიერ სპარსული პერფექტისა და პლუსკვამპერფექტის ძალზე სწრაფი ათვისება.

პერფექტისა და პლუსკვამპერფექტის მაგალითი ადასტურებს, რომ პოზიტიური ტრანსფერის ეფექტურობა მატულობს, როცა L3/Ln-ის მსგავსი სტრუქტურა მოიძიება როგორც L1-ში, ასევე L2-ში და რაც უფრო დიდია ცალკეული მოდელის მსგავსება Ln-სა და ნაცნობ ენებში, მით უფრო ეფექტურია პოზიტიური ტრანსფერი. აღსანიშნავია, რომ პოზიტიურ ტრანსფერს სამივე ენაში არსებულ სტრუქტურათა შედარებით მცირე მსგავსებაც კი უწყობს ხელს (იხ. ზემოთ სპარსულ და ინგლისურ განუსაზღვრელ არტიკლთა ნაწილობრივი მსგავსების შესახებ ქართულ განუსაზღვრელ ნაცვალსახელებთან).

ახალი/დამატებითი ენის სწავლების ჩვენეული გამოცდილება გვიდასტურებს ნაცნობ ენათა სასწავლო რესურსად გამოყენების მიზანშეწონილობას.

ზოგადი დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, ახალი/დამატებითი ენის ნულოვანი ეტაპიდან სწავლების ჩვენეული გამოცდილება ადასტურებს ენათა შორის მსგავსებაზე დაფუძნებული ფსიქოტიპოლოგიური მიდგომის შედეგიანობას ზრდასრულ და ენობრივად გათვითცნობიერებული პირების სწავლებისას, რადგან ამ პირთა მიერ ახალი ინფორმაციის შეთვისებას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ცნობიერების ფაქტორი.

---

[7] ამგვარი მასალის ნაკლებობისა და ენათა სხვადასხვაგვარ კომბინაციათა ანალიზის საჭიროების შესახებ იხ. Del Pilar Garcia Mayo 2012:140

ლიტერატურა:

ანდრონიკაშვილი 1966: მ. ანდრონიკაშვილი, *ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან,* I, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

ანდრონიკაშვილი 1966: მ. ანდრონიკაშვილი, *ნარკვევები ირანულ-ქართველური ენობრივი ურთიერთობიდან,* II, გამომცემლობა „ირმისა", თბილისი.

Bardovi-Harlig, Sprouse 2017: K. Bardovi-Harlig, R. A. Sprouse, *Negative Versus Positive Transfer*, The TESOL Encyclopedia of English Language Teaching (ed. J Liontas), John Wiley&Sons (adobe Digital Editions Version). doi:10,1002/9781118784235. eelt 0084; 1-6.

Cenoz 2001: J. Cenoz, The Effect of Lingustic Distance, L2 Status and Age on Cross-Linguistic Influence in Third Language Acquisition, *Third Language Acquisition: Psycholinguistic Perspectives* (Eds. J. Cenoz, B. Hufeisen&U. Jessner), Multilingual Matters, Clevedon, 8-20.

Cook 1995: V. Cook, Multi-Competence and the Learning of Many Languages, *Multilingualism and Language Learning* (Eds. M. Bensoussan, I. Kreindler&E. Aogáin), Multilingual Matters, Clevedon, 93-98.

De Angelis 2007: G. De Angelis, *Third or Additional Language Acquisition,* Multilingual Matters, Clevedon.

De Angelis, Selinker 2001: G. De Angelis, L. Selinker, Interlanguage Transfer and Competing Lingustic Systems in the Multilingual Mind, *Cross-Linguistic Influence in Third Languange Acquisition: Psycholinguistic Perspectives* (Eds. J. Cenoz, B. Hufeisens&U. Jessner), Multilingual Matters, Clevedon, 42-58.

Del Pilar Garcia-Mayo 2012: M. Del Pilar Garcia Mayo, Cognitive Approaches to L3 Acquisition, *International Journal of English Studies*, 129-145.

EuroCom*: http.//Eurocom-frankfurt.de* >accessed 10/5/2007>accessed 10/5/2007.

Gabrelli Amaro, Flynn, Rothman 2012: J. Gabrelli Amaro, S. Flynn, G. Rothman (eds), *Third Language Acquisition in Adulthood,* John Benjamins Publishing Company, Amsterdam.

Hammarberg 2001: B. Hammarberg, Roles of L1 and L2 in L3 Production and Acquisition, *Cross Linguistic Influence in Third Language Acquisition: Psycholinguistic Perspectives* (Eds. J. Cenoz, B. Hufeisens&U. Jessner), Multilingual Matters, Clevedon.

Jessner 2008: U. Jessner, Teaching Third Languages: Findings, Trends and Challenges, *Language Teaching* 41,1, 16-56.

Murphy 2015: Sh. Murphy, Second Language Transfer during Third Language Acquisition [pdf], Retrieved from: *https://journals.cdrs.columbia.edu/wp-content/uploads/sites/12/2015/05/3,* 1-21

Odlin 1989: T. Odlin, *Language Transfer:cross-linguistic influence in language learning,* Cambridge University Press, Cambridge.

Ó Laoire, Singleton 2009: M. Ó Laoire, D. Singleton, The Role of Prior Knowledge in L3 Learning and Use, *The Exploration of Multilingualism*, John Benjamins Publishing Company, Amsterdam, 79-102.

Ringbom, Jarvis 2009: R. Ringbom, S. Jarvis, The Importance of Cross-Linguistic Similarity in Foreign Language Learning, *Handbook of Language Teaching* (Eds. M. H. Long, C. J. Doughty), Wiley Blackwell, Oxford, 107-118.

Пейсиков 1959: Л. Пейсиков, *Вопросы синтаксиса персидского языка,* издательство института международных отношений, Москва.

Рубинчик 2001: Ю. Рубинчик, *Грамматика современного персидского литературного языка*, Восточная литература, РАН, Москва.

Fati Antadze-Malashkhia

On the Influence of Familiar Languages in the Process of Teaching a New/Additional Language

(Georgian and English as a resource for the teaching of the Persian language)

Summary

In the process of teaching a new/additional language (Ln), the relation between the age factor and language awareness becomes quite obvious. Thus, familiar languages can be used as a resource when teaching a new/additional language to adult learners.

Such attitude is especially important on the initial stage of teaching Ln, when typological contrast of Ln with the languages that are already familiar to the adult learners improves and accelerates the acquisition of Ln.

In Georgian universities, the relation of Persian to Georgian and English languages has been envisaged from the zero level of teaching. This has yielded positive results and formed solid grounds for the transition to the unilingual method of teaching the Persian language.

A positive transfer from familiar languages to Ln is, above all, based on the outlined similarities between the familiar languages and Ln in corresponding fields. In case of Persian, these fields are phonetics and vocabulary with regard to Georgian. This is due to the similarities between Persian and Georgian sounds and the multitude of borrowings from Persian in Georgian. The field in which Persian and English reveal similar features is morphosyntax, the reason for this is the analytical structure of these two languages.

On the initial level of teaching, the principle of selection of similar structures gains utmost importance. The more vivid the similarity – the easier the acquisition of the new language. Therefore, it is reasonable to focus on vivid, uncomplicated correspondences. The attitude based on similarities is more efficient due to the focus on the same type of structures existing in Ln and familiar languages. In case of Persian, Georgian and English, such identical structures are represented by perfect tense forms.

A course of lectures aimed at teaching the initial level of Persian, worked out by us and successfully tested three times, has proved the following: a) the use of familiar languages as a teaching resource of Ln is really relevant; b) the order of familiar languages (in this case, L1 – Georgian, L2 – English) does not influence the acquisition of L3/ Ln (in this case, Persian); c) a student's perception of the similarities between Ln and familiar languages leads to a positive transfer both from L1 and L2 (even if the latter is not mastered perfectly) or another foreign language.This points to the role of psychotypology as a decisive factor in the process of acquisition of a new/additional language by adult learners.

რუსუდან ასათიანი

კაუზაცია ქართველურ ენებში

ოთხივე ქართველურ ენაში, ზმნური ფორმების სინტაგმატური და პარადიგმატული ანალიზის საფუძველზე, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, გამოიყოფა ხმოვანი პრეფიქსები, რომელთაც ზმნის ძირიდან უახლოესი პრეფიქსული პოზიცია უკავიათ. ამ ხმოვნების შეპირისპირებისა და რეგულარული შესაბამისობების დადგენის საფუძველზე აღდგება ოთხი ხმოვანი მორფემა:

ცხრილი 1.

საერთო-ქართველური	ქართული	მეგრულ/ლაზური	სვანური[1]
*ა-	ო-	ო-[2]	ა-
*ე-	ე-	ა-[3]	ე-
*ი-	ი-	ი-	ი-
*უ-	უ-	უ-	ო-

ფორმალურად ამ ხმოვნების გამოყოფა და არქეტიპების აღდგენა არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს, თუმცა მათი სემანტიკისა და ფუნქციონალური დატვირთულობის განსაზღვრა საკმაო სირთულეებს უკავშირდება. ამაზე მეტყველებს ქართველი და უცხოელი ენათმეცნიერების არაერთი ნაშრომი, რომლებშიც წარმოდგენილია ამ ხმოვან პრეფიქსთა მორფოლოგიურ-სინტაქსური და სემანტიკური ანალიზი სინქრონიულსა თუ დიაქრონიულ ჭრილში (იხ. მარი 1925, თოფურია 1931, რუდენკო 1940, როგავა 1942, ლომთათიძე 1947, ჩიქობავა 1950, შანიძე 1953, გ. მაჭავარიანი 1953, ქავთარაძე 1954, შმიდტი 1965, ბოედერი 1968, ლაცაბიძე 1975, ჯორბენაძე 1975, ნებიერიძე 1976, ჰარისი 1976, ბრეითვეიტი 1979, მ. მაჭავარიანი 1980, ჭანიშვილი 1981, დამენია 1982, ჯორბენაძე 1983, ჰოლისკი 1983, გამყრელიძე, ივანოვი 1984 და სხვა; შედარებით სრული ბიბლიოგრაფიისა და საკითხის ისტორიისათვის იხ. ჯორბენაძე 1983 და მახარობლიძე 2006).

ტრადიციულად ამ ხმოვნებს გვარის, ქცევის, კაუზაციის, კონტაქტისა და სიტუაციის მაჩვენებლებად მიიჩნევენ, მაგრამ ამგვარი დაკავშირება ამ კატეგორიები-

[1] სვანურის დიალექტებში წარმოდგენილი ხმოვნების შესაბამისი ალომორფები ჩნდება უმლაუტიანი და გრძელხმოვნიანი ვარიანტებითაც.

[2] მეგრულში, ე.წ., ქართულიდან ნასესხებ ფორმებში, დასტურდება *ა-* ვარიანტიც.

[3] მეგრულში, ე.წ., ქართულიდან ნასესხებ ფორმებში, დასტურდება *ე-* ვარიანტიც.

სა განსახილველ ხმოვნებთან ცალსახად ვერ ხერხდება, რადგან არც ერთი მათგანი არ გულისხმობს მხოლოდ მათთვის ნავარაუდებ მნიშვნელობებს და ხშირად პოლისემანტიკურ-პოლიფუნქციურია. მაგალითად: *ი-* პრეფიქსი გვაქვს: 1. ე.წ. ინიან ვნებითებში (ი-წერება); 2. 'იგინება' ტიპის ზმნებთან; 3. სათავისო ქცევის ფორმებში (ი-წერს); 4. რეფლექსურ კონსტრუქციებში (ი-ბანს); 5. აქტიურ-პროცესუალური და სტატიკური ზმნების მომავალი დროისა და წყვეტილის ჯგუფის ფორმებში (ი-ცხოვრებს – *ი-ცხოვრა, ი-დგება – ი-დგა);* ხოლო *ა-* პრეფიქსი დასტურდება: 1. ე.წ. საარვისო ქცევის ფორმებში (ა-შენებს); 2. კაუზატიურ (ა-წუხებს) და 3. კონტაქტის გამომხატველ კონსტრუქციებში (ა-წუხებინებს); ასევე, 4. საზედაო სიტუაციის ფორმებში (ა-ზის).[4]

ამ სირთულეებისაგან თავის დაღწევას სხვადასხვა გზით ცდილობდნენ ქართველი გრამატიკოსები და, როგორც წესი, ამგვარ პოლიფუნქციურ ხმოვნებს შლიდნენ სხვადასხვაგვარი კატეგორიების მაჩვენებელ ომონიმურ მორფემებად (მაგ., *ი-* სათავისო, *ი-* სასხვისო, *ი-* ვნებითის; ან *ა-* სიტუაციის, *ა-* საარვისო ქცევის, *ა-* კაუზაციისა თუ კონტაქტის; და ა.შ.), ხოლო მათ შორის არსებულ ფორმალურ მსგავსებას საერთო წარმომავლობით ხსნიდნენ. მაგალითად, კაუზაციისა და სიტუაციის *ა-*ს საერთო წარმომავლობას ვარაუდობს გ. მაჭავარიანი; ინიანი ვნებითისა და სათავისო ქცევის გენეზისის შესახებ მსჯელობენ ა. შანიძე, ივ. იმნაიშვილი; *ი-სათვის* თავდაპირველ მნიშვნელობად რეფლექსივს მიიჩნევს არნ. ჩიქობავა, უკუქცევით-კუთვნილებითობას კი ნ. მარი, ივ. ქავთარაძე და სხვა.[5]

განსახილველი ხმოვნების ფუნქციონალური დატვირთულობისა და სემანტიკის განსაზღვრისათვის მიზანშეწონილია ზმნის სახელებთან მიმართების ზოგადი, თეორიული თვალსაზრისის წარმოდგენა.

ზმნა-პრედიკატი არის უნივერსალურ-ლოგიკური ენობრივი კატეგორია, რომელიც მოქმედება-მდგომარეობას ასახავს და, ამდენად, აუცილებლად გულისხმობს გარკვეულ სახელებთან მიმართებას – სახელის გარეშე პრედიკაცია შეუძლებელია. კონკრეტული სიტუაციისგან აბსტრაჰირებით, ლოგიკურ დონეზე პრედიკატთან დაკავშირებული აუცილებელი და საკმარისი სახელების რაოდენობა განსაზღვრავს ამ ზმნის **ადგილიანობას,** რაც კონკრეტული სიტუაციების შესაბამისად რეალიზდება **ვალენტობის** სახით, რომელიც გარკვეული ენის მორფოლოგიურ დონეზე შეიძლება რეპრეზენტირებულ იქნეს **პირიანობის** გრამატიკული კატეგორიით. ანუ, 'ადგილიანობა' განისაზღვრება ზმნის სემანტიკით ნაგულისხმები მოქმედების განხორციელებისათვის აუცილებელ და საკმარის სახელთა მინიმალური რაოდენობით, ვალენტობა კი კონკრეტულ სიტუაციაში ამ ზმნასთან სინტაქსურად დაკავშირებულ სახელთა აქტუალიზებული რაოდენობით. მაგალითად,

---

[4] ამგვარი ფუნქციური პოლისემიის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. დამენია 1982, მაჭავარიანი 1980, ჯორბენაძე 1983.

[5] იხ. ამ ავტორთა დასახ. ნაშრომები.

ხატვა მიმართების (პრედიკაციის) დასამყარებლად აუცილებელია ორი სახელი (resp. არგუმენტი): *ის, ვინც ხატავს* და *ის, რასაც ხატავენ,* ხოლო ყველა დანარჩენი – *ვისთვისაც ხატავენ, რაზეც ხატავენ, რითაც ხატავენ* და ა. შ. – განისაზღვრება კონკრეტული სიტუაციებიდან გამომდინარე და, ამდენად, *ხატვა* მოქმედების განხორციელებისათვის ლოგიკურად აუცილებელ და საკმარის სახელთა რაოდენობის განსაზღვრაში არ მონაწილეობენ. ე.ი. *ხატვა* არის ორადგილიანი ზმნა. კონკრეტული ობიექტური სიტუაციიდან გამომდინარე, შეიძლება ზმნის არგუმენტად აქტუალიზებული (ან, პირიქით, გაუჩინარებული) იყოს ზოგიერთი სახელი, რაც ამ ზმნის განსხვავებულ ვალენტობებს განაპირობებს. მაგალითად, თუ სიტუაციაში გახაზულია მოქმედების დანიშნულება, იკვეთება ახალი სახელი (resp. აქტანტი), რომლისთვისაც განკუთვნილია მოქმედების საგანი (resp. ბენეფაქტივი) – *უხატავს მას* – და ზმნა ხდება სამვალენტიანი; ან კიდევ, თუ *ხატვა* წარმოდგენილია ობიექტის (*რასაც ხატავენ)* თვალსაზრისით, ხოლო მოქმედების რეალურად განმხორციელებელი (*ის, ვინც ხატავს)* გაუჩინარებულია, ვღებულობთ *იხატება* ერთვალენტიან ზმნურ ფორმას და ა.შ.

საზოგადოდ, ადგილიანობა-ვალენტობას შორის არსებული შესაბამისობების მიხედვით განსხვავებული მხოლოდ სამი შემთხვევა შეიძლება იყოს აქტუალიზებული კონკრეტულ ზმნურ ფორმაში:

1. ადგილიანობა=ვალენტობა;

2. ადგილიანობა > ვალენტობა, ე.ი. ზმნასთან ლოგიკურ-სემანტიკურად დაკავშირებულ სახელთაგან ერთ-ერთი კარგავს მასთან მიმართებას, ვერ ამყარებს ფორმალურ კავშირს და ვერ ხდება ზმნის აქტანტური სტრუქტურის განმსაზღვრელი. ამ შემთხვევებში, უნივერსალურად, ყველაზე ხშირად საქმე გვაქვს პასივებთან.

3. ადგილიანობა<ვალენტობა; ანუ, ზმნასთან ფორმალურ ურთიერთობას ამყარებს სახელი, რომელიც ლოგიკურ-სემანტიკურ დონეზე აუცილებლად ნაგულისხმები არაა. ამ შემთხვევებში შესაძლებელია გამოიყოს სასხვისო ქცევის, საზედაო სიტუაციისა და კაუზაცია-კონტაქტის შესაბამისი კატეგორიები.

თუმცა ამგვარი შესაბამისობები უნივერსალურია და დამახასიათებელია ნებისმიერი ენისათვის. ამ გარდაქმნების თანმხლები ფორმალურ-გრამატიკული ცვლილებები სხვადასხვაგვარად მიმდინარეობს განსხვავებულ ენებში, რაც ამ ენათა გრამატიკული კატეგორიების თავისებურ სისტემებს განსაზღვრავს.[6]

ქართველურ ენებში ამ ცვლილებების თანმხლები აუცილებელი ფორმალური მარკერებია სწორედ ჩვენთვის საინტერესო პრეფიქსული ხმოვნები, რომელთა ფუნქციონალური დატვირთულობაც შეიძლება მკაცრად განისაზღვროს ადგილიანობასა და ვალენტობას შორის არსებული შესაბამისობების ცვლასთან მიმართებით.

---

[6] დაწვრილებით ადგილიანობა-ვალენტობის ცნებებისა და ამ შესაბამისობების გრამატიკულ კატეგორიებად რეალიზაციების უნივერსალური მოდელების შესახებ იხ. ასათიანი 1979.

როდესაც ადგილიანობა ნაკლებია ვალენტობაზე, ანუ, როდესაც გვაქვს ზმნურ შესიტყვებაში (resp. ზმნის არგუმენტულ სტრუქტურაში) პირის მატება, უნდა განვასხვაოთ შემდეგი შემთხვევები:

*(ა) თუ ახლად გაჩენილი სახელი იმგვარად უკავშირდება ზმნით გადმოცემულ მოქმედებას, რომ ის ჩართულია ამ მოქმედების შესაბამის სიტუაციაში როგორც მოქმედების გამომწვევი და უშუალოდ მოქმედი, აქტიური Ag და აკონტროლებს მას (ე.წ. 'კაუზაციის' შემთხვევა), მაშინ ზმნურ ფორმაში წარმოდგენილია *ა- პრეფიქსი.*

*(ბ) თუ ახალი Ag არ არის მოქმედების ავტორი (უშუალოდ ჩამდენი) და მხოლოდ იწვევს მას (ე.წ. 'შუალობითი კონტაქტის' შემთხვევა), მაშინ *ა-პრეფიქსთან ერთად ზმნურ ფორმაში აუცილებლად იქნება დადასტურებული გარკვეული სუფიქსებიც.*

*(გ) თუ ზმნასთან კავშირს ამყარებს და არგუმენტად იქცევა ახალი სახელი (resp. Ad), რომელიც სიტუაციის დანარჩენ წევრებთან კუთვნილება-დანიშნულებით მიმართებებს ამყარებს (ე.წ. 'ქცევის' შემთხვევა), მაშინ ზმნურ ფორმაში წარმოდგენილი იქნება *ი- (თუ ის I/II პირისაა) ∞ *უ- (თუ ის III პირისაა) პრეფიქსები;*

*(დ) თუ იგივე, Ad, სახელი ამყარებს ლოკატიურ მიმართებას (ე.წ. 'საზედაო სიტუაციის' შემთხვევა), მაშინ გვექნება *ა- პრეფიქსი.*[7]

ამგვარად, შეიძლება გამოიყოს 'პირის მატების' გრამატიკული კატეგორია, რომელიც ფორმალურად მარკირებულია *ა- და *ი-/უ- პრეფიქსებით. ამ ხმოვანი პრეფიქსების განაწილება უკავშირდება კაუზაციის, კონტაქტის, ქცევისა და სიტუაციის კატეგორიებს.

განვიხილოთ ვალენტობის ცვლის მეორე შესაძლებლობა, როდესაც ადგილიანობა მეტია ვალენტობაზე, ანუ როდესაც ზმნის არგუმენტულ სტრუქტურაში გვაქვს 'პირის კლება':

*(ა) თუ იკარგება აქტიური სახელი (resp. Ag) და მოქმედება წარმოდგენილია სამოქმედო სახელის, P-ს, პოზიციიდან (ე.წ. 'ვნებითი გვარი'), მაშინ ზმნურ ფორმაში ჩნდება *ი- პრეფიქსი იმ შემთხვევებისთვის, როდესაც ადგილიანობა მეტია ვალენტობაზე და *ე- პრეფიქსი, როდესაც ადგილიანობა ტოლია*

---

[7] იმ შემთხვევებში, როდესაც ახლად გაჩენილ Ad სახელს არ შემოაქვს დამატებითი მნიშვნელობები ('კუთვნილება-დანიშნულება', 'ლოკაცია') და მხოლოდ არგუმენტულ მიმართებას ამყარებს დანარჩენ წევრებთან, ზმნურ ფორმებში ჩნდება ტრადიციულად III ირიბობიექტური პირის ნიშნებად მიიჩნეული *ჰ-, ს-, Ø-* პრეფიქსები, თუმცა ეს მორფემები პრეფიქსული ხმოვნების მსგავსად ზმნის ვალენტობის ცვლასთან (კერძოდ, მატებასთან) არიან დაკავშირებული და, ფაქტობრივად, ახალ ზმნურ დერივაციულ ფორმებს წარმოქმნიან (ამ მორფემების მსგავს ინტერპრეტაციას იძლევა ვ. ბოედერი ზემოთ დასახელებულ ნაშრომში. უფრო დაწვრილებით ამ პრეფიქსების კვალიფიკაციის შესახებ იხ. ასათიანი 1982:101-105).

ვალენტობისა. Ag-ის გაუჩინარება აწმყოს ფორმაში დამატებით აღინიშნება სპეციფიკური სუფიქსური დაბოლოებებით:

**-(I/II პირებისათვის)[8] ∞ *-ა(III პირისთვის).*

*(ბ) თუ იკარგება კუთვნილება-დანიშნულებით მიმართებაში მყოფი Ad, მაშინ გვაქვს პრეფიქსი *ი- („სათავისო ქცევა“).*

ი- პრეფიქსი ყველგან გვაქვს ‘პირის კლების’ შემთხვევებში, თუმცა ის, ასევე, გვხვდება სასხვისო ქცევის I/II პირების ფორმებთან (სადაც გვაქვს ‘პირის მატება’). სისტემურობის ამ რღვევას იწვევს ქართველურ ენებში მოქმედი ძლიერი ენობრივი ტენდენცია კომუნიკაციის აქტში მონაწილე (I/II) პირების გრამატიკული გამოკვეთისა.[9]

ამ აზრის უკეთ წარმოჩენისათვის აუცილებელია ქცევის კატეგორიის გაანალიზება. საზოგადოდ, სიღრმისეულ დონეზე სასხვისო-სათავისო[10] და რეფლექსურ ფორმებს მსგავსი სტრუქტურა აქვთ: სამივე შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება Adpos-ს პირსა და ‘კუთვნილება-დანიშნულების’[11] სემანტიკას.

{V–Ag–P–Adpos} – სტრუქტურიდან, რომელიც სასხვისო ქცევის მნიშვნელობას ასახავს, სათავისო ქცევის ფორმები მიიღება იმ შემთხვევებში, როდესაც Ag=Adpos (ანუ, ამ როლებს ერთი და იგივე რეფერენტი შეესაბამება) და, ამ ტოლობის გამო, ერთ-ერთი მათგანი (კერძოდ, Adpos) კარგავს ზმნასთან არგუმენტულ მიმართებას; მაგ., *ბანს ის მას ხელებს→ის იბანს ხელებს*, თუ Ag(ის)=Adpos(მას). ამავე სტრუქტურიდან მიიღება რეფლექსურ-უკუქცევითი ფორმებიც, როდესაც Ag=Adpos=P; მაგ., *იბანს (თავის თავს)*. სასხვისო-სათავისოს ეს ერთიანობა ზედაპირულად წარმოდგენილია მხოლოდ I/II პირთა ფორმებისათვის, ანუ იმ შემთვევებისათვის, როდესაც მნიშვნელობა ენიჭება ‘კუთვნილება-დანიშნულების’ სემას და იმას, რომ P განკუთვნილია კომუნიკაციაში მონაწილე (I ან II) პირისათვის: *მიხატავ შენ **მე** სურათს / ვიხატავ **მე** სურათს*; პრეფიქსებით ზმნური ფორმები განსხვავდება მხოლოდ III პირისათვის (*იხატავს თავისთვის – უხატავს სხვას*): როდესაც „მიკუთვნების“ ფაქტი სახეზე არაა (P

---

[8] ამ **-ი* სუფიქს მეგრულ-ლაზურში შეესაბამება *-უ*, ქართულსა და სვანურში კი *-ი*.

[9] ეს ტენდენცია ვლინდება ქართველური ენების ისეთ ძირითად კატეგორიებში, როგორებიცაა პირი, რიცხვი, სულიერობა, მთავარი წევრობა, ქცევა, მიმართულებითობა, კილო და სხვა. იგი განსაზღვრავს ქართველური ენების მრავალპირიანობასა და გრამატიკულ კატეგორიათა შეპირისპირების იერარქიებს (ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ასათიანი 1994).

[10] სასხვისო-სათავისო ქცევისათვის ერთ ამოსავალ სიღრმისეულ სტრუქტურას უშვებს ვ. ბოედერიც (ბოედერი 1968). იგივე აზრი აქვს გატარებული გ. ნებიერიძესაც (ნებიერიძე 1976).

[11] ქცევის კატეგორიისათვის ღირებულია სწორედ ეს ორივე ნიშანი და არა მხოლოდ ერთი რომელიმე მათგანი, რასაც ვარაუდობენ, მაგალითად, ვ. ბოედერი, ლ. ლაცაბიძე (იხ. დასახ. ნაშრომები). ქცევის კატეგორიის ანალიზისათვის იხ. გამყრელიძე, ივანოვი 1984: 333-336.

არ ეკუთვნის კომუნიკაციის აქტში მონაწილე პირს), მნიშვნელობა ენიჭება მკუთვნელი სახელის ტიპს და ამის მიხედვით გვაქვს სასხვისო (ეკუთვნის Ad-ს) ~ სათავისო (ეკუთნის Ag-ს) დაპირისპირების ფორმალური განსხვავება *ი-∞*უ- პრეფიქსული ალომორფებით.

ასეთი მიდგომით, ქცევის კატეგორიის ჩამოყალიბება ქართველურ ენებში შემდეგი პროცესის სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ:

კომუნიკაციაში მონაწილე პირების გამოკვეთის ძლიერი ტენდენციის გამო, რეფლექსურობა დამატებით ფუნქციებს იძენს; კერძოდ, მნიშვნელობა ენიჭება მოქმედების დაბრუნებას არა ზოგადად მოქმედი, არამედ I/II პირების მიმართ:[12]

ვიხატავ	ჩემთვის	იხატავ	შენთვის[13]
მიხატავ		გიხატავ	

ამგვარად გართულებული რეფლექსურობა მჭიდროდ უკავშირდება 'კუთვნილება-დანიშნულების' გამომხატველი კატეგორიის გაგებას და მისი ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების, მრავალპირიანობის,[14] განვითარებასთან ერთად ყალიბდება დამოუკიდებელი **ქცევის** კატეგორიის სახით. რადგან I/II ~ III პირების დიქოტომიურობა ქართველურ ენებში კვლავ ძალაშია, III პირისათვის 'კუთვნილება-დანიშნულების' მიმართება სპეციფიკური, ახალი *უ- მორფემით აღინიშნება. სწორედ ამით აიხსნება *ა-, ე-, ი-* და *უ-* პრეფიქსულ ხმოვანთა მორფოლოგიური ასიმეტრია: *უ-ს შეზღუდულობა (მხოლოდ III პირთან) სხვა ხმოვნებთან შედარებით.[15] ასე რომ, *უ-* არ შეიძლება ჩაითვალოს გვიანდელ წარმონაქმნად (რასაც ვარაუდობენ ივ. ქავთარაძე, ვ. თოფურია, ჰ. ფოგტი და სხვები) და, ალბათ, არც *ი*-ს ფონეტიკურად შეპირობებულ ვარიანტად (ჰ. ფოგტი, ვ. ბოედერი, ა. ჰარისი, კ. ბრეითვეიტი).[16] ყოველ შემთხვევაში, ის აუცილებლად ფუნქციონირებს ქცევის კატეგორიის ჩამოყალიბებისთანავე.

ზემომოცემული მსჯელობების შედეგად შეიძლება დავასკვნათ: *ი-* პრეფიქსი, უპირველეს ყოვლისა, ყველგან გამოხატავს ადგილიანობასთან მიმართებით ვალენტობის შემცირებას, 'პირის კლებას', და არა ვნებით გვარს, რეფლექსივს, ან სათავისო-სასხვისო ქცევას. ვნებითი და რეფლექსური კონსტრუქციების მსგავსი

---

[12] შდრ. მ. მაჭავარიანის აზრს: „ცენტრი ქცევის კატეგორიის თვალსაზრისით არის არა სუბიექტური ან ობიექტური პირები, არამედ მოლაპარაკე პირები" (მაჭავარიანი 1980:51), რაც უდავოდ მართალია 'გავრცობილი რეფლექსურობის' სემანტიკური ანალიზის დროს, მაგრამ ნაკლებ ადეკვატურია 'ქცევის' კატეგორიისათვის.

[13] შდრ. რუდენკო 1940.

[14] შდრ. მაჭავარიანი 1953: „ქცევა, როგორც ჩამოყალიბებული მორფოლოგიური კატეგორია, შესაძლებელია მხოლოდ მრავალპირიანობის არსებობის პირობებში".

[15] შდრ. მაჭავარიანი 1953:51-52.

[16] იხ. ამ ავტორთა დასახ. ნაშრომები.

ფორმალური გაერთიანება გაფართოებული (მათი მომცველი) ‘პირის კლების’ კატეგორიის ფარგლებში ტიპოლოგიურად უცხო მოვლენა არაა და გავრცელებულია ზოგიერთ ინდოევროპულ ენაში, მაგალითად, რუსულში: *моет**ся** – пишет**ся** – кусает**ся***; ბერძნულსა და ლათინურში: *laudat**ur** – velam**ur*** და სხვა.

უფრო შორს მიდის ამ მიმართულებით ინდოირანული ენები, სადაც რეფლექსურობის გავრცობას სათავისო ქცევის მსგავსი კატეგორიისაკენ მივყავართ (ე.წ. ინდოირანული მედიუმი),[17] მაგრამ ‘ქცევა’ აქ მაინც არ გამოიყოფა დამოუკიდებელი კატეგორიის სახით, რამდენადაც მისი ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი პირობა, მრავალპირიანობა, ამ ენებში არა გვაქვს.[18]

დაბოლოს, ვალენტობის ცვლასთან დაკავშირებით წარმოქმნილი კონსტრუქციების სინტაქსურ-მორფოლოგიური ანალიზის შედეგები შეიძლება შევაჯამოთ ქვემოთ წარმოდგენილი სქემის სახით (ფიგურა 1), რომელიც განხილული ფორმების გენერაციას, სიღრმიდან ზედაპირზე გადასვლის (ანუ, ზმნის ‘ადგილიანობით’ განსაზღვრული არგუმენტული სტრუქტურის გარდასახვას ‘ვალენტობით’ განსაზღვრულ აქტანტურ სტრუქტურად) შესაბამის პროცესებს აღწერს:

ფიგურა 1.



მოცემული სქემიდან გამომდინარე, ხმოვანი პრეფიქსების ფუნქციების დიფერენცირებისათვის ქართველურ ენებში ღირებულია 7 ბინარულ-დიფერენცია-

---

[17] იხ. შმიდტი 1965. აგრეთვე, გამყრელიძე, ივანოვი 1984: 333-334.

[18] იხ. შენიშვნა 14.

ლური სემანტიკური ნიშანი: ±[არგუმენტი]; ±[Ag-ის გაჩენა]; ±[Ag-ის გაუჩინარება]; ±[მოქმედების ავტორი]; ±[Adpos]; ±[Adloc]; ±[Ad]. ამ ნიშნების სხვადასხვა კონების ფორმალური მარკირების საფუძველზე გამოიყოფა: ქცევის, კონტაქტის, სიტუაცია-კაუზაციის, ქცევის და ვნებითი გვარის[19] ფარდი მორფოლოგიური კატეგორიები. ხმოვანპრეფიქსი ჩნდება ყველა ჩამოთვლილი კატეგორიის შემთხვევაში და ე.ი. ის იმართვის (მას განსაზღვრავს) უმაღლესი დონის კვანძის კატეგორიით: ესაა 'პირის მატება-კლება' (±[არგუმენტი]), რომელიც ფორმალურად წარმოდგენილია ***ა-*** (+[არგუმენტი]) : ***ი-*** (–[არგუმენტი]) პრეფიქსების დაპირისპირებით.[20] მაშასადამე, ზმნური პრეფიქსული ხმოვნების ძირითად ფუნქციონალურ დატვირთულობად უნდა მივიჩნიოთ 'პირის მატება-კლების' მარკირება[21], თანაც არა ზმნური ფორმების ზედაპირულ გარდაქმნებში, არამედ სიღრმიდან ზედაპირისაკენ ზმნური ფორმების წარმოქმნაში, 'ადგილიანობიდან' 'ვალენტობაზე' გადასვლებისას. წარმოდგენილი ანალიზი იძლევა ხმოვანი პრეფიქსების ცალსახა (თითქმის ავტომატურ) კვალიფიკაციას და ეკონომიურად აღწერს ქართველურ ენათა ზმნის მორფოლოგიურ სისტემას. მსგავს ('მატება-კლების') ფუნქციებს გამოყოფდნენ ამ პრეფიქსებისათვის გ. მაჭავარიანი, მ. მაჭავარიანი, მ. დამენია, ბ. ჯორბენაძე (*ა*-სთვის),[22] მაგრამ დესკრიფციულ-ტაქსონომიური თეორიის ფარგლებში 'მატება-კლების' გრამატიკული კატეგორიის გამოყოფა გარკვეულ სირთულეებს უკავშირდება და, მკაცრად რომ ვიმსჯელოთ, შეუძლებელიც ხდება, რადგან:

1. რთულდება ამოსავალი ფორმის დადგენა – რომელი უნდა ჩაითვალოს ძირითადად და რომელი 'მატება-კლების' შედეგად მიღებულად; აგრეთვე გაურკვეველია:

2. ე.წ. საარვისო ქცევის *ა-* პრეფიქსიანი ფორმების კვალიფიკაციის საკითხი – სადაა მატება?

3. პარალელური ფორმების არმქონე ზმნების კვალიფიკაცია (მაგ., *აძლევს, იცის, უნდა, და სხვა*) (?!).

---

19 ვნებითი გვარის შესახებ ქართველურ ენებში იხ. ასათიანი 2010.

20 რაც შეეხება *ე-* და *ი-/უ-* პრეფიქსებს, ისინი გვაქვს უფრო კომპლექსურ, ერთდროულად პირის 'მატებისა და კლების', შემთხვევებში და მკაცრად რომელიმე მათგანის მაჩვენებლად, ალბათ, ვერ ჩაითვლება. საინტერესოა *ე-* ხმოვნის ფუნქციის გარკვევა მოცემული სქემის საფუძველზე. მის წარმოქმნაში მონაწილეობს სამი დიფერენციალური ნიშანი: [–არგუმენტი], [+Ag-ის გაუჩინარება], [+Ad] და არაა ღირებული ქცევის კატეგორიისათვის დამახასიათებელი [+Adpo]ს. ე.ი. ის არ უნდა იყოს ქცევის კატეგორიის მაჩვენებელი (რასაც ვარაუდობს, ვთქვათ, გ. ნებიერიძე დასახ. ნაშრომში), მაგრამ, [+Ad] ნიშნის გამო, ის ითავსებს ქცევის კატეგორიისათვის დამახასიათებელ შინაარსსაც (შდრ. დამენია 1982).

21 დანარჩენი დიფერენციალური ნიშნების და მათი შესაბამისი (ქვე)კატეგორიების ასახვა გრამატიკულ დონეზე ამ ხმოვნების თანაფუნქციაა და ამ კატეგორიების მორფოლოგიური მარკირება ძირითადად სხვადასხვაგვარი სუფიქსების დამატებით ხორციელდება.

22 იხ. ამ ავტორების დასახ. ნაშრომები.

4. ინიანი უქცევო ან ორქცევიანი (*იშველიებს* ან *იცინის : უცინის* ტიპის) ფორმების ანალიზი – სადაა კლება? და სხვ.

მაშასადამე, პრეფიქსული ხმოვნების ადეკვატური ანალიზი მხოლოდ გენერატიული მეთოდით სიღრმისეულ-ზედაპირული (ადგილიანობა → ვალენტობა → პირიანობა) ცნებების მოშველიებით ხერხდება. ყველა ის შემთხვევა, როდესაც ხმოვანი პრეფიქსებისათვის აქ ნავარაუდები მნიშვნელობების „აღრევა“ ან მათი, ასე ვთქვათ, შეუსაბამო ხმარება გვაქვს (ანუ, როდესაც არ არის მატება ან კლება, ანუ, ადგილიანობა უდრის ვალენტობას, პრეფიქსული ხმოვანი კი წარმოდგენილია), აიხსნება ენის დინამიკით, მისი მუდმივმოქმედი პროცესულ-პროდუქტიული არსით: იქმნება ახალი ზმნები, ახალი ფორმები და ენა ირჩევს ლოგიკურად შესაძლებელი მოდელებიდან კოგნიტიურად უფრო მისაღებ ერთ-ერთ მოდელს. ეს პროცესი თვალნათლივ შეიძლება წარმოვადგინოთ ნასახელარი ზმნების წარმოქმნის მაგალითზე. ვთქვათ, რომელიმე სახელიდან, მაგალითად, *სახლი,* ენობრივი კოლექტივის მოთხოვნილების შესაბამისად იქმნება ზმნური სემანტიკის მქონე ლექსიკური ერთეული. თუ გამიზნულია აქტიური შინაარსის ერთეულის წარმოქმნა, ანალოგიის პრინციპით ეს შინაარსი „უტოლდება“ (კოგნიტიურად ეთანადება) ე.წ. კაუზატიურ ფორმებს (რამდენადაც ამ შემთხვევაშიც ზმნის არგუმენტულ სტრუქტურას ემატება Ag) და მიიღება *ასახლებს* ზმნური ფორმა; თუ პასიური შინაარსის წარმოქმნაა წინა პლანზე, მაშინ უტოლდება ე.წ. ვნებით ფორმებს და მიიღება ახალი ლექსიკური მნიშვნელობის მქონე ერთეული: *სახლდება.* ახლა თუ ამ ახალ ზმნურ ლექსიკურ ერთეულებს გავაანალიზებთ ადგილიანობა-ვალენტობის მიხედვით, *ასახლებს* ზმნა გამოვა ორადგილიანი და ორვალენტიანი, რადგან იმისათვის, რომ განხორციელდეს *დასახლება,* აუცილებლად საჭირო ა ორი სახელი: *ის, ვინც ასახლებს* და *ის, ვისაც ასახლებენ.* ვალენტობის თვალსაზრისითაც, *ასახლებს* სინტაქსურად უკავშირდება ორ სახელს: *ის, მას.* ე.ი. ადგილიანობა უდრის ვალენტობას. მაშასადამე, ამ შესაბამისობის ცვლაზე მიმანიშნებელი რაიმე ხმოვანი გასაანალიზებელ ზმნურ ფორმაში მოსალოდნელი არაა და, თუ ის მაინც დასტურდება, ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ ამ ლექსიკური ერთეულის წარმოქმნისას მისი სემანტიკის კაუზატიურ სტრუქტურებთან გატოლებაში და შესაბამისი *ა-* პრეფიქსიანი მოდელის აღნიშნულ სემანტიკასთან კოგნიტიურ გათანაბრებაში.

ამგვარი კვალიფიკაციის სასარგებლოდ მეტყველებს *ა-* პრეფიქსის შესაბამისად მეგრულში ორი მორფოლოგიური ეკვივალენტის: *ა-* და *ო-* პრეფიქსების არსებობა. *ა- : ო-* რეგულარული შესაბამისობა გვაქვს კაუზატიურ, კონტაქტისა და საზედაო სიტუაციის ფორმებში. ე.ი. როდესაც საქმე გვაქვს პირის მატებასთან; *ა- : ა-/ო-* შესაბამისობას კი ვხვდებით ე.წ. საარვისო ქცევის ფორმებთან, ე.ი. როდესაც ადგილიანობა უდრის ვალენტობას და წესით საერთოდ არც უნდა იყოს წარმოდგენილი რაიმე პრეფიქსული ხმოვანი. როგორც ჩანს, ამგვარი ერთეულები ახალი ლექსიკური წარმონაქმნებია, რომლებიც *ო*-ს შემთხვევაში თვით

მეგრულის, ხოლო ა-ს შემთხვევაში ქართულის ნიადაგზე (სესხებით) კაუზატიურ-კონტაქტიანი ფორმების ანალოგიით წარმოიქმნება.

აქვე უნდა წარმოვადინოთ მესამე სერიის ზმნურ ფორმებში დადასტურებული, ე.წ. „უფუნქციო", ხმოვნების: *ი-, უ-, ე-* კვალიფიკაცია.

საზოგადოდ, ქართველურ ენებში გამოყოფილ ზმნურ სერიებს შორის სინტაქსურ-მორფოლოგიური და სემანტიკური განსხვავებები სიღრმისეულია და, ამდენად, გრამატიკულ კატეგორიათა სისტემა და ზმნასა და სახელებს შორის არსებული მიმართებები სერიების მიხედვით განსხვავებულია.[23] ის სიღრმისეული კატეგორიები, რომლებიც I სერიაში უდავოდ მორფოლოგიურია, II სერიისათვის სინტაქსურ ან მხოლოდ სემანტიკურ ოდენობას წარმოადგენენ. მაგალითად, გვარის მორფოლოგიური მარკერების გამოყოფა თუ კიდევ შესაძლებელია I სერიის ფორმებისათვის, II სერიაში ის აშკარად სინტაქსურ კატეგორიად იქცევა და სათავისო ქცევის ფორმებთან ერთიანდება (ლაზურში გვარის კატეგორიის გამოყოფა I სერიაშიც პრობლემურია, რამდენადაც აქ ერგატიული კონსტრუქცია სახელობითში მდგარი პაციენსით I სერიის ფორმებთანაც კანონიკურია); ან კიდევ, გარდამავლობა, რომელიც I სერიის ფორმებისათვის არ ფუნქციონირებს გრამატიკული კატეგორიის სახით (Ad და P ბრუნვებით განსხვავებული არაა), II სერიაში მორფოსინტაქსურ კატეგორიას წარმოადგენს, რამდენადაც გარდამავლობის ძირითადი მახასიათებელი, პირდაპირი ობიექტი, აქ წარმოდგენილია ირიბი ობიექტის ბრუნვისაგან განსხვავებული, სახელობითი ბრუნვის ფორმით. ასევე, მეგრულში აქტიურობის მორფოსინტაქსური კატეგორია გამოიყოფა II სერიის ფორმებისათვის Ag-ის სპეციფიკური ბრუნვის (ე.წ. ერგატივის) ფორმითა და ზმნის III პირის მრავლობითი რიცხვის დაბოლოებებით: *-ებს* (+Ag) ~ *-∅* (–Ag); ასევე, სათავისო ქცევის მორფოლოგიურობა, რაც I სერიის ფორმებისათვის განსაზღვრულია თავისებური, 'პირის კლების' დანარჩენი შემთხვევებისაგან განსხვავებული სუფიქსური დაბოლოებებით, II სერიაში სუსტდება (ემთხვევა ვნებითს), თუმცა აქ მაინც შესაძლებელია ქცევის მორფოლოგიურობაზე ლაპარაკი, რამდენადაც ფორმალურად სასხვისო ქცევა უპირისპირდება სათავისო ქცევის ფორმებს: სასხვისო (*ი-/უ-*) : სათავისო (*ი-*).

III სერიაში პირის მატება და მასთან დაკავშირებული ყველა გრამატიკული კატეგორია ნეიტრალიზებულია ზედაპირულ დონეზე და ფორმალურად წარმოდგენილია, მაგალითად, ქართულში, *ი-/უ-* (I თურმეობითში) და *ე-* (II თურმეობითსა და III კავშირებითში) პრეფიქსების სახით:[24]

---

[23] ამ აზრის დამატებითი არგუმენტებისათვის იხ. ბრეითვეიტის ნაშრომი (ბრეითვეიტი 1979), რომელშიც ავტორი ავითარებს მოსაზრებას ქართულში სერიების მიხედვით განსხვავებული სიღრმისეული სტრუქტურების არსებობის შესახებ.

[24] კონტაქტის გარდა, რომელიც მორფოლოგიურად აქაც გამორჩეულია დანარჩენი მნიშვნელობებისაგან სუფიქსური დაბოლოებებით: *დაუწერ-**ინ**-ებია, დაუყრ-**ევინ**-ებია...*

წერს უ-წერს ს-წერს ა-წერს ი-წერს	დაუწერია, დაეწერა, დაეწეროს

ეს, როგორც ჩანს, გამოწვეულია III სერიისათვის დამახასიათებელი „უნახაობის“ გრამატიკული მარკირებით, რაც შემდეგს გულისხმობს: აგენსი, რომელიც მოქმედების ‘უნახაობის, თურმეობითობის’ გამო, უცნობია, გადადის მეორე პლანზე და სიტუაციის თვალთახედვის ცენტრად იქცევა მოქმედების აქტივობის[25] **შედეგი, პაციენსი**, რომელიც ამ სიტუაციაში სახეზეა. შესაბამისად, მოქმედების შედეგი (resp. პაციენსი) ფორმალურად წარმოდგენილია სახელობითი ბრუნვის ფორმით და ზმნაში აჩენს ვინის რიგის ნიშნებს. ამის გამო, III სერიის სტრუქტურებში არგუმენტი, რომლის აქტიურობის, მისი მაკონტროლირებელი ძალის შესახებ ინფორმაცია, ‘უნახაობის’ გამო, გაურკვეველია, კოგნიტიურად გათანაბრებულია (დ) სახელთან და, ამდენად, მისი გრამატიკული მარკირებულობა სუსტდება: სახელებში ის წარმოდგენილია სინტაქსურ ბრუნვათა {მოთხრობითი > სახელობითი > მიცემითი} იერარქიის დაბალი დონის წევრით – მიცემითით, ზმნაში კი, შესაბამისად, Ad-ის, მიცემითში მდგარი არგუმენტის გამომხატველი მანის რიგის ნიშნებით (ასათიანი 1982). თუმცა, გრამატიკული მარკირებულობა გარკვეულწილად დაკომპენსირებულია პრეფიქსულ ხმოვანთაგან სწორედ იმ ხმოვნის წარმოდგენით ზმნურ ფორმაში, რომელიც ჩვეულებრივ (და მხოლოდ) მიცემითში მდგარ სახელზე მიუთითებს.[26] ასეთებია *ი-/უ-* და *ე-*. ე.ი. ამ ხმოვნების

---

[25] ქართველურ ენებში III სერიაში გრამატიკულად მეტ-ნაკლებად განსხვავებულია აქტიური – არააქტიური ზმნები: აქტიური ზმნები ხასიათდება სინტაქსურად ინვერსიითა და ვალენტობის შემცირებით, მორფოლოგიურად კი *ი-/უ-/ე-* მახასიათებელი ხმოვანი რეფლექსებით; არააქტიური ზმნები კი – მიმღეობურ-მეშველზმნიანი წარმოებით.

[26] ამ ფუნქციას გამოყოფს ბ. ჯორბენაძეც (ჯორბენაძე 1983), მაგრამ აზოგადებს მას ყველა *ა-, ე-, უ-* პრეფიქსული ხმოვნისათვის, რაც არ უნდა იყოს ზუსტი, რამდენადაც *ა-* პრეფიქსის ძირითადი ფუნქცი არის არა მიცემითში მდგარ სახელზე მინიშნება, არამედ ახალი, მოქმედი პირის (სახელობითში ან მოთხრობითში მდგარი სახელის, resp. Ag) შემოყვანა ზმნის არგუმენტულ სტრუქტურაში, რის გამოც, ყოფილი მოქმედი პირი გადადის მიცემით ბრუნვაში. ამგვარად, მიცემითში მდგარი არგუმენტის „გაჩენა“ ამ შემთხვევაში „ილუზორულია“ და არის არა **მიზეზი** არგუმენტული სტრუქტურის ცვლისა, არამედ **შედეგი**. ანუ, *ა-*ს შემოჰყავს და ზმნის არგუმენტად აქცევს სახელობით-მოთხრობითში და არა მიცემითში მდგარ სახელს. რაც შეეხება საზედაო სიტუაციის *ა-*ს, რომელიც *უ-*ს მსგავსად მიცემითში მდგარ სახელზე მიუთითებს, ეს პრეფიქსი მიცემითში მდგარი სახელის გაჩენის თვალსაზრისით სუსტია, რადგან ფორმალურად ის გამოხატავს ზოგადად პირის მატებას, რომლის დროსაც დაპირისპირება ‘კაუზაცია/კონტაქტი’ : ‘საზედაო სიტუაცია’ ნეიტრალიზებულია და წარმოდგენილია საერთო *ა-* არქიმორფემით.

არსებობა III სერიის შესაბამის ზედაპირულ სტრუქტურებში გახაზავს მიცემით ბრუნვაში მდგარი სახელის ფუნქციონალურ სიძლიერეს იმგვარად, რომ მისი სემანტიკური „სისუსტის“ კომპენსირება მოხდეს.[27]

მაშასადამე, ქართველურ ენებში ზმნური ხმოვანი პრეფიქსების ძირითადი ფუნქცია არის ‘ადგილიანობასთან’ მიმართებით ‘ვალენტობის’ მატება-კლების თანმხლები ცვლილებების გრამატიკული მარკირება, რაც ვლინდება ქცევის, კაუზაციის, სიტუაციის, კონტაქტისა და გვარის მორფოსინტაქსურ კატეგორიებთან თანაკვეთებში. ამდენად, ამ კატეგორიების ფორმალიზება აღნიშნული ხმოვნების მხოლოდ თანაფუნქციაა.

დასახელებული კატეგორიების ფუნქციონირებისა და საერთო-ქართველური ფუძე-ენის გრამატიკულ სისტემაში მათი ადგილის გასარკვევად აუცილებელია მათი დამოუკიდებელი ანალიზი ქართველურ ენათა მონაცემების შედარება-შეპირისპირების საფუძველზე. ჩვენი ინტერესი წინამდებარე სტატიაში შემოიფარგლება კაუზაციისა და კონტაქტის კატეგორიებით.

კაუზაცია

ზმნის ვალენტობის გაზრდისას, თუ ჩნდება Ag, რომელიც მოქმედების ინიციატორის, „მაიძულებელი“[28] პირის როლშია, იცვლება ზმნასთან ფორმალურ მიმართებებში მყოფ არგუმენტთა არა მხოლოდ რაოდენობა, არამედ მათი ფუნქციონალური კვალიფიკაციები და არგუმენტული როლები. ამ ცვლილებას თან სდევს ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურის ცვლაც: ჩნდება ხმოვანპრეფიქსი ***ა-*** და ზმნის ძირი, როგორც წესი, გართულებულია ან სპეციალური სუფიქსური მაჩვენებლით ****-ინ*** და/ან ე.წ. სერიის/თემისნიშნისეული სუფიქსით, რომელიც ველარ კვალიფიცირდება თემის ნიშნად, რამდენადაც ის ზმნურ ფუძეს ერწყმის და დრო-კილოთა ყველა ფორმაში გადაჰყვება; მას, თავის მხრივ, დრო-კილოთა პირველი სერიის (აწმყოსა და მისგან ნაწარმოებ დრო-კილოთა) ფორმებში ერთვის ფორმალურად იგივე მაჩვენებელი, რომელიც, სერიების ფორმათა განმასხვავებელი ზოგადი წესის მიხედვით, მეორე სერიის ფორმებში ჩამოსცილდება. ამდენად, კაუზატივის მაწარმოებლად უნდა გამოიყოს ცირკუმფიქსი ***>ა-ინ/თემის ნიშანი<.*** რაც შეეხება არგუმენტული სტრუქტურის ცვლას, აქ ორი შესაძლებლობაა:

---

[27] იგივე შეიძლება ითქვას აფექტური, *უ-ყვარს, ე-ჩვენება* ტიპის ექსპერიენცული, ე.წ. ინვერსიული, აფექტური ზმნების შესახებ, სადაც ასევე ჩნდება იგივე ხმოვანპრეფიქსები Ad არგუმენტის ფუნქციის (მისი სუბიექტურობის) „გასაძლიერებლად“, თანაც არა მხოლოდ მესამე, არამედ ყველა სერიაში.

[28] ‘იძულება’, ფართო გაგებით, ‘ნების დართვასაც’ შეიძლება გულისხმობდეს და ამ მნიშვნელობით კაუზატიური ფორმების გამოყენება ლაზურში საკმაოდ ხშირია (ჰოლისკი 1991).

1) გარდამავალი ზმნა ტრანსფორმირდება სამპირიანად: ახლად დამატებული აგენს-ინიციატორი (resp. Ag) ემატება არგუმენტულ სტრუქტურას, ამოსავალი ზმნის Ag ველარ რეალიზდება ამავე როლში და 'იძულების' ნიშნით განსაზღვრულ ახალ სიტუაციასთან მიმართებით ის კარგავს თავის მაკონტროლებელ ძალას – იქცევა Ad-ად. თუ ასეთი Ad უკვე იყო ამოსავალ არგუმენტულ სტრუქტურაში (ე.ი. ზმნა ამოსავალშივე სამპირიანი იყო), ის კარგავს არგუმენტულობას და იქცევა გარემოებად[29]*; რაც შეეხება პაციენსს, მისი კვალიფიკაცია უცვლელი რჩება;*

2) გარდაუვალი ზმნა ტრანსფორმირდება ორპირიან გარდამავალ ზმნად: აგენს-ინიციატორი (resp. Ag), რომელიც ამავე დროს მოქმედების რეალურად განმხორციელებელი არგუმენტია, ანუ, რეალურად არის მოქმედების ავტორი, ერთვება სიტუაციაში, ამოსავალი Ag იძულების ობიექტად, იმავე პაციენსად, გარდაისახება; ხოლო Ad (თუკი ასეთი უკვე იყო ამოსავალ სტრუქტურაში) კარგავს არგუმენტულ ძალას და იქცევა გარემოებად.

ეს ორი მოდელი ფუნქციონირებს ყველა ქართველურ ენაში. პირობითად პირველს 'კონტაქტს' უწოდებენ, მეორეს კი 'კაუზაციას'. საინტერესოა გ. მაჭავარიანის მოსაზრება, რომელიც (2) ტიპის სტრუქტურებს კაუზაციის **პირველად**, ხოლო (1) სტრუქტურებს – **მეორეულ** ფორმებად მიიჩნევს და, ამდენად, კაუზაციის გრამემებს შორის ტერნალურ დაპირისპირებას ვარაუდობს (მაჭავარიანი 1988):

ცხრილი 2: კაუზაცია-კონტაქტის საფეხურებრივი მოდელი

0 საფეხური	I საფეხური	II საფეხური
წუხ-ს	***ა-წუხ-ებს***	***ა-წუხ-ებ-ინ-ებ-ს***
დულ-ს	***ა-დულ-ებ-ს***	***ა-დულ-ებ-ინ-ებ-ს***
წევ-ს	***ა-წვ-ენ-ს***	***ა-წვ-ენ-ინ-ებ-ს***

ამგვარ ანალიზს მხარს უჭერს ქარველურ ენათა მონაცემები, სადაც კონტაქტი (კაუზაციის II საფეხური) მიიღება კაუზაციის (I საფეხური) მაჩვენებლის გაორმაგებით მაგ., *ბიწ-ალ : ბიწ-ალ-ალ* (სვანური); კონტაქტის ფორმებში ეს გაორმაგებული სუფიქსი დასტურდება ლაზურშიც (მაგ., *ო-ჭარ-აფ-აფ-ს)*; თუმცა ეს მოდელი მყარი და პროდუქტიული არ არის და კონტაქტის ფორმებში, როგორც წესი, დამატებითი სუფიქსური ელემენტებიც დასტურდება.

---

[29] ეს ყოფილი არგუმენტი ზმნასთან მართვა-შეთანხმების მოდელებში აღარ მონაწილეობს და ყველა ქართველურ ენაში წარმოდგენილია ირიბ ფორმაში: მიმართულებითდაშორებით ბრუნვაში მეგრულსა და ლაზურში, ხოლო თანდებულიან ფორმაში – ქართულსა და სვანურში.

განვიხილოთ ეს მოდელები ცალ-ცალკე ყოველ ქართველურ ენაში.

ქართულში კაუზაციის (2-შემთხვევა) ძირითადი მოდელია:

{ა+სახელის/ზმნის ფუძე+თემა}, სადაც 'თემა' ძირითადად არის *-ებ,* იშვიათად *-ევ*, ან მის ფუნქციას ასრულებს ძირის აბლაუტი (*ვლინ-დ-ებ-ა : ა-ვლენ-ს; ჩნ-დ-ებ-ა : ა-ჩენ-ს* და სხვა).

კონტაქტის (1-შემთხვევა) საწარმოებლად კი გამოიყენება მოდელი:

{ა+ზმნის ფუძე+თემა$_1$+ინ/ევ(ინ)+თემა$_2$}, სადაც *ა-* არის პირის მატების მარკერი;[30] *თემა$_2$* ყოველთვის არის *-ებ* და მისი ფუნქციები თემისნიშნისეულია (ჩამოსცილდება ზმნურ ფორმას II სერიის დრო-კილოთა ფორმებში); *-ინ-* და *-ევინ-* გამოხატავს 'კონტაქტის' შინაარსს[31]; *თემა$_1$* ფორმალურად ემთხვევა ე.წ. თემის ნიშნებს, თუმცა მისი ფუნქცია დასაზუსტებელია, რამდენადაც ის შეზრდილია ზმნურ ან სახელურ ძირთან და გადაჰყვება ზმნას II და III სერიის ფორმებში (ე.ი. ფუნქციით არ ემთხვევა თემის ნიშნებს). ამდენად, მისი გრამატიკული შინაარსის დადგენა, ფუძისაგან გამოცალკევება და დამოუკიდებელი კვალიფიკაცია პრობლემურია.[32] წარმოდგენილ მოდელში სეგმენტი ***{ზმნის ძირი+თემა$_1$}*** ძირითადად განიხილება ერთ დაუშლელ, კონტაქტისათვის ამოსავალ ფორმალურ ერთეულად და უტოლდება აწმყოს ფუძეს. მაგრამ ამგვარ ინტერპრეტაციას გარკვეული სუსტი მხარეები აქვს, კერძოდ: გაურკვეველია, რატომ უნდა იყოს კონტაქტისათვის ამოსავალი აწმყოს (ან რომელიმე სხვა დროისა თუ მწკრივის) ფორმა. კონტაქტი არგუმენტული სტრუქტურის ცვლას გულისხმობს, ის დერივაციული კატეგორიაა და თავისი სემანტიკით არ უნდა ექვემდებარებოდეს დრო-კილოს თვალსაზრისით რაიმე შეზღუდვებს. ასე რომ, აწმყოს ფუძესთან (ე.ი. აწმყოს დროსთან) მისი მიბმა სემანტიკურ-კოგნიტიური თვალსაზრისით გაუგებარია, თუმცა ფორმალურად, რასაკვირველია, დასაშვებია. მაგრამ ამგვარ დაშვებას წმინდა ფორმალური ხარვეზებიც ახლავს: არის ზმნათა ნაწილი, რომელთაც აწმყოს ფუძე და კონტაქტისათვის ამოსავალი ფუძე სხვადასხვაგვარად აქვთ ნაწარმოები;

---

30 ყველა ქართველურ ენაში 'კონტაქტის' ფორმებში თანმიმდევრულად ჩნდება ეს *ა-* პრეფიქსი, რომელსაც ზმნის არგუმენტულ სტრუქტურაში შემოჰყავს მოქმედების „მაიძულებელი, მაპროვოცირებელი" პირი და ვლინდება ფონოლოგიურად დაფიქსირებული რეგულარული შესატყვისობებით: *ა-* (ქართული და სვანური) : *ო-* (მეგრული და ლაზური).

31 ამ ალომორფების განაწილება დამოკიდებულია თემა$_1$ სახეობაზე: *თუ თემა$_1$ არის -ავ-, -ამ- (ძირით CC), ან -ი- (აბლაუტით V1 : V2), მაშინ გვექნება -ევინ-, დანარჩენ შემთხვევებში კი -ინ-.*

32 ენათმეცნიერულ ტრადიციაში არსებობს სხვადასხვა თვალსაზრისი *თემა$_1$* კვალიფიკაციის შესახებ (იხ. ნათაძე 1959, მაჭავარიანი 1988, ქაჯაია 2001, ბოედერი 2005, ჰარისი 2009 და სხვა); ყველას თავის დამაჯერებელი და არადამაჯერებელი მხარეები აქვს. ამდენად, საკითხი ამ ელემენტის კვალიფიკაციისა თუ გენეზისის შესახებ დასამუშავებელია.

მაგალითად: *კითხულ-ობ-ს* (თემა: *-ობ*) → *ა-კითხ-ვ-ინ-ებ-ს* (თემა$_1$: *-ავ*); *შლ-ი-ს* (თემა: *-ი*) →*ა-შლ-ევინ-ებ-ს* (თემა$_1$: *-Ø*) და სხვ. ასეთი შეუსაბამო ფარდობები ***{ზმნის ან სახელის ძირი+თემა$_1$}*** ფორმალური სეგმენტისათვის განსხვავებული სტატუსის ძიებისაკენ გვიბიძგებს. ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ მასდარის ფუძე: *კითხ-ვ-ა*→*ა-კითხ-ვ-ინ-ებ-ს* (და არა: *კითხულ-ობ-ს*→*ა-კითხ-ვ-ინ-ებ-ს*); *შლ-ა*→ *ა-შლ-ევინ-ებ-ს* (და არა: *შლ-ი-ს*→ *ა-შლ-ევინ-ებ-ს*) და სხვა. ასეთი მიმართების გამოვლენის შედეგად კონტაქტის მოდელის სეგმენტი მარტივდება და მოდელის სახეც იცვლება: ***{ა+მასდარის ფუძე+ინ/ევინ+თემა}***.

ამგვარი ინტერპრეტაცია მთლიანად მოხსნის ზემოთ წარმოდგენილ სემანტიკურ უხერხულობას (კონტაქტი აღარ იქნება ფორმალურად დროის კატეგორიაზე მიბმული), რაც სემანტიკურ-კოგნიტიურად უფრო მისაღებია. ამასთანავე, მოდელიც უფრო თანმიმდევრული გამოვა: ისევე, როგორც კაუზაციის შემთხვევაში ამოსავალ ფორმად დასაშვებია სახელური ფუძე (*თეთრი*→*ა-თეთრ-ებ-ს*), კონტაქტის შემთხვევაშიც ამოსავალი იქნება სახელური (=ნაზმნარი სახელი, მასდარი) ფუძე. ე.ი. კაუზაციისაგან კონტაქტის წარმოება გაშუალებულია სახელური ფუძით: სახელური ფუძე$_1$ → კაუზაცია → სახელური ფუძე$_2$ → კონტაქტი (მაგ., *თეთრი* → *ათეთრებს* → *{(გა)თეთრება}* → *ათეთრებინებს* და არა: *თეთრი* → *ათეთრებს* → *ათეთრებინებს).* ამგვარ მოსაზრებას კიდევ უფრო ამყარებს მეგრულისა და ლაზურის მონაცემები (იხ. ქვემოთ, გვ. 122-123).

ძველ ქართულში კაუზაცია-კონტაქტის მიხედვით განსხვავებული ფორმები იშვიათია და სადაც კი დასტურდება, თანამედროვე ქართულის მოდელების მსგავსია. ერთადერთი სხვაობა არის ის, რომ კაუზატივის მოდელის *თემა,* ძირითადად, *-ევ*-ია (*ებ*-ის ნაცვლად). ამდენად, *-ევინ* ალომორფი შეიძლება დიაქრონიულად დაიშალოს, როგორც *-ევ* (კაუზ.I) + *-ინ* (კაუზ.II) = კონტ., რაც ფორმალურად კაუზაციისა და კონტაქტის საფეხურებრივ მოდელად ინტერპრეტაციის კიდევ ერთ დამატებით არგუმენტად შეიძლება ჩაითვალოს.

მეგრულში კაუზატიური სტრუქტურების ამსახველი ძირითადი მოდელია ***{ო+სახელის/ზმნის ფუძე+უ(ან)},*** კონტაქტისა კი ***{ო+ზმნის ფუძე+თემა$_1$+აფ+ უ(ან)},*** სადაც სეგმენტი *{ზმნის ფუძე+თემა$_1$}* აშკარად მასდარულია, რამდენადაც *თემა$_1$* ემთხვევა სწორედ მასდარულ (და არა აწმყოსფუძისეულ) თემის ნიშნებს.

ცხრილი 3: კონტაქტის ფორმები მეგრულში

აწმყო	მასდარი	კონტაქტი	თარგმანი
ჭარ-უნ-ს	***ჭარ-უა***	***ო-ჭარ-აფ-უან-ს***	წერა
ჭკად-უნ-ს	***ჭკად-უა***	***ო-ჭკად-აფ-უან-ს***	ჭედვა
ნწყ-უნ-ს	***ნწყ-უმ-ა***	***ო-ნწყ-უმ-აფ-უან-ს***	ხსნა
ა-კეთ-ებ-ს	***კეთ-ებ-ა***	***ო-კეთ-ებ-აფ-უან-ს***	კეთება
დგ-უნ-ს	***დგ-უმ-ა***	***ო-დგ-უმ-აფ-უან-ს***	დგმა

მეგრულში მასდარული ფუძე, თავის მხრივ, დამატებით გართულებულია *-აფ-* თემის ნიშნით, რომელიც ზმნურ ფორმას გადაჰყვება II და III სერიებშიც; ე.ი. მასაც დაკარგული აქვს თემის ნიშნის ფუნქცია; ანუ, კონტაქტისათვის ამოსავალი სეგმენტი მეგრულში კიდევ უფრო გართულებულია {*ზმნის ფუძე + თემა*$_1$ (=მასდარის ფუძე)*+აფ*}. შესაძლოა, ეს ქართული მოდელის გავლენა იყოს: მეგრული მასდარულ *თემა*$_1$-ს ართულებს *-აფ*-ით, რომელიც ქართული *-ებ*-ის შესატყვისია და ქართულში კონტაქტის ფორმებისათვის *თემა*$_2$-ის სახით აუცილებელია. შესაძლოა სწორედ ქართულის ფორმებთან სტრუქტურული ანალოგიით, თუმცა *თემა*$_1$-ის დამატებითი გართულების ფუნქციით, მეგრული ამ *-აფ*-ს კონტაქტის ფორმებში აფიქსირებს.[33] რაც შეეხება *-უან-ს,* ის აუცილებელია I სერიის ფორმებში, ხოლო II და III სერიაში *-უ* ალომორფით რეალიზდება.[34] ასე რომ, კაუზაცია-კონტაქტისათვის დამახასიათებელი სეგმენტი, რომელიც ყველა სერიაში ფიქსირდება არის, *-აფ-უ-.*

ამდენად, მეგრულში კაუზაცია-კონტაქტის მოდელები, ქართულის მსგავსად, განსხვავდება ამოსავალი ფუძის სახეობით (კაუზაციის დროს – ზმნის ან სახელის ფუძე; ხოლო კონტაქტის შემთხვევაში – მასდარის ფუძე) და კონტაქტის სუფიქსური მაჩვენებლით; მეგრულში კონტაქტისათვის ამოსავალი ფორმა დამატებით გართულებულია *-აფ*-ით, რომელიც მასდარის ფუძესთან შერწყმულია.

ლაზურში კონტაქტისათვის მასდარისფუძიანი ამოსავალი მოდელის სასარგებლოდ კიდევ ერთი ფაქტი მეტყველებს: მასდარის მაწარმოებელი ლაზურში არის *>ო- -უ<* ცირკუმფიქსი. რადგან *ო-* პირის მატების ხმოვანპრეფიქსი კაუზატიურ ფორმებში აუცილებელია, კონტაქტის ფორმების მასდართან ფორმალური სიახლოვე, ამ მასდარისეული *ო*-ს გამო, კიდევ უფრო თვალში საცემი ხდება. მოდელები ძირითადში მეგრულის მსგავსია, მხოლოდ: ხოფურში დადასტურებულ მეგრულის ფარდ *თემა*$_2$*(-აფ)*-ს ვიწურ-არქაბულში *-ამ* ენაცვლება; და კიდევ: კონტაქტის მაწარმოებელი სუფიქსური მაჩვენებელი *-აფ*-თან ერთად შეიძლება იყოს *-ინ.*

ცხრილი 4: კაუზაცია-კონტაქტი ლაზურში

	აწმყო	აორისტი
გარდამავალი ორპირიანი (წერს : აწერინებს)	***ჭარ-უფ-ს→ ო-ჭარ-აფ-აფ/ამ-ს***	***ო-ჭარ-აფ-უ***
გარდამავალი სამპირიანი (ჰბანს : აბანინებს)	***ბონ-უმ-ს→ ო-ბონ-აფ-აფ/ამ-ს***	***დო-(ო)-ბონ-აფ-უ***

[33] სტრუქტურული ანალოგიის საფუძველზე მოდელის გამართვის კიდევ ერთი ნიმუში შეიძლება დავინახოთ თურმეობითის ფორმების ქართული მოდელის შესაბამისი მეგრული წარმოება: *გა-ე-კეთ-ებ-ინ-ებ-ინ-ა : გუ-კეთ-ებ-აფ-უ-აფ-უ,* სადაც *-ებ-ინ-ებ-ინ-ა* სეგმენტს შეესაბამება სეგმენტი *-ებ-აფ-უ-აფ-უ.*

[34] ამდენად, ეს *-უან* შესაძლოა დაიშალოს: *-უ* (კონტაქტი)+*-ან* (თემა$_2$).

გარდაუვალი ერთპირიანი (კვდება : აკვდინებს)	*ღურ-უ-ნ→ ო-ღურ-ინ-აფ/ამ-ს*	*ო-ღურ-ინ-უ*
გარდაუვალი ორპირიანი (უმღერის : ამღერებს)	*უ-ბირ-ს→ ო-ბირ-აფ-აფ/ამ-ს*	*ო-ბირ-აფ-უ*

სვანურისათვის კონტაქტისა და კაუზაციის მოდელების ერთმანეთისგან განსხვავება ჭირს, რამდენადაც ორივე შემთხვევაში ჩნდება ერთი ტიპის სუფიქსები: *-უნ(ე), -გნ(ე), -ნ(ე), -ინ(ე).* კონტაქტისათვის დამახასიათებელია ე.წ. ორმაგი წარმოებაც: *ხ-Ø-გემ-ნ-უნ-ე* (აშენებინებს), *ხ-ა-შხ-უნ-გლ-უნ-ე* (აწვენინებს) და სხვ. ასეთ ფორმებში სუფიქსი *-გლ* ობიექტის მრავლობითობის და/ან ჩვეულებრივი, განმეორებითი მოქმედების მაჩვენებელია. საზოგადოდ, კაუზაცია-კონტაქტი თავისი სემანტიკით უახლოვდება ინტენსიურ, გაძლიერებულ მოქმედებას[35] და, შესაძლოა, სწორედ ასეთი სიახლოვის გამო, ეს თემის ნიშნები, რომელთა ფუნქცია განმეორებითი, დინამიკური, ინტენსიური, ჩვეულებრივი მოქმედების მარკირებაა, კოგნიტიურად გავრცელდა კაუზაცია-კონტაქტის ფორმებშიც. შესაძლოა, მეგრულში მასდარის ფუძის *-აფ* თემის ნიშნით გართულებაში სვანურის *-გლ/-უნ(ე)*-იანი ფორმების სტრუქტურული ანალოგიც დავინახოთ, რაც, იმავე მიზეზით, მოქმედების განმეორებითობის, ინტენსიურობის (რაც, თემის ნიშანთა საერთო ფუნქცია უნდა იყოს) გასაძლიერებლად ხდება. ანუ, კონტაქტის კაუზაციისაგან გასამიჯნი პროცესი ყველა ქართველურ ენაში მსგავსად მიმდინარეობს და სტრუქტურულ იზომორფიზმს წარმოაჩენს.

განხილული მასალის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ კაუზაცია-კონტაქტის ჯერ კიდევ გაუდიფერენცირებელი კატეგორია საერთო-ქართველურის ფუძე ენაში უკვე არსებობდა და მისი წარმოება ცალსახად უკავშირდებოდა **ა-*პრეფიქსს, რომლის მთავარი ფუნქციაც ზმნის არგუმენტულ სტრუქტურაში პირის მატების მარკირება იყო. სუფიქსები აზუსტებდნენ 'მატების' სპეციფიკურ შინაარსებს და, მიუხედავად იმისა, რომ ქართველური ენები ამ სუფიქსების მრავალფეროვნებას ადასტურებენ (განსაკუთრებით, სვანური), ეს „სუფიქსები არსებითად ერთი და იგივეა" (მაჭავარიანი 2002:113) და მათი ზოგადი სახე *-ნ-* ფონემის შემცველ ზოგად ფორმაზე შეიძლება დავიყვანოთ. რამდენადაც სვანურში კაუზაცია-კონტაქტის გამიჯნული მოდელები პროდუქტიული არაა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კაუზაციისა და კონტაქტის წარმოების დიფერენციაცია და მათ-

---

35 ჰ. შუხარდტის მოსაზრებით, თემის ნიშნები და კაუზატივის სუფიქსები ერთი და იმავე ხასიათისა არიან: ორივეს მააქტიურებელი როლი ენიჭებათ (შუხარდტი), რამდენადაც კაუზატივის შემთხვევაში ზმნის არგუმენტულ სტრუქტურაში შემოდის აქტიური აგენს-ინიციატორი, ხოლო თემის ნიშნები, გამოხატავენ რა ჩვეულებრივ, განმეორებით, ინტენსიურ მოქმედებას, ასევე, მააქტიურებელ ხასიათს იძენენ. „აორისტში გარდამავალი ზმნა პასიური ხასიათისა იყო, აწმყოში – აქტიური. გააქტიურება შედეგია აწმყოს თემატური ნიშნების დართვისა" (მაჭავარიანი 2002:112).

თვის დამოუკიდებელი მოდელების ჩამოყალიბება მხოლოდ ქართულ-ზანურ დონეზე ხდება, თუმცა პროცესი ფუძე-ენის დონეზევე იწყება, რაზეც მოდელების სტრუქტურული იზომორფიზმი უნდა მეტყველებდეს.

ამგვარად, საერთო-ქართველურ ფუძე-ენაში ხმოვანპრეფიქსების ძირითად ფუნქციად უნდა ვივარაუდოთ ზმნის ვალენტობის 'მატება-კლების' მარკირება. ამ საერთო ფუნქციის შემდგომი ფუნქციონალურ-სემანტიკური დიფერენცირება, კაუზაციისა და კონტაქტის კატეგორიების სახით, ქართველური ფუძე-ენის განვითარების შემდგომ საფეხურზე ხორციელდება. კაუზაციისა და კონტაქტის კატეგორიების შესაბამისი ფორმალური მოდელების გამიჯვნა და, შესაბამისად, კონტაქტის დამოუკიდებელ კატეგორიად ფორმირება უკვე მოგვიანებით, მხოლოდ ქართულ-ზანურ დონეზე თუ მოიაზრება.

ლიტერატურა:

ასათიანი 1979: რ. ასათიანი, მარტივი წინადადების სიღრმისეული სტრუქტურა, „*მაცნე", ენისა და ლიტერატურის სერია,* 3, „მეცნიერება", თბილისი.

ასათიანი 1982: რ. ასათიანი, *მარტივი წინადადების ტიპოლოგიური ანალიზი* (თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მასალაზე), „მეცნიერება", თბილისი.

ასათიანი 1987: რ. ასათიანი, ზმნურ პრეფიქსულ ხმოვანთა ფუნქციონალური კვალიფიკაცია ქართველურ ენებში, „*მაცნე", ენისა და ლიტერატურის სერია,* 3, „მეცნიერება", თბილისი.

ასათიანი 1989: რ. ასათიანი, კაუზაცია და კონტაქტი ქართველურ ენებში, *„მაცნე", ენისა და ლიტერატურის სერია,* 1, „მეცნიერება", თბილისი.

ასათიანი 1994: რ. ასათიანი, *ქართველურ ენათა ტიპოლოგიის საკითხები* (გრამატიკულ კატეგორიათა სისტემაში დომინანტური კატეგორიის დადგენის თვალსაზრისით), „მეცნიერება", თბილისი.

დამენია 1982: მ. დამენია, *ქართული ზმნური მორფემების სტრუქტურული მოდელები,* თბილისი.

თოფურია 1931: ვ. თოფურია, *სვანური ენა,* თბილისი.

მაჭავარიანი 1953: გ. მაჭავარიანი, *ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები ქართველურ ენებში* (საკანდიდატო დისერტაცია), თბილისი.

მაჭავარიანი 1988: გ. მაჭავარიანი, კაუზატივის კატეგორია ქართველურ ენებში, *იკე, ტ.* XXVII, თბილისი.

მაჭავარიანი 2002: გ. მაჭავარიანი, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა (ლექციების კურსი), თბილისი.

ქავთარაძე 1954: ივ. ქავთარაძე, *ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში,* თბილისი.

ქაჯაია 2001: ო. ქაჯაია, *მეგრულ-ქართული ლექსიკონი,* ტ. I, თბილისი.

ქირია 1991: ჭ. ქირია. კაუზატივის ფორმალური ნიშნისა და ამოსავალი ფუძის საკითხისათვის ზანურში, *„მაცნე", ენისა და ლიტერატურის სერია,* 1, „მეცნიერება", თბილისი.

შანიძე 1953: ა. შანიძე, *ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია*, თბილისი.
ჩიქობავა 1936: არნ. ჩიქობავა, *ჭანურის გრამატიკული ანალიზი,* თბილისი.
ჩიქობავა 1950: არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, *ქეგლ, I,* თბილისი.
ჯორბენაძე 1983: ბ. ჯორბენაძე, *ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში,* თბილისი.
მარი 1925: Н. Марр, *Грамматика древне-грузинского языка*, Ленинград.
რუდენკო 1940: Б. Руденко, *Грамматика грузинского языка*, Ленинград.
ჭანიშვილი 1981: Н. Чанишвили, *Падеж и глагольные категории,* Москва.
გაყრელიძე, ივანოვი 1984: Т. Гамкрелидзе, В. Иванов, *Индоевропейский язык и индоевропейцы,* Тбилиси.
ბოედერი 2005: W. Boeder, The South Caucasian Languages, *Lingua, 115,* Elsevier
ბრეითვეიტი 1979: K. Braithwaite, Case Shift and Verb Concord in Georgian, *Deseret Language and Linguistic Society Symposium, Vol. 5: Iss. 1, Article 12.*
ჰარისი 1976: A. C. Harris, Grammatical Relations in Modern Georgian, *Ph.D. dissertation,* Harvard University.
ჰარისი 2009: A. C. Harris, On the Order of Morphemes in Georgian Verbs and Substabtives, *სამეცნიერო სტატიების კრებული: „გურამ კარტოზია 75“,* თბილისი.
ჰოლისკი 1983: D. A. Holisky, On Derived Inceptives in Georgian, *Language and Social Interaction, Vol.16, Iss. 3-4.*
ჰოლისკი 1991: D. A. Holisky, Laz, *The Indigenous Languages of the Caucasus. Vol. 1, The Kartvelian Languages* , Caravan Books, Delmar, New York.
შმიდტი 1965: K. H. Schmidt, Indogermanisches Medium und Satawiso im Georgischen, *BK, 19-20.*

Rusudan Asatiani

Causative Constructions in the Kartvelian Languages

Summary

There are four verbal vowel prefixes in the Kartvelian Languages. Based on regular correspondences they can be reconstructed for the Proto-Kartvelian level: ***-a-, *-i-, *-e-, *-u-.***

Table: Correspondences of the vowel prefixes

Proto-Kartvelian	Georgian	Megrelian/Laz	Svan
***a-**	***o-***	***o-***	***a-***
***e-**	***e-***	***a-***	***e-***
***i-**	***i-***	***i-***	***i-***
***u-**	***u-***	***u-***	***o-***

The vowels are polyfunctional and represent semantically various derivational verb forms: transitive, causative, contact, reflexive, passive, anti-passive, potential, reciprocal, version, and some other specific so-called middle forms.

Based on a semantic and functional analysis of the vowel prefixes, the following generalization is offered:

The main function of verbal vowel prefixes is a formalization of conceptual changes raised as a result of either increasing or decreasing of the verb valency implying either appearance or disappearance of semantic roles – Ag or Ad (P is more stable from this point of view) in a verb argument structure.

Various possibilities of verb valency changes in the Kartvelian languages can be summarized by the following scheme:



The scheme reflects general functions of the vowel verbal prefixes that are mainly preserved in Kartvelian languages (Georgian, Svan, Megrelian and Laz).

The development of the Proto-Kartvelian language system shows that the valency changing vowels, step by step specifying their own semantics, have become the markers of the categories such as, e.g., Causative.

On the basis of comparative analysis of the vowel-prefixes, it seems possible to reconstruct the category of Causative for the Proto-Kartvelian languge, while distinguishing of the Contact formal models takes place only later – for the Georgian-Zan (Megrelian and Laz) unity.

ციური ახვლედიანი, გიორგი ყუფარაძე

ფონოსტილისტიკის ჩამოყალიბების საწყისები საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთში

საფრანგეთში ფონოსტილისტიკის დარგის გვიანი ჩამოყალიბება აიხსნება იმ ფაქტით, რომ ფერდინანდ დე სოსიური და პრაღის სკოლის წარმომადგენლები გამორიცხავდნენ ენის ბგერით სუბსტანციას ლინგვისტურ კვლევათა სფეროდან. სტილისტიკის ჩამოყალიბების სტიმულად და მოგვიანებით ფონოსტილისტიკისაც ითვლება ენიდან კომუნიკაციური და აფექტური ფუნქციების გამოყოფა. შეისწავლა რა მეტყველება იმ ფუნქციათა თვალსაზრისით, რომელთა შესრულებაც ენას შეუძლია კონკრეტულ სიტუაციაში, კ. ბიულერმა გამოყო სამი ფუნქცია: რეპრეზენტაცია, ექსპრესია და აპელაცია. შ. ბალი, დიდ ყურადღებას აქცევდა რა ექსპრესიულ ფუნქციას, ამტკიცებდა: „ეჭვი არ არის, რომ ენის ბგერით შემადგენლობაში ჩადებულია გამომხატველობითი შესაძლებლობები... ამგვარად, ფონეტიკასთან ერთად არსებობს ექსპრესიული ფონეტიკაც“ (ბალი 1926:115). წარმოთქმისა და ინტონაციის კვლევაში მან შემოიტანა ცნება „სოციალური შეფერილობა“: „ცხადია, რომ ინდივიდთა წარმოთქმითი ჩვევები ქმნიან წარმოდგენას იმ სოციალურ ფენაზე, რომლებსაც ისინი მიეკუთვნებიან, წარმოთქმა თავისებური სოციალური ეტიკეტია... არ შეიძლებოდა ეს ფაქტები გამოპარვოდათ ფონეტიკოსებს, თუმც, როგორც ჩანს, ისინი ამას არ ანიჭებდნენ სათანადო მნიშვნელობას...“ (ბალი 1909:232-233). ამით შ. ბალიმ გააფართოვა წარმოდგენა ექსპრესიული ფუნქციის შესახებ, განავრცო რა იგი ენის ბგერით მხარეზე სოციალურ პლანში. მკვლევართა დიდი რაოდენობა ფონოსტილისტიკას განიხილავს სოციოლინგვისტიკის რაკურსში, რადგან ფონოსტილისტიკური მოვლენები ენის ბგერითი წყობის სოციალური და სიტუაციური დიფერენციაციაა. შ. ბალის ნაშრომთა გარდა, ამ საკითხისადმი ასეთივე მიდგომა მომდინარეობს ნ. ტრუბეცკოის ფუნდამენტური ნაშრომიდანაც „ფონოლოგიის საფუძვლები“. ამ ნაშრომში ფონოსტილისტიკის საგნის, მისი საზღვრებისა და ამოცანების შესახებ საკითხს ეძღვნება სპეციალური ნაწილი „ფონოლოგია და ბგერითი სტილისტიკა“ – „რადგან ადამიანის მეტყველება გულისხმობს არსებობას მოლაპარაკის, მსმენელისა (ან მსმენელებისა) და მეტყველების განსაზღვრული საგნისა, რომელზედაც ლაპარაკობენ, ამიტომაც ყოველ ენობრივ გამონათქვამს აქვს სამი ასპექტი: იგი არის ერთდროულად გამონათქვამი (ექსპრესია), ანუ მოლაპარაკის მახასიათებელი, მიმართვა (ანუ აპელაცია) მსმენელისადმი (ან მსმენელებისადმი) და შეტყობინება (ანუ ექსპლიკაცია) სამეტყველო საგნის შესახებ“ (ტრუბეცკოი 1960:22).

როგორც ნ. ტრუბეცკოი აღნიშნავს, ზემოაღნიშნული მიდგომა ეფუძნება კ. ბიულერის მოძღვრებას ენის ფუნქციათა შესახებ მეტყველების პროცესში. მსმენელის მიერ აღქმულ ბგერითი მეტყველების ინდივიდუალურ თავისებურებებს, მათ შორის პრაგმატიკულისაც, ტრუბეცკოი ყოფს სამ სიბრტყედ: გამონათქვამები, მიმართვები და შეტყობინებები, ხაზს უსვამს რა ექსპრესიულ და აპელაციურ ფუნქციათა შესწავლის მნიშვნელობას. ამით მან დაყო ფონოლოგიურ-ექსპრესიული და ფონოლოგიურ-აპელაციური საშუალებები; ეს უკანასკნელები ემსახურება თანამოსაუბრეში გარკვეული გრძნობების გამოწვევას (ტრუბეცკოი 1960:30). მკვლევრის აზრით, „ფონეტიკოსმა უნდა შენიშნოს არა მარტო ის ნორმები, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ მოცემული ენობრივი ერთობისათვის, არამედ ის ინდივიდუალური განსხვავებანიც, რომლებიც არსებობს მოლაპარაკეთა შორის და ასევე, იმ ცალკეულ ბგერათა წარმოთქმის ცვლილებებიც, რაც გამოწვეულია განსხვავებული სამეტყველო სიტუაციებით (ტრუბეცკოი 1960:15).

ინგლისურენოვან სამყაროშიც საყოველთაოდ აღიარებულია, რომ მოლაპარაკე საუბრის პროცესში ენის მრავალ ვარიანტს იყენებს გამომდინარე იმ სასაუბრო სიტუაციიდან, რომელშიც იგი შეიძლება აღმოჩნდეს. შესაბამისად, მას სხვადასხვა სახის ენობრივი ფონდის გამოყენება უწევს. ინდივიდები საუბრობენ იმისათვის, რომ ინფორმაცია გაცვალონ ერთმანეთში, გაეცნონ და დაამყარონ კავშირი ერთმანეთთან და ა.შ. თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში ისინი შესაფერის ინტონაციურ საშუალებას არჩევენ, რომელიც კონკრეტულ, დასახულ მიზანს ემსახურება, რათა უფრო ეფექტური გახადოს კომუნიკაცია (კრისტალი 2009; www.studopedia. su).

ფონოსტილისტიკური თავისებურებანი შეიძლება განპირობებული იყოს სხვადასხვა ფაქტორით: კომუნიკაციაში მონაწილეთა სოციალური სტრატიფიკაციით, კომუნიკაციის პრაგმატული მიმართულებით, ფონურ ცოდნათა მოცულობით და სხვ. ტრუბეცკოის მიხედვით, ექსპრესიული ფუნქცია ახასიათებს მოლაპარაკეს, ფონოლოგიური აპელაციური საშუალებები ემსახურება ემოციურად შეფერილი მეტყველებისა და ნეიტრალური მეტყველების განსხვავებას.

მ. მაგნუსის მიხედვით, სიტყვებს, რომლებიც მსგავს ბგერებს შეიცავენ, თითქოს ერთმანეთთან რაღაც საერთო უნდა გააჩნდეთ. ასე მაგალითად, თუ ავიღებთ ისეთ სიტყვებს, რომლებსაც არც პრეფიქსი აქვთ და არც სუფიქსი და მათ მნიშვნელობათა მიხედვით დავაჯგუფებთ, ისინი შესაძლებელია გარკვეულ კატეგორიებში გაერთიანდნენ. მივიღებთ სიტყვათა ისეთ ჯგუფს, რომლებიც იწყება /b/ ბგერით: barriers, bulges and bursting და მეორე კრებულს, ასევე /b/ ბგერით დაწყებულს, სადაც თავმოყრილი იქნება განსხვავებული სემანტიკური მნიშვნელობის მქონე ერთეულები: being banged, beaten, battered, bruised, blistered and bashed (მაგნუსი 2010, 2013)

ცნობილი ფაქტია, რომ წარმოთქმაა ყველა სახის სიახლის სათავე. ე.წ. „შეძენილი წარმოთქმის“ სოციალური მარკერია, რომლითაც განასხვავებენ ტიპურ

ინგლისელს. ეს აქცენტი ასევე იხსენიება როგორც „დედოფლის ინგლისური“ ან „ბიბისის ინგლისური“. ინგლისის მოსახლეობის მხოლოდ 3-5% თუ მეტყველებს ამ აქცენტით. ზოგიერთი მკვლევარი-ფონეტიკოსის აზრით, ენის მატარებლებზე უფრო მეტად აღნიშნულ აქცენტს ინგლისურად მოლაპარაკე უცხოელთა უფრო მეტი რაოდენობა იყენებს. თანამედროვე ინგლისური ენის ბგერით სისტემაში მიმდინარე თუ უკვე დაფიქსირებული მნიშვნელოვანი ცვლილებები დღესდღეობით უცნაურობას აღარ წარმოადგენს. ასე მაგალითად:

- ყველა მოკლე ხმოვნის არტიკულაციის პირის ღრუს ცენტრთან მიახლოების ტენდენცია შეინიშნება;
- ხმოვნები [iː] და [uː] უფრო მეტად დიფტონგიზებულია და წინ წამოწეული;
- [eɪ] უფრო მოკლედ ჟღერს, თითქმის ისე, როგორც [e]: *said* [sed], *again* [ə'gen];
- დიფტონგი [ʊə] წარმოითქმის როგორც [ɔː]: *sure* [ʃɔː], *poor* [pɔː];
- [æ]-ს ხშირად ჩაენაცვლება [a]: *have* [hav], *and* [and];
- სწრაფ მეტყველებაში [h] იკარგება ნაცვალსახელებსა და დამხმარე ზმნაში: “have”: *her* [ɜː], *he* [iː], *had* [æd];
- პალატალიზებული ბოლოკიდურა [k] მკვეთრად წარმოითქმის: *weak* [wiːk’], *Dick* [dɪk’];
- ბგერა [t] ინტერვოკალურ პოზიციაში გამჟღერებულია: *better* ['bedə], *letter* ['ledə];
- ბგერა [l]-ს ე.წ. ‘მუქი’ [ł] ვარიანტის ნაცვლად მისი ‘ნათელი’ [l] სახეობა გამოიყენება *believe* [bɪ'łiːv];
- ბგერა [j] იკარგება [l, s, z, n] ბგერების შემდეგ: – *suit* [suːt], *illuminate* [ɪ'luːmɪneɪt], *exuberant* [ɪg'zuːb(ə)r(ə)nt], *neutral* ['nuːtr(ə)l]; (www.*studopedia. org).*

ცნობილი ფრანგი ფონოსტილისტი პ. ლეონი გვთავაზობს, რომ გამოვიყენოთ ტერმინი „ექსპრესიული ფუნქციები“ ფონოსტილისტიკურ ფუნქციათა ერთობლიობის აღსანიშნად, რომლებსაც ის ყოფს **მაიდენტიფიცირებლებად** და **იმპრესიულებად** (ლეონი 1971:6).

ურთიერთობის სოციალურ ხასიათს ყურადღებას აქცევდა რ. იაკობსონი: „ჩვეულებრივ, ადამიანები გაცილებით ვიწრო ენობრივ კომპეტენციას ავლენენ სამეტყველო შეტყობინებათა გამგზავნის ფუნქციით და უფრო ფართო კომპეტენციას – მათი (შეტყობინებათა) მიმღების ფუნქციით“ (იაკობსონი1985 313).

ფონოსტილისტიკის ჩამოყალიბების საქმეში არანაკლები წვლილი მიუძღვის ი. ფონაჟისაც, რომელიც მიისწრაფოდა, რომ ეს ახალი ლინგვისტური დარგი შეეფარდებინა ფ. დე სოსიურის მოძღვრებასთან: „რა ადგილს იჭერს ახლად წარმოშობილი მეცნიერება სოსიურის თეორიის ჩარჩოებში?“. მან ამ კითხვას ასე

უპასუხა: „მიმაჩნია, რომ ფონოსტილისტიკა სცდება სოსიურის თეორიის ჩარჩოებს შემდეგი მიზეზით – მას არ შეუძლია დაკმაყოფილდეს იმ საერთო ბგერით მოვლენათა რეგისტრაციით, რომლებიც, ცხადია, მიეკუთვნებიან ენას. ასეთ შემთხვევაში, ის შეასრულებდა დესკრიფციული ლინგვისტიკის კუთვნილ ამოცანას და ამით დაკარგავდა საკუთარ სტატუსს“ (ფონაჟი 1977: 15-16). ამით ი. ფონაჟიმ დასვა სადისკუსიო საკითხი – ფონოსტილისტიკური მოვლენები ენის კუთვნილებაა თუ მეტყველების? ამ მხრივ, უკიდურესი თვალსაზრისი გამოთქვა მ. რიფატერმა: „ყოველი მოლაპარაკე სუბიექტი (პედაგოგი, თეატრის მსახიობი, ორატორი, ქუჩის მოვაჭრე, მქადაგებელი) ფლობს საკუთარ სტილისტიკურ ნორმას, რომელიც გადახრაა საერთო-ენობრივი ნორმიდან (რიფატერი 1961:340).

პ. ლეონის აზრით, საფრანგეთში ფონოსტილისტიკის ჩამოყალიბებას დიდად შეუწყო ხელი ბგერითი სიმბოლიზმის შესწავლამ ისეთი ფონეტიკოსების მიერ, როგორებიცაა მ. გრამონი, ა. მორიე, ი. ფონაჟი, პ. დელატრი, ასევე ფსიქოლინგვისტების მიერ – მ. შასტენემი, ჟ. პეტერფალვი და სხვ. შ. ბალი წერდა, რომ სოსიურმა „შეგნებულად უარყო“ აღმნიშვნელის მოტივირებულობა, რომელიც დევს ბგერითი სიმბოლიზმის საფუძველში (ბალი 1944:129). ამ საკითხს მ. გრამონმა მიუძღვნა თავისი ნაშრომი “Traité de phonétique”, რომელსაც შ. ბალიმ უწოდა „ოსტატური კვლევა“ (ბალი 1944:131).

ხმოვანთა ფონოსტილისტიკურ ასპექტს მ. გრამონი განსაზღვრავდა შემდეგნაირად: „ხმოვნები ჰგავს სხვადასხვაგვარ ნოტებს, რომლებიც განსხვავებულად ზემოქმედებენ ჩვენს ყურზე. ერთნი **მაღალი** ნოტებია, მეორენი – **დაბალი**, მესამენი – **სუფთა**“ (გრამონი 1933:383). ბგერათა სიმბოლიზმი იწვევს გარკვეულ წარმოდგენებს: „მაღალი ტემბრის ხმოვნები [**i, y**] ბუნებრივად გადმოსცემენ მჟღერ ბგერებს, დაბალი ტემბრის ხმოვნები – მჭექარე ხმოვნებია“ (გრამონი 1933:385); მაგალითად*: siffler, pepier – cascader, hululer*. ბგერითი სიმბოლიზმი ახასიათებს თანხმოვნებსაც; მაგალითად: ზმნაში *tinter* ორი [**t**] ქმნის მკვეთრი და გამეორებადი ბგერის შთაბეჭდილებას, სონორები [**l**] და [**r**], რომელთაც ნარნარებსაც უწოდებენ, ქმნიან დენადობის შთაბეჭდილებას: *flotter.*

შ. ბალი წერდა, რომ „ზოგიერთი ბგერა და მათი შეერთებები შეიძლება იწვევდეს შთაბეჭდილებას, რომელიც უკავშირდება შესაბამისი სიტყვის მნიშვნელობას: ხშულ-მსკდომი **k** ტოვებს „მსხვრევის“ შთაბეჭდილებას (*casser* ‘მსხვრევა, ფხვნა’, *craquer* ‘ტკაცუნი, ხრაშუნი’...); **p** – „სკდომის, აფეთქების“ შთაბეჭდილებას (*peter* ‘სკდომა’, *petiller* ‘ტკაცუნი’) (ბალი 1944:130).

ბგერით სიმბოლიზმთან ერთად, ბალი გამოყოფდა მახვილისა და ინტონაციის მამოტივირებელ ხასიათს. დაჟინების მახვილი შეიძლება დაისვას ნებისმიერი ისეთი სიტყვის ან ისეთი სიტყვათა ჯგუფის პირველ თანხმოვანზე, რომელიც ემოციით წარმოითქმის: *Mais* ***ttais-toi*** *donc!* ბგერითი სიმბოლიზმისა და აღმნიშვნელის საშუალებით მოტივირების სხვა შემთხვევებს შ. ბალი სტილისტიკას მიაკუთვნე-

ბდა. ის აღნიშნავდა, რომ ფონოსტილისტიკური პრობლემა შენიშნა ნ. ტრუ-ბეცკოიმაც, მასზე ადრე კი – ფონაციის აფექტურ მხარეებს ყურადღება მიაქცია ი. ლაზიციუსმა.

ბგერითი სიმბოლიზმის პრობლემატიკის დამუშავებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ი. ფონაჟიმ. მისი აზრით, „ფონოსტილისტიკურ ვარიანტთა მნიშვნელობლობა განპირობებულია, უპირველეს ყოვლისა, სხვადასხვა სოციალურ გარემოში დისტრიბუციით“ (ფონაჟი 1979:27). ამით იგი იზიარებს შ. ბალის მოძღვრებას სტილისტიკურ მოვლენათა სოციალური შეფერილობის შესახებ. ი. ფონაჟიმ, ბგერითი სიმბოლიზმის მოვლენათა აღსანიშნად, გამოიყენა ტერმინი **ბგერითი მეტაფორა;** მაგალითად, ველარული ბგერები შესაძლებელია აღიქმებოდნენ ვულგარულებად უკანაენისმიერი არტიკულაციის გამო.

ამ მხრივ არანაკლებ საინტერესოა ჯ. მიჩელის მოსაზრებაც. მას მიაჩნია, რომ ბგერათა სიმბოლიკას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს პოეზიაში და კიდევ უფრო მეტი რიტორიკაში. მიჩელის მოსაზრებით, ისეთი ხერხების გამოყენება, როგორიცაა: *ეუფონია, ალიტერაცია, რითმა*, დამოკიდებულია მწერლის ან მოლაპარაკის თავდაჯერებულობაზე, აირჩიოს სიტყვის ჟღერადობის საუკეთესო ვარიანტი. მაგალითად, სიცოცხლე, ენერგია გამოსჭვივის იმ სიტყვებში, რომლებიც ლათინურ *vita*-ს (სიცოცხლე), *vis*-ს (ძალა) და *vigor*-ს (ენერგია) უკავშირდება; ინგლისურ ენაშიც გვხვდება: vim და vigour (ძალა, ნაკადი), vitality და velocity (სიცოცხლით სავსე, სისწრაფე), სადაც [v] ცოცხალის, ენერგიულის შინაარსს გადმოცემს, მაგრამ, როგორც სხვა ზოგიერთ ბგერას, [v]-საც აქვს მეორე საპირისპირო მნიშვნელობა. [w] და [f] ბგერებთან მიმართებით მას უფრო სუსტი ჟღერადობა აქვს ინგლისურ სიტყვებში: vain (ამაო), vacuous (ცარიელი, უშინაარსო), vapid (უშინაარსო), vague (ბუნდოვანი), vacillate (რხევა, ყოყმანი), vagrant (მაწანწალა), vertigo (თავბრუხვევა), veer (ცვლა, გადახვევა) და vary (შეცვლა). ანალოგიურია [gl] ბგერათმიმდევრობიანი სიტყვებიც, რომლებიც ბრწყინვას და ნათებას აღნიშნავენ: glisten (კაშკაში), glint (ციმციმი), glass (შუშა), glitz (მოჩვენებითი ბრწყინვალება), glow (წვა, ნათება), glitter (ბრჭყვიალი) და ა.შ. გერმანულში [kno] და [knö]-თი დაწყებული არსებითი სახელები მეტწილად მცირე ზომის მომრგვალებულ საგნებს აღნიშნავენ: *Knoblauch* (ნიორი), *Knöchel* (ანატ. კოჭი), *Knolle* (ბოლქვი), *Knopf* (ღილი), *Knorren* (კორძი), *Knospe* (კვირტი), *Knoten* (თოკის კვანძი) (მიჩელი 2006).

დღის წესრიგში დადგა საკითხი ფონოსტილისტიკის ერთეულის შესახებ. პ. ლეონმა, **ფონემისა** და **მონემის** მიმსგავსებით, შემოგვთავაზა ტერმინი **ფონოსტილემა** შედგენილი ფონეტიკური ნიშნების ერთობლიობის გამოსახატავად, ისეთების, როგორიცაა სამმაგი აქცენტუაცია (პაუზა, ინტენსივობა და ინტონაცია) (ლეონი 1971:10-11). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საქმე ეხება ფონოსტილისტიკურ რელევანტურ ნიშნებს. მაგალითის სახით, პ. ლეონს მოჰყავს [***a***] ბგერის

უკანა და წინა რიგის ხმოვნად წარმოთქმის ვარიანტები ფრაზაში *"Bonsoir, Madame"*. იდენტიფიკაციის ფუნქციის თვალსაზრისით, [***a***]-ს წარმოთქმის ვარიანტებმა შეიძლება დაადასტურონ ან სოფლის მცხოვრების წარმოთქმა, ან ემფატიკური სტილით წარმოთქმა.

სემიოლოგიური თვალსაზრისით, ფონოსტილემები წარმოადგენენ მოტივირებულ ნიშნებს; იმავდროულად, ზოგიერთი ფონოსტილემა, ისეთი, როგორიცაა ინტონაცია, ხასიათდება ორმაგი სემიოლოგიური ბუნებით – ნებაყოფლობითიცაა და მოტივირებულიც. ამას მოწმობს ინტონაციურ მოდელთა და მათ ფონოსტილისტიკურ ვარიანტთა რეპერტუარი. პ. ლეონმა გამოიკვლია ისეთ ემოციათა გამოთქმის ინტონაციური ვარიანტები, როგორებიცაა, შიში, ბრაზი, გაოცება, ირონია, ეჭვი და სხვ. იგი მიიჩნევდა, რომ „ენის ექსპრესიული ფუნქციები წარმოადგენენ კოდურ სისტემას ნიშანთა სასრული რაოდენობით, რომელთა დეკოდირების წესები, თავიანთი რაოდენობით, არცთუ ბევრად უსწრებენ რეფერენციალურ ფუნქციათა წესებს" (ლეონი 1971:12).

ფონოსტილისტიკურ კვლევათა შორის მნიშვნელოვნად ითვლება „ფრანგული ენის ლექსიკონი მისი რეალური წარმოთქმით", რომელიც შედგენილია ა. მარტინესა და ა. ვალტერის მიერ და გამოქვეყნებულია 1973 წელს. სალექსიკონო სტატიებში წარმოდგენილია წარმოთქმის ვარიაციულობა, რომელიც განპირობებულია ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორებით. 1983 წელს კი ა. ვალტერმა პირველად გამოაქვეყნა ჟურნალში *"Langue française"*, ფონოსტილისტიკის დარგში შესრულებულ ნაშრომთა ბიბლიოგრაფია.

ფონოსტილისტიკის საწყისთა შესწავლამ მოგვცა საშუალება, რომ წარმოვადგინოთ მისი პრობლემატიკის ფორმირება, რომელიც ამჟამად კვლევათა შემდეგი მიმართულებებითაა დაკავებული: 1. ზეპირი კომუნიკაციის სხვადასხვა ჟანრთა და სახეობათა ფონეტიკური თავისებურებანი (ორატორული მეტყველება, ინტერვიუ, ლექცია, სპონტანური საუბარი, ლექსების დეკლამირება და სხვ.); 2. სოციოლექტები და იდიოსტილები; 3. ემოციათა ასახვა მეტყველებაში; 4. მხატვრულ-ლიტერატურულ ტექსტთა წაკითხვის ფონოსტილისტიკური თავისებურებანი; 5. ბგერითი სიმბოლიზმი.

ფონოსტილისტიკური მოვლენები ხასიათდება დინამიკურობით; ამის მაგალითია ბოლოკიდური ჩურჩულა [***e***]-ს წარმოთქმა. პ. ლეონმა გამოავლინა ეს მოვლენა აღტაცების ფონოსტილისტიკური ნიშნის სახით შარლ დე გოლის საჯარო გამოსვლებში (ლეონი 2009:161). 10 წლის შემდეგ ეს მოვლენა მოდურ ტენდენციად იქცა ახალგაზრდულ მეტყველებაში; მოგვიანებით კი უფრო ფართო გავრცელება პოვა. მთლიანობაში, ფონოსტილისტიკის საგანი შეიძლება განისაზღვროს როგორც ენის იმ ექსპრესიულ ფუნქციათა შესწავლა კომუნიკაციის პროცესში, რომლებიც განპირობებული არიან სოციოლინგვისტური, სიტუაციური და პრაგმატიკული ფაქტორებით. ფრანგ ფონოსტილისტთა შრომებში მნიშვნელოვანი

ადგილი უჭირავს ინტონაციის ფონოსტილისტიკურ როლს ფონოსტილისტიკური ვარიანტების შექმნაში. პ. ლეონის ძირითადი ნაშრომი „ფონოსტილისტიკის კურსი“ (1993 წ.) შეიცავს შემდეგ თემებს: ფონოსტილისტიკური მოდელები, წერითი ტექსტის ზეპირი რეპროდუქცია, ბგერითი სემიოტიკა, ემოციათა ვერბალიზაცია, კომუნიკაციური სიტუაციურობა, სოციალური და რეგიონალური ვარიაციულობა, პოეტიკური ენა. ამჟამად, ფონოსტილისტიკის ამოცანაა ფონოსტილისტიკურ სტრუქტურულ ერთეულთა გამოყოფა, მათი სისტემური და ვარიაციული თვისებების დადგენა, დაგროვილ ემპირიულ მონაცემთა კლასიფიკაცია და კატეგორიზაცია.

ლიტერატურა:

ბალი 1909: Ch. Ball, *Traité de stylistique francaise*, Heidelberg.

ბალი 1926 : Ch. Ball, *Le langage et la vie,* Paris.

ბალი 1944: Ch. Ball, *Linguistique générale et linguistique française,* Berne.

გრამონი 1933: M. Grammont, *Traité de phonétique,* Paris.

იაკობსონი 1985: Р. Якобсон, *Избранные работы*, Москва.

კრისტალი 2009: D. Crystal, The Ugliest Words, *The Guardian*, July 18.

ლეონი 1971: P. Léon, *Essais de phonostylistique,* Paris.

ლეონი 1993: P. Léon, *Precis de phonostylistique,* Paris.

ლეონი 2009: P. Léon, Nouveau regard sur la phonostylistique, *La linguistique,* № 1.

მაგნუსი 2010: *M. Magnus, Gods in the Word: Archetypes in the Consonants, Create Space* Independent Publishing Platform.

მაგნუსი 2013: M. Magnus, A History of Sound Symbolism, In: *The Oxford Handbook of the History of Linguistics*, edited by Keith Allan, 191-208, Oxford University Press, Oxford.

მარტინე 1973: A. Martinet, H. Walter*, Dictionnaire de la prononciation française dans son usage réel,* Paris.

მიჩელი 2006: *J. Michell, Euphonics: A Poet's Dictionary of Enchantments, Wooden Books.*

რიფატერი 1961: M. Riffaterre, Vers la définition linguistique du style, *Word,* № 3.

ტრუბეცკოი 1960: Н. С. Трубецкой, *Основы фонологии,* издательство иностранной литературы, Москва.

ფონაჟი 1964: I. Fonagy, L'information du style verbal, *Linguistics*, N4.

ფონაჟი 1977: I. Fonagy, Le statut de la phonostylistique, *Linguistics,* N34.

ფონაჟი 1979: I. Fonagy, La méthaphore en phonetique, Ottava.

ინტერნეტ საიტები:

www.studopedia.su/2_72773_Problems-of-Phonostylistics.html
www.studopedia.org/5-67371.html

Tsiuri Akhvlediani, Giorgi Kuparadze

Basics of Formation of Phonostylistics in France and the UK

Summary

The present paper deals with the basics of formation of phonostylistics as a new branch of linguistic studies in France and the United Kingdom. The study of the basics of phonostylistic analysis has provided us with the possibility of forming the problems that develop in the following directions: 1. Phonetic peculiarities of various genres and species of oral communication (speech, interview, lecture, spontaneous conversation, poetry declaration, etc.); 2. Sociolects and Idio-styles; 3. Reflection of emotions in speech; 4. Phonostylistic peculiarities of reading of literary texts; 5. Sound Symbolism. The stimulus of emergence of this new field in linguistics next to the communicative function of the language, was the formation of a new function, namely, the affective function.

In the article a special attention is paid to the stimulating role of the works by Ch. Bally, M. Magnus, J. Michell, D. Crystal, N. Trubetskoy, K. Biuler and other researchers dedicated to the development of French and English Phonostylistics, which was greatly supported by the study of sound symbolism. Identification of the sources of French and English Phonostylistics enables us to see their problematics too. The object of study of phonostylistics are the pronunciation-expressive functions of the language in the process of communication, determined by sociological, situational and pragmatic factors. Phonostylistic peculiarities can be conditioned by various factors: social stratification of participants in communication, pragmatic direction of communication, background knowledge, etc. According to Trubetskoi, the expressive function of the language characterizes the speaker; the phonological means serve the distinction between emotionally marked and neutral speeches.

A question about a phonostylistic unit has arisen. On the basis of approximate similarity of **a phoneme** and **a morpheme,** P. Leon offered the term "phonostilema" to express the combination of phonetic signs, such as triple accents (pauses, intensity and intonation).

According to the semiological viewpoint, phonostilemas represent motivated signs; at the same time, some of them, such as intonation, may be characterized by dual semiological nature – **voluntary** and **motivated**. This can vividly be observed in the repertoire of the intonation models and their phonostylistic variations.

As a whole, the subject of phonostylistics can be defined as the study of the expressive functions of the language in the process of communication, which is conditioned by sociolinguistic, situational and pragmatic factors. The phonostylistic role of intonation in the creation of phonostylistic variations is of great importance in the works of French and English phonostylists.

At present, the goal of phonostylistics is to allocate phonological structural units, to determine their systemic and variational properties, classification and categorization of empirical data.

რუსუდან გერსამია

მწკრივის ფორმათა გრამატიკალიზაციისათვის მეგრულსა და ლაზურში[1]

შესავალი

ტერმინით გრამატიკალიზაცია[2] აღინიშნება ენაში მიმდინარე დინამიკური და თანმიმდევრული ისტორიული პროცესი, რომლის დროსაც ლექსიკური ელემენტები გარდაიქმნებიან რა გრამატიკულ, მორფოსინტაქსურ, ფორმებად, იძენენ ახალ სტატუსს, იმგვარ ფუნქციებს, რომლებიც თავიდანვე არ ჰქონიათ, ან სხვაგვარად იყო მათში კოდირებული (ლემანი 1982, ტრაუგოტი, კონიგი 1991). მაშასადამე, გრამატიკალიზაცია არის ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების პერსპექტივიდან განსახილველი პრობლემა, რომლის დანიშნულებაა, აღწეროს პროცესი, რომელიც უკავშირდება ენობრივი ფორმების ისტორიულად ჩამოყალიბებას, ცვლილებებს სიტყვის ლექსიკური სტატუსიდან გრამატიკულ ფუნქციამდე; შესაბამისად, რომელიმე ენობრივი ერთეულის გრამატიკალიზაცია მოიცავს გზას ამ ერთეულის დესემანტიზაციიდან მის გრამატიკულ კატეგორიზაციამდე. გრამატიკალიზაციის ყველა განმარტება ცალსახად მიუთითებს, რომ 1) ეს არის სემანტიკური ცვლილების განსაკუთრებული ტიპი და 2) ყოველთვის სრულდება კატეგორიის შეცვლით. გრამატიკალიზებული ენობრივი ერთეული კარგავს თავის რეფერენციულ შინაარსს და იძენს ფუნქციონალურ (გრამატიკულ, პრაგმატიკულ) მნიშვნელობას. კატეგორიათა ცვლილება მიმდინარეობს თანდათან, საფეხურებრივად და ერთი მიმართულებით: მისი სამიზნეა ფუნქციური კატეგორია, ამიტომაც ის აუცილებლობით არ გულისხმობს სემანტიკურ რეანალიზს[3] (ჰასპელმათი 1998, ჰასპელმათი 1999, დენისონი 2010), რომელიც თავის არსით მეორეული გრამატიკალიზაციის საკითხებს უკავშირდება.

გრამატიკალიზაცია მოიცავს ოთხ თანმიმდევრულ საფეხურს:

I. დესემანტიზაცია (ანუ სემანტიკური გაბუნდოვანება, გაფერმკრთალება (bleaching), სემანტიკური რედუქცია);

---

[1] პუბლიკაცია იბეჭდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (სამეცნიერო პროექტი „მოძრაობის სემანტიკური კომპონენტები მეგრულსა და ლაზურში“, №217344).

[2] აღნიშნული ტერმინი პირველად გამოიყენა ანტუან მეიემ 1912 წელს მას აინტერესებდა, თუ როგორ იცვლებოდა დიაქრონიულად ენობრივი სისტემები და ყალიბდებოდა გრამატიკული კატეგორიები; თუმცა პრობლემაზე მსჯელობა გაცილებით ადრე იწყება, დაახლოებით მე-18 საუკუნის ენის ფილოსოფიის წიაღში (ლემანი 1982).

[3] განსახვავებული პროცესია დეკატეგორიზაცია, გრამატიკული ფუნქციის შესუსტება ან გაქრობა, რომელსაც მივყავართ გრამატიკული ელემენტის სემანტიზაციამდე.

II. ექსტენსია (ანუ კონტექსტის განზოგადება, გაფართოება): სხვა კონტექსტში გამოყენება;

III. დეკატეგორიზაცია – ამოსავალი ფორმის მორფოსინტაქსური ხასიათის ცვლა დამოუკიდებელი სიტყვის სტატუსის შეცვლით.

IV. ეროზია („ფონეტიკური რედუქცია“/ ცვეთა) – თავდაპირველი ფონეტიკური შედგენილობის დაკარგვა (ჰაინე 2008:578-579).

გრამატიკალიზებული ენობრივი ელემენტი, როგორც გრამატიკალიზაციის შედეგი, ენის განვითარების კონკრეტულ ეტაპზე ფუნქციონირებს და ამდენად, მდგრადი ენობრივი (=გრამატიკულ) მონაცემია.

1. გრამატიკალიზაციის საკითხები მეგრულსა და ლაზურში

ქართველურ ენათა ჯგუფში მეგრული და ლაზური უმწერლობო, შესაბამისად, სტანდარტიზებისგან თავისუფალი ენებია, რაც იმას ნიშნავს, რომ ენობრივი სისტემების განვითარება ისტორიულად მისი განვითარების მანძილზე მეტ-ნაკლებად შეუფერხებლად, ხელოვნური ჩარევების გარეშე მიმდინარეობდა. მეგრული და ლაზური ტექსტები, რომელთა ფიქსირებიდან საუკუნეზე ოდნავ მეტია გასული,[4] ნაკლებად იძლევა გრამატიკალიზაციის პროცესზე დაკვირვების საშუალებას, ამიტომ საკითხის კვლევა მეთოდოლოგიურად გამართლებული ჩანს მეგრულისა და ლაზურის სინქრონიული ვითარების გათვალისწინებით, დესკრიფციულ მონაცემთა ანალიზით, ასევე ტიპოლოგიურად მონათესავე ენათა, ამ შემთხვევაში სამწერლობო ქართულის, მონაცემებთან შედარებით.

გრამატიკალიზაცია საკმაოდ ფართო ცნებაა და მისი ანალიზი მოიცავს საგანთა სხვადასხვა კლასში მიმდინარე პროცესებს მათი ლექსიკური მნიშვნელობიდან გრამატიკულ მნიშვნელობამდე. ქვემოთ განვიხილავთ ზმნური პარადიგმების ფარგლებში დერივაციული (წარმოქმნილი, რთული წარმოების) მწკრივთა გრამატიკალიზაციის პრობლემას, რომელიც პირდაპირ უკავშირდება მათი, როგორც პარადიგმის სრულფასოვანი წევრის, ლეგიტიმურობის საკითხს.

მეგრულსა და ლაზურში პრეფიქსულ და სუფიქსურ მორფემათა მიმდევრობაში ელემენტთა რაოდენობა განსხვავებულია:

შდრ. მეგრული და ლაზური ზმნის პრეფიქსული მორფემები:

მეგრ.: [NEG][5]=PPTC/PRF=PRV–EVD1/PRS–S1/O1/O2–FV[:SMP/POT1/CAUS1/PASS/SV/OV/ NV]–R

ლაზ.: PPTC/ PRF=PRV- S1/O1/O2- FV[: SMP/ POT1/ CAUS1/ PASS/ SV/ OV/ NV]- R

შდრ. მეგრული და ლაზური ზმნის სუფიქსური მორფემები:

მეგრ.: R-AUG-CAUS1/PASS1-TH/EVD1/POT1-IMPF-PM-S1/2./S3.SG/S3.PL/EV-COND/AUX[=MOD]

ლაზ.: R--CAUS1/PASS-TH/POT1-IMPF-PM-S/O.PL/-COND/AUX[=MOD]

---

[4] ვგულისხმობთ ალ. ცაგარლის მეგრულ ტექსტებს (ცაგარელი 1880).

[5] მტკიცებითი ნაწილაკის წინა პოზიციაში მდგარი უარყოფის გამომხატველი ნაწილაკი ფუნქციურ ელემენტად არ განიხილება (გუდავა, გამყრელიძე 2000:190; ლომია, გერსამია 2012:22-23).

რანგობრივი სისტემის ანალიზი სვამს კითხვას თითოეული ელემენტის გრამატიკული (ფუნქციური) ღირებულების შესახებ, ვინაიდან ჯაჭვი, რომლითაც შეიძლება იყოს მეგრული ან ლაზური ზმნური მოდელი წარმოდგენილი, არ მოიცავს ოდენ გრამატიკული კატეგორიის (ტრადიციული გაგებით) მარკერებს, არამედ მორფოსინტაქსური, მოდალური და ობლიგატორული ელემენტების ჯაჭვია (ეს უკანასკნელი არეგულირებს ფონოტაქტიკაში არაკანონიკურ ფონემატურ მიმდევრობებს:

1. მოდალური ელემენტები: პრეფიქსულად – უარყოფისა და მტკიცების ნაწილაკები; სუფიქსურად – სხვათა სიტყვის ნაწილაკები. ისინი წარმოადგენენ კლიტიკებს (ენკლიტიკებს ან პროკლიტიკებს);

2. უღლების პარადიგმაში ჩართული დამხმარე ზმნები: კავშირებითების, მყოფადებისა და პირობითების მაწარმოებლები.

გრამატიკალიზაციის საკითხებიც სწორედ ამ ორი ტიპის ელემენტს და მათი ფუნქციონირების საკითხებს უკავშირდება; იმ შემთხვევებს, როცა ხდება ელემენტთა დესემანტიზაცია, ლექსიკური ან მოდალური მნიშვნელობის გაბუნდოვანება ან დაკარგვა და მისი გარდაქმნა ფუნქციური დანიშნულების მქონე ოდენობად.

1.1. მწკრივის ფორმათა გრამატიკალიზაცია. მეგრულისა და ლაზურის ზმნური პარადიგმის ისტორიულად ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი ჩანს გრამატიკალიზაციის როლი; მასში იკვეთება არ მხოლოდ მსგავსი და განსხვავებული პროცესები ორი ენობრივი სისტემის, მეგრულისა და ლაზურის, ფარგლებში, არამედ სხვაობები ერთი ენობრივი სისტემის შიგნით; მაგალითად, ლაზურის ზმნურ პარადიგმაში ზოგი მწკრივის წარმოება დიალექტთა მიხედვით განსხვავებულია (საუბარია რთული წარმოების მწკრივის ფორმებზე), რაც ისტორიულად განსხვავებულად მიმდინარე გრამატიკალიზაციის პროცესების ამსახველია. საანალიზო ენებში აღნიშნული მსჯელობა ეხება კავშირებითების, პირობითების, თურმეობითებისა და მყოფადების მწკრივთა მოდელებს, რომლებიც იწარმოება იმგვარი სუფიქსებით, რომლებიც ამოსავალში გულისხმობდა სრული მნიშვნელობის მქონე ზმნურ, ძირითად ან მეშველ, ფორმას და ისტორიულად გრამატიკალიზაციის პროცესის შედეგად ჩამოყალიბდა მორფოლოგიური ღირებულების ელემენტად:

ა) *უნდა* (ნდომა. MSD) ზმნის აღმნიშვნელი მეგრ. *-კო* (<ოკო), ლაზ. *ნონ* სუფიქსების გამოყენება მეგრულსა და ლაზურში პირობითებისა[6] და მყოფადების მწკრივთა საწარმოებლად;

ბ) მეგრულის -***კო***-იან ფორმებზე *ყოფნა* ზმნის აღმნიშვნელი *იცი /იცუაფუ* დამხმარე ზმნების დართვით ახალი მწკრივების წარმოება;

---

[6] ტერმინი ეკუთვნის ი. ყიფშიძეს და *-კო* ნაწილაკით ნაწარმოებ ყველა ფორმას ეწოდება *პირობითი* (ყიფშიძე 1914:067), თუმცა ამ მოდალობის გამომხატველი ყოველთვის არ არის (დადიანი 1998, ქობალავა 2001).

გ) მეგრულსა და ლაზურში თურმეობითების წარმოება **-ერე>-ელე** (> ერე > ეე > ე) სუფიქსებით, რომელთა ამოსავალში ივარაუდება რე < ორე / რენ < დორენ „არის“ ზმნა (resp. მეშველი ზმნა).[7]

1.1.1. პირობითის პარადიგმები. პირობითები მოდალურად არშემდგარ მოქმედებას და მოლაპარაკის მიერ ამ მოქმედების შეფასებას გამოხატავს (ქობალავა 2001:118); ამგვარი ფორმები უმეტესად გვხვდება ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში; მთავართან მიმართება კავშირიანია ან უკავშირო; ყველაზე ხშირია *-ნი* „რომ“ კავშირიანი შეერთება, რომელიც ზანური ჯგუფის ენებში ენკლიტიკას წარმოადგენს და ზმნური მოდელის ფარგლებში განიხილება:

მეგრულის პარადიგმა	**ლაზურის პარადიგმა**
[+კო-ნი] – პირობითები	**[+კო-(ნ)] – პირობითები**
აწმყოს პირობითი:[8] *ჭარუნდუ-კო-(ნი)*	პირობითი II: *ჭარუ-კო-ნ*
მყოფადის პირობითი: *დოჭარუნდუ-კო-(ნი)*	ნაორისტალი თურმეობითის პირობითი: *ჭარელერეტუ-კო-ნ*
II პირობითი: *დოჭარუ-კო-(ნი)*	მყოფადის ნამყოს პირობითი: *ჭარატუ-კო-ნ*
III პირობითი: *დოუჭარუდუ-კო-(ნი)*[9]	ინვერსიული პირობ. III: *ი/უჭარუტუ-კო-ნ*
IV პირობითი: *ნოჭარუედუ-კო-(ნი)*	

-კო მორფოლოგიზებული სუფიქსის ამოსავალში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგულისხმება *ოკო* ნაწილაკი, რომელიც ქართული *უნდა*-ს ლექსიკური ფარდია. ქართულისათვის დადგენილია, რომ ***უნდა*** ზმნური ფორმის ტრანსფორმირება (ანუ მისი დეკატეგორიზაცია) ნაწილაკად განაპირობა პრაგმატულმა ფაქტორმა, კერძოდ, ჰიპოტაქსური კონსტრუქციის მთავარ წინადადებაში მისი გამოყენებისა და დამოკიდებული წინადადების ზმნასთან მიმართების სიხშირემ; ნაწილაკად ქცეულ ელემენტს კი მოდალობის გამოხატვა დაეკისრა (პაპიძე 1981:30; კოტინოვი 1986:86).

ოკო, მინონ, უნდა ნაწილაკების დისტრიბუცია განსხვავებულია ქართულსა და ზანური ჯგუფის ენებში. იგი, ძირითადად, ერთვოდა კავშირებითის ფორმებს და გაიაზრებოდა კავშირებითობის მაწარმოებლად, გამოხატავდა მომავალ დროს,[10]

---

[7] საკითხი სხვადასხვა დროს იყო მეცნიერთა ინტერესის ობიექტი; სუფიქსური მორფემის სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზისა და ეტიმოლოგიის შესახებ განსხვავებული თვალსაზრისებია წარმოდგენილი ი. ყიფშიძის, ა. ჩიქობავას, ქ. ლომთათიძის, ნ. ნათაძის, ლ. მარგველაშვილის, ი. ასათიანის, გ. როგავას, გ. კარტოზიას, ე. დადიანის და სხვათა შრომებში.

[8] აწმყოში შემავალ პირობითებს I პირობითსაც უწოდებენ (იხ. დადიანი 1998:126).

[9] III და IV პირობითი უფრო რთული წარმოებისაა და ამოსავალში გულისხმობს როგორც *ორე* „არის“ მეშველი ზმნის დართვას, რომლის ნაშთის სახით დარჩენილ, ფონეტიკურად რედუცირებულ რეპრეზენტატივად ზმნაში წარმოდგენილია *-ე* სუფიქსი: *ნო-ჭარ-უ-ე-დ-უ-კო=ნი< *ნო-ჭარ-უ-ორე-დ-უ=ოკო=ნი.*

[10] კილოს გაგება ჩაისახა მომავალი დროის წიაღში, მის გაჩენასთან ერთად (მელიქიშვილი 1980:71).

იშვიათად – ახლანდელს, თუმცა უნახავი მოქმედების კავშირებითი კილოს გადმოსაცემად ქართულმა გამოიყენა წარსულდროიანი ფორმა – მეორე თურმეობითი, ხოლო მეგრულში იგივე ფუნქცია გადანაწილდა რამდენიმე მწკრივზე, რომლებიც გამოიხატებოდა თხრობითი კილოს წარსულდროიანი ფორმებით; მეგრული ფორმები ქართულისაგან განსხვავდა ფორმობრივადაც, ვინაიდან რედუცირებული *-კო* (<ოკო) ელემენტის დართვით ჩამოყალიბდა ახალი მწკრივის ფორმა და მისი საშუალებით გამოიხატა სასურველი მოდალური შინაარსი (დადიანი 1998:133); დღეს იგი უკვე გაიაზრება არა ნაწილაკად, არამედ სუფიქსად, რომელიც ზოგადად, კავშირებითი კილოს სემანტიკას აღნიშნავს წინადადებაში (ქობალავა 2001:118).

1.1.2. მყოფადის პარადიგმები. მეგრულსა და ლაზურში უღლების პარადიგმაში ცალკე გამოიყოფა აღწერითად, მაგრამ განსხვავებული ენობრივი საშუალებებით, ნაწარმოები მწკრივები – მყოფადები; მეგრული ზმნის მოდელია: [ზმნის ძირითადი ფორმა (PRF/FUT)*-კო-ნი*+AUX(PRF/FUT)], ანუ მეგრულში მყოფადი *ყოფნა* ზმნის წარსული და მომავალდროიანი ფორმით იწარმოება. აღნიშნული ფორმების შესახებ წარმოქმნილი აზრთა სხვადასხვაობა, განიხილებოდეს თუ არა ისინი მწკრივის ფორმებად,[11] პირდაპირ უკავშირდება მათი გრამატიკალიზაციის საკითხს, რამდენადაა ახალი ერთეული გრამატიკულად ღირებული ფორმა, რომელსაც უკვე აქვს კატეგორიზებული სახე (ფორმა + მნიშვნელობა, რომელიც ოპოზიციურია პარადიგმის სხვა წევრებთან მიმართებით), მწკრივის დერივაციულ კატეგორიაში ჩართვის უნარი.

მეგრული იცი/იცუაფუ ქართული *იქნება*-ს ფარდია და იმავე დანიშნულებით გამოიყენება, როგორც ქართულში: როგორც დამოუკიდებელი ზმნური ერთეული და როგორც მოდალური ელემენტი (ჯორბენაძე 1993:269).

მეგრულის პარადიგმა [+კო+ნი+AUX(PRF); V+AUX(FUT)]	**ლაზურის პარადიგმა [V(PRS)+AUX(PRS)] – მყოფადები**
მყოფ. უსრ. *ჭარუნდას იცი/იცუაფუ*	მყოფადი I: *ჭარას-უნონ/ჭარას-ენ*
პირ.უსრ. *ჭარუნდუ-კო-ნი იციდუ/იცუაფუდუ*	მყოფადი II-ის ნამყო: *ჭარას-უნტუ/ჭარატუ/ჭარას-ერ-ტუ*
პირ. სრ.[12] *დოჭარუნდას იცი/იცუაფუ*	
მყოფ. სრ.: *დოჭარუნდუ-კო-ნი იცუაფუდუ*	

ლაზურში მყოფადის წარმოება ამ ენაში დიალექტობრივი დაპირისპირების ერთ-ერთი მორფოლოგიური საფუძველია (კარტოზია 2005:5), კერძოდ, თუ ხოფურ-ჩხალური მას *უნონ* „უნდა“ და *უნტუ* „უნდოდა“ მეშველი ზმნით აწარმოებს, დასავლურ დიალექტებში, ვიწურ-არქაბულსა და ათინურ-ართაშენულში, *-ერე*

---

[11] საკითხზე განსხვავებული თვალსაზრისებია გამოთქმული ლ. მარგველაშვილის, ზ. ჭუმბურიძის, ბ. ჯორბენაძის, ე. დადიანის შრომებში.

[12] ბოლო ორი მწკრივი მეგრულის ტრადიციულ გრამატიკებში არ არის გათვალისწინებული; საკითხის შესახებ ვრცელი მსჯელობა იხ. გერსამია 2013:95-101.

(ნ)‖-ორე(ნ) (>რე(ნ)>ე(ნ)) „არის“ და *რტუ‖ტუ* „იყო“ მეშველი ზმნები გამოიყენება (კარტოზია 2005:112), რითაც ის განსხვავდება მეგრულის მყოფადის წარმოებისაგან;

მყოფადის *უნონ-იანი* წარმოება ხოფურსა და ჩხალურს შორისაც გარკვეულ პარადიგმატულ სხვაობას გვიჩვენებს, ამიტომ გამოყოფენ ჩხალურ და არაჩხალურ ფორმებს:

ჩხალური	არაჩხალური	ხოფური (ნარევი პარადიგმა)
ვორტა-უნონ	*ვორტა-მინონ*	> იგივე
„ვიყო უნდა“	„ვიქნები, უნდა ვიყო“	
(რ)ტა-უნონ	*(რ)ტა-ვინონ*	> იგივე
„იყო უნდა“	„იქნები, უნდა იყო“	
(რ)ტას-უნონ	*(რ)ტას-უ/ინონ*	> იგივე
„იყოს უნდა“	„იქნება, უნდა იყოს“	
ვორტათ-უნონ	*ვორტა-მინონან*	*ვორტათ-მინონან*
„ვიყოთ უნდა“	„ვიქნები, უნდა ვიყო“	„ვიქნები, უნდა ვიყო“
(რ)ტათ-უნონ	*(რ)ტა-ვინონან*	*(რ)ტათ-ვინონან*
„იყოთ უნდა“	„იქნები, უნდა იყო“	„იქნები, უნდა იყო“
(რ)ტან-უნონ	*(რ)ტას-უ/ინონან*	*(რ)ტას-უნონან*
„იყვნენ უნდა“	„იქნება, უნდა იყოს“	„იქნებიან, უნდა იყოს“

სამი პარადიგმა ერთმანეთისაგან განსხვავდება *უნონ* „უნდა“ მეშველი ზმნის ძირითად ზმნურ ფორმასთან შერწყმის და ერთიან ფორმად ჩამოყალიბების თვალსაზრისით (კარტოზია 2005:113):

ა) პირველ შემთხვევაში იუღვლის მხოლოდ ძირითადი ზმნა;

ბ) მეორე შემთხვევაში კი ორივე – ძირითადი ზმნა მეშველთან ერთად პირის მიხედვით, რიცხვში კი უცვლელია;

გ) მესამეში – პირისა და რიცხვის მიხედვით იცვლება ძირითადი და მეშველი ზმნა.

ლაზურში[13] ქართულისაგან და მეგრულისაგან განსხვავებული საყურადღებო გარემოებაა, რომ „ფორმაცვალებადი *უნონ*, მონაცემი, რომელსაც თავისი პარა-

[13] ლაზური ფორმა ზუსტი ფონეტიკურ-ფონოლოგიური შესატყვისია ქართ. *უნდა* და სვანური *ხონი* „სურს“ ფორმებისა. ქართველურ ენათა მასალა გ. კლიმოვმა შეაპირისპირა და საერთო-ქართველური ფუძე ენის დონეზე *-ნ* არქეტიპი აღადგინა (იხ. სარჯველაძე, ფენრიხი 1990:234), თუმცა „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონის“ ახალ რედაქციიდან (ფენრიხი, სარჯველაძე 2000) ის უკვე ამოღებულია;

საგულისხმოა, რომ სვანურში *უნდას* სემანტიკას გადმოსცემს ორი განსხვავებული ფორმა: *ხ-ა-კ-უ* (S3-FV-R- S3.SG) და || *ხ-ე-კვ-ე-ს* (S3-FV-R-IMP-S3.SG), რომელთა შორის სხვაობა მთლად გამჭვირვალე არ ჩანს (ბოედერი 2015); იგი ფონეტიკურ-ფონოლოგიურ შესატყვისობას ავლენს მეგრულ-ლაზურ *ოკო*-სთან, სვანური და ზანური ენების არქეტიპად აღდგენილია **კო* (ფენრიხი 2007), რომლის მასდარულ ფორმად მიჩნეულია მეგრ. *კორ-ინი,* ზმნური ფორმა *ვ-ოკო[რ]-ქ* „ვუნდივარ“ (ქაჯაია, ფენრიხი 2001).

დიგმატული მაჩვენებლებით ზმნის კვალიფიკაცია უნდა მიენიჭოს, ფუნქციურად შეიძლება ნაწილაკის რანგში გამოდიოდეს. ამ შემთხვევაში გვაქვს ზმნის ფორმა, რომელიც ფუნქციონალურად მოდალური ნაწილაკია (ეს ეხება აღნიშნული ზმნის სხვა დროის ფორმებსაც)... ეს არის მთელი სისტემა და წესი წარმოებისა" (ქირია და სხვ. 2015:529).

უნდა-თი ნაწარმოები სამიტიპის კონსტრუქცია და პარადიგმატული მოდელი გვაქვს ქართულში, მეგრულსა და ლაზურში; ამასთან გრამატიკალიზაციის თვალსაზრისით (უკვე დასრულებული პროცესითა და ელემენტის მორფემიზებით) ერთმანეთს შეიძლება შევუდაროთ მეგრულის რედუცირებული *-კო* მორფემა და ლაზური *-მინონ,* რომელიც იცვლება პირისა და რიცხვის მიხედვით, არარედუცირებული სახითქმნისზმნის ენკლიტიკას; „ამ შემთხვევაში სწორედ ის გარდამავალი საფეხური გვაქვს, როდესაც ზმნის მოდალურ ელემენტად რეინტერპრეტირება ხდება. ფორმა ძველი შემორჩა, ფუნქცია ახალია" (ქირია 2015:534). შდრ.:

1. ნომინატიური კონსტრუქცია: [N(NOM)+V] – სახელური: *ქობალი მოკო, გჲა[რ]ი მინონ, პური მინდა;* [MSD(NOM) +V] – მასდარული: *რინა მოკო, ყოფნა მინდა, ონჯი(რ)უ მინონ* „დაძინება მინდა";
2. [V+V] – ბივერბალური კონსტრუქცია:[14] *მოკო ვორდე(ნი), მინდა ვიყო, ვორტა-მინონ;*
3. [PTC+V] – ნაწილაკიანი კონსტრუქცია: *ოკო ვორდე, უნდა ვიყო, ვორტა-უნონ.*[15]

პირველი პარადიგმა ქართულსა და ზანური ჯგუფის ენებში *უნდა* მოდალური ნაწილაკია, რომელიც აუცილებლობის სემანტიკის შემცველია; ხოლო მეორე შემთხვევაში ზმნაა, რომელიც *რომ*-კავშირიან ჰიპოტაქსურ კონსტრუქციას უნდა გულისხმობდეს, ყოველ შემთხვევაში, ამოსავალში მაინც;[16] ქართულის ბივერბალურ კონსტრუქციაში კავშირი რედუცირებულია, მეგრულში კი მეტ-ნაკლებად შენარჩუნებულია. თუმცა არასტაბილურობით გამოირჩევა; *-ნი* (< *-*ინი*) კავშირის რედუცირება განსაკუთრებით *-ე* სუფიქსიან კავშირებითს ახასიათებს, თუმცა არსებობს *-ნი* კავშირის აღმდგენი, მაპროვოცირებელი პოზიცია – ენკლიტიკური მოდალური ნაწილაკების დართვა: *ოკო ვორდე=ნი=ავა* „უნდა ვიყოო"; *ე*-იანი კავშირებითები „რომ" კავშირის გაგებას შეიცავენ (კარტოზია 1958:231-236); მე-

---

[14] ტერმინისათვის იხ. კოტინოვი 1986.

[15] პირველ და მეორე კონსტრუქციაში ლაზური ფორმები ასახავს გარდამავალ საფეხურს; თუ ვიმსჯელებთ დესემანტისებისა და ენკლიტიკად ქცევის შემდგომი პროცესების მიხედვით, ადვილი სავარუდებელია ნაწილაკის ფონეტიკური რედუცირება და საბოლოოდ ფუნქციურ აფიქსად ჩამოყალიბება; შდრ. ამავე მყოფადის აღწერითი ფორმების *-ენ* (< ორენ‖ერენ) მაწარმოებელი სხვა დიალექტებში: *(რ)ტას-ენ* „უნდა იყოს, იქნება", *ულუტას-ენ* „უნდა ჰქონდეს, ექნება".

[16] აზრთა სხვადასხვაობა ეხება აღნიშნული კოსტრუქციის ჰიპოტაქსურად გაგების საკითხს: მოდალურ ზმნასა და ძირითად ზმნას შორის არსებული სინთეზი ნ. აბესაძისთვის საეჭვოს ხდის ამგვარ მიმდევრობაში ქვეწყობის საკითხს (იხ. აბესაძე 1978:15), მაშინ, როცა ბ. ჯორბენაძე ხაზგასმით აღნიშნავს ორ ზმნურ ფორმას შორის სასვენი ნიშნის დასმის აუცილებლობას (იხ. ჯორბენაძე 1993:275).

სამე და მეოთხე კონსტრუქცია ნომინატიურია, ზმნასთან სახელი ან მასდარი სახელობითის ფორმით არის შეწყობილი და არ არის დამოკიდებული უღლების კატეგორიების მიხედვით ზმნური ფორმის მოდიფიკაციაზე.

ოკო /უნონ / უნდა ნაწილაკის ფუნქციონირების ისტორიული სურათის აღდგენისათვის მნიშვნელოვანია ფაქტი, რომლის კვალობაზეც ლაზურში ორივე, *-კო (<ოკო)* და *მინონ* ნაწილაკიანი პარადიგმები ჩამოყალიბდა; თუკი პირველი წარმოადგენს მეგრულის ზუსტ ფონეტიკურ-ფონოლოგიურ (მეგრ. *-კო* ლაზ. *-კო*) და ფუნქციურ ეკვივალენტს (აწარმოებს პირობითებს), მეორე – ქართული *უნდა-ს* იდენტური, მისი ზუსტი ფონეტიკურ-ფონოლოგიური და ფუნქციური ეკვივალენტია, აწარმოებს მყოფადებს.

მაშასადამე, ლაზურში *უნდა*-ს მოდალობის (სურვილის, აუცილებლობის, მოქმედების გარდაუვალობის...) გამოხატვას ემსახურება შერეული სისტემა, ორი მოდელი, მეგრულისებური და ქართულისებური:

ქართული – *უნდა* **მეგრული** – *-კო (< ოკო)*

ლაზური

-უნონ *-კო (< ოკო)*

საგულისხმოა, რომ *უნონ*-იანი პარადიგმები დამახასიათებელია ხოფურ-ჩხალურისთვის, *-კო*-იანი წარმოება კი ლაზურის ყველა დიალექტისათვის; სავსებით დასაშვებია, რომ *უნონ*-იანი წარმოება ლაზურს ქართულ-ზანური ერთიანობის ხანიდან შემორჩა, *-კო*-იანი კი საკუთრივ ზანური ჩანს; *ოკო>-კო* გრამატიკალიზაციის პროცესი ზანურის დიფერენციაციამდე უნდა დასრულებულიყო.

უნდა ნაწილაკის რედუქცია სხვადასხვაგვარია ქართულის დიალექტებში, კახურში, აჭარულში, სამცხურ-ჯავახურში: *უნდა /უნა /უნ /ნდა /და /ნა;* ისინი ენკლიტიკურად ერთვის ან პირველი პირის ნაცვალსახელს, ან ზმნას (ბერიძე 1983, ჯორბენაძე 1989:332, 393, 565), თუმცა „დიალექტებში *უნდა* ფუნქციურ-სემანტიკურ ცვლილებას არ განიცდის... მისი მნიშვნელობა არ იცვლება, იგი იყო და დარჩება *დებიტივის* სემანტიკის გამომხატველ მოდალურ ელემენტად. განსხვავებული ვითარება ჩანს მეგრულში, სადაც *-კო* ელემენტი ნაკვთს აწარმოებს, იმ დონის მორფოლოგიურ მონაცემად არის ქცეული, როგორიცაა, ვთქვათ, კავშირებითის მაწარმოებელი *-ა* მორფემა“ (ქირია და სხვ. 2015:45).

მეგრულ-ლაზური *ოკო / -კო* და ქართული *უნდა* (და მისი დიალექტური ვარიანტები) ნაწილაკების ერთ სიბრტყეზე განხილვა დასაშვებია ფუნქციურ-სემანტიკურად, თუმცა მეგრულსა და ლაზურში ის გრამატიკალიზებული ელემენტია, რომელიც მწკრივს აწარმოებს; *-კო(ნ)* ელემენტის მორფოლოგიზებაზე მიუთითებს ისიც, რომ ძირითადი მნიშვნელობის *-კო* სუფიქსიანი ზმნა დებიტივის შინაარსის გადმოსაცემად *ოკო* ნაწილაკის დართვას ითხოვს: *ოკო ქიმკაჭკადუკო* „უნდა მიეჭედა“, *ოკო ქიგეგუკო* „უნდა გაეგო“ (ქირია და სხვ. 2015:349).

უღლების პარადიგმაში მესამე პირის ფორმაში ნაწილაკური და ბივერბალური კონსტრუქცია ფორმობრივად ემთხვევა ერთმანეთს: მეგრ. *ოკო რდას*, ლაზ. *(რ)ტას-უნონ*, ქართ. *უნდა იყოს.* ქართული *უნდა*-ს შესატყვისი მეგრული ეკვივალენტი სინტაქსურ კონსტრუქციაში შეიძლება იყოს პრეპოზიციურიც და პოსპოზიციურიც (ქართულის მსგავსად), ლაზურში კი *უნონ / მინონ* მხოლოდ პოსტ-

პოზიციურია,[17] რაც მნიშვნელოვანია გრამატიკალიზაციის პროცესების საფეხურებრივი მიმდევრობის დასადგენად: მოდალური ელემენტის მორფემიზებას წინ უძღვის მისი მყარი პოზიცია ზმნის შემდგომ; მორფემის ცვეთა კლიტიკისათვის სავალდებულო არ ჩანს (მაგ. ლაზურის ფორმები), თუმცა საბოლოოდ მორფემად ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია (შდრ., მეგრულის *-კო*), რაც გრამატიკალიზაციის პროცესის დასრულებას ნიშნავს.[18]

1.1.3. თურმეობითის პარადიგმა. თურმეობითები მეგრულში პერფექტისა (მესამე სერია) და თურმეობითების ჯგუფში (მეოთხე სერია) ნაწილდება. -ე (<-რე <-ორე) მეშველზმნიანი წარმოება ახასიათებთ პასივისა (განსაკუთრებით არამარკირებული პასივის) და მედიალური გვარის სრულასპექტიან აბსოლუტურ ფორმებს (ყიფშიძე 1914:091); მეშველი ზმნის ხმოვნური ნაშთი ერთვის ნამყო დროის ვნებითი გვარის მიმღეობას;[19] ამიტომ მესამე სერიის მწკრივებს წარმოების ორი, პარალელური ფორმა აქვთ: -ე სუფიქსი პირდაპირ ერთვის ზმნის ფუძეს ან ამ ფუძისგან -ელ < -ილ სუფიქსით ნაწარმოებ მიმღეობას (ყიფშიძე 1914:090-091) და ცოცხალ მეტყველებაში რეალიზებულ ფორმებს წარმოადგენს; რაც შეეხება III და IV თურმეობითებს, ისინი ოდენ -ე სუფიქსით არიან წარმოდგენილი, თუმცა მათ ამოსავალ ფორმაში ივარაუდება – ორე(ნ) „არის“ მეშველი ზმნა: ნოჭარუ-ე(ნ) < *ნოჭარუ-ორე(ნ) „წერდა თურმე/ნაწერავა“, ნოჭარუ-ე-დ-უ < *ნოჭარუ-ორე(ნ)-დ-უ (როგავა 1953:23; კარტოზია და სხვ. 2010:249; ჩუხუა 2014:75).

მეგრულის პარადიგმა **[-ე <ერე < ელ-ერე]**	**ლაზურის პარადიგმა** **[+ -ელ-ერენ /-დორენ] – თურმეობითები**
I თურმეობითი: *გოსქირაფ-ე / გოსქირაფ-ელე* „გამშრალა“	ნანამყოუსრულარი თურმეობითი: *ჭარუფტ-ერენ / ჭარუმტუ-დორენ*
II თურმეობითი: *გოსქირაფ-ე-დუ / გოსქირაფ-ელე-დ-უ*	ნაორისტალი თურმეობითი I: *ჭარ-ელ-ერენ / ჭარუ-დორენ*
III თურმეობითი: *ნოსქირაფუე*	ნაორისტალი თურმეობითი II: *ჭარ-ელ-ერე-ტუ*
IVთურმეობითი: *ნოსქირაფუედუ*	ნაორისტალი კავშირებითი: *ჭარ-ელ-ერე-ტას*
	მყოფადის ნამყოს თურმეობითი: *ჭარასუნტ-ერენ / ჭარატუ-დორენ*

ლაზურში ინვერსიული თურმეობითები ზმნურ ფორმაზე „არის“ მეშველი ზმნის დართვით იწარმოება. ხოფურ-ჩხალურში ეს მეშველი ზმნა *ერე* (ნანამყოუსრულარ თურმეობითსა და ნაორისტალ თურმეობით პირველში) და *ერე-ტ*

[17] მთქმელის ინდივიდუალურ თავისებურებად და ქართულის კალკად მიიჩნევა სარფულ ტექსტებში დადასტურებული პრეპოზიციური [*უნონ* მეშველი ზმნა + ძირითადი ზმნა] კონსტრუქცია (იხ. კარტოზია 2005: 114. სქ. 80).

[18] შდრ. ჯორბენაძე 1989:332, 393, 565: ქართულის დიალექტებში დასრულებულია მხოლოდ ენკლიტიკური *უნდა* ნაწილაკის გრამატიკალიზაცია.

[19] შდრ. კარტოზია 2005:112-113.

(ნაორისტალ თურმეობით მეორეში) ფორმებით არის წარმოდგენილი, დასავლურ დიალექტებში კი გვაქვს *დო-* პრევერბიანი *დორე(ნ)* (ვიწურ-არქაბულში) *დადორტუ(ნ)* (ვიწურ-არქაბულსა და ათინურ-ართაშენულში) (კარტოზია 2005:101); *-ერე* სუფიქსი *-ელ* სუფიქსიანი მიმღეობაზე დართვის შემთხვევაში *ელე/-ელ -ერ -ე* მიმდევრობით არიან წარმოდგენილი.[20]

ელე < ერე სუფიქსიანი წარმოება მეგრულისათვის სპეციფიკური არ არის, რადგან მხოლოდ გარდაუვალ ზმნებთან გვხვდება, განსხვავებით ლაზურისაგან, სადაც ისტორიული მეშველი ზმნის გრამატიკალიზაციასთან ერთად „უნიფიკაციის პროცესიც დასრულებულია“ (ასათიანი 1970:145): მორფოლოგიზებული სუფიქსი თანაბრად ერთვის როგორც გარდაუვალ, ისე გარდამავალ ზმნებს.

დასკვნა

ზანური ჯგუფის ენების, მეგრულისა და ლაზურის, უღლების პარადიგმების ანალიზი ცხადყოფს:

ა) მეგრულსა და ლაზურში გრამატიკალიზაციის ის პროცესები, რომლებიც ეხება უღლების პარადიგმებს, კერძოდ კი რთული მწკრივების ჩამოყალიბების საკითხს, იდენტური თუ არა, საკმაოდ ერთგვაროვანია;

ბ) კავშირებითების, პირობითების, მყოფადების და თურმეობითების მწკრივების ნაწილი ისტორიულად დერივაციულია (წარმოქმნილია), რასაც მათი ისტორიულ-შედარებითი ანალიზი მოწმობს; ფუნქციონირების თანამედროვე ეტაპზე დერივაციულ ელემენტთა (მეშველი ზმნა, ნაწილაკი) გრამატიკალიზაციის (მორფოლოგიზაციის) პროცესი დასრულებულია;

გ) ლაზურში პირისა და რიცხვის მიხედვით ცვალებადი *უნონ-* გარდამავალ საფეხურზეა, რაც იმას მიანიშნებს, რომ ჯერაც არ დასრულებულა მისი ფუნქციურ ელემენტად ქცევის პროცესი: ფორმა ძველია, ფუნქცია – ახალი.

დ) ქართულისა და ზანური ჯგუფის ენებში *უნდა-მოდელის* ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ კლიტიკად ქცევის ტენდენცია დესემანტიზებულ ნაწილაკებს ახასიათებთ, ელემენტის რედუცირება კი შემდგომი საფეხურია, რომელიც საბოლოო მორფემიზაციით სრულდება, რასაც თავდაპირველი სემანტიკის დაჩრდილვაც ახლავს;

ე) ზმნურ ფორმათა (მეშველი თუ ძირითადი მნიშვნელობის) და მოდალურ ელემენტთა გრამატიკალიზაციისათვის აუცილებელია პოსტპოზიციური წყო-

[20] „ზმნები, რომლებსაც ნამყო დროის (ვნებითი გვარის) მიმღეობა *-ერ* სუფიქსით ეწარმოებათ, თურმეობითში *-ერე* დაბოლოებას ავლენენ; ის ზმნები კი, რომლებსაც მიმღეობის სუფიქსად *-ელ* აქვთ, თურმეობითებში *-ელ-ერე*-ს ირთავენ. სხვანაირად რომ ვთქვათ, თურმეობითში *-ერე-* დაბოლოებიანი ზმნები მიმღეობას *-ერ* სუფიქსით აწარმოებენ, ხოლო *-ელ-ერე-* დაბოლოებიანები – *-ელ*-ით“ (ნათაძე 1961:34; კარტოზია 2005:110).

ბა; გრამატიკალიზაციის პროცესის დასასრულს ფონეტიკურად რედუცირებული და ფუნქციურად გარდაქმნილი ელემენტი ხდება ენკლიტიკა; მორფემის რედუცირება (ეროზია/ ცვეთა) კლიტიკისათვის სავალდებულო არ ჩანს (მაგ. ლაზურის შემთხვევაში), თუმცა მორფემად ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია (მაგ. მეგრულის *-კო*-<**ოკო*-ს შემთხვევა) და გრამატიკალიზაციის პროცესის დასრულებაზე მიანიშნებს. შდრ. *უნონ,* რომელიც არ არის რედუცირებული და ამიტომ დესემანტიზირების პროცესიც არ არის დასრულებული; ლაზურის ვითარება მორფემიზაციისკენ/სრული გრამატიკალიზაციისკენ გარდამავალ საფეხურს ასახავს.

ვ) გრამატიკალიზაციის პროცესების (/შედეგის) უნიფიკაცია ნიშანდობლივია ლაზურისათვის;

ზ) ლაზურში სინქრონიულად *უნდა* ნაწილაკის გამოყენების შერეული სისტემის, ქართულისებურისა (ლაზ. *უნონ*) და მეგრულისებურის (*-კო*), ანალიზი ზოგ კომპარატივისტული ხასიათის შეკითხვაზე პასუხის საშუალებას იძლევა; საგულისხმოა, რომ *უნონ*-იანი პარადიგმები დამახასიათებელია ხოფურ-ჩხალურისთვის, *-კო*-იანი წარმოება კი ლაზურის ყველა დიალექტისათვის; აქედან გამომდინარე, სავსებით დასაშვებია, რომ *უნონ*-იანი წარმოება ლაზურს ქართულ-ზანური ერთიანობის ხანიდან შემორჩა, *-კო*-იანი კი იყოს გაცილებით ძველი, ვინაიდან მას შესატყვისი სვანურშიც ეძებნება; *ოკო> -კო* გრამატიკალიზაციის პროცესი ზანურის დიფერენციაციამდე ჩანს დასრულებული;

თ) ზმნურ ფორმათა (მეშველი თუ ძირითადი მნიშვნელობის) და მოდალურ ელემენტთა გრამატიკალიზაციის პროცესი ზანური ჯგუფის ენებში არსებითად დასრულებულია და ფორმანტად ქცეული ფუნქციური ელემენტები უღლების პარადიგმაში მწკრივის, როგორც რთული მორფოლოგიის მქონე სტრუქტურაში იღებს მონაწილეობას;

ი) გრამატიკალიზაცია, როგორც პროცესი, საანალიზო ენებში შემდეგი სქემით შეიძლება წარმოდგეს:

დიაქრონია/ისტორული პროცესი	სინქრონია
[დესემანტიზაცია = დეკატეგორიზაცია] > [გრამატიკალიზაცია = კატეგორიზაცია]	> შედეგი

1. ზმნა > მეშველი ზმნა > მორფემა.

2. ზმნა > ნაწილაკი (მოდალობა) > მორფემა.

მეგრულსა და ლაზურში ორივე გზა არის გამოყენებული ახალი მწკრივების წარმოსაქმნელად.

საკითხის უფრო ღრმა ისტორიულ-შედარებითი კვლევა წარმოაჩენს არაერთ პრობლემას, რომელიც ზანური ენის ისტორიული დიალექტების ურთიერთმიმართების საკითხის გარკვევისათვის იქნება მნიშვნელოვანი. მნიშვნელობა აქვს ასევე

გრამატიკალიზაციის პროცესების და ამ პროცესების შედეგად ჩამოყალიბებული იზოგლოსების დადგენას არეალური ლინგვისტიკის თვალსაზრისით; ვგულისხმობთ ზანურის ორი ისტორიული დიალექტის (მეგრულისა და ლაზურის წინარე A და B დიალექტების) გავრცელების არეალისა და მათ შორის საზღვრის დადგენის საკითხებს.

ლიტერატურა:

აბესაძე 1978: ნ. აბესაძე, გრძნობისა და თქმა-ბრძანების გამომხატველ ზმნათა შემცველი ქვეწყობილი წინადადებები სვანურში, *თსუ შრომები, ენათმეცნიერება,* ტ. 200, თბილისი.

ასათიანი 1970: ი. ასათიანი, *ერე* სუფიქსიანი თურმეობითი მეგრულში, *იკე,* XVII, მეცნიერება, თბილისი.

ბერიძე 1983: მ. ბერიძე, კავშირებითის წარმოების ერთი თავისებურებისათვის მესხურში, *საენათმეცნიერო ძიებანი*, თბილისი.

ბოედერი 2015: W. Boeder, Notwendigkeit im Swanischen, In: *Kaukasiologie heute*, Festschrift für Heinz Fähnrich zum 70. Geburtstag, Herausgegeben von Natia Reineck und Ute Rieger unter Mitarbeit von Wolfgang Zippel, Buchverlag König, Jena [Greiz/Thüringen], pp. 17-47.

გერსამია 2013: რ. გერსამია, აწმყო-მყოფადის სისტემა მეგრულში, *ენა და კულტურათშორისი დიალოგი*, II, მერიდიანი, ქუთაისი.

გუდავა, გამყრელიძე 2000: ტ. გუდავა, თ. გამყრელიძე, თანხმოვანთკომპლექსები მეგრულში, კრებულში: თ. გამყრელიძე, *რჩეული ქართველოლოგიური შრომები* [პირველად დაიბეჭდა კრებულში: *თბილისის უნივერსიტეტი* აკაკი შანიძეს, 1981], თსუ-სა და თსპუ-ს გამომცემლობები, თბილისი.

დადიანი 1998: ე. დადიანი, „პირობითის“ ფორმები მეგრულში, *ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები,* VII, თბილისი.

დენისონი 2010: D. Denison, Category change in English with and without structural change, In: *Elizabeth Closs Traugott&Graeme Trousdale (eds.), Gradience, gradualness and grammaticalization,* John Benjamins, Philadelphia /Amsterdam.

კარტოზია 1958: გ. კარტოზია, კავშირებითთა წარმოებისათვის მეგრულში, *თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული,* №8, თბილისი.

კარტოზია 2005: გ. კარტოზია, *ლაზური ენა და მისი ადგილი ქრთველურ ენათა სისტემაში,* ნეკერი, თბილისი.

კარტოზია და სხვ. 2010: გ. კარტოზია, რ. გერსამია, მ. ლომია, თ. ცხადაია, *მეგრულის ლინგვისტური ანალიზი,* მერიდიანი, თბილისი.

კოტინოვი 1986: ნ. კოტინოვი, *კილოს კატეგორია და სინტაქსის ზოგიერთი საკითხი ქართულში*, თბილისი.

ლემანი 1982: Ch. Lehmann,*Thoughts on grammaticalization,*A programmatic sketch. Vol. 1, Vol. 48, Arbeiten des Kölner Universalien-Project. Köln: Universität Köln [Revised edition, *Thoughts on grammaticalization.* 1995. Münhen: LINCOM].

ლომია, გერსამია 2012: მ. ლომია, რ. გერსამია, *ხაზთაშორისი მორფოლოგიური გლოსირება (მეგრული ტექსტების მორფოლოგიური ანალიზი),* ლიგამუსი, თბილისი.

მელიქიშვილი 1980: დ. მელიქიშვილი, მომავალი დროისა და კავშირებითი კილოს ურთიერთმიმართების საკითხისათვის (ძველი ქართული ენის მასალაზე დაყრდნობთ), *იკე-ს წელიწდეული,* VII, მეცნიერება, თბილისი

ნათაძე 1961: ნ. ნათაძე, მყოფადისათვის ქართველურ ენებში, *ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები,* ტ. II, მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა, თბილისი.

პაპიძე 1981: ა. პაპიძე, აწმყოს კავშირებითის ფუნქციებთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი, *ქსკს,* ტ. VI. თბილისი.

როგავა 1953: *გ. როგავა,* დრო-კილოთა IV ჯგუფის ნაკვთები ქართველურ ენებში, *იკე,* V, მეცნიერება, თბილისი.

სარჯველაძე, ფენრიხი 1990: ზ. სარჯველაძე, ჰ. ფენრიხი, *ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი,* თსუ გამომცემლობა, თბილისი.

ტრაუგოტი, კონიგი 1991: E. Traugott and E. König, The semantics-pragmatics of grammaticalization revisited, In: Elizabeth C. Traugott and Bernd Heine (eds.), Approaches to Grammaticalization, Vol. I, pp 189-218, John Benjamins, Amsterdam.

ფენრიხი 2007: H. Fähnrich, *Kartvelisches Etymologisches Wörterbuch (*Handbook of Oriental Studies, Section 8: Central Asia, Volume 18) Leiden/Boston .

ქაჯაია, ფენრიხი 2001: O. Kadshaia, H. Fähnrich, *Mingrelisch-DeutschesWörterbuch,* Wiesbaden.

ქირია და სხვ. 2015: ჭ. ქირია, ლ. ეზუგბაია, ო. მემიშიში, მ. ჩუხუა, *ლაზურ-მეგრული გრამატიკა,* I, მერიდიანი, თბილისი.

ქობალავა 2001: ი. ქობალავა, კავშირებითი კილო მეგრულში, *ენათმეცნიერების საკითხები,* 4, თბილისი.

ყიფშიძე 1914: И. Кипшидзе, *Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем,* СПБ.

ჩუხუა 2014: მ. ჩუხუა, მიმღეობა ლაზურსა და მეგრულში, *ლაზურისა და მეგრულის გრამატიკის საკითხები,* II, თბილისი.

ცაგარელი 1880: Ал. Цагарели, *Мингрельские этюды,* вып. I, Мингрельские тексты с переводом и объяснениями, СПб.

ჯორბენაძე 1989: ბ. ჯორბენაძე, *ქართული დიალექტოლოგია,* I, მეცნიერება, თბილისი.

ჯორბენაძე 1993: ბ. ჯორბენაძე, ნაზმნარი მოდალური ელემენტები ქართულში. *ქსკს,* ტ. X, მეცნიერება, თბილისი

***ჰაინე 2008*:** B. Heine, *Grammaticalization*, *The Handbook of Historical Linguistics,* editors Brian D. Joseph & Richard D. Janda, Blackwell Publishing**.**

ჰასპელმათი 1998: M. Haspelmath**,** Does grammaticalization need reanalysis? *Studies in Language,* 22 (2).

ჰასპელმათი 1999: M. Haspelmath**,** Why is grammaticalization irreversible? *Linguistics 37* (6).

მარკერების განმარტება

R	ძირი	PRV	ზმნისწინი
N	სახელი	CAUS1	კაუზატივის კონფიქსი
V	ზმნა	POT1	პოტენციალისის კონფიქსი
MSD	მასდარი	PASS	პასივი
NOM	სახელობითი	SMP	საზედაოს ნიშანი
PTC	ნაწილაკი მტკიცებითი	FV	ფუნქციური ხმოვანი
PPTC	ნაწილაკი უარყოფითი	S1/O1/O2	სუბიექტის ნიშნები
NEG	ნაწილაკი	SV/ OV/ NV	ობიექტის ნიშნები სერიების ფუძეთა
AUX	მეშველი ზმნა	AUG	მაწარმოებელი
PRS	აწმყო	IMPF	იმპერფექტი
PRF	პერფექტი	PM	პარადიგმის ნიშანი
FUT	მყოფადი	COND	კავშირებითის მორფემა
EVD	თურმეობითი	MOD	მოდალური ნაწილაკები

Rusudan Gersamia

On the Grammaticalization of the Forms of Screeves in Megrelian and Laz

Summary

In Megrelian and Laz the processes which are related to the conjugation paradigms in particular, the issue of formation of complex screeves, are quite homogeneous, if not identical. A part of the Subjunctive, Conditional, Future and Evidential screeves are derivative (formed), which is confirmed by their historical-comparative analysis. At the modern stage of functioning, the process of grammaticalization (morphologization) of derivative elements (auxiliary verb, particle) is completed.

1. In Laz, *unon,* changeable according to the person and number, is on the transitional level, which indicates that the process of its transformation into a functional element is not over yet: the form is old and the function is new. On the basis of analysis of a model with *unda* in the Georgian and Zan group, it becomes clear that the tendency of turning into a clitic is characteristic of desemanticized particles, with a reduction of an element as the next stage, which is completed by the ultimate morphemization, also accompanied by shading of the initial semantics.

2. For the grammaticalization of verb forms (auxiliary or main verbs) and modal elements the postpositional sequence is necessary. At the end of the grammaticalization process a phonetically reduced and functionally transformed element becomes enclitic. Morpheme reduction does not seem compulsory for a clitic, however, it is necessary for morpheme formation (e.g. the instance of *-ḳo <*oḳo* in Megrelian) and it points to the

completion of the process of grammaticalization. cf. *unon,* which is not reduced and therefore the process of desemanticization is not over either. The situation in Laz reflects the transitional stage towards morphemization, full grammaticalization.

3. The analysis of the mixed system of use of the particle *unda* in Laz, Georgian-type (Laz. *unon*) and Megrelian-type *(-ḳo),* allows answering some questions of comparativistic character. It is noteworthy that paradigms with *unon* are characteristic of Khopa-Chkhalan, and the formation with *-ḳo* of all Laz dialects. Proceeding from this, it can be assumed that the formation with *unon* has survived in Laz from the period of the Georgian-Zan unity, whereas the formation with *-ḳo* – must belong to a much earlier period, as its correspondent forms can be found in Svan as well; the process of grammaticalization of *oḳo* > *-ḳo* seems to have completed prior to the differenttiation of Zan.

4. The process of grammaticalization of verb forms (auxiliary and main verbs) and modal elements in the Zan group is essentially completed, and the functional elements, having turned into formants, participate in the conjugation paradigm in screeves, as structures of complex morphology.

5. Grammaticalization as a process can be presented in the form of the following diagram:

Diachrony/Historical process	Synchrony
[desemanticization=decategorization] > [grammaticalization = categorization]	> Result

verb > auxiliary verb > morpheme
verb >particle (modality)> morpheme

In Megrelian and Laz both methods are used for the formation of new screeves. A more profound historical-comparative study of the issue will reveal a number of problems, which will be of importance for the elucidation of interrelations of the historical dialects of Zan. It is also significant to identify grammaticalization processes and isoglosses, developed as a result of these processes, from the viewpoint of areal linguistics. We imply the issues of identification of the area of distribution of two historical dialects of Zan (A and B proto-dialects of Megrelian and Laz) and specification of boundaries between them.

რუსუდან ზექალაშვილი

ნატვრის გამოხატვა და ზმნის გრამატიკულ-სემანტიკური ცვლილებები ქართულში

ნატვრა, როგორც სამეტყველო აქტი, საკმაოდ გავრცელებულია მეტყველებაში. ის საინტერესოა არა მარტო ლინგვისტური, არამედ ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც. ზოგ ენას მის გამოსახატავად აქვს სპეციალური გრამატიკული ფორმები (ზმნის ნატვრითი კილო, ლექსიკური ერთეულები, სინტაქსური კონსტრუქცია), მაგრამ ზოგი ამ შინაარსის გადმოცემას არსებული ენობრივი საშუალებების გადააზრებით ახერხებს.

ნატვრის ან ოცნების ენობრივი გამოხატვა შინაარსობრივად უკავშირდება კილოს გრამატიკულ კატეგორიას, რადგან სურვილი, ნატვრა ან ოცნება არის მოუბარი პირის (მთქმელის) დამოკიდებულება სათქმელის შინაარსისადმი, რომ მას ენატრება/სურს რაღაც მოქმედების შესრულება. ამიტომ **ნატვრითობას (დეზიდერატივს)** ხშირად კილოს კუთვნილებადაც მიიჩნევენ.[1] **კილოს** კატეგორიის სემანტიკა სხვადასხვა ენაში იმდენად მრავალფეროვანია, რომ ჭირს მის სახეობათა შორის მკვეთრი საზღვრების დადგენა. ქართველ ენათმეცნიერებშიც არაა ერთიანი აზრი კილოს კატეგორიისა და მის სახეობათა შესახებ ქართულ ენაში.[2] „თანამედროვე ქართულში ზმნურ ფორმათა ფუნქციონირებაში რეალურად მონაწილეობს კილო, როგორც კონსტრუქციული ელემენტი“ (ახ. ქართ. II 2016:130). ნათქვამია, რომ კავშირებითი კილოს ფორმები „ენობრივად განუსაზღვრელ, კონტექსტით დასაზუსტებელ ირეალურ (უფრო სწორად, სარეალიზაციო, პოტენციურ) სემანტიკას გადმოსცემენ“ (ახ. ქართ. II 2016:130), მის მრავალ კერძო მნიშვნელობას შორის ასახელებენ ნატვრითობასაც.

ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში თავდაპირველად **ნატვრითობას** მიიჩნევდნენ კილოს ან დროითი ფორმის ერთ-ერთ სახეობად (ანტონ I, გაიოზი, ზ. შანშოვანი, დ. ბაგრატიონი, იოანე ბაგრატიონი, ნ. მარი, ს. ხუნდაძე და სხვ.). მას უწოდებდნენ „საწადისს“ (ანუ სასურველს), „ნატვრითს“, „პირობითს“, „საეჭვოს“.[3]

---

[1] „თეორიული ენათმეცნიერების კურსში“ კილოს 12 ნაირსახეობიდან ერთ-ერთია **ნატვრითი (დეზიდერატივი)** (გამყრელიძე... 2003:220).

[2] კილოს შესახებ საინტერესოა ნ. კოტინოვის, გ. ნინუას, ნ. ოქროპირიძის, ა. პაპიძის, გ. გოგოლაშვილის და სხვათა ნაშრომები (იხ. კოტინოვი 1959; ნინუა 1967; ნინუა 1968; ოქროპირიძე 1975; პაპიძე 1981; პაპიძე 1983; პაპიძე 1984; გოგოლაშვილი 1984; გოგოლაშვილი 1988 და სხვ.).

[3] ა. შანიძემ თხრობით, კავშირებითსა და ბრძანებით კილოს 1973 წელს დაამატა პირობით-შედეგობითიც. ამას გარდა, მსჯელობდა თხოვნით, აკრძალვით და ნატვრით კილოებზეც (შანიძე 1973).

მართლაც, ქართულ ენაში ნატვრითი კილო ცალკე არ უნდა გამოიყოს, რადგან ის კავშირებითი კილოს ერთ-ერთი სემანტიკური ნიუანსია. **ნატვრითობა** შეიძლება გამოიხატოს **გრამატიკული** ან **ლექსიკური** საშუალებებით: სპეციალური ზმნური ფორმით, ნაწილაკებით, მოდალური სიტყვებით, შესაბამისი სემანტიკის ზმნებითა და კონტექსტის გათვალისწინებით.

ნატვრითობის გამომხატველ ლექსიკურ საშუალებებად განსაკუთრებით ხშირად მეორე კავშირებითთან გამოიყენება ნაწილაკები: **ნეტავი, ნეტა, ნეტამც, დაე, ბარემ, ვინძლო, ეგებ, იქნება.**

ქეგლ-ის მიხედვით, **ნეტავ**[4] (ნეტავი/ნეტა, ნეტამც, *დიალ.* ნეტარა) ნაწილაკის ძირითადი მნიშვნელობა (ქეგლ V:1478) სწორედ ნატვრას, რაღაცის ახდენის სურვილს, უკავშირდება აწმყოს, მყოფადის, მეორე და მესამე კავშირებითებთან (ზოგჯერ – მეორე თურმეობითთანაც).

აწმყოს კავშირებითი[5] – ნეტა აკეთებდეს!
მომავალი დროის გაგებით:
მყოფადის კავშირებითი – ნეტა გააკეთებდეს! ნეტა გააკეთოს!
მეორე კავშირებითი – ნეტა გააკეთოს!
მესამე კავშირებითი – ნეტა გაეკეთებინა!
წარსული დროის გაგებით: **მეორე თურმეობითი** – ნეტა გაეკეთებინა!

შეიძლება გამოიყენებოდეს **პირობითდამოკიდებული წინადადება** მთავარი წინადადების გარეშე (მე რომ **გამამარჯვებინა!** იტალიაში რომ **დამასვენა!** ეს რომ **მანახა!** ფული რომ **მომცა!**).

ჩვენთვის საინტერესოა სემანტიკურ-გრამატიკული ცვლილებები **აორისტის** (წყვეტილის) ფორმით გამოხატულ ნატვრით შინაარსთან. ეს საკითხი სპეციალურად არაა შესწავლილი ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში, თუმცა პირველად შენიშნა ა. შანიძემ (შანიძე 1973:615). საყურადღებო მსჯელობას ვხვდებით ა. პაპიძესთან – კავშირებითების განხილვის დროს (პაპიძე 1981; პაპიძე 1983; პაპიძე 1984), გ. გოგოლაშვილთან (გოგოლაშვილი 1984; გოგოლაშვილი 1988), დ. მელიქიშვილთან (მელიქიშვილი 2001; მელიქიშვილი 2014), ხოლო მეგრულთან დაკავშირებით – ლ. სამუშიასთან (სამუშია 2001).

გარდა საყოველთაოდ ცნობილი შემთხვევებისა, პირის ნიშანთა ინვერსიას[6] ქართული ენა იყენებს მაშინაც, როცა უნდა გამოხატოს **ნატვრა** ან **სურვილი**. მაგალითად, *გამაგებინა* (მან მე ის) და (ნეტა) ***გამაგებინა*** (მე ის) გრამატიკული ომოფორმებია, თუმცა შინაარსობრივად განსხვავდება ერთმანეთისაგან: *გამაგებინა*

---

[4] „ნეტა“ მიღებულია „**ნეტარ ვინ**“-ისაგან (შანიძე 1973:615); ძველ და საშუალ ქართულში გვხვდებოდა ასევე ნაწილაკი ***ნეტარძი.***

[5] ა. პაპიძის აზრით, აწმყოს კავშირებითი უდროო, ზოგადდროული, დიურატიული, მრავალგზისია (პაპიძე 1984:96).

[6] ამ ბოლო დროს გამოითქვა აზრი **ვ**ინისა და **მ**ანის რიგის ნიშნების განსხვავებული კვალიფიკაციის შესახებ (მელიქიშვილი 2014).

სამპირიანია – ვიღაცამ მე რაღაც მაცნობა, მომცა საშუალება, რომ გამეგო, მეორე შემთხვევაში კი მოუბარი ნატრობს, ნეტა ისე მოხდეს, რომ მან გაიგოს რაღაც სასურველი. სემანტიკურად ასეთ ფორმებში **სუბიექტური** პირის გაგება დაკარგულია, მაგრამ ის ზმნაში წარმოდგენილია გრამატიკულად **-ა** სუფიქსით: გა-მ-აგებინ-**ა!** და-მ-ახატვინ-**ა!** თითქოს რეალური სუბიექტი ნატვრის გამოთქმისას ოცნებობს, რომ რაღაც **ზებუნებრივმა** არსებამ (ღმერთმა, ირეალურმა ძალამ) შეაძლებინოს სასურველი ქმედება.

ამ ზმნურ ფორმებზე ყურადღება გაამახვილა დამანა მელიქიშვილმა და მიიჩნია ის **ინვერსიის** განსაკუთრებულ შემთხვევად. მან ახსნა მათი წარმოქმნის მექანიზმი, რის შედეგადაც მიიღება განსხვავებული კონსტრუქციის ომონიმური წყვილები (მელიქიშვილი 2001:25-26; მელიქიშვილი 2014:112-113): **გამაგებინა** მან მე ის – (რომ/ნეტავი) **გამაგებინა** მე ის, **ჩამაგდებინა** (მან მე ის) – (ხელში) რომ **ჩამაგდებინა** მე ის, **მაჩვენა** მან მე ის – (ნეტავი/რომ) **მაჩვენა** მე ის და სხვ. მეცნიერი წერს: „სამპირიანმა კაუზატიურმა (შუალობითი კონტაქტის) ფორმებმა დაკარგეს გრამატიკული სუბიექტი – მაკაუზირებელი პირი და სუბიექტად დარჩა მოქმედების შემსრულებელი, რეალურად მოქმედი პირი“ (მელიქიშვილი 2001:25), „ცნობიერებაში „ჩაიძირა“ **სუბიექტი** – აგენსი“ (მელიქიშვილი 2014:112).

კაუზატიური ფორმების გრამატიკული სუბიექტი მოქმედების რეალური შემსრულებელი კი არ არის, არამედ „ხელმძღვანელია, ინიციატორია“, ხოლო მოქმედების რეალური, უშუალო შემსრულებელი ირიბი ობიექტია. დ. მელიქიშვილის აზრით, გრამატიკული სუბიექტის დაკარგვას და ინვერსიას მსგავს ფორმებში ხელი შეუწყო გარდამავალ ზმნათა **II თურმეობითის** ფორმებმა **კავშირებითი** (//ნატვრითი) კილოს გაგებით (გამეკეთებინა მე ის) და ანალოგიით მივიღეთ ორპირიანი „გამაგებინა“-ს ტიპის წარმოება: „სწორედ მათი გავლენით უნდა მიეღო ***გამაკეთებინა*** ფორმასაც კავშირებითი (//ნატვრითი) კილოს გაგება და პირის დაკარგვის შედეგად ინვერსიული შინაარსიც“ (მელიქიშვილი 2001:25).

მაშასადამე, ერთი მხრივ, გვაქვს გარდამავალი ზმნის II თურმეობითი: (ნეტა/რომ) ***გამეკეთებინა*** (მე ის) და, მეორე მხრივ, ინვერსიული **წყვეტილი:** (რომ/ნეტა) ***გამაკეთებინა*** (მე ის) ფორმა, რომელსაც არა აქვს მორფოლოგიური სუბიექტის მიხედვით ცვალების უნარი, იცვლება მხოლოდ მორფოლოგიური ობიექტის მიხედვით (გამაკეთებინა, გაგაკეთებინა, გააკეთებინა). მაგ.: (ნეტავი) ***გამაგებინა*** მე ის; რომ ***მაცემინა*** მე ის; (ხელში) რომ ***ჩამაგდებინა*** მე ის; ნეტავი ***მაჩვენა*** მე ის; ნეტავი ***მაჭამა*** მე ის – გრამატიკული სუბიექტი, მოქმედების **ინიციატორი** ანუ მაიძულებელი პირი დაკარგულია, ხოლო მოქმედების რეალური შემსრულებელი **გრამატიკული ობიექტია,** რომელიც რეალურ სუბიექტად გაიგება.

ვფიქრობთ, საკამათოა, რომელ მწკრივად უნდა მივიჩნიოთ გადააზრებული ფორმა: **წყვეტილის** ინვერსიულ ფორმად თუ **მესამე სერიის** მწკრივად (ნაკლებ სარწმუნო ჩანს მისი გაიგივება II თურმეობითთან). მართლაც, ის ინვერსიული და სუბიექტდაკარგულია ისევე, როგორც გარდამავალი ზმნები მესამე სერიაში.

მართალია, ომოფორმები უცხო არაა ქართული ზმნებისთვის, მაგალითად, მყოფადსა და პირველ თურმეობითში **-ავ/-ამ** თემის ნიშნიან ზმნებთან: **მყოფადი** – დამიხატავს, დამითესავს, გამიბამს, შემისვამს (ის მე მას) და **პირველი თურმეობითი** – დამიხატავს, დამითესავს, დამიბამს, შემისვამს (მე ის), მაგრამ გადაგაზრებული ინვერსიული ფორმები მაინც **წყვეტილად** უნდა მივიჩნიოთ, რომელმაც დაკარგა გრამატიკული სუბიექტის გაგება და გამოხატა სასურველი, სანატრელი რამ მომავალში, მით უმეტეს, რომ იგივე მწკრივი გამოიყენება **მომავალი** დროის მნიშვნელობით **ბრძანებით** კილოშიც. როგორც ჩანს, თვით „ნეტას“ წარმომავლობა *(< ნეტა* **ვინ**) განაპირობებს მესამე პირის სუბიექტური პირის ნიშნის არსებობას. ნატვრით წინადადებებში სწორედ ეს „**ვინ**“ უნდა იგულისხმებოდეს მესამე სუბიექტურ პირად, რომელიც შემდეგ გაქრა, დაიკარგა.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ნატვრის გამოხატვისას მსგავს სურათს გვიჩვენებს **მეგრული:** გამოყენებულია თხრობითი კილოს ფორმა, რომელსაც ლ. სამუშია ქართულის მორფოსინტაქსურ ინტერფერენციად მიიჩნევს. მაგალითად მოყვანილია პირობითდამოკიდებული წინადადების („ფული რომ **მომცა**, კაცი ვიქნები“) მეგრული თარგმანი: „ფარა **კომუჩასუ-ნი,** კოჩი იპექ“ (ზუსტად: ფული რომ **მომცეს,** კაცი ვიქნები). აქ ზმნა კავშირებითი II-ის ფორმითაა გამოყენებული (**კომუჩასუ-ნი**=მომცეს), მაგრამ ქართულის მსგავსად შესაძლებელია თხრობითი კილოს გამოყენებაც: „*ფარა **კომუჩუ-ნი,** კოჩი იპექ“.* მეცნიერი ფიქრობს, რომ მეგრულისთვის ნატვრის გამოხატვისას უფრო ბუნებრივია კავშირებითი II, ხოლო თხრობითი კილო (მეგრ. „*კომუჩუ-ნი*“) ქართულის ინტერფერენციის შედეგია მეგრულზე[7] (სამუშია 2011).

მთავარი ისაა, რომ *ქართულსა და მეგრულში ნატვრით წინადადებებში **სუბიექტის** გაგება იკარგება, ზმნა **იმპერსონალური** ხდება წყვეტილში და აქტიური სუბიექტი ჩანაცვლებულია გრამატიკული **ობიექტით**.*

საყურადღებოა ა. პაპიძის მსჯელობა, რომ ნატვრის გამოხატვისას ზოგჯერ სუბიექტი **აბსტრაჰირებულია, განზოგადებული,** ზებუნებრივი ძალა, ღმერთი ან ღვთაებაა, სწორედ ამის გამოა შესაძლებელი ინვერსიული ფორმების მიღება: „ის, რაც გრამატიკულად ამგვარი სუბიექტის აქტივობას მიეწერება, სინამდვილეში მხოლოდ ირეალობაა, – მოსაუბრის ნატვრა და დიდი სურვილია, ოცნებაა“ (პაპიძე 1981:166). მართლაც, ნატვრისას იგულისხმება, თითქოს სასურველი მოქმედება რაღაც ზებუნებრივი ძალის ჩარევით შესრულდება, ამიტომ ეს ვერ იქნება რეალური სუბიექტი და ზმნურ ფორმაში გამოყენებული სუბიექტური პირის ნიშანი შინაარსისგან დაცლილია.

---

[7] სენაკურ დიალექტზე მოსაუბრენი ადასტურებენ, რომ მათს მეტყველებაში **წყვეტილის** ფორმა (წარმოშობით თხრობითი) ნატვრით წინადადებებში უფრო ბუნებრივია, ვიდრე **კავშირებითი.**

ნატვრით ფორმებს ვხვდებით სხვადასხვა ეპოქის ქართულ ტექსტებში, ხალხურ პოეზიასა და ქართული ენის დიალექტებში. დავასახელებთ მაგალითებს:[8]

(1) „ნეტარძი ვინ სისხლი მისი **შემახვრიტა** ერთი თასი!“ (რუსთაველი 1957: სტრ. 1205).

(2) „ნეტარძი, **დამხსნა** სურვილსა, ცოცხალს არ **გამაწევინა**!“ (თეიმურაზ I, 1934, სტრ. 36:7).

(3) „ნეტამც ოთხი კაცი ხელარგოსანი **მომაყენა** და ეგოდენი **მირტყა,** რომ სულად მიმწურა“ (ორბელიანი 1959:101).

(4) „ნეტავ **მაჩვენა** კიდევა
ფშაველის ჯარის ფარაო!“ (ვაჟა-ფშაველა 1985:139).

(5) „ნეტავ იქ დედასთან **მომკლა,** თათრებისაა საპყარი!“ (ვაჟა-ფშაველა 1985:149).

(6) „ნეტავი **გამაგებინა**, რა გესიზმრება, ღვთიანო?!“ (ვაჟა-ფშაველა, ქეეკ, 568209).

(7) „ნეტავი კიდევ **მაღირსა** დედის კალთაში გორება!“ (თედო რაზიკაშვილი).

(8) „ნეტა **მაჩვენა** შენი ბღავილი, როცა მისი ბასრი კლანჭი ყანყრატოში დაგწვდება“ (ჯავახიშვილი 1959:430).

(9) „ნეტა **განახათ**“ (ჯაბა ზარქუა, ქეეკ, 17435395).

(10) „ნეტა **გამაგებინა**“ (ზურა კანდელაკი, ქეეკ, 3982543).

(11) „შემხვდი ქალო, აჰ, ნეტავი
შენს სურვილში **დამახრჩო**“ (ალეკო შენგელია).

(12) „ნეტავ ბავშვობაში **დამაბრუნა,**
ბებო მაძინებდეს ღამე“ (ჟანეტ ბოგვერაძე).

(13) „ნეტავ მართლა **დამაბრუნა** უკან,
შენს ოთახში **გამაღვიძა,** ჩემო“ (დიკა სალაყაია).

მსგავს ფორმათა სიუხვით საინტერესოა შემდეგი ლექსები:

(14) „ნეტა ახლა ბავშვობაში **დამაბრუნა**,
კორისწყალზე **გამიგრილა** ფიქრები,
ფეხშიშველა **მარბენინა,** დედის გვერდით,
და **გამართო** თანატოლთა ხალისით...
ამიყვანა მეცხრე ცაზე, ნეტა მართლა,
და **მაჩვენა** ახალი გზა ცხოვრების,
დამავიწყა ყველაფერი ტკივილები,
და ეს წლები, გადავლილი წამების...“ (გულო გელხვიიძე).

---

[8] მხატვრული ტექსტებიდან მაგალითების ნაწილი დამოწმებულია ქართული ენის ეროვნული კორპუსის მიხედვით (ქეეკ), ხოლო დიალექტური ტექსტებიდან – ქართული დიალექტური კორპუსის (ქდკ) – „საქართველოს ლინგვისტური პორტრეტის“ – მიხედვით.

(15) „სადმე **წამიყვანა** ნეტავ,
სადმე, საქართველოს მთებში,
ბილიკს **ამადევნა** კენტად,
წვიმის **დამაწია** თქეში,
მუხა **შემახვედრა** ბედად,
ბინდით ჩაღამებულ ტყეში,
უკუ **მაყრევინა** სევდა,
კოცნა **მაბნევინა** თმებში,
წამით **დამანახა** დედა,
დილით აგორებულ მზეში,
მწყურვალს **შემაგება** კლდე და
მასვა ნაკადული პეშვით.
...სადმე **წამიყვანა** ნეტავ,
სადმე, საქართველოს მთებში“ (მანანა ფრუიძე).

(16) „ბევრჯერ იოცნებებ, ნეტა ბავშვობაში **დამაბრუნა** და სწავლის მეტს არაფერს გავაკეთებდიო“ (ზურა სალუქვაძე).

აღსანიშნავია ფორმა „მამყოფინა“. მაგალითად:

(17) „ნეტა პენსია წამლების საყიდლად **მამყოფინა**“ (გაზ. საქ. რესპ., 2011, ქეეკ, 199026844). ამ ზმნის მნიშვნელობაა *საკმარისობა, სამყოფობა*, მაგრამ შემდეგ სიმღერაში ეს ფორმა გამოყენებულია სხვა მნიშვნელობით:

(18) „ოღონდ შენთან **მამყოფინა**“ (იგივეა, რაც **მამყოფა**), ვფიქრობთ, ამ მაგალითში კაუზატიური ფორმების ანალოგიით არის ჩამატებული **-ინ** ბოლოსართი.

საკმაოდ ხშირად გამოიყენება ნატვრითი ფორმები ანდაზებსა და ხალხურ პოეზიაში:

(19) „ღორი რომ გასუქდება, ნეტა მგელს **დამაჭიდაო**“ (ანდაზა).

(20) შდრ. „ნეტავ ახლა **დამაჭიდა** მასთან“ (გაზ. საქ. რესპ. 2013, ქეეკ, 209809257).

(21) „ნეტავი **გამაგებინა**, შენ რა გული გაქვს ჩემზედა!“ (ხალხ.)

ერთ-ერთი ცნობილი ხალხური ლექსი ნატვრის მნიშვნელობით ინვერსიულ ზმნურ ფორმათა გამოყენების საუკეთესო ნიმუშია: „ვერცხლის თასადამც მაქცია“, მისი ვარიანტები გვხვდება სხვადასხვა კუთხეში:

(22) „შაქარყინულად **მაქცია**, ენაზე დაგადნებოდე,
პატარა ჩიტად **მაქცია,** უბეში ჩაგიძვრებოდე“ (ზემორაჭული, ქდკ, №3189).

ნატვრითი ფორმები დასტურდება **დიალექტურ** ტექსტებში (როგორც დასავლურ და სამხრულ, ისე აღმოსავლურ კილოებში): აჭარულში, რაჭულში, ქართლურში, სამცხურ-ჯავახურში, კახურში, ფშაურში, ხევსურულში, თიანურში, ფერეიდნულში და სხვ.

(23) „ყელი **ჩამიგემრიელა**, ხბოებსაც გვიკლევდენაო“ (მთარაჭული, ქდკ, №3066).
(24) „ნეტავი ლეკსა **შემყარა,** ვასესხო ცხელი ფინთიხი“ (რაჭული, ქდკ, №3076).
(25) „ყანები **მოგვცა** ზიარი“ (ჩვენებურების ქართული, ქდკ, №1558).
(26) „ქაჯუეთისა ციხენი ნეტა **მაჩვენა** თვალითა“ (სამცხურ-ჯავახური, ქდკ, №1028).
(27) „ნეტა ჩემი ქმრის მამკვლელი **მაჩვენა**“ (ქართლური, ქდკ, 3441).
(28) „ნეტა ისეთი კაცი **მაჩვენა,** ეს დაასაფლაოს“ (კახური, ქდკ, №704).
(29) „ნეტავი **გამაგებინა** იმისი სიკვდილი“ (კახური, ქდკ, №3306).
(30) „კაცო, ნეტავი **გამაგებინა,** თქვენ სად უნდა წახვიდეთო“ (კახური, ქდკ, №3325).
(31) „ნეტავ **მქნა** ფშავის ხევშია“ (კახური, ქდკ, №3317).
(32) „ნეტავ **მამკლა** შენ კალთაზე,
შენი ხელით **მასხა** წყალი“ (კახური, ქდკ, №3327).
(33) „ნეტავი ახლა **მიჩვენა** ის დედაჩემიო“ (შიგნიკახური, ქდკ, №3319).
(34) „ნეტა სხვა შვილები **მომიყვანაო**!“ (შიგნიკახური, ქდკ, №3306).
(35) „ნეტა ჩემი შვილები **მორეკაო**!“ (შიგნიკახური, ქდკ, №3306).
(36) „ზეით რო გოგუებია,
ნეტა აქ **ჩამამგვარაო**“ (შიგნიკახური, ქდკ, №3327).
(37) „ნეტავ ერთხელ კიდენაო იმ ფშავ-ჴევსურეთის კლდეებისთვინა **შამახედნებინაო** და მჟავე წყალი **დამელიაო**“ (ფშაური, ქდკ, №15).
(38) „ნეტავი მწუხიარესა ჴმა თქვენიმც **მამადინაო,**
თქვენთან **დამიდგნა** ლოგინნი, თქვენს მკლავზე **დამაძინაო,**
გამაძღა თქვენი ნდობითა, მემრ **მამკლა, მამარჩინაო!**“ (**ხევსურული** ფოლკლორი, ქდკ, №958).
(39) „ნეტაივ, ემაგ ქაჯმ **გამიშვასაო**“ (თუშური, ქდკ, №2225).
(40) „ნეტა პატა ხან კიდე **გამიშვასავ**...“ (თუშური, ქდკ, №2225).

მიუხედავად ზოგიერთი სპეციფიკური დიალექტური ფორმისა და მწკრივის წარმოების განსხვავებულობისა (*მამკლა, მამყოფინა, გამიშვასავ, შამახედნებინა* და სხვ.), სალიტერატურო ქართულისა და დიალექტებისათვის საერთოა **წყვეტილის ინვერსიული** ფორმის გამოყენება ნატვრითობის მნიშვნელობით და ზმნის **იმპერსონალიზაცია:** ნეტა/რომ **გამაკეთებინა,** ნეტა/რომ **მათქმევინა,** ნეტა/რომ **დამახატვინა,** ნეტა/რომ **გამათავისუფლებინა,** ნეტა/რომ **დამანახა,** ნეტა/რომ **მაქცია,** ნეტა/რომ **მქნა**...

ზემოთ ჩამოთვლილი მაგალითების ანალიზი მოწმობს, რომ ნატვრით ფორმებს აწარმოებს ყველა ტიპის ზმნა: **იმპერსონალური, ერთ-, ორ-** და **სამპირიანი,** მაგრამ ყველა ჩანაცვლებულია მხოლოდ **აქტიური** ზმნით. ნატვრითი ფორმა იშვიათადაა ნაწარმოები **იმპერსონალური** ზმნებისგან. მაგალითად, ნეტა **გათენდეს** ნაცვლად გვხვდება: ნეტა **გაათენაო!**

განსაკუთრებით გამოსაყოფია გრამატიკულ-სემანტიკური ცვლილება **ერთპირიან** ზმნასთან, რომელსაც ენაცვლება **გარდამავალი** ორპირიანი, მაგრამ სემანტი-

კურად ერთპირიანი ფორმა: ნეტა/რომ **ამიყვანა** (ანუ: ნეტა ავიდე), ნეტა/რომ **მომიყვანა** (=ნეტა მოვიდე), ნეტა/რომ **წამიყვანა** (=ნეტა წავიდე), ნეტა/რომ **დამაბრუნა** (=ნეტა დავბრუნდე), ნეტა/რომ **მომკლა** (=ნეტა მოვკვდე), ნეტა/რომ **დამახრჩო** (=ნეტა დავიხრჩვე), ნეტა/რომ **გამაძღო!** (=ნეტა გავძღე), ნეტა **მამყოფა** (=ნეტა ვიყო), ნეტა **მაქცია** (=ნეტა ვიქცე), ნეტა **მქნა** (=ნეტა ვიყო), ნეტა **შეგვყარა** (=ნეტა შევეყაროთ), ნეტა **გამაღვიძა** (=გავიღვიძო), ნეტა **დამაძინა** (=დავიძინო) და სხვ.

ორპირიანი გარდაუვალი ზმნის ნატვრითობა გამოხატულია იმავე ფუძის სამპირიანი, მაგრამ სუბიექტდაკარგული ინვერსიული ზმნით: ნეტა/რომ **შემახვედრა** (=ნეტა შევხვდე), ნეტა/რომ **შემყარა** (=ნეტა შევეყარო, ნეტა შემეყაროს), ნეტა/რომ **ამადევნა** (=ნეტა ავედევნო ან ნეტა ამედევნოს).

ყველაზე ხშირად გამოყენებულია **გარდამავალი ორ-** ან **სამპირიანი** ზმნა, რომელსაც დაკარგული აქვს გრამატიკული სუბიექტის გაგება (მათ შორისაა ფუძედრეკადი ზმნებიც, რომლებთანაც გამოყენებულია **ი-**ხმოვნიანი ფორმები): ნეტა **შემახვრიპა!** ნეტა **მომადინა!** ნეტა **მომარჩინა!** ნეტა **მომახდინა!** ნეტა **მომიწვინა!** და სხვ.

გარდამავალ ზმნებთან გვხვდება **მეორე სერიის** თემა: ნეტა **მაჭამა** (=ნეტა ვჭამო) < მაჭმევს, ნეტა **მომაყენა** (=ნეტა მომადგეს) < მომაყენებს, ნეტა **მოგვცა** ან **მომცა** (=ნეტა მქონდეს) < მომცემს, ნეტა **შემაგება** (=ნეტა შევეგებო) < შემაგებებს, ნეტა **ჩამომგვარა** (=ნეტა მომგვაროს) < ჩამომგვრის, ნეტა **ჩამიგემრიელა** (=ნეტა ჩავიგემრიელო) < ჩამიგემრიელებს.

ბევრი ზმნა ნატვრითობისთვის იშველიებს ფუნქციადაკარგული კაუზატივის ***-ინ*** ან ***-ევინ*** სუფიქსებიან ფორმას: ნეტა/რომ **დამაწერინა,** ნეტა/რომ **გამაკეთებინა,** ნეტა/რომ **დამახატვინა,** ნეტა/რომ **მომაფიქრებინა,** ნეტა/რომ **გამათბობინა,** ნეტა/რომ **გამათენებინა** (=გავათენო), ნეტა/რომ **გამაწევინა,** ნეტა/რომ **დამათესვინა,** ნეტა/რომ **დამაცვევინა,** ნეტა/რომ **დამაყრევინა,** ნეტა/რომ **შემაქმნევინა** და ა.შ.

ამ ენობრივ მოვლენაზე დაკვირვება გვაფიქრებინებს, რომ ქართულ ენაში ზმნის ფორმისა და შინაარსის დაცილება შეიძლება განპირობებული იყოს მოუბარი პირის **ინტენციით**, წინ წამოსწიოს **რეალური ანუ აღმქმელი, განმცდელი სუბიექტი.** ამიტომ მას წარმოადგენს „მან"-ის რიგის ნიშნებით. ზმნა ასეთ შემთხვევაში **იმპერსონალური** (უსუბიექტო) ხდება, ხოლო გრამატიკული სუბიექტი იკარგება და არც იგულისხმება.

როგორც ვხედავთ, **ნატვრითობა (დეზიდერატივი)** ქართულში შეიძლება გამოიხატოს **გრამატიკული** და **ლექსიკური** საშუალებებით: ზმნური ფორმით, ნაწილაკებით, მოდალური სიტყვებით, შესაბამისი სემანტიკის ზმნებითა და კონტექსტის მოშველიებით. ამ სემანტიკას აძლიერებს ნატვრის სემანტიკის მქონე ლექსიკური საშუალებები (ნაწილაკები), რომელთაგან აღსანიშნავია ნაწილაკი **ნეტა** (ნეტავ, ნეტავი და სხვ.). ის კავშირებითი კილოს მწკრივებთან ერთად აღნიშნავს ნატვრითობას ან არარეალურ ოცნებას.

შეიძლება გამოიყენებოდეს **პირობითდამოკიდებული წინადადება** მთავარი წინადადების გარეშე (ეს რომ **მანახა!** ფული რომ **მომცა!**).

განხილული მაგალითები კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ კილო ქართულში სემანტიკურად მრავალფეროვანია და ზოგჯერ, გარკვეულ კონტექსტში, თხრობითი კილოს ფორმებსაც (წყვეტილსა და II თურმეობითს) შეუძლია **კავშირებითობის** გამოხატვა.

ნატვრითობის სემანტიკის გადმოსაცემად ხდება ზმნის **წყვეტილის** ფორმის ტრანსსემანტიზაცია, ირეალური ძალა წარმოდგენილია შინაარსისგან დაცლილი **გრამატიკული სუბიექტით**, ზმნა **ინვერსიული** ხდება და განმცდელი პირი (გრამატიკული ობიექტი) გადააზრებულია **რეალურ სუბიექტად.**

მაშასადამე, სურვილის (ან ნატვრის) სემანტიკის თხრობითი კილოს წყვეტილის (აორისტის) ფორმაში ხდება შემდეგი **გრამატიკულ-სემანტიკური** ცვლილებები:

1. **იმპერსონალიზაცია** – იკარგება გრამატიკული სუბიექტის შესაბამისი სახელი და არც იგულისხმება.

2. იცვლება სუბიექტურ და ობიექტურ **პირთა ნიშნების** ფუნქციები: ზმნა ხდება **ინვერსიული,** მაგრამ რეალურად არ არსებობს აქტიური სუბიექტი, რომელიც ზმნის მოქმედებას განახორციელებს. ნატვრის გამომხატველი პირი გრამატიკული ობიექტია, რეალურად – აღმქმელი, განმცდელი სუბიექტი. მაგ., ნეტა/რომ **გა-მ-აგებინ-ა** (მე ის)!

3. ზმნის აგებულებით მოსალოდნელ **პირთა რაოდენობა** იკლებს სუბიექტის იმპერსონალიზაციის გამო გარდამავალ ზმნაში, გარდაუვალ ერთპირიან ზმნასთან კი იგივე რჩება (ფორმით ორპირიანი ხდება):

ა). გარდამავალი **სამპირიანი** ზმნა ხდება **ორპირიანი:** ნეტა/რომ **დამახატვინა** მე ის! (შდრ. დამახატვინა მან მე ის), ნეტა/რომ **მომაფიქრებინა** მე ის! (შდრ. მომაფიქრებინა მან მე ის), ნეტა/რომ **შემაქმნევინა** მე ის! (შდრ. შემაქმნევინა მან მე ის), ნეტა/რომ **ამახსნევინა** მე ის! (შდრ. ამახსნევინა მან მე ის), ნეტა/რომ **მიმაღწევინა** მე მას! (შდრ. მიმაღწევინა მან მე მას); ნეტა/რომ **მომატარა** მე ის! (შდრ. მომატარა მან მე ის).

ბ). გარდამავალი **ორპირიანი** ზმნა ხდება **ერთპირიანი:** ნეტა/რომ **მამოგზაურა** მე! (შდრ. მამოგზაურა მან მე), ნეტა/რომ **მაოცნება** მე! (შდრ. მაოცნება მან მე), ნეტა/რომ **მამუშავა** მე! (შდრ. მამუშავა მან მე).

გ). მნიშვნელოვანია შემდეგი თავისებურება: გარდაუვალი **ერთპირიანი** ზმნა ჩანაცვლებულია **ორპირიანი გარდამავალი** ზმნით, რომელიც შინაარსით **ერთპირიანია**: ნეტა **წამიყვანა** მე! (შდრ. წამიყვანა მან მე; იგივეა, რაც: ნეტა წავიდოდე!), ნეტა შენ გვერდით **მამყოფა**! (შდრ. მამყოფა მან მე, იგივეა, რაც: ნეტა შენ გვერდით ვიყო!), ნეტა ბულბულად **მაქცია**! (შდრ. მაქცია მან მე, იგივეა, რაც: ნეტა ბულბულად ვიქცე!). ნეტა **გამათბო** მე! (შდრ. გამათბო

მან მე, იგივეა, რაც: ნეტა გავთბე!), გამაქცია (მან მე) – ნეტა **გამაქცია** (მე)! (იგივეა, რაც: ნეტა გავიქცეოდე! ნეტა გავიქცე!).

4. გარდა გრამატიკული სუბიექტის დაკარგვისა და ობიექტური პირის ტრანსსემანტიზაციისა, იცვლება **დროც:** ნატვრითობის შემთხვევაში წყვეტილს **მომავლის** გაგება აქვს.

5. ზოგ გარდამავალ ზმნასთან გამოყენებულია **კაუზატივის** ფორმა, რომელსაც დაკარგული აქვს კაუზატიურობის სემანტიკა (დამაწერინა მან მე ის – ნეტა **დამაწერინა** მე ის! დამათესვინა მან მე ის – ნეტა **დამათესვინა** მე ის!). თუკი კაუზატივის სუფიქსის გარეშე ზმნის ფორმა ემთხვევა სემანტიკურად განსხვავებულს, მაშინ მივიღებთ სხვადასხვა შინაარსის მქონე ორ ფორმას: **კაუზატიური** სუფიქსის გარეშე (ნეტა გამათბო! ნეტა დამატკბო!) და **კაუზატიურსუფიქსიანს** (გამათბობინა! დამატკბობინა!).

ასე რომ, ნატვრის ან სურვილის გამოხატვისას ქართულ ზმნაში დასტურდება რამდენიმე გრამატიკულ-სემანტიკური ცვლილება: ყველა ტიპის ზმნის ჩანაცვლება **აქტიური** ფორმით, პირის ნიშანთა **ინვერსია,** გრამატიკული სუბიექტის **დაკარგვა, დროის** ტრანსსემანტიზაცია და ზოგ შემთხვევაში – **კაუზატიური** ფორმის ნეიტრალიზაცია.

ლიტერატურა:

ახ. ქართ. II 2016: ახალი ქართული ენა, წიგნი II*: სალიტერატურო ენის მორფოლოგია. ზმნა* (გ. გოგოლაშვილისა და ა. არაბულის რედაქციით), მერიდიანი, თბილისი.

გამყრელიძე...2003: თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელაია, *თეორიული ენათმეცნიერების კურსი,* თსუ გამომცემლობა, თბილისი.

გოგოლაშვილი 1984: გ. გოგოლაშვილი, *დრო-კილოთა მეორე სერიის ფორმები ახალ ქართულში,* თსუ გამომცემლობა, თბილისი.

გოგოლაშვილი 1988: გ. გოგოლაშვილი, *ქართული ზმნის უღვლილების სისტემა,* მეცნიერება, თბილისი.

კოტინოვი 1959: ნ. კოტინოვი, კილოს კატეგორია ქართულში, *თელავის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები,* ტ. 3, 377-421.

მელიქიშვილი 1978: დ. მელიქიშვილი, „მიჭირს“ ზმნა და მასწავლებლის გასაჭირი, *ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში*, 1978, №4, 81-93.

მელიქიშვილი 2001: დ. მელიქიშვილი, *ქართული ზმნის უღლების სისტემა* (რედაქტორები ე. ბაბუნაშვილი, ი. გიპერტი), ლოგოს პრესი, თბილისი.

მელიქიშვილი 2014: დ. მელიქიშვილი, *ქართული ზმნის სისტემური მორფოსინტაქსური ანალიზი:* სავალდებულო სალექციო კურსი, პროგრამა „ლოგოსი“, თბილისი, 2014.

ნინუა 1967: გ. ნინუა, ბრძანებითი ახალ ქართულში, *ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში,* 1967, №2, 7-10.

ნინუა 1968: გ. ნინუა, *ბრძანებითი კილო ქართულ ენაში,* საკანდ. დისერტაცია (ხელ-ნაწერი), თბილისი.

ოქროპირიძე 1975: ნ. ოქროპირიძე, კავშირებითი კილოს მოდალური ფუნქციები ქართულ ენაში, *საქართველოს სსრ პედაგოგიური ინსტიტუტების შრომები,* ტ. 2, თბილისი, 295-304.

პაპიძე 1981: ა. პაპიძე, II კავშირებითის ნაკვთის ფუნქციები და გამოყენება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, *ქსკს,* წ. IV, მეცნიერება, თბილისი, 146-182.

პაპიძე 1983: ა. პაპიძე, მყოფადის კავშირებითის ნაკვთისათვის ქართულში, *ქსკს,* წ. V, მეცნიერება, თბილისი, 59-80.

პაპიძე 1984: ა. პაპიძე, აწმყოს კავშირებითის ფუნქციებთან დაკავშირებული ზოგი საკითხი, *ქსკს,* წ. VI, მეცნიერება, თბილისი, 81-108.

სამუშია 2011: ლ. სამუშია, მეგრულ-ქართული ინტერფერენციებისათვის, *„სპეკალი“*, 3. http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/3/30

ფეიქრიშვილი 1992: ჟ. ფეიქრიშვილი, *ქართული ენის მორფოლოგია,* სარანგი, ქუთაისი.

ქეგლ V: *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი* (პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით), ტ. V, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1958.

შანიძე 1973: ა. შანიძე, *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები,* I, მორფოლოგია, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1973.

საილუსტრაციო მასალა:

ვაჟა-ფშაველა 1985: ვაჟა-ფშაველა. თხზულებანი, *მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა,* ტ. 66, საბჭოთა საქართველო, თბილისი.

თეიმურაზ I: თეიმურაზ პირველი, *თხზულებათა სრული კრებული* (რედ. ა. ბარამიძე, გ. ჯაკობია), ქართული კლასიკური მწერლობა, ფედერაცია, ტფილისი, 1934.

ორბელიანი 1959 : სულხან-საბა ორბელიანი, სიბრძნე სიცრუისა, *თხზულებანი ოთხ ტომად,* ტ. I (ტომი გამოსაცემად მოამზადეს ს. ყუბანეიშვილმა და რ. ბარამიძემ), საბჭოთა საქართველო, თბილისი.

რუსთაველი 1957: შოთა რუსთაველი, *ვეფხისტყაოსანი* (რედაქტორები ა. ბარამიძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე), სახელგამი, თბილისი.

ჯავახიშვილი 1959: მიხეილ ჯავახიშვილი, *თხზულებანი ექვს ტომად,* ტ. II, საბჭოთა საქართველო, თბილისი.

ინტერნეტწყაროები:

ქეეკ: *ქართული ენის ეროვნული კორპუსი;*
http://gnc.gov.ge/gnc/simple-query?corpus=grc

ქდკ: *ქართული დიალექტური კორპუსი*: http://corpora.co/#/

ბოგვერაძე ჟანეტ: http://mwerali.com/load/zhanet_bogveradze/netav_bavshvobashi_damabruna/22-1-0-1511

გელხვიიძე გულო: http://ok.ru/tirifeb/topic/64269620330673

კახიძე ჯანსულ: http://www.geolyrics.com/6909)
რაზიკაშვილი თედო: http://webmix.ge/tedo1/sleqsi001.html
დიკა სალაყაია: https://ok.ru/leqsebidastatusebi/topic/66042839021006
http://www.geobook.ge/index.php/poem-37
სალუქვაძე ზურა:
https://sites.google.com/a/iliauni.edu.ge/zura-salukvadze12/bed/novela-erti-dghe
ფრუიძე მანანა: http://www.geolyrics.com/1780
შენგელია ალეკო: https://www.medgeo.net/2010/05/03/poems/;
https://ok.ru/picaria/topic/63076375612260

Rusudan Zekalashvili

Grammatical and Semantic Changes in Verbs while Expressing Desire in Georgian

Summary

In Georgian **the desiderative** means can be grammatical and lexical, namely: the appropriate verb forms, particles, modal words and the verbs of corresponding semantics, taking into consideration the existing context. The most frequently used among the lexical desiderative means in Georgian is the particle ***neṭa*** "if only", and its variations, occuring with the subjunctive mood forms of the verbs; as for the grammatical means, conditional subordinate clauses without the principal clause can be used: ***es rom manaxa!*** "If only I could see it!"; ***puli rom momca!*** "If only I had some money!".

The perfect forms of indicative mood are often used to express a wish or desire; in this case, some grammatical-semantic changes are evidenced:

1. Impersonalization – the noun corresponding to the grammar subject is lost, though its marker is maintained in the verb form. The wish or desire is expressed by the speaker as a grammatical object with the verb form of the first person; but, in fact, it is the perceiving subject: ***neṭa gamakcia (me)!*** "If only I could run away" (comp. ***gamakcia (man me)*** "he made me run away", and the first mentioned form is the same as ***neṭa gavikceode!*** "I wish I could run away!"

2. The functions of the subject and object personal markers change in aorist; the suffering subject is indicated by the marker of the ***m***-order and as for the marker of the ***v***-order (the suffix -***a***), it loses its function, not corresponding to any person ***neṭa damaçerina (me) es çigni!*** "I wish I could write this book – here the verb form ***damaçerina (man me is)*** **-** "he made (or helped) me write this book" **–** is not meant).

3. The **number of persons,** alleged by the verb structure, diminishes in the transitive verbs.

a. **A three-person** verb becomes **two-person**, e.g: ***neṭa/rom momapikrebina (me is)!*** "If only I could think over it!" (comp. ***momapikrebina (man me is)*** "he made

(helped) me think over it"; ***neṭa/rom šemakmnevina (me is)!*** "If only I could create this" (comp. ***šemakmnevina (man me is)*** "he made (helped) me create this"; ***neṭa/rom amaxsnevina (me is)!*** "If only I could explain that!" (comp. ***amaxsnevina (man me is)*** "he made (helped) me explain that".

b. A **two-person transitive** verb becomes **one-person:** ***neṭa mamogzaura (me)!*** "I wish I could travel!" (comp. "he made (helped) me travel"; ***neṭa mamušava (me)!*** "I wish I could work!"(comp. ***mamušava (man me)*** "he made (helped) me work".

c. It is worth noting that a **one-person intransitive** verb is replaced by a **two-person transitive** verb by form; which, in fact, is a one-person verb form, e.g.: ***neṭa çamiġvana (me)!*** "I wish someone took me there!" (comp. ***çamiġvana (man me)*** "he took me there"; it is the same as ***neṭa šavidode!*** "I wish I could go there"; ***neṭa š en gverdit mamġopa!*** "I wish I were with you"; (comp. ***mamġopa (man me)*** "he made (let) me be there", that is the same as: ***neṭa šen gverdit viġo!*** "I wish I could be beside you"; ***neṭa gmirad makcia!*** "I wish I could become a hero" (comp. ***makcia (man me)*** "he made me/ transformed me into..."), that is the same as: ***neṭa bulbulad vikce!*** "I wish I could become a nightingale".

4. Besides losing the grammatical subject and trans-semantization of the object, the tense is also changed: the perfect form in the indicative mood usually expresses the past tense, but in the mentioned examples it implies the **future** tense.

5. The **causative** form is sometimes used for the transitive verb, though it loses the semantics of causative (***damaçer-in-a (man me is)*** "he made (helped) me write this" – ***neṭa damaçerina (me is)!*** "I wish I could write this". With the verb of one and the same stem, it is possible to have the suffix-derivation of the causative form as well as the non-suffix derivation, though the derived forms will have different meanings: ***neṭa gamatbo!*** "If only I could keep myself warm" – comp. ***neṭa gamatbobina!*** "If only I could keep this warm".

მარინე ივანიშვილი

ქართულ ენათმეცნიერებაში სტრუქტურალიზმის განვითარების სათავეებთან: აკაკი შანიძე

ამ საკითხისადმი ჩვენი ინტერესი და, შესაბამისად, სტატიის სათაური განაპირობა:

1. *გივი მაჭავარიანის* ცნობილმა სტატიამ აკაკი შანიძის ენის კვლევის სტრუქტურალისტური მიდგომების შესახებ (მაჭავარიანი 1967:50-65).

2. *პატრიკ სერიოს* სულ ახლახან გამოქვეყნებულმა უაღრესად საინტერესო მონოგრაფიამ (სერიო 2015).

ყოველი მეცნიერული თეორია არის განსახილველი ობიექტის ამა თუ იმ თვალსაზრისით შესწავლის შედეგად მიღებულ დებულებათა მწყობრი სისტემა. დროთა განმავლობაში იცვლება ხედვა საკვლევ ობიექტზე, იქმნება ახალი თეორიები, ახალი პარადიგმა ცვლის ძველს და პარადიგმათა ამგვარი მონაცვლეობა განაპირობებს მეცნიერების განვითარებას, მის ახალ საფეხურზე ასვლას. მეცნიერების ისტორია განისაზღვრება იმ იდეების საფუძველზე, რომლებიც მკვიდრდება. ახალ თეორიას ძველი თაობა, როგორც წესი, ძნელად იღებს, მაგრამ ესეც ბუნებრივია. საზოგადოდ, ასეა მეცნიერების ყველა დარგში, ასეა – ენათმეცნიერებაშიც.

ენათმეცნიერების განვითარების გზაზე იცვლებოდა მიდგომები ენის შესწავლისადმი, შესაბამისად, ენობრივი ანალიზიც სხვადასხვა თვალსაზრისით წარმოებდა, სხვადასხვა დონეზე და განსხვავებული რაკურსით. თამაზ გამყრელიძე თეორიული ენათმეცნიერების ისტორიას განიხილავს როგორც „მეცნიერულ პარადიგმათა“ ერთგვარ მონაცვლეობას დროსა და სივრცეში და წარმოდგენილი შვიდი პარადიგმიდან IV პარადიგმის ფარგლებში ასახელებს ფერდინანდ დე სოსიურის „სინქრონიულ ლინგვისტიკას“:

ა) სტრუქტურული ლინგვისტიკა (ნ. ტრუბეცკოი, რ. იაკობსონი);
ბ) დესკრიფციული ლინგვისტიკა (ლ. ბლუმფილდი და ამერიკელი სტრუქტურალისტები...);
გ) ენობრივი ტიპოლოგია და ლინგვისტური უნივერსალიები (ჯ. გრინბერგი, გ. კლიმოვი...) (გამყრელიძე 2008).

პ. სერიოს ზემოთ დასახელებული წიგნიდან მოვიყვან რომან იაკობსონის ტექსტს, რომელიც შეიძლება ჩავთვალოთ სტრუქტურალიზმის ერთ-ერთ მანიფესტად (სერიო 2015:302): „თუ ჩვენ მოვინდომებთ, მოკლედ ჩამოვაყალიბოთ თანამედროვე მეცნიერების მთავარი აზრი მის მრავალფეროვან გამოვლინებაში, უფრო ზუსტ სიტყვას, ვიდრე სტრუქტურალიზმია, ვერ ვიპოვით. მოვლენათა ყოვე-

ლი ერთობლიობა, რომელსაც თანამედროვე მეცნიერება შეისწავლის, განიხილება არა როგორც ნაწილთა მექანიკური ჯამი, არამედ როგორც სტრუქტურული მთლიანობა, როგორც სისტემა და უმთავრესი მიზანია, აიხსნას მისი შინაგანი კანონები სტატიკასა და დინამიკაში. თანამედროვე სამეცნიერო ინტერესთა სფეროში გარეგანი იმპულსი კი არ არის, არამედ ევოლუციის შინაგანი პირობები, არა გარეგანი მექანიკური ფორმების გენეზისი, არამედ მისი ფუნქცია" (იაკობსონი 1929).

მთლიანობა შეიძლება გადმოიცეს ორგვარად:

1. ან მიმართებები გვაძლევს საშუალებას, გამოვავლინოთ არსი, რომელიც „არსებობს", როგორც სამეცნიერო და როგორც ემპირიული ობიექტი;

2. ან მთლიანობის ელემენტები ურთიერთგანპირობებულია ერთიანი ორგანიზმის ნაწილების მსგავსად და „არსებობენ" ფიზიკურად, მაგრამ მათი გაგება შეიძლება მხოლოდ ორგანიზმის ცოცხალი ფუნქციონირებისას მათი როლის მიხედვით.

პირველი არის *სოსიურის* პოზიცია: სისტემა კონსტრუქციაა, რომელიც იგება გარკვეულ თვალსაზრისზე, მეორე კი – *პრაღის ლინგვისტური წრის:* იაკობსონისთვისა და ტრუბეცკოისთვის სისტემურია სამყარო, რეალობა, ამიტომ მათი სამეცნიერო პრაქტიკა შეიძლება დავახასიათოთ, როგორც *ონტოლოგიური სტრუქტურალიზმი* (რა თქმა უნდა, არა ფიზიკური შინაარსით). ენა *სოსიურთან* არის აბსტრაქტული, პოტენციური, ვირტუალური ობიექტი, რომელიც იგება დაპირისპირებებზე, *ტრუბეცკოისთან* და *იაკობსონთან,* პირიქით, მოვლენები არსებობენ იქამდე, სანამ მათ შეისწავლიან" (სერიო 2015:304).

პარადიგმების თეორია ძნელად გამოსაყენებელია ლინგვისტურ იდეათა ისტორიისთვის როგორც ჩანს, ერთი მხრივ, დიდი ხნის მანძილზე სრულიად განსხვავებული პარადიგმები თანაარსებობენ ისე, რომ ერთმანეთს არ ენაცვლებიან. ისეც ხდება, რომ პარადიგმები კი არ უარყოფენ, არამედ ვერ ამჩნევენ ერთმანეთს. ამას გარდა, სკოლების, მოძრაობების, ტენდენციების ზოგიერთ პარადიგმაში შეიძლება შედიოდეს სხვა პარადიგმის ცალკეული ნაწილები, რომლებსაც გადაიაზრებენ და სრულიად ახლებურად იყენებენ. ამიტომ, როგორც პ. სერიო აღნიშნავს, აუცილებელია მეცნიერთა *ტექსტების დაკვირვებით კითხვა,* ეს აგვაცილებს აპრიორულ წარმოდგენებს სკოლებზე, მიმართულებებსა და პარადიგმებზე და მოგვცემს საშუალებას, გამოვავლინოთ ენობრივი სისტემის სირთულე და მრავალფეროვნება. დაწერილი ტექსტის მიმართ სერიოზული დამოკიდებულება ვერ გუობს ვერც წინასწარ შთაბეჭდილებებს და ვერც მკვლევრის მეცნიერული თუ პირადი ფანტაზიით კონცეფციების დაყოფას (სერიო 2015:12). მაგალითად, 1932 წელს იაკობსონისთვის მიწერილ წერილში ტრუბეცკოი აღნიშნავს, რომ სოსიურის „კურსის" კითხვისას მხოლოდ „ძველ ნაგავს" ხედავს (სერიო 2015:21-22), რაც წარმოაჩენს პრაღელების დამოკიდებულებას სხვა ენათმეცნიერული წრეების

მიმართ. თუმცა „ფონოლოგიის საფუძვლების“ ავტორი ფონოლოგიისა და ფონეტიკის გამიჯვნისას აშკარად ეყრდნობა *ენისა და მეტყველების* სოსიურისეულ ოპოზიციას, ოღონდ სოსიური ამ წიგნში მხოლოდ ერთხელ არის ნახსენები და ეს არის ერთადერთი შემთხვევა ტრუბეცკოის მთელ შემოქმედებაში, როცა მან სოსიური დადებითად მოიხსენია (სერიო 2015:21). მოგვიანებით (მეორე მსოფლიო ომის შემდეგ) სოსიურის შემდეგდროინდელი სტრუქტურალიზმის უნიფიცირებული სახე ყველამ აღიარა.

ამ პასაჟის კითხვისას კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ თავად ავტორები იღებენ ტრაგიკულად მათგან განსხვავებულ ხედვებს, თორემ მეცნიერების განვითარების თვალსაზრისით ასეთი განსხვავებული ხედვები სწორედაც რომ მისასალმებელია. ამიტომ მე აქ ვერ ვხედავ ტრაგედიას, ალბათ, ავტორები უნდა გათავისუფლდნენ ამბიციებისგან და ისტორია თავად დაალაგებს ყველაფერს. თუმცა ისტორია, მოგეხსენებათ, არ არის მარტივი მდინარება დროისა, მისი თანმხლები კატაკლიზმები ყოველთვის აისახება ხალხის არა მარტო ეკონომიკურ, არამედ, უპირველეს ყოვლისა, მის სულიერ ყოფაზე. მაგალითად, საბჭოეთის დროის იდეოლოგიური წნეხის გამო ენათმეცნიერები დაგვიანებით ან საერთოდ ვერ ეცნობოდნენ თავიანთი თანამედროვე უცხოელი კოლეგების ნაშრომებს (მით უმეტეს, ემიგრანტებისას), რაც განაპირობებდა საბჭოთა ენათმეცნიერების ჩაკეტილობას, ხელს უშლიდა ლინგვისტური იდეებისა და თეორიული სიახლეების ურთიერთგაზიარებას. როგორც ჩანს, მაგალითად, გიორგი ახვლედიანი მხოლოდ მას შემდეგ გასცნობია ნიკოლოზ ტრუბეცკოის ნაშრომს „ფონოლოგიის საფუძვლებს“, როდესაც იგი ითარგმნა გერმანულიდან რუსულად და გამოიცა საბჭოთა კავშირში. მანამდე გიორგი ახვლედიანი დამოუკიდებლად ავითარებდა თავის მოსაზრებებს ქართული ენის თანხმოვანთა სამეულთა სისტემაზე. მის მიერ გამოთქმული შეხედულებები ჩამოყალიბებულია 1922-26 წლებში გამოქვეყნებულ სტატიებში. გ. ახვლედიანის მსჯელობა ქართული ენის სამეულთა სისტემაზე ამჟღავნებს საოცარ მსგავსებას ნ. ტრუბეცკოის „ფონოლოგიის საფუძვლებში“ განხილული კორელაციისა და ფონემათა კორელაციური კონების მაგალითებთან. ასევე, რომან იაკობსონი ახვლედიანის ნაშრომს ქართული და კავკასიური აბრუპტივების შესახებ მხოლოდ 1951 წელს გაეცნო ლ. შჩერბასადმი მიძღვნილი სამეცნიერო კრებულიდან. მოგვიანებით მან დაწერა სპეციალური ნაშრომი აბრუპტივების შესახებ, რომელიც დაიბეჭდა 1968 წელს მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში. აქ იგი მაღალ შეფასებას აძლევს გ. ახვლედიანის წვლილს ქართული და კავკასიური აბრუპტივების კვლევის საქმეში (ბოლქვაძე 2015:XVI).

სტრუქტურული ლინგვისტიკის დიფერენციალური ნიშან-თვისებები შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი ოთხი პრინციპის მიხედვით:

1. *დისკრეტულობის პრინციპი:*

ენა შედგება სასრული რაოდენობის დისკრეტული ელემენტებისგან;

2. *სტრუქტურულობის პრინციპი:*

ენა წარმოადგენს დისკრეტული ელემენტების არა რაღაც მოუწესრიგებელ სიმრავლეს, გროვას, არამედ გარკვეული წესით ორგანიზებულ სისტემათა ერთობლიობას, ანუ სტრუქტურას, სადაც თითოეული ერთეულის ფუნქცია განისაზღვრება არა იზოლირებულად, არამედ სხვა ერთეულებთან მიმართებაში;

3. *ფუნქციონალური ეკვივალენტობის პრინციპი:*

ენის თვალსაზრისით იდენტურია ის, რაც ფუნქციურად ეკვივალენტურია. ფორმალური იგივეობა (ე.ი. იგივეობა გამოხატულებისა) არ არის საკმარისი და აუცილებელი პირობა ენობრივი ერთეულის იდენტიფიკაციისთვის;

4. *სინქრონიულობის პრინციპი:*

ენობრივ ერთეულთა გამოყოფა, მათი გაერთიანება სტრუქტურულ კლასებში და მათ შორის ფუნქციონალურ დამოკიდებულებათა დადგენა შესაძლებელია მხოლოდ სინქრონიული ანალიზის საფუძველზე. დიაქრონია განიხილება როგორც ცალკეულ სინქრონიულ ჭრილთა თანმიმდევრობა დროში, ანუ, უფრო ზუსტად, როგორც პროცესი გადასვლისა ერთი სინქრონიული მდგომარეობიდან მეორეში.

ზემოხსენებულ ოთხ პრინციპს ემყარება ენის სტრუქტურული ანალიზის მთელი პროცედურა, რომლის საშუალებითაც მკვლევარი ცდილობს, გამოყოს ენობრივი ერთეულები და კატეგორიები და აღმოაჩინოს მათ შორის არსებული ფუნქციონალური დამოკიდებულებანი.

რამდენადაც აკაკი შანიძის მოძღვრებაში მთავარი ადგილი მორფოლოგიას უკავია, შემოვიფარგლებით მხოლოდ მორფოლოგიური ანალიზის პროცედურათა განხილვით. სტრუქტურული ლინგვისტიკის თვალსაზრისით მორფოლოგიური ანალიზის მიზანს შეადგენს მორფოლოგიის ძირითადი ერთეულების მორფების/მორფემების გამოყოფა (იხ. მორფების მორფემებად გაერთიანების VI პრინციპი), მორფემათა პარადიგმატული და სინტაგმატური კლასებისა და მათ შორის არსებულ მიმართებათა დადგენა და, ბოლოს, გრამატიკულ მნიშვნელობათა, უფრო ზოგადად, გრამატიკულ კატეგორიათა სისტემის აგება, რაც ა. შანიძის მორფოლოგიური კვლევა-ძიების მთავარი მიზანია.

მორფოლოგიური ანალიზის პროცედურა, რომელსაც იყენებს ა. შანიძე, ზოგ მომენტში განსხვავდება ზემოთ სქემატურად აღწერილი პროცედურისგან. გ. მაჭავარიანი აღნიშნავს ამ განსხვავებებს:

1. მორფოლოგიური ანალიზი არ ემყარება წინასწარ ჩატარებულ ფონოლოგიურ ანალიზს. ეს გარემოება ზოგჯერ ჩქმალავს სხვაობას მორფემათა ვარიანტებს (ალომორფებს) შორის და არ გვაძლევს ე.წ. მორფოფონემატურ მონაცვლეობათა ამომწურავი აღწერილობის შესაძლებლობას. მეორე მხრივ, როგორც ცნობილია, გრაფემულად ჩაწერილი ქართული ტექსტი საკმაოდ უახლოვდება, ზოგჯერ კი თითქმის ემთხვევა ფონემურად ჩაწერილ ტექსტს, რაც რამდენადმე ამცირებს მითითებული განსხვავების მნიშვნელობას. რუსულის ან ინგლისურის-

თვის ამ განსხვავებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა (მაჭავარიანი 1967: 54-55). ვფიქრობთ, რომ შეფასება ცოტა მკაცრია, რადგან ა. შანიძის „გრამატიკის საფუძვლებში“ მორფოლოგიურ კატეგორიაზე მსჯელობისას თითქმის ყოველთვის მითითებულია დიალექტური თუ ზეპირი მეტყველების მაგალითები, რაც ავსებს სურათს ალოფონების თვალსაზრისით (შდრ. S_2 და O_3 პირის ნიშნების ანალიზი) (შანიძე 1973:173-180).

2. მორფების გამოყოფის პროცედურა არ არის წარმოდგენილი როგორც მორფოლოგიური ანალიზის პირველი ეტაპი. იგულისხმება, რომ სეგმენტაცია უკვე ჩატარებულია და მნიშვნელობით აღჭურვილი უმცირესი მონაკვეთების (მორფების) გამოცალკევება არ მოითხოვს სპეციალურ დასაბუთებას. ტერმინი „მორფემა“, რომელსაც არაიშვიათად ვადასტურებთ ა. შანიძესთან, იხმარება როგორც ფორმანტის, აფიქსის სინონიმი (შანიძე 1953:33, 333 და სხვ.). შეიძლება ვიფიქროთ, რომ არსებითი მნიშვნელობა ამ განსხვავებასაც არა აქვს, მაგრამ, თუ შევეცდებით სეგმენტაციის პროცედურის თანმიმდევრულ რეალიზაციას წმინდა სინქრონიულ საფუძველზე, ჩვენ წინაშე წამოიჭრება ზოგი პრობლემა, რომელთა გადაწყვეტა აუცილებელია ადეკვატური და, შეძლებისდაგვარად, ამომწურავი მორფოლოგიური მოდელის აგებისათვის.

3. ა. შანიძის გრამატიკული მოძღვრება არ იცნობს მორფემის (ინვარიანტის) და, მაშასადამე, აგრეთვე ალომორფის (ვარიანტის) ცნებას. მაგალითად, არს. სახ. მხ. რ. ნათ. ბრ.-ის მორფემა თანამედროვე მეტაენით ჩაიწერება შემდეგნაირად:

{-ის} - {-ის/-ის(ა) ~ -ს(ი) ∞ -ი/ø}

ცხადია, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ა. შანიძე ვერ ხედავდეს ერთი და იმავე გრამატიკული მნიშვნელობის გამომხატველ, მაგრამ ფორმალურად განსხვავებულ ელემენტთა ფუნქციონალურ იგივეობას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მორფემა, როგორც ენის მინიმალური ინვარიანტული ერთეული, რომელიც აღჭურვილია ნიშნის ფუნქციით, ვერ პოვებს ადგილს მის კონცეფციაში. მეორე მხრივ, ა. შანიძის გრამატიკული მოძღვრება ხასიათდება არაერთი არსებითი ნიშნით, რომლებიც ამჟღავნებენ ორგანულ ნათესაობას სტრუქტურული ლინგვისტიკის სახელმძღვანელო პრინციპებთან და მეთოდებთან.

რა მეთოდებით ხელმძღვანელობს ა. შანიძე მორფოლოგიურ კატეგორიათა დადგენის პროცესში? ზემოთ ნათქვამი იყო, რომ ტექსტის პირველადი სეგმენტაციისა და მორფების გამოყოფის პროცედურას ა. შანიძე დამოუკიდებელ ღირებულებას არ ანიჭებს. ივარაუდება, რომ მორფები უკვე გამოყოფილია და მთელი ყურადღება გადატანილია გრამატიკული სემანტიკის ანალიზზე. ანალიზის პროცედურა შემდეგნაირად არის აგებული: მკვლევარი ცდილობს, შეარჩიოს ისეთი ფორმები (resp. სიტყვები, ან როგორც ზოგჯერ უწოდებენ, „გრამატიკული სიტ-

ყვები“), რომლებიც ერთმანეთისაგან მინიმალურად განსხვავდებიან როგორც გამოხატულებით, ისე მნიშვნელობით. მინიმალური განსხვავება გულისხმობს, რომ შესადარებელი ფორმები ერთმანეთს უპირისპირდებიან მხოლოდ ერთი რომელიმე თვალსაზრისით, ერთი ფორმალურ-სემანტიკური ნიშან-თვისებით, მაშინ, როდესაც ყველა სხვა თვალსაზრისით ისინი იდენტური არიან. ამგვარ მინიმალურ ფორმალურ-სემანტიკურ განსხვავებათა არსებობა არის გრამატიკულ მნიშვნელობათა (resp. კატეგორიათა) გამოყოფის საფუძველი. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ამ პროცედურაში ფორმა, გამოხატულება, უფრო ზუსტად, გამოხატულების პლანის უმცირესი მონაკვეთი, რომელსაც ჰიპოთეტურად რაღაც მნიშვნელობა მიეწერება, ე.ი. მორფი, მიღებულია როგორც *დამოუკიდებელი ცვლადი,* ხოლო მნიშვნელობა (სემანტიკა) *დამოკიდებული ცვლადის* როლში გამოდის. თუ ფორმის მინიმალურ შეცვლას თან სდევს შესაბამისი ცვლილება მნიშვნელობის პლანში, მაშინ მკვლევრის წინასწარი ვარაუდი, რომ მოცემული სეგმენტი (ე.ი. ფონემათა ან გრაფემათა მოცემული რიგი) მორფია და, მაშასადამე, მას გარკვეული მნიშვნელობა (გრამატიკული მნიშვნელობა) მიეწერება. დადასტურებულია და ამით მოპოვებულია საფუძველი მორფოლოგიური კატეგორიის გამოყოფისთვის. ფორმათა შენაცვლების ამგვარ ხერხს (მინიმალურ ფორმალურ-ფუნქციონალურ სხვაობათა გამოვლენის მიზნით) თანამედროვე ენათმეცნიერებაში ჩვეულებრივ *სუბსტიტუციას* უწოდებენ, რასაც ა. შანიძე იყენებს მორფოლოგიურ კატეგორიათა დადგენის პროცესში.

ვნახოთ, რა მიმართებაშია ა. შანიძის კვლევის პრინციპები ზემოთ ჩამოთვლილ სტრუქტურული მიდგომის 4 პრინციპთან:

1. სრულიად აშკარაა, რომ ა. შანიძის პროცედურა გულისხმობს დისკრეტულობის პრინციპის აღიარებას: აფიქსები (ფორმანტები) და მათი შესაბამისი გრამატიკული მნიშვნელობანი დისკრეტული ერთეულებია.

2. სტრუქტურულობის პრინციპი აგრეთვე წარმოადგენს ა. შანიძის კონცეფციის ერთ-ერთ ქვაკუთხედს: ენა, კერძოდ, ენის მორფოლოგიური აგებულება განიხილება როგორც პარადიგმატულ ოპოზიციათა სისტემა, სადაც თითოეული ელემენტის ფუნქცია განისაზღვრება სხვა ელემენტებთან მიმართებაში: *დავწერე* სრული ასპექტია იმიტომ, რომ მას უპირისპირდება *ვწერე,* რომელიც უსრულ ასპექტს გამოხატავს. *ი-წერს* სასუბიექტო ქცევაა იმიტომ, რომ მას უპირისპირდება *წერს* (ნეიტრალური ქცევა) და *უ-წერს* (საობიექტო ქცევა) და ა.შ. იქ, სადაც ოპოზიცია არა გვაქვს, არც გრამატიკული კატეგორია გამოიყოფა.

3. ადვილად შეიძლება დავრწმუნდეთ იმაში, რომ ა. შანიძე ხელმძღვანელობს ფუნქციონალური ეკვივალენტობის პრინციპითაც, რომელიც, თავის მხრივ, მჭიდროდ უკავშირდება სტრუქტურულობის პრინციპს. იგი შედარებით იშვიათად მიმართავს *დისტრიბუციულ* კრიტერიუმს და არ იყენებს მას, როგორც ლინგვისტური ანალიზის აშკარად ფორმულირებულ მეთოდს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ

მორფოლოგიური კომბინატორიკა, საკითხი მორფემათა განლაგებისა, რიგისა სიტყვის ფარგლებში (ე.წ. მორფოტაქტიკა) და სხვა ანალოგიური პრობლემები ა. შანიძეს სპეციალური კვლევის საგნად არ გაუხდია.

4. სინქრონიულობის პრინციპი ავტომატურად გამომდინარეობს სტრუქტურულობის პრინციპიდან. ა. შანიძე მორფოლოგიურ კატეგორიათა გამოყოფისას ხელმძღვანელობს ფორმათა შეპირისპირების, მინიმალურ ფორმალურ-ფუნქციონალურ ოპოზიციათა დადგენის მეთოდით, რომელიც სინქრონიულია, და სხვაგვარი არც შეიძლება იყოს.

გ. მაჭავარიანი სვამს კითხვას: რასთან გვაქვს საქმე – შეგნებულ, აშკარად გამოხატულ სტრუქტურულ მიდგომასთან, თუ, ასე ვთქვათ, „სტიქიურ სტრუქტურალიზმთან", რომელიც მეტი ან ნაკლები დოზით ყოველი ნიჭიერი ლინგვისტის შრომებში შეიძლება აღმოვაჩინოთ? და თავადვე პასუხობს:

ა. შანიძეს არ შეუქმნია ენის ზოგადი თეორია და არ ჩამოუყალიბებია ამოსავალი პოსტულატები, რომლებიც საფუძვლად უძევს კვლევის მეთოდებს. მას რომ ასეთი თეორია შეექმნა, ეჭვი არ არის, ამ თეორიას აშკარად გამოხატული სტრუქტურალისტური ხასიათი ექნებოდა. არსაიდან არ ჩანს, აგრეთვე, რომ „გრამატიკის საფუძვლების" ავტორი ხელმძღვანელობდა რომელიმე ცნობილი ზოგადლინგვისტური კონცეფციით. ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, ის ევრისტიკული ხერხები, რომლებსაც ასე ეფექტურად იყენებს ა. შანიძე, მორფოლოგიური ანალიზის პროცესში, თავდაპირველად, ინტუიციურად იყო მიგნებული მის მიერ და არ იყო დედუცირებული ამა თუ იმ ზოგადი თეორიიდან, მაგრამ ერთხელ მიგნებული ხერხები კვლევა-ძიებისა ა. შანიძემ შეგნებული რეფლექსიის საგნად აქცია და თანდათანობით გამოიმუშავა მორფოლოგიური ანალიზის ექსპლიციტურად ჩამოყალიბებული პროცედურა. მორფოლოგიური ანალიზის აპარატის ამგვარი ექსპლიციტურობა უფლებას გვაძლევს, დავახასიათოთ ა. შანიძის თვალსაზრისი, როგორც შეგნებულად „სტრუქტურალისტური" (მაჭავარიანი 1967:61). მართლაც, „გრამატიკის საფუძვლების" ავტორი არა მარტო გადმოგვცემს თავისი კვლევა-ძიების შედეგებს, არამედ გვიჩვენებს იმასაც, თუ რა გზით, რა მეთოდების გამოყენებით მიიღო მან ეს შედეგები. მოვუსმინოთ თვით ა. შანიძეს: ახალი კატეგორიის დადგენა შედეგია იმისა, რომ გრამატიკული ფაქტების კვალიფიკაციის დროს (მკვლევარს) კრიტერიუმად მომარჯვებული უნდა ჰქონდეს ფორმათა შეფარდების ხერხი, დაყრდნობილი სხვების მიმართ ერთგვარ, მაგრამ ურთიერთშორის განსხვავებულ ფორმათა პირისპირ არსებობის საფუძველზე. ეს პრინციპი თავიდან ბოლომდე *სისტემებრ* უნდა იყოს გატარებული და ყოველმხრივ დაზუსტებული. ეს არის წინაპირობა ზოგიერთი გადაუდებელი *სტრუქტურული* საკითხის გადასაწყვეტად სხვა ენათათვისაც (შანიძე 1973:010-011). ამის ერთ-ერთ მაგალითად ა. შანიძე განიხილავს გრამატიკული დროისა და თანამდევრობის საკითხს ქართულში: „ერთზე მეტი აწმყო", „ორი მყოფადი", „რამდენიმე ნამყო"

(თუ ამ ტერმინებში დროის კატეგორიას ვიგულისხმებთ, როგორც აქამომდე იყო) წიგნში თუ შეიძლება შეგვხვდეს, თორემ ენაში არა. მაგრამ ამას დანახვა უნდა; დანახვა კი შესაძლებელია მწკრივის შედგენილობის სწორი ანალიზით. თუ, ვთქვათ, მოგვეპოვება ორი ფორმა, განსხვავებული როგორც ბგერითი შედგენილობით, ისე გრამატიკული შინაარსით (როგორც ეს არის, მაგალითად, ინგლისურის „ორი აწმყოს“ შემთხვევაში), ცხადია, ისინი სხვადასხვა ფორმებია და გაუგებრობის წყარო სწორედ ის არის, რომ მათ ერთი და იმავე სახელით აღნიშნავენ და ეს სახელი დროის კატეგორიაზე მიგვითითებს. იგივე შეიძლება ითქვას „ორი მყოფადის“ შესახებაც ფრანგულში, გერმანულში ან სხვა რომელსამე ენაში. არ შეიძლება „ორი მყოფადი“ გვქონდეს, არამედ შეიძლება გვქონდეს ორი მწკრივი, რომლებიც ერთნია დროის კატეგორიის თვალსაზრისით (ორივე მომავლის გაგებას გვაძლევს), მაგრამ განსხვავდებიან სხვა კატეგორიის მიხედვით, რომელსაც თანამდევრობას ვუწოდებ. საზოგადოდ, დროის კატეგორია წარმოდგება ერთი მოქმედების შეფარდებისგან საუბრის მომენტთან, თანამდევრობისა კი – ორი მოქმედების ურთიერთშეფარდებისგან წარსულში ან მომავალში. ამ შეფარდების მიხედვით ირკვევა, რომ ორივე მოქმედება *სინქრონიულია* (ერთდროულია) ან *დიაქრონიული* (სხვადროულია). დიაქრონიის შემთხვევაში ვარჩევთ მოქმედების *უწინარესსა* და *შემდგომს,* ანუ *ანტერიორულსა* და *პოსტერიორულს.* თუ ასეთი თვალსაზრისით შევხედავთ „ორი მყოფადის“ საკითხს, სულ ადვილად დავწმუნდებით, რომ განსხვავებას მათ შორის ქმნის არა დრო, არამედ თანამდევრობა: ერთი უწინარესი, მეორე – შემდგომი. წარსულში შეიძლება გამოხატულ იქნეს არა მარტო დიაქრონიულობა (უწინარეს-შემდგომობა), არამედ სინქრონიულობაც“ (შანიძე 1973:011).

ამგვარად, *ფორმისა* და *ფუნქციის* ურთიერთობის საკითხი გრამატიკაში, რაც ეგრე მწვავედ დგას ენის სტრუქტურული საკითხების შესწავლის დარგში, „საფუძვლებში“ მრავლად კონკრეტულ მაგალითზეა დადასტურებული როგორც სახელებში (§154), ისე ზმნებში (§234, 240,272, 285, 296, 340 და სხვ.) (შანიძე 1973:012). ეს მსჯელობა მკვლევრის მიერ ენის *სტრუქტურული კვლევის* ნიმუშია (შდრ. ტერმინები: *სინქრონიულობა* და *დიაქრონიულობა, ანტერიორული* და *პოსტერიორული, ფორმა* და *ფუნქცია).*

ა. შანიძეს აინტერესებს არა მარტო „როგორ“, არამედ აგრეთვე „რატომ“, ე.ი. არა მარტო მოვლენის აღწერითი მხარე, არამედ ამ მოვლენის ისტორიული თუ სხვა საფუძველი. ისტორიული თვალსაზრისი მოშველიებულია მრავალგან: ახალი ბრუნვების წარმოშობის საკითხი (§93,95), ძველი კონსტრუქციის ნაშთების დროს მსაზღვრელ-საზღვრულთან (§134), ხანმეტობის ნაშთების ახსნისას (§216), ობ. პირის მრავლობითად გამოხატვის საკითხში (§226), სუბ.-ობ. ნიშნების რიგის შემთხვევაში (§229), ასპექტის მოვლენათა ახსნაში, კერძოდ, დროის გადაწევის ასახსნელად (§339) და სხვაგანაც. მაგრამ ყველგან ზომიერებაა და-

ცული, ავტორი არ ცდილა, ისტორია მოეცა, მისი მიზანი იყო *აეხსნა დღევანდელ ენაში შემონახული ნაშთები*, რომლებიც გაუგებარი გამხდარან დღევანდელი ნორმების თვალსაზრისით, რათა გასაგები გაეხადა ისინი მკითხველისთვის ფორმათა ისტორიული განვითარების საფუძველზე (შანიძე 1973:013). ეს მსჯელობაც ენის სტრუქტურული კვლევის ნიმუშია, კერძოდ, პრაღის სკოლის მიდგომებისა. ვინაიდან პრაღის სკოლის მიდგომას განიხილავენ როგორც სტრუქტურალიზმისა (კონტექსტის უმთავრესი მნიშვნელობის აღიარება) და ფუნქციონალიზმის (ყოველი ენობრივი ერთეული ან კომპონენტი – ფონემა, მორფემა, სიტყვა, წინადადება – არსებობს იმიტომ, რომ მას გარკვეული ფუნქცია აკისრია) ნაზავს; ისინი ყურადღებას ამახვილებდნენ არა მხოლოდ ენის, არამედ მისი თითოეული ელემენტის ფუნქციაზე სისტემაში, ხოლო ენის ანალიზისას სინქრონიული და დიაქრონიული მიდგომა მჭიდრო კავშირში გაიაზრება. ენა სისტემათა ანუ სუბსისტემათა სისტემაა. ისინი, სოსიურისაგან განსხვავებით, მკვეთრად არ გამიჯნავენ ერთმანეთისგან სინქრონიას და დიაქრონიას. სოსიურის მიერ ენის კვლევა ეფუძნება *მტკიცებას ენის სისტემური ბუნების* შესახებ, რაც მეტია, ვიდრე მისი ნაწილების ჯამი; ენობრივ ელემენტთა ფარდობითობის კონცეფციას, სადაც ენობრივი „ერთეულები" განისაზღვრება ერთმანეთის მიმართ შეთანხმებისა და კონტრასტის თვალსაზრისით; *ენობრივ ელემენტთა შემთხვევითი ბუნების კონცეფციას*, სადაც ეს ელემენტები განისაზღვრება მათი ფუნქციისა და დანიშნულების და არა ნიშანდობლივი თვისებების მიხედვით.

საყურადღებოა აკაკი შანიძის შემდეგი მითითებაც: „ზოგიერთ გრამატიკულ ფაქტორს იმდენი თავისებურება ახლავს, რომ ძნელია ყველა მათგანის ერთბაშად გათვალისწინება, მაგრამ *ენათმეცნიერი მოვალეა* ყველა მათგანს გაუწიოს სათანადო ანგარიში და მოვლენას უყოს კვალიფიკაცია. აი, თუნდ საკითხი საწყისის ანუ მასდარის შესახებ: საწყისი იბრუნვის, წინადადებაში გამოყენებულია სუბიექტად ან ობიექტად, მაშასადამეო, შეიძლება ვინმემ დაასკვნას, მასდარი სახელიაო. მაგრამ ეგრე მარტივი როდია საქმე. საწყისს ახლავს მთელი რიგი მორფოლოგიურისა და სინტაქსური ნიშნებისა, რომელთა მიხედვით ის ზმნის სისტემიდან გამოსულად და სახელებში გადარიცხულად ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჩაითვლება (ჯერ მოკლედ §43, შნშ. 1) და თუ სადმე აქვს მას ადგილი, უპირველესად ზმნებში. იგივე ითქმის მიმღეობის შესახებაც" (შანიძე 1973:013).

ა. შანიძე საკითხის გაშუქების დროს მოიხმობს ხოლმე ძველი ქართულის მასალების ან კილოების მიერ მოწოდებულ ფაქტებს. განსაკუთრებით საინტერესოა მკვლევრის დამოკიდებულება ენათა ტიპოლოგიურ და არეალურ მასალასთან. ენათა ტიპოლოგიური და არეალური კვლევა სრულიად ახალი მიმართულებაა თანამედროვე ლინგვისტიკაში. აკაკი შანიძე ამ შემთხვევაშიც წინ უსწრებს დროს, მისი აზრით, ზოგიერთი მოვლენის ნათელსაყოფად საჭირო გახდა ქართულის შედარება სხვა ენებთან, მაგალითად, „თანა"-ს საკითხი სომხურთან და

სპარსულთან (§159), ასონანსის საკითხები სპარსულთან და თურქულთან (§184, შნშ.2), გეზისა და ორიენტაციის საკითხები არაბულთან და რუსულთან (§318), ასპექტის საკითხები ბერძნულთან და სლავურთან (§334), კონტაქტის ფორმებზე მსჯელობისას და სხვა, მაგრამ ყველაგან ზომიერებაა დაცული, რომ წიგნი ზედმეტი დეტალებით არ დატვირთულიყო და პირდაპირ მიზანს ასცდენოდა.

იგივე ითქმის შედარებული მასალის შესახებაც ქართველური ენებიდან, ასევე სხვა ენის ქართულზე გავლენის საკითხის სუბსტრატის პრობლემის ზოგიერთი საკითხის კვლევის დროს (§171) და სხვ.

აკაკი შანიძე *ფორმისა* და *ფუნქციის* სადავო საკითხების გადაწყვეტისას უპირატესობას *ფუნქციას* ანიჭებს: „იქ, სადაც ფუნქციას აღარ შეეფერება ის გრამატიკული სამოსი, რომელსაც ის ატარებს, გამოსავალია ფუნქცია და სიტყვის გრამატიკული კვალიფიკაცია ახალი შინაარსის მიხედვით უნდა მოხდეს“ (§144, შანიძე 1973:186).

საზოგადოდ, საკითხი იმის შესახებ, თუ რა ქმნის გრამატიკულ ფორმას და რა კატეგორიასთან გვაქვს საქმე, ან როგორია ეს კატეგორია, ნამდვილი თუ მოჩვენებითი, წყდება არა აბსტრაქტულად, სხვა ფორმებისგან მოწყვეტით, არამედ ამა თუ იმ კონკრეტული ვითარების მიხედვით, *რა რას უპირისპირდება და რა ნიშნის მიხედვით უპირისპირდება.* „საფუძვლების“ ავტორი სტრუქტურული საკითხების კვლევა-ძიების დროს შორს არის ფორმალისტური მეთოდისგან. ფუნქციის წამოწევა და მისთვის სათანადო ადგილის მიჩენა, აი, რა არის დამახასიათებელი და წითელი ზოლივით გატარებული მთელ წიგნში.

ფორმისა და ფუნქციის საკითხების კვლევა-ძიებამ ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგები მოგვცა უღლების დარგში: დადგენილ იქნა მწკრივი და მისი შემადგენელი ელემენტები, მწკრივის კატეგორია გაემიჯნა დროსა და კილოს და მტკიცე ზღვარი დაიდო მათ შორის.

„ქართული ზმნის უღლებადი ფორმების სერიებად და მწკრივებად დაყოფის აკაკი შანიძისეული პრინციპი იდეალური მაგალითია იმისა, როდესაც დაცულია იმანენტური კვლევის პრინციპები: ზმნური ფორმები კლასიფიცირებულია გრამატიკული მორფოსინტაქსური კრიტერიუმით, რამაც გამოავლინა ქართული ენის ზმნური შესიტყვების სპეციფიკა სხვა ტიპის ენებთან მიმართებით“ (მელიქიშვილი 2014).

ისტორიული თვალსაზრისის გამოყენება და დიალექტურ ფორმათა მოყვანა შედარების მიზნით კიდევ უფრო საჭირო გახდა უღლების განხილვისას (§445-567). მართლაც, თუ ისტორიას არ მივმართეთ, საიდან უნდა გავიგოთ, რა არის *ი*, რომელიც „ვუნდივარ“-ში გვაქვს, ან რა უძევს საფუძვლად პარალელური ფორმების ხმარებას, როგორებიცაა: *დაეშავა* და *დაეშავებინა* (§491), *წავეკიდეთ* და *წავეკიდენით* (§497) და სხვა? ერთი სიტყვით, თუ გვინდა არა მარტო ფაქტობრივი ვითარების გაცნობა, არამედ მისი სათანადო ახსნა, აუცილებელია

ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენება, რაც ამ წიგნში ბევრგან გვხვდება (შანიძე 1973:019).

აკაკი შანიძე *მწკრივის* რაობაზე მსჯელობისას, როდესაც სვამს კითხვას – არის თუ არა მწკრივი გრამატიკული კატეგორია? წერს: „რომ სწორი პასუხი გავცეთ ამ კითხვას, უნდა მოვიგონოთ, რომ ყოველგვარი გრამატიკული კატეგორია ყალიბდება საპირისპირო ფორმათა არსებობის ნიადაგზე (§40), თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ მწკრივებს, დავრწმუნდებით, რომ ერთი რომელიმე ჯგუფი, რომელსაც მწკრივი ეწოდება, ისეთ მიმართებაშია დანარჩენებთან, როგორც სხვა რომელიმე – ყველა დანარჩენთან. ისინი ერთგვარ მოვლენას ასახავენ ენაში, ერთმანეთს თანაბრად შეეზომებიან, თითქმის ყველას ერთი და იგივე რაოდენობა აქვთ ფორმებისა, თითოეულ მათგანთან გარკვეული ცნებაა დაკავშირებული და ყველა ერთად წარმოდგენას გვაძლევს, რომ ისინი შეადგენენ საპირისპირო სახეებს ზოგადი კატეგორიისას (შანიძე 1973:216). მწკრივი კატეგორიაა, ოღონდ სხვა კატეგორიები მარტივია, დაუშლელია, მწკრივი კი რთულია და შეიცავს რამდენიმე კატეგორიას, ელემენტებად წოდებულს, ქართულში უმთავრესად დროსა და კილოს. ძალიან საინტერესოა მწკრივის სახელდებასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიური მსჯელობაც. მთავარია, მოვლენის არსებითი მხარე არ დაიჩრდილოს და დავარქვათ მწკრივებს თუნდაც ხეების სახელებიო (შანიძე 1973:217).

დავუბრუნდეთ გივი მაჭავარიანის შეფასებას: ა. შანიძის გრამატიკული მოძღვრება ძირითად მომენტებში შეიძლება განვსაზღვროთ როგორც ერთ-ერთი ადრინდელი ნაირსახეობა სტრუქტურალიზმისა მორფოლოგიის სფეროში. მის მიერ შემუშავებული პროცედურა მორფოლოგიური ანალიზისა ნათლად გამოხატულ „სტრუქტურალისტურ“ ხასიათს ატარებს. სტრუქტურალიზმის მიმდინარეობათაგან ა. შანიძის გრამატიკული შეხედულებანი ყველაზე მეტ საერთოს პრაღის სკოლის (ე.წ. „ფუნქციონალური ლინგვისტიკის“) იდეებთან და მეთოდებთან ამჟღავნებენ: „ფუნქციის წამოწევა და მისთვის სათანადო ადგილის მიჩენა“, პარადიგმატული ასპექტის უპირატესობა სინტაგმატურთან შედარებით, ერთგვარი მიდრეკილება ბინარიზმისკენ ის ნიშან-თვისებებია, რომლებიც გვაძლევენ უფლებას, ა. შანიძის გრამატიკული მოძღვრება პირველ რიგში სწორედ „ფუნქციონალური ლინგვისტიკის“ თავისებურ ვარიანტად მივიჩნიოთ (მაჭავარიანი 1967:63-64).

მართლაც, პრაღის სკოლის მიდგომა განიხილება როგორც სტრუქტურალიზმისა (კონტექსტის უმთავრესი მნიშვნელობის აღიარება) და ფუნქციონალიზმის (ყოველი ენობრივი ერთეული ან კომპონენტი – ფონემა, მორფემა, სიტყვა, წინადადება, – არსებობს იმიტომ, რომ მას გარკვეული ფუნქცია აკისრია) ნაზავი; ისინი ყურადღებას ამახვილებდნენ არა მხოლოდ ენის, არამედ მისი თითოეული ელემენტის ფუნქციაზე სისტემაში, ხოლო ენის ანალიზისას სინქრონიულ და დიაქრონიულ მიდგომას ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში გაიაზრებდნენ, მათთვის ენა სისტემათა ანუ სუბსისტემათა სისტემაა. ისინი, სოსიურისაგან განსხვავებით, მკვეთრად არ მიჯნავდნენ ერთმანეთისაგან სინქრონიასა და დიაქრონიას.

აკაკი შანიძის კვლევის მთავარი ამოცანაც, პრაღელების მსგავსად, იყო სისტემის შინაგანი კანონზომიერებების გამოვლენა „სტრუქტურულ მთლიანობაზე“ ყურადღების გამახვილებით. მან შექმნა მოძღვრება, ფუნდამენტური საფუძველი ქართული ენის შემდგომი სინქრონიული კვლევისა, ამის დასტურია ის მშვენიერი გამოკვლევები, რომლებიც იწერებოდა, იწერება დღეს და აუცილებლად დაიწერება მომავალში.

ლიტერატურა:

ახვლედიანი 1999: გ. ახვლედიანი, *ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები*, თსპუ, თბილისი.

გამყრელიძე 2008: თ. გამყრელიძე, ლინგვისტურ პარადიგმათა ცვალებადობა დროსა და სივრცეში, კრებულში*: „ენა და ენობრივი ნიშანი“,* საქ. მეცნ. ეროვნ. აკადემია, თბილისი.

მაჭავარიანი 1967: გ. მაჭავარიანი, ა. შანიძის გრამატიკული კონცეფციის ზოგიერთი საკითხი სტრუქტურული ლინგვისტიკის თვალსაზრისით, *„ორიონი“,* საიუბილეო კრებული მიძღვნილი აკაკი შანიძის დაბადების 80 წლისთავისადმი, თსუ, თბილისი.

მელიქიშვილი 2014: დ. მელიქიშვილი, *ქართული ზმნის სისტემური მორფოსინტაქსური ანალიზი*, „ლოგოსი“, თბილისი.

სერიო 2015: პ. სერიო, *სტრუქტურა და მთლიანობა, სტრუქტურალიზმის ინტელექტუალური საფუძვლები ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში: 1920-30-იანი წლები*, თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო თინათინ ბოლქვაძემ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი.

შანიძე 1973: ა. შანიძე, *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები*, I, თსუ, თბილისი.

Соссюр 1977: Ф. де Соссюр, *Труды по языкознанию* (перевод с французского), “Прогресс”, Москва.

Соссюр 1990: Ф. де Соссюр, *Заметки по общей лингвистике* (перевод с французского), “Прогресс”, Москва.

Трубецкой 1960: Н. С. Трубецкой, *Основы фонологии* (перевод с немецкого), Изд. иностр. лит., Москва.

Якобсон 1985: Р. О. Якобсон, *Избранные работы*, “Прогресс”, Москва.

Marine Ivanishvili

The Roots of Structuralism in Georgian Linguistics: Akaki Shanidze

Summary

The paper deals with the issue of Akaki Shanidze's structuralist approaches while researching the Georgian language morphology, in the context of Givi Machavariani's (*G. Machavariani, Some issues of A. Shanidze's grammatical conception in terms of structural linguistics, “Orioni”, Collection dedicated to Akaki Shanidze’s 80th anni-*

versary, TSU, Tbilisi 1967) and Patrick Serio's (*P. Serio, Structure and the Whole: East, West and Non-Darwinian Biology in the Origins of Structural Linguistics*, *translated by T. Bolkvadze, Ilia State University, Tbilisi 2015*) works. The whole procedure of the structural analysis of language is based on 4 basic principles: *discretionary, structural, functional equivalence* and *synchronic principles*. Based on these principles, A. Shanidze distinguishes the language units and categories, and describes the functional attitudes among them. A. Shanidze presents not only the results of his research, but he also shows us the way in which he obtained these results. The task of his research, similar to Prague structuralists, was the ascertainment of the internal regularities of the system with the inclination on the "structural wholeness". Although A. Shanidze did not invent the general theory of language and did not formulate the basic postulates, it is not clear either that he was guided by a well-known general linguistic concept, but the explicity of his language research allows us to characterize A. Shanidze's perspective as "structuralistic".

A. Shanidze has created a fundamental basis for the next synchronic study of the Georgian language. This is proved by the wonderful researches which have been written, are written and will be written in the future.

GIA KVASHILAVA

ON READING AND IDENTIFYING THE VESSEL NAME KA-DI OF LINEAR A CLAY TABLETS ZA 4 AND ZA 15

The paper presents the reading and identification of the Linear A (LA) sign-sequence ⊗𐄷 [ka-di] on clay tablets ZA 4 (HM 1615 + 2 frr.) and ZA 15 (HM 1627). The tablets were found by N. Platon in Crete in 1963, during the excavations of a Minoan palace of Zakros; the tablets were dated as belonging to LM IB period (Platon, Brice 1975:64, 65, 72, 73; GORILA 1976, III:XIII, XIV, XVI, XXII).



Inscriptions on side *a* of tablet ZA 4.
According to GORILA 1976, III:148-149





Inscriptions on side *b* of tablet ZA 4.
According to GORILA 1976, III:150-151





Inscriptions on side *b* of tablet ZA 15.
According to GORILA 1976, III:184-185

1. The phonemic value of sign seguence ⊗𐄷 [ka-di]

According to GORILA, in line 8 of side *a* of LA tablet ZA 4 (HM 1615 + 2 frr.) the sequence ⊗𐄷 LA077/*KA* + LA007/*DI* is immediately followed by number 𐄁 – *3*, and in line 1 of side *b* the ideogramm of '*wine*' 𐄘 LA131a/*VINa* is presented, after which only sign-sequence ⊙𐄁 – number *104* can be distinguished.

In line 1 of side *b* of tablet ZA 15 (HM 1627) the same sequence of signs ⊗𐄷 LA077/*KA* + LA007/*DI* is immediately followed by a punctuation mark– *a dot*, and the '*wine*' ideogram 𐄘 LA131a/*VINa*, is followed by the number 𐄁 – *3*.

The signs ⊗𐄷 LA077/*KA* + LA007/*DI* are respectively read as [ka] and [di] syllables, which is fully consistent with the phonological value of Linear B (LB) signs ⊕ LB077 and 𐄷 LB007 as deciphered by M. Ventris (see Chadwick 1970:165; Kvashilava 2011:252). The signs of LA and LB are given below:



Comp. Evans 1952, II:11, 20; Bennett 1966:298, 299, 304, 305; CoMIK 1986, I:1, 29, 36-44, 51, 53, 54, 57; 1990, II:5, 6, 9-12, 25, 31, 33; 1998, IV:16, 22; GORILA 1985, V:XXIX, XL; Douros 2008 :25, 29; Kvashilava 2011:243, 244.

The phonemic value of LA sign-sequence ⊗𐄷 [ka-di/*kwa-di], the presumed meaning of which – '*a vessel for keeping wine*', might be connected with the Common Kartvelian (CK) archetype *კუადი [*ḳwad-i]. The data are presented below.

2. The Reconstruction of the CK archetype *კუადი-/*კუედ- [*ḳwad-/*ḳwed-]

The theory of morphonologic structure and typology of CK presented by Th. Gamkrelidze and G. Machavariani (1965:366-368) on the basis of the comparative study of Kartvelian languages allows, among others, the comparative and inner reconstruction of Later CK archetype *კუადი-/*კუედ- [*ḳwad-/*ḳwed-] meaning '*clay or wooden vessel (for storing wine, water, oil, grain etc)*'[1].

[1] To the Late CK archetype *კუადი-/*კუედ- [*ḳwad-/*ḳwed-] *'clay or wooden vessel'* the following data: Late CK *კუატ-/*კუეტ- [*ḳwaṭ-/*ḳweṭ-] *'a small clay vessel'*; Pre-Greek (?), Semitic (?) κάδος – '*a jar or vessel for wine and other fluids*, *a liquid measure*' (see Beekes 2010, I:614; comp. Chantraine 1968, II:478; Boisacq 1916:389; Peruzzi 1956, IV:166; SOS 1976:99 ff.); κάδη (δημοτική) – *μέγα ξύλινον βυτίον* (Dimitrakos 1964, VII:3498); Hamito-Semitic (Afro-Asiatic) *ḳad-, *ḳod- – '*vessel*'

In the position #C–V the sonant *ჷ /*w/ of the Later CK root-morpheme {*კჷად-/*კჷედ- [*ḳwad-/*ḳwed-]} is manifested by the non-syllabic allophone *ჷ [*w]. The syllabic element in this case is the vowel *ე/*ა [*e/*a][2].

According to Th. Gamkrelidze and G. Machavariani, the non-syllabic *ჷ [*w] variant of the labial *ჷ /*w/, being an independent unit, merges with the proceeding simple consonant *კ [*ḳ]; this results in the most frequent and natural cluster *კ+ჷ [*ḳ+w], which according to morphonologic structure is functionally equal to the single consonant phoneme *კ /*ḳ/ (Gamkrelidze, Machavariani 1965:198, 306, 368; Gamkrelidze 2008:52; Gamkrelidze 1966:80, 3.3).

According to the 'Principle of Monovocalism' (Gamkrelidze, Machavariani 1965:309, comp. 243) the normal-grade root-morpheme {*კჷად-/*კჷედ- [*ḳwad-/*ḳwed-]} merges with the reduced-grade suffixal morpheme {*-ᲝᲘ [*-ij]} which is considered by me to be the reduced grade of the nominal case suffixal morpheme {*-ᲔᲘ [*-ej]}.

The reconstructed root-morpheme {*კჷად-/*კჷედ- [*ḳwad-/*ḳwed-]} and the suffixal morpheme {*-ᲝᲘ [*-ij]} are respectively of CVC- and -VS structural types which represent canonical forms of stem and suffixal morphemes of CK (comp. Gamkrelidze, Machavariani 1965:304, 318, 368).

As a result of the CK process *ჷე/*ჷა [*we/*wa] > *ო [*o][3], linguistically attested in Georgian, Megrelian and Laz forms are received from the CK archetype *კჷად-/*კჷედ-ი [*ḳwad-/*ḳwed-i]:

➤ Georgian კოდ-ი [ḳod-i][4] – '*vessel (and measure) for dry substances, tub*' (Klimov 1998:98; Klimov 1964:113; Orbeliani 1991, I:378-379; 1993:II, 71, 409);

(see Orel, Stolbova 1995:334, №1534; 343, №1579); Egyptian [kzṯw] – '*pot, vessel*' (Wallis Budge 1920, II:791); Middle Egyptian [qd] – '*pot*' (Dickson 2006:304) may be compared. A. Bomhard (2015, II:562-563, №492) has reconstructed a Proto-Nostratic nominal form *k'ud-a (~ *k'od-a) – '*vessel, pot*'. Here k' = ḳ.

2 According to Th. Gamkrelidze and G. Machavariani (1965:366 ff., 146, 307 ff.) the relative quantity of CK *ე [*e] and *ა [*a] vowels is compared to *ო [*o] that is very rare in the affixal and root morphemes of CK origin, playing only an insignificant role in the ablaut system. The authors (Gamkrelidze, Machavariani 1965:367, 43, 232; Zhghenti 1956:218-220) believe that the phoneme *ო /*o/ is of comparatively later origin in the system of CK, and is in most cases produced from *ჷე/*ჷა [*we/*wa] cluster.

3 In this case the CK vowel *ე/*ა [*e/*a] is labialized when merged with the sonant *ჷ [*w], and *ო [*o] is received (comp. Gamkrelidze, Machavariani 1965:367, 232, 43; Zhghenti 1956:119-220).

4 Georgian კოდ-ი [ḳod-i] = კოდ-ა [ḳod-a] (DGL 1955, IV:1255-1256); კოდ-ა [ḳod-a] (Kartlian and the Ksani valley dialects) – '*a bottomless vessel fixed into a spring; a wooden barrel placed in a spring*' (Ghlonti 1984:297); კოდ-ან-ა [ḳod-an-a] (Upper-Adjaran dialect) – '*a cylindic clay vessel for making butter*' (Nizharadze 1961:252; Ghlonti 1984:297). It is to be noted that R. Gordeziani (2007, II:198, 187) compared Kartvelian *კოდ- [*ḳod-] to Semitic (?) κόνδυ '*name of a drinking-vessel*'; also to κονδύλιον '*a small vessel*' (see also Beekes 2010, I:745).

Georgian კოდ-ი [ḳod-i] – '*1. a big wooden vessel made of a hollowed out tree trunk usually used for storing grain and flour, also dairy products (or keeping fluids); 2. a whole-wooden oblong vessel placed in spring water for cattle to drink from it; 3. a vessel of different sizes; 4. a hollowed out and bottomless tree-trunk that is fixed vertically into a spring water to dam water that then comes out*' (DGL 1955, IV:1255-1256)

Georgian კოდ-ი [ḳod-i] (in dialects: Kartlian, Kiziq, Khevsurian, Mtiuletian, Pshavian, Gudamaqrian, Tushetian, Mokhevian, Imeretian) – '*1. a big cask, barrel made of a hollowed out tree trunk with a bottom used for storing flour, wheat, butter, etc; 2. a harvest measure jug; 3. a hollowed out wood trunk that – if with a bottom, is used as a vessel (e.g. to store bread); a bottomless one is fixed into a spring for water to dam up into it; 4. a wooden barrel for storing wheat and flour; 5. a measure for grain; 6.* (Pshavian and Tushetian dialects) *a big wooden vessel for keeping beer or wheat*' (see Ghlonti 1984:297);

Georgian კოდ-ი [ḳod-i] (Upper-Adjaran dialect) – '*a wooden vessel, a cylindrical water barrel; also used as a weight measure*' (Nizharadze 1961:252);

- Megrelian კოდ-ი [ḳod-i] – '*a clay or wooden drinking vessel for wine*' (Kajaia 2002, II:154; 2009, IV:281; comp. Кипшидзе 1914:260(464)); '*a vessel made of one piece of wood*' (Klimov 1998:98; Klimov 1964:113); '*a measure of grain; a drinking vessel for wine; a measure of liquid*' (Kobalia 2010:371);
- Laz კოდ-ი [ḳod-i] – '*a wooden vessel*' (see Fähnrich, Sarjveladze 2000:288; Fähnrich 2007:249).

If a normal-grade root-morpheme {*კუედ- [*ḳwed-]} is followed by zero-grade {*-Øუ [*-Øw]}, long-grade {*-ē̄ლ [*-ēl]} and reduced-grade {*-ი̯ [*-ij] > *-ი [*-i]} suffixal morphemes, according to the 'Principle of Monovocalism', the normal-vocalic grade of the root transforms into the reduced grade:

*კუ̄ი̯დ-უ̄-ē̄ლ-ი [*ḳwid-w-ēl-i].

This sequence of the morphemes is of structure CiC-S-VS-V.

As a result of the CK process *ū̄ [*wē] > *ṓ [*ō] and of the elision of the vowel *ი [*i], the attested Svan forms are received from Later CK archetype *კუ̄ი̯დ-ū̄-ē̄ლ-ი [*ḳwid-w-ēl-i]:

- Svan კუ̄ი̯დ-ṓლ [ḳwid-ōl] (Upper Bal and Lashkhian dialects); კუ̄ი̯დ-ოლ [ḳwid-ol] (Lower Bal and Lentekhian dialects) – '*a cask, a measure jug for grain, a small basket*' (Topuria, Kaldani 2000:772).

References:

Beekes 2010: R. Beekes, *Etymological Dictionary of Greek*, I and II volumes, with the assistance of L. van Beek, Brill, Leiden and Boston.

Bennett 1966: E. L. Bennett, Some Local Differences in the Linear B Script, In*: Hesperia, the Journal of the American School of Classical Studies at Athens, Vol. 35, Issue 4, 295-309.*

Bomhard 2015: A. R. Bomhard, *A Comprehensive Introduction to Nostratic Comparative Linguistics: With Special Reference to Indo-European,* 4 volumes, Charleston, SC, USA.

Boisacq 1916: É. Boisacq, *Dictionnaire Étymologique de la Langue Grecque*. Étudiée dans ses rapports avec les autres langues Indo-Européennes, Heidelberg, Paris.

Chadwick 1970: J. Chadwick, *The Decipherment of Linear B,* Cambridge University Press.

Chantraine 1968: P. Chantraine 1968, *Dictionnaire étymologique de la langue grecque*, *Histoire des mots, T. I-IV,* Éditions Librairie Klincksieck, Paris.

CoMIK 1986, 1990, 1997, 1998: J. Chadwick, L. Godart, J. T. Killen, J.-P. Oliver, A. Sacconi, I. A. Sakellarakis, *Corpus of Mycenaean Inscriptions from Knossos,* I-IV volumes, Vol. I (1-1063): Cambridge, London, New York, New Rochelle, Melbourne, Sydney, Rome, Cambridge University Press and Edizioni dell'Ateneo; Vol. II (1064-4495): Cambridge, London, New York, Port Chester, Melbourne, Sydney, Rome, Cambridge University Press and Edizioni dell'Ateneo; Vol. III (5000-7999), IV (8000-9947): Cambridge, London, New York, Port Chester, Melbourne, Risa, Rome, Cambridge University Press and Istituti Editiorali e Poligrafici Internationali.

DGL 1950, 1951, 1953, 1955, 1957, 1960, 1962, 1964: *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ქეგლი)*, I-VIII ტ., არნ. ჩიქობავას რედაქციით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი (*Dictionary of the Georgian Language*, 8 volumes, Ed. A. Chikobava, Publishing House "Metsniereba", Tbilisi).

Dickson 2006: P. Dickson, *Dictionary of Middle Egyptian,* California.

Dimitrakos 1964: D. Dimitrakos = Δ. Δημητράκος, *Μέγα λεξικόν όλης της ελληνικής γλώσσης*, Τόμοι I-XV, Ἀθῆναι.

Douros 2008: G. Douros, *a Font for Ancient Script in the Greater Aegean Vicinity*, Electronic Publishing, Version 2.0, 1-82.

Evans 1909, 1952: A. J., Evans, *SM = Scripta Minoa, the Written Documents of Minoan Crete with Special Reference to the Archives of Knossos*, Vol. I: The Hieroglyphic and Primitive Linear Classes with an Account of the Discovery of the Pre-Phoenician Scripts, their Place in Minoan Story and their Mediterranean Relations, with Plates, Tables and Figures in the Text, Vol. II: The Archives of Knossos, Clay Tablets Inscribed in Linear Script B, edited from notes, and supplemented by John L. Myres, Oxford, at the Clarendon Press.

Fähnrich 2007: H. Fähnrich, *Kartwelisches Etymologisches Wörterbuch*, Brill Academic Publishers, Leiden, Boston.

Fähnrich, Sarjveladze 2000: ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, *ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი,* სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი (H. Fähnrich, S. Sarjveladze, *Etymological Dictionary of the Kartvelian Languages,* 2nd revised and supplemented edition, Sulkhan-Saba Orbeliani State University Press, Tbilisi).

Gamkrelidze 1966: Th. V. Gamkrelidze, *A Typology of Common Kartvelian*, In: Language, Vol. 42, №1, Jan.-Mar., 69-83.

Gamkrelidze 2008: თ. გამყრელიძე, *ენა და ენობრივი ნიშანი (სტატიების კრებული)*, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თბილისი (Th. V. Gamkrelidze, *Language&the Linguistic Sign (Selected Writings),* Georgian National Academy of Sciences, Tbilisi).

Gamkrelidze, Machavariani 1965: თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, *სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, საერთო-ქართველური სტრუქტურის ტიპოლოგია,* გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი (Th. V. Gamkrelidze, G. I. Machavariani, *The System of Sonants and Ablaut in Kartvelian Languages, A Typology of Common Kartvelian Structure,* Publishing House "Metsniereba", Tbilisi; Th. V. Gamkrelidze, G. I. Mačavariani 1982, *Sonantensystem und Ablaut in den Kartwelsprachen. Eine Typologie der Struktur des Gemeinkartwelischen*. Ins Deutsche übersetzt, bearbeitet und mit einem Nachwort versehen von W. Boeder, Gunter Narr Verlag Tübingen).

Ghlonti 1984: ა. ღლონტი, *ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა*, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი (A. Ghlonti, *Dictionary of Georgian Dialect Words*, Publishing House "Ganatleba", Tbilisi).

Gordeziani 2007, 2008: რ. გორდეზიანი, *მედიტერანულ-ქართველური მიმართებები: საწყისები; წინაბერძნული; ეტრუსკული, დასკვნითი კომენტარები; რეზიუმე, ინდექსი,* წიგნი I-IV, გამომცემლობა „ლოგოსი“, თბილისი (R. V. Gordeziani, *Mediterranean-Georgian Relations: Beginnings; Pre-Greek; Etruscan, concluding commentaries; summary, indexe*s, in 4 volumes, Publishing House "Logos", Tbilisi).

Gorila 1976[I, III], 1979, 1982, 1985: L. Godart, J.-P. Olivier, *Recueil des Inscriptions en Linéaire A*, In 5 Volumes, École Française d'Athènes, Études Crétoises XXI, XXI.1-5, Librairie Orientaliste P. Geuthner, Paris.

Kajaia 2001, 2002, 2009: ო. ქაჯაია, *მეგრულ-ქართული ლექსიკონი*, თ. გამყრელიძის რედაქციით, I-IV ტ., გამომცემლობები „ნეკერი“ და „ინოვაცია“, თბილისი (O. Kajaia, *Megrelian-Georgian Dictionary*, In 4 Volumes, Edited by Th. V. Gamkrelidze, Publishing House "Nekeri" and Publishing House "Inovacia", Tbilisi).

Kipshidze 1914: I. A. Кипшидзе, *Грамматика мингрельскаго (иверскаго) языка съ хрестоматіею и словаремъ, Матеріалы по яфетическому языкознанію,* VII, Типографія императорской Академіи наукъ, Санкт-Петербургъ (I. A. Kipshidze, *A Grammar of the Megrelian (Iberian) Language with a Reader and Dictionary, St.* Petersburg).

Klimov 1964: Г. А. Климов, *Этимологический словарь картвельских языков*, издательство «Наука », Москва (G. A. Klimov, *Etymological Dictionary of the Kartvelian Languages*, Publishing House "Nauka ", Moscow).

Klimov 1998: G. A. Klimov, *Etymological Dictionary of the Kartvelian Languages*, Berlin, New York, Mouton de Gruyter.

Kobalia 2010: ა. ქობალია, *მეგრული ლექსიკონი*, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი (A. Kobalia, *The Megrelian Dictionary*, Publishing House "Artanuji ", Tbilisi).

Kvashilava 2011: გ. კვაშილავა, A ხაზოვანი და მისი მონათესავე დამწერლობებით შესრულებული წარწერების ამოკითხვა პროტო-ქართველურ-კოლხურ ენაზე, *ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი,* XIII, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის

ინსტიტუტი, თბილისი, 161-226 (G. Kvashilava, Decipherment of the Inscriptions of Linear A and its Related Scripts in the Proto-Kartvelian-Colchian Language, In: *Studies in History and Ethnology,* Vol. XIII, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Tbilisi, 227-310).

Nizharadze 1961: შ. ნიჟარაძე, *ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი*, გამოკვლევა და ტექსტები ლექსიკონითურთ, სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი (Sh. Nizharadze, *the Upper-Adjaran Dialect of the Georgian Language,* Batumi).

Orbeliani 1991, 1993: სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული,* I, II ტ., გამომცემლობა „მერანი", თბილისი (Sulkhan-Saba Orbeliani, *Georgian Lexicon,* I, II, Volumes, Publishing House "Merani" Publishers, Tbilisi).

Orel, Stolbova 1995: V. E. Orel, O. V. Stolbova, *Hamito-Semitic Etymological Dictionary: Materials for a Reconstruction,* E. J. Brill, Leiden, New York, Köln.

Peruzzi 1956: E. Peruzzi, *L'iscrizione PY Tn 996*, Minos, IV, Revista de Filología Egea, La Universidad de Salamanca, 165-166.

Platon, Brice 1975: N. Platon, W. C. Brice, *Inscribed Tablets and Pithos of Linear A System from Zakro,* Library of the Archaeological Society at Athens, Athens.

SOS 1976: *ТДП, Тайны древних письмен: Проблемы дешифровки*, сборник статей, перевод с английского, немецкого, французского и итальянского языков, издательство «Прогресс », Москва (*Secrets of Old Scripts, Problems of Deciphering*, papers translated from English, German, French and Italian, Publishing House "Progress", Moscow).

Topuria, Kaldani 2000: ვ. თოფურია, მ. ქალდანი, *სვანური ლექსიკონი,* თბილისი (V. Topuria, M. Kaldani, *The Dictionary of Svan*, Tbilisi).

Wallis Budge 1920: E. A. Wallis Budge, *An Egyptian Hieroglyphic Dictionary*, in 2 volumes, London, John Murray, Albemarle Street.

Zhghenti 1956: ს. ჟღენტი, *ქართული ენის ფონეტიკა,* თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი (S. Zhghenti, *The Phonetics of Georgian,* Tbilisi University Press, Tbilisi).

გია კვაშილავა

ka-di – ჭურჭლის აღმნიშვნელი სახელის იდენტიფიკაცია ZA 4 და ZA 15 თიხის ფირფიტების A კლასის ხაზოვან წარწერებში

რეზიუმე

1. 1963 წელს კუნძულ კრეტაზე, ზაკროსის მინოსური ხანის სასახლის გათხრების დროს ნ. პლატონმა აღმოაჩინა A კლასის ხაზოვანი წარწერებით შესრულებული ZA 4 (HM 1615 + 2 frr.) და ZA 15 (HM 1627) თიხის ფირფიტები, რომლებიც დაათარიღა LM IB პერიოდით ანუ ძვ.წ. 1500-1450 (?) წწ-ით;
2. ამ წარწერებში წარმოდგენილი ⊗𐄷 LA077+LA007 ნიშნების მიმდევრობა ამოიკითხება როგორც ka-di/*kwa-di ფორმა;

3. ka-di/*kwa-di ფორმის სემანტიკური ინტერპრეტაცია წარმოდგენილია როგორც საერთო-ქართველური *კუ̂ად-/*კუ̂ედ-ი [*ḳwad-/*ḳwed-i] არქეტიპი, რომლის მნიშვნელობაა „თიხის ან ხის ჭურჭელი“;
4. საერთო-ქართველური *კუ̂ად-/*კუ̂ედ- [*ḳwad-/*ḳwed-] სახელურ ფუძეს აქვს ორი მდგომარეობა:

ნორმალური გახმოვანების საფეხური
*კუ̂ად-/*კუ̂ედ- [*ḳwad-/*ḳwed-]

რედუქციის საფეხური
*კუ̂ედ-/*კუ̂იდ- [*ḳwed-/*ḳwid-].

5. თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის (1965/1982) მიერ საერთო-ქართველური ენისთვის დადგენილი „მონოვოკალიზმის პრინციპით“ აიხსნება ის კანონზომიერი გარდაქმნები, რომლებიც საერთო-ქართველური *კუ̂ად-/*კუ̂ედ- [*ḳwad-/*ḳwed-] არქეტიპიდან იძლევა შესატყვის ქართულ, ქართულ დიალექტურ, მეგრულ, ლაზურ კოდ- [ḳod-] და სვანურ კუ̂იდ- [ḳwid-] ფორმებს;
6. რეკონსტრუირებული {*კუ̂ად-/*კუ̂ედ- [*ḳwad-/*ḳwed-]} ძირეული მორფემა განეკუთვნება CVC- სტრუქტურულ ტიპს, რომელიც საერთო-ქართველურ ენაში ძირითად კანონიკურ ფორმას წარმოადგენს;
7. ქართველური ენობრივი მასალის შესწავლა ადასტურებს A კლასის ხაზოვან წარწერაში ⊗𐇷 [ka-di/*kwa-di] მიმდევრობის საერთო-ქართველურ ენაზე ამოკითხვის მართებულებას..

ივანე ლეჟავა

სვანური ენის სიბილანტთა სპექტრული თავისებურებანი

სვანური ენის წინაენისმიერი ნაპრალოვნები და აფრიკატები, ყველა ქართველური ენის მსგავსად, ქმნის სპეციფიკურ ე.წ. სისინა [ზ, ს, ძ, ც, წ] და შიშინა [ჟ, შ, ჯ, ჩ, ჭ] სიბილანტების ჯგუფს. სპექტროგრაფიული ანალიზი შესრულებულია სვანური ენის ოთხი ძირითადი დიალექტის 5 მამაკაცი წარმომადგენლის აუდიოჩანაწერების მიხედვით.

სისინა თანხმოვნების ტურბულენტური ჩქამის სპექტრი ხასიათდება სიხშირული შემადგენლებით 3,5-11,0 კჰც-ის, ხოლო შიშინა თანხმოვნებისთვის – 1,5-6,0 კჰც-ის დიაპაზონში. ცნობილია, რომ სისინა და შიშინა ბგერებს შორის აკუსტიკურ განსხვავებას განაპირობებს საარტიკულაციო დაბრკოლების ადგილი, ნაპრალისა და დაბრკოლების წინა რეზონატორის ზომა და ბაგეების მდგომარეობა. სპექტრული ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ სვანური სიბილანტების ფიზიკური პარამეტრები დამოკიდებულია ბგერის რაგვარობაზე, გარემოცვაზე, პოზიციაზე და ლარინგალურ ფაქტორებზე; აგრეთვე დიქტორთა წარმოთქმის ინდივიდუალურ თავისებურებებზე.

ბგერათშეერთებებში ამა თუ იმ ბგერის მიერ მეორეული არტიკულაციის შეძენა ხდება კოარტიკულაციის საფუძველზე. კოარტიკულაციის უმნიშვნელოვანესი სახეებია თანხმოვანთა **ლაბიალიზაცია** და **პალატალიზაცია.** ლაბიალიზაცია იწვევს სარეზონატორო სისტემის დაგრძელებას და დავიწროებას.

სიბილანტებში კოარტიკულაციური ლაბიალიზაციით გამოწვეული სპექტრული ცვლილებების კვლევა მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ სვანურში წყვილბაგისმიერი [w̃] სონორისა და სიბილანტი აფრიკატებისა და სპირანტების ორი რიგის არსებობის გამო; მეორე მხრივ კი იმიტომ, რომ სისინა და შიშინა თანხმოვნების ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი სწორედ ბაგეების წინ წამოწევაა.

ლაბიალური ხშული ბგერები [ბ, ფ, პ, მ] მეზობელი სიბილანტების სპექტრში ვერ იწვევენ ისეთ თვალსაჩინო ცვლილებებს, როგორსაც [ო/ʊ̄], [უ/ʊ̄] ხმოვნები და წყვილბაგისმიერი სონორი [w̃]. ეს განსხვავება გამოწვეულია იმით, რომ ლაბიალური ხშულების არტიკულაციისათვის დამახასიათებელია მხოლოდ დახშვა, ხოლო ხმოვნებისა და w̃ სონორისათვის – ბაგეების წინ წამოწევა და მომრგვალება. ხშული ლაბიალური ბგერების კოარტიკულაციური გავლენას განვიხილავთ როგორც სუსტ ლაბიალიზაციას, ხოლო [ო/ʊ̄], [უ/ʊ̄] ხმოვნებისა და [w̃] სონორის გავლენას – ძლიერ ლაბიალიზაციას.

ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ ბაგეების მომრგვალება და წინ წამოწევა შესაძლებელია თითქმის ყველა ბგერის თანაარტიკულაციად იქცეს, ხო-

ლო ლაბიალური ხშულებისათვის აუცილებელი/ძირითადი არტიკულაცია – ბაგეების ხშვა – არა.

ლაბიალური ხშულის გავლენა ძირითადად გამოიხატება სიბილანტის ჩქამის მხოლოდ უშუალოდ მომიჯნავე ნაწილის სპექტრის ქვედა საზღვრის დადაბლებაში. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ სპირანტთა ჩქამის სპექტრის ქვედა საზღვარზე წინამავალი ლაბიალური ხშული გაცილებით სუსტ გავლენას ახდენს, ვიდრე მომდევნო, ხოლო მომდევნო აფრიკატის განხშვის სპექტრში არავითარ ცვლილებებს არ იწვევს, რადგან აფრიკატის ხშვის მონაკვეთის გრძლივობა საკმარისია აფრიკატის ძირითადი არტიკულაციის დამახასიათებელი მდგომარეობის მისაღებად.

[ო/ō], [უ/ū] ხმოვნებისა და [ŷ] სონორის მიერ სვანურ **სისინა** სიბილანტებში გამოწვეული კოარტიკულაციური ცვლილებები შემდეგია:

ა) ჩქამის სპექტრის ქვედა საზღვრისა და ძირითადი პიკის დადაბლება;
ბ) 2,5-3,0 კჰც-ის სიხშირული ზოლის გაძლიერება;
გ) 3,5-7,0 კჰც-ის სიხშირული შემადგენლების დასუსტება.

ამავე ბგერების მიერ გამოწვეული ცვლილებები **შიშინა** თანხმოვნების სპექტრში ასე გამოიყურება:

ა) ჩქამის სპექტრის დიაპაზონისა და ძირითადი პიკის დადაბლება;
ბ) 1,0-2,0 კჰც-ის დიაპაზონში სიხშირული შემადგენლების გაძლიერება;
გ) სიხშირული შემადგენლების დასუსტება 2,0-4,0 კჰც-ის დიაპაზონში.

სვანური ენის სიბილანტთა სპექტრული ანალიზიდან ირკვევა, რომ ლაბიალური არტიკულაციის გავლენა, როგორც კონტაქტური, ისე დისტანციური, წინამავალ ბგერებზე უფრო ძლიერია, ვიდრე მომდევნოზე. ეს ნიშნავს, რომ ლაბიალური არტიკულაციის წინმსწრები ზეგავლენა უფრო ძლიერია, ვიდრე არტიკულატორების (ბაგეების) ინერციულობით გამოწვეული – ნარჩენი კოარტიკულაცია. ზურაბ ჯაფარიძე ისეთ არტიკულაციას, რომელიც არ იზღუდება იმ ბგერით, რომლისთვისაც იგი რელევანტურია და იჭრება მეზობელ ბგერაში, უწოდებს შემღწევს, ხოლო ისეთ არტიკულაციას, რომელიც არ იზღუდება იმ ბგერით, რომლისთვისაც იგი რელევანტურია და არა მხოლოდ იჭრება მეზობელ ბგერაში, არამედ მთლიანად გასდევს მას და მის იქით მდებარე ბგერაში იჭრება, უწოდებს გამჭოლს (ჯაფარიძე 1966:119).[1]

სვანური [შდუ], [შგუ] ბგერათმიმდევრობების სპექტრული ანალიზიდან ირკვევა, რომ დენტალური [დ] თანხმოვნის წინამავალი სპირანტის სპექტრი, ველარული [გ] თანხმოვნის წინამავალი სპირანტის სპექტრისაგან განსხვავებით, თითქმის არ განიცდის [უ] ხმოვნის ლაბიალიზაციის ეფექტს. ეს განსხვავება გამოწვეულია დენტალური და ველარული ხშულების არტიკულაციურ-აკუსტიკური

[1] ამ ორი ტერმინის ხმარება გამართლებულია იმით, რომ შესაძლო ტერმინი ანტიციპაცია ისეთ წინსწრებასთან ასოცირდება, რომელიც განსაკუთრებულ, ანომალიურ შემთხვევას გულისხმობს.

თავისებურებებით. დენტალური თანხმოვნის გავლენა შიშინა სიბილანტის სპექტრზე საპირისპიროა ლაბიალიზაციის ეფექტისა, ხოლო ველარული არტიკულაცია, პირიქით, აძლიერებს ლაბიალიზაციის ეფექტს.

აღსანიშნავია, რომ გამოვლენილი ეს თავისებურებები კარგად ეთანადება თამაზ გამყრელიძის მიერ სვანურში დადგენილ შგუ̂→სგუ̂ გადასვლის ახსნას დისიმილაციური ლაბიალიზაციით (გამყრელიძე 1959).

აღსანიშნავია, რომ ძლიერი ლაბიალიზაციის მსგავს ცვლილებებს სიბილანტების სპექტრში იწვევს აგრეთვე ე.წ. ნეიტრალური [ɡ] ხმოვანი; კერძოდ, ყველა დიქტორისათვის საერთოა ჩქამის ქვედა საზღვრის დადაბლება. ეს თავისებურება ირიბად უნდა მიუთითებდეს ნეიტრალური [ɡ] ხმოვნის წარმოების უკანა რიგზე, ანუ ველარულ არტიკულაციაზე (ჟღენტი 1949, მაჭავარიანი 1963, ონიანი 1998).

კოარტიკულაციის მეორე სახე – პალატალიზაცია – მეტ-ნაკლებად ახასიათებს ყველა ენას. ლ. ზინდერის აზრით, იმ ენებში, სადაც პალატალიზებულთა და არაპალატალიზებულთა დაპირისპირებას ფონემატური ღირებულება აქვს, პალატალიზაციის ხარისხი უფრო მაღალი იქნება, ვიდრე იმ ენებში, სადაც ეს დაპირისპირება არაფონემატურია (ზინდერი 1979).

სვანურში თანხმოვანთა კოარტიკულაციური პალატალიზაცია, პალატალური ხმოვნების დიდი რაოდენობისა და [ʊ] სონორის არსებობის გამო, მსგავსად ლაბიალიზაციის მოვლენისა, უფრო ძლიერი ჩანს, ვიდრე ქართულში (ჟღენტი 1949: 134, 201).

გიორგი ახვლედიანი აღნიშნავს – „თანხმოვნები პალატალიზდებიან ანუ რბილდებიან ერთმანეთისაგან ჯგუფობრივ განსხვავებულად; სახელდობრ: წინაენისმიერების ჯგუფი პალატალიზდება შუაენის მაგარ სასასთან შეხების ფართობის გადიდებით, ბაგისმიერების ჯგუფი პალატალიზდება შუა ენის რბილი სასისაკენ მხოლოდ აწევით, ხოლო უკანაენისმიერების ჯგუფი პალატალიზდება შუა ენის უკანა ნაწილის ფართო შეხებით მაგარი სასის უკანა ნაწილთან“ (ახვლედიანი 1999:116).

სვანური ენის სისტემაში, მსგავსად სხვა ქართველური ენებისა, სიბილანტები საკმაოდ მრავლად არის წარმოდგენილი; ამიტომ განსაკუთრებით საინტერესოა, თუ რა ცვლილებებს იწვევს შუა ენის მაგარ სასასთან შეხების ფართობის გადიდება სიბილანტთა სპექტრში.

სვანური ენის **სისინა** თანხმოვნების სპექტრში [ი/ī], [ე/ē], [ä̈/ä] პალატალური ხმოვნების მეზობლობაში პალატალიზაციის ეფექტი გამოხატულია 2,5-4,5 კჰც-ის დიაპაზონში სიხშირული შემადგენლების გაძლიერებით, რაც იწვევს ქვედა საზღვრის ხარჯზე პალატალიზებული სისინა ბგერის სპექტრის დიაპაზონის გაფართოებას (ანუ სპექტრის ქვედა საზღვრის დადაბლებას), თუმცა ე.წ. „ტონალობის“ ამაღლებას F2-F3-ის უბანში (შუპლიაკოვი 1966). განსაკუთრებით თვალნათლივ

იჩენს თავს ეს თავისებურება ნაპრალოვნებთან [ი/ī] ხმოვნების უშუალო და არა-უშუალო მეზობლობაში,[2] რადგან [ი/ī] ხმოვნები ყველაზე მაღალი აწეულობის წინა რიგის ხმოვანია და ამიტომაც პალატალურობის მაღალი ხარისხი ახასიათებს.

სვანური ენის **შიშინა** ბგერების პალატალიზაცია იწვევს სპექტრის დიაპა-ზონის მაღალ სიხშირეებში გადანაცვლებას, სპექტრის პიკისა და და F2-ის უბ-ნის ამაღლებას; პალატალიზებულ სისინა და შიშინა თანხმოვანთა სპექტრების შედარება გვიჩვენებს, რომ პალატალიზაციის შედეგად ამ ბგერათა ზედა და გან-საკუთრებით ქვედა საზღვრებს შორის მინიმალური განსხვავებაა, რაც კარგად იხსნება სხვადასხვა ენის რენტგენოგრაფიული და პალატოგრაფიული მონაცე-მებით. სვანური ენის პალატალიზებული [ზ, ჟ] ბგერების პალატოგრამები კიდევ უფრო მეტად ჰგავს ერთმანეთს, ვიდრე ამ ბგერათა სპექტრული პარამეტრები (ჟღენტი 1949). წინაენისმიერი თანხმოვნების პალატალიზაციის შედეგად იცვ-ლება არა მარტო შუა ენის მაგარ სასასთან შეხების ფართი, არამედ დაბრკო-ლების წინა რეზონატორიც. თუ შევადარებთ რუსული ენის პალატალიზებული და არაპალატალიზებული წინაენისმიერი სპირანტების რენტგენოგრაფიულ პრო-ფილებს, დავინახავთ, რომ შიშინა რბილ კორელატს მაგართან შედარებით შემ-ცირებული ზომის წინა რეზონატორი აქვს, სისინებში კი პირიქით – პალატალი-ზაციის შედეგად წინა რეზონატორია გადიდებული (ფანტი 1964).

მაშასადამე, რადგანაც პალატალიზებულ სისინებსა და შიშინებს დაბრკოლე-ბის წინა რეზონატორი თითქმის უთანაბრდება და შუა ენის მაგარ სასასთან შე-ხების ფართობიც ეზრდება, ამიტომ არტიკულაციური თვალსაზრისით არც სისი-ნების შიშინებში გადასვლა და არც შიშინებისა სისინებში – არ არის საფუძ-ველს მოკლებული.

სვანური სიბილანტების სპექტროგრაფიული ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ პალატალიზაციის შედეგად ამ ბგერათა სპექტრული ცვლილებები განაპირობებს გარდამავალი სპექტრული სურათის მიღებას შიშინასა და სისინას შორის.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სიბილანტთა პალატალიზაცია, მსგავ-სად სისინათა ლაბიალიზაციისა,[3] ხელშემწყობი პირობაა საშუალედო სისინ-შიშინა თანხმოვანთა არტიკულაციისათვის, ხოლო თუ გავითვალისწინებთ სპექტრული პარამეტრების ცვლილებათა სურათს, უფრო სავარაუდოა, რომ შუა რიგის სიბი-ლანტს სწორედ „დარბილებული“ შიშინა ბგერა შეესაბამებოდეს. რაც შეეხება ლაბიალიზებულ და ველარიზებულ შიშინა ბგერებს, ისინი სპექტრული მახასი-ათებლების მიხედვით მაქსიმალურად განსხვავდებიან სისინა ბგერებისაგან.

---

[2] კიდევ უფრო საგრძნობია განსხვავება სპექტრის ქვედა საზღვრის მიხედვით რუსული ენის „მაგარ“ და „რბილ“ სისინა სპირანტთა სპექტრში (დერკაჩი... 1983:49-51, პანოვი 1967:146).

[3] სანსკრიტში პალატალური **i** და ლაბიალური **u** ხმოვნები ერთნაირ **s** → **š** ცვლილებას იწვევს (მეიე 1938:121).

ლიტერატურა:

ახვლედიანი 1999: გ. ახვლედიანი, *ზოვადი ფონეტიკის საფუძვლები* (მეორე გამოცემა), სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

გამყრელიძე 1959: *სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგიერთი საკითხი,* საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.

დერკაჩი... 1983: М. Ф. Деркач, Р. Я. Гумецкий, Б. М. Гура, М. Е. Чабан, *Динамические спектры речевых сигналов,* Львов.

ზინდერი 1979: *Л. Р. Зиндер, Общая фонетика,* Москва.

მაჭავარიანი 1963: გ. მაჭავარიანი, ხმოვანთა სისტემის დახასიათებისათვის სვანურში (ბალსზემოური დიალექტის მიხედვით), *თსუ შრომები,* ტ. 96, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

მეიე 1938: А. Мейе, *Введение в сравнительное изученте индоевропейских языков,* Соцэкгиз, Москва-Ленинград.

ონიანი 1998: ალ. ონიანი, *სვანური ენა,* სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

პანოვი 1967: М. В. Панов, *Русская фонетика,* Москва.

ჟღენტი 1949: ს. ჟღენტი, *სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები,* საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.

ფანტი 1964: Г. Фант, *Акустическая теория речеобразования*, Москва.

შუპლიაკოვი 1966: *В. С. Шупляков, О тональной* высоте звуков [s] и [š], В кн.: Механизмы речеобразования и восприятия сложных звуков, Москва-Ленинград.

ჯაფარიძე 1966: ზ. ჯაფარიძე, არტიკულაციის ელექტრომიოგრაფიული შესწავლის ზოგი შედეგი, კრ. *მეტყველების ანალიზისა და სინთეზის საკითხები,* გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

Ivane Lezhava

Spectral Peculiarities of the Svan Sibilants

Summary

In the Svan language, the forelingual fricatives and affricates, similar to all Kartvelian languages, form the group of the so-called hissing [z-ზ, s-ს, dz-ძ, ts^h-ც, ts'-წ] and hushing [ʒ-ჟ, ʃ-შ, dʒ-ჯ, tʃ^h-ჩ, tʃ'-ჭ] sibilants. The spectral analysis is carried out on the basis of audio records of 5 male speakers of the four main Svan dialects.

The spectrum of turbulent noise of the hissing consonants is characterized by frequency components within the range of 3.5-11.0 kHz, and that of hushing consonants – within 1.5-6.0 kHz.

In sound combinations, one or another sound acquires secondary articulation on the basis of co-articulation. The most significant varieties of co-articulation are consonant **labialization** and **palatalization.**

The study of the spectral changes in the sibilants, caused by co-articulatory labialization, is significant, on the one hand, due to the existence of the bilabial [w] sonorant sound and two series of sibilant affricates and fricatives in Svan; and, on the other, due to the fact that one of the distinguishing features of the hissing and hushing sounds is exactly a protrusion of lips.

Co-articulatory palatalization of the consonants in the Svan language, due to the existence of a large number of consonants and the sonorant [j], like the phenomenon of labialization, seems to be stronger as compared with Georgian.

The spectrographic analysis of the Svan sibilants demonstrates that the spectral changes of these sounds as a result of palatalization gives a transitional spectral picture between a hushing and a hissing sound.

Palatalization of sibilants, similar to labialization of the hissing sounds, is a favourable condition for articulation of intermediate hissing-hushing consonants, whereas taking into account the picture of changes of spectral parameters, it is more likely that a corresponding sound for a sibilant of the middle series is exactly a “softened” hushing sound. As regards the labialized and velarized hushing sounds, according to spectral characteristics they show maximum difference from the hissing sounds.

თამარ მახარობლიძე

ობიექტის ალტერნაციის შესახებ

ობიექტის ალტერნაცია ენებში გამოავლენს სხვადასხვა ტიპის კონფიგურაციებს. ეს კონფიგურაციები დამოკიდებულია კონკრეტული ენის მორფოსემანტიკურ სტრუქტურებზე. აბრეუ გომესის (2003) მიხედვით, ფენომენი, რომელიც ცნობილია როგორც *დატივის ალტერნაცია* ან *დატივის გადანაცვლება,* ლინგვისტური უნივერსალიებისათვის კომპლექსურ გამოწვევებს ადასტურებს. სამეტყველო ენები ორი ტიპის ალტერნატიულ სინტაქსურ კონფიგურაციას წარმოაჩენს. ეს არის ე.წ. ირიბი ობიექტის კონსტრუქცია [NP V NP PP] [1] ან ორმაგი ობიექტის კონსტრუქცია [NP V NP NP]. როგორც ვხედავთ, ორმაგი ობიექტის კონსტრუქცია ორ სახელად ფრაზას შეიცავს, განსხვავებით ირიბი ობიექტის კონფიგურაციისაგან, სადაც სახელად ფრაზასთან ერთად ასევე წარმოდგენილია ე.წ. პრეპოზიციური (თანდებულიანი) ფრაზაც. ამის გამო ამ ტიპის კონსტრუქციას სხვანაირად პრეპოზიციურ კონსტრუქციასაც უწოდებენ. ობიექტის ზემოთ აღნიშნული კონსტრუქციები სხვადასხვა თეორიული გადმოსახედიდან განსხვავებული მიდგომებითაა გაანალიზებული ენათმეცნიერულ ლიტერატურაში (Comski 1975, ჰოვავი და ლევინი 2008, ლარსონი 1988, ბეკი და ჯონსონი 2004, მაზურკევიჩი 1984, კეინე 1983, კონველი 2007 და სხვ.)

საინტერესოა, როგორ დგას ეს საკითხი ქართველურ ენებში და კერძოდ, ქართულში. უნდა აღინიშნოს, რომ მდიდარი მორფოლოგია და, შესაბამისად, სიტყვათა თავისუფალი რიგი ქართველურ ენებში ისედაც განაპირობებს წინადადებაში ობიექტების დაუბრკოლებელ მონაცვლეობას სინტაქსურ დონეზე. თანაბრად მისაღებია ამ ტიპის კონსტრუქციები:

(1) შვილმა დედას წერილი მისწერა.
(2) დედას წერილი მისწერა შვილმა.
(3) შვილმა წერილი დედას მისწერა.
(4) დედას წერილი შვილმა მისწერა და ა.შ.

რამდენადაც ქართულში სიტყვათა რიგი იძლევა ასეთი ფართო არჩევანის საშუალებას, ობიექტის ალტერნაცია, სავარაუდოდ, ამ მოსაზრების გამო არ გახდა მეცნიერული დაკვირვებისათვის ინტერესის საგანი. თუმცა, ძალზე მნიშვნელოვანია იმ გარემოების გამოკვეთა, რომ ქართულ ენაში (და ასევე სხვა ქართველურ ენებშიც) ხდება ობიექტის ალტერნაცია ანუ ობიექტის გადანაცვლება მორფო-

[1] NP – სახელადი ფრაზა; V – ზმნა, PP – პრეპოზიციური კონსტრუქცია.

ლოგიურ დონეზე. ეს ფაქტი მთლიანად განსხვავებულ ეტაპს წარმოაჩენს ამ საკითხის კვლევაში, რამდენადაც ზემოთ აღნიშნული ენობრივი მოვლენის განხილვა ამ შემთხვევაში ივარაუდება მორფოლოგიურ (და არა მხოლოდ სინტაქსურ) დონეზე. გამოვყოფთ ობიექტის მორფოლოგიური ალტერნაციის სამი ტიპის შესაძლებლობას:

I. ალტერნაცია ფლექსიური მარკერების მონაცვლეობით;
II. ალტერნაცია თანდებულების მონაცვლეობითა და
III. ალტერნაცია ზმნისწინების მონაცვლეობით.

ობიექტის მორფოლოგიური ალტერნაციის პირველი შესაძლებლობის მაგალითია ბრუნვის ნიშანთა შენაცვლება ობიექტებში. შევადაროთ წინადადებათა წყვილები:

(5a) *ნიკოს უყვარს მერი.*
(5b) *ნიკო უყვარს მერის.*
(6a) *ბავშვმა ბურთს მიახატა მანქანა.*
(6b) *ბავშვმა ბურთი მიახატა მანქანას.*

ნომინატივის და დატივის შენაცვლება პირველ წინადადებაში (5) იწვევს ობიექტისა და სუბიექტის მონაცვლეობას, ხოლო მეორე წინადადებაში (6) – ობიექტების როლის ცვლილებებს.

ობიექტის მორფოლოგიური ალტერნაციის მეორე შესაძლებლობის მაგალითია:

(7a) *წიგნი მოვიტანე სანთელთან.*
(7b) *სანთელი მოვიტანე წიგნთან.*

ამ ტიპის მაგალითებში საუბარია უბრალო დამატებისა და პირდაპირი ობიექტის (დამატების) მონაცვლეობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამდაგვარი ალტერნაცია ტიპოლოგიურად ფართოდ გავრცელებული მოვლენაა. ისეთ ენებში, სადაც ბრუნვათა სისტემა შედარებით მკრთალია, ალტერნაციის ძირითადი წონითი ხვედრი მოდის წინდებულებსა და უკუდებულებზე. ამას ადასტურებენ სხვა ავტორებიც, მაგალითად, ლევინის 2006 წლის ნაშრომში ობიექტის ალტერნაციის თითქმის ყველა მაგალითი სწორედ წინდებულებსა და თანდებულებს უკავშირდება (ლევინი 2006). ქვემოთ მოყვანილია ობიექტის ალტერნაციის მეორე შესაძლებლობის ასახვის ნიმუშები სხვადასხვა ენაში:[2]

კორეული

(8a) *Agashi-ga choniog shigsalul uihe ai-tul-ul chunbi-hetda.*
girl-SUBJ evening food for child-PL-OBJ prepare-PAST
გოგონამ მოამზადა ბავშვები სავახშმოდ (ვახშმისთვის).

---

[2] მინდა უღრმესი მადლობა გადავუხადო ჩემს კოლეგებს, რომლებიც დამეხმარნენ მდიდარი ტიპოლოგიური მასალის მოძიებაში – ვ. შენგელიას, მ. ჯიქიას, ფ. ანთაძეს, ჟ. ოტიეს, ე. ჟერარდენს, კ. ვამლინგსა და რ. სერანოს.

(8b) *Agashi-ga ai-tul-ul uihe choniog shigsalul chunbi-hetda.*
girl-SUBJ child-PL-OBJ for evening food prepare-PAST
გოგონამ მოამზადა ბავშვებისთვის ვახშამი.

ბასკური

(9a) *Emakume-a-k lore-ak truka-tu z-it-u-en liburu-a-rekin.*
woman-ART-ERG flower-PL exchange-PERF SBJ3SG-OBJ3PL-aux-PAST book-ART-with
ქალმა ყვავილები გადაცვალა წიგნზე (წიგნისთვის).

(9b) *Emakume-a-k liburu bat truka-tu z-u-en lore-ekin.*
woman-ART-ERG book ART exchange-PERF SBJ3SG-aux-PAST flowers-withPL
ქალმა წიგნი გადაცვალა ყვავილებზე.

ესპანური

(10a) *Mi madre compr-ó un poco de helado para la-s fresa-s.*
my mother buy-PAST ART some/few of ice-cream for ART-PL strawberry-PL
დედაჩემმა მოიტანა ნაყინი მარწყვისათვის.

(10b) *Mi madre compr-ó las fresa-s para el helado.*
my mother buy-PAST ART-PL strawberry-PL for ART. ice-cream
დედაჩემმა მოიტანა მარწყვი ნაყინისათვის.

შვედური

(11a) *Mann-en döda-de hund-en på grund av katt-en.*
man-DEF kill-PAST dog-DEF because of /on grounds of cat-DEF
კაცმა ძაღლი მოკლა კატის გამო.

(11b) *Mann-en döda-de katt-en på grund av hund-en.*
man-DEF kill-PAST cat-DEF because of /on grounds of dog-DEF
კაცმა კატა მოკლა ძაღლის გამო.

რუსული

(12a) *Petr vzial Pavl-a k Mari-i.*
Petr take/PAST Pavel-ACC to Maria-DAT
პეტრემ წაიყვანა პავლე მარიასთან.

(12b) *Petr vzial Mariu k Pavlu.*
Petr take/PAST Maria-ACC to Pavel-DAT
პეტრემ წაიყვანა მარია პავლესთან.

ფრანგული

(13a) *Annabelle n'a pas pu dire la vérité à Bernard à cause d'Edmond.*
Annabelle NEG.AUX/3SG NEG can-PTCP say F/ART.SG truth DAT-Bernard because GEN-Edmond.
ანაბელს არ შეეძლო ბერნარდისთვის სიმართლის თქმა ედმონდის გამო.

(13b) *Annabelle n'a pas pu dire la vérité à Edmond à cause de Bernard.*
Annabelle NEG.AUX/3SG NEG can-PTCP say F/ART.SG truth DAT-Edmond because GEN. Bernard.
ანაბელს არ შეეძლო ედმონდისთვის სიმართლის თქმა ბერნარდის გამო.

თურქული

(14a) *Doktor Mustafa'-ya Fatma hakkında her şey anlat-tı.*
doctor Mustafa-DAT Fatima about everything tell-PAST
ექიმმა ყველაფერი უთხრა მუსტაფას ფატიმაზე (ფატიმას შესახებ).

(14b) *Doktor Fatma'-ya Mustafa hakkında her şey anlat-tı.*
doctor Fatima-DAT Mustafa about everything tell-PAST
ექიმმა ყველაფერი უთხრა ფატიმას მუსტაფაზე (მუსტაფას შესახებ).

ესტონური

(15a) *Vana ehitaja austa-b se-da insener-i Anton-i pärast.*
old constructor respect-3SG this-PTV engineer-PTV Anton-GEN because of
ხნიერი არქიტექტორი ამ ინჟინერს პატივს სცემს ანტონის გამო.

(15b) *Vana ehitaja austa-b Anton-it se-lle insener-i pärast.*
old constructor respect-3SG Anton-PTV this-GEN engineer-GEN because of
ხნიერი არქიტექტორი ამ ინჟინრის გამო პატივს სცემს ანტონს.

ჯუხური

(16a) *Bebe-ymu be kuk-xüşde ye koqoz etovun Dovud furso.*
father-our loc boy-REFL one letter about David send3PAST
მამაჩვენმა წერილი გაუგზავნა (ი)მის შვილს დავითის შესახებ.

(16b) *Bebe-ymu ye koqoz be Dovud furso etovun kuk-xüşde.*
father-our one letter loc David send3PAST about boy-REF
მამაჩვენმა წერილი გაუგზავნა დავითს მისი (თავისი) შვილის შესახებ.

სპარსული

(17a)
Märd dokhtär-äsh rå be omid-e zän-äsh be mosåferät fereståd.
man daughter-his ACC INST hope-GEN woman-his towards travel send3PAST
კაცმა გაგზავნა თავისი ცოლი სამოგზაუროდ ქალიშვილის იმედით.

(17b)
Märd zän-äsh rå be omid-e dokhtär-äsh be mosåferät fereståd.
man woman-his ACC INST hope-GEN daughter-his towards travel send3PAST
კაცმა გაგზავნა თავისი ქალიშვილი სამოგზაუროდ ცოლის იმედით.

ჩერქეზული (ადიღეური)

(18a) atăšɤə-m Ibragim pajă Zară wărăd qə-ɸə-r-i-γă-ʼᵒa-γ

uncle-ERG Ibragim for Zara song PREV-NEUT/V-IND.OBJ3SG-SBJ1SG-CAUS-tell-RM

ბიძამ ზარა ამღერა იბრაგიმისთვის.

(18a) atăšʷə-m Zară pajă Ibragim wărăd qə-ɸə-r-i-γă-ʼᵒa-γ

uncle-ERG Zara for Ibragim song PREV-NEUT/V-IND.OBJ3SG-SBJ1SG-CAUS-tell-RM

ბიძამ იბრაგიმი ამღერა ზარასთვის.

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ამ ტიპის ობიექტის ალტერნაცია შესაძლებელია განსხვავებული ტიპის ენებში, ანუ ზმნისა და ობიექტების წყობის მიხედვით სხვადასხვა ტიპის სიტყვათა რიგის მქონე ენებში (http://wals.info/chapter/84).

ობიექტის მორფოლოგიური ალტერნაციის მესამე ტიპის შესაძლებლობა მოიაზრებს ზმნისწინის საშუალებით ობიექტთა როლის ცვლილებას.

I. გამკვეთა (მან – სუბიექტი, მე – პირდაპირი ობიექტი);

II. მომკვეთა (მან – სუბიექტი, მე – ირიბი ობიექტი, ის – პირდაპირი ობიექტი).

რომ შევადაროთ ერთმენთს ეს ორი მორფოლოგიური ფორმა *გამკვეთა* და *მომკვეთა,* მარკირებული სხვაობა აქ მხოლოდ ზმნისწინით იქნება გადმოცემული, რადგანაც პირდაპირი და ირიბი ობიექტებისათვის პირველი პირის მარკირება ერთნაირია. ამ ფორმებში ხდება ზმნის პირიანობის ცვლილება – ორპირიანი ზმნა ხდება სამპირიანი (მახარობლიძე 2010). ამავდროულად პირდაპირი ობიექტი ხდება ირიბი ობიექტი და ზმნაში ჩნდება ახალი პირდაპირი ობიექტი. იგივე გარემოება იქნება მეორე პირის ფორმებთანაც (ერთმანეთს შეადარეთ ფორმები: *გაგკვეთა* და *მოგკვეთა).* მესამე ობიექტურ პირთან ვითარება იცვლება, რადგანაც ირიბი ობიექტი მარკირებულია ქართულში, პირდაპირი კი – არა. ერთმანეთს შევადაროთ ფორმები *გაკვეთა* და *მოჰკვეთა.* რადგანაც აქ იზრდება ზმნის პირიანობა და შემოდის ირიბი ობიექტი, შესაბამისად, ჩნდება ირიბი ობიექტის ნიშანი და ეს ორი ფორმა ერთმანეთისაგან უკვე ორი მორფემით არის განსხვავებული – ზმნისწინით და პირის ნიშნით. ცხადია, რომ ზმნისწინის მეშვეობით განხორციელებული ობიექტის ალტერნაცია არის წმინდა მორფოლოგიური მოვლენა. თუმცა ენის იერარქიის დონეები, რა თქმა უნდა, დონეთაშორისი მიმართებების ჭრილშია წარმოდგენილი როგორც მთლიანობა.

აღსანიშნავია, რომ ქართველური ენებში ზმნისწინის მეშვეობით განხორციელებული ობიექტის მორფოლოგიური ალტერნაცია ძირითადად ახასიათებს ზმნათა სამი ტიპის სემანტიკურ ჯგუფს:

1. *გაჭრა-გაკვეთა* ტიპის სემანტიკის მქონე ზმნები;
2. *მისცა* ტიპის სემანტიკის მქონე ზმნები;
3. *გაათხოვა* ტიპის სემანტიკის მქონე ზმნები.

ტიპოლოგიურად გამოყოფილია სხვადასხვა სემანტიკის მქონე ზმნათა ჯგუფები, სადაც ხდება ობიექტის ალტერნაცია. ასეთებია: დაპირება, თხოვნა, ნებართვა,

წერა, აღება, ცხობა, ხატვა, უარყოფა, დარეკვა, თქმა, მომზადება, სწავლება, გადაცემა, ჩვენება. ნაკლებად მდიდარი მორფოლოგიის მქონე ენებში ობიექტის ალტერნაცია ძირითადად სიტყვათა რიგს უკავშირდება. უნდა ხაზგასმით გამოიკვეთოს სხვობა მორფოლოგიურად მარკირებულსა და ოდენ სინტაქსურ ალტერნაციათა შორის. უნდა ითქვას, რომ ოდენ სინტაქსური ობიექტის ალტერნაცია თავის კონტენტში მოიაზრებს იმავე დატიური აქტანტისთვის მხოლოდ წინადადებაში ადგილის ცვლილებასაც (როლებრივი ცვლილების გარეშე). მაგალითად:

(19a) She gives Pavel an apple.
(19b) She gives an apple to Pavel.
ის ვაშლს აძლევს პავლეს.

როგორც ზემოთ ვნახეთ, ქართული ენის მასალა მორფოლოგიური სახის ობიექტის ალტერნაციის შესაძლებლობებს გვიჩვენებს. ამ ტიპის ალტერნაცია ავიწროებს სინტაქსური ალტერნაციის გადმოსახედიდან გამოკვეთილ ზმნათა სემანტიკურ ჯგუფებს, რადგანაც დღის წერსიგში დგება სულიერის, უფრო ზუსტად, ადამიანი-არაადამიანის კატეგორიათა ურთიერთმიმართების საკითხები.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ეს ენობრივი მოვლენა ანუ ზმნისწინის მეშვეობით ზმნის პირიანობის ცვლა და ობიექტთა როლის ცვლილება ხდება ასევე სხვა ქართველურ ენებშიც:

(20a) ქართ. *ga-m-a-txov-a deda-m me.*
PREV-OBJ1SG-VER/N- marry/give away-SBJ3SG mother-ERG I
მეგრ. *ge-m-a-txu dida-k ma.*
PREV-OBJ1SG-VER/N- marry/give away mother-ERG I
სვან. *a-m-c'ûī-le di-d mi.*
PREV-OBJ1SG- marry/give away-RM mother-ERG I

(20b) ქართ. *mo-m-a-txov-a deda-m me gogo.*
PREV-OBJ1SG-VER/N- marry/give away-SBJ3SG mother-ERG I/me girl
მეგრ. *mu-m-a-txu dida-k ma žg'ab-i.*
PREV-OBJ1SG-VER/N- marry/give away mother-ERG I/me girl-NOM
სვან. *la-m-c'ûīl-e di-d mi dina.*
PREV-OBJ1SG- marry/give away-RM mother-ERG I/me girl

(21a) ქართ. *k'ac-ma ga-m-glij-a me.*
man-ERG PREV-OBJ1SG-tear- SBJ3SG I
მეგრ. *k'oči-k go-m-sop ma.*
man-ERG PREV-OBJ1SG-tear I
სვან. *mare-d č'û-a-m-cęrl-e mi.*
man-ERG PREV-VER/N-OBJ1SG-tear-RM I

(21b) ქართ. Georg. *k'ac-ma mo-m-glij-a me q'elsaxvev-i.*
man-ERG PREV-OBJ1SG-tear- SBJ3SG I/me tie-NOM

მეგრ. *k'oči-k mo-m-sop ma q'elsaxvev-i.*
man-ERG PREV-OBJ1SG-tear I/me tie-NOM

სვან. *mare-d ki-a-m-cil mi q'elsaxûeû.*
man-ERG PREV- VER/N-OBJ1SG-tear I/me tie

მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ ობიექტის ალტერნაციის კვლევას უამრავი ნაშრომი მიეძღვნა (თომპსონი 1995, ლევინი 2015, ბრესნანი, კუენი, ნიკიტინა, ბაიენი 2007, ბრესნანი, ნიკიტინა 2008, ჰოვავი და ლევინი 2012), ყველა ეს ავტორი ძირითადად საუბრობს სინტაქსურ დონეზე. ამრიგად, მიგვაჩნია, რომ ქართველური მასალა ერთობ საინტერესო სურათს იძლევა და დღის წესრიგში აყენებს ობიექტის ალტერნაციის მორფოლოგიურ დონეზე კვლევის ტიპოლოგიურ ამოცანას.

ლიტერატურა:

აბრეუ გომესი 2003: Christina Abreu Gomes, Dative alternation in Brazilian Portuguese: typology and constraints, *Language Design* 5:67-78.

ბეკი და ჯონსონი 2004: Sigrid Beck, Kyle Johnson, Double Objects Again, *Linguistic Inquiry, Winter (35)*: 97-123.

ბრესნანი, კუენი, ნიკიტინა, ბაიენი 2007: Joan Bresnan, Anna Cueni, Tatiana Nikitina, H. Baayen, Predicting the dative alternation, In: *Cognitive Foundations of Interpretation*, ed. G.Bouma, I. Krämer, J. Zwarts, pp. 69-94, Royal Netherlands Academy of Science, Amsterdam.

ბრესნანი, ნიკიტინა 2009: Joan Bresnan, Tatiana Nikitina, On the Gradience of the Dative Alternation, In: *Reality Exploration and Discovery: Pattern Interaction in Language and Life,* ed. L. H. Wee, L. Uyechi, pp. 161-184, CSLI Publications, Stanford.

თომპსონი 1995: Sandra A. Thompson, The Iconicity of 'Dative Shift' in English: Considerations from Information Flow in Discourse, In: *Syntactic Iconicity and Linguistic Freezes,* ed. M. E. Landsberg, pp. 155-175, Mouton de Gruyter, Berlin/ New York.

კეინე 1983: Richard S. Kayne, *Connectedness and Binary Branching*, Foris Publications, Dordrecht.

კონველი 2007: Erin Conwell, Katherine Demuth, Early Syntactic Productivity: Evidence from Dative Shift, *Elsevier* 103 (2): 163-179.

ლარსონი 1988: Richard K. Larson, On the Double Object Construction*, Linguistic Inquiry, Summer* **19** (3).

ლევინი 2006: Beth Levin, English Object Alternations: A Unified Account, unpublished ms., Stanford University, Stanford. http://web.stanford.edu/~bclevin/alt06.pdf

მაზურკევიჩი 1984: Irene Mazurkewich, Lydia White, The Acquisition of the Dative Alternation: Unlearning Overgeneralizations, *Cognition,* 16: 261-283.

მახარობლიძე 2010: Tamar Makharoblidze, *lingvist' turi c'erilebi* II*, Linguistic Papers* II, Nekeri, pp.77-101 (in Georgian), Tbilisi.

ლევინი 2015: Beth Levin, Semantics and Pragmatics of Argument Alternations, *Annual Review of Linguistics* 1, 63-83. http://www.annualreviews.org/doi/pdf/10.1146/annurev-linguist-030514-125141

ჩომსკი 1975: Noam Chomsky, *The Logical Structure of Linguistic Theory*, New York.

ჰოვავი და ლევინი 2008: Malka Rappaport Hoavav, Beth Levin, The English Dative Alternation: The Case for Verb Sensitivity, *Journal of Linguistics* 44: 129-167.

ჰოვავი და ლევინი 2012: Malka Rappaport Hovav, Beth Levin , Lexicon Uniformity and the Causative Alternation, In: *The Theta System: Argument Structure at the Interface,* ed. M. Everaert, M. Marelj, T. Siloni, Oxford University Press, Oxford, pp. 150-176.

Tamar Makharoblidze

On Object Alternation

Summary

Object alternation reveals different configurations across languages. These configurations vary depending on certain morpho-semantic structures of languages.

In Georgian (and in other Kartvelian languages as well) object alternation occurs on the morphological level. This fact brings a valuable input to the typology of object alternation in general, as until now object alternation was considered on the syntactic level only. I revealed three possibilities of the morphological object alternation:

I. Object alternation with case marking exchanges/shifting;
II. Object alternation with case preposition replacing, and
III. Object alternation signaled (or recalled by the preverbs.

Crucially, the Kartvelian languages show the facts of object alternation on syntactic and morphological levels of the language hierarchy. The object role-shifting, as a specific case of object alternation, may occur only in the languages with polypersonal (incorporated) verbs. Consequently, the polyfunctional activity of Kartvelian preverbs seems to be a very important issue as well.

In spite the fact that a number of very important researches were dedicated to the issue of object alternation, the authors mainly discuss this on the syntactic level only. Thus, I argue that Kartvelian data on object alternation lead to future typological investigations of morphological object alternations.

მარიამ ნანობაშვილი

მიმღეობის შემცველი ზოგიერთი გენიტიური კონსტრუქცია მათეს სახარების არაბულ თარგმანში

არაბულში მიმღეობას, მსგავსად მრავალი სხვა ენისა, თითქმის ყველა ის მორფოლოგიური კატეგორია აქვს, რაც სახელს მოეპოვება. ამავე დროს, როგორც წესი, ზმნის რომელიმე (ან რამდენიმე) გრამატიკულ კატეგორიასაც გამოხატავს, რითაც განსხვავდება ზმნის ფუძიდან ნაწარმოებ არსებით თუ ზედსართავ სახელთაგან. ნიშანდობლივია, რომ დიონისე თრაკიელი მეტყველების ნაწილებს შორის გამოყოფს მიმღეობასაც. ეს უკანასკნელი ითვლება სახელისა და ზმნის ერთგვარ სინკრეტულ ფორმად. გააზრებულია, როგორც ზმნური ძირი, მოქმედების ან მდგომარეობის შინაარსის შემცველი, გაფორმებული სახელადი აფიქსებით (ოსიძე 1957:187). სწორედ ესაა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს მიმღეობის გამოყენების ფართო არეს.

არაბული გრამატიკული ტრადიცია მეტყველების ნაწილებს სამ ჯგუფად ყოფს: სახელი, ზმნა და ნაწილაკი – „მეტყველება არის ბგერითი გამოხატულების მქონე რთული კონსტრუქცია, რომელსაც დასრულებული შინაარსი აქვს. იგი შედგება სამი ნაწილისაგან: სახელი, ზმნა, ნაწილაკი, რომლებიც წარმოაჩენენ (შეიცავენ) აზრს“ (ბრუნო, ფიშერი 1966:34).

ხსენებული კლასიფიკაცია, რომელსაც ევროპელი ენათმეცნიერებიც იზიარებენ, მიმღეობას აერთიანებს სახელთა ჯგუფში, სადაც განირჩევა ზედსართავთა და არსებითთა ორი დიდი კლასი. არსებითი სახელი, წარმოშობის მიხედვით, შეიძლება იყოს პირველადი, რომელიც ყველა შემთხვევაში სუბსტანტივია, და წარმოქმნილი სახელისაგან, ზმნისაგან ან იშვიათად ნაწილაკისგანაც კი (რაიტი 1955:106). რაც შეეხება ზედსართავ სახელებს, არაბულში პრაქტიკულად ყველა მათგანი განიხილება, როგორც ნაზმნარი, და განიყოფა ორ ნაწილად – მიმღეობები და საკუთრივ ზედსართავი სახელები, ანუ „ცრუ მიმღეობანი“ (იუშმანოვი 1985:78). არსებობს მოქმედი და მოქმედებას დაქვემდებარებული საგნების (თუ პირთა) სახელები, შესაბამისად, აქტივისა და პასივის მიმღეობები, რომლებიც არაბულ ენაში მრავალგვარ სინტაქსურ ფუნქციას იძენენ. ისინი, თავიანთი ბუნების მიხედვით, ზედსართავი სახელებია, მაგრამ არცთუ იშვიათად სუბსტანტივის მნიშვნელობით გვხვდება და პრაქტიკულად აღარავითარი ზმნური შინაარსი აღარ აქვს, თუმცა არაბული საინტერესოა იმით, რომ მიმღეობა საკმაოდ ხშირად ინარჩუნებს პრედიკატულ ფუნქციასაც. ეს მოვლენა შეინიშნება ჩრდილოდასავლურ სემიტურ ენებშიც, მაგალითად, სირიულში. როგორც ცნობილია, სირიული ენის შესწავლას ხანგრძლივი ტრადიციები აქვს ინდოეთში. საინტერესოა, რომ იქ

სპეციალისტებმა საერთოდ უარყვეს მიმღეობის არსებობა სირიულ ენაში. აქტივის ფორმას ორგვარად განიხილავენ – როგორც ზმნის აწმყო დროის გამომხატველს ან აგენსის აღმნიშვნელი სახელის შემოკლებულ ვარიანტს (რობინსონი 1949:36). ევროპელმა ენათმეცნიერებმა ეს აზრი არ გაიზიარეს, ჯერ ერთი, სხვა სემიტურ ენათა ანალოგიის საფუძველზე, მეორეც, თუ აქტივის მიმღეობა პრედიკატულ ფუნქციას იძენს, მნიშვნელოვნად განსხვავდება ზმნის პირიანი ფორმებისაგან სინტაქსური დისტრიბუციით როგორც სირიულში, ასევე ებრაულსა და არაბულში. რაც შეეხება პასივს, ხშირ შემთხვევაში იგი არსებით ან ზედსართავ სახელთა წყებაში გადადის.

როგორც ვხედავთ, თავს იჩენს სუბსტანტივაციისა და ადიექტივაციის ფართო პროცესი ისევე, როგორც პრედიკატული ფუნქციის შენარჩუნება. ასეთ ვითარებაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მიმღეობათა შინაარსეული მხარე, გარკვევა იმისა, თუ როგორ ხდება მათი კლასიფიკაცია მნიშვნელობის მიხედვით, ამავე დროს, აუცილებლად უნდა გაანალიზდეს, რა სინტაქსურ კონსტრუქციებში გამოიყენება მიმღეობები არაბულ ენაში, როგორია ნაზმნარ სახელთა სინტაქსური ფუნქცია (რეკენდორფი 1967:82).

წინამდებარე სტატიაში ჩვენ წარმოვადგენთ არაბული მიმღეობის ანალიზს გენიტიურ კონსტრუქციებში, ე.წ. *status constructus-ში.* საანალიზო მასალა ძირითადად მოცემულია მათეს სახარების არაბული თარგმანებიდან.

სანამ უშუალოდ საკვლევ თემას შევეხებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ხაზი გავუსვათ ქრისტიანული არაბული ძეგლების ენობრივ თავისებურებას და მათ მნიშვნელობას არაბული და ზოგადად სემიტური ენების შესწავლის საქმეში. არაბული ენის განვითარების ისტორიაში განირჩევა ე.წ. „საშუალი არაბული", რომელიც ერთგვარი გარდამავალი საფეხურია კლასიკურ ენასა და ახალ დიალექტებს შორის. იგი ასახულია ქრისტიანულ არაბულ მწერლობაში, რომლის აღმოცენებაც სხვა ფაქტორებთან ერთად განპირობებული იყო არაბთა ექსპანსიითა და არაბული ენის დამკვიდრებით აღმოსავლეთის ქრისტიანულ ქვეყნებში, მათ შორის – სირია-პალესტინასა და ეგვიპტეში. ეს ლიტერატურა მოიცავს საეკლესიო მწერლობის ყველა დარგს. მოღწეული ძეგლების დიდი ნაწილი ბერძნულიდან და სირიულიდან, ასევე კოპტურიდან შესრულებული თარგმანებია, მაგრამ ორიგინალური თხზულებებიც მნიშვნელოვანი ოდენობითაა. ქრისტიანული არაბული მწერლობის ძირითად კერებს წარმოადგენდა სინას მთისა და სამხრეთი პალესტინის სკროპტორიუმები, განსაკუთრებით აქტიური მოღვაწეობა მიმდინარეობდა საბას ლავრასა და წმ. ეკატერინეს მონასტერში (გრაფი 1944:35).

მუსლიმთა სწრაფი ექსპანსიის შედეგად შექმნილი იმპერიის ტერიტორიაზე არაბული ენა გავრცელდა. ეს საკმაოდ რთული პროცესი იყო. განსხვავებით ირანისა თუ სახალიფოს შორეული ტერიტორიებისაგან, არაბული შედარებით მალე დამკვიდრდა სირიასა და მესოპოტამიაში, რასაც ერთი სემიტური ენის (სირიულის) მეორით (არაბულით) ჩანაცვლება განაპირობებდა. ამ ვითარებაში არაბულ-

მა ენამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. განსაკუთრებით აღსანიშნავია სირიულის ძლიერი გავლენა, რაც აისახა როგორც წარმოთქმაში, ისე – ლექსიკასა და გრამატიკულ სტრუქტურაში. არაბული ენის ეს ახალი სახეობა ტიპოლოგიურად განსხვავდება კლასიკური არაბულისაგან, ქრისტიანული არაბული ძეგლების ენა ბევრი ნიშნით ახლოს დგას ახალ დიალექტებთან და სპეციალურ ლიტერატურაში მოიხსენიება, როგორც „საშუალი არაბული“ (ბლაუ 1966:19).

საშუალი არაბულის თავისებურებათა შესწავლა ვერ დაემყარება შესაბამისი პერიოდის ოფიციალურ მუსლიმურ ძეგლებს, რადგანაც კლასიკური არაბულის, როგორც საღვთო ენის, სტატუსი პრაქტიკულად გამორიცხავს ენის ბუნებრივი განვითარების ასახვის შესაძლებლობას. სამაგიეროდ, ამ თვალსაზრისით, ქრისტიანული არაბული ძეგლები მდიდარ მასალას იძლევა. განსაკუთრებით საინტერესოა ბიბლიის თარგმანებზე დაკვირვება, ვინაიდან ჩვენს ხელთ აღმოჩნდება მრავალფეროვანი ენობრივი პარალელები. ბიბლიის თარგმნას ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღებითა და მოკრძალებით ეკიდებოდნენ, ვინაიდან ეს საკრალური ტექსტი იყო. რა თქმა უნდა, გამონაკლისს არც არაბულ ენაზე მთარგმნელნი წარმოადგენდნენ. ბიბლია არაბულად ითარგმნებოდა ბერძნულიდან, სირიულიდან, კოპტურიდან და ლათინურიდან. მთარგმნელები ცდილობდნენ, მაქსიმალურად ჩაწვდომოდნენ დედნისეულ აზრს და ზუსტად, ყოველგვარი ინდივიდუალური ინტერპრეტაციის გარეშე გადმოეტანათ ის (გრიფითი 2013:122).

ჩვენ გამოვიყენეთ როგორც ძველი თარგმანები (უოლტონი 1657), ასევე კლასიკური არაბული ნორმების მიხედვით გამართული გვიანდელი კანონიკური თარგმანი (სახარება არაბულად 1966), სადაც საინტერესო ნიუანსები გამოვლინდა, რომელთაგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამჯერად მხოლოდ მიმღეობათა შემცველ გენიტიურ კონსტრუქციებზე შევჩერდებით.

كـل فجمـع سـاءُوالكهنـة ر . . . المسـيح؟ يولـد ايـن وسـألهم

შეკრიბა ყველა <u>მღვდელმთავარი</u> ... და ჰკითხა: სად უნდა იშვას მესია? (მათ. 2:4)

ხაზგასმულ კონსტრუქციაში მეორე წევრად წარმოდგენილია მიმღეობა, რომელიც არაბულში სირიულ ნასესხობადაა მიჩნეული. كاهن / pl. كهنـة „მომწოდებელს,“ „მხმობელს“ ნიშნავს. როგორც ცნობილია, ანალოგიურია ქართული „მღვდელიც,“ რომელსაც ორგვარი ეტიმოლოგია აქვს: აქტივის მიმღეობა *ღად//ღალად* ძირისაგან – **მ-ღად-ელ-ი > მღდელი;* ან *ხად* (ძახილი) ზმნური ძირისაგან – **მ-ხად-ელ-ი > *მ-ხდ-ელ-ი > მ-ღდ-ელ-ი.* ბერძნულსა (ἱερέυς) და ლათინურშიც (sacerdotibus) ეს სიტყვა წარმართული რიტუალის შემსრულებლის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო და მას შემდეგ უნდა დაკისრებოდა ქრისტიანული ეკლესიის მსახურის მნიშვნელობის გამოხატვა. თავდაპირველად იგი გულისხმობდა „მომხმობელს,“ „მომწოდებელს“ (დანელია 1983:198).

საანალიზო წყვილში ასევე აშკარად ჩანს პირველი წევრის მიკუთვნება მეორისადმი, რაც შესიტყვების ამგვარი ტიპისათვის სავსებით ჩვეულებრივი მოვ-

ლენაა, მაგრამ არაბულში ე.წ. *status constuctus* სხვა ფუნქციასაც ასრულებს, კერძოდ, ქმნის კომპოზიტებს, რომლებიც, მცირე გამონაკლისთა გარდა, არაბულ ენაში პრაქტიკულად არ არსებობს (ლეკიაშვილი 1977:107-108). იგივე ეხება სირიულსაც: „სირიულ ტექსტებში გვხვდება გარკვეული ნაწილი ისეთი სიტყვებისა, რომელთა ფუძე თავისი შედგენილობით რთულია. როგორც წესი, ეს გენიტიური კონსტრუქციაა“ (წერეთელი 1979:47).

ساءُالكهنـــة ر კომპლექსთან მიმართებაში ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, რასაც ბერძნული და ქართულიც ადასტურებს – αρχιερεις, მღვდელმთავარნი (ძვ. ქართ. მღდელთ-მოძღუარნი). სახელის სინტაქსური წესით განსაზღვრის ამგვარ შემთხვევაში კუთვნილებითი დანიშნულების გაგება შენარჩუნებულია, მაგრამ, ამავე დროს, მთლიანობაში ვიღებთ პრაქტიკულად ახალ ლექსიკურ ერთეულს. მოვიყვანთ კიდევ ერთ მაგალითს:

اليــه جــاء كفرنــاحوم يســوع دخــل ولمــا مائــة قائــد اليــه يطلــب .
როცა კაპერნაუმში შევიდა, ერთი <u>ასისთავი</u> მივიდა მასთან, ევედრებოდა მას. (მათ. 8:5)

ხაზგასმულ ფორმებს შეესატყვისება ბერძნ. εκατόνταρχος, ლათ. centurio, რომელიც ასევე შევიდა სირიულში. ქრისტიანულ არაბულ ძეგლებში, მათ შორის, ბიბლიის ძველ თარგმანებში, ასევე გვხვდება الميــة ريــس „ასისთავი,“ მაგალითად:

<u>الميــة ريــس</u> يوليــوس اســمه
<u>ასისთავი</u>, სახელად იულიუსი (Ms. Brit. Mus. 8605, საქმ. 27:1)

როგორც ვხედავთ, არაბულ ტექსტში მოცემულია ასიდენტური რელატიური წინადადება, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ უკავშირო მიმართებითი კონსტრუქცია განსაზღვრავს არა ცალკე აღებულ ريــس სიტყვას, არამედ მთლიან *status constructus*-ს, რომელიც თავისი ბუნებით განუსაზღვრელია – „ვიღაც (ერთი) ასისთავი, რომელსაც იულიუსი ჰქვია (რომლის სახელიცაა იულიუსი)“. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, გენიტიური კავშირი აქ ინდეტერმინირებულ ცნებას გამოხატავს, ამდენად, მნიშვნელობა აღარ ენიჭება არც იმას, რომ ნათესაობითში მდგარი სახელი არტიკლიანია. აქ იმასაც დავძენთ, რომ ბრიტანეთის მუზეუმის ხელნაწერიდან წარმოდგენილ მაგალითში შენარჩუნებული გვაქვს ქრისტიანული არაბული ძეგლებისათვის დამახასიათებელი ორთოგრაფია, კერძოდ, გლოტალური შემართვის (ჰამზის) დაკარგვა.

განვიხილავთ *status constructus*-ის კიდევ ერთ ტიპს, სადაც ერთმანეთს უკავშირდება მიმღეობით გამოხატული კვალიფიკატივი და არტიკლით დეტერმინირებული სუბსტანტივი. ასეთი გენიტიური კავშირი ლექსიკურ სინტაგმას უახლოვდება და არაბულ გრამატიკაში ცნობილია, როგორც „არანამდვილი“ *status constructus* (الحقيقيـــة غـــير الإضـــافة). ეს ტერმინი კარგად გამოხატავს ამგვარი შესიტყვების სპეციფიკას. ჯერ ერთი, მას მთლიანობაში ეკისრება სახელის დეტერმინაციის ფუნქცია, მეორეც, თუ განსაზღვრულ სახელს მიემართება, თვითონაც არ-

ტიკლს დაირთავს, იგულისხმება კონსტრუქციის პირველი წევრი, რომელიც მომ-დევნო გენიტივით ფორმალურად უკვე დეტერმინირებულია, ამდენად, ორმაგად განსაზღვრულად გადაიქცევა, მაგალითად:

الأنـــواع مختلفـــة قضـــايا (st. ind.)
الأنـــواع المختلفـــة القضـــايا (st. det.)
მრავალფეროვანი საკითხები

მსგავსი გენიტიური კავშირები სახარების ტექსტშიც გვხვდება:

وديـــع لأنـــي مـــني وتعلمـــوا عليكـــم نـــيري احملـــوا متواضـــعو القلـــب لنفوســـكم راحـــة فتجـــدوا.
აიღეთ თქვენზე ჩემი უღელი და ისწავლეთ ჩემგან, ვინაიდან მე მშვიდი და გულით თავმდაბალი ვარ, და პოვებთ სულის სიმშვიდეს (მათ. 11:29).

როგორც ვხედავთ, არაბულ ტექსტში ნათესაობითში დასმული სუბსტანტივი უფრო აზუსტებს მსაზღვრელის მნიშვნელობას, რაც განსაკუთრებით კარგად ჩანს ქართულში, სადაც მოქმედებითი ბრუნვის ფორმაა გამოყენებული. განხილული კონსტრუქციის „არანამდვილობა“ იმაშიც გამოიხატება, რომ მასში აღარ მჟღავ-ნდება კუთვნილებითობის გაგება.

სახარების არაბულ თარგმანებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ, განსხვავებით კლასიკური არაბულისაგან, გენიტიური კავშირის განსახილველ ტიპში ზოგიერთ შემთხვევაში მეორე წევრიც უარტიკლოა:

امرأة واذا دم نازفـــة ثوبـــه هـــدب ومســـت ورائـــه مـــن جـــاءت قـــد ســـنة عشـــرة اثنـــتي منـــذ.
და აი, თორმეტი წლის განმავლობაში სისხლმდინარი ქალი უკანა მხრიდან მიუ-ახლოვდა და მისი სამოსის კიდეს შეეხო (მათ. 9:20).

ლონდონის პოლიგლოტაში შესაბამის ადგილას რელატიური წინადადება და-დასტურდა:

بمـــرأة واذا ينزف دمهـــا كـــان ثوبـــه طـــرف ومســـت خلفـــه مـــن جـــاءت ســـنة عشـــرة اثنـــتي منـــذ.
და აი, ერთი ქალი, რომელსაც თორმეტი წელი სისხლი სდიოდა, უკანა მხრიდან მიუახლოვდა და მისი სამოსის კიდეს შეეხო.

ეს განსხვავება შეიძლება არაბული თარგმანისათვის გამოყენებული წყაროე-ბის მრავალფეროვნებით აიხსნას, პირველ შემთხვევაში თარგმანი ბერძნულ ტექ-სტთან დგას ახლოს (მიმღეობის შემცველი გენიტიური კონსტრუქცია), მეორეში კი – სირიულთან (რელატიური წინადადება). საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ქრისტიანულ არაბულ ტრადიციაში ბიბლიის თარგმანთა დიდი სიმრავლე გვაქვს, მთარგმნელები სხვადასხვა რედაქციას იყენებდნენ ბერძნულად, სირიულად, კოპ-ტურად, მოგვიანებით – ლათინურად.

ქრისტიანულ არაბულ ტექსტებში ჩვენი ყურადღება მიიპყრო მიმღეობათა შემცველი „არანამდვილი“ გენიტიური კონსტრუქციების ხმარების კიდევ ერთმა შემთხვევამ, რომელიც კლასიკურ ტექსტებში არ დასტურდება, კერძოდ, არსები-თი სახელი, რომელსაც ჩვენთვის საინტერესო შესიტყვება მიემართება, შეიძლება

არტიკლით განსაზღვრული იყოს, ხოლო *status constructus*-ის პირველი წევრი უარტიკლოდ დარჩეს. თუ ასეთ მაგალითებს განცალკევებულად ავიღებთ, შესაძლოა, მოგვეჩვენოს, რომ ეს ნომინალი წინადადებაა, მაგალითად:

الكـل ضــابط الــرب

უფალი ყოვლისშემძლეა

მაგრამ მთელი წინადადების გააზრებისას ცხადია, რომ აქ საქმე გვაქვს განსხვავებული ელფერის მქონე შესიტყვებასთან, რომელიც შინაარსით განკერძოებულ განსაზღვრებას უახლოვდება:

والســماء الأرض خلــق الكــل ضــابط الــرب .

უფალმა, ყოვლისშემძლემ, შექმნა მიწა და ცა (Burhān II 91, 7).

თავდაპირველად ვფიქრობდით, არტიკლის გამოუყენებლობა ხომ არ არის გამოწვეული ქრისტიანული არაბული ძეგლებისათვის დამახასიათებელი ერთგვარი დაუდევარი სტილით. ცნობილია, რომ მთარგმნელები ზოგჯერ აშკარა შეცდომებსაც უშვებდნენ, ვინაიდან კარგად არ იცოდნენ სალიტერატურო არაბული ენა, მაგრამ არტიკლიან არსებით სახელთან „არანამდვილი" გენიტიური კონსტრუქციის უარტიკლოდ ხმარების საკმაოდ ბევრი მაგალითი დადასტურდა, თანაც ფილოლოგიურად კარგად დამუშავებულ, გამართულ ტექსტებში, ამიტომაც მიგვაჩნია, რომ ეს უბრალო შემთხვევითობა არ არის. ამის საილუსტრაციოდ კიდევ რამდენიმე ნაწყვეტს მოვიყვანთ:

شـــفنا المقـــبرة معطيــة الحيـــاة.

ვიხილეთ საფლავი, სიცოცხლის მომცემი (Ms. Brit. Mus. 5019, 51 b).

نحمـد الله محب البشـــــر.

ვადიდებთ ღმერთს, კაცთა მოდგმის მოყვარეს / კაცთმოყვარეს (Ms. Brit. Mus. 5019, 57 b).

رحمنـا الله غــافر الــذنوب.

შეგვიწყალა ღმერთმა, ცოდვათა მიმტევებელმა (Ms. Brit. Mus. 5019, 62 b).

ქრისტიანული არაბული ძეგლების ენობრივი თავისებურებების შესახებ გამოცემულ ვრცელ მონოგრაფიაში ჯ. ბლაუს ანალოგიური გენიტიური კონსტრუქცია ასევე ნათარგმნი აქვს განკერძოებულ განსაზღვრებად:

العجائـــــب صـــــانع الله

God, the miracle-worker – ღმერთი, სასწაულმოქმედი (ბლაუ 1966:56).

დაბოლოს, განვიხილავთ *status constructus*-ის კიდევ ერთ სახეობას, სადაც პირველ წევრად გამოყენებულია სიტყვა يــرغ „სხვა," რომელსაც უარყოფითი ნაწილაკის ფუნქცია ეკისრება და არაბულ მიმღეობასთან კომბინაციაში უცხო ენებში გადადის, როგორც უარყოფითი მიმღეობა („შეუძლებელი," „დაუბანელი" და სხვ.):

الناس عند هذا مستطاع غير مستطاع شيء كل الله عند ولكن.
კაცთა მიერ შეუძლებელია ეს, ხოლო ღმერთის მიერ ყოველივეა შესაძლებელი (მათ. 19:26).

واما الأكل بايد غير مغسولة فلا ينجس الإنسان.
ხოლო დაუბანელი ხელით (ხელებით) ჭამა არ ბილწავს ადამიანს (მათ. 15:20).

ქრისტიანულ არაბულ ტექსტებში მხოლოდ ასეთი მაგალითები რომ გვხვდებოდეს, განსაკუთრებული არაფერი იქნებოდა, ვინაიდან ეს წესი მოქმედებს კლასიკურ არაბულშიც, მაგრამ ქრისტიანულ ტექსტებში ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც غير შერწყმულად გაიაზრება მის *nomen rectum*-თან და არტიკლს დაირთავს, უფრო სწორად, აქ არტიკლის დართვა ხდება მთლიან *status constructus*-ზე:

مرذولة الغير بصلواتك
შენი არაუგულებელყოფილი ლოცვებით (შენი ლოცვებით, რომელნიც არ იქნენ უარყოფილნი = შესმენილ იქნენ)

مستحقين الغير
უღირსნი, არაღირსეულნი

مثمرة الغير التينة
უნაყოფო ლეღვის ხე

შეიძლება კიდევ მრავალი ასეთი მაგალითის მოყვანა, რაც ამ შემთხვევაშიც გვიჩვენებს, რომ არაბულენოვან ქრისტიან ავტორებს აქ შეცდომა კი არ აქვთ დაშვებული, არამედ *status constructus*-ის ამგვარ ტიპს შერწყმულად აღიქვამენ და საჭიროების შემთხვევაში სისტემატურად ურთავენ განსაზღვრულ არტიკლს.

განხილული საკითხების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ქრისტიანული არაბული ტექსტები *status constructus*-ის გამოყენებისას მეტწილად მისდევს კლასიკური ენის ნორმებს, მაგრამ ასევე გვიჩვენებს საინტერესო გადახვევებს, რომლებიც ამჯერად ძირითადად მათეს სახარების არაბული თარგმანის მაგალითზე გავაანალიზეთ. საერთო ტენდენცია, რაც ამ გადახვევებში შეიძლება დავინახოთ, დაკავშირებულია *status constructus*-ის ერთიან, განუყოფელ ცნებად გააზრებასთან. კლასიკურ ენასთან შედარებით, ეს პროცესი კიდევ უფრო გაღრმავებული გვეჩვენება ქრისტიანული ძეგლების ენაში, რაც უკეთ ასახავს ცოცხალ ენაში მიმდინარე ცვლილებებს. ვფიქრობთ, მომავალი კვლევა უფრო ვრცელ კორპუსზე კიდევ მრავალ საინტერესო ფაქტს გამოავლენს. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ჯ. ბლაუს ფუნდამენტური მონოგრაფია ქრისტიანული არაბული ძეგლების ენობრივი თავისებურებების შესახებ უაღრესად მასშტაბური, ბრწყინვალე ნაშრომია და მისი გამოქვეყნებით ავტორმა უდიდესი წვლილი შეიტანა სემიტოლოგიასა და აღმოსავლურ ფილოლოგიაში. თუმცა იგი მხოლოდ სამხრეთპალესტინური წარმოშობის ძეგლებს ეყრდნობა, თანაც, მას შემდეგ (60-იანი წწ.) საგ-

რძნობლად გაიზარდა სამეცნიერო ნაშრომთა რიცხვი ქრისტიანულ არაბისტიკაში, გამოიცა მრავალი ტექსტი, ხელნაწერთა შესწავლა ამჟამადაც გრძელდება, ამიტომაც ლინგვისტური დაკვირვებებისათვის ქრისტიანული არაბული ძეგლები კვლავაც უმდიდრეს მასალას გვთავაზობს.

ლიტერატურა:

ბლაუ 1966: J. Blau, A Grammar of Christian Arabic (based mainly on south-Palestinian texts from the 1st Mill.), *Corpus Scriptorum Christianorum Orientalium*, Vol. 276, T. 28, Louvain.

ბრუნო, ფიშერი 1966: R. Brunnow, A. Fischer, *Arabische Chrestomathie aus Prosaschriftstellern,* Leipzig.

გრაფი 1944: G. Graf, Geschichte der Christlichen Arabischen Literatur*, Studi e Testi 118,* Città del Vaticano.

გრიფითი 2013: S. Griffith, *The Bible in Arabic. The Scriptures of the "People of the Book" in the Language of Islam,* Princeton University Press.

დანელია 1983: კ. დანელია, *ქართული საშწერლო ენის ისტორიის საკითხები,* თბილისი.

იუშმანოვი 1985: Н. В. Юшманов, *Грамматика литературного арабского языка,* Москва.

ლეკიაშვილი 1977: ა. ლეკიაშვილი, *არაბული ენა,* თბილისი.

ოსიძე 1957: ე. ოსიძე, მიმღეობის წარმოება ქართულში, *თსუ შრომები 67*, თბილისი.

რაიტი 1955: W. Wright, *A Grammar of the Arabic Language,* Cambridge University Press.

რეკენდორფი 1967: H. Rekendorf, *Die Syntaktischen Verhältnisse des Arabischen,* Brill, Leiden.

რობინსონი 1949: T. H. Robinson, *Syriac Grammar,* London.

სახარება არაბულად 1966: بـــيروت المقـــدس، الكتـــاب

უოლტონი 1657: B. Walton, *Biblia Sacra Polyglotta,* Reprint – Graz, 1964.

წერეთელი 1979: К. Г. Церетели, *Сирийский язык*, Москва.

Mariam Nanobashvili

Genitive Constructions with Participles in the Arabic Translations of the Gospel by Matthew

Summary

In the present paper is given the analysis of Arabic participles in genitive constructions, the so-called *status constructus.* The material for the analysis is mainly presented from the Arabic translations of the Gospel by Matthew. This choice is not random due to the existence of "Middle Arabic", which is a kind of transition step between the classical language and the new dialects. The study of Middle Arabic cannot be based on the official Islamic works, as the status of Classical Arabic, as a sacred

language, practically excludes the possibility of reflecting the natural development of the language. Contrary to this, Christian Arabic works provide us with a rich material from this point of view. The study of the translations of the Bible is especially interesting, because diverse language parallels are at our disposal. In the course of research were used old translations, as well as later ones, elaborated according to the norms of Classical Arabic, which revealed interesting nuances.

The study deals with the forms of genitive constructions which correspond to compound words. In addition, there is analyzed the type of *status constructus*, where there are connected a qualificative, expressed by a participle, and a noun, determined with a definite article. Such a genitive construction is close to a lexical syntagm and is known in the Arabic grammar as "unreal" *status constructus.* Observation of the texts of the Gospel has shown that, unlike Classical Arabic, in these genitive constructions sometimes the second part is also without an article.

In the Christian Arabic texts my attention was drawn by another case of the occurrence of "unreal" genitive construction, which cannot be seen in classical texts, namely, the noun, to which the construction is referred, is determined with an article, while the first part of *status constructus* has no article. If one discusses such cases in an isolated way, they may seem to be nominal sentences, but while analyzing the whole sentence, it is obvious that we have got a word combination of some other kind, which is closer with its meaning to a detached definition.

Finally, we discuss one more variety of *status constructus,* where the first part is the word غـير "another" with the function of a negative particle. In combination with the Arabic participle, it corresponds to the negative participles of other languages. If only such usages were occurring in the Christian Arabic texts, there would be nothing remarkable, as the same rule is valid in Classical Arabic as well. But in the Christian Arabic texts there are many cases when غـير is perceived together with its *nomen rectum* and it takes a definite article, more exactly, the whole *status constructus* takes an article.

The Christian Arabic texts mainly follow the norms of the Classical language in the usage of *status constructus,* but they also show some interesting deviations, which were analyzed mainly on the basis of the Arabic translations of the Gospel by Matthew in the given case. The common tendency, which we can see in these deviations, is connected to the perception of *status constructus* as a whole inseparable notion. In comparison with the Classical language, this process seems even deeper in the language of the Christian Arabic works, which better reflects the changes occurring in the live language.

მედეა სალღლიანი

ზმნისწინისა და ფონოსემანტიკური ზმნური ფუძის ურთიერთმიმართების საკითხისათვის აწმყოში

(სვანური მასალების მიხედვით)

ფონოსემანტიკური ლექსიკა ქართულსა და მეგრულში ზმნისწინისა და ფონოსემანტიკური ზმნური ფუძის მიმართების თვალსაზრისით, რამდენადაც ცნობილია, მეტად საინტერესო თავისებურებას ავლენს. ეს თავისებურება კი განპირობებულია, ძირითადად, აწმყოში ზმნისწინის დართვით, რომელსაც შემოაქვს როგორც *სიარულის,* ისე *ყურებისა* და *ლაპარაკის* სემანტიკა. სამეცნიერო ლიტერატურაში განსაკუთრებული ყურადღება არის გამახვილებული ე.წ. უმიზნო მოძრაობის (გადაადგილების) – *დახეტიალობს, დაბორიალობს, დაბანცალობს, დაბლაყუნობს, დათარეშობს, დაღიღინებს, დაბზუის* და ა.შ. აღმნიშვნელ ზმნებზე, რომლებიც ყურადღებას იქცევენ იმის მიხედვით, თუ როგორ გამოხატავენ ისინი მოძრაობას, კერძოდ, რა სახის მოძრაობა (მაგალითად: *უსაქმო, უთავბოლო, ზანტი მოძრაობა, ბორიალი...)* სრულდება, როგორ სრულდება და როგორია მთქმელის დამოკიდებულება მოძრავი საგნის მიმართ (ქურდაძე 2011:27). ქართულში ამგვარ ზმნებს მეტწილად **და-** ზმნისწინი დაერთვით (ა. შანიძე, დ. მელიქიშვილი, ნ. ჭუმბურიძე...), ხოლო მეგრულში **მე-**, **მი-**, **გილა/გილე** ზმნისწინები (ი. ქობალავა).

სვანურში, როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდან არის ცნობილი, მსგავსი სემანტიკის (ანუ *უმიზნო მოძრაობის მანერის აღმნიშვნელი*) ზმნები ზმნისწინის დართვას არ საჭიროებენ (ჭკადუა 2015:233), მათი სტრუქტურული შედგენილობა კი შემდეგი სახით არის წარმოდგენილი:

პირის ნიშანი + ი ხმოვან-პრეფიქსი + ზმნის ძირი (სემანტიკური ბირთვი) + -ელ/-ურ/-ულ ელემენტები + ალ/-იელ სუფიქსი (იქვე).

ი- პრეფიქსი მოძრაობის მანერის აღმნიშვნელ ზმნებში, სხვა ქართველურ ენათა მსგავსად (შდრ. ქართ. *ი-გრიხება, ი-ზლაზნება, ი-კვანწება, ი-არება, ი-ბღოტება, ი-ბრიქება, ი-ღვედება, ი-ბობღება, ი-კვლანწება, ი-მანჭება...*, მეგრ. *ი-სერგელუნ, ი-კვაკვალუნ, ი-ძვაძვალუნ, ი-დირგონუნ, ი-ფაყვალუნ, ი-ხერკელუნ...*), განსაკუთრებით ხშირად დასტურდება სვანურშიც (მაგ.: **ი-დიდანალ**, **ი-კიკანალ**, **ი-კუნ-კუ̈ალ**, **ი-ბრიჯანალ**, **ი-თიგანალ**, **ი-ბანდუნალ**, **ი-ბგრცანალ**, **ი-ხგრკანალ**, **ი-სირგ-ლაუალ**, **ი-ფამფუნ̈ალ**, **ი-გრანგალ**, **ი-თგრანა̈ალ/ი-თგრანალ**, **ი-ბზენკულალ**, **ი-შან-გუნ̈ალ**...). ამ ჯგუფის ზმნათა სემანტიკა სუბიექტის გარდა სხვა პირის გაგებას არ შეიცავს, მაგრამ, სამაგიეროდ, უფრო საგრძნობია უკუქცევითობა (ღვინაძე 1989:25).

საანალიზო ზმნათა ძირითადი მნიშვნელობა, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, უნდა იყოს სუბიექტის მოძრაობის გამოხატვა, რომელიც უმიზნო მოქმედების პროცესშია, თუმცა ის გადაადგილდება და ამ გადაადგილებას *მრავალგზისობისა* და *ინტენსიურობის* ელფერი ახლავს. შესაძლოა ისიც, რომ ამ სტრუქტურული მოდელით გადმოიცეს ზოგადი, სუბიექტისათვის დამახასიათებელი მოძრაობის მანერა და არა პროცესი, რაც დამოკიდებულია კონტექსტზე, მაგალითად: **კაუ̄ქა იბანდუნა̈ლ** „ეზოში დაბოდიალობს“, მაგრამ **ნამჩოშუ̄ ქა უ̄ედდ გარ იბანდუნა̈ლ** „სიბერისგან ძლივს დადის, დაბოდიალობს“ და ა.შ. (ჭკადუა 2015:233-234).

ცხადია, მსგავსი მაგალითების მოხმობა სვანური ენის დიალექტ-კილოკავების მიხედვით უხვად შეიძლება და, როგორც აწმყოს ფუძის მოდელების განხილვისას გამოჩნდა,[1] **ი-** პრეფიქსი მოძრაობის მანერის გამომხატველი ზმნების გარდა, ასევე, დასტურდება *ჭამის, საუბრის, ყურებისა* და *ლაპარაკის* აღმნიშვნელ ზმნებშიც (იხ. ქვემოთ!).

სპეციალურ ლიტერატურაში სემანტიკურად ახლოს მდგომი, *უმიზნო მოძრაობის* (ან „*გამიზნული უმოქმედობის*“) აღმნიშვნელი ზმნები *ემოციური ელფერის* მიხედვით დაყოფილია რამდენიმე ჯგუფად (ჭკადუა 2015:234-235):

1. ***მოძრავი საგნის (სუბიექტის) გარეგნული ნიშნების მიხედვით დახასიათება***

ი-კოჩ-ა̈ლ (ბზ.) „მაღალი კაცი დაიარება“.

ი-სირგლაუ̄-ალ (ბქ.), **ი-სგრგლაუ̄-ალ** (ლნტ.) „მაღალი და სუსტი ადამიანი ბორძიკით დადის“.

ი-დრ̄ნდ-ა̈ლ (ბზ.), **ი-დონდ-ალ** (ბქ.) „მსუქანი ადამიანი ზანტად დაიარება“.

ი-კუ̄ნკუ̄-ა̈ლ (ბზ.) „პატარა ტანის ადამიანი მოკუნტული დადის“.

ი-ბონჯღ-ა̄ლ (ლშხ., ჩოლ.) „გამხდარი, პატარა კაცი ძლივს დადის“.

ი-ბგჯღან-ა/ა̈ლ (ლნტ.) „მსუქანი ადამიანი ფეხებმოგრეხილი უშნოდ დადის“.

ი-ბზენკულ-ა̄ლ (ბზ.) „წელში მოხრილი დადის“.

ი-ზონკალ (ბქ.) „იკაკვება, იკუზება, წელში მოხრილი დადის“.

ი-ფამფუნ-ალ (ბქ.) „დიდი აღნაგობის ადამიანი უხეშად, ფომფლედ დადის, საქმიანობს“.

ი-შა̄ნგუნ-ა̈ლ (ბზ.) „მაღალი ადამიანი გრძელი ნაბიჯებით დადის“.

ი-სრგგან-ა̄ლ (ჩოლ.) „გამხდარი, გაჩხიკინებული ადამიანი ამაყად დადის“.

ი-ცა̄ნგუნ-ა̈ლ (ბზ.), **ი-ცანგუნ-ა/ა̈ლ** (ბქ.) „დაცუნცულებს (ბავშვი და ტანად პატარა)“...

---

[1] იხ. მედეა საღლიანი, აწმყოს ფუძის წარმოება სვანურში სხვადასხვა ფონოსემანტიკური ჯგუფების მიხედვით, *სამეცნიერო შრომების კრებული, ქართველური ენათმეცნიერება,* ტ. IV, ეძღვნება ზურაბ ჭუმბურიძეს, თბილისი 2017.

2. *სუბიექტის ჩაცმულობაზე მითითება*

ი-ფრინქ-იელ (ჩოლ.) „გაღეღილი ტანსაცმლით დადის“.

ი-შყიმბოლ-ä̈ლ (ბზ.) „უქუდოდ დაიარება“.

ი-ტყინგლაუ̄-ალ (ბქ.), **იტყეგან-ა/ä̈ლ** (ლნტ.) „შილიფად ჩაცმული დადის“.

ი-ჩანთხუნ-ალ (ბქ., ლნტ.) „დიდი ზომის ფეხსაცმლით დადის“.

ი-გუ̄ირან-ალ (ბქ.) „უქუდოდ, უთავსაფროდ დადის“.

ი-ბლიშან-ä̈ლ (ბქ.) „მოუწესრიგებელი ტანსაცმლით დადის“.

ი-თუ̄რიჩან-ალ (ბქ.) „მეტისმეტად გრძელი ტანსაცმლით დადის“.

ი-ქ̄ონქი-ǟლ (ჩოლ.) „შიშველი ფეხებით ძლივს დადის“.

ი-ფლეჩან-ä̈ლ (ლხმ.) „რბილი ფეხსაცმლით დაიარება“...

3. *სუბიექტისადმი მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულების გადმომცემი ლექსემები*

ი-თეგრან-ä̈ლ (ბზ.), **ი-თეგრან-ალ** (ბქ., ლნტ.), **ი-თეგრან-ǟლ** (ლშხ., ჩოლ.) „დაეთრევა“.

ი-ბლ̄ეყ-იელ (ლშხ., ჩოლ.) „უსაქმოდ დაყურყუტებს“.

ი-ბრეტყ-ან-ǟლ (ჩოლ.) „უშნოდ დაიარება“.

ი-გრანგ-ალ (ბქ.) „დაეთრევა, დახეტიალობს“.

ი-გუ̄რემფ-იელ (ჩოლ.) „კარდაკარ დადის უსაქმურად“.

ი-კუ̄არუნ-ä̈ლ (ბზ.), **ი-კუ̄არუნ-ალ** (ბქ., ლნტ.), **ი-კუ̄არუნ-ǟლ** (ლშხ., ჩოლ.) „დაეთრევა, დახეტიალობს“.

ი-შყრაგ-ალ (ბქ.) „დაეთრევა, დახეტიალობს; უსაქმურობს“.

ი-ძანძ-უნ-ä̈ლ (ლხმ.) „დაძონძაობს“...

4. *სუბიექტისადმი სიბრალულის, თანაგრძნობის გამოხატვა*

ი-ჭედ-ან-ä̈ლ (ბზ.), **ი-ჭედან-ა/ä̈ლ** (ლნტ.) „კედელ-კედელ ძლივს დაიარება“.

ი-ზესდ-ან-ალ (ბქ.) „ხან სად წამოწვება და ხან სად“.

ი-ბულ-ალ (ბქ.) „ძლივს დადის, დაბობღავს“.

ი-ჭ̄ორტ-ǟლ (ლშხ., ჩოლ.) „სიგამხდრისგან ძლივს დადის“.

ი-ჰორყ-ალ (ბქ.) „მეტისმეტი სიგამხდრისგან ძლივს დადის (მაგ. საქონელი)“.

ი-ჩხორკ-ალ (ბქ.) „მეტისმეტი სიგამხდრისგან ძლივს დადის“.

ი-ჰამბუნ-ალ (ბქ.) „ავადმყოფობისაგან დაუძლურებული ძლივს დადის“.

ი-ბ̄ოც-ǟლ (ლშხ., ჩოლ.) „ნელა, საცოდავად დადის“.

ი-ყოყაუ̄-ǟლ (ლშხ., ჩოლ.) „ბევრი სიარულისაგან ძლივს დაათრევს ფეხებს“...[2]

ამ ზმნური ლექსემების საერთო მახასიათებელს უნდა წარმოადგენდეს მოძრაობა-გადაადგილების შინაარსი, ხოლო მადიფერენცირებელს — მოძრავი სუბიექტის დახასიათება და მოლაპარაკის ემოციური დამოკიდებულება სუბიექტისადმი.

---

[2] ვინაიდან მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნების სემანტიკური აღწერა მანერის მიხედვით დიდძალ მასალას მოიცავს სვანურში, აქედან გამომდინარე, შევეცადეთ მაქსიმალურად შეგვევსო ზემოთ აღნიშნული ჯგუფები სვანურის დიალექტური მონაცემებით.

სვანურ მრავალფეროვან დიალექტოლოგიურ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ სხვა ქართველურ ენათა მსგავსად, სვანურშიც მოძრაობა-გადაადგილების (და არა მხოლოდ მოძრაობა-გადაადგილების აღმნიშვნელი, არამედ *ფიზიონომიის*, *ყურება/ხედვის*, *საუბრის* და ა.შ.) ზმნები მარტივ **ეს-/ას-** (ე-, ო- და ა-), **ად-/ათ-** (ალომორფები: Ა-(ე-), ო-, ა-, ᲐᲗ-(ეთ-), ოთ-, ათ-, ᲐᲓ-(ედ-), ად-), **ან-** (ალომორფები: ა-, Ა- (ე-), ო-, ან-, ᲐᲜ- (ენ-), ონ-) და **ლა-** (ალომორფები: ლა-, ᲚᲐ-, ᲚᲐ̄-, ᲚᲐ̈-, ᲚᲝ-, ᲚᲝ̄-, ᲚᲔ-) ზმნისწინთა დართვით აწარმოებენ *აწმყოს ფორმებს* (აგრეთვე, *მყოფადის*, *წყვეტილისა* და *მესამე სერიის* ფორმებსაც კი). ამ ზმნისწინებს კი შემოაქვთ როგორც *სიარულის*, ისე *ყურებისა* და *ლაპარაკის* სემანტიკა.

ხშირად ერთი და იმავე სემანტიკის ზმნა აწმყოში ერთდროულად ასახავს *ადამიანის* (*ქალის*, *კაცის*, *ბავშვის*, *მოხუცის*) *ფიზიონომიას* + (*დგომა-*) *ყურებას* *და* + *სიარულის მანერას* (მაგალითები იხ. ზემოთ!) ანუ ერთ ზმნაში არის ასახული როგორც *მანერულობა*, ასევე *ფიზიონომიაც*. ცხადია, მთავარი ამ შემთხვევაში *ფიზიონომიის* გამომხატველი პირველადი მასდარია (ანუ ძირითადი *სემანტიკური ბირთვი*), რომელსაც **ი-** პრეფიქსის დართვა *ყურების/ ხედვის* სემანტიკას ანიჭებს, **ეს-/ას** ზმნისწინის დართვით კი შეუძლია *სიარულის* მნიშვნელობაც მიენიჭოს; ზოგჯერ კი, შესაძლოა, დაემატოს ადამიანის ქცევისათვის დამახასიათებელი ესა თუ ის ნიშანიც (მაგალითად: *ცუღლუტობა*, *კაპასობა*, *ბუტიაობა*...). აქედან გამომდინარე უნდა ითქვას, რომ აწმყოში ფორმისა და შინაარსის მიხედვით განსხვავებული *სამნაირი* და *ორნაირი* ფორმა დასტურდება, რომელთათვისაც ამოსავალი (ანუ საყრდენი) ძირი ერთია, თუმცა ფორმათა ერთ ნაწილს საფუძვლად უდევს მარტივი, ე.წ. შიშველი ფუძეები (**ყუ̈იბ**, **ბიყუ̈**, **მიჩუ̈**, **გუ̈ირ**, **პრიტ**, **კიკ**, **ბიჩხ**...), ხოლო მეორე ნაწილს **ლი-** პრეფიქსით ნაწარმოები მასდარები (**ლი-შიუ̈ანალ**, **ლი-შუ̈ირანალ**, **ლი-სირგლაუ̈ალ**, **ლი-ცინგლაუ̈ალ**, **ლი-დიდანალ**...).

აწმყოს სამივე ფორმისათვის სტრუქტურული შედგენილობა კი შემდეგი სახისაა:

1. ზმნის ძირი (სემანტიკური ბირთვი), 2. ი- პრეფიქსიანი აწმყოს ფორმა, 3. ეს-ზმნისწინიანი აწმყოს ფორმა

ყუ̈იბ „დგას, ჩანს დიდთავა კაცი“ – **ი-ყუ̈იბანალ** „დგას, იყურება დიდთავა კაცი“ – **ეს-ყუ̈იბანალ** „მიდის დიდთავა კაცი“.

ბიყუ̈ „დგას, ჩანს ლოყებბუთხუზა ბიჭი გაბუტული“ – **ი-ბიყუ̈ანალ** „ლოყებბუთხუზა ბიჭი გაბუტული იყურება“ – **ეს-ბიყუ̈ანალ** „ლოყებბუთხუზა ბიჭი გაბუტული მიდის“.

მიჩუ̈ „უშნო სახის მამაკაცი დგას, ჩანს“ – **ი-მიჩუ̈ანალ** „უშნო სახის მამაკაცი იყურება“ – **ეს-მიჩუ̈ანალ** „უშნო სახის მამაკაცი მიდის“.

გუ̈ირ „თავშიშველი კაცი ან ქალი დგას, ჩანს“ – **ი-გუ̈ირანალ** „თავშიშველი კაცი ან ქალი იყურება, დგას“ – **ეს-გუ̈ირანალ** – „თავშიშველი კაცი ან ქალი მიდის“.

პრიტ „დიდყურება ბიჭი დგას, ჩანს“ – **ი-პრიტანალ** „დიდყურება ბიჭი იყურება, დგას; ცულლუტობს“ – **ეს-პრიტანალ** „დიდყურება ბიჭი მიდის, მიცულლუტობს“.

გლიბ „მეჩხერკბილებიანი მოზრდილი ადამიანი უშნოდ დგას, ჩანს“ – **ი-გლᾱმბუნᾱლ** „მეჩხერკბილებიანი მოზრდილი ადამიანი უშნოდ იყურება“ – **ეს-გლᾱმბუნᾱლ-ი** „მეჩხერკბილებ-იანი მოზრდილი ადამიანი უშნოდ მიდის“.

კიკ „ახალგაზრდა გამხდარი გოგო მაღალქუსლიანებით მეტიჩრულად დგას, ჩანს“ – **ი-კიკანალ** ახალგაზრდა გამხდარი გოგო მაღალქუსლიანებით მეტიჩრულად დგას, დადის“ – **ეს-კიკანალ** „ახალგაზრდა გამხდარი გოგო მაღალქუსლიანებით მეტიჩრულად მიდის, მიკაკუნობს“.

ბიჩხ „გაფარჩხულად, უშნოდ დგას, ჩანს“ – **ი-ბიჩხანალ** „გაფარჩხულად, უშნოდ დადის“ – **ეს-ბიჩხანალ** „გაფარჩხულად, უშნოდ მიაბოტებს“ და ა.შ., თუმცა **ი-** პრეფიქსიან და **ეს-** ზმნისწინიან ზმნურ ფორმათა უმეტესობას მარტივი, ე.წ. შიშველი ფუძეები არ ეწარმოება, სტრუქტურულად კი ასეთი სახით წარმოგვიდგებიან:

1. ი- პრეფიქსიანი აწმყოს ფორმა, 2. ეს- ზმნისწინიანი აწმყოს ფორმა

ი-შიუ̄ანალ „შავთვალწარბა უშნო სახის მამაკაცი გაბრაზებული იყურება“ – **ეს-შიუ̄ანალ** „შავთვალწარბა უშნო სახის მამაკაცი გაბრაზებული მიდის“.

ი-შუ̄ირანალ „ელამი, უშნოთვალება ადამიანი გაბრაზებული იყურება“ – **ეს-შუ̄ირანალ** „ელამი, უშნოთვალება ადამიანი გაბრაზებული მიდის“.

ი-ცინგლაუ̄ალ „გამხდარი, პატარა ტანის ახალგაზრდა გოგო დადის“ – **ეს-ცინგლაუ̄ალ** „გამხდარი, პატარა ტანის ახალგაზრდა გოგო მიდის“.

ი-დიდანალ „მედიდურად დადის, დგას, იყურება; მედიდურობს“ – **ეს-დიდანალ** „მედიდურად მიდის; *მიდიდურობს“.

ი-ბᾱნჯღუნᾱლ „პატარა ბიჭი ან პატარა ტანის მამაკაცი უშნოდ დადის, დაბაჯბაჯებს“ – **ეს-ბᾱნჯღუნᾱლ-ი** „პატარა ბიჭი ან პატარა ტანის მამაკაცი უშნოდ მიდის, მიბაჯბაჯებს“.

ი-სირგლაუ̄ალ „უმიზნოდ, უშნოდ, ფეხების ბანცალით დადის“ – **ეს-სირგლაუ̄ალ** „უმიზნოდ, უშნოდ, ფეხების ბანცალით მიდის“.

ი-ბრᾱნჩხუნᾱლ „დიდი აღნაგობის და ასაკის უწესო ქალი უშნოდ დადის, დაბაჯბაჯებს“ – **ეს-ბრᾱნჩხუნᾱლ-ი** „დიდი აღნაგობის და ასაკის უწესო ქალი უშნოდ მიდის, მიბაჯბაჯებს“.

ი-პიტყანალ „გამხდარი გოგო ან ბიჭი ცანცარებს, ცუდად იქცევა“ – **ეს-პგტყანალ** „გამხდარი გოგო ან ბიჭი მიცანცარებს“.

ი-ბლანყუნᾱლ „მსუქანი, ზონზროხა კაცი დიდი ნაბიჯებით დადის, დაბლაყუნობს“ – **ეს-ბლᾱნყუნᾱლ-ი** „მსუქანი, ზონზროხა კაცი დიდი ნაბიჯებით მიდის, მიბლაყუნობს“.

ი-დანდუნალ „მსუქანი ქალი ან კაცი მოძრაობს; ზონზროხობს“ – **ეს-დანდუნალ** „მსუქანი ქალი ან კაცი მიდის; მიზონზროხებს“.

ი-გ̄ანგუნ̄ალ „მოზრდილი ტანის,[3] მაღალი და უშნო ადამიანი დადის, დაგანგალობს“ – **ეს-გ̄ანგუნ̄ალ-ი** „მოზრდილი ტანის, მაღალი და უშნო ადამიანი მიდის, მიგანგალობს“.

ი-პ̄ტ̄ყანა̄ალ „გამხდარი გოგო ან ბიჭი ცანცარებს, ცუდად იქცევა“ – **ეს-პ̄ტ̄ყანე** „გამხდარი, ფეხშიშველა გოგო ან ბიჭი მიდის ცანცარით; მიცანცარებს“.

ი-პ̄ჭ̄ყანა̄ალ „მეტისმეტად გამხდარი გოგო ფეხების პარჭ̄ყვით დადის“ – **ეს-პ̄ჭ̄ყანე** „მეტისმეტად გამხდარი გოგო ფეხების პარჭ̄ყვით მიდის; მიიპარჭ̄ყება“.

ი-ღ̄რ̄ღ̄ანა̄ალ „დიდმუცელა პატარა ბიჭი დადის, დაგორავს“ – **ეს-ღ̄რ̄ღ̄იალ-ი** „დიდმუცელა პატარა ბიჭი მიდის; მიგორავს“.

ი-ღ̄ურ̄ღ̄უ̄ანა̄ალ „ჩუხჩუხებს“ – **ეს-ღ̄ურ̄ღ̄უ̄იალ-ი** „მიჩუხჩუხებს“.

ი-ყ̄ერ̄ყანა̄ალ „დიდმუცელა პატარა ბიჭი ბლაყუნით დადის“ – **ეს-ყ̄ერ̄ყიალ-ი** „დიდმუცელა პატარა ბიჭი ბლაყუნით მიდის; მიბლაყუნობს“.

ი-ყ̄ან̄ყ̄უნ̄ალ „მოზრდილი კაცი ჩქარა, მაგრამ მოშვებით, ფომფლედ დადის“ – **ეს-ყ̄ან̄ყ̄ალი/ეს-ყ̄ან̄ყ̄უნ̄ალ-ი** (ჩოლ.) „მოზრდილი კაცი სწრაფად, მაგრამ მოშვებით, ფომფლედ მიდის“.

ი-ძ̄ან̄ძ̄უნ̄ალ „გამხდარი ადამიანი დაძონძილი ტანსაცმლით დადის; დაძონძაობს“ – **ეს-ძ̄ან̄ძ̄ალი/ეს-ძ̄ან̄ძ̄უნ̄ალ-ი** „გამხდარი ადამიანი დაძონძილი ტანსაცმლით მიდის; მიძონძაობს“.

ი-წ̄ან̄წ̄უნ̄ალ „დაწანწალობს“ – **ეს-წ̄ან̄წ̄ალი** „მიწანწალებს“.

ი-ჭ̄ერ̄ჭ̄ანა̄ალ „პატარა ბიჭი უშნოდ მიდის; მიიგრიხება“ – **ეს-ჭ̄ერ̄ჭ̄ანე** „პატარა ბიჭი მიდის“.

ი-ჭ̄ერ̄ჭ̄ენ̄ალ „კოხტად, მაგრამ ხმაურით, ჭრიალით დადის“ – **ეს-ჭ̄ერ̄ჭ̄იალი** (ჩოლ.) „კოხტად, მაგრამ ხმაურით, ჭრიალით მიდის; მიჭრიალებს“ და მრავ. სხვ.[4]

ას- ზმნისწინიანი აწმყოს ფორმები დადასტურდა ლენტეხურშიც, თუმცა ისინი სისტემას არ ქმნიან:

ას-ბ̄ან̄ჯ̄ღ̄უნ̄ალ-ი (შდრ. **ი-ბ̄ან̄ჯ̄ღ̄უნ̄ალ** „პატარა ბიჭი ან პატარა ტანის მამაკაცი უშნოდ დადის, დაბაჯბაჯებს“) „პატარა ბიჭი ან პატარა ტანის მამაკაცი უშნოდ მიდის, მიბაჯბაჯებს“

ას-გ̄ან̄გ̄უნ̄ალ-ი (შდრ. **ი-გ̄ან̄გ̄უნ̄ალ** „მოზრდილი ტანის, მაღალი და უშნო ადამიანი დადის, დაგანგალობს“) „მოზრდილი ტანის, მაღალი და უშნო ადამიანი მიდის, მიგანგალობს“.

ას-პ̄ტ̄ყანა̄ალ-ი (შდრ. **ი-პ̄ტ̄ყანა̄ალ** „დაცანცარებს, დაპარტყუნობს ბავშვი ან გამხდარი ქალი“) „მიცანცარებს, მიპარტყუნობს ბავშვი ან გამხდარი ქალი“.

ას-ძ̄ან̄ძ̄ალ-ი (შდრ. **ი-ძ̄ან̄ძ̄უნ̄ალ** „დაძუნძულებს; დაძონძაობს“) „მიძუნძულებს; მიძონძაობს“.

---

[3] მეტისმეტად გამხდარი ადამიანის სიარულზეც ამბობენ.

[4] აღნიშნულ ზმნათა ზუსტი ქართული ეკვივალენტების მოძებნა მათი სემანტიკიდან გამომდინარე შეუძლებელია, ამიტომ აუცილებელი ხდება აღწერითად თარგმნა.

ას-ღურღუჲალ-ი (შდრ. **ი-ღურღუჲელ** „ჩუხჩუხებს წყალი“) „მიჩუხჩუხებს წყალი“...

ქვემოსვანურ დიალექტებს უჭირთ *პირველადი* (*ე.წ. შიშველი*) *ფუძეების* წარმოება, რასაც ვერ ვიტყვით ზემოსვანურ დიალექტებზე, მით უმეტეს ბალსქვემოურზე, სადაც პირველადი მასდარები დიდი რაოდენობით დასტურდება. ამასთანავე, ლენტეხურს უჭირს ზმნისწინიანი აწმყოს ფორმების წარმოება, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც აწარმოებს.

ჩვენი დაკვირვებით, სვანურ დიალექტებს შორის, წარმოების თვალსაზრისით, განსხვავებული სურათი იხატება (ვგულისხმობთ ზემოთ დასახელებულ ფორმებს), კერძოდ, **ი-** პრეფიქსიანი ფორმები **-ეს** ზმნისწინის დართვისას ბალსქვემოურში აწმყოს ფუძის მაწარმოებელ ამა თუ იმ სუფიქსს არ დაირთავენ (შდრ. ერთი მხრივ, **ი-პიტყანალ**, **ი-დანდუნალ**, **ი-სირგლაუალ**... და, მეორე მხრივ, **ეს-პგტყანალ**, **ეს-დანდუნალ**, **ეს-სირგლაუალ**...), *ლაშხურ-ჩოლურულში* (+ *ლენტეხურში*) კი ყველა ზმნისწინიან ფორმაში **-ი** ან **-ე** სუფიქსი დასტურდება (**ეს-ღურღუიალ-ი**, **ეს-წანწალ-ი**, **ას-ძანძალ-ი**, **ეს-პგჭყან-ე**, **ეს-პგტყან-ე**...), თუმცა, როგორც მასალის ანალიზმა აჩვენა, **-უ̄ნ**/**-უნ** და **-ი̄ნ**/**-ინ** სუფიქსიანი *ლაპარაკისა* და *სიცილის* აღმნიშვნელი აწმყოს ფორმები (**ბურყუ̄ნ-ი**, **ტგრტნ-ი**, **ჭგრჭკნ-ი**, **გგრჰნ-ი**, **კგრკნ-ი**, **თგრტნ-ი** და ა.შ.) ბალსქვემოურში **-ეს** ზმნისწინის დართვისას, ქვემოსვანური დიალექტების მსგავსად, აწმყოს ფუძის მაწარმოებელ სუფიქსს დაირთავენ, თუმცა ეს სუფიქსიც განსხვავებულია (ბალსქვემოური **-ი**-ს დაირთავს, ქვემოსვანური დიალექტები კი – **ე**-ს).

მაგალითად:

ლაპარაკი + ***სიარული:***

ბურყუნ „ბურტყუნი, ბუტბუტი“ – **ბურყუ̄ნ-ი** „ბურტყუნებს, ბუტბუტებს“ – **ეს-ბურყუნ-ი** „მიბურტყუნობს, მიბუტბუტობს“

ტგრტგნ „რატრატი“ – **ტგრტნ-ი** „რატრატებს“ – **ეს-ტგრტგნ-ი** „მირატრატებს“.

ჭგრჭკგნ „ჭიკჭიკი; ხმამაღალი ლაპარაკი“ – **ჭგრჭკნ-ი** „ჭიკჭიკებს; ხმამაღლა საუბრობს“ – **ეს-ჭგრჭკგნ-ი** „მიჭიკჭიკობს; ხმამაღლა მისაუბრობს“.

ჭგრჭგნ „ჭრიჭინი; ბევრი საუბარი“ – **ჭგრჭნ-ი** „ჭრიჭინებს; ბევრს ლაპარაკობს“ – **ეს-ჭგრჭგნ-ი** „მიჭრიჭინობს, მისაუბრობს“ (შდრ. ლშხ., ჩოლ. **ეს-ჭგრჭგნ-ე**, ლნტ. **ᲐᲜ-ჭგრჭგნ-ე**)...

სიცილი + ***სიარული:***

გგრჰგნ „ხმამაღალი სიცილი“ – **გგრჰნ-ი** „ხმამაღლა იცინის“ – **ეს-გგრჰგნ-ი** „მიდის იცინის ხმამაღლა“ (შდრ. ლშხ., ჩოლ. **ეს-გგრხგნ-ე**, ლნტ. **ᲐᲜ-გგრხგნ-ე**).

კგრკგნ „კისკისი“ – **კგრკნ-ი** „კისკისებს“ – **ეს-კგრკგნ-ი** „მიკისკისობს“ (შდრ. ლშხ., ჩოლ. **ეს-კგრკგნ-ე**).

თგრტგნ „ფრუტუნი; ჩუმად, ფარულად ხითხითი“ – **თგრტნ-ი** „ფრუტუნებს ჩუმად, ფარულად ხითხითებს“ – **ეს-თგრტგნ-ი** „მიფრუტუნობს; მიხითხითებს“...

ბურყუნ-ი, **ტგრტნ-ი**, **ჭვრჭკნ-ი**, **ჭვრჭნ-ი**...; **გგრჰნ-ი**, **კგრკნ-ი**, **თგრტნ-ი**... ფორმებზე **-ეს** ზმნისწინის დართვას, როგორც წარმოდგენილი მაგალითებიდან გამოჩნდა, შემოაქვს *სიარულის* მნიშვნელობა ანუ სემანტიკურად ეს ფორმები მიუთითებენ ისეთ სიარულზე, რომელსაც თან ახლავს, ერთი მხრივ, *ლაპარაკი*, მეორე მხრივ კი, *სიცილი*.

მოძრაობა-გადაადგილების მიმართულება შემოაქვს ასევე აწმყოს ფუძეზე **ან-/ნ-** ზმნისწინის დართვას. აქ, შესაძლოა, გამოიყოს რამდენიმე სემანტიკური ჯგუფი:

ყურება (პირისახის გამომეტყველება) + ***სიარული***:

ან-ჭუიფანალ „გაბრაზებული სახით მოდის“ (შდრ. **ი-ჭუიფანალ** „გაბრაზებული სახით იყურება“).

ან-გუირანალ „თავშიშველი კაცი ან ქალი მოდის“ (შდრ. **ი-გუირანალ** „თავშიშველია; უქუდოდ, უთავსაფროდ არის, იყურება“).

ან-მიჩუანალ „უშნო სახის მამაკაცი მოდის“ (შდრ. **ი-მიჩუანალ** „უშნო სახის მამაკაცი იყურება“).

ან-გგლდგნე „უშნო გარეგნობის, დონდლო მამაკაცი თავის კანტურით მოდის; მობლაყუნობს“ (შდრ. **ა-გგლდგნ-ე** „უშნოდ აკანტურებს თავს“).

ან-სხუირანალ „დაბღვერილი მოდის“ (შდრ. **ი-სხუირანალ** „იბღვირება“).

ან-სხუიპანალ „მოქნილი, მოხდენილი ახალგაზრდა ტანის რხევით და თვალწარბის შეჭმუხნით უტიფრად მოდის“ (შდრ. **ი-სხუიპანალ** „იბღვირება, იჭმუხნება, მეტიჩრობს...“).

ან-ღურიმანალ „უშნო პირისახის ადამიანი მოდის“ (შდრ. **ი-ღურიმანალ** „იბღვირება, უშნო, ფართო სახის გამომეტყველებით იყურება“)...

გარეგნობა + ***მოძრაობა*** (+ ***ჩაცმულობა***) + ***სიარული***:

ან-ჩგლთხგნე „დიდი ზომის ფეხსაცმლით უშნოდ მოდის, მოჩრათუნობს“ (შდრ. **ი-ჩანთხუნალ** „დიდი ზომის ფეხსაცმლით უშნოდ დადის, დაჩრათუნობს“).

ან-კიკანალ „მაღალქუსლიანებით, მეტიჩრულად მოდის, მოპაკუნობს“ (შდრ. **ი-კიკანალ** „მაღალქუსლიანებით, მეტიჩრულად დადის, დაპაკუნობს, მოძრაობს“).

ან-თურიჩანალ „გრძელი კაბის თრევით მოდის“ (შდრ. **ი-თურიჩანალ** „მეტისმეტად გრძელი კაბით დადის, მოძრაობს“)...

გარეგნობა + ***სიარული*** (+ ***ადგილზე მოძრაობა***):

ან-დანდუნალ „მოდანდალობს“ (შდრ. **ი-დანდუნალ** „დანდალებს“).

ან-ჩგრჩანალ[5] „პატარა ბავში მოჩანჩალობს“ (შდრ. **ი-ჩგრჩანალ** „პატარა ბავშვი დადის, დაჩანჩალებს“).

---

[5] დასტურდება ლენტეხურშიც.

ან-კულიზანე „მეტიჩრულად, ტანის პრანჭვა-გრეხით მოდის“ (შდრ. **ი-კულიზანალ** „მეტიჩრულად, ტანის პრანჭვა-გრეხით დადის; მოძრაობს“).

ან-სირგლაულ „უშნოდ, ტანის გრეხით, თრევით მოდის“ (შდრ. **ი-სირგლაულ** „უშნოდ, ტანის გრეხით, თრევით დადის“).

ან-პიჭყანალ „მეტისმეტად გამხდარი და უშნოფეხება გოგო ან ქალი მოდის“ (შდრ. **ი-პიჭყანალ** „მეტისმეტად გამხდარი და უშნოფეხება გოგო ან ქალი დაიარება“) და მრავ. სხვ.

ან- ზმნისწინიანი აწმყოს ფორმები დადასტურდა ა. ლიპარტელიანის „სვანურ-ქართულ ლექსიკონშიც (ჩოლურული კილო)“. ცხადია, სხვადასხვა სემანტიკური ჯგუფები აქაც გამოიყოფა:

გარეგნობა + *მოძრაობა* (+ *ჩაცმულობა*) + *სიარული*:

ან-ბანბალი „დიდი აღნაგობის, გონებაჩლუნგი კაცი მოდის; გაცვეთილი ტანსაცმლით მოდის; ბანჯგვლიანი კაცი მოდის“ (შდრ. **ბანბალ-ი/ბამბალ-ი** „დიდი აღნაგობის, გონებაჩლუნგი კაცი დაძონძილი ტანსაცმლით დაიარება“).

ან-დანდალი „დიდი აღნაგობის, გონებაჩლუნგი კაცი მოდის; გაცვეთილი ტანსაცმლით მოდის; ბანჯგვლიანი კაცი მოდის“ (შდრ. **დანდალ-ი** „დიდი აღნაგობის, გონებაჩლუნგი კაცი დაძონძილი ტანსაცმლით დაიარება“).

ან-ბანძალი „პატარა ტანის ადამიანი დაძონძილი ტანსაცმლით მოდის“ (შდრ. **ბანძალ-ი** „პატარა ტანის ადამიანი დაძონძილი ტანსაცმლით დაიარება“)

ან-ბანჯღალი „ფეხშიშველა პატარა ბიჭი ან კაცი ჩქარა მოდის“ (შდრ. **ბანჯღალ-ი** „ფეხშიშველა პატარა ბიჭი ან კაცი ჩქარა დადის“).

ან-ჟგთხანე „ცუდად ჩაცმული დიდი ტანის კაცი მოდის“ (შდრ. **ჟანთხალ-ი** „ცუდად ჩაცმული დიდი ტანის კაცი დადის“)...

გარეგნობა + *სიარული*:

ან-ბგრბიალი „მსუქანი ბიჭი (ან ბანჯგვლიანი მსუქანი ლეკვი) ჩქარა მოდის“ (შდრ. **ბარბალ-ი** „მსუქანი ბიჭი (ან ბანჯგვლიანი მსუქანი ლეკვი) ჩქარა დადის“).

ან-ბგჯღანე „პატარა ბიჭი ან პატარა აღნაგობის სუსტი კაცი მოდის“ (შდრ. **ბანჯღალ-ი** „პატარა ბიჭი ან პატარა აღნაგობის სუსტი კაცი დაიარება“).

ან-გურგუიალი „მსუქანი ქალი მოდის, მოგორავს“.[6]

ან-გოგაუი „ქუსლებით მოდის; მოგოგმანებს“ (შდრ. **გოგაუ-ი** „ქუსლებით დადის; დაგოგმანებს“).

ან-დგრიალი „მსუქანი ქალი (ან ძროხა) მოდის დარდიმანდულად“ (შდრ. **ი-დგრანალ** „მსუქანი ქალი (ან ძროხა) დადის დარდიმანდულად“).[7]

ან-კურკუიალი „ოხტა, მარჯვე ბიჭი მოდის“ (შდრ. **ი-კურკუანალ** „კოხტა, მარჯვე ბიჭი დადის“).

---

[6] აწმყოს სხვა ფორმა არ ეწარმოება.

[7] აქვს სხვა მნიშვნელობაც, მაგ., „წველისას რძე მოდის თქრიალით, შხრიალით“.

ან-კუ̄კუ̄ანე „ახალგაზრდა ლამაზი ბიჭი ან ქალი მოდის“ (შდრ. **ი-კუკუ̄ანა̄ლ** „ახალგაზრდა ლამაზი ბიჭი ან ქალი დადის“).

ან-პანპა̄ლი „მოუქნელი, მაღალი, ახალგაზრდა (ბიჭი ან გოგო) უაზროდ, უდარდელად მოდის“ (შდრ. **პანპა̄ლ-ი**[8] „მოუქნელი, მაღალი, ახალგაზრდა (ბიჭი ან გოგო) უაზროდ, უდარდელად დადის“).

ან-პგ̄ჭყანე[9] „მეტისმეტად გამხდარი და უშნოფეხება გოგო ან ქალი მოდის“ (შდრ. **ი-პგ̄ჭყანა̄ლ** „მეტისმეტად გამხდარი და უშნოფეხება გოგო ან ქალი დადის; *დაპარჭყაობს“).

ან-პგ̄ყანე „პატარა კაცი ამაყად მოდის; პატარა ბიჭი უფროსი მამაკაცივით მოდის“ (შდრ. **ი-პგ̄ყანა̄ლ** „პატარა კაცი ამაყად დადის; პატარა ბიჭი უფროსი მამაკაცივით დადის“).

ან-პუ̄ჭანე „პატარა ტანის ქალი სახემოჭმუხნული მოდის“ (შდრ. **ი-პუ̄ჭანა̄ლ** „პატარა ტანის ქალი სახემოჭმუხნული დადის“)[10] და ა.შ.

როგორც წარმოდგენილი მაგალითებიდან გამოჩნდა, მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნების მანერა უკავშირდება *ადამიანის* (ან *ცხოველის*) ამა თუ იმ ორგანოს (*ნაბიჯს*, *კიდურებს*, *სახის ნაკვთებს* და მისთ.), თუმცა ძალზე ხშირად მოძრაობის გამომხატველი ზმნები *უსაქმო*, *უთავბოლო*, *ზანტ მოძრაობას*, *ბორიალსაც* აღნიშნავენ, და, ასევე, აქცენტი კეთდება ადამიანის *ჩაცმულობაზეც*.

რაც შეეხება *წყლის* (ან ზოგადად *სითხის*) დინების აღმნიშვნელ ზმნებს, რომელთა მოძრაობა გარკვეულ ხმიანობასთან არის დაკავშირებული, მათ **ან**-ზმნისწინიანი აწმყოს ფორმების გარდა, სხვა ფორმები არ უდასტურდებათ:

ან-გგრიალი „გრიალით მოდის (მაგ., ღელე)“.

ან-ჩხგფნე „მოჩქეფს, მოჩუხჩუხებს“.

ან-სკურნე „მორაკრაკებს“.

ან-წყგგნე „მოწანწკარებს“.

ან-თქგშნე „ძლიერი თქეშით მოდის“.

ან-თქგრნე „მოთქრიალებს, ასხამს (წყალი ან სისხლი)“.

ან-სხგლინე „მოთქრიალებს (წყალი ან სისხლი)“.

ან-დგგრნე „მოთქრიალებს (სისხლი ან ტალახიანი წყალი)“ და ა.შ.

თუმცა იშვიათად შესაძლოა **ეს**- ზმნისწინიანი ფორმებიც დაფიქსირდეს, მაგ.: **ეს-ჩხგფნე** „მოჩქეფს, მოჩუხჩუხებს“, **ეს-თქგრნე** „მითქრიალებს“, **ეს-თქგშნე** „მიჩქეფს, თქეშით მიდის“...

ეს-/**ას**- და **ან**-/**ა̈ნ**- ზმნისწინიანმა მოძრაობის აღმნიშვნელმა ზმნებმა შესაძლებელია გვიჩვენოს ადამიანის (ან ზოგადად მოძრავი საგნის) მოძრაობის ინტენსივობა მისი ფიზიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე:

---

8 მსუქან ხორცზეც ამბობენ, მაგ., **ლელუ̄ეშ პანპგლი** „ხორცი თანთალებს“.

9 შდრ. ლნტ. **ან-პგ̄ჭყან-ე** და **ან-პგ̄ჭყანალ-ი** „მოიპარჭყება“.

10 სახის *გამომეტყველება* + *სიარული*.

ეს-სირგლაუალ „უმიზნოდ, უშნოდ, ფეხების ბანცალით მიდის“; **ეს-ბგრცა-ნალ** „მიბანცალებს“; **ეს-სორმალ** „მილასლასებს“; **ეს-წანწალ-ი** „მიწანწალებს“; **ეს-ჩხორკალ** „მილასლასებს მეტისმეტად გამხდარი ადამიანი“; **ეს-დანდუნალ** „მიდანდალებს“; **ან-დანდუნალ** „მოდანდალობს“; **ან-ჩგრჩანალ** „პატარა ბავში მოჩანჩალობს“; **ან-კუ̄კუ̄ანე** „ახალგაზრდა ლამაზი ბიჭი ან ქალი მოხდენილად მოდის“ და ა.შ.

სხვა ქართველურ ენათა მსგავსად, სვანურშიც (**ეს-/ას-** და **ან-/ან-**) ზმნისწინებს ახალი სემანტიკური ნიუანსი შემოაქვთ (ანუ გამოხატავენ მიმართულ მოძრაობას: *იქით* ან *აქეთ*). ამ ზმნისწინებს სიტყვაწარმოებითი ფუნქცია აქვთ და არა გრამატიკული. ცხადია, ამ მოვლენას სვანურში არქაიზმად ვერ ჩავთვლით, ის უფრო ინოვაციის ელფერს ატარებს.

როგორც მასალაზე დაკვირვებამ გვაჩვენა, საანალიზო ლექსიკურ ერთეულებს ეწარმოებათ მეორე სერიის, კერძოდ, წყვეტილის ფორმებიც, სადაც ინარჩუნებენ მათ თავდაპირველ, ძირითად მნიშვნელობას, კერძოდ, *ყურების/* ხედვის *(გამოჩენის)* სემანტიკას, თუმცა საგრძნობლად ჭირს ქართულად ზუსტი სემანტიკის გადმოცემა, მაგალითად:

ეს-ყუ̄ბანალ-ე‖ე/ან-ყუ̄ბანალ-ე‖ლე-ჲ-ყუ̄ბანალ-ე „დიდთავა კაცი გამოჩნდა (ზედმიწ. – *წაიდიდთავა)“, მაგრამ **ან/ენ-ყუ̄ბანალ-ე‖ან/ენ-ყუ̄ბანალ-დ-ა** „დიდთავა კაცი გამოჩნდა (ზედმიწ. – *წამოიდიდთავა, *წამოიმართა ანუ ქვემოდან გამოჩნდა, წამოვიდა)“, ამ შემთხვევაში უკვე **ან-/ენ-** ზმნისწინს გამოჩენასთან ერთად სიარულის სემანტიკაც შემოაქვს.

ეს-ბიყუ̄ანალ-ე‖ე/ან-ბიყუ̄ანალ-ე‖ლე-ჲ-ბიყუ̄ანალ-ე „ლოყებბუთხუზა ბიჭი გამოჩნდა (ზედმიწ. – *წაიბუტა, *წაიბუთხუზა)“, მაგრამ **ან/ენ-ბიყუ̄ანალ-ე‖ან/ენ-ბიყუ̄ანალ-დ-ა** „ლოყებბუთხუზა ბიჭი გამოჩნდა (ზედმიწ. – *წამოიბუტა, *წამოიბუთხუზა ანუ ქვემოდან გამოჩნდა, წამოვიდა)“, **ან-/ენ-** ზმნისწინს გამოჩენასთან ერთად სიარულის სემანტიკაც შემოაქვს.

ეს-მიჩუ̄ანალ-ე‖ე/ან-მიჩუ̄ანალ-ე‖ლა̄/ლე-ჲ-მიჩუ̄ანალ-ე „უშნო სახის მამაკაცი გამოჩნდა (ზედმიწ. – *წაიუშნოვა)“, მაგრამ **ან/ენ-მიჩუ̄ანალ-ე‖ან/ენ-მიჩუ̄ანალ-დ-ა** „უშნო სახის მამაკაცი გამოჩნდა (ზედმიწ. – *წამოუშნოვდა ანუ ქვემოდან გამოჩნდა, წამოვიდა)“, **ან-/ენ-** ზმნისწინს აქაც შემოაქვს უშნო პირისახის მამაკაცის სიარულის სემანტიკა.

ეს-შუ̄ირანალ-ე‖ე/ან-შუ̄ირანალ-ე‖ლა̄/ლე-ჲ-შუ̄ირანალ-ე „ელამი, უშნო თვალებით გაბრაზებული გამოჩნდა (ზედმიწ. – *წაიელამა)“, მაგრამ **ან/ენ-შუ̄ირანალ-ე‖ან/ენ-შუ̄ირანალ-დ-ა** „ელამი, უშნო თვალებით გაბრაზებული გამოჩნდა (ზედმიწ. – *წაიელამა ანუ ქვემოდან გამოჩნდა, წამოვიდა)“, ცხადია, **ან-/ენ-** ზმნისწინს აქაც სიარულის სემანტიკა შემოაქვს ადამიანის გარეგნული მახასიათებლების შენარჩუნებით.

ეს-შიუანალ-ე‖ე/Ად-შიუანალ-ე‖ლᲐ/ლე-Ა-შუინალ-ე „შავთვალწარბა, უშნო პირისახის ადამიანი გამოჩნდა (ზედმიწ. – *წაიუშნოვა, *წაიშავთვალწარბა)“, მაგრამ **Ან/ენ-შიუანალ-ე‖Ან/ენ-შიუანალ-დ-ა** „შავთვალწარბა, უშნო პირისახის ადამიანი გამოჩნდა (ზედმიწ. – წამოუშნოვდა, *წამოშავთვალწარბდა ანუ ქვემოდან გამოჩნდა, წამოვიდა)“ სიარულის სემანტიკის შემოტანით.

ეს-სუიტანალ-ე‖ე/Ად-სუიტანალ-ე „გაბრაზებული, დაბღვერილი სახით გამოჩნდა ქალი (ზედმიწ. – *წაიბღვერა)“, მაგრამ **Ან/ენ-სუიტანალ-ე‖Ან/ენ-სუიტანალ-დ-ა** „გაბრაზებული, დაბღვერილი სახით გამოჩნდა ქალი (ზედმიწ. – *წამობღვერდა ანუ გაბრაზებული, დაბღვერილი სახით წამოვიდა ქალი)“ სიარულის სემანტიკის შემოტანით და ა.შ.

სხვადასხვა ზმნისწინთა დართვა სემანტიკას უცვლის აღნიშნულ ფონოსემანტიკურ ლექსიკურ ერთეულებს, თუმცა მათი თავდაპირველი მნიშვნელობა ანუ ადამიანის გარეგნული მახასიათებლების მიხედვით დახასიათება ყველა ფორმაში ნარჩუნდება. ძნელია სიტყვასიტყვით იმ სემანტიკის გადმოცემა ქართულად, რაც თითოეულ ამ ფორმაში დევს. აღსანიშნავია ისიც, რომ ორგანულ ზმნურ ფორმებს ხშირად ენაცვლება *აღწერითი* (*პერიფრასტული*) ფორმები იმ შემთხვევაში, როცა სიარულის სემანტიკის გადმოცემა ხდება საჭირო (მაგალითად: **ლᲐყუიბანალშუ ანᲜად** „დიდი თავის გამოჩენით მოვიდა“; **ლᲐბიყუანალშუ ანᲜად** „გაბუტვით, ლოყებგამობერვით მოვიდა“; **ლᲐმიჩუანალშუ ანᲜად** „უშნო სახით, გამოხედვით მოვიდა“; **ლᲐშუირანალშუ ანᲜად** „თვალების წაელმებით, დაბღვერით მოვიდა“; **ლᲐშიუანალშუ ანᲜად** „შავთვალწარბა, უშნო ადამიანი დაბღვერით, უშნო გამომეტყველებით მოვიდა“ და სხვ.). ორივე შემთხვევაში (ანუ *ორგანული* და *აღწერითი ფორმების* არსებობის შემთხვევაში) მთავარი მთქმელის ემოციური განწყობაა, მისი ემოციური მიდგომა მეორე ადამიანის მიმართ და ხშირად სწორედ ეს ემოცია განსაზღვრავს ამა თუ იმ ფორმის არსებობას ენაში.

ზმნისწინთა განაწილებას კი გარკვეული კანონზომიერებანი (ან ფორმობრივი ან სემანტიკური) უნდა დაეძებნოს. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში სწორედ სემანტიკური კანონზომიერება უფრო გვაქვს, ვიდრე – ფორმობრივი, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც მორფოლოგიური ფორმანტებიც განსაზღვრავს სიტყვის სემანტიკას.

ლიტერატურა:

საღლიანი 2017: მ. საღლიანი, აწმყოს ფუძის წარმოება სვანურში სხვადასხვა ფონოსემანტიკური ჯგუფების მიხედვით, *სამეცნიერო შრომების კრებული, ქართველური ენათმეცნიერება,* ტ. IV, ეძღვნება ზურაბ ჭუმბურიძეს, თსუ გამომცემლობა, თბილისი 2017.

ქურდაძე 2011: რ. ქურდაძე, მოძრაობის (გადაადგილების) აღმნიშვნელი ზმნების სემანტიკისათვის ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში, *თანამედროვე ქართული ენის სოციალურ-კულტურული ასპექტები,* თსუ გამომცემლობა, თბილისი.

ღვინაძე 1989: თ. ღვინაძე, *ქართული ზმნის ვნებითი გვარის ფორმათა სტილისტიკა,* გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

ჭკადუა 2015: რ. ჭკადუა, მოძრაობის მანერის გამომხატველ ზმნათა ერთი ტიპის მორ-ფოსემანტიკური ანალიზი სვანურში, *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება,* XIII, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

Medea Saghliani

On the Issue of Interrelation between a Preverb and a Phonosemantic Verbal Stem in the Present

(Based on the Material of Svan)

Summary

The analysis of Svan dialectal material has shown that in Svan, like in other Kartvelian languages, verbs of movement (not only of movement but also verbs related to physiognomy, vision, speaking, etc.) produce the forms of the present by taking simple preverbs. They even produce the forms of the future, aorist and Series III. These preverbs give verbs the semantics of walking, looking and speaking.

In the present, one and the same verb often expresses physiognomy of a human (a man, a woman, a child and an elder) + (standing-) watching + the manner of walking (see the examples above), that is to say a single verb can express movement as well as physiognomy. Obviously, in this case *masdar* (i.e. the main semantic basis) expressing physiognomy is important that gains the semantics of vision/watching if it takes the prefix ***i-*** while it can denote the meaning of walking if it takes the preverb ***es-/as-***; sometimes it can be added by different qualities typical of a human behavior, e.g. naughtiness, sulk, ill nature, etc. Therefore, it should be noted that in the present are attested several (two or three) kinds of forms, which differ in meaning. Their basic root is the same; however, one part of the forms is produced from simple stems and the other – from the masdars with the prefix ***li-***.

მაგული ღამბაშიძე

დინამიკური მოდალობის გამომხატველი „ძალ-უც“ ზმნა ძველ ქართულ სამწერლობო ენაში

სამეცნიერო ლიტერატურაში მოდალობის კატეგორიის სამ ძირითად სახეს გამოყოფენ, ესენია: ეპისტემური, დეონტური და დინამიკური. თავის მხრივ, მოდალობის თითოეული სახე სხვადასხვა ენაში სხვადასხვა ენობრივი საშუალებით გამოიხატება, რომელთა გამოვლენა და შესწავლა თანამედროვე ლინგვისტიკის მნიშვნელოვანი მიმართულებაა. აღსანიშნავია, რომ ძველი სამწერლობო ქართულის მიხედვით მოდალური სემანტიკის შესწავლის მცდელობა ჯერ არ ყოფილა ქართულ საენათმეცნიერო სივრცეში. ვითვალისწინებთ რა მოდალობის კატეგორიის შესწავლის აქტუალურობას თანამედროვე ლინგვისტიკაში, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მოდალური სემანტიკის კვლევა ძველ ქართულში. მართალია, ძველ ქართულ ენაში მოდალობა ჩამოყალიბებული კატეგორია არ ყოფილა (მოდალობის კატეგორიის მაწარმოებელი საშუალებების გრამატიკალიზაცია საშუალ ქართულში მოხდა (შარაშენიძე 2010)), მაგრამ მოდალური სემანტიკის გამოსახატავად ენა მიმართავდა სხვადასხვა საშუალებას, რომელთაგან ერთ-ერთი რთული ზმნებია (ძალ-უც, ჴელ-ეწიფების, ჯერ-არს). ამჯერად ჩვენი კვლევის საგანია დინამიკური მოდალობის გამომხატველი **ძალ-უც** ზმნის სემანტიკური და გრამატიკული მახასიათებლების გამოვლენა ძველ სამწერლობო ქართულში.[1]

ტერმინი „დინამიკური“ მოდალობის ერთ-ერთი სახის აღსანიშნავად პირველად გამოიყენა ვ. რაიტმა (Wymann 1996:20). სიტყვა **დინამიკური** „წარმოდგება ბერძნული სიტყვიდან **“dynamis”,** რაც „ძალაუფლებას“, „ძალას“ ნიშნავს“ (ჭანტურია 2002:270). საენათმეცნიერო ლიტერატურაში დინამიკური მოდალობის (ისევე როგორც მოდალობის სხვა სახეების) არაერთი განმარტება არსებობს. ასე მაგალითად, პ. პერკინსი დინამიკურ მოდალობას განმარტავს, როგორც „კავშირს, რომელიც ბუნების კანონების შესაბამისად არსებობს გარემო პირობებსა და განსახორციელებელ მოვლენებს შორის“ (Perkins 1983:11). სხვაგან ვკითხულობთ: „დინამიკური მოდალობა გულისხმობს როგორც მენტალური, ისე ფიზიკური შესაძლებლობის, უნარის გამოხატვას“ (Bybee, Perkins, Pagliuca 1994:192). ა.თ. ვაიმანი დინამიკურ (შესაძლებლობის) მოდალობაში გამოჰყოფს ორ ქვეჯგუფს: 1) შესაძლებლობა, უნარი, რომელიც გულისხმობს გარემო პირობების ან კონტექსტუალურ ზეგავლენას ((An) airplane **can** take off (into the air) – თვითმფრინავს შე-

[1] კვლევისას გამოვიყენეთ ძველი ქართულის როგორც გამოცემული ტექსტები, ისე Titus-ის მონაცემთა ელექტრონული ბაზა.

უძლია აფრინდეს ჰაერში); 2) შინაგანი ცოდნა ან შეძენილი უნარი (Mr. White can speak Chinese – მისტერ ვაიტს შეუძლია ჩინურ ენაზე საუბარი) (Wymann 1996:20-21). საინტერესოა, რომ ვაიმანის მიერ გამოყოფილ პირველ ტიპს ფ. რ. პალმერი უწოდებს "ნეიტრალურს" (ნეუტრალ), მეორე ტიპს კი – "სუბიექტზე ორიენტირებულს" (სუბჯეცტ-ორიენტედ) (Palmer 1999:83). კონტექსტუალურ, გარემო პირობებით გამოწვეულ შესაძლებლობასა (ოპპორტუნიტყ) და შინაგან შესაძლებლობას (აბილიტყ) ერთმანეთისგან მიჯნავს პ. პორტნერიც: You can see the ocean from here (opportunity); John can swim (ability) (Portner 2009:135).[2]

დინამიკური სემანტიკის გამოხატვის თვალსაზრისით ინტერესს იწვევს **ძალ-უც**[3] ზმნა ძველ სამწერლობო ქართულში. **ძალ-უც** ზმნის პირველი კომპონენტი სახელია [**ძალ-ი** -„ძალა, შეძლება, ძლიერება" (აბულაძე 1973:523)], მეორე კომპონენტი კი ზმნაა, რომელიც სუპლეტურად აწარმოებს მწკრივებს (პირველ სერიაში – **ცემა**, მეორეში – **დება**). აღნიშნული რთული ზმნის ზმნური კომპონენტის მნიშვნელობაა „ქონა, ქონება",[4] შესაბამისად, **ძალ-უც** გაიაზრება, როგორც „ძალა აქვს, ძალა შესწევს, შეუძლია".

საინტერესოა, რომ ქართული **ძალ-უც** ზმნის შესატყვისად ბერძნულში ზმნის მარტივი, ორგანული ფორმა დასტურდება (***δύναμα ί*** – „შემიძლია, ძალმიძს, მაქვს ძალა, ძალაუფლება" (გიორგობიანი 2013:103)). დავიმოწმებთ რამდენიმე მაგალითს:

„გრწამსა, ვითარმედ **ძალ-მიც** ესე ყოფად?" (მ. 9:28 DEFGHIK S).
"πιστεύετε ὅτι **δύναμαι** τοῦτο ποιῆσαι" (Mat. 9:28 BGT).

„ხოლო სასწაულნი ჟამთანი ვერ **ძალ-გისხენ** გულისხმის-ყოფად"(მ. 16:3 C).
"τὰ δὲ σημεῖα τῶν καιρῶν **οὐ δύνασθε**" (Mat. 16:3 BGT).

„აღავსენით ძაძანი მაგათ კაცთანი საზრდელითა, რავდენ **ძალ-ედვას** წარღებად" (დაბ., 44:1 OJ).
"πλήσατε τοὺς μαρσίππους τῶν ἀνθρώπων βρωμάτων ὅσα ἐὰν **δύνωνται** ἆραι" (Gen 44:1 BGT).

ამდენად, დინამიკური სემანტიკის გამომხატველი **ძალ-უც** ზმნის აღწერითი, რთული ფორმით გადმოცემა ბერძნულით ვერ აიხსნება, რადგან მის შესატყვისად ბერძნული ზმნის ორგანულ წარმოებას გვიჩვენებს. ამ შემთხვევაში ქართულისთვის დამახასიათებელ მოვლენასთან გვაქვს საქმე, რადგან ცნობილია, რომ ძველ

---

[2] როგორც ფ. დე ჰაანი შენიშნავს, ზოგიერთი ავტორის თანახმად, დინამიკური მოდალობა უნარის, შესაძლებლობის გარდა გამოხატავს აუცილებლობას, საჭიროებას, მიდრეკილებას, განწყობილებას, მზადყოფნას ("Dynamic necessity" – Palmer 1999:113; "disposition" – Wymann 1996:20…) (Haan 2004:6), მაგრამ აღნიშნული სემანტიკის კვლევა ამჯერად ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს, ამიტომ ამ საკითხს ვრცლად არ განვიხილავთ.

[3] ძალ-უც < ძალ-უძს.

[4] **დება** – „ქუან/ქონება", ყოფნა, განდება, „დავრდომა", დადება, ცემა, გდება (აბულაძე 1973:138, 514). ჩვენს შემთხვევაში ეს ზმნა პირველი მნიშვნელობითაა ნახმარი.

ქართულში ზოგიერთ შემთხვევაში სხვადასხვა მიზეზის გამო ორგანული წარმოება ჭირდა, ასეთ დროს კი ქართული ანალიზურ ფორმებს მიმართავდა (ვაშაკიძე 1993:352).

აღსანიშნავია, რომ **ძალ-უც** ზმნა ძველ სამწერლობო ქართულში გამოხატავდა დინამიკური სემანტიკის ორივე სახეს: „ნეიტრალურსა“ და „სუბიექტზე ორიენტირებულს“[5] როგორც დადებითი, ისე უარყოფითი კონოტაციით.

ქვემოთ წარმოდგენილ მაგალითებში გამოხატულია **დინამიკური მოდალობის** ისეთი შემთხვევები, როდესაც შესაძლებლობა განპირობებულია გარემო ფაქტორებით, ობიექტური რეალობით და არ არის დამოკიდებული სუბიექტის ცოდნასა და ამა თუ იმ უნარზე. მოყვანილი ფორმების სემანტიკის დასადგენად შესაძლებელია გამოვიყენოთ სუბსტიტუციის (ჩანაცვლების) მეთოდი, ოღონდ ამ შემთხვევაში სუბსტიტუციას ვიყენებთ საპირისპირო მნიშვნელობის გამოსავლენად. ასე მაგალითად, „ნეიტრალური“ შესაძლებლობის დასადასტურებლად **ძალ-უც ქმნაჲ** ფრაზას სემანტიკურად ვერ უნდა ჩაენაცვლოს **უნარი აქვს** ფრაზა. მაგალითად, წინადადებაში „აწ მიქორწინებია და **ვერ ძალ-მიც** მოსლვად“ (ფსევდომაკ. 314:4), **ვერ ძალ-მიც** მოსლვად ნიშნავს „არ შემიძლია მოსვლა გარკვეული მიზეზის გამო“. აღნიშნული მნიშვნელობა ამ კონტექსტში არ არის იდენტური „სიარულის უნარი არ მაქვს“ მნიშვნელობისა, რაც ადასტურებს იმას, რომ **ძალ-უც** ზმნა მოყვანილ წინადადებაში „ნეიტრალურ“ შესაძლებლობას გამოხატავს. მსგავსი მსჯელობის საფუძველზე ვავლენთ „ნეიტრალური“ შესაძლებლობის სემანტიკას ქვემოთ მოყვანილ სხვა კონტექსტებშიც:

„ნეიტრალური“ შესაძლებლობა –

„ხოლო მივიცვალენით რაჲ ქუეყანით, არღარა თჳთ ჩუენ ამათ **ძალ-გჳც** ესე ქმნად აღსაარებისა მიერ, რამეთუ დაიჴშვის კარი“ (თარგმ. ლ. სახ. 71:28).

„ერთსა კიდობანსა შენსა, სავსესა სამოსლითა შენითა, **ძალ-უც** მრავლისა ერისა, სიცივითა შეჭირვებულისა შემოსაჲ“ (ჰომ. ბას. კეს. 102:26).

„ვერვის **ძალ-უც** ორთა უჴფალთა მონებაჲ“(ეტ. II 317:15) და სხვ.

„ნეიტრალური“ შესაძლებლობის უარყოფა –

„**ვერღარა ძალ-უც** ქმარსა მისსა პირველსა, რომელმან განავლინა იგი, კუალად-ქცევით მიყვანებაჲ თავისა თჳსისა ცოლად შემდგომად შეგინებისა მისისა“ (მეორე რჯ. 24:4 G).

„რომელმან არა უვარ-ყოს ყოველი დიდებაჲ სოფლისაჲ, **ვერძალ-უც** ჩემდა მოწაფე ყოფად“ (ფსევდომაკ. 110:4).

„და შენცა, მორწმუნეო, ნუ სრულიად უნაყოფო იქმნები, არამედ უკუეთუ **ვერ ძალ-გიც** ქალწულებაჲ, იქორწინე სიწმიდით“ (თარგმ. მ. სახ. 334:29) და სხვ.

---

[5] იხ. ზემოთ.

სუბსტიტუციის მეთოდის გამოყენებით შეგვიძლია ასევე გავარკვიოთ **ძალ-უც** ზმნის მეორე მოდალური მნიშვნელობაც: „სუბიექტზე ორიენტირებული“ შესაძლებლობა. ამ სემანტიკის გამოსავლენად **ძალ-უც ქმნაჲ** ფრაზას უნდა ჩაენაცვლოს **უნარი (ძალა, ცოდნა) აქვს** ფრაზა, რაც ნამდვილად შესაძლებელია ქვემოთ მოყვანილ ყველა მაგალითში. ასე მაგალითად, „უფალო, უკუეთუ გინდეს, **ძალ-გიც** განკურნებად ჩემდა“ (ლ. 5:12 C DE FG HIK), ამ წინადადებაში იგულისხმება, რომ ქრისტეს აქვს შინაგანი უნარი, ძალა, რომლითაც შეუძლია სხვების განკურნება. თვალსაჩინოებისთვის წარმოვადგენთ სხვა მაგალითებსაც:

„სუბიექტზე ორიენტირებული“ შესაძლებლობა –

„უფროჲსღა ვილოცვიდეთ, რაჲთა არა შეგუემთხჳოს ჩუენ, რაოდენი **ძალ-გჳც** მოთმინებად“ (თარგმ. მ. სახ. 316:5).

„ამან ეგრე თქუა: **ძალ-მიც** დარღუევად ტაძარი ესე ღმრთისაჲ და მესამესა დღესა აღშენებად“ (თარგმ. მ. სახ. 398:19).

„ხოლო ესე არღა იცოდეს, თუ მძინარესაცა **ძალ-უც** ამისა ქმნად“ (თარგმ. მ. სახ. 145:30).

„ხოლო უკუეთუ ოდენ გჳნდეს, **ძალ-გჳც** ძლევად მისა და რად არა განვრისხნებით“ (განმ. ი. სახ. 42:1) და სხვ.

„სუბიექტზე ორიენტირებული“ შესაძლებლობის უარყოფა –

„ნუცა თავსა შენსა ჰფუცავ, რამეთუ **ვერ ძალ-გიც** ერთისაცა თმისა განსპეტაკებად გინდა დაშავებად“ (მ. 5:36 DE FG HIK S).

„დაღაცათუ **ვერ ძალ-გჳც** ბაძვაჲ მოციქულთაჲ, არამედ მოწამეთა ვჰბაძვიდეთ“ (თარგმ. მ. სახ. 175:30).

„და კუალად რაჲ-იგი გონებამან გულისჴმა-ყოს, ენასა გამოთქუმად **ვერ ძალ-უც**“ (თარგმ. მ. სახ. 67:6).

„რამეთუ ყოვლადვე **ვერ ძალ-უც** ამას სახესა მიმსგავსებად ყუავილთა, რაჲთამცა ქსოილსა მას ჴელითა კაცთაჲთა აქუნდა სურნელებაჲ ვარდისაჲ ანუ იისა“ (თარგმ. მ. სახ. 55:8).

ყველა მოყვანილ მაგალითში **ძალ-უც** ზმნა გამოხატავს შინაგან შესაძლებლობასა და უნარს.

ამრიგად, **ძალ-უც** ზმნა ძველ სამწერლობო ქართულში გამოხატავდა დინამიკური მოდალობის ორ სემანტიკურ ნიუანსს: „ნეიტრალურ“ შესაძლებლობასა და „სუბიექტზე ორიენტირებულ“ შესაძლებლობას.

გარდა სემანტიკური თავისებურებისა, ინტერესს იწვევს **ძალ-უც** ზმნის გრამატიკული მახასიათებლებიც. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ **ძალ-უც** რთული ზმნაა, რომელიც სათანადო სემანტიკას გამოხატავს აღწერითად. მისი პირველი კომპონენტი სახელია (ძალ-), რომელიც განსაზღვრავს ამ ზმნის სემან-

ტიკას (შესაძლებლობის, უნარის გამოხატვას), ხოლო გრამატიკული კატეგორიების გამოხატვა დაკისრებული აქვს მის მეორე, ზმნურ კომპონენტს (-უც), რომელიც გვარის მიხედვით სტატიკური ვნებითია. ცნობილია, რომ სტატიკური ვნებითი გვარი ღარიბია მწკრივებით: I სერიაში მოეპოვება მხოლოდ აწმყო და მასზე დაფუძნებული აწმყოს ხოლმეობითი, სხვა მწკრივები აკლია (იმნაიშვილი I 1996:368). მეორე სერიის ფორმებს აღნიშნული ზმნა აწარმოებს სუპლეტურად: ზმნური კომპონენტი წარმოდგენილია **დევ** ძირისგან ნაწარმოები **ე**- პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ფორმებით (იმნაიშვილი I 1996: 368):

პირველი სერია

აწმყო

„უფალო, უკუეთუ გინდეს, **ძალ-გიც** განკურნებად ჩემდა“ (ლ. 5:12 C DE FG HIK).

„ვითარცა იქცა ეშმაკი, და არა შეიშინეს თქუმად, ვითარმედ **ძალ უცთ**[6] ქცეულებაჲ, რამეთუ ქცევადისა ბუნებისაჲ არს, ვითარცა აგებული და შექმნული“ (ხრონ. 264:26).

აწმყოს ხოლმეობითი

„რომელთა თჳსით სახლით მიართუამნ ყოველსავე საჴმარსა, რაოდენი რაჲ **ძალ-უცნ**“ (ეტ. II 230:33).

„ვერცა წაღმართ **ძალ-უცნ** სლვად, რამეთუ ძალნი ბოროტნი და ჭირნი ძნელოვანნი და თითოსახენი გარემოდგომილ არიედ“ (ფსევდომაკ. 324:19).

მართალია, სტატიკური ვნებითი გვარის ზმნათათვის ნორმაა I სერიაში ოდენ ორი მწკრივის არსებობა, მაგრამ ჩვენ დავადასტურეთ **ძალ-უც** ზმნის **უწყვეტლის** მწკრივის ფორმის ერთი მაგალითი:

„ლოცვაჲ უკუე ჩუენი ესე იყო, ხოლო ღმერთსა ვინაჲთგან ყოველივე **ძალ-უცდა** რასა არა მიჰმადლებს მათ“ (ეტ. II 361:7).

მეორე სერიაში **ძალ-უც** ზმნა ყველაზე ხშირად დასტურდება წყვეტილსა და მეორე კავშირებითში.

წყვეტილი

„ხოლო ჩუენ შეგუეშინა დაწუვისაგან და განვედით ტალავარით და მივედით მათდა, რამეთუ არა **ძალგუედვა**[7] სივლტოლად“ (ეტ. II 51:19).

---

[6] ხელნაწერი (A 174) XIII საუკუნისაა, ამიტომ უკვე შესაძლებელია ირიბი ობიექტის მიერ ზმნა-შემასმენლის რიცხვში შეთანხმება (ძველსა და ნაწილობრივ საშუალ ქართულში ე.წ. საკუთრივ ინვერსიულ ზმნებზე საუბარი გაჭირდება, აქ გრამატიკული და რეალური სუბიექტ-ობიექტი ერთმანეთს ემთხვევა).

[7] ძველი ქართულის ტექსტების გამოცემებში დამკვიდრებულია შემდეგი ორთოგრაფიული წესი: რთული ზმნები იწერება დეფისით, თუმცა გარკვეულ შემთხვევებში ეს წესი დაცული არაა: ზოგჯერ რთული ზმნის კომპონენტები იწერება ცალ-ცალკე ან ერთად. ჩვენ ზმნურ ფორმებს წარმოვადგენთ უცვლელად, იმ ფორმით, როგორც გამოცემაშია.

„მაშინ რომელთა სლვაჲ **ძალ-ედვა**, ერთობით მიიწინეს ყოველნი შატბერდს ძიებად წმიდისა მის“ (აგ. ძეგლ. I 308:25).

მეორე კავშირებითი

„არამედ რაოდენ **ძალ-გუედვას**, ვისწრაფოთ, რაჲთა დაუფარნეთ მას იგინი“ (თარგმ. ლ. სახ. 115:28).

„და უკუეთუ დუმილი ვერ **ძალ-ედვას**, არა თავით თჳსით ქადაგებდეს“ (აგ. ძეგლ. I 290:4).

იშვიათად გვხვდება **მეორე ხოლმეობითის** ფორმებიც:

„და ყოველივე სათნოებაჲ ესოდენ არნ მის თანა, რომელ არცათუ ერთი ვის კეთილთაგანი **ძალ-ედვის** მოგებად მსგავსად მისა, არა თუმცა ყოველთა მათ ქველისსაქმეთა მისთა ვის ძალ-ედვა ბაძვად“ (თარგმ. მ. სახ. 93:17).

„ხოლო ოდეს მოირთის ძალი თრდატ საბერძნეთით და მომართის მირიანს, და მას ვერ **ძალ-ედვის** წინა-აღდგომად, და გაამაგრნის ციხენი და ქალაქნი“ (ქართლ. ცხ. I 69:3).

როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, სტატიკური ვნებითი გვარის ზმნებს, ჩვეულებრივ, არ მოეპოვებათ III სერიის ფორმებიც (იმნაიშვილი I 1996:368). **ძალ-უც** ზმნის მესამე სერიის ფორმები ვერც ჩვენ დავადასტურეთ.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ **ძალ-უც** ფორმის ზმნური კომპონენტი რიცხვში მონაცვლე ზმნაა, თუ სათანადო სახელი (წარმოშობით სუბიექტი) მრავლობით რიცხვშია, **უც** ზმნას ცვლის **მისხენ**, **გისხენ**, **უსხენ** ფორმები. მრავლობითში შენაცვლებული ფუძის მაგალითები ძველ ქართულში იშვიათია (იმნაიშვილი I 1996:399), ჩვენც მხოლოდ ერთი მაგალითი დავადასტურეთ:

„ხოლო სასწაულნი ჟამთანი ვერ **ძალ-გისხენ** გულისხმის-ყოფად“ (მ. 16:3 C).

კვლევისას გამოვლინდა სხვადასხვა ნაწილაკდართული **ძალ-უც** ფორმის გამოყენების საინტერესო შემთხვევები, კერძოდ: **-ო**, **-ვე**, **-ყე**, **-ძი**, **-ა**, **-მეა** ნაწილაკიანი ფორმები. აღმოჩნდა, რომ დასახელებულ ნაწილაკთაგან ზოგი მხოლოდ გრამატიკული ფუნქციის გამომხატველია, ზოგი – სემანტიკური ნიუანსის შემტანია ზმნის ფორმაში, ნაწილი კი ერთდროულად გამოხატავს როგორც გრამატიკულ ფუნქციას, ისე – გარკვეულ სემანტიკას.

თავდაპირველად განვიხილავთ ისეთ შემთხვევებს, როდესაც ნაწილაკი მოდალურ ზმნასთან მხოლოდ გრამატიკულ ფუნქციას გამოხატავს, ასეთია, მაგალითად, სხვათა სიტყვის ნაწილაკები, რომლებიც გამოხატავენ სხვისი ნათქვამის გამეორებას უცვლელად (შანიძე 1980:610). კვლევისას დადასტურდა სხვათა სიტყვის **-ო** ნაწილაკიანი ფორმები:

„ჰე, **ძალ-მიცო** და რაჲსა იტყჳ სიტყუათა ამათ?“ (განმ. ი. სახ. 277:4).

„არა **ძალ-უცო** ძესა საქმედ თავით თჳსით არცა ერთი რაჲ“ (განმ. ი. სახ. 244:24).

ცნობილია, რომ **-ყე** ნაწილაკი გამოიყენებოდა ორი ფუნქციით: 1. გამოხატავდა რიცხვის გრამატიკულ კატეგორიას (სიმრავლეს); 2. გამოხატავდა მრავალგზისობის შინაარსს, გამოიყენებოდა **ხოლმე** ნაწილაკის ფუნქციით (ქავთარაძე 1961:25).

ჩვენ მიერ მოძიებულ მასალაში **ძალ-უც** ზმნაზე დართული **-ყე** ნაწილაკი სახელის, კერძოდ, ირიბი ობიექტის, მრავლობითობას უნდა გამოხატავდეს, მაშასადამე, მხოლოდ გრამატიკული ფუნქციის მატარებელია. არნ. ჩიქობავას აზრით, **-ყე||-კე** ნაწილაკი XI-XVIII საუკუნეების ქართულ ტექსტებში ხშირად არის გამოყენებული მრავლობითობის ნიშნად (ჩიქობავა 1923:60). დამანა მელიქიშვილის დაკვირვებით: „-ყე სუფიქსოიდი გელათურ ტექსტებში გამოიყენება მიცემითში დასმული სახელის მრავლობითობის აღსანიშნავად (ძირითადად გრძნობა-აღქმის და ყოლა-ქონების გამომხატველ ინვერსიულ ზმნებში) – გნებავს-ყე, გიყუარს-ყე, გაქუნდა-ყე, გიკჳრს-ყე, ძალ-გიც-ყე (თქუენ)...“ (მელიქიშვილი 1996: 69). მოგვყავს შესაბამისი მაგალითები:

„ამას იტყჳს უფალი ღმერთი ისრაჵლისაჲ: შენაჩუენები თქუენ შორის არს, ვერ **ძალ-გიც-ყე** წინადადგომაჲ წინაშე მტერთა თქუენთა“ (ისო ნავ. 7:13 G).[8]

„აჰა, უმეტკუეთილებ ყურნი მათნი, და ვერ **ძალ-უცყე** სმენაჲ. აჰა, სიტყვა უფლისაჲ იქმნა მათდა ყუედრებად მიმართ, არა ინებონ სმენაჲ მისი“ (იერ. 6:10 S).[9]

„არცა ბოროტი თუ რაჲ ვისგანმე ევნოსყე, არცა კეთილისა თუ შემძლებელ არიან მიგებად, არცა მეფისა, **ძალ-უცყე** დადგენაჲ, არცა წაღებაჲ“ (ბარ. 6:33 S).

შესწავლილი მასალის მიხედვით გაირკვა, რომ **-ვე** და **-ძი** ნაწილაკები დამატებითი სემანტიკური ნიუანსის შემომტანია მოდალურ ფორმაში.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოიყოფა **-ვე** ნაწილაკის რამდენიმე ფუნქცია (1. კავშირი; 2. თანდებული; 3. იგივეობითი ნაწილაკი; 4. გამოიყენება შემდეგი მნიშვნელობით: „მართლა, ნამდვილად“; 5. განუსაზღვრელობას ანიჭებს სიტყვას, რომელსაც დაერთვის) და აღნიშნულია, რომ ის შეიძლება დაერთოს სხვადასხვა მეტყველების ნაწილს (ყაუხჩიშვილი 1946:270-271), მათ შორის – ზმნას, ამ შემთხვევაში **-ვე** ნაწილაკი გამოხატავს ინტენსიობას (სარჯველაძე 1997:162). ჩვენ მიერ დადასტურებულ მაგალითებში **-ვე** ნაწილაკი დამატებით ნიუანსს სძენს, მეტ სიძლიერეს ანიჭებს მოდალური სემანტიკის გამომხატველ ზმნას და აჩვენებს, რომ ზმნით გადმოცემული სემანტიკა ნამდვილია, უტყუარია:

„არამედ უფალმან უჩუენა მას, ვითარმედ დაღათუ არა იყოს იესუს თანა, **ძალ-უცვე** მადლითა მისითა დაცვულსა უაღრეს-ყოფაჲ საეშმაკოჲსა განმცდელობისა“ (თარგმ. ლ. სახ. 111:25).

---

[8] ე.წ. კატენებიან გელათის ბიბლიის ნუსხებში დაცულია XII საუკუნის თარგმანი.

[9] „მცხეთურ ხელნაწერში“(A - 51) დაცულია XVII საუკუნის მიწურულსა და XVIII საუკუნის დასაწყისში ნარედაქციევი ბიბლიის ტექსტი.

„ადვილად ვჰყოფდეთ მათ მადლისა მიერ, ვითარმედ უკუეთუმცა მადლი იგი არა მოგეცემოდა, არა ადვილად უკუე, გარნა ეგრეთცა **ძალ-გუედვავე** თჳნიერ მისსაცა სრულ-ყოფაჲ საღმრთოჲთა მცნებათაჲ“ (დიდი სჯ. 344:21).

აკაკი შანიძის განმარტებით, **-ძი** ნიშნავს „თუ“, „აბა“ “ли”, “же” (შანიძე 1976:149). ამ ნაწილაკს უკავშირდება **შესაძლებლობის (დაეჭვების)** გამოხატვა. ბერძნულში მის შესატყვისად ***εἰ*** დასტურდება (ცინდელიანი 1981:34). ჩვენს შემთხვევაში **-ძი** ნაწილაკი დასტურდება თუ კავშირთან ერთად, რომელიც იხმარება კითხვის დასმის დროს (შანიძე 1980:606). **-ძი** ნაწილაკის შესახებ **თუ** კავშირთან მიმართებით ვ. თოფურია წერს: „**ძი** სხვა არაფერია, თუ არა დამოკიდებული წინადადების კავშირი თუ“ (თოფურია 1944:174). მაშასადამე, რადგან ქვემოთ მოყვანილი წინადადებების დამოკიდებულ ნაწილში **თუ** კავშირი ასრულებს თავის ფუნქციას (ეჭვქვეშ აყენებს ზმნით გამოხატულ მოქმედებას), მოდალურ ზმნაზე **-ძი** ნაწილაკის დართვა კიდევ უფრო აძლიერებს შესაძლებლობის (დაეჭვების) სემანტიკას.

„გამოცადე-ღა უკუჱ თავი შენი აწვე ამიერ აქაჲთ, თუ **ძალ-გიც-ძი** დათმენაჲ სატანჯველთაჲ“ (სწავ. წმ. მამ. 52:11).[10]

„გამოიცადე-ღა აქაჲთვე თავი შენი თუ **ძალ-გიც-ძია**[11] დათმენაჲ ცეცხლსა მას საუკუნესაჲ?“ (ეტ. II 319:18).[12]

უკანასკნელ მაგალითში შესაძლებლობის დაეჭვების მოდალური სემანტიკა კიდევ უფრო გაძლიერებულია, **ძალ-გიც** ზმნას ერთვის არა მხოლოდ თუ კავშირი და **-ძი** ნაწილაკი, არამედ **-ა** კითხვითი ნაწილაკიც. ამრიგად, უდავოა, რომ **-ძი** ნაწილაკის დართვის შემთხვევაში მოდალურ ზმნას დამატებითი ნიუანსი ენიჭება, რაც გულისხმობს დაეჭვების სემანტიკის გაძლიერებულად გამოხატვას.[13]

როგორც აღვნიშნეთ, ზოგიერთი ნაწილაკი ერთდროულად გამოხატავს როგორც გრამატიკულ ფუნქციას, ისე – გარკვეულ სემანტიკას. ასეთებია კითხვითი ნაწილაკები ძველ ქართულში: **-ა**, **-მე**, **-მეა**, რომლებიც ფორმალურად გამოხატავენ კითხვითობის შინაარსს კითხვით წინადადებაში (შეკითხვა მოდალობის ერთ-ერთი სახედ განიხილება). წარმოვადგენთ დადასტურებულ მაგალითებს:

-ა კითხვითნაწილაკიანი ფორმები –

-ა კითხვითი ნაწილაკი ერთვის ზმნის პირიან ფორმას, ზოგჯერ სახელსაც და გამოიყენება კითხვით წინადადებაში (ყაუხჩიშვილი 1946, ბაბუნაშვილი 1957, უთურგაიძე 1966, სარჯველაძე 1997):

---

[10] ხელნაწერი XI საუკუნისაა.

[11] ამ შემთხვევაში **-ძი** ნაწილაკს ერთვის **-ა** კითხვითი ნაწილაკი.

[12] ხელნაწერი X-XI საუკუნისაა.

[13] **-ძი** ნაწილაკი, როგორც დაეჭვების მოდალური სემანტიკის გამომხატველი, ცალკე მომავალი კვლევის საგანია.

„რომლისა მიმართ ღირს იჩინა სიწმიდემან თქუენმან შემოკრებაჲ ზედაჲსზედა და კნინღა თჳთოეულსა კჳრიაკესა გუქონან ჴელთდასხმადნი, ნუსადა **ძალ-მიცაა**[14] მიმდემად ათორმეტთა, ანუ ათთა, ანუ არა ფრიად უმცირესთა ამის რიცხჳსათა მოწოდებაჲ ეპისკოპოსთაჲ?“ (დიდი სჯ. 308:32).

„**ძალ-გიცსა**[15] [შესუმად] სასუმლისა, რომელი ჩემდა შესუმად არს?“ (მ. 20:22 P).

„აწ, რომელსა-იგი ქადაგებს ნინო ჯუარსა და ჯუარ-ცმულსა და ჰყოფს კურნებასა, მისითა მოსავობითა, **არა-მცა ძალ ედვა-ა**ჴსნა ჩემი ამის ჭირისაგან?“ (ქართლ. ცხ. I 109:19).

ზოგჯერ ერთსა და იმავე ზმნურ ფორმასთან **-მეა** მრჩობლი კითხვითი ნაწილაკია წარმოდგენილი, რაც კიდევ უფრო აძლიერებს კითხვითობის შინაარსს, იგულისხმება არა ჩვეულებრივ „შეუძლია?“, არამედ – „შეუძლია კი?“:

„ნუ **ძალ-უც-მეა** სარწმუნოებასა ხოლო ცხოვნებად მისა?“ (კათ. ეპ.; იაკ. 2:14 GD).

დადასტურდა ისეთი შემთხვევაც, როდესაც **ძალ-უც** ზმნას ერთდროულად ერთვის **-ა** და **-მე** კითხვითი ნაწილაკები ისე, რომ ეს უკანასკნელი თავსდება **ძალ-უც** ზმნის სახელურ და ზმნურ კომპონენტებს შორის, ანუ საქმე გვაქვს **ტმესთან**:

„**ძალ-მე-გუიცა**[16] დათმენად სატანჯველთა მათ, რომელნი-იგი ესევითართათჳს განმზადებულ არიან საუკუნესა?“ (მამ. სწ. 29:10).

ძალ-უც ზმნის შემთხვევაში დასტურდება **ტმესის** სხვა მაგალითებიც. რთული ზმნის სახელურ და ზმნურ კომპონენტს შორის შესაძლოა წარმოდგენილი იყოს **-ღა** ნაწილაკი:

„არა ეგრე, არამედ **ძალ-ღა-გიც** მსახურებად უფლისა“ (სინ. მრ. 246:15).

-ღა ნაწილაკი ამ შემთხვევაშიც მხოლოდ სემანტიკური ნიუანსის შემტანია ზმნურ ფორმაში, როგორც ე. ბაბუნაშვილი მიუთითებს, **-ღა** ნაწილაკი ძველ ქართულში „ჯერ“, „ჯერ კიდევ“,„კვლავ“ მნიშვნელობების გამომხატველია (ბაბუნაშვილი 1957:237).

გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ტმესს ქმნის პირობითობის **თუ** კავშირი ან მისი **-მცა** ნაწილაკიანი ფორმა, რომელსაც წინადადებაში შეაქვს

---

[14] აქ შესაძლოა, გადამწერის მექანიკურ შეცდომასთან გვქონდეს საქმე, რადგან ძველი ქართული ენის ტექსტებში მხოლოდ რამდენიმე მაგალითია ისეთი, რომლებშიც ზმნის ფორმას ერთვის ორი **-ა** და აქედან ერთი კითხვითი ნაწილაკია, მეორის ფუნქცია კი დაუზუსტებელია. დანარჩენ შემთხვევებში ერთი **-ა** არის პირის ან მწკრივის ნიშანი ან ფუძისეული, მეორე კი – კითხვითი ნაწილაკი.

[15] როგორც ცნობილია: ც < ძ + ს, მაგრამ ამ ფორმაში მესამე სუბიექტური პირის ნიშანიცაა წარმოდგენილი.

[16] ამ შემთხვევაშიც კითხვითობის სემანტიკა გაძლიერებულია.

პირობითობის სემანტიკა (თავად ზმნური ფორმა კი პირობით დამოკიდებულ წინადადებაშია):

„**ძალ-თუ-გედვას** კეთილის-ყოფად, რამეთუ არა უწყი, რაჲ შვეს ხვალემან“ (იგავ. 3:28 S P).

„ჰე, უეჭველად ბევრგზისმცა მოვკალ და ასოეულად დავჭარ, **ძალ-თუმცა-მედვა**“[17] (თევდ. აბ. 114:25).

აღსანიშნავია, რომ **ძალ-უც** ზმნა საკმაოდ ხშირად დასტურდება პირობით დამოკიდებულ წინადადებაში:

„ისმინე ჩემი, არა ამას მოასწავებს, **თუ** მას თჳთ **ძალ-ედვა**“ (განმ. ი. სახ. 143:31).

„მსუროდა, უკუეთუმცა **ძალ-მედვა**, პავლეს თანა ღაღადებად“ (თარგმ. მ. სახ. 90:15).

„**თუ-მცა ძალ-მედვა** მიწევნა მფრინველთა და მით გამოზარდა თავისა ჩემისა, არამედ შევიპყრა ყუავი ისი“ (ქართლ. ცხ. I 190:15) და სხვ.

საზოგადოდ, **ძალ-უც** ზმნა ძველ სამწერლობო ქართულში დასტურდება ყველა ტიპის წინადადებაში. ამ მხრივ განსაკუთრებული პროდუქტიულობით გამოირჩევა რთული ქვეწყობილი წინადადებები[18] (იგი მეტწილად დამოკიდებულ წინადადებაშია წარმოდგენილი: „და ჰრქუა მათ იესუ: გრწამსა, ვითარმედ **ძალ-მიც** ესე ყოფად?“ (მ. 9:28 DE FG HIK S)), შემდეგ რთული თანწყობილი („ხოლო მე რაჲ**ძალ-მიც** შეწევნად თქუენდა?“ (ბარ. 4:17 S)) და მარტივი წინადადებები (**ვერ ძალ-მიც** მისი ვისიმე შეყუარებაჲ (განმ. ი. სახ. 174:18)), იშვიათად **ძალ-უც** ზმნა გვხვდება შერწყმულ წინადადებაშიც („ყოველი **ძალ-მიც** და ყოვლისავე ჴელმწიფებაჲ მაქუს“ (თარგმ. მ. სახ. 139:4)).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ გამოვავლინეთ და შევისწავლეთ დინამიკური მოდალობის გამომხატველი **ძალ-უც** ზმნის სემანტიკური და გრამატიკული მახასითებლები ძველი სამწერლობო ქართულის მიხედვით. როგორც აღმოჩნდა, **ძალ-უც** ზმნა ძველ სამწერლობო ქართულში გამოხატავდა დინამიკური სემანტიკის ორივე სახეს: „ნეიტრალურსა“ და „სუბიექტზე ორიენტირებულს“ როგორც დადებითი, ისე – უარყოფითი კონოტაციით. ამასთანავე, გამოიკვეთა, რომ ზოგიერთი ნაწილაკის დართვისას **ძალ-უც** ზმნის სემანტიკა (შესაძლებლობის, უნარის გამოხატვა) კიდევ უფრო ძლიერდებოდა. რაც შეეხება **ძალ-უც** ზმნის გამოყენების შემთხვევებს, როგორც ითქვა, ძველ სამწერლობო ქართულში ის დასტურდება ყველა ტიპის წინადადებაში.

---

[17] **-მცა** ნაწილაკის დართვის გამო ზმნური კომპონენტი, II კავშირებითის ნაცვლად, წარმოდგენილია წყვეტილის მწკრივის ფორმით (შდრ. პირველი მაგალითი).

[18] საინტერესო საკითხს წარმოადგენს სხვადასხვა მოდალურ ზმნათა გამოყენება ქვეწყობილი წინადადების სხვადასხვა ტიპში, რაც ცალკე კვლევას საჭიროებს.

ლიტერატურა:

აბულაძე 1973: ი. აბულაძე, *ძველი ქართული ენის ლექსიკონი,* გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

ბაბუნაშვილი 1957: ე. ბაბუნაშვილი, ნაწილაკები ძველ ქართულში, *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები,* 67, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

გიორგობიანი 2013: თ. გიორგობიანი, *ძველბერძნულ-ქართული ლექსიკონი,* მესამე გამოცემა, თბილისი.

ვაშაკიძე 1993: თ. ვაშაკიძე, *ზმნის აღწერითი წარმოება ძველ ქართულში,* თბილისი.

თოფურია 1944: ვ. თოფურია, **ბი** ნაწილაკი ქართულში, *აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე,* XIV, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.

იმნაიშვილი... 1996: ი. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი, *ზმნა ძველ ქართულში,* I, მაინის ფრანკფურტი.

მელიქიშვილი 1996: დ. მელიქიშვილი, გელათის სალიტერატურო სკოლის ენობრივი სტილის ერთიანობისა და ინდივიდუალურობის საკითხისათვის, *გელათის მეცნიერებათა აკადემიის უწყებანი,* N 2.

სარჯველაძე 1997: ზ. სარჯველაძე, *ძველი ქართული ენა,* თბილისი.

უთურგაიძე 1966: თ. უთურგაიძე, კითხვითი **-ა** და **-მე** ნაწილაკები ქართულში, *იკე,* XV, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

ქავთარაძე 1961: ივ. ქავთარაძე, ხოლმეობითის კატეგორიის ისტორიიდან ქართულში, *ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები,* II, თბილისი.

ყაუხჩიშვილი 1946: თ. ყაუხჩიშვილი, ზოგი ნაწილაკისა და კავშირის მნიშვნელობისათვის ძველ ქართულში, *იკე,* I, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.

შანიძე 1976: ა. შანიძე, *ძველი ქართული ენის გრამატიკა,* თსუ გამომცემლობა, თბილისი.

შანიძე 1980: ა. შანიძე, *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები,* ხელნაწერი თორმეტ ტომად, ტომი III, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

შარაშენიძე 2010: ნ. შარაშენიძე, *ზმნათა ფორმობრივი და ფუნქციური ცვლილებები ქართულში,* გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.

ჩიქობავა 1923: არნ. ჩიქობავა, -ყე ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოგიკის ურთიერთობის თვალსაზრისით, *წელიწდეული,* I-II, თბილისი.

ცინდელიანი 1981: უ. ცინდელიანი, შესაძლებლობის (დაეჭვების) ნაწილაკები ძველ აღთქმაში, *მრავალთავი,* IX, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

ჭანტურია 2002: ლ. ჭანტურია, „სახე“ და მოდალობა, *საენათმეცნიერო ძიებანი,* XII, თბილისი.

Bybee, Perkins, Pagliuca 1994: J. Bybee, R. Perkins, W. Pagliuca, *The Evolution of Grammar. Tense, Aspect and Modality in the Languages of the World,* The University of Chicago Press, Chicago and London.

Haan 2004: F. de Haan, *Typological Approaches to Modality*, Berlin.

Palmer 1999: F. R. Palmer, *Modality and the English Modals,* Longman.

Perkins 1983: M. R. Perkins, *Modal Expressions in English*, Frances Pinter, London.

Portner 2009: P. Portner, *Modality*, Oxford University Press, Oxford.
Wymann 1996: A. Th. Wymann, *The Expression of Modality in Korean,* Bern.

წყაროები:

C: *ადიშის ოთხთავი 897 წლისა,* ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ე. გიუნაშვილმა, დ. თვალთვაძემ, მ. მაჩხანელმა, ზ. სარჯველაძემ და ს. სარჯველაძემ, ზ. სარჯველაძის საერთო რედაქციით, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბილისი 2003.

DE: *ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით,* გამოსცა ა. შანიძემ, საქ. სსრ. მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი 1945.

FG HIK: *ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია,* ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივანე იმნაიშვილმა, თბ. უნივ. გამომცემლობა, თბილისი 1979.

„ტიტუსის“ მონაცემთა ელექტრონული ბაზა (titus.uni-frankfurt.de):

G: *წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, ლევიტელთა, რიცხუთაჲ, მეორისა სჯულისაჲ,* ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ი. აბულაძემ, ბ. გიგინეიშვილმა, ნ. გოგუაძემ და ც. ქურციკიძემ, XI_2, თბილისი 1990.

წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, ისო ნავესი, მსაჯულთაჲ, რუთისი, ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს და გამოკვლევა დაურთეს ც. ქურციკიძემ და უ. ცინდელიანმა, XI_3, თბილისი 1991.

OJ: *წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი 978 წლის ხელნაწერის მიხედვით,* გამოსცა ა. შანიძემ, ტ. I, თბილისი 1947.

P: *ქართული ლექციონარის პარიზული ხელნაწერი,* ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს კ. დანელიამ, სტ. ჩხენკელმა და ბ. შავიშვილმა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო კ. დანელიამ, ტ. I, ნაწ. II, თბილისი 1997.

S: *მცხეთური ხელნაწერი,* ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დოჩანაშვილმა, თბილისი 1981-1986.

აგ. ძეგლ. I: *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები,* ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, წ. I, თბილისი 1963.

განმ. ი. სახ.: *წმ. იოანე ოქროპირი, განმარტება იოანეს სახარებისა,* თარგმანი წმ. ექვთიმე მთაწმიდელისა, ტექსტი უძველესი ხელნაწერების მიხედვით მოამზადეს ზ. სარჯველაძემ, ლ. ალექსიძემ, ნ. დობორჯგინიძემ, დ. თვალთვაძემ, მ. მაჩხანელმა, ლ. ნიჟარაძემ, თ. ცოფურაშვილმა, I-II, თბილისი 1993.

დიდი სჯ.: *დიდი სჯულისკანონი,* გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ, თბილისი, 1975.

ეტ. II: *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან,* კ. კეკელიძე, II, თბილისი 1945.

თარგმ. ლ. სახ.: თეოფილაქტე ბულგარელი, *თარგმანებაჲ ლუკას სახარებისაჲ,* ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო სოფიო სარჯველაძემ, თბილისი 2010.

თარგმ. მ. სახ.: წმ. იოანე ოქროპირი, *თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ,* თარგმანი წმ. ეფთვიმე მთაწმიდელისა, ტექსტი გამოსცეს*:* ვ. წამალაშვილმა, თ. დედაბრიშვილმა, მ. ბაბუხადიამ, ლ. ბასილაიამ, ნ. დობორჯგინიძემ, დ. თვალთვაძემ, თ. ქარსანიძემ, მ. მაჩხანელმა, ნ. შარაშენიძემ, ნ. შუღლაძემ, თ. ცოფურაშვილმა და თ. ცქიტიშვილმა, მზექალა შანიძის რედაქციით, I-III, თბილისი 1996-1999.

თევდ. აბ.: თეოდორე აბუკურა, *ტრაქტატები და დიალოგები,* თარგმანი ბერძნულიდან არსენ იყალთოელის მიერ, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ლ. დათიაშვილმა, თბილისი, 1980.

კათ. ეპ. GD: კათოლიკე ეპისტოლეთა ქართული ვერსიები, *ძველი ქართული ენის კათედრის შრომები,* IX, ქეთევან ლორთქიფანიძე, თბილისი 1956.

მამ. სწ.: *მამათა სწავლანი,* ძველი ქართული ენის ძეგლები, X და XI საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ილია აბულაძემ ა. შანიძის რედაქციით, VIII, თბილისი 1955.

სინ. მრ.: *სინური მრავალთავი 864 წლისა,* სასტამბოდ მოამზადეს კათედრის წევრებმა აკაკი შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თბილისი 1959.

სწავ. წმ. მამ.: *შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები,* ქართული პატერიკის ერთი ძველი რედაქციის ექვთიმე ათონელის თარგმანი, XI საუკუნის ხელნაწერის მიხედვით, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. დვალმა, I, თბილისი 1966.

ფსევდომაკ.: *ფსევდომაკარის თხზულებათა ქართული ვერსია,* ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო გ. ნინუამ, IV, თბილისი 1982.

ქართლ. ცხ. I: *ქართლის ცხოვრება,* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, წ. I, თბილისი 1955.

ხრონ.: *ხრონოგრაფი გიორგი მონაზონისაჲ,* სიმონ ყაუხჩიშვილი, თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა, თბილისი 1920.

ჰომ. ბას. კეს.: *ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი,* ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, V, თბილისი 1983.

BGT : *Septuaginta*, Rahlfs-Hanhart, Verlag: Deutsche Bibelgesellschaft, 2007.

Maguli Ghambashidze

Dynamic Modal “ʒal-uc” in the Old Literary Georgian Language

Summary

There are three types of modality known in scientific literature: Epistemic, Deontic and Dynamic. In different languages each type of modality can be expressed by various linguistic expressions. It is the main course of modern linguistics to display and study modal expressions. According to Old Literary Georgian, there has never been any attempt in Georgian linguistics to study modal semantics. I foresee the significance and

topicality of studying Modality and reckon it important to research modal semantics in Old Georgian. It is true that Modality was not a formed category in Old Georgian (grammaticalization of the expressions of modality occurred in Middle Georgian (Sharashenidze 2010)); to express modal semantics the language employed other means, one of them was complex verbs (ʒal-uc, qel-eçipebis, ǯer-ars). Actually the object of our research is to show the semantic and grammatical features of the verb "ʒal-uc", which expresses Dynamic modality in Old Literary Georgian.[19]

The comparative study revealed that the equivalent of the Georgian descriptive verb "ʒal-uc" in old Greek is the simple verb (*δύναμαί*). This shows that it is a typical feature of Georgian and not the influence of the Greek language. As it is known, due to different reasons sometimes it was difficult to form simple verbs in old Georgian. In such cases Georgian used descriptive forms (Vashakidze 1999:352).

We should mention that in old Goergian the verb "ʒal-uc" expressed both types of Dynamic modality: "Neutral" and "Subject-oriented" with positive and negative connotations. Besides the semantic features, the grammatical side of the verb "ʒal-uc" is very interesting as well. These issues are discussed in this article in detail.

The study has revealed interesting cases of using the verb "ʒal-uc" with different particles, for example: -o, -ve, -ʒi, -a, -me-a. It was found that some of these particles express only grammatical function, others can add a semantic nuance to the verb; some of them express a grammatical function and a certain semantics at the same time. When speaking about particles, it should be mentioned that some interesting examples have been found – when there is a different particle between a complex predicative and a verbal part.

Generally, in Old Georgian the verb "ʒal-uc" is found in all kinds of sentences, the most productive being complex sentences[20] (mostly their subordinate clause), then compound-complex and simple sentences, the verb "ʒal-uc" is rarely found in compound sentences.

Finally, in this article have been studied the semantic and grammatical features of the Dynamic modal verb "ʒal-uc" according to the texts of Old Literary Georgian. The research revealed many interesting and important questions and topics. Some of them call for further thorough study.

წარმოადგინეს ასოცირებულმა პროფესორებმა
ლელა ციხელაშვილმა და ნინო შარაშენიძემ

[19] For the research we have used as published texts of old Georgian, as – the electronic database of Titus.

[20] It is an interesting question to research the using of the different modal verbs into the different types of complex sentence. This issue needs more research.

მერი ჩიქობავა

ერთი ლექსიკური პარალელის შესახებ ქართველურსა და ინდოევროპულში

ინდოევროპულიდან საერთო-ქართველურში ნასესხები ლექსიკური შრეები, ქართველური და ინდოევროპული ფონოლოგიური და მორფოლოგიური სტრუქტურების მსგავსებასთან ერთად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს „ინდოევროპული წინარესამშობლოს" ლოკალიზების, ქართველურ-ინდოევროპული ენობრივი კონტაქტების საერთო არეალისა და ქრონოლოგიის განსაზღვრის, ზოგადად, პრეისტორიული მიგრაციებისა და არეალური ლინგვისტიკის საკითხთა შესასწავლად. სიტყვათა ჯგუფები, რომლებიც შეიძლება მიეკუთვნოს უძველეს ინდოევროპეიზმებს საერთო-ქართველურში, შეიცავს როგორც კულტურულ ტერმინებს, ისე ძირითადი ლექსიკური ფონდის ერთეულებს – ცხოველთა და მცენარეთა სახელებს, მეურნეობისა და მატერიალური კულტურის ამსახველ ლექსიკას, რიცხვით სახელებს, ზმნურ ფუძეებს და სხვ. (გამყრელიძე, ივანოვი 1984:877-879; თეკ 2003:584-585; გამყრელიძე 2005:265-266).

საგანთა თვლასთან დაკავშირებული ლექსიკა – რიცხვითი სახელები, რიცხვითი დეტერმინატივები (კლასიფიკატორები, ნუმერატივები), სხვა რაოდენობრივი აღნიშვნები ენებში განსაკუთრებულ ქვეჯგუფებს ქმნიან. მათთან ფუნქციურად ახლოს დგას ე.წ. „სათვალავი (დათვლის) სიტყვები", რომლებიც ასახავს სინამდვილის ობიექტთა მიმართებებს რაოდენობის, ფორმის, მოცულობის, მდგომარეობისა და სხვა ნიშნების მიხედვით (ვინოგრადოვი 1990:227).

ქართულში ამ მნიშვნელობათა რიგში შეიძლება განვიხილოთ 'ერთი', 'მარტო', 'ხოლო', 'სხვა', 'ზოგი', 'ნახევარი', 'კერძო', 'სრული', 'მთელი', ბევრი', 'მრავალი', 'ტოლი', 'ცალი', 'გვერდი' და მისთ.; არაერთ მათგანს ეძებნება პარალელი ინდოევროპულ (ირანულ) ენებში (იხ. კლიმოვი 1964; ანდრონიკაშვილი 1966; ანდრონიკაშვილი 2005; ჩიქობავა 2008).

მსგავს მნიშვნელობებს უნდა მივაკუთვნოთ აგრეთვე 'ოდენ' და **'ოდეს'**, რომლებიც ქართული ლიტერატურის უძველეს ძეგლებში დასტურდება:

ოდენ „ხოლო"; მაინც, „თანა", ახლოს, დროს; ოღონდ; -ოდე: *ჩუენი არა ხოლო თუ დედოფალი ოდენ იყავ* (შუშ. III,18); *..სამ დღე ოდენ* (საკითხ. წიგნი, II, 114,3); *აღმოსვლასა ოდენ მზისასა (აღმოსვლასა თანა მზისასა)* (მსჯ. 9,33); *მას ჟამსა ოდენ* (საქ. მოც. 12,1); *მო-ოდენ-ვიდოდა ივი* (საქ. მოც. 9,3). **ოდენ-ი** ტოლი; ეგოდენ, ესოდენი, კნინოდენი. **ოდეს** „რაჟამს", როდესაც, როცა. **ოდესვე** მუდამ, ყოველთვის. **ოდესმე** როდესმე, ერთ დროს, ზოგჯერ: *ოდეს ყოფილ არს აქამომდე* (შუშ. VI, 11); *ოდეს ყოფად არს ესე* (მთ. 24,3) (აბულაძე 1973:332).

„ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება ფორმები ‘ოდენ’, ‘მართ ოდენ’, ‘ოდნად’, ‘ოდეს’, ‘ოდითგან’: *..მართ ოდენ მარტო ასული* (33_1); *ოდეს ტურფა გაიეფდეს, არღარა ღირს არცა ჩირად* (878_4).

ეს ფუძე საერთო-ქართველურ დონეზე აღდგება: ***ოდ-** ; ქართ. **ოდ-** ოდ-ენ; მეგრ. **ოდ**-ო „ჯერ კიდევ“; სვან. **ოდ**-ე „მხოლოდ“; ქართული, მეგრული და სვანური მასალა შეაპირისპირა გ. კლიმოვმა, მანვე აღადგინა ***-ოდე** არქეტიპი (ქეელ 1990:244).

მოცემული ფუძე ახალ ქართულშიც ფართოდ გამოიყენება ზმნიზედის ან ნაწილაკის ფუნქციით, ასევე რთულ სიტყვათა შემადგენლობაში, და აქვს რაოდენობის ან დროის სემანტიკა:

ოდენ მხოლოდ, მარტო (*მარტოოდენ).* **-ოდენ**-ი, **-ოდენ**-ა ტოლი (*ამდენი, იოტისოდენი*); (სასაუბრო მეტყველებაში სიდიდის აღნიშვნებს *ამოდენა, რამოდენა* ენაცვლება *ამხელა, რამხელა).* **ოდენობა** სიდიდე, **რაოდენობა**; რაოდენ; რამდენიმე. **ოდნავ** ცოტათი, მცირედ; ძლივს; **ოდნავი.**

-ოდე ნაწილაკი ერწყმის რიცხვითი სახელის სახ. ბრუნვის ფორმას და განუსაზღვრელობას, დაახლოებით რაოდენობას აღნიშნავს *(ორიოდე, სამიოდე).*

ოდეს(მე); ოდესღაც; **ოდიდან**; ოდით(გან-ვე); ოდინდელი. **როდეს** (<რა-ოდეს); როდის(მე), როდესაც; როდემდე; როდი; როდინდელი და სხვ.

მოცემული ფორმები შეიძლება შეუდარდეს ინდოევროპული ენების მონაცემებს, კერძოდ, ინგლისურ odd ტერმინს, რომელსაც ასევე რაოდენობისა და დროის სემანტიკა აქვს:

odd 1. კენტი 2. ცალი; ცალ-ცალი *(ხელთათმანი, წინდა),* დაცალკევებული, უწყვილო; 3. ნაშთი, ნარჩენი; მეტი; ზედმეტი; *thirty-odd years later – 30-40-ოდე წლის შემდეგ; five hundred-odd – 500-ზე ოდნავ მეტი;* 4. უცნაური, უჩვეულო, ექსცენტრიული; 5. იშვიათი, არარეგულარული, შემთხვევითი; თავისუფალი, დაუკავებელი; *at odd times/moments ხანდახან; თავისუფალ დროს, მოცალეობის ჟამს; The landscape was bare except for the odd cactus ...რამდენიმე (ორიოდე) კაქტუსის გარდა; I read very little – only the odd magazine ...მხოლოდ რამდენიმე (ორიოდე) ჟურნალს ვკითხულობ;* the/an odd man / the odd one out კენტად, მარტო დარჩენილი; ცალკე მდგომი; იხ. აგრ. oddments – ნარჩენები; odds – განსხვავება, სხვადასხვაობა და სხვ.

გერმანულში ōde ნიშნავს ‘უკაცრიელი, დაუსახლებელი, უდაბური’, ‘განცალკევებული, განმარტოებული’.

მსგავსი სემანტიკა აქვს ამ ფუძის ფორმებს რუსულშიც: единица, единственный; единство; один, одна, одно; однако (‘ხოლო, ოღონდ’); одинокий; одинаковый; едва (‘ოდნავ, მხოლოდ’).

სლავური ед-ин, სავარაუდოდ, შედგენილი ფორმაა: ед- დაიყვანება ნაცვალსახელურ ძირზე ed- > od- და აძლიერებს инъ (<ლათ. ūnus ‘ერთი’) მნიშვნელობას:

ერთადერთი, მხოლოდ ერთი (პრეობრაჟენსკი 1910:210-212; ფასმერი 1971:122); იგივე ინგლ. ‘this’ (demonstrative stem); ‘one’; გერმ. ‘der, er’ (იხ. პოკორნი 1959:281-286).

ასეთ აღნიშვნათა შედარებითი კვლევა ენებში ღრმა სემანტიკურ პარალელიზმს ავლენს. ერთის, ორობითობის, წყვილისა და კენტის სემანტიკა ეფუძნება დიქოტომიის, მთელის ორ თანაბარ ნახევრად გაკვეთის უნივერსალურ პრინციპს (ჰუმბოლდტი 1985:398).

ინდოევროპულსა და ქართველურ პრაენობრივ სისტემებში არ აღდგება საერთო სიტყვა „ერთის“ აღსანიშნავად – საკუთრივ თვლა და საგანთა აღრიცხვა ‘ორი’-დან იწყება, ‘ერთი’ კი გულისხმობს საგნის სახელდებას სპეციალური აღმნიშვნელის გამოყენებით. ინდოევროპულში რეკონსტრუირდება შემდეგი ფუძეები: *p(o)l- ‘ნახევარი’, ‘წყვილი’; *oi̯- ‘ერთი’ (ჩამოთვლის, დათვლის დროს), ფორმდება სხვადასხვა სუფიქსით და დიალექტებში აქვს მნიშვნელობები: ‘ერთი’, ‘სხვა, მეორე’, ‘ერთადერთი, გამონაკლისი’, ‘ზოგიერთი, ცალკეული’, ‘განმარტოებული, მარტოხელა’, ‘მხოლოდ’; *se/om- ნაცვალსახელური წარმოშობის ფუძედ მიიჩნევა, დიალექტებში აქვს მნიშვნელობები: ‘ერთი, ერთხელ’, ‘თანაბარი, ერთნაირი’, ‘ტოლი, იგივე’ (ძვ. ინგლ. same); ‘ნახევარი’ (ანუ მთელის თანაბარი ნაწილი) (იხ. გამყრელიძე, ივანოვი 1984:779, 843-844).

ი. სტეპანოვი იკვლევს „ერთისა“ და „ნახევრის“ ინდოევროპულ აღნიშვნებს და მათ ფარდ ცნებებს. უფრო ძველი უნდა იყოს „ხელთან“, როგორც უნივერსალურ მატერიალურ საზომთან დაკავშირებული აღნიშვნა. სხვა აღნიშვნები ეყრდნობა სინონიმურ და დეიქტურ შენაცვლებებს, მათ შორის: ერთი – „ნახევარი“; ერთი – „კენტად დარჩენილი, ცალი (ნახევრის გარეშე)“ – *od-//*ed-, რუს. один, ინგლ. odd „კენტი“; მოცემულ ძირს, ჩვეულებრივ, არ უკავშირებენ რომელიმე რიცხვით სახელს. ასეთ შემთხვევაში, რუსულსა და ინგლისურში მნიშვნელობა ერთი და იგივეა: „წყვილის გარეშე დარჩენილი, ცალი, სხვა, ცალკე მდგომი“ (სტეპანოვი 1989:58-61).

როგორც დავინახეთ, ქართული და ინგლისური ფორმები (-ოდე, ოდენ, ოდეს – odd) ერთიმეორესთან სიახლოვეს ავლენს. ორსავე ენაში ეს ფუძე დაშორებულია ამოსავალ დეიქტურ (ჩვენებითი ნაცვალსახელის) მნიშვნელობას და აღნიშნავს რაოდენობივ მიმართებებს, ამასთან, ინარჩუნებს სივრცისა და დროის გაუდიფერენცირებელი აღქმის სემანტიკას. ქართულში მას შეიძლება შევუდაროთ სივრცითი და დროითი ორიენტაციის აღმნიშვნელი სიტყვები „წინ“, „უკან“; წარმოების თვალსაზრისით შეიძლება შევუდაროთ ასევე -ნ და -ს (მიც. ბრ.) ფორმანტის მქონე სხვა ზმნიზედური ფორმები: *გვიან, ადრიან, რაჟამს, დღეს, წელს* და მისთ.

გარდა ამისა, ზემოთ მოყვანილი ინგლისური მასალა მოწმობს სემანტიკურ პარალელიზმს ქართულში – ანალოგიურ კავშირებს მნიშვნელობებისა: „ოდენ, ხოლო“

და „ცალი, ცალკე, განცალკევება; ცარიელი; მოცალეობა (მოცლა, სცალია)“; იმ განსხვავებით, რომ ქართულში მნიშვნელობებს „ცარიელი, თავისუფალი“ შეითავსებს მსგავსი მნიშვნელობის მქონე ფუძე **ცალ-**, რაც შესაბამისობაშია საერთო-ქართველურ დონეზე აღდგენილი ფუძეების სემანტიკასთან:

***ცალ-** ქართ. **ცალ-** ცალ-ი „მსგავსი“; ***ცალ-//ცლ-** ქართ. **ცალ-/ცლ-** მ-**ცალ**-ს; ვ-**ცლ**-ი; და-ვ-**ცალ**-ე; **ცალ**-იერ-ი (იხ. ქეელ 1990:406). იხ. **ცალი** – ორ(ის) ტოლისგან ერთი; **ცალიერი** (3,21 გამოსლ.) – მოცლილი (საბა 1993).

სხვადასხვა ინდოევროპულ ენებთან ქართველურ ენათა ლექსიკური კავშირების ხასიათს იკვლევდა გიორგი მელიქიშვილი; იგი ცალკე განიხილავდა „უცნობი წარმომავლობის“ ლექსიკურ ფენას ქართულში – ეს ფენა შემოსული არ ჩანს იმ ინდოევროპელ ხალხთა ენებიდან, რომლებთანაც ისტორიულად ქართველებს მჭიდრო კონტაქტი ჰქონდათ. ქართულთან ყველაზე ახლო მდგომი ფორმები ამ ფუძეებს გერმანიკულ (გერმანულ, ინგლისურ), სლავურ, ბალტურ ენებში მოეპოვება; ასეთებია ქართ. ბუდე, თიკანი (ციკანი), ერი, როკვა, ლოდი, ველი, ვაკე, დიდი... ასევე რიცხვითი სახელები და სხვ. ამ ფორმათა მსგავსებასთან დაკავშირებით დაისმის საკითხი მათი საერთო წყაროს შესახებ; აღნიშნულია, მაგალითად, ქართველურის სიახლოვე ლიტვური ენის ლექსიკასთან, რომელშიც შემონახულია ინდოევროპულის არქაული ფენა, არქაული ფორმები (იხ. მელიქიშვილი 1965:223-224, 231).

აქ არ დგას გენეტურად საერთო ფუძეების საკითხი; საუბარია ქართველური ენების ინდოევროპულ სუბსტრატზე (სუპერსტრატზე), ანუ, ქართულის ფორმები ინტერპრეტირებულია როგორც ნასესხობები რომელიღაც (უცნობი) ინდოევროპული ენიდან. ამასთან, დასაშვებად მიიჩნევა, რომ ნასესხებმა სიტყვებმაც მოგვცეს მონათესავე ენებში კანონზომიერი შესატყვისობები, თუკი დიფერენციაციამდე იყო ნასესხები (იხ. ჩიქობავა 1938:IX_1).

ი. მელიქიშვილი ქართველურ-ინდოევროპულ ლექსიკურ შეხვედრებს განიხილავდა ენათა მაკროგენეტური მიმართებების ფარგლებში, აღნიშნავდა საერთო-ქართველური ფუძე-ენის სხვადასხვა სახისა და ხარისხის კონტაქტების შესაძლებლობას საერთო-ინდოევროპულის განშტოებებთან და ხაზს უსვამდა საერთო მასალისადმი დიფერენცირებული მიდგომის აუცილებლობას (მელიქიშვილი 2002:35).

თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის მონოგრაფიაში, გარდა საერთო-ინდოევროპულიდან საერთო-ქართველურში ნასესხები სიტყვებისა, მოყვანილია ურთიერთსადარი სიტყვები ქართველურსა და ე.წ. „ძველ ევროპულ“ – ლათინურ, ბალტურ, სლავურ ენებში (იხ. გამყრელიძე, ივანოვი 1984:880).

ჩანს, ამგვარ ლექსიკურ შრეს მიეკუთვნება ქართულში რაოდენობისა და დროის აღნიშვნები **ოდენ, ოდნავ, -ოდ(ე), ოდეს**, რომლებიც ეთანადება ცალკეული ინდოევროპული დიალექტური ერთობების ფორმებსა და მნიშვნელობებს.

ქართველურსა და ინდოევროპულში ვლინდება არაერთი პარალელური ფუძე, ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფი თუ გრამატიკული მორფემა. ორი ენობრივი სისტემის ქრონოლოგიური და არეალური თანაფარდობის საკითხები შემდგომ კომპლექსურ კვლევებს საჭიროებს საერთო-ენობრივ დონეზე აღდგენილი არქეტიპების, ანთროპოლოგიური და კულტურულ-ცივილიზაციური ურთიერთგავლენების მონაცემთა გათვალისწინებით.

ლიტერატურა:

აბულაძე 1973: ილ. აბულაძე, *ძველი ქართული ენის ლექსიკონი*, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

ანდრონიკაშვილი 2005: მ. ანდრონიკაშვილი, ერთის აღმნიშვნელი სიტყვების რიგი ქართულში, *პერსპექტივა*-XXI, 6, გამომცემლობა „ენა და კულტურა“, თბილისი.

ანდრონიკაშვილი 1966: მ. ანდრონიკაშვილი, *ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობებიდან,* I, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

გამყრელიძე/ივანოვი 1984: Т. В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов, *Индоевропейский язык и индоевропейцы*, Издательство Тбилисского Университета, Тбилиси.

გამყრელიძე 2005: თამაზ გამყრელიძე, ინდოევროპული წინარეენა და წინარესამშობლო, *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო*, გამომცემლობა „ენა და კულტურა“, თბილისი.

ვინოგრადოვი 1990: В. А. Виноградов, Классификаторы, *Лингвистический Энциклопедический Словарь*, Изд-во “Советская Энциклопедия”, Москва.

თეკ 2003: თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელაია, *თეორიული ენამეცნიერების კურსი*, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

კლიმოვი 1964: Г. А. Климов, *Этимологический словарь картвельских языков*, Изд-во АН СССР, Москва.

მელიქიშვილი 1965: გ. მელიქიშვილი, *საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის*, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

მელიქიშვილი 2002: ი. მელიქიშვილი, ქართველურ-ინდოევროპულ გენეტური ურთიერთმიმართების საკითხისათვის, *ენათმეცნიერების საკითხები*, 3, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

პოკორნი 1959: J. Pokorny, *Indogermanisches Etymologisches Wörterbuch*, I-II, Francke Verlag, Bern- München,.

პრეობრაჟენსკი 1958(1910): А. Г. Преображенский, *Этимологический словарь русского языка,* том первый*, Государственное издательство иностранных и национальных словарей,*Москва.

საბა 1993: სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, ტ. II, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, 1991-1993.

სტეპანოვი 1989: Ю. С. Степанов, Счет, имена чисел, алфавитные знаки чисел в индо-европейских языках, *Вопросы языкознания*, 4, Изд-во "Наука", Москва.

ფასმერი 1971: Макс Фасмер, *Этимологический словарь русского языка*, Перевод с немецкого и дополнения О. Н. Трубачева, т. III, Изд-во "Прогресс", Москва.

ქელ 1990: ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, *ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი*, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

ჩიქობავა 1938: არნ. ჩიქობავა, *ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი*, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა, ტფილისი.

ჩიქობავა 2008: მ. ჩიქობავა, **გვერდის** ინტერპრეტაციისათვის ქართულში, *ენათმეცნიერების საკითხები*, I, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

ჰუმბოლდტი 1985: Вильгельм фон Гумбольдт, О двойственном числе, *Язык и философия культуры*, Изд-во "Прогресс", Москва.

ლექსიკონები:

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვა ტომად, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი 1950-1964.

ჯ. მჭედლიშვილი, დ. მჭედლიშვილი, ი. გოცირიძე, *ინგლისურ-ქართული ლექსიკონი*, შესწორებული და შევსებული გამოცემა, რევაზ ბერულავას გამომცემლობა „იბერთედ-პრესი", თბილისი 2005.

Англо-русский словарь, составил В. К. Мюллер, Изд-во "Советская Энциклопедия", Москва 1967.

Большой англо-русский словарь, под общим руководством И. Р. Гальперина, т. 2, Изд-во "Советская Энциклопедия", Москва 1972.

Большой немецко-русский словарь, т. II, Изд-во "Советская Энциклопедия", Москва,1969.

Oxford Advanced Learner's Dictionary, A. S. Hornby, Fifth edition, Editor J. Crowther, Oxford University Press 1998.

Mary Chikobava

On a Lexical Parallel in Kartvelian and Indo-European

Summary

The historical connections between Kartvelian and Indo-European languages are of great importance from the view of prehistoric migrations and areal linguistic studies.

The investigation of Proto-Indo-European lexical borrowings in Proto-Kartvelian shows that such lexical strata include "cultural terms" as well as lexical groups of basic word stock – names of plants, animals, tools, numbers, some verbal bases and others.

The present article deals with a common stem in Georgian and English; the following forms are similar and have semantics of quantity and time definition in both languages:

Common Kartvelian ***od-** ; Old Georgian **oden** **‘**only’, ‘though, but’; **oden**-i **‘**equal, so much, so many’; **-ode** about, approximately (particle, placed directly after a number); **odes** **‘**when, while’, ‘whenever’; **odesme** **‘**ever, once’, ‘sometimes, from time to time’; in Modern Georgian: **odenoba** **‘**quantity, amount, number’; **raoden** ‘how much, how many’; **ramdenime** ‘several, some’; **odnav** **‘**just a little, slightly’.

English **odd** **‘**odd number’, ‘single, one of a pair’, **‘**the rest’, ‘a little more than’, ‘occasional, not regular’, ‘spare’. This stem has similar meanings in German (ōde ‘desert, waste, uninhabited’; ‘lonely, solitary, separate’), and Slavonic (***ed-/od-** Russian один ‘one’, одинокий ‘only, sole’, одинаковый ‘equal, the same’.. etc.).

The article assumes that present stem, like some other lexemes in Kartvelian, is an adoption from a certain Indo-European dialectal unity.

ლელა ჩოთალიშვილი

მინოსური და მიკენური ენების სტრუქტურულ მიმართებათა ანალიზი

შეიძლება ითქვას, რომ ეგეოსის ზღვის აუზში დამწერლობამ ევოლუციის თითქმის ყველა საფეხური გაიარა – დაწყებული კრეტული იეროგლიფებიდან, დამთავრებული ბერძნული ფონეტიკური დამწერლობით.

ეგეიდაში აღმოჩენილ ბრინჯაოს ხანის დამწერლობათა სისტემებს შორის გაშიფრულია მხოლოდ B ხაზოვანი. მისი წარმოშობა მიკენურ ხანაში როგორც კუნძულ კრეტაზე, ასევე კონტინენტზე, დეტალურად ცნობილი არ არის. B ხაზოვანი დამწერლობა, რომელიც ბერძნული ტექსტების საწერად გამოიყენებოდა, უნდა შექმნილიყო კნოსოსში გ. მ. II პერიოდის პირველ ათასწლეულში, მიკენელი ბერძნების კრეტაზე შეჭრის თანადროულად. მიკენელებმა მკვიდრი მინოსელებისაგან შეითვისეს არა მარტო მმართველობის ელემენტები, არამედ კულტურის მიღწევები და, თავიანთი საჭიროებიდან გამომდინარე, მინოსური მარცვლოვანი დამწერლობის (A ხაზოვანის) საფუძველზე შექმნეს ახალი დამწერლობის სისტემა. A ხაზოვანს, რომელიც, როგორც ჩანს, ძვ. წ. ა. II ათასწლეულის პირველ ნახევარში ეგეიდაში დამწერლობის წამყვან სისტემას წარმოადგენდა, ფუნქციონირება მინოსური კულტურის დაქვეითებასთანავე უნდა შეეწყვიტა, როდესაც მან ადგილი დაუთმო მიკენურ B ხაზოვანს (ძვ. წ. ა. 1500-1450). შესაბამისად, B ხაზოვანი დოკუმენტები შეიძლება განვიხილოთ, როგორც ბერძნული ენის გადმოსაცემად დამწერლობის გარკვეული სისტემის გამოყენების პირველი ცდა.

A და B ხაზოვანს შორის არსებობს გარკვეული პარალელები: დამწერლობათა სტრუქტურა თითქმის მსგავსია, ასევე მათი სიმბოლოთა რეპერტუარიდან (A ხაზ. – 199, B ხაზ. – 89) დაახლოებით 80 ნიშანი გრაფიკულად ერთმანეთს ემთხვევა; მიკენურ დამწერლობაში არსებულ იდეოგრამათა უმეტესობა შესაბამისობას პოულობს A ხაზოვან დამწერლობაში; რიცხვთა აღმნიშვნელი სისტემაც მსგავსია, თუმცა არსებობს განსხვავებებიც: B ხაზოვანში არ დასტურდება მრავალი მარცვლოვანი ნიშანი, იდეოგრამა თუ ლიგატურა, რომლებიც A ხაზოვანში მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს; B ხაზოვანში, A ხაზოვანისაგან განსხვავებით, სიმბოლოთა რაოდენობა შედარებით მცირეა, რაც შეიძლება მივაწეროთ დამწერლობის განვითარებას (ეკონომიის პრინციპის გამოყენება); ასევე არ გაგვაჩნია წილადთა აღმნიშვნელი სისტემა და პირიქით, B ხაზოვანში აღინიშნება მთელი რიგი მარცვლოვანი ნიშნების, იდეოგრამებისა თუ ლიგატურების, რომელთათვისაც მინოსურ დამწერლობაში შესაბამისობა არ არსებობს; იგივე შეიძლება ითქვას ზომა-წონის სისტემის შესახებ, რომელიც B ხაზოვანში სრულიად ახალია.

A ხაზოვანი დამწერლობით შესრულებული ლექსიკური ფორმატივები დასტურდება 33 ადგილას აღმოჩენილ 1427 წარწერაში (გოდარი, ოლივიე 1985). სავსებით ბუნებრივია, დაისმის კითხვა, A ხაზოვანი სიმბოლოები გამოიყენებოდა ერთი ენის ლექსიკური მარაგის გადმოსაცემად, თუ ამ დამწერლობით სარგებლობდნენ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხები (ტომები).

რამდენადაც A ხაზოვანი არ არის გაშიფრული, ამის დადგენა შეიძლება მხოლოდ მინოსური დამწერლობით შესრულებულ ტექსტებზე გარეგნული დაკვირვებით. a priori უნდა დავუშვათ, რომ წარწერებში ლექსიკურ ფორმატივთა დიდი ნაწილი არ განმეორდება. მიუხედავად ამისა, საინტერესო უნდა იყოს იმის განსაზღვრა, თუ როგორია განმეორებად სიტყვათა წილი სხვადასხვა სტრუქტურის A ხაზოვან ტექსტებში. საკითხი განვიხილეთ რამდენიმე პარამეტრით:

1. ერთ ადგილას აღმოჩენილ წარწერებში განმეორებული ლექსიკური ფორმატივები;
2. სხვადასხვა ადგილას (ჰაგია ტრიადას გარდა) დადასტურებულ ტექსტებში განმეორებული „სიტყვები“;
3. ის ლექსიკური ფორმატივები, რომლებიც გვხვდება როგორც ჰაგია ტრიადაში, ასევე სხვადასხვა ადგილას აღმოჩენილ A ხაზოვან წარწერებში.

მოცემულ შემთხვევაში განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობა ენიჭება ორზე მეტ მარცვლიან სიტყვებს, რადგან, რაც უფრო მეტია ნიშანთა რაოდენობა, მით უფრო ნაკლებია იმის ალბათობა, რომ იდენტური ფორმები შემთხვევით იქნებოდა ერთმანეთის მსგავსი. გარდა ამისა, ვითვალისწინებთ, რომ სხვადასხვა ადგილას აღმოჩენილი წარწერები შესაძლებელია სრულიად განსხვავებული შინაარსის იყოს, რაც გამოიწვევს განსხვავების კოეფიციენტის გაზრდას; ხოლო სამეურნეო ხასიათის ტექსტები ძირითადად სუბსტანტივებისაგან უნდა შედგებოდეს, ზმნური ფორმები მათში ნაკლებადაა მოსალოდნელი. ალბათ სწორედ ამიტომ, დღემდე ვერ მოხერხდა A ხაზოვანით შესრულებულ წარწერებში esse (ყოფნა) ზმნის დაფიქსირება, რომელიც, როგორც ცნობილია, ენათა უმეტესობაში ყველაზე ხშირად გამოიყენება.

1.

განმეორებათა რიცხვი	აღმოჩენის ადგილი	აღმოჩენის ადგილი
	HT	ZA
21	31-76 (sa-rja)	
16	67-02 (ki-ro)	
6	31-26 (sa-ru)	
5	81-30-58 (ku-ni-su) 07-06-10 (di-na-u) 77-03 (ka-pa) 01-41-118 (da-si-118)	

4	01-53-01 (da-ri-da) 73-55-04 (mi-nu-te) 81-30-58 (ku-ni-su) 07-45-26 (di-de-ru) 16-310-28 (kwa-310-i) 21f-69-24 (kwi-tu-ne) 01-13(da-me) 306-69 (306-tu) 46-07 (je-di) 01-27 (da-re) 67-27-59-06 (ki-re-ta-na)	51-27-17-09 (du-re-kja-se)
3	59-06-37 (tu-na-ti) 324-07-60 (324-di-ra) 77-81-03 (ka-ku-pa) 03-59-24 (pa-ta-ne) 59-28-123 (ta-i-123) 78-76-10 (kwe-rja-u) 08-77-26 (a-ka-ru) 16-16-26 (kwa-kwa-ru) 08-26 (a-ru) 03-45 (pa-de) 10-73-06-41 (u-mi-na-si)	28b-55-80-27 (i-nu-ma-re) 41-39-67 (si-pi-ki)
2	81-56-06-69 (ku-pja-na-tu) 01-81-09-24 (da-ku-se-ne) 08-03-60-24 (a-pa-ra-ne) 80-77-53-04 (ma-ka-ri-te) 11-05-81=02 (po-to-ku-ro) 54-51-30-73 (wa-du-ni-mi) 08-41-57-77 (a-si-ja-ka) 81-56-06-69 (ku-pja-na-tu) 07-53-06 (di-ri-na) 07-67-09 (di-ki-se) 54-07-30 (wa-di-ni) 79-07-60 (kju-di-ra) 01-78-60 (da-kwe-ra) 03-02-58 (pa-ro-su) 03-28-05 (pa-i-to) 03-60-24 (pa-ra-ne) 67-27-66 (ki-re-tja) 67-53-66 (ki-ri-tja)	08-59-06-04 (a-ta-na-te) 01-28-39-59 (da-i-pi-ta) 78-41-79-38(kwe-si-kju-e) 77-07 (ka-di) 21f-118 (kwi-118)

	07-67-09 (di-ki-se) 26-80-59 (ru-ma-ta) 03-09-57 (pa-se-ja) 03-02-58 (pa-ro-su) 04-67 (te-ki) 04-69 (te-tu) 28-77 (i-ka) 59-37 (ta-ti) 55-40 (nu-wi) 50-76 (pu-rja) 78-50 (kwe-pu)	
	PK Za	IO Za, Sy Za
3		08-59-28-301-54-57 (a-ta-i-301-wa-ja)
2	28-39-06-73-06 (i-pi-na-mi-na) 08-31-31-60-13 (a-sa-sa-ra-me) 69-13-28 (tu-me-i)	
	KN Za	PH
2	57-31-31-60-80-06 (ja-sa-sa-ra-ma-na)	41-27 (si-re)

2.

განმეორებათა რიცხვი	სიტყვა	აღმოჩენის ადგილი
9	08-59-28-301-54-57 (a-ta-i-301-wa-ja)	IO Za 2a. 1, 3, 7; KO Za 1a; PK Za 12a; SY Za 1, 2a, 3; TL Za 19
1	08-59-28-301-54-38 (a-ta-i-301-wa-e)	PK Za 11a
2	08-59-28-301-45-77 (a-ta-i-301-wa-de-ka)	ZA Zb 3, 2
4	28-39-06-80 (i-pi-na-ma)	IO Za 2d.1; KOZa 1d; VRY Za 1a; AP Za 2.1
2	28-39-06-73-06 (i-pi-na-mi-na)	PK Za 10, 11d
4	10-06-77-06-41 (u-na-ka-na-si)	KO Za 1c; PK Za 8b; SY Za 2b; TL Za 1b
1	10-06-77-06-37 (u-na-ru-ka-na-ti)	PK Za 11c
1	10-06-77-06-57-41 (u-na-ru-ka-na-ja-si)	PK Za 6

4	57-31-31-60-13 (ja-sa-sa-ra-me)	IO Za 6; PL Zf 1; PS Za 2.2; TL Za 1b
2	57-31-31-60-80-06 (ja-sa-sa-ra-ma-na)	KN Za 1a, b
3	08-31-31-60-13(a-sa-sa-ra-me)	PK Za 11b, c; PR Za 1c
4	41-26-04 (si-ru-te)	IO Za 2a.2; KO Za 1d; SY Za 3; VRY Za 16
2	80-77-28-59 (ma-ka-i-ta)	PK 1.8; ZA 5b.2-3
3	21f-118 (qi-118)	KH 88.1; Za 5a.1, 14.1
2	81-60 (ku-ra)	ARKH 2.1; Za 20.4

3.

განმეორებათა რიცხვი აღმოჩენის ადგილთა მიხედვით	სიტყვა
27-ჯერ HT, ასევე PH (?) 31a.4 და ZA 15b.2	81-02 (ku-ro)
6-ჯერ HT, ასევე PH (?) 31a.3	81-56-55 (ku-pja-nu)
6-ჯერ HT, ასევე KN Zb <27>	07-06-10 (di-na-u)
HT 108.2	07-06-02 (di-na-ro)
HT 8b.5, 2a.2, 88.5; ZA 10b.5	03-57-27 (pa-ja-re)
HT 81.1, 93a.3, 132.1; ZA 2b. 3.1	08-09 (a-se)
HT 6b.5, 10a.1, 52a.1; ZA 10b.3-4	31-80 (sa-ma)
HT 85b.5, 97a.4, 118.1; PH (?) 31a	80-07 (ma-di)
HT 35.1; ZA Zb 3, 2	37-37-81 (ti-ti-ku)
HT 25a.3; Za 8. 2. 3	08-53-30-59 (a-ri-ni-ta)
HT 116a.6; KH 88.1	16-55-80 (kwa-nu-na)
HT 103.5; ZA 20.3	67-60 (ki-ra)
HT Wa 1019_z; ZA 20.3	41-69 (si-tu)
HT 110a.2; ZA 11a.5	81-03 (ku-pa)
HT 128a.1; PH 3a.3	03-60 (pa-ra)

ჩვენ მიერ ჩატარებული ანალიზის შედეგად შესაძლებელი გახდა რამდენიმე მოსაზრების ჩამოყალიბება:

1. ჰაგია ტრიადას წარწერებში „სიტყვათა“ განმეორების წილი მნიშვნელოვნად აღემატება სხვა ადგილებში აღმოჩენილ ტექსტებში ლექსიკურ ფორმატივთა თანხვედრას, რაც, ვფიქრობთ, გამოწვეული უნდა იყოს წარწერების სამეურნეო ხასიათით – რამდენადაც ჰაგია ტრიადას ტექსტები ძირითადად სამეურნეო ინვენტარის, ცხოველების, პროდუქტისა და ა.შ. აღრიცხვას წარმოადგენს, სავსებით მოსალოდნელია ერთი და იმავე სიტყვის ხშირი განმეორება, რასაც ვერ ვიტყვით სხვა ად-

გილებში (ზოგიერთის გამოკლებით) აღმოჩენილ წარწერებზე (ძირითადად გვხვდება ქვისა და თიხის ჭურჭელზე, მეტალის საგნებზე, საბეჭდავებზე). აღნიშნული ტექსტები, თავიანთი სტრუქტურიდან გამომდინარე, არ უნდა იყოს სამეურნეო ხასიათის. გარდა ამისა, მოცემულ შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ A ხაზოვანი წარწერების უმეტესობა დადასტურებულია ჰაგია ტრიადაში, რაც, რა თქმა უნდა, ზრდის „სიტყვათა" თანხვედრის შესაძლებლობას.

2. სხვადასხვა ადგილას (ჰაგია ტრიადას გარდა) აღმოჩენილ ტექსტებში, როგორც უკვე აღინიშნა, განმეორებადი ლექსიკური ფორმატივები შედარებით ნაკლებად გვხვდება. ისინი ძირითადად ფიქსირდება მსგავსი ხასიათის წარწერებში (წარწერები თიხისა და ქვის ჭურჭელზე, მეტალის საგნებზე).

3. ჰაგია ტრიადას ტექსტებში დადასტურებული ლექსიკური ფორმატივები ასევე აღინიშნება კნოსოსში, ფესტოსში, ხანიასა და ზაკროსში აღმოჩენილ A ხაზოვანი დამწერლობის იმ ნიმუშებზე, რომლებიც სამეურნეო ხასიათის ფირფიტებს წარმოადგენენ.[1]

საყურადღებოა, რომ როგორც ერთ, ასევე სხვადასხვა ადგილას ნაპოვნ წარწერებში ესა თუ ის ლექსიკური ფორმატივი უმეტეს შემთხვევაში მეორდება ერთი და იმავე სტრუქტურისა თუ ხასიათის ტექსტებში. ეს საშუალებას გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ სხვადასხვა ადგილას აღმოჩენილ წარწერებში დადასტურებული ლექსიკური ფორმატივების განხილვისას მათ შორის არსებითი განსხვავება ძირითადად გამოწვეული უნდა იყოს როგორც განსხვავებული შინაარსის ტექსტების არსებობით, ასევე ჩვენამდე მოღწეული წარწერების ფრაგმენტულობითა და მცირე რაოდენობით (რაც ამცირებს ლექსიკურ ფორმატივთა დამთხვევის კოეფიციენტს), და არა იმ ფაქტით, რომ A ხაზოვანი დამწერლობით სარგებლობდნენ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხები. თუმცა არ არის გამორიცხული კუნძულ კრეტაზე დიალექტთა თანაარსებობა.[2]

თუ გავითვალისწინებთ მინოსური და მიკენური დამწერლობების ნიშანთა მაქსიმალურ იდენტურობას და თუ დავუშვებთ, რომ A და B ხაზოვან გრაფიკულად მსგავს ნიშნებს მსგავსი ფონოლოგიური ღირებულება უნდა ჰქონოდათ (გოდარი, ოლივიე 1985), საშუალება მოგვეცემა, გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნას მინოსური ენის სტრუქტურის ზოგიერთი ასპექტის შესახებ.

ვფიქრობთ, მინოსურ და მიკენურ ენათა მონაცემების შედარებითი ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია დადგენა, სტრუქტურულად რამდენად შეესაბამება ერთ-

---

[1] ფირფიტები, რომელთა სრული რაოდენობაა 318, ძირითადად აღმოჩენილია სწორედ ამ რეგიონებში: ჰაგია ტრიადა – 147, ხანია – 88, ზაკროსი – 31, ფესტოსი – 26, კნოსოსი – 5.

[2] აქვე საყურადღებოა ერთი გარემოება: მიუხედავად იმისა, რომ ხანიაში აღმოჩენილია 88 ფირფიტა, მათში არ მეორდება არცერთი ლექსიკური ფორმატივი, თუმცა ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ისინი ერთ ენას უნდა გადმოსცემდნენ.

მანეთს A და B ხაზოვანის ენები. საკითხს განვიხილავთ რამდენიმე პარამეტრით, რომლებიც აბსოლუტურად რეალურ მასალას ეფუძნება:[3]

ა) სიტყვის შემადგენელ ნიშანთა (მარცვალთა) რაოდენობა;

ბ) იმ ხმოვანთა გამოყენების სიხშირე, რომლებიც აბოლოებენ სიტყვებს;

გ) რიცხვის გამოხატვის პრინციპი A და B ხაზოვან დამწერლობებში რიცხვითი ნიშნების წინ.

1. თავდაპირველად შევეცადეთ, გაგვერკვია, თუ რა სიხშირით არის წარმოდგენილი სხვადასხვა რაოდენობის ნიშანთა შემცველი სიტყვები A და B ხაზოვან წარწერებში. თითოეული ენიდან დაკვირვება ვაწარმოეთ 630 ე.წ. ლექსიკურ ფორმატივზე:

ნიშანთა რაოდენობა	A ხაზოვანი, 630 სიტყვა	B ხაზოვანი, 630 სიტყვა
1	9.8%	0.8%
2	16.9%	9.4%
3	33.7%	25.2%
4	20%	47.2%
5	8.8%	15.4%
6	4.8%	1.3%
7	3.4%	0.5%
8	2.6%	0.3%

როგორც მონაცემებიდან ჩანს, განსხვავება A და B ხაზოვან დამწერლობათა შორის არსებითია. A ხაზოვანში 1-, 2-, 3-, 6-, 7-, 8-მარცვლიან სიტყვათა რაოდენობა შეადგენს ლექსიკურ ფორმატივთა საერთო რაოდენობის 71, 2%-ს, B ხაზოვანში – მხოლოდ 37, 5%-ს. განსაკუთრებით თვალში საცემია განსხვავება 1-, 6-, 7- და 8-მარცვლიან სიტყვათა შედარებისას, რომლებიც აშკარად ჭარბობს A ხაზოვანში და შეადგენს სიტყვათა საერთო რაოდენობის 20, 6%-ს, ხოლო B ხაზოვანში – 2, 9%-ს. ამგვარი განსხვავება, სავარაუდოდ, განპირობებული უნდა იყოს ენათა სხვადასხვა სტრუქტურით (როგორც ცნობილია, B ხაზოვანი დამწერლობის ენა არის ბერძნული, რომელიც ფლექსიური ენაა, ხოლო ფლექსიურ ენებში რამდენიმე გრამატიკული კატეგორია გადმოცემულია ერთი და იმავე ფორმანტით, რაც სიტყვებში ნიშანთა რაოდენობის სიმცირეს განაპირობებს). ამ შემთხვევაში, რა თქმნა უნდა, გასათვალისწინებელია ჩვენამდე მოღწეულ წარწერათა სიმცირე, ფრაგმენტულობა; ასევე ის ფაქტი, რომ B ხაზოვანი (ნაწილობრივ

[3] A ხაზოვანის ენისათვის გამოვიყენეთ: L. Godart, J.-P. Olivier, *Recueil des Inscriptions en Linéaire A*, Vol. 5.; J. Raison M. Pope, *Index du linéaire A,* Edizioni dell'Ateneo, Rom 1971. B ხაზოვანის ენისათვის გამოვიყენეთ: DMic; ППС.

A ხაზოვანი) ტექსტები ძირითადად სამეურნეო ხასიათის ჩანაწერებია, რაც დაბრკოლებას გვიქმნის კონკრეტული დასკვნის გასაკეთებლად.

2. A და B ხაზოვან დამწერლობებში იმ ხმოვანთა გამოყენების სიხშირე, რომლებიც ნიშანთა შეთანხმებებს (სიტყვებს) აბოლოებენ, ასე გამოიყურება:

ხმოვანი	A ხაზ. 630 სიტყვა	B ხაზ. 630 სიტყვა
a	226	197
i	166	20
e	112	116
u	101	29
o	25	268

როგორც ანალიზი გვიჩვენებს, მინოსურ და მიკენურ ენებში გარკვეული მსგავსება აღინიშნება a და e ხმოვანთა გამოყენებისას. რაც შეეხება i-ს, u-სა და o-ს, ამ შემთხვევაში განსხვავება თვალში საცემია. o ხმოვანზე დაბოლოებული ლექსიკური ფორმატივების რაოდენობა B ხაზოვანში შეადგენს სიტყვათა საერთო რაოდენობის 42%-ს და, შესაბამისად, o ყველაზე ხშირად ხმარებული ხმოვანია სიტყვის აუსლაუტში. A ხაზოვანით შესრულებულ წარწერებში მოცემული ხმოვნის სიხშირე სიტყვის დასასრულს მხოლოდ 4%-ია (ეს ფაქტი ზოგიერთ მკვლევარს აძლევს საფუძველს, ივარაუდოს, რომ A ხაზოვანში, შესაძლებელია, არც აღინიშნებოდა o-რიგის ხმოვნები)(მერიჯი 1956), და პირიქით, A ხაზოვანში იმ ნიშანთა წილი, რომლებიც i-ზე ბოლოვდება, საკმაოდ დიდია – 27% მაშინ, როცა B ხაზოვანში მოცემულ ხმოვანზე დამთავრებული სიტყვები ყველაზე იშვიათად ფიქსირდება (0, 4%).[4] A ხაზოვანი, B ხაზოვანის მსგავსად, ბერძნულ ან მის მონათესავე ენას რომ გადმოსცემდეს, ვფიქრობ, ასეთი თვალში საცემი განსხვავება სიტყვის აუსლაუტში ხმოვანთა გამოყენებისას არ უნდა აღინიშნებოდეს. ამ ფაქტთან დაკავშირებით საყურადღებოა, რომ B ხაზოვანი დამწერლობის ტექსტებში მინოსური ტოპონიმიკის გადმოცემისას სახელწოდებები ძირითადად ბოლოვდება a-ზე ან o-ზე (მაგალითად, a-ka (Ἀχάρνα), a-pa-ta-wa (Ἄπταρα), di-ka-ta (Δίκτη), tu-ni-ja (Ἐλτυνία), da-pu-ri-to- (Λαβύρινθος), ra-to (Λατώ), ku-ta-to (Κύταιον), pu-na-so (Πανασός) და ა.შ.) (მაკარტური 1993:23, 24). თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ A ხაზოვანში o თითქმის არ გამოიყენებოდა სიტყვის აუსლაუტში, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბერძნები მოცემულ შემთხვევაში o ხმოვნით ცვლიდნენ რომელიღაც სხვა ხმოვანს. შესაძლოა, ეს ხმოვანი იყო i, რადგან i (a-ს შემ-

[4] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ A ხაზოვან წარწერებში ყველაზე ხშირად (45-ჯერ) სიტყვის დასასრულს გამოიყენება ნიშანი AB37 (ti).

დეგ) A ხაზოვან ტექსტებში, B ხაზოვანისაგან განსხვავებით, ყველაზე ხშირად გვხვდება სიტყვის დასასრულს; ამასთანავე, საყურადღებოა, რომ ჩამონათვალში რიცხვითი სახელების წინ მდგომ სიტყვებში (რომლებიც, სავარაუდოდ, სახელობით ბრუნვაში უნდა იყოს), დომინირებს ის სახელები, რომლებიც ბოლოვდება i ხმოვანზე (ti/37, si/41, ki/67, i/28, di/07). აქედან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, i-ს შეესრულებინა სახელობითის ფუნქცია.

3. ასევე მნიშვნელოვანია A და B ხაზოვანში რიცხვის გადმოცემის პრინციპი. როგორც ცნობილია, ორივე ენა (მინოსური და მიკენური) იყენებს მსგავს რიცხვთა სისტემას. რიცხვები სისტემატურად გვხვდება სამეურნეო ხასიათის საინვენტარო ჩამონათვალში. საყურადღებოა, რომ B ხაზოვან დამწერლობაში რიცხვითი ნიშანი არეგულირებს მის წინ არსებული სიტყვის რიცხვს, რაც გამოიხატება დაბოლოების ცვლაში (ბენეტი 1955, პალმერი 1963). ქვემოთ შემოგთავაზებთ ზოგიერთ მაგალითს:[5]

PY Ta 641. 3
di-pa me-wi-jo ti-ri-jo-we *202^{vas} 1
(δίπας μεϝιον τρίο(ϝ)ϝες *202^{vas} 1 - nom. sing.)

PY Ta 641. 2
di-pa-e me-zo-e ti-ri-o-we-e *202^{vas} 2
(δίπαε μέζοε τρίο(ϝ)ϝεε *202^{vas} 2-nom. dual.)

PY Ta 707. 3
ta-ra-nu ku-te-so a-ja-me-no e-re-pa-te-jo au-de-pi
(θρᾶνυς κυτέσῳ αἰαμένος ἐλεφαντείος αὔδεφι - nom. sing.)

PY Vn 46. 7
pi-ri-ja-o, ta-ra-nu-we 6 (θράνυες - nom. sing.)

PY Ta 641. 1
ti-ri-po e-me po-de o-wo-we *201^{vas} 1
(ἐμεὶ ποδεὶ ὀϝ(ϝ)όϝενς *201^{vas} 1 - dat. sing.)

PY Ub 1315. 3
ne-wa a-ni-ja a-na-pu-ke 5
(νέϝαι ἄνιαι ἀνάμπυκες 5 - nom. pl.)

A ხაზოვან წარწერებში, შეიძლება ითქვას, შეინიშნება აშკარა მიდრეკილება რიცხვობრივი უნიფიკაციისკენ: მიუხედავად იმისა, თუ რა რიცხვი ფიქსირდება არსებითი სახელის წინ – 1, 2 თუ მეტი, სიტყვა წარმოგვიდგება ერთი და იმავე ფორმით, მაგალითად:

[5] წარწერები წარმოდგენილია ფრაგმენტულად.

31-26 =1 (HT 94b, 3)
31-26 = 20 (HT 86a, 2)
31-26 = 10 (HT 95b, 1)
59-06-37 = 9 (HT 10b, 4)
59-06-37 = 1 (HT 7a, 4)
59-06-37 = 1 (HT 49a, 3)
56-77-60-37 = 1(HT 7a, 4)
77-55-37 = 25 (HT 97a, 3)
59-37 = 21 (HT 26a, 2)
57-77-01-27 = 1 (HT 122a, 4)
28-55-80-27 = 6 (ZA 13a, 4-5)

საკმაოდ დიდია ალბათობა, ვიფიქროთ, რომ რიცხვის დასახელების შემთხვევაში სიტყვა არ იცვლიდა ფორმას, ყოველი შემთხვევისათვის, სახელები ამის გამოსახატავად სპეციალურ მორფემებს არ გვიჩვენებენ.

როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ A და B ხაზოვანი დამწერლობები გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებენ (დამწერლობათა სტრუქტურა, სიმბოლოთა უმეტესობის გრაფიკული იდენტურობა), ჩატარებული ანალიზი საშუალებას გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ A ხაზოვანი, B ხაზოვანისაგან განსხვავებით, არ გადმოსცემს ბერძნულს ან მის მონათესავე ენას, რადგან ზემოთ განხილულ ყველა შემთხვევაში მინოსურ და მიკენურ ენათა სტრუქტურული განსხვავება არსებითია.

ლიტერატურა:

ბენეტი 1955: E. L. Bennett, *The Pylos Tablets: Texts of the Inscriptions Found 1939-1954. With a foreword by C. W. Blegen*, Princeton.

გოდარი, ოლივიე 1985: L. Godart, J.-P. Olivier, *Recueil des Inscriptions en Linéaire A,* 5 Vol. V, École Française d'Athènes, Études Crétoises, XXI.1-5, Librairie Orientaliste P. Geuthner, Paris.

მაკარტური 1993: J. K. McArthur, *Place-Names in the Knossos Tablets: Identification and Location*, Ediciones Universidad de Salamanca, Salamanca.

მერიჯი 1956: P. Meriggi, *Primi Elementi di Minoico,* Minos Supplement 1, Universidad, Salamanca.

პალმერი 1963: L. R. Palmer, *The Interpretation of Mycenaean Greek Texts*, Clarendon Press, Oxford.

რეზონი, პოუპი 1971: J. Raison, M. Pope, *Index du linéaire A,* Edizioni dell'Ateneo, Rom.

რეზონი, პოუპი 1994: J. Raison, M. Pope, CTLA = *Corpus transnuméré du linéaire A,* 2ème édito, Bibliothèque des Cahiers de l'Institut de linguistique de Louvain, 74, Peeters Publishers, Louvain-la-Neuve.

გამოყენებული ლექსიკონები

DMic: *Diccionario Micénico*, Volumen I [A–N], Redactado por Francisco Aura Jorro bajo la dirección de Francisco Rodríguez Adrados (*Diccionario Griego-Español*, Anejo I) – 1985; Volumen II [O–Z]. Redactado por Francisco Aura Jorro bajo la dirección de Francisco Rodríguez Adrados (*Diccionario Griego-Español*, Anejo II) - 1993, CSIC, Madrid.

ППС: В. П. Казанскене, Н. Н. Казанский 1986, *Предметно-понятийный словарь греческого языка,* Ленинград.

Lela Chotalishvili

The Analysis of Structural Relationship of Minoan and Mycenaean Languages

Summary

Only Linear script B is deciphered among the writing systems of the Bronze Age discovered in **Aegeida.** Linear script B used for writing Greek texts must have been created in Knossos, in the first millennium of II Late Minoan period, simultaneously with the invasion of Crete by the Mycenaean Greeks. From local Minoans the Mycenaeans acquired not only governance elements but also cultural achievements and created a new writing system according to their needs, on the basis of the Minoan granular writing (Linear script A). Accordingly, Linear B documents can be reviewed as the first attempt of using a certain system of writing to convey the Greek language.

Absolutely naturally, a question arises whether Linear A symbols were used to convey the vocabulary of one language, or this writing was used by peoples (tribes) speaking various languages.

As Linear script A is not deciphered, this can be established only through observing the texts written in "Minoan" writing. We should assume a priori that a major part of lexical formatives will not be repeated in the inscriptions. Despite this, it must be interesting to identify a specific share of repeatable words in Linear A texts of various structures. I have reviewed this issue according to several parameters:

1. Lexical formatives repeated in inscriptions discovered in one place;
2. "Words" repeated in texts confirmed in various places (except Hagia Triada);
3. The Lexical formatives found in Linear A inscriptions discovered both in Hagia Triada and in other places.

As a result of the performed analysis, it became possible to establish several views:

1. The specific share of "words" repeated in Hagia Triada inscriptions significantly exceeds the coincidence of lexical formatives of texts discovered in other places, which I think must have been caused by the agricultural nature of the inscriptions – as texts of Hagia Triada mainly represent accounts of agricultural implements, animals, products, etc. In addition, in this case we must also consider the fact that

out of 1427 Linear A inscriptions 1039 are confirmed in Hagia Triada, which certainly increases the possibility of coincidence of "words".

2. Repeatable lexical formatives in texts discovered in various places (except Hagia Triada) are found comparatively rarely. They are mainly observed in the inscriptions of similar nature (inscriptions on clayware and stoneware, metal items).
3. Lexical formatives confirmed in texts of Hagia Triada are also found on samples of Linear A texts discovered in Knossos, Phaistos, Chania and Zakros representing the plates of agricultural nature.

It is noteworthy that this or that lexical formative in the inscriptions found in one place, as well as in various places, are mostly repeated in the texts of the same structure or nature. This allows us to assume that the essential difference between lexical formatives confirmed in inscriptions discovered in various places in the course of their review must be caused by the existence of the texts of different content as well as fragmental nature and a small number of inscriptions which have reached us (which reduces the coefficient of coincidence of lexical formatives) and not by the fact that peoples speaking various languages used Linear script A. However, the co-existence of dialects on the Island of Crete is not excluded.

If we consider the maximum identity of Minoan and Mycenaean writing signs and assume that the graphically similar Linear A and B signs must have had a similar phonological value, we will be able to have a certain idea on some aspects of the Minoan language structure.

I think that on the basis of comparative analysis of the data of Minoan and Mycenaean languages, it is possible to show how Linear A and B languages correspond to each other structurally. I have reviewed this issue by several parameters which are based on the real material:

1. The number of signs constituting a word (syllables);
2. The frequency of using vowels at the end of words;
3. The principle of expressing a number in Linear scripts A and B in front of numerical signs.

Despite the fact that Linear scripts A and B demonstrate certain similarity (structure of writings, graphical identity of the majority of symbols), the conducted analysis allows to assume that unlike Linear B, Linear A does not convey Greek or a related language, because in all the above reviewed cases there is an essential structural difference between Minoan and Mycenaean languages.

რეცენზია

Heinz Fähnrich, Nana Odischelidse, Natia Reineck, *Georgische Verben (mit deutschen Entsprechungen und Satzbeispielen), Kaukasien-Reihe, 3 vols., Aachen, Shaker Verlag, 2013, 2.580 Seiten.*

გამოჩენილი გერმანელი ქართველოლოგი, პროფესორი ჰაინც ფენრიხი ყოველთვის გამოირჩეოდა საოცარი შრომისმოყვარეობით, ნაყოფიერებითა და ღრმა მეცნიერული კვლევებით. მას იენის უნივერსიტეტში კავკასიოლოგიის „ნესტორი“ უწოდეს – მეცნიერების ამ დარგის სიბრძნეს ზიარებული ადამიანი!

ფუტკარივით მშრომელი და მოუღლელია ბატონი ჰაინცი, ბევრს შეშურდებოდა მისი პროდუქტიულობა. მოღვაწეობის წლების განმავლობაში მან უამრავი საინტერესო ნაშრომით გაამდიდრა ქართველოლოგია. მრავალმხრივია ჰაინც ფენრიხის მოღვაწეობის სფერო: ლიტერატურული, ფოლკლორული და სამეცნიერო თარგმანები, ლიტერატურათმცოდნეობითი და ლინგვისტური კვლევები, სამეცნიერო-პოპულარული გამოცემები, ენათმეცნიერული ლექსიკონები და მრავალი სხვა.

ამ ბოლო წლებში განსაკუთრებით უხვია მისი მოსავალი. რომელი ერთი შეიძლება დავასახელოთ? ქართული ზმნების სამტომეული (გერმანული თარგმანებით და წინადადებებში გამოყენებული; თანაავტორები ნათია რაინეკი და ნანა ოდიშელიძე); „ქართული ენა“ (ძველი და ახალი ქართული ენის გრამატიკა); მონოგრაფია „ქართველური ტომები“; ლინგვისტურ ტერმინთა ლექსიკონი (მე-2 გამოცემა); პროფ. ვახტანგ იმნაიშვილისადმი მიძღვნილი წიგნი და სხვ.

ქართული ზმნების სამტომეული ააxენში გამოცემული ფუნდამენტური ნაშრომია. ლექსიკონზე მუშაობა ბატონმა ჰაინცმა რამდენიმე ათეული წლის წინ დაიწყო, რისი მოწმეც ამ რეცენზიის ავტორიც გახდა. მან კოლოსალური შრომა გასწია სწორედ საილუსტრაციო წინადადებების შესაგროვებლად: რუდუნებით ეძებდა თითოეულ ზმნურ ფორმას თანამედროვე მწერალთა ნაწარმოებებში, მერე ამოწმებდა ქართველოლოგებთან ამ ზმნების მნიშვნელობას, გავრცელებულობას ან ხელოვნურობას. ბარათები იმდენი იყო, რომ კარტოთეკა მთელ კედელს იკავებდა. სამწუხაროდ, მოძიებული ზმნების ნახევარიც არაა შეტანილი ახალგამოცემულ ლექსიკონში, მიუხედავად მისი 2 580 გვერდისა. პირველი ტომის შესავალში პროფ. ჰ. ფენრიხი, თანაავტორების გარდა, მადლობას უხდის მათაც, ვისაც რაიმე წვლილი მიუძღვის ლექსიკონის დამუშავებაში: რუსუდან ზექალაშვილს, თამარ ჭუმბურიძეს, ზურაბ სარჯველაძეს...

როგორც ვიცით, ქართული ენის შესწავლისთვის ყველაზე დიდი მნიშვნელობა ზმნების სწორ გამოყენებას აქვს, რისთვისაც დიდი დახმარების გაწევა შეუძ-

ლია ახალ ლექსიკონს, რომელშიც ამოსავალია ქართული ზმნების სისტემა და კლასიფიკაციის წესები.

კოლოსალური შრომაა გაწეული ლექსიკონზე, თან უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი ტიპის ნაშრომი საქართველოში ჯერაც არ გამოცემულა.

ნაშრომის წინასიტყვაობაში პროფ. ჰაინც ფენრიხი წერს: „ზმნების ქართულ-გერმანული ჩამონათვალი შეიცავს ახალი ქართული ენის ზმნებს. ის ეყრდნობა კიტა ჩხენკელისა და იოლანდა მარშევის მიერ შედგენილ „ქართულ-გერმანულ ლექსიკონს“ (Georgisch-Deutsches Wörterbuch), რომელიც, თავის მხრივ, შექმნილია არნ. ჩიქობავას რედაქციით გამოცემული „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ბაზაზე. როგორც კ. ჩხენკელის ლექსიკონში, ქართული ზმნები გაწყობილია ზმნური ფუძეების ანბანურად დალაგებულ ბუდეებად. ბუდის დასაწყისში გამოტანილია მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი ფუძე, რომელსაც მოჰყვება ცალკეული ზმნური ფორმები: პირველად აქტიური, შემდეგ – პასიური. ვინც რომელიმე კონკრეტულ ზმნას ეძებს, აღმოაჩენს, რომ საკმაოდ ბევრი ფორმა არაა შეტანილი, რადგანაც ამ ნუსხაში სულაც არაა შეტანილი ყველა ფორმა, არამედ – მხოლოდ ხშირად ხმარებული: შეიძლება ეს იყოს ახალი ქართული ენის ზმნების 2%. თუკი ზმნებს აქვს რამდენიმე ზმნისწინი, ეს ნაჩვენებია, როგორც მოცილებადი ფორმები, ასევე შეიძლება სასურველი ზმნა მოიძებნოს ხმოვანპრეფიქსებთან“.

ზმნები შეტანილია აწმყოს (Präsens) მესამე პირის ფორმით, მხ. რიცხვში, ხოლო ფრჩხილებში მითითებულია მყოფადი (das Futur), წყვეტილი (Aorist) და პირველი თურმეობითი (Perfekt). მრ. რიცხვის მესამე პირის ფორმა მხოლოდ იმ შემთხვევაშია მითითებული, თუკი ზმნა მხ. ფორმით არ გამოიყენება.

ბრჭყალებში აღნიშნულია გერმანული მნიშვნელობა, ქვევით კი გამოყენების საილუსტრაციოდ – ქართული წინადადება გერმანული თარგმანით.

ზოგიერთი ნიუანსი არაა გათვალისწინებული, მაგალითად, ზმნისწინთა მონაცვლეობა პირების მიხედვით (**მი/მო:** მიაშტერებს, მოგვაშტერებს), სხვა პირის ფორმა (გიახლება – შდრ. პირველ პირში – გიახელით).

არაა დასახელებული კაუზატიური (შუალობითი კონტაქტის) **-ევ** და **-ევინ** სუფიქსებიანი ფორმები, ზოგჯერ გამოტოვებულია ლაბილური ირიბი ობიექტის ნიშანი **ჰ-** პრეფიქსი.

ავტორი აღნიშნავს იმასაც, რომ მდიდარ თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში ძალიან გავრცელებულია ავტორისეული ახალწარმონაქმნები, რომელთაგან ძნელი გასარკვევია, იქნება თუ არა სიცოცხლისუნარიანი ის და დამკვიდრდება თუ არა სალიტერატურო ქართულში (მაგალითად დასახელებულია მ. ჯავახიშვილისეული ზმნა „აიზღარბა“, რომელიც სალიტერატურო ქართულმა მიიღო).

ცხადია, მეცნიერმა გვერდი აუარა ისეთ ზმნურ ნეოლოგიზმებს, რომელთა შინაარსი კონტექსტის მიხედვით ადვილი გასაგებია, მაგრამ შეუძლებელია ოდესმე

გახდეს სალიტერატურო ენის კუთვნილება. მაგალითად, მემჟაუნ-მეკარტოფილ-მელობიებოდეს ან დაუგარგლისკურკისტოლავა. ასევე მეგრულიდან შემოსულ ზოგიერთ ფორმას (მაგ., ვაშინერს).

დავასახელებთ ზოგიერთ ზმნურ ფორმას. მაგალითად, **გ-** ძირისგან ნაწარმოები ფორმები მოიცავს ლექსიკონის 4 გვერდს (41 ზმნა).

1.1. გარდამავალი ზმნები

საარვისო ქცევისა: აგებს, ააგებს, ამოაგებს, გააგებს, განაგებს, გამოაგებს, გადააგებს, დააგებს, მიაგებს, მოაგებს, ჩააგებს, წააგებს, წამოაგებს;

სათავისო ქცევისა: აიგებს, ამოიგებს, გაიგებს, დაიგებს, მოიგებს;

სასხვისო ქცევისა: უგებს, აუგებს, ამოუგებს, გაუგებს, დაუგებს, მიუგებს, მოუგებს, ჩაუგებს, წაუგებს.

1.2. გარდაუვალი ზმნები

დინამიკური ვნებითის ფორმები: აიგება, გაიგება, დაიგება; ეგება, აეგება, გაეგება, გადაეგება, დაეგება, მოეგება, წამოეგება, გაეგება;

სტატიკური ვნებითის ფორმები: აგია, უგია.

დ(ვ)-/დევ ფუძესთან – 58 ფორმაა:

2.1. გარდამავალი ზმნები

საარვისო ქცევისა: ამოდებს, გადებს, გადადებს, გადმოდებს, დადებს, მიდებს, შედებს, ჩადებს, ჩამოდებს;

სათავისო ქცევისა: იდებს, ამოიდებს, გაიდებს, გამოიდებს, გადაიდებს, დაიდებს, მიიდებს, მოიდებს, შეიდებს, შემოიდებს, ჩაიდებს;

სასხვისო ქცევისა: აუდებს, ამოუდებს, გაუდებს, დაუდებს, ჩაუდებს, წაუდებს;

საზედაო: აადებს, გადმოადებს, დაადებს, მიადებს, მოადებს, ჩამოადებს;

ირიბი ობიექტის ნიშნით: ამოსდებს, გამოსდებს, გადასდებს, გადმოსდებს, დასდებს, მისდებს, მოსდებს, შესდებს, წამოსდებს.

2.2. გარდაუვალი ზმნები

დინამიკური ვნებითის ფორმები: გაიდება, დაიდება; აედება, ამოედება, გაედება, გამოედება, გადაედება, გადმოედება, დაედება, მიედ-მოედება, მიედება, მოედება, წამოედება;

საშუალი გვარისა: დევს, სდევს (ედება), უდევს, ადევს.

წერ- ძირთან თავმოყრილია 62 ფორმა:

3.1. გარდამავალი ზმნები

საარვისო ქცევისა: აღწერს, ამოწერს, გაწერს, გამოწერს, გადაწერს, გადმოწერს, დაწერს, შემოწერს, ჩაწერს, ჩამოწერს, ამოწერს;

სათავისო ქცევისა: გაიწერს, გამოიწერს, გადაიწერს, გადმოიწერს, დაიწერს, მოიწერს, ჩაიწერს, წაიწერს;

სასხვისო ქცევისა: ა(ღ)უწერს, ამოუწერს, გამოუწერს, გადაუწერს, გადმოუწერს, დაუწერს, მიუწერს, მოუწერს, ჩაუწერს, ჩამოუწერს, წაუწერს;

სიტუაციის ნიშნით: გააწერს, მიაწერს, შეაწერს, ჩააწერს, წააწერს;

ირ. ობიექტის ნიშნიანი: გადასწერს, დასწერს, მისწერს, მოსწერს.

3.2. გარდაუვალი ზმნები

დინამიკური ვნებითის ფორმები: აიწერება, ამოიწერება, გაიწერება, გამოიწერება, გადაიწერება, გადმოიწერება, დაიწერება, ჩაიწერება, ჩამოიწერება;

აეწერება, ამოეწერება, გაეწერება, გამოეწერება, გადაეწერება, მიეწერება, მოეწერება, ჩაეწერება, ჩამოეწერება;

სტატიკური ვნებითის ფორმები: (ს)წერია, უწერია, აწერია.

ცხადია, თითოეულ ფორმას ახლავს წინადადება შესაბამისი თარგმანით. საილუსტრაციო წინადადებები ამოღებულია ბელესტრისტიკიდან, ჟურნალ-გაზეთებიდან, დარგობრივი და სპეციალური წიგნებიდან, მიმოწერიდან, ასევე – ყოველდღიური სასაუბრო მეტყველებიდან, დიალექტებიდან, ჟარგონიდან, რადგან, ჰ. ფენრიხის აზრით, ეს მასალა ზოგჯერ „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ საილუსტრაციო წინადადებებზე უფრო მეტად უახლოვდება თანამედროვე ქართულ ენას.

დავასახელებთ ***დრეკ-*** ფუძისგან ნაწარმოები ფორმების საილუსტრაციო წინადადებებს.

დრეკს: დიდხანს *დრიკა* მავთული. **გა-:** ეს ისეთი ძლიერია, ვერავინ *გადრეკს.* **გადა-:** ქურდებმა ღობე *გადადრიკეს.* **და-:** ბევრი ცდის მერე სახელური *დადრიკა.* **მი-:** პაპამ გოდრის წვნა დაამთავრა და წნელის ბოლოები *მიდრიკა.* **მო-:** ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა, მაგრამ გვარდიამ ვერ *მოდრიკა* ავჯანყებულები. **შე-:** ღობეში გამოყოფილი ტოტები *შედრიკა.* **შემო-:** კოტემ ვარდის ტოტები ბაღში *შემოდრიკა.* **ჩა-:** ზურაბმა შლანგი ჭაში *ჩადრიკა.* **ჩამო-:** ალუბლის ტოტები *ჩამოდრიკა* და მოკრიფა.

იდრეკს: მი-: ჟოლოს ბუჩქი *მიიდრიკა* და პირი ჩაიტკბარუნა. **მო-:** მუხლი *მოიდრიკა.*

უდრეკს: მო-: მტერს თავს ნუ *მოუდრეკთ*! **გა-:** მორწმუნე ხატის წინ *გაიდრიკა.*

იდრიკება: და-: ურიკა სიმძიმისაგან *დაიდრიკა.* **მი-:** მზესუმზირა მზისკენ *მიიდრიკა.* **მო-:** ბებერი მუხა *მოიდრიკა.*

ედრიკება: მო-: ტუჩები აუცახცახდა, კისერი *მოედრიკა.*

დრკება: და-: შეკრთა იასაული, უკან *დადრკა.* **მი-:** თინა ღობეზე *მიდრკა* და მეზობელს გასძახა. **შე-:** მუხაც კი *შედრკება.*

უდრკება: შე-: ცოცხალი თავით მტერს არ *შეუდრკება* და ა.შ.

ავტორის აზრით, ბევრი ზმნური ფუძე „ქართული ენის ზმნური ფუძეების ლექსიკონიდან“ (მასალები ქართული ენის სისტემატური კურსისათვის, შემდგენლები: გიორგი გოგოლაშვილი, ციცინო კვანტალიანი, დალი შენგელია, თბილისი: მეცნიერება, 1989) შეიძლება დიალექტური ან ჟარგონული იყოს, რადგან შესაბამისი მაგალითები მხატვრულ ლიტერატურაში ვერ მოიძებნა და ამიტომაც ვერ შევიდა ლექსიკონში.

ჰ. ფენრიხის ზმნების ლექსიკონში თავმოყრილია სხვადასხვა სტილისტური დონის ლექსიკა, მაგალითად, **ჟარგონულია:** თომარობს, ეთომარება, ბაზრობს; **დიალექტურია:** ბუჩავს, ბუნხალობს, დოდინობს, ბზუკუნებს, ბლოჟინობს, ბრგვინავს, დებულობს, ეღანძალავება, თლაფავს, თლახთლახებს, თლუხთლუხებს, თოთხიალებს, ეინტერესება, ვარკალებს, დაუზვეპავს, იგვლარძება, დააგვრიწინებს, იკანჭურებს, მიბარგანობს, ტლაკავს, დაკვერცხავს, შემოკვიწიალდება და სხვ.

ლექსიკონში შეტანილია სკაბრეზული, არაევფემისტური და არანორმატიული ზმნებიც (იხ. ფუძეები: ბოზ-, ტრაკ-, ტყნ-, ფს-, ქლიავ-, ჩათლახ-, ჯვ- და სხვ.).

გვხვდება ზმნური ფორმები **ნაწარმოები** ფუძეებისგან: ბრწყინვალ-, ერბოიან-, იმედეულ-, ტყიურ- და სხვ. **რთული** ფუძეებისგან: ავგულ-, ავზნიან-, ავსიტყვ-, ავხორც-, ათასკეც-, ათასფეროვან-, ბილწსიტყვა(ვ)-, ბოროტმოქმედ-, გზაკვალიან-, გულმაგრ-, გულკეთილ-, გულჩვილ-, გულცივ-, დილამშვიდობ-, დღესასწაულ-, ენაკვიმატ-, ენატანია(ვ)-, ენაჭარტალ-, ზღვაგულ-, თავისჭკუ-, თავწვერ-, თვალყურ-, თვალისწუნ, თოფიარაღ-, ია-ვარდ- და სხვ.

საკმაო რაოდენობითაა შეტანილი **უცხოური** ფუძებისგან ნაწარმოები ფორმები: აპელირ-, ასიმილირ-, ასოციირ-, აქტუალიზ-, ბალანსირ-, გასტროლ-, დემოკრატ-, დემორალიზ-, დეპუტატ-, დერეგულირ-, დიქტატორ-, დომინანტ-, დომინირ-, ექსკალატორ-, ეჭვნეულ-, ვალც-, ვარიირ-, იდეალისტ-, იდიოტ-, ინტენსიურ-, ინვენტარ-, კავალრ-, კომპლექტ-, კომუნისტ-, კონდენსირ-, კონსტიტუირ-, კონტრაქტ-, კონცენტრირ-, პარტნიორ-, ჟონგლიორ- და სხვ.

ბოლოს, ორიოდე სურვილს გამოვთქვამთ: ვფიქრობთ, კარგი იქნებოდა, რომ ლექსიკონი შესავალი უფრო ვრცელი იყოს, ახლდეს გამოყენების დეტალური წესები და ბიბლიოგრაფია. ნაშრომის ღირებულებას კიდევ უფრო აამაღლებდა ზმნის ფუძეთა საძიებელი თითოეული ტომისთვის ან ფუძეთა სრული ჩამონათვალი, სტატისტიკური მონაცემები და ზმნურ უღლებად ფორმათა საძიებელი, დალაგებული ზმნისწინთა მიხედვით. ლექსიკონის გამოყენებას გააადვილებდა, რომ ზმნის ფუძესთან შესაბამისი ზმნისწინები შავად გამოყოფილიყო. ასევე, ვფიქრობთ, საჭიროა ზოგიერთი ფორმის სტილისტური ელფერის დახასიათება, გამოყენების სფეროსა და სიხშირის მითითება, იდიომური გამოთქმების გამოყოფა.

რაც შეეხება საილუსტრაციო მასალას, როგორც ჩანს, ლექსიკონში ადგილის ეკონომიის მიზნით არაა დასახელებული ავტორები. ახალი ქართული ენა საკმაოდ ვრცელ დროის მონაკვეთს მოიცავს, ამიტომ საკმაოდ მნიშვნელოვანია, რომელი

მწერლის ნაწარმოებიდანაა ამოღებული წინადადება: არის ეს აკაკის, ილიას, ვაჟას, ყაზბეგის ენა თუ რომელიმე თანამედროვე მწერლისა, პერსონაჟის მეტყველებაა თუ ავტორისა, ხომ არაა ჟარგონული ან დიალექტური ფორმა.

საბოლოოდ კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ქართული ზმნების ლექსიკონის სამტომეული კოლოსალური შრომის შედეგია და ამ ტიპის ლექსიკონი პირველია ქართულ ლექსიკოგრაფიაში. ის გამოსადეგი იქნება არა მარტო ქართული ენის შესწავლით დაინტერესებული უცხოელებისათვის, არამედ თეორიული ენათმეცნიერების წარმომადგენლებისთვის. სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ ქართველი მკითხველისთვის ლექსიკონი ნაკლებადაა ხელმისაწვდომი.

ავტორ-შემდგენლებს, უპირველეს ყოვლისა კი, პროფესორ ჰაინც ფენრიხს, კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ეკუთვნით ქართველოლოგიისთვის გაწეული შრომისა და ქართული ზმნების ლექსიკონისთვის.

რუსუდან ზექალაშვილი

შინაარსი

გივი მაჭავარიანი – 90 5
გივი მაჭავარიანის შრომების ანოტირებული ბიბლიოგრაფია 16

ნათია ბოტკოველი, ნათია კენჭიაშვილი, ელენე კიკნაძე, ანა კოლხიდაშვილი, მარიამ მათიაშვილი, მარიამ ნავაძე, ნინო ნოზაძე, მარიამ რუხაძე, ელენე ქადაგიშვილი, სალომე ქობალია, ქეთევან ჭილაია. ქართული გრამატიკული აზრის განვითარება: გივი მაჭავარიანი 52

ფატი ანთაძე-მალაშხია. ნაცნობ ენათა მიმართებისათვის ახალ/დამატებით უცხო ენასთან 96
Fati Antadze-Malashkhia. On the Influence of Familiar Languages in the Process of Teaching a New/Additional Language 107

რუსუდან ასათიანი. კაუზაცია ქართველურ ენებში 108
Rusudan Asatiani. Causative Constructions in the Kartvelian Languages 126

ციური ახვლედიანი, გიორგი ყუფარაძე. ფონოსტილისტიკის ჩამოყალიბების საწყისები საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთში 128
Tsiuri Akhvlediani, Giorgi Kuparadze. Basics of Formation of Phonostylistics in France and the UK 135

რუსუდან გერსამია. მწკრივის ფორმათა გრამატიკალიზაციისათვის მეგრულსა და ლაზურში 136
Rusudan Gersamia. On the Grammaticalization of the Forms of Screeves in Megrelian and Laz 149

რუსუდან ზექალაშვილი. ნატვრის გამოხატვა და ზმნის გრამატიკულ-სემანტიკური ცვლილებები ქართულში 151
Rusudan Zekalashvili. Grammatical and Semantic Changes in Verbs while Expressing Desire in Georgian 162

მარინე ივანიშვილი. ქართულ ენათმეცნიერებაში სტრუქტურალიზმის განვითარების სათავეებთან: აკაკი შანიძე 164
Marine Ivanishvili. The Roots of Structuralism in Georgian Linguistics: Akaki Shanidze 175

Gia Kvashilava. On Reading and Identifying the Vessel Name KA-DI of Linear A Clay Tablets ZA 4 and ZA 15 177
გია კვაშილავა. ka-di – ჭურჭლის აღმნიშვნელი სახელის იდენტიფიკაცია ZA 4 და ZA 15 თიხის ფირფიტების A კლასის ხაზოვან წარწერებში 184

ივანე ლეჟავა. სვანური ენის სიბილანტთა სპექტრული თავისებურებანი 186
Ivane Lezhava. Spectral Peculiarities of the Svan Sibilants 190

თამარ მახარობლიძე. ობიექტის ალტერნაციის შესახებ 192
Tamar Makharoblidze. On Object Alternation 199

მარიამ ნანობაშვილი. მიმღეობის შემცველი ზოგიერთი გენიტიური
კონსტრუქცია მათეს სახარების არაბულ თარგმანში 200
Mariam Nanobashvili. Genitive Constructions with Participles
in the Arabic Translations of the Gospel by Matthew 207

მედეა საღლიანი. ზმნისწინისა და ფონოსემანტიკური ზმნური ფუძის
ურთიერთმიმართების საკითხისათვის აწმყოში 209
Medea Saghliani. On the Issue of Interrelation between a Preverb and
a Phonosemantic Verbal Stem in the Present 221

მაგული ღამბაშიძე. დინამიკური მოდალობის გამომხატველი „ძალ-უც“
ზმნა ძველ ქართულ სამწერლობო ენაში 222
Maguli Ghambashidze. Dynamic Modal “ʒal-uc” in the Old Literary
Georgian Language..... 234

მერი ჩიქობავა. ერთი ლექსიკური პარალელის შესახებ ქართველურსა
და ინდოევროპულში 236
Mary Chikobava. On a Lexical Parallel in Kartvelian and Indo-European..... 241

ლელა ჩოთალიშვილი. მინოსური და მიკენური ენების სტრუქტურულ
მიმართებათა ანალიზი 243
Lela Chotalishvili. The Analysis of Structural Relationship of Minoan
and Mycenaean Languages 253

რეცენზია
Heinz Fähnrich, Nana Odischelidse, Natia Reineck, Georgische Verben
(mit deutschen Entsprechungen und Satzbeispielen), Kaukasien-Reihe, 3 vols.,
Aachen, Shaker Verlag, 2013, 2.580 pages *(რუსუდან ზექალაშვილი)* 255

გამომცემლობის რედაქტორები:	ცირა ჯიშკარიანი ნანა კაჭაბავა
გარეკანის დიზაინი	მარიამ ებრალიძე
კომპ. უზრუნველყოფა	ლალი კურდღელაშვილი

TSU Press Editors:	Tsira Jishkariani Nana Katchabava
Cover Designer	Mariam Ebralidze
Layout Designer	Lali Kurdghelashvili

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179
Tel: 995(32) 225 14 32
www.press.tsu.edu.ge